ჯაბა სამუშია

საისტორიო ძიებანი

შინაარსი

რამდენიმე საკითხი კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს" ისტორიიდან 7

ცოტა რამ საკითხის ისტორიოგრაფიის შესახებ 10

„ათორმეტი უდაბნონი კლარჯეთისანი" 16

კლარჯეთში სავანეთა შორის არსებული იერარქია და „ათორმეტი უდაბნოს" არქიმანდრიტის საკითხი 19

იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების" ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო 23

ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, „იბერიის თემის" დაარსების თარიღისათვის 41

ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა") 55

ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში – პოლიტიკური კრიზისის ანატომია 72

მოვლენათა ქრონოლოგია 73

კრიზისის დასაწყისი 78

ბიზანტია – პროცესების კატალიზატორი 82

ბინძური ანგარიშსწორების ერთი მაგალითი 89

ლიპარიტ ბაღვაშის გავლენა ბიზანტიურ თანამეგობრობაში 94

ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ვიზიტი და კრიზისის დარეგულირება 99

ლიპარიტ ბაღვაში და ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა საქართველოში 102

ხელისუფლების ცვლილება ბიზანტიაში, ლიპარიტ ბაღვაშის მარცხი და სახელისუფლო კრიზისის დასასრული 104

„მეფის კურთხევის" წესი „დავითისა და თამარის ეპოქაში" („აფხაზთა მეფეთა" დროინდელი წესის შეცვლის საკითხისათვის) 107

ივანე ათაბაგის ლაშქრობა ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ 127

ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების დათარიღებისათვის 128

ფხოველთა და დიდოელთა განსახლების არეალი 130

ფხოველები 130

დიდოეთი და დიდოელები 134

აჯანყების გამომწვევი მიზეზი 145
ივანე ათაბაგის ლაშქრობის მარშრუტი 159
აჯანყების ჩახშობა და მებრძოლი მხარეების შეთანხმება 163

ბიჯნისის შეხვედრა (მიკროისტორიული კვლევის ერთი ნიმუში) 174

მოკლედ მიკროისტორიული ანალიზის შესახებ 174
განადგურდა თუ არა საქართველოს სამხედრო პოტენციალი გარნისის ბრძოლაში? 179
ავაგ ათაბაგისა და ჯალალ ედ-დინის შეხვედრა ბიჯნისის მიდამოებში 184
რატომ უთხრა საქართველოს სამეფო კარმა ჯალალ ედ-დინს მოკავშირეობაზე უარი? 189
ქართველების შეცდომა თუ გამჭრიახი პოლიტიკური ნაბიჯი? 193

არტანუჯის ციხე-ქალაქის სტატუსისათვის XI-XIV საუკუნეებში 195

იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი დონ კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით 218

იმერეთის მეფეთა ინსიგნიები
(დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის მიხედვით) 262

გვირგვინი 264

სკიპტრა 271

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII საუკუნეში 275

შესავალი 275
თბილისის მოსახლეობა წერილობითი წყაროების მიხედვით 279
ერთ ჰექტარზე მოსახლეობის დადგენა 283
თბილისელის კარ-მიდამო 288

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „თურქეთის საქართველოს“ შესწავლის ისტორიიდან 307

1902 წლის ექსპედიცია 309
1907 წლის სამეცნიერო ექსპედიცია „თურქეთის საქართველოში“ 310
1917 წლის ექსპედიცია ტაოში 312
ექვთიმე თაყაიშვილის არქივში არსებული გამოუქვეყნებელი მასალა ტაო-კლარჯეთის შესახებ 320
სტატისტიკური ცნობები 322

კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკური ემიგრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (კავკასიის ერთობის იდეა XX საუკუნის 20-30-იან წლებში) 327

რამდენიმე საკითხი კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს“ ისტორიიდან*

VIII საუკუნესა და IX საუკუნის დასაწყისში არაბთაგან შევიწროებული ქართლის მოსახლეობა სამხრეთ საქართველოს აფარებდა თავს. ეს ტერიტორია ამ დროს ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ხელსაყრელმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ქართველ საერო თუ სასულიერო პირებს საშუალება მისცა, ტაო-კლარჯეთში დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობა დაეწყოთ და ახალი „ქართველთა სამეფოსათვის“ ჩაეყარათ საფუძველი.

IX საუკუნის დასაწყისში ქართლის ერისმთავარს, აშოტ I დიდს, მეტად გაურთულდა ურთიერთობა არაბებთან და იძულებული შეიქნა, თავშესაფარი შავშეთ-კლარჯეთში ეძია. ეს რეგიონი, ბიზანტია-არაბების შეთანხმებით, ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა და მასზე არაბებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ბიზანტიელთაგან ზურგგამაგრებულმა აშოტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის ცენტრად არტანუჯი გამოაცხადა. აშოტ კურაპალატმა „პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, – მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძე, – რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჴრებული იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ“.[1]

სამხრეთ საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეულის ფორმირება უამრავ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ყველაზე დიდი პრობლემა რეგიონში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა იყო. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ საგანგებოდაა მითითებული, რომ „კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს

---

* რამდენიმე საკითხი კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნოს“ ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2, 2016, გვ. 20-35.

სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბ., 1955, გვ. 377.

დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ".[2] სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ სამხრეთ საქართველოში მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ არაბთა შემოსევას, „ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებლებს".[3] როგორც ჩანს, კ. კეკელიძისთვის ამოსავალი იყო სუმბატ დავითის ძის ერთი საინტერესო მითითება: „ხოლო ჴევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს-იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად, შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი, და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ".[4] „სატლობა" სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს ორი მნიშვნელობით: „ა. ხშირი მუცლის ყვანა (სენი) და ბ. სენია მომსრველი".[5] სავარაუდოდ, კ. კეკელიძემ „სატლობა" ქოლერის ეპიდემიად მიიჩნია და იქვე განმარტა, რომ „ეს იყო, ალბათ, 746-747 წლის ხოლერა, რომელმაც სულ ამოჟლიტა სამხრეთ საბერძნეთისა და კონსტანტინოპოლის მცხოვრებნი და რომელიც იქიდან, მცირე აზიის გზით, ალბათ, ჩვენშიაც შემოვიდა".[6] აქ ერთი განმარტებაა საჭირო. კ. კეკელიძე იმოწმებს ა. ვასილევის ნაშრომს, რომელშიც საუბარია ბიზანტიაში არა ქოლერის, არამედ შავი ჭირის გავრცელებაზე.[7] როგორც ჩანს, სუმბატ დავითის-ძესთან მოხსენიებული „სატლობა" უნდა გავიგოთ, როგორც ზოგადი ტერმინი ეპიდემიისა – „სენი მომსრველი" – რომელშიც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგულისხმება შავი ჭირის ეპიდემია. 745-746 წლებში იტალიიდან შავი ჭირი ბიზანტიელი მეომრების მეშვეობით გავრცელდა საბერძნეთში, ხოლო 747 წელს – კონსტანტინოპოლში. 748-750 წლებში ეპიდემია

---

[2] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 257.

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 93.

სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ. 376.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993, გვ. 57.

კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 93, შენ. 1. იხ., ასევე: დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2009, გვ. 44-45.

ა. ვასილევს მოჰყავს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა და განმარტავს: «Здесь речь идет о страшной эпидемии 746-747 годов, занесенной из Италии и опустошившей особенно юг Греции и Константинополь. Желая пополнить уничтоженное чумой население, Константин V переселил в столицу жителей из различных провинций» (А. А. Васильев, История Византийской империи, т. 1, გვ. 552).

მძვინვარებდა ერაყში, სირიასა და მესოპოტამიაში.[8] უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიასა თუ მახლობელ აღმოსავლეთში 745-750 წლებში არსებული შავი ჭირის უამრავი კერიდან ამ სენმა საქართველოშიც შემოაღწია. ალბათ, სუმბატ დავითის ძესთან ამ პერიოდში მომაკვდინებელი სენის გავრცელებაზე უნდა იყოს საუბარი, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმპერიასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე 541-750 წლებში შავი ჭირის გავრცელების 18 შემთხვევა დაფიქსირდა.[9] საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა იმ რეგიონებთან, სადაც ეს სენი დროდადრო იჩენდა თავს და, შესაძლოა, მას სამხრეთ საქართველოშიც შემოეღწია. ამდენად, სუმბატ დავითის ძე ტაო-კლარჯეთის VI-VIII საუკუნეების ტრაგიკულ ისტორიას გადმოგვცემს და სამ ეტაპს გამოყოფს – სასანიდების ბატონობის ხანას, არაბთა ლაშქრობებს (მურვან-ყრუს შემოსევას) და ეპიდემიას.

აშოტ I-მა დიდმა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული შავშეთ-იმერხევის, ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანის სანახები მოაშენა. ხალხი თავის ძირძველ კერას დაუბრუნდა. აღდგა გზები, ხიდები, აშენდა ახალი სოფლები. ქვეყანაში სიწყნარემ და წესრიგმა დაისადგურა. აშოტ კურაპალატის მხარდაჭერით არნახული მასშტაბები შეიძინა ეკლესია-მონასტრების მშენებლობამ, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი გრიგოლ ხანძთელი იყო. კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოს კონტურები გამოიკვეთა. იგი უმოკლეს ხანებში რეგიონში ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ერთეულად იქცა. მართალია, ტაო-კლარჯეთში ერთ-ერთი ქართული სამეფო ჩამოყალიბდა,[10] მაგრამ იქ მოღვაწე ქართველი ინტელექტუალების წიაღში იბადება საერთო ქართული ერთობის პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც გიორგი მერჩულეს ასე აქვს გადმოცემული: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".[11] მოგვიანებით საქართველოს გაერთიანება სწორედ ამ საერთო ქართულ ფასეულობებს – რელიგიურ, ენობრივ, კულტურულ ერთობას დაეფუძნა.

---

[8] D. Stathakopoulos, Crime and Punishment, The Plague in the Byzantine Empire, 541-749, Plague and the End of Antiquity, The Pandemic of 541-750, Edited by Lester K. Little, Cambridge University Press, 2007, გვ. 104.

[9] D. Stathakopoulos, Crime and Punishment, The Plague in the Byzantine Empire, 541-749, გვ. 105.

[10] დასავლეთ საქართველოში ამ დროს უკვე არსებობს აფხაზთა სამეფო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთისა და ჰერეთის სამეფოები. იხ.: მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 137-200.

[11] გიორგი მერჩულე, შრომაი და მოღუაწებაი ღირსად ცხორებისაი ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაი, და მის თანა ჯსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაი, გვ. 290.

ცოტა რამ საკითხის ისტორიოგრაფიის შესახებ

ვახუშტი ბატონიშვილს კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა" მონასტრებიდან მხოლოდ ოპიზის მონასტერი აქვს მოხსენიებული თავის „აღწერაში": „არს მონასტერი ნათლის მცემლისა. ამას შინა იყო ჴოჯი ნათლისმცემლისა, და იყო დიდ – ჴელოვნებით ქმნული და შენებული... იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი, და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლით. საეკლესიო წესითა და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმ-ცარიელ არს. ამას უწოდებენ ოპიზის მონასტრად".[12] XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ქართველ მკვლევართა ცოდნა ამ მიმართულებით დიდად არ გაზრდილა. 1873 წელს გამოქვეყნდა დ. ბაქრაძის ენციკლოპედიური სტატია: „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში", რომელშიც კლარჯეთის „ათორმეტ" სავანიდან მხოლოდ მცირე განმარტება ეთმობა ოპიზას.[13] იქვე მეცნიერი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „უეჭველია, ოპიზის მონასტერში დღემდის გადარჩენილი უნდა იყოს წარწერები, რომლებიც არავის გადმოუწერია და ამიტომ ჩვენთვის უცნობია".[14]

ქართველ მოგზაურთაგან პირველმა გიორგი ყაზბეგმა მოინახულა და მოკლედ აღწერა ოპიზის მონასტერი. მართალია, რამდენიმე დღის შემდეგ იგი უკვე სოფ. დოლისყანასთან იმყოფებოდა, მაგრამ ამ ტაძრის შესახებ რატომღაც არაფერს ამბობს. გ. ყაზბეგმა ამცნო მკითხველს სხვა სავანეთა არსებობის შესახებაც: „ოპიზის შემოგარენში ერთი საათის სავალ გზაზე

---

[12] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 678.

[13] Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. V, Издан. под ред. председ. комиссии с. с. Ад. Берже, Тиф., 1873, გვ. 1069.

[14] Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. V, გვ. 1069. მართალია, უცხოელი ავტორების მიერ ტაო-კლარჯეთის ძეგლების აღწერა რამდენიმე ათეული წლის წინ უკვე დაწყებული იყო, მაგრამ კლარჯეთ-შავშეთის სიძველეები მათი ყურადღების მიღმა დარჩა. ამის ნათელი მაგალითია გერმანელი მოგზაური და ბოტანიკოსი კ. კოხი. ექ. თაყაიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა: „რაც შეეხება ტაოს იმ ნაწილს, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდის ყარსის ოლქის ოლთისის მხარეს შეადგენდა, ჩემს 1902 და 1907 წლის ექსპედიციებამდის მოიპოვებოდა მხოლოდ ცნობები გერმანელი ბოტანიკოსის კ. კოხისა ოლთისის ციხის შესახებ და უმთავრესად ნეფსი-პენიაკის ანუ, ჩვენებურად, ბანას და აგრეთვე კოლას დადაშენის თაობაზე" (K. Koch, Wanderungen im Oriente, während der Jahre 1843 und 1844, Reise langs der Donau nach Konstantinopel und nach Trebisond, Landes-Industrie-Comptoir, 1846; ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 6).

არის სოფლები ფორა (ფორთა – ჯ. ს.) და ბერთა. როგორც ამბობენ, აქ შემონახულია დიდი ეკლესიის ნაშთები".[15] რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და, ბუნებრივია, კლარჯეთ-შავშეთის სიძველეების შესწავლა ქართველ მკვლევრებს მნიშვნელოვნად გაუადვილდათ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული ენთუზიაზმი ქართველ და რუს ისტორიკოსებსა და ხელოვნებათმცოდნეებს არ გამოუჩენიათ. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში სამიოდე ექსპედიცია მოეწყო სრულიად უცხო და შეუსწავლელ მხარეში. ექ. თაყაიშვილი არაერთგზის აღნიშნავდა ტაო-კლარჯეთის სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართა ღვაწლს, თუმცა არც საყვედურს ერიდებოდა: „საყვედური ეთქმის დ. ბაქრაძესაც კი, რომელიც ძალიან მოკლედ და სიტყვაძუნწად აღწერს ოლთისის ძეგლებს და არც დღიურში აქვს ბევრი რამ ნათქვამი მათ შესახებ. ხოლო იმ მხატვარს, ბ..ს, რომელიც ბაქრაძეს ხლებია თან, საოცრად უმწეო, პირდაპირ ბავშვური ნახაზები აქვს გაკეთებული".[16] მართალია, ექ. თაყაიშვილის ეს შენიშვნა ეკუთვნის ოლთისის მხარის ძეგლებს და, კერძოდ, ბანას კათედრალს, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოს" ცალკეულ ძეგლებზე. დ. ბაქრაძემ პირველად სწორედ შავშეთ-კლარჯეთის მხარე მოინახულა და ამ მოგზაურობის შესახებ მოკლე აღწერა გამოაქვეყნა. 1879 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით, დ. ბაქრაძემ იმოგზაურა მდ. ჭოროხის ხეობაში – ბათუმში, ართვინსა და არტანუჯში. ამ ექსპედიციის ანგარიში 1880 წლის 4 მარტს მეცნიერმა აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა, ხოლო მოგვიანებით გამოაქვეყნა «Записки Императорской Академии Наук»-ში. ანგარიში საკმაოდ მოკლეა და მხოლოდ ზოგად ცნობებს შეიცავს.[17] დ. ბაქრაძე მოგვიანებით რამდენჯერმე შეეხო დოლისყანის, ოპიზის, ფორთის მონასტრებს.[18] 1889 წელს გაზ. „ივერიაში" ა. ქუთათელაძე აქვეყნებს სტა-

[15] გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995, გვ. 103.

[16] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 383.

[17] Д. Бакрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г., по поручению Академии наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Артанудж, Записки Императорской Академии Наук, т. 37, С.-П., 1881, გვ. 47-50.

[18] სტატიებში „შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ" და „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი" დ. ბაქრაძე კიდევ ერთხელ ეხება კლარჯეთის რამდენიმე ძეგლს, თუმცა, მისი აღწერილობა საკმაოდ ზოგადია (Д. Бакрадзе, Заметки о Батумской области, Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического общества. т. 6, вып. 1, 1879-1881, გვ. 153-167; Д. Бакрадзе, Историко-этнографический очерк Карской области, Известия КОИРГО, Тиф., т. VII, №1, 1882-1883, გვ. 200).

ტიას „ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე", რომელშიც ავტორი საუბრობს უცნობ თხზულებაზე – შატბერდისა და ხანცთის აღმშენებლის, არქიმანდრიტ გრიგოლის ცხოვრებაზე, რომელსაც დართული ჰქონია ანდერძი.[19] ქართველმა მეცნიერებმა იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ სტატიის მიმართ და იმავე წელს დ. ბაქრაძემ თავის ნაშრომში „ისტორია საქართველოსი" ერთგვარად შეაჯერა თავისი მოგზაურობის შედეგად დაგროვილი ცოდნა და წმ. გრიგოლის ცხოვრების ანდერძის მონაცემები.[20]

1888 წელს კლარჯეთ-შავშეთში იმოგზაურა აკად. პრასკოვია უვაროვამ და აკად. ანდრეი პავლინოვმა. გრაფინია უვაროვას ჩანაწერები მეტად ზოგადია, თუმცა, ის ახსენებს ბერთას, დოლისყანას, ოპიზას, ფორთას (ხანძთა).[21] ოპიზის, ფორთას (ხანძთის) და დოლისყანის იმ დროისთვის ყველაზე ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა ა. პავლინოვმა. ამასთანავე, მან კლარჯეთ-შავშეთის სხვა ძეგლებიც მოინახულა და მდიდარი მასალა შექმნა, როგორც არქიტექტორ-რესტავრატორმა.[22]

კლარჯეთის უდაბნოების საფუძვლიანი შესწავლა დაკავშირებულია ნიკო მარის სახელთან. 1902 წელს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა, სინის მთის მონასტრის წიგნთსაცავის შესასწავლად ექსპედიცია მოაწყეს. მათ მიზანს, ასევე, წარმოადგენდა იერუსალიმის ქართული სიძველეების შესწავლა. ნ. მარმა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში გადმოწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ტექსტი. ეს თხზულება პირველად 1845 წელს აღმოაჩინა ნ. ჩუბინაშვილმა, მაგრამ მისი შესწავლა ვერ მოახერხა. ა. ცაგარელმა 1894 წელს გამოაქვეყნა მისი არქივი, რომელშიც „ცხოვრების" მოკლე აღწერილობა

---

[19] ა. ქუთათელაძე, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ ჯვარის მონასტერში, გაზ. „ივერია", 1 აპრილი, 1889, 70, გვ. 3-4; 4 აპრილი, 72, გვ. 2; 5 აპრილი, 73, გვ. 2-3.

[20] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე), ტფ., 1889, გვ. 233-234

П. Уварова, Кавказ: Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, Путевые заметки, ч. II, М., 1891, გვ. 306-314. სხვათა შორის, 1901 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ცნობა გრაფინია პრასკოვია უვაროვას მიერ ტბეთში გათხრების წარმოების შესახებ და მოსკოვში მის მიერ ტაძრიდან სხვადასხვა ნივთის გატანის თაობაზე. ზ. ჭიჭინაძე წერს: „ტბეთის ტაძარი გათხრილ იქმნა გრაფინია უვაროვისაგან. გათხრილ იქმნა მთელი ეკკლესიის საფლავები... სხვა და სხვა ნივთების გარდა 80 ფუთი სულ იშვიათ ჩუქურთმიანი ქვები იქნა ყუთებში ჩაწყობილი და მოსკოვში წაღებული გრაფინიასგან" (გაზ. „ცნობის ფურცელი", №1562, 1901 წლის 24 აგვისტო, გვ. 3).

[22] А. М. Павлинов, Батумская область, экспедиция на Кавказе 1888 года, Материалы по археологии Кавказа подъ ред. графини Уваровой, вып. III, М., 1893, გვ. 63-68.

მოიპოვებოდა.[23] 1889 წელს ამ თხზულებაზე მოკლე ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზ. „ივერიაში" ა. ქუთათელაძემ.[24] მხოლოდ ეს რამდენიმე ცნობა არსებობდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესახებ. ნ. მარის მიერ ხელნაწერის აღმოჩენამ მთლიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს შესახებ. „ცხოვრების" შესწავლას ნ. მარმა რამდენიმე წელი მოანდომა. 1904 წლის ივლის-აგვისტოში მან იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში და ყველა ის ადგილი მოინახულა, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1911 წელს ნ. მარმა გამოსცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" კრიტიკულად დადგენილი ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი.[25]

ტაო-კლარჯეთის სიძველეების ახალი ეტაპი დაკავშირებულია ექ. თაყაიშვილის სახელთან, რომელმაც სამი დიდი ექსპედიცია მოაწყო (1902, 1907 და 1917 წლებში) კოლა-არტაანისა და ტაოს ძეგლების შესასწავლად. ექ. თაყაიშვილს არ უმოგზაურია შავშეთისწყლისა და არტანუჯისწყლის ხეობებში, ანუ კლარჯეთ-შავშეთში. თუ რატომ დარჩა მისი სამეცნიერო ინტერესის მიღმა ეს ორი რეგიონი, ამას შემდეგნაირად ხსნის: „მე რომ „ოსმალეთის საქართველოში" დავიწყე არქეოლოგიური მოგზაურობა, ყველა კუთხე მოვიარე, გარდა სწორედ შავშეთ-კლარჯეთ-იმერხევისა და ბათომის მხარისა, ე. ი. ჭოროხის აუზისა, რადგან ის მხარე გულდაგულ ჰქონდა დავლილი ნიკო მარს და, – აბა, ვისთვისაა საეჭვო, – თავისი საუკეთესო, ყოველმხრივი და ნამდვილი მეცნიერული აღწერილობაც დაგვიტოვა, „ხანძთელის ცხოვრების" გამოცემასთან დაკავშირებით. შესანიშნავი წიგნია და მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისთვის (მაგრამ კიდევ რამდენი რამ გააკეთა!), ისიც კმაროდა, რათა მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით".[26] მიუხედავად ამისა, ექვთიმე თაყაიშვილი აგროვებდა მასალებს შავშეთ-კლარჯეთზე. როგორც ჩანს, მას ჩაფიქრებული ჰქონდა ამ კუთხეების შესწავლა, თუმცა იმ ეტაპზე ეს

---

[23] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962.

[24] ა. ქუთათელაძე, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზედ ჯვარის მონასტერში, გაზ. „ივერია", №№70, 72, 73.

[25] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Введение, издание и перевод с дневником поездки в Шавшию и Кларджию Н. Я. Марра, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. 7, С.-П., 1911; ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, რუსულიდან თარგმნა რ. დიასამიძემ, ბათ., 2012; შ. ჯაფარიძე, ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბ., 1996. ნ. მარს ოპიზიდან პატარა ზარიც წამოუღია, რომელიც საქართველოს საეკლესიო მუზეუმს შესწირა (იხ.: გაზ. „ცნობის ფურცელი", №2758, 1905 წლის 2 მარტი).

[26] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, გვ. 365.

არ იყო საშური საქმე, რადგანაც ნიკო მარს მოვლილი ჰქონდა ეს რეგიონები. ექვთიმე კი ძირითადად იმ სიძველეებს სწავლობდა, რომლებიც ან საერთოდ უცნობი იყო, ანდა – ნაკლებად ცნობილი. ექ. თაყაიშვილი განიხილავს შემდეგ ძეგლებს: ოპიზას, ანჩას, ხანძთას, შატბერდს, ბერთას, ჯმერკს, მიძნაძორს, წყაროსთავს, გუნათლეს, ანუ გუნათლეს ვანს, მერეს, ბარენელთას, დოლისყანას, ტბეთს, სვეტს. მეცნიერს გაკეთებული აქვს როგორც მოკლე, ასევე ვრცელი აღწერილობა ამ ძეგლებისა.[27]

1921 წლის შემდეგ ეს რეგიონი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა და იქ ქართველ მეცნიერებს აღარ უშვებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ უცხოელი მკვლევრები ან საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მეცნიერები, მაგრამ თითქმის XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე არც ევროპელ და ამერიკელ მკვლევრებს შეეძლოთ ტაო-კლარჯეთის შესწავლა. XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირსა და თურქეთის ურთიერთობაში დაიწყო დათბობის პერიოდი. 1964-1965 წლებში თურქეთს ეწვია სსრკ უზენაესი საბჭოს დელეგაცია და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. გრომიკო, შესაბამისად, მოსკოვში ჩავიდნენ თურქეთის რესპუბლიკის მაღალი რანგის დელეგაციები. ამ პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე გადამეტებული უსაფრთხოების რეჟიმის გაუქმება. თურქეთის მხარემ სასაზღვრო ზოლში შეზღუდვები გაამარტივა. გადაადგილება შედარებით გაადვილდა უცხოელებისთვისაც, რამაც კლარჯეთ-შავშეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევრებს საშუალება მისცა, ადგილზე ენახათ ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები.

1959 წელს ტაო-კლარჯეთი მოინახულეს ნ. და ჟ-მ. ტიერებმა, რომლებმაც „ათორმეტი უდაბნოდან" ნახეს დოლისყანა, ბერთა, ოპიზა და ხანძთა (ფორთა).[28] აღსანიშნავია, რომ ოპიზა ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული, მონასტერს გუმბათოვანი ტაძარი ამშვენებდა, რომელიც მალევე ააფეთქეს. 1967 წლიდან კლარჯეთ-შავშეთში ექსპედიციებს იწყებს აშშ-ში მოღვაწე ქართველი ხელოვნებათმცოდე ვ. ჯობაძე, რომელმაც 1968-1983 წლებში ტაო-კლარჯეთის შესწავლას 8 ექსპედიცია მიუძღვნა და შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვ-

---

[27] ეს მასალა მზადდება გამოსაქვეყნებლად.

[28] N. et M. Thierry, Notes d'un voyage en Géorgie turque, Bedi kartlisa: Revue de kartvélologie, vol. VIII-IX, №34-35, Paris, 1960, გვ. 10-29. ამ სტატიის მოკლე ვარიანტი 1962 წელს გამოქვეყნდა საქართველოში და ხელმისაწვდომი გახდა ფართო მკითხველისათვის: მ. და ნ. ტიერი, მოგზაურობა თურქეთის საქართველოში, „საბჭოთა ხელოვნება", თბ., 1962, №7; N. Thierry, Notes d'un nouveau voyage en Géorgie Turque, Bedi kartlisa: Revue de kartvélologie, vol. XXV, Paris, 1968, გვ. 51-65; M. Thierry, Topographie et état actuel des monuments géorgiens en Turquie orientale, Revue des études géorgiennes et caucasiennes, 5, 1989, გვ. 129-167.

ნელოვანი მონოგრაფია – „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში".[29]

საბჭოთა კავშირის დროს ქართველ მეცნიერებს არ ჰქონდათ საშუალება, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული სიძველეები ადგილზე შეესწავლათ. მიუხედავად შეზღუდვისა, საქართველოში რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა კლარჯეთის სავანეების წარსულსა და ხუროთმოძღვრებას. ამ საკითხზე XX საუკუნის შუა პერიოდისთვის არსებული ინფორმაციის შეჯამებას წარმოადგენს პავლე ინგოროყვას მონოგრაფია „გიორგი მერჩულე".[30] აღსანიშნავია ვ. ბერიძის წიგნი «Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры»,[31] პ. ზაქარაიას მონოგრაფია «Зодчество Тао-Кларджети».[32]

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ტაო-კლარჯეთის მიმართ ინტერესის გაზრდის პარალელურად, ქართველი მეცნიერები აქტიურად ინტერესდებიან კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს შესწავლით. ამ მიმართულებით მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეები არ აქტიურობდნენ; ისტორიკოსებმა, ენათმეცნიერებმა, ეთნოლოგებმა, ფილოლოგებმაც საინტერესო ნაშრომებით გაამდიდრეს ჩვენი მეცნიერება.[33]

---

[29] ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2006, გვ. 23-89.

[30] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

[31] В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

[32] П. Закарая, Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1990.

[33] მკითხველს ვთავაზობთ არასრულ ბიბლიოგრაფიას იმ ნაშრომებისა, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა კლარჯეთის უდაბნოთა შესახებ: ქ. აბაშიძე, ნუკა-საყდარი, ჟურ. „არქიტექტურა და დიზაინი", თბ., 1994, 1; დ. კლდიაშვილი, კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის სათავეებთან: გუნათლეს ვანი, „ლიტერატურა და ხელოვნება", 4, 1998, გვ. 162-180; დ. კლდიაშვილი, სინას სულთა მატიანე (მარკოზი – ხანცთას სამრეკლოს მაშენებელი და სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელი), „ლიტერატურა და ხელოვნება", 3, 1999, გვ. 47-77; ქ. აბაშიძე, ნუკა-საყდარი, "Analecta Iberica", თბ., 2001, 1; დ. კირთაძე, ხანძთისა და შატბერდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის, ჟურ. „რელიგია", №№1, 2, 3, თბ., 2003; ირ. გავიაშვილი, ირ. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004; დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005; თ. ხუციშვილი, კ. შენგელია, შ. მაჭავარიანი, ვ. სილოგავა, შატბერდის მონასტრის ლოკალიზაციის პრობლემისათვის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული „საისტორიო შტუდიები", V, 2004; თ. ხუციშვილი, კ. შენგელია, მ. ციბაძე, შ. მაჭავარიანი, შატბერდის მონასტერი, მასალები, იდენტიფიკაცია, კვლევის პერსპექტივები, თბ., 2006; რ. თოფჩიშვილი, ზოგიერთი ქართული ეთნოგრაფიული რეალია შავშეთში,

„ათორმეტი უდაბნონი კლარჯეთისანი“

შუა საუკუნეებში კლარჯეთის სავანეები ხშირად იხსენიება, როგორც დიდებული „ათორმეტი უდაბნონი“ კლარჯეთისანი. ესენია: ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მიძნაძორი, წყაროსთავი, ბარეთელთა, მერე, დაბა, პარეხი, ბერთა, ჯმერკი და დოლისყანა. კლარჯეთის თორმეტი სავანიდან დღეისათვის უკვე ზუსტად ლოკალიზდება 10 მონასტერი (ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, მიძნაძორი, წყაროსთავი, დაბა, პარეხი, ბერთა, ჯმერკი და დოლისყანა) და მხოლოდ ორის (ბარეთელთა და მერე) ადგილმდებარეობა იწვევს ეჭვს.

მოკლედ შევეხოთ ბარეთელთას მონასტრის ლოკალიზაციას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ბარეთელთა რამდენჯერმე იხსენიება. მის ლოკალიზაციას შეეცადა ნ. მარი მდ. შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც ადგილობრივები უთითებდნენ ტოპონიმ „ბარეთევლას/ბარეთეულს“.[34] ნამონასტრალი ნ. მარმა ვერ ნახა, მხოლოდ მცირე ნანგრევებს წააწყდა, რომელთა მიჩნევა საეკლესიო დანიშნულების ნაგებობებად ძნელია. გიორგი მერჩულესთან ისე ჩანს, თითქოს მიძნაძორი, წყაროსთავი და ბარეთელთა ერთ ზონაშია: „ხოლო ჴელმწიფეთა მათ მოილოცნეს მიძნაძოროჲ, წყაროჲს თავი, და ბარეთელთაჲ და ადგილნი მათნი“.[35] ამ მონასტრებიდან ორის ადგილმდებარეობა გარკვეულია (მიძნაძორი და წყაროსთავი), ბერეთელთა კი, მარის ლოკალიზაციით, ამ ადგილებიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, მდ. შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე. რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, ხომ არ არის ბარეთელთა დღევანდელი

კლარჯეთსა და ტაოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათ., 2009; მ. ფაღავა, ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის, „მნათობი“, №1, 2007; მ. ფაღავა, ძეგლისა და მიძნაძორის ეტიმოლოგიისათვის, „ჩვენი სულიერების ბალავარი“, 4, 2012; ნ. ანდღულაძე, ფ. დევდარიანი, თ. დვალი, დ. ხოშტარია, ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და მონუმენტური ფერწერა, ახალციხის და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, თბ., 2013; მ. ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათ., 2015.

[34] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Введение, издание и перевод с дневником поездки в Шавшию и Кларджию Н. Я. Марра, გვ. 115-116.

[35] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჯსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 276.

ნუკას საყდარი, რომელიც მდ. კარჩხალის ხეობაში, წყაროსთავის მონასტრის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. ცხადია, მხოლოდ არაპირდაპირი არგუმენტები გვაქვს ამის სამტკიცებლად. გრიგოლ ხანძთელი დასავლეთ საქართველოში ყოფნისას აფხაზთა მეფეს მოუთხრობს კლარჯეთის სავანეთა სიმშვენიერეზე და დასძენს: „და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკჳდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარე-მოადგას ზღუდის სახედ უძრავისა“.[36] როგორც ვხედავთ, კლარჯეთის უდაბნოებს სამხრეთიდან მდ. შავშეთისწყალი საზღვრავდა, შესაბამისად, ბარეთელთაც მდინარის მარჯვენა ნაპირზეა საგულვებელი, იმ მხარეს, სადაც სხვა კლარჯეთის სავანეებია (რა თქმა უნდა, შატბერდის გამოკლებით, რომელიც დაშორებული იყო ამ ადგილებს). გიორგი მერჩულე ერთგან აღნიშნავს: „და ჟამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძორობისაჲ დიდი მამაიჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ, და მოწაფენი მისნი, ნეტარნი: ილარიონ, მამაჲ და მაშენებელი წყაროჲსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას, და მამაჲ ზაქარია, მაშენებლი ბარეთელთისაჲ“.[37] ამდენად, ორი სავანე – წყაროსთავი და ბარეთელთა – მიძნაძორიდან წამოსულ ბერებს დაუარსებიათ. მიძნაძორი მდ. კარჩხალის ხეობის შუაშია, ხოლო მდინარის ქვემო წელზე მდ. შავშეთისწყალთან შეერთებამდე, ხეობის ერთ მხარეს მდებარეობს წყაროსთავი, ხოლო მეორე მხარეს – ნუკას საყდარი.[38] ხომ არ არის ეს ორივე მონასტერი დავით მიძნაძორის მოწაფეების, ილარიონისა და ზაქარიას აგებული? ამ შემთხვევაში, ბარეთელთა იმავე ნუკას საყდრად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ რა ვუყოთ ტოპონიმ „ბარეთეველას“? არ გამოვრიცხავთ,

---

[36] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ..., გვ. 269.

[37] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ..., გვ. 275.

[38] ნ. მარი ხანძთის მონასტრად ნუკას საყდარს მიიჩნევდა, ხოლო ქვემო ფორთაში არსებულ კომპლექსს – შატბერდად (იხ.: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Введение, издание и перевод с дневником поездки в Шавшию и Кларджию Н.Я. Марра, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. 7, С.-П., 1911, გვ. 135-155). პ. ინგოროყვამ. სრულიად სამართლიანად. ქვემო ფორთას მონასტერი ხანძთად გამოაცხადა, მაგრამ უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება ხანძთისა და ნუკას საყდრის იგივეობის თაობაზე (მ. ფაღავა, ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის, „მნათობი“, №1, 2007, გვ. 147. ნ. მარის მიერ გამოთქმული ვერსიის უარყოფას ნაადრევად მიიჩნევს მ. ჩოხარაძე: მ. ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015, გვ. 80)

რომ ამ სახელის წარმოშობა ამ ადგილების მონასტრისადმი კუთვნილებამ განაპირობა. ტაო-კლარჯეთ-შავშეთში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მონასტრის მამულებს სავანის სახელი ჰქვია. მაგალითად, ტოპონიმი „ხანძთა“ იმერხევში დასტურდება, რაც, უდავოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ეს ტერიტორია მონასტრისა იყო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ბარეთელთასა და ნუკას საყდრის იგივეობა მხოლოდ მოსაზრებაა და მას საფუძვლიანი გამყარება სჭირდება.[39]

[39] დ. კლდიაშვილი ნუკას-საყდარს აიგივებს გუნათლეს ვანთან, თუმცა, ამ ვარაუდის მიღება ძნელია რამდენიმე მოსაზრების გამო. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „ესევე ნეტარი ეტჯფანე ოდესმე მივიდა წინაშე დიდისა აბულასათისა ჟამსა მკისასა როჭიკისა თხოვად ხანცთისათჳს. ხოლო მან ჰრქუა: „ძმათა შენთა დღესა შინა ერთსა რაჲ მკონ, მიმიცემია“. და აბულასად ესევე ამცნო ცოლსა თჳსსა, რამეთუ იყო გუნათლეს, და თჳთ წარვიდა სხვად ქვეყანად. ხოლო ეტჯფანე შეიკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად მომკალნი და მიიწინეს გუნათლეს სიტყჳსაებრ პირველ თქმულისა“ (გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ..., გვ. 292). ამ მონაკვეთიდან კარგად ჩანს, რომ გუნათლე დაფანჩულთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. ამ აზრს განამტკიცებს ის პასაჟიც, რომელშიც საუბარია გრიგოლის მიერ გაბრიელ დაფანჩულთან სტუმრობაზე. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ დედათა მონასტერი „გუნათლეს მახლობელად“ აიგებოდა. ამ კონტექსტში გუნათლეს მოხსენიება, მოგვიანებით გაბრიელის შვილის გუნათლეში ცხოვრება, მიუთითებს, რომ ეს პუნქტი მხოლოდ მონასტრის ადგილი არ იყო და მას ამ მხარეში გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქცია ეკისრებოდა. მდ. კარჩხალის ხეობაში ასეთი პოლიტიკური ცენტრის არსებობა არ დასტურდება. მეორეც, მწერლის გამონათქვამები – „ეტჯფანე ოდესმე მივიდა“ და „შეიკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად მომკალნი და მიიწინეს გუნათლეს“– ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ საუბარია ხანძთიდან დაშორებულ პუნქტზე. ასეთად კი ვერ მივიჩნევთ ნუკას საყდარს, რომელიც ქვემო ფორთიდან ფეხით რამდენიმე კილომეტრშია. კიდევ ერთი დეტალი: სოფლის სახელწოდება „გუნათლე“/„გურნათელი“ შავშეთში დღესაც დასტურდება (სოფლის თურქული სახელია „სუსუზ“) (იხ.: ნ. ცეცხლაძე, შავშერთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათ., 2000, გვ. 35). სოფ. გურნათელის ცენტრში, „ნაფუძარში“, დასტურდება სხვადასხვა დანიშნულების ნაშთების კვალი, მათ შორის, სასახლისა (იხ.: შ. მამულაძე, შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 2011, გვ. 76-81).

კლარჯეთში სავანეთა შორის არსებული იერარქია და „ათორმეტი უდაბნოს“ არქიმანდრიტის საკითხი

კლარჯეთში სავანეებს შორის გარკვეული იერარქია არსებობდა, რომელიც, შესაძლოა, არც იყო რაიმე დოკუმენტით დარეგულირებული და მხოლოდ მკაცრად დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენდა. გიორგი მერჩულეს ერთგან მოჰყავს გრიგოლ ხანძთელისა და ოპიზის წინამძღვრის დიალოგი: „ხოლო ყოველთა დღეთა ამის ნეტარისათა წმიდათა მათ მამათა მონასტრებისათა აღებაჲ ამას წინაშე გარდაიხადიან ხანძთას და პირმარხვად მიიღიან კანონი დიდთა მარხვათათვის და წარვიდიან. და იყო ოდესმე ერთად შეკრებაჲ ამათ ნეტართაჲ წმიდისა ამის წინაშე. და თვინიერ ოპიზისა წინამძღვარისა ყოველთა მათ ასწავებდა კეთილთა მათ სიტყვათა სულისა ცხორებისათა მამაჲ გრიგოლ. ხოლო ოპიზელი მამაჲ შეწუხნა და ჰრქვა მას: – წმიდაო მამაო, რაჲსათვის თანაწარმხდი სულიერთა სიტყვათა შენთა? ხოლო მან ჰრქვა: – მამაო პატიოსანო, არა თუ შეურაცხებისათვის თანაწარგხედ შენ, არამედ ამის მიზეზისათვის, რამეთუ ამათ ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაჲ და არა განვაგებ ოპიზასა ზედა, არცა წინამძღვარსა მისსა ზედა“.[40] ამ მონაკვეთიდან კარგად ჩანს ოპიზის მონასტრის უპირატესობა სხვა მონასტრებთან შედარებით. ამ ტრადიციის გამოძახილია ჟამთააღმწერლის ცნობა: „ამისი უდაბნო შენ არს და არა უცნაურ მთათა შინა ღადოსათა, ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყუელთა და მოწამეთა ყოველთა უაღრესისა ნათლისმცემელისა იოანეს ჴორჴი იგი“.[41] ოპიზის მონასტრის გამორჩეულ სტატუსს თავისი ახსნა აქვს და ეს დეტალი მერჩულეს კარგად აქვს შენიშნული. თუმცა, „უპირველესობა“ მხოლოდ სიმბოლური იყო და არ ნიშნავდა ადმინისტრაციულ უპირატესობას რაიმე ფორმით. ეს კარგად ჩანს ბაგრატ IV-ის დროს, ოპიზარი და მიჯნაძოროელი მამების სამამულო დავის განხილვისას. ორივე მონასტერი დამოუკიდებელია. მეტიც, ამ დავიდან გამტყუნებული ოპიზელი ბერები გამოვიდნენ, რომელთაც მეფემ დანაკლისის ასანაზღაურებლად მამულები შესწირა.[42]

---

[40] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 282.

[41] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 259.

[42] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 32-34.

მიუხედავად იმისა, რომ ოპიზა იყო „უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა“, გარკვეული უფლებებით სარგებლობდა ხანძთის მონასტერიც. გიორგი მერჩულის მითითებით, გუნათლეს ვანსა და მერეში მწირველი მღვდელი ხანძთიდან განიწესებოდა: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯჳვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრქჳიან გუნათლის ვანი. და ჟამისმწირველი მღდელი ვანისა მისთჳს ხანძთითა განაწესა ნეტარმან გრიგოლ ვედრებითა გაბრიელისითა... ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკჳიდრა მერეს შინა... და ხუცესი მერისაჲ ხანძთით არნ“.[43] ეს რეალობა X საუკუნის II ნახევრამდე შენარჩუნებული იყო, რაზეც მეტყველებს მერჩულის საგანგებო მითითება, ხაზგასმაც კი ამ უფლებაზე. შენარჩუნებული იყო თუ არა ხანძთის მონასტრის ეს უპირატესი უფლება შემდეგ საუკუნეებში, ცნობილი არ არის.

ცალკეა გამოსაყოფი „ათორმეტ უდაბნოთა“ არქიმანდრიტის საკითხი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია წმ. გრიგოლის კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტად განწესების ისტორია: „ამისა შემდგომად მამისა გრიგოლისთჳს ზრახვა ყვეს ეპისკოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა, რაჲთა დაადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა უდაბნოთა ზედა და მოახსენეს ხელმწიფეთა მათ. ხოლო მათ ფრიად განიხარეს და ერთობით დიდითა დაპატიჟებითა მოღვაწებისა მის საქმედ დაადგინეს. და მრავალთა წელიწადთა ვიდრე გარდაცვალებამდე განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად“.[44]

ამ პასაჟიდან ისე ჩანს, რომ გრიგოლ ხანძთელს „ათორმეტთა უდაბნოთა“ არქიმანდრიტად დანიშვნის შემდეგ გარკვეული ადმინისტრაციული უფლებები ჰქონდა – „განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად“.[45] მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კლარჯეთის სავანეები „შეადგენდნენ ორგანიზაციულ ერთობას“.[46] მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში ასეთი ორგანიზაციული ერთობა გამოკვეთილად არ ჩანს და, მეტიც, თავად წმ. გრიგოლის სტატუსს უფრო მეტად სიმბოლური დატვირთვა აქვს, ვიდრე ფუნქციური. სრულიად სამართლიანია დ. ხოშტარიას მითითება, რომ გრიგოლ ხანძთელის „გამორჩეული მდგომარეობა განპირობებული იყო არა იმდენად ამ

[43] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ..., გვ. 260-261.

[44] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ..., გვ. 276.

[45] იქვე.

[46] დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 52.

წოდებით, რამდენადაც საყოველთაოდ აღიარებული განსაკუთრებული ღვაწლით და პიროვნული თვისებებით".[47] ნ. მარი კლარჯეთის უდაბნოებს იხსენიებს „ბერთა რესპუბლიკად",[48] თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი პარალელს ავლებს ათონის მთის „ბერთა რესპუბლიკასთან". „ათორმეტი უდაბნო" არასდროს ყოფილა ერთიანი ადმინისტრაციით შეკავშირებული, არც რაიმე საერთო სათათბირო ორგანო ჩანს სადმე. ზემოთ ვახსენეთ ბაგრატ IV-ის სიგელი „ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი", რომელშიც გადმოცემულია „ათორმეტ უდაბნოთაგან" ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონასტრებს შორის არსებული სამამულო დავა. ბაგრატ IV აღნიშნავს: „და გულს-მიდგონა ღმერთმან და მადლმან მათ წმიდათა მან და ჴელვყავ ხარკებით საურავსა მათსა: შევკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა".[49] თუ კლარჯეთის უდაბნოებს XI საუკუნის შუა წლებში ერთი არქიმანდრიტი ჰყავდა, მაშინ გამორიცხულია ის მეფეს სამეფო კარზე არ მოეწვია. კიდევ უფრო საინტერესოა სიგელის დასასრული: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ ჴელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა".[50] ძნელი დასაჯერებელია, „კლარჯეთის ათორმეტი უდაბნოს" არქიმანდრიტის არსებობის პირობებში, ბაგრატ IV-ს ის ამ ჩამონათვალში არ მოეხსენიებინა. სამეფო კარის გადაწყვეტილების აღმსრულებელი და ზედამხედველი იმ მომენტში თუ მომავალში სწორედ არქიმანდრიტი უნდა ყოფილიყო. ასეთი საპატიო სტატუსი ბაგრატ IV-ის დროს, როგორც ჩანს, ან არ არსებობდა, ანდა მას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

შუა საუკუნეებში ტერმინი კლარჯეთის „ათორმეტი უდაბნო" ზოგად გამონათქვამს წარმოადგენდა და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა რაიმე სახის ადმინისტრაციულ ერთობას. რა თქმა უნდა, ამ სავანეებს შორის გამორჩეული პატივით სარგებლობდა ოპიზის მონასტერი, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ მისი წინამძღვარი სხვებზე მაღლა იდგა.

კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთა" კვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. არც ერთი ეს ძეგლი არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის. მიუხედავად

[47] დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 52.

[48] Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Введение, издание и перевод с дневником поездки в Шавшию и Кларджию Н. Я. Марра, შესავალი, გვ. I.

[49] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 34.

[50] ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., გვ. 32-34.

იმისა, რომ ოქროს მაძიებლები – შავი არქეოლოგიის მიმდევრები – დიდ დანაშაულს სჩადიან, კომპლექსური გათხრები ბევრ ახალ ფურცელს შესძენს კლარჯეთის მონასტრების ისტორიას.

იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო*

იოვანე და ეფთვიმე ათონელების ღვაწლი ათონის სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში ქართულ-ბიზანტიურ მეცნიერებაში სათანადოდაა შესწავლილი, თუმცა, ცალკეული საკითხები დღემდე იქცევს ისტორიკოსთა თუ ფილოლოგთა ყურადღებას. წინამდებარე სტატიაში გვსურს შევეხოთ იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელი ცხოვრების ქართული რედაქციის, ქართული სვინაქსარული რედაქციისა და იოანეს, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრების“ ცალკეული მონაკვეთების ურთიერთმიმართების საკითხს. ასევე, განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან საისტორიო ცნობას, რომლებიც ჩვენამდე ამ ნაწარმოების წყალობითაა შემონახული. იოვანესა და ეფთვიმეს ვრცელი „ცხოვრება“, ასევე, სვინაქსარული და ბერძნული რედაქცია უნიკალურ ცნობებს იძლევა საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით საინტერესოა ეს თხზულება ათონელი ბერების ყოველდღიურობის შესასწავლად.

გიორგი მთაწმინდელის თხზულება – „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ – სრულიად სამართლიანად მიიჩნევა ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლად.[1] იგი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ისტორიკოსთა

---

* იოვანეს და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ქართულ-ბერძნული ტექსტები, როგორც საისტორიო წყარო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2021, 1.

1 ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967; გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაი იოვანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმინდელის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946. ამ ძეგლის ლათინური, ფრანგული და ინგლისური თარგმანები იხ.: P. Peeters, Histoires

თუ ფილოლოგთა მიერ, ამიტომაც წინამდებარე სტატიაში ყველა დეტალზე არ გავამახვილებთ ყურადღებას. ეს სამუშაო ცალკეულ მკვლევართა მიერ უკვე შესრულებულია.[2] ივ. ჯავახიშვილი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ავტორს, გიორგი მთაწმინდელს, ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევდა და მას გამოჩენილ ისტორიკოსად იხსენიებდა.[3] კ.

---

monastiques Georgiennes. Analecta Bollandiana. XXXVI-XXXVII. 1917-1919; B. Martin-Hisard, La vie de jean et Euthyme et le status du monastere des Iberes sur L' Athos. Revue des Etudes Byzantines. XLIX. 1991; The Life of Our Blessed Fathers John and Euthymios. and The Story of their Worthy Citizenship as Described by the Poor Hieromonk George. Georgian Monks on Mount Athos. Two Eleventh-Century Lives of the Hegoumenoi of Iviron, Translation, notes and introductin by Tamara Grdzelidze. London. 2009.

კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1955; კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956; კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957; კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, „ივირონი –1000“, თბ., 1983; ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; ვ. გაბაშვილი, ათონური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები როგორც წყარო, „ივირონი – 1000“, თბ., 1983; მ. კახიძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954; რ. სირაძე, გიორგი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა („ცხოვრება იოანესა და ექვთიმეს“ შესახებ), ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 163-188; ე. ხინთიბიძე, ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში, ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2014, გვ. 207-226; ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982; რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966; გ. ალიბეგაშვილი, წმიდა ათონელი მამების – იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრების“ ბერძნული ვერსია (ჰაგიოგრაფიული პარალელები), ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2014, გვ. 115-146; ს. მეტრეველი, წმიდა იოანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ იკონოგრაფიული სახისმეტყველება, ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2014, გვ. 76-117; გ. კუჭუხიძე, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ (სახისმეტყველებითი საკითხები), ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2014, გვ. 48-75; ე. ჭყოიძე, იოანესა და ეფთვიმეს „ცხოვრების“ ქართული და ბერძნული ტექსტების იდეოლოგიური ურთიერთმიმართება, „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3“, თბ., 2011; ს. ქადაგიშვილი, ეთნიკურობის, როგორც კოლექტიურ-კულტურული იდენტობის აღქმა წმინდა იოვანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების ცხოვრებების მიხედვით, ქართველოლოგიური კვლევები – ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები: ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, 26-27 აპრილი, თბ., 2012, გვ. 85-87.

ივ. ჯავახიშვილი, გიორგი მთაწმინდელი როგორც ისტორიკოსი (წინასიტყვაობა), ცხო-

კეკელიძემ საფუძვლიანად გაარკვია, რა პირველწყაროებს ეფუძნებოდა გიორგი მთაწმინდელი, პირველმა დასვა საკითხი ათონის სამონასტრო ჩანაწერების არსებობის შესახებ, რომლებითაც ავტორს უხვად უსარგებლია. ამას გარდა, ის იყენებდა ანდერძ-მონაწერებს, ოფიციალურ წერილებს, სიგელებს.[4]

გიორგი მთაწმინდელის თხზულებას წინ უნდა უსწრებდეს ეფთვიმე ათონელის „ცხოვრების" მოკლე რედაქცია, რომელიც „დიდ სვინაქსარში" შესულია, როგორც პირველი ორიგინალური ქართული სვინაქსარული ცხოვრება.[5] მის შექმნას ე. გაბიძაშვილი 1028-1029 წლებში ვარაუდობს, ხოლო სავარაუდო ავტორად მიიჩნევს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს – ბასილ ბაგრატის ძეს.[6] გიორგი მთაწმინდელს „ცხოვრების" მოკლე რედაქცია უნდა გამოეყენებინა ვრცელი „ცხოვრების" შედგენისას. სავარაუდოდ, XVIII საუკუნის დასაწყისში სწორედ ამ სვინაქსარული რედაქციიდან უნდა ეთარგმნათ ქართველ ბერებს ცალკეული ცნობები ბერძენი ავტორისათვის. ამას გვაფიქრებინებს ის დამთხვევა, რომელიც შეიმჩნევა სვინაქსარულ რედაქციასა და ბერძნულ „ცხოვრების" ცალკეულ მონაკვეთებს შორის. ვიდრე ამ საკითხს მიმოვიხილავთ, მოკლედ შევეხოთ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ათონზე შექმნილ ორიგინალურ ბერძნულ ნაწარმოებს – „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი და ღმერთშემოსილი ჩვენი მამების – იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, ჩვენი წმინდა და უდიდესი ქართველთა მონასტრის ქტიტორებისა". ქართველი მკვლევრები თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ეს თხზულება ქართულიდან ნათარგმნი ბერძნული აგიოგრაფიული ნაწარმოები იყო,[7] თუმცა, მ. მაჩხანელის გამოკვლევამ კარგად აჩვენა, რომ

ვრებაი იოვანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 1.

კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, „ივირონი –1000", გვ. 26-27.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968; გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებაი იოვანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმინდელის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XIII სს.), გვ. 96. სვინაქსარული „ცხოვრების" ავტორად ბასილ ბაგრატის ძეს მიიჩნევს ე. მეტრეველიც (იხ.: ე. მეტრეველი, იოვანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები", ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 139).

კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, გვ 8-9; მ კახიძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, გვ. 92.

"βίος και πολιτεία" დამოუკიდებელი ძეგლია, რომელიც ეკუთვნის ივერთა მონასტერში მოღვაწე ბერს.[8] ავტორი ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, მათ შორის, ქართველი ბერის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ამ უკანასკნელ დეტალს თავად ავტორი აღნიშნავს: „ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, ხოლო იმათგან, ვისაც ქართულ წიგნებში ამოუკითხავს, შევიტყვეთ, რომ ისინი ყოფილან სამეფო გვარიდან".[9] ბერძნული „ცხოვრება" ნანილობრივ მიჰყვება ქართულ სვინაქსარულ რედაქციას, თუმცა, ზოგიერთ ეპიზოდში "βίος"-ის ავტორი სხვა ცნობებსაც უმატებს.[10] მ. მაჩხანელის აზრით, ბერძენი ავტორი ბერძნული ფოლკლორული წყაროებით სარგებლობდა.[11] იქვე, მეცნიერის მითითებით, დასახელებულ წყაროებს უნდა მიემატოს ბერძნული წერილობითი წყაროები, კერძოდ, 984 წლის ათანასე ათონელის ცნობილი სიგელი იოვანე ათონელისადმი.[12] ჩვენ დავამატებდით, რომ უცნობი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს ასევე ეფთვიმეს კონსტანტინოპოლში გარდაცვალების ეპიზოდის ცალკეული დეტალები. "βίος και πολιτεία"-ს ტექსტში აღნიშნულია, რომ კონსტანტინოპოლში ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელსაც ეფთვიმე ათონელი შეეწირა, მომხდარა „ქალაქის ერთ ნაწილში, ე. წ. პლატეაში".[13] დაშავებული წმ. მამა „მიიყვანეს იმ სახლში, სადაც დაედო

---

[8] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება", ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსაცემად მოამზადა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982, გვ. 6-19. ე. ჭყოიძის მინიშნებით, ბერძნული „ცხოვრების" ავტორმა „სრულყოფილი თუ არა, ელემენტარული ქართული" იცოდა და ამიტომ ქართული წყაროებითაც სარგებლობდაო (ე. ჭყოიძე, „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრების" ქართული და ბერძნული ტექსტების იდეოლოგიური ურთიერთმიმართება, „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3", თბ., 2011, გვ. 765). ეს შეხედულება არ შეესაბამება სიმართლეს, რამეთუ თავად უცნობი ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას იოვანეს წარმომავლობა იმათგან შეუტყვია, ვისაც ქართული წიგნებიდან ამოუკითხავს. შესაბამისად, მისთვის ქართველ ბერებს უთარგმნიათ იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებიდან" ცალკეული მონაკვეთები.

[9] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება," გვ. 123.

[10] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება", გვ. 35-47. ათონელი მამების ბერძნული ცხოვრების ცალკეულ მონაკვეთებზე საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის ასევე გ. ალიბეგაშვილს (გ. ალიბეგაშვილი, წმიდა ათონელი მამების – იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრების" ბერძნული ვერსია (ჰაგიოგრაფიული პარალელები), გვ. 115-146).

იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება", გვ. 35.

[12] იქვე.

[13] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება", გვ. 142. ბერძნული „ცხოვრება" უნდა დასდებოდა საფუძვლად „ათონური პატერიკის" ცნობილ კრებულში შესულ ქართველი მთანმინდელების „ცხოვრებას" (იხ.: Афонский патерик или жизнеописание святых, на Святой Афонской горе просиявших, ч. 1, Изд. 7-е. М., 1897, გვ.

ბინა. აქ მან მიიღო საღვთო ზიარება და რამდენიმე დღის შემდეგ, 13 მაისს, მიიცვალა“.[14] ამ მონათხრობისაგან განსხვავებულ ტექსტს შეიცავს როგორც ათონელ ბერთა ვრცელი „ცხოვრება“, ასევე სვინაქსარული რედაქცია. ძნელი წარმოსადგენია, რომ XVIII საუკუნეში ათონზე გადმოცემის გზით ხსომებოდათ კონსტანტინოპოლის იმ უბნის სახელი, სადაც ეფთვიმე ათონელი სახედრიდან გადმოვარდა. ჩვენ უფრო იქით ვიხრებით, რომ ეს დეტალიც ავტორს წერილობითი წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული.

ბერძნული „ცხოვრების“ მიხედვით, იოვანეს საერო ცხოვრებიდან განშორების შემდეგ პატარა ეფთვიმე აღსაზრდელად პაპამ, იოვანეს მამამ წაიყვანა, რომელიც მოგვიანებით შვილიშვილთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩავიდა. სწორედ აქ ნახა ბერმა იოვანემ საკუთარი შვილი.[15] გიორგი მთაწმინდელის მიერ შექმნილი ვრცელი ქართული „ცხოვრების“ მიხედვით კი ეფთვიმეს აღმზრდელი პაპა იყო დედის მამა, ანუ იოვანეს სიმამრი: „ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან, ცოლის-ძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფთჳმე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰგუარეს მეფესა. ესე რაჲ ცნა იოვანე, უნდა თუ არა, უნებლიეთ თავი თჳსი გამოაცხადა და სამეუფოდ ქალაქად აღვიდა და. ვინაჲთგან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოვანესი, და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს“.[16] ამდენად, გამორიცხულია ბერძენ ავტორს „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციით ესარგებლა, რომელშიც ცალსახად მითითებულია ეფთვიმეს აღმზრდელი პაპის სახელი – აბუჰარბი და მისი ნათესაური კავშირი იოვანესთან. ეს შეცდომა უნდა მომდინარეობდეს სვინაქსარული „ცხოვრების“ შესაბამისი ადგილის არაზუსტი წაკითხვიდან: „ხოლო სანატრელი ეფთჳმი წარიყვანა დედისაგან თჳსისა პაპამან მისმან, კაცმან წარჩინებულმა და ძლიერმან, და ზრდიდა მას ყოვლითა ფუფუნებითა“.[17] სვინაქსარული რედაქციიდან არ ჩანს, ვინ არის ეფთვიმეს პაპა, დედის მამაა თუ მამის. კონტექსტი ისეთ ასოციაციას იწვევს, რომ საუბარი უნდა იყოს მამის მამაზე, რომელმაც დედისაგან წაიყვანა შვილი აღსაზრდელად. როგორც ჩანს, ასე ესმოდათ ეს მონაკვეთი ქართველ ბერებს და შესაბამისად უთარგმნეს იგი ბერძენ ავტორს. მეორე მონაკვეთი,

419).

[14] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გვ. 142

[15] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გვ. 129-130.

[16] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 43.

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XIII სს.), გვ. 332.

რომელიც ასევე ადასტურებს ბერძნულ ვარიანტში ქართული სვინაქსარული რედაქციიდან ინფორმაციის მომდინარეობას, არის ბიზანტიის იმპერატორის, ნიკიფორე ფოკას მოხსენიება. გიორგი მთაწმინდელის „იოვანესი და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ მითითებული არ არის, ვინ იყო იმპერატორი, რომლის დროსაც პატარა ეფთვიმე კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს მძევლად. ნაწარმოებში ზოგადადაა ნათქვამი: „ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან“.[18] „ცხოვრების“ ვრცელი რედაქციისგან განსხვავებით, იმპერატორის სახელს იცნობს „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის“ სვინაქსარული „ცხოვრება“. მასში ნათქვამია: „ხოლო სანატრელი ეფთჳმი წარიყვანა დედისაგან თჳსისა პაპამან მისმან... ხოლო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე წარვიდა ყრმითურთ სამეფოდ ქალაქად საქმისა რომლისათჳსმე წინაშე ნიკიფორ ღმრთის-მსახურისა მეფისა“.[19] ამას იმეორებს იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრებაც“: როცა ეფთვიმე კონსტანტინოპოლს ჩაიყვანეს, „მაშინ ბერძენთა მეფე იყო დიდი ნიკიფორე – ფილომონახი და ფილარეტი“.[20]

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ იოვანე მთაწმინდელისა და დავით კურაპალატის ურთიერთობის საკითხს და ამ უკანასკნელისადმი „ზემონი ქვეყანანის“ გადაცემის პრობლემას.

იოვანე მთაწმინდელი ერისკაცობაში დავით კურაპალატის ერთ-ერთი წარჩინებული მთავარსარდალი იყო. მის სამხედრო საქმეში დახელოვნებაზე უნდა მიუთითებდეს გიორგი მთაწმინდელის მინიშნება, რომ ის იყო „განთქმული წყობათა შინა“. ალბათ ამიტომაც ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. „ცხოვრება“ იოვანეს ოჯახური გარემოს შესახებაც შეიცავს ცნობებს – მას მეუღლე და რამდენიმე შვილი ჰყოლია. მისი ცოლიც იმიერტაოს სამეფოს წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა, ყოველ შემთხვევაში, იოვანეს სიმამრი და ცოლისძმები აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ დავით კურაპალატის კარზე და ბიზანტიაში საპატიო დიპლომატიურ მისიასაც ხელმძღვანელობდნენ.[21] თავის დროზე კ. კეკელიძემ ეჭვი შეიტანა გიორგი მთაწმინდელის მიერ მოწოდებულ ცნობაში, რომ „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპაჲთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა

[18] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 43.

[19] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XIII სს.), გვ. 332.

[20] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გვ. 129.
ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 43.

შორის დავით კურაპალატისათა, მჭნე და ახოვანი და განთქუმული წყობათა შინა".[22] მეცნიერის მითითებით, „იოანე ბერად აღკვეცილა და სამშობლოდან გასულა, სანამ დავითი კუროპალატობას მიიღებდა; მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა „საჩინოჲ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა", როგორც ამას ბიოგრაფი გადმოგვცემს, მის „ახოვნებასა და განთქმულებასა წყობათა შინა" ადგილი ექნებოდა დავითზე გაცილებით ადრე".[23] კ. კეკელიძის ეს მოსაზრება მომდინარეობს „ზემონი ქვეყანანის" შესახებ ტაოს სამეფოსა და ბიზანტიას შორის გაფორმებული შეთანხმების 961 წლით დათარიღებიდან.

961 წელს, ადარნასე III კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, იმიერტაოს სამეფო ტახტი დაიკავეს ერისთავთ-ერისთავმა ბაგრატმა და დავით მაგისტროსმა. ოშკის წარწერებში რამდენჯერმე მოიხსენიებიან ბაგრატი და დავითი, როგორც „მეფენი ჩუენნი".[24] ძმების ერთობლივი მმართველობა ხუთ წელს გაგრძელდა.[25] ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს იმიერტაოს მეფეთა და ბიზანტიის იმპერატორის, ნიკიფორე ფოკას სამხედრო თანამშრომლობის ფაქტი. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ვ. კოპალიანმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია კ. განის მიერ შეკრებილ და რუსულად გამოცემულ კავკასიის შესახებ არსებულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს. 964 წლის ამბების გადმოცემისას სკილიცე-კედრენე და ზონარა ახსენებენ ნიკიფორე ფოკას ლაშქარში იბერების მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით ვ. კოპალიანი წერს: „გიორგი ათონელის ერთი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ სამხრეთ ტაოს მმართველს დავით ბაგრატიონს ამ ომში მონაწილეობისთვის სათანადო კომპენსაციაც უნდა მიეღო მიწა-წყლის სახით".[26] სკილიცეს თხზულების ეს მონაკვეთი მოგვითხრობს: „მისი (ნიკიფორეს) მეფობის მეორე წლის ივლისში, მეშვიდე ინდიქტიონს, ნიკიფოროსი კილიკიისკენ დაიძრა რომაელების დიდძალი ჯარით, რომელსაც თან ახლდა იბერიელებისა და სომხების მოკავშირეთა ძალები"[27]. ბიზანტიელ მემატიანესთან საუბარია 964 წლის ზაფხულში არაბთა წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო მოქმედებებზე, რომლებიც შესვენებებით გაგრძელდა 966 წლის მიწურულამდე. რა ეტაპზე მონაწილეობდნენ ქართველთა რაზმები ამ ლაშქრობაში, ამის თქმა ძნელია,

---

[22] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 42.

[23] ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 93.

[24] ვ. სილოგავა, ოშკი, X ს. მემორიალური ტაძარი, თბ., 2006, გვ. 127.

[25] ჯ. სამუშია, დავით III კურაპალატი, თბ., 2020, გვ. 39-49.

[26] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ., თბ., 1969, გვ. 23.

[27] J. Scylitzes. A synopsis of Byzantine History. 811-1057, Introduction. Text and Notes Translated by J. Wortley, Cambridge. 2000, გვ. 257.

თუმცა, ვ. კოპალიანის ვარაუდი, რომ ამ სამხედრო მხარდაჭერის სანაცვლოდ ქართველებს უნდა მიეღოთ „ზემონი ქვეყანანის“ ნაწილი, სიმართლესთან ახლოსაა.[28]

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის გააქტიურება მოსალოდნელია 963 წლის შემდეგ, როდესაც საიმპერატორო ტახტი დაიკავა განთქმულმა სარდალმა ნიკიფორე ფოკამ. როგორც ჩანს, იმპერატორმა თავიდანვე იმიერტაოსთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა, რასაც მოწმობს სკილიცეს ზემოთ ნახსენები ცნობა, რომლის მიხედვითაც, 964 წელს „იბერები“ ბიზანტიელთა ჯარებთან ერთად არაბებს უტევენ. სამართლიანად ფიქრობდა ვ. კოპალიანი, რომ ეს დახმარება ქართველთა მხრიდან „კეთილი ნების“ გამოხატულება არ უნდა ყოფილიყო და ამის სანაცვლოდ ტაოს მეფეები კონკრეტულ სარგებელს ელოდნენ. ნიკიფორე ფოკამ აზიაში აქტიური სამხედრო მოქმედებები 966 წელს დაასრულა, მომდევნო წლიდან კი მთელი ყურადღება იმპერიის ევროპულ ნაწილზე გადაიტანა. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „იოვანესი და ეფთჳმეს“ ცხოვრების და „ეფთჳმი ქართველის მთაწმიდელის“ მოკლე სვინაქსარული „ცხოვრების“ მიხედვით, ბიზანტიაში მოციქულის გაგზავნის ინიციატივა ეკუთვნის ერთ ქართველ მეფეს – დავითს. ამ მოვლენებში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი არ ჩანს. ამის მიზეზი უნდა იყოს 966 წლის 2 ოქტომბერს ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალება. ბიზანტიასთან შეთანხმება კი ამის შემდეგაა სავარაუდო.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ გიორგი მთაწმინდელი დროში ურევდა ამ ფაქტებს და „ზემონი ქუეყანანის“ გადმოცემა ბარდა სკლიაროსის აჯანყების შემდეგ უნდა მომხდარიყო.[29] დღეისათვის გარკვეულად უნდა ჩაითვალოს საკითხი იმის შესახებ, რომ დავითმა ორ ეტაპად მიიღო „ზემონი ქუეყანანი“. პირველი გადაცემა უნდა მომხდარიყო დაახლოებით 966 წლის მიწურულს ან 967 წლის დასაწყისში, როცა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი ცოცხალი აღარ იყო, მეორედ – ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. თუ ეს მართალია, გამოდის, რომ იოვანე ბიზანტიაში ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე ჩასულა. მთაწმინდელ მამათა ვრცელი „ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ ოთხთა ეკლესიაში ბერად შედგომიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ იოვანე ულუმბოს (ოლიმპოს) მთაზე გადავიდა სამოღვაწეოდ.[30] ამას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ დაახლოებით

[28] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ., გვ. 23-24.

[29] ვრცლად ამ საკითხზე იხ.: შ. ბადრიძე, საქართველო და ბიზანტია, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984, გვ. 57-72.

[30] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 43.

966-967 წლების მიჯნაზე ის, მაქსიმუმ, ორი-სამი წლის ბერად აღკვეცილი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, იოვანეს მიერ საერო ცხოვრების მიტოვება დაახლოებით 963 წლის ახლო ხანებშია სავარაუდო. ამ დროს კი დავით მაგისტროსი (მოგვიანებით კურაპალატი), თავის ძმასთან ერთად, უკვე სამი წელია მართავს ქვეყანას.[31] ამდენად, გიორგი მთაწმინდელის მითითება არავითარ ანაქრონიზმს არ შეიცავს.

ბერძნული „ცხოვრება" არ ახსენებს თორნიკე ერისთავს. ამას თავისი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, თორნიკე, რა თქმა უნდა, იმ მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე არ იყო, როგორებიც იოვანე და ეფთვიმე იყვნენ, მეორეც, ბერძნები ბოლომდე მაქსიმალურად ცდილობდნენ ივერიელთა მონასტრის დაარსებაში ქართველთა მატერიალური მონაწილეობის დამალვას. სამაგიეროდ, ქართული ვრცელი „რედაქცია" თორნიკეს (ბერობაში იოანეს) ბიოგრაფიის ათონურ პერიოდზე ვრცლად მოგვითხრობს და ყველაზე მეტად ყურადღებას ამახვილებს მის მიერ მონასტრის დაარსებისას გაწეულ ფინანსურ შემწეობაზე. თავდაპირველად თორნიკე ულუმბოს მთაზე ჩავიდა, რამეთუ იოვანე იქ ეგულებოდა, მაგრამ წმინდა მამა უკვე ათონზე იყო გადასული და თორნიკემაც მას მიაშურა. სწორედ იოვანესგან მიიღო კურთხევა მონაზვნობაზე. იოვანემ და იოანე-თორნიკემ ათონზე ერთად ააგეს ქართველთა მონასტერი.

976 წლის ზაფხულში ბიზანტიაში იფეთქა ბარდა სკლიაროსის აჯანყებამ, რომელმაც დიდი ხნით დაარღვია მშვიდობა იმპერიაში. სკლიაროსის გვერდით აღმოჩნდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ჯარისა და სომეხ წარჩინებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მოკლე დროში აჯანყებულებმა შეძლეს მნიშვნელოვანი ქალაქების დაკავება, როგორც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ასევე კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალ მთავარ მაგისტრალზე.

იმპერია კატასტროფის წინაშე იდგა. იმპერატორების მომხრე ძალები გაფანტული აღმოჩნდა მთელ იმპერიაში, საჭირო იყო მათი გაერთიანება და შეკავშირება. იმპერატორების ბიძამ და რეგენტმა, პარაკიმომენმა ბასილმა ამ ურთულესი ვითარებიდან გამოსვლა გადაწყვიტა ორი დაუძინებელი მტრის – ბარდა სკლიაროსისა და ბარდა ფოკას დაპირისპირებით. ამ ორ ცნობილ მხედართმთავარს დიდი ხნის შუღლი ჰქონდათ. პარაკიმომენ ბასილს სჭირდებოდა ისეთი მხედართმთავარი, რომელსაც ჯარი გაჰყვებოდა და თან

[31] ჯ. სამუშია, დავით III კურაპალატი, გვ. 39-44.

ბარდა სკლიაროსის მტერი იქნებოდა. ასეთად კი სწორედ გადასახლებაში მყოფი ბარდა ფოკა მიიჩნიეს, რომელსაც სამხედრო გამოცდილებასთან ერთად, სკლიაროსთან პირადი შუღლი და ანგარიში ჰქონდა. 978 წლის 19 ივნისს სკლიაროსმა შეძლო თავისი დაუძინებელი მტრის დამარცხება. ბარდა ფოკას არმიამ უკან დაიხია. ამ მარცხმა საიმპერატორო კარი ძალიან შეაშფოთა. საჭირო იყო დამატებითი ძალების მობილიზება. მართალია, იმპერატორების მომხრე სამხედრო რაზმები გადაურჩა განადგურებას, მაგრამ ბრძოლის გასაგრძელებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლში მოკავშირეების ძიება დაიწყეს. ძნელია ითქვას, ვისი იდეა იყო ამ კრიზისულ მომენტში ტაოს ქართული სამეფოს გამგებელთან, დავით მაგისტროსთან დაკავშირება. სკილიცეს თუ ვენდობით, ის ბარდა ფოკას ეკუთვნოდა: „ამ ბრძოლის შემდეგ ფოკა დაუყოვნებლივ, რაც შეეძლო სწრაფად გაემართა იბერიაში, მივიდა იბერთა არქონტთან, დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი; იმანაც სიამოვნებით აღუთქვა დახმარება (დავითი მეგობრობდა ფოკას იმ დროიდან, რაც ეს ხალდიის დუკა იყო)".[32] ამ ცნობისგან განსხვავებით, არსებობს ქართული წყარო, რომელშიც მოვლენები ცოტა სხვა რაკურსითაა განხილული. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფჯმესი" ვრცლად მოგვითხრობს სკლიაროსის აჯანყებისა და მასში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. თავის დროზე ნ. ადონცმა ეჭვი შეიტანა „იოვანეს და ეფთჳმეს" ცხოვრების სანდოობაში,[33] თუმცა, შ. ბადრიძემ საფუძვლიანად გააბათილა ყველა ის არგუმენტი, რომელსაც ნ. ადონცი ემყარებოდა.[34] ამ საკითხების განხილვისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „იოვანეს და ეფთჳმეს" ცხოვრება უნიკალურ ცნობებს შეიცავს და, მთლიანობაში, გიორგი მთაწმინდელის მონათხრობი კარგად ჯდება მოვლენების საერთო განვითარებაში. ქართული წყაროს მიხედვით, დავით მაგისტროსთან დაკავშირების ინიციატივა მოდიოდა საიმპერატორო სასახლიდან, ხოლო შუამავლობა სთხოვეს ათონზე მოღვაწე ბერ იოანეს, თორნიკეყოფილს. ის ფაქტი, რომ თორნიკე ნამდვილად შუამავლობდა ბიზანტიის ხელისუფლებასა და ტაოს მეფე დავითს შორის,

---

[32] გ. კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გეორგიკა, ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 30; J. Scylitzes. A synopsis of Byzantine History. 811-1057. Introduction, Text and Notes Translated by J. Wortley. გვ. 309.

[33] N. Adontz. Tornik le Moine. Etudes Armeno-Byzantines, Lisbonne. 1965, გვ. 301-302.

[34] შ. ბადრიძე, პირველი ქართველი ათონელების მოღვაწეობის ისტორიული ფონი, „ივირონი – 1000", თბ., 1983, გვ. 65-69. იხ., ასევე: შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984, გვ. 51-55.

დასტურდება ათონზე გადაწერილი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულის ანდერძ-მინაწერებიდან.

როგორ შეიძლება სკილიცესა და გიორგი მთაწმინდელის თხზულების ცნობების შეჯერება? ჩვენი აზრით, მათ შორის წინააღმდეგობა არ არის, პირიქით, მიგვაჩნია, რომ ბიზანტიელი მემატიანე და გიორგი მთაწმინდელი ერთი მოვლენის სხვადასხვა ეტაპზე საუბრობენ. რასაც სკილიცე გვიყვება ბარდა ფოკას ტაოს მეფესთან, დავით მაგისტროსთან ჩასვლის შესახებ, შეიძლება მართლაც მომხდარიყო, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაირკვეოდა ქართველთა მეფის, დავითის პოზიცია. ფოკა არ იყო უფლებამოსილი, ეწარმოებინა მოლაპარაკება საიმპერატორო სახლის სახელით, და რომც ჰქონოდა ასეთი უფლებები დელეგირებული, საეჭვოა, 978 წლის 19 ივნისის შემდეგ რამდენიმე თვე მაინც, სკლიაროსის მოსალოდნელი თავდასხმის შიშით, ამის შესაძლებლობა ჰქონოდა. სიტუაცია კი დახანებას არ ითმენდა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ დავით მაგისტროსთან მოლაპარაკება უკვე ივნის-ივლისში დაიწყო და ამის ინიციატორი პარაკიმომენი ბასილი იყო. ამიტომაცაა, რომ კონსტანტინოპოლში ჩასულ თორნიკეს სწორედ იგი მასპინძლობს.

„იოვანეს და ეფთჳმეს“ ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ მოლაპარაკება ბასილის შუამავლობით ხორციელდება. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს: „და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ და ჴმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ვინაჲთგან გზანი ყოველნი სკლიარისსა დაეპყრნეს, კაცისა წავლენაჲ არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგევითარი კაცი, რომელმანმცა სრულ-ყო ნებაჲ გულისა მათისაჲ და ესრეთ რაი ეურვოდეს ამის პირისათჳს, ესმა იოვანესთჳს და თორნიკისთჳს და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა ათანასესსა არიან, და მეყსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული (მათ ჟამთა შინა) მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნებითა სამეუფოჲთა ლავრას წარმოავლინეს და, ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თითოეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებაჲ, ერთი ათანასის და ერთი თორნიკს და ერთი იოვანეს“.[35] ამ პასაჟში ერთ დეტალზე გვინდა ყურადღების გამახვილება: ვინ იყო საიმპერატორო კარის მოხელე “sebastophoros”, რომელმაც აწარმოა მოლაპარაკება ათონზე მყოფ თორნიკესთან. ამ პერსონის ვინაობის გარკვევა შესაძლებლობას მოგვცემს, სრულიად სხვა რაკურსით დავინახოთ

[35] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 45-46.

პროცესები. საერთოდ, სევასტოფორის თანამდებობა საიმპერატორო კარზე, სავარაუდოდ, 963-975 წლებს შორის შეიქმნა. მისი ფუნქცია მაინცდამაინც ზუსტად განსაზღვრული არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, ის ასრულებდა იმპერატორის პირადი წარმომადგენლის ფუნქციას. სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული ბიზანტინისტიკაში, რომ იგი უფრო საპატიო ტიტულს წარმოადგენდა, რომელიც მოგვიანებით საერთოდ გაქრა.[36] ამ პერიოდში იმპერიის სევასტოფორი იყო იმპერატორ რომანოზ ლეკაპენის (920-944) შვილიშვილი, საჭურისი რომანოზი. ამ უკანასკნელს ბიძად ეკუთვნოდა ჩვენთვის უკვე ცნობილი პარაკიმომენი ბასილი, რომელიც იმპერატორ რომანოზ ლეკაპენის უკანონო შვილი იყო.[37] ბიზანტიელი მემატიანის, ლეონ დიაკონის თქმით, ბიძის, პარაკიმომენ ბასილის წაქეზებით მოწამლა სევასტოფორმა რომანოზმა იოანე ციმისკე, როდესაც ეს უკანასკნელი მას სახლში, ოლიმპოს მიდამოებში ეწვია.[38] ეს მოვლენა კი სკლიაროსის აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. როგორც ჩანს, სევასტოფორი რომანოზი ბიძის პოლიტიკური კლანის აქტიური წევრია და განსაკუთრებული ნდობით გამოირჩევა. ეს რეალობა კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დავით კურაპალატის ჩართვა სკლიაროსის წინააღმდეგ ბასილის მოფიქრებული იყო და მისი უახლოესი გარემოცვა ცდილობდა ამ საქმის ორგანიზებას. ამასთანავე, შემთხვევითად არ გვეჩვენება არც ის ფაქტი, რომ ათონზე პირადად სევასტოფორი რომანოზი ჩადის და აწარმოებს მოლაპარაკებას. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული უსაფრთხოების მიზნით, ანუ საიმპერატორო კარი ერიდებოდა საკითხის დროზე ადრე გასაჯაროებას.

„ცხოვრების" მიხედვით, თორნიკე კონსტანტინოპოლში წასვლის წინააღმდეგი ყოფილა.[39] წმინდა ათანასე და იოვანე ბერი მას მთელი ერთი კვირა არწმუნებდნენ, კონსტანტინოპოლში წასულიყო და იმპერატორთა თხოვნა შეესრულებინა. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმეს. საიმპერატორო სახლის თხოვნით, თორნიკე დავით მაგისტროსთან გამოაგზავნეს და თან იმპერატორების წერილები გამოატანეს. მთელ ამ ისტორიაში არაფერია წარმოუდგენელი. მეტიც, ზოგიერთი დეტალი გვაფიქრებინებს, რომ გიორგი

---

[36] G. Rodolphe, Études sur l'histoire administrative de l'empire byzantin: le sébastophore. In: Revue des études byzantines, t. 21, 1963, გვ. 199-207.

[37] G. Rodolphe, Études sur l'histoire administrative de l'empire byzantin: le sébastophore, გვ. 200-201.

[38] The History of Leo the Deacon: Byzantine military expansion in the tenth century. Introduction, translation and annotations by A.-M. Talbot and D. F. Sullivan with the assistance of G. T. Dennis and S. McGrathIntrod, Washington, DC, 2005, გვ. 219.

[39] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 46.

მთაწმინდელს ისეთი პირველწყარო ჰყავდა, რომელიც დაწვრილებით იცნობდა ამ მოვლენებს. მან იცის წერილის ჩამომტანის სტატუსი – სევასტოფორი, წერილთა რაოდენობა, ისიც – ათანასეს, იოვანეს და თორნიკეს ცალ-ცალკე რომ მოუვიდათ სამეფო კორესპონდენცია, რა დრო დასჭირდათ წმ. ათანასესა და იოვანეს თორნიკეს დასათანხმებლად, ზედმიწევნით ერკვევა იმ პერიოდის სამეფო კარზე არსებულ ვითარებაში – პარაკიმომენ ბასილის გავლენებში („ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა“) და სხვა. ამ ფონზე, არ გვაქვს უფლება, არ ვერწმუნოთ ქართულ წყაროს. ბუნებრივია, „ცხოვრებაში“ ნარმოჩენილი იქნებოდა ქართველთა ბერების როლი, მაგრამ ამაში დასაძრახი არაფერია. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, ამავდროულად, დოკუმენტი იყო ქართველებისთვისა და ბერძნებისთვის, თუ როგორ, რა სახსრებით შეიქმნა ათონზე ივერთა მონასტერი. ამიტომაცაა, რომ გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკლიაროსის აჯანყებაში ქართველთა დამსახურების წარმოჩენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მის მიერ მოთხრობილი ტყუილია. ამიტომაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ არა უკუგდება ამ ცნობებისა, არამედ მათი შეჯერება ბიზანტიურ წყაროებთან.

ვრცელი „ცხოვრების“ მიხედვით, დავით კურაპალატს 12000-იანი ლაშქარი მიუშველებია ბარდა ფოკასთვის და ამ ძალებით ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებულ ჯარს დაუმარცხებია სკლიაროსი. „იოვანეს და ეფთჳმეს“ ცხოვრების მიხედვით, აჯანყებულთა მიმართ ანგარიშსწორებას დიდი მასშტაბები მიუღია: „შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე შეიქცა და სიტყჳსაებრ მეფეთაჲსა დატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიმჭირა ნატყუენავი დიდძალი ფრიად: ოქროჲ და ვერცხლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესევითარი და უკუნიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და იჯმნა და მეფეთავე წინაშე მოვიდა“.[40] როგორც ვხედავთ, საიმპერატორო კარის ბრძანებით, სასტიკად დაუსჯიათ ბიზანტიაში დარჩენილი სკლიაროსის მომხრეთა ოჯახები, მათი ქონება, „ცხოვრების“ მიხედვით, თორნიკეს ჯარისთავის გაუნაწილებია, ნაწილი ალაფი კი თავისთვის დაუტოვებია. ამ ბრძოლაში აღებული „საფასითა და განძით“ მოგვიანებით ბერმა იოანემ, თორნიკეყოფილმა, ათონზე ივერთა ლავრა დააარსა. „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით: „ხოლო თორნიკ, ვინაჲთგან ჲოტა სკლიაროსი და კუალად აქავე მოიქცა ურიცხჳთა საფასითა და განძითა, – რამეთუ უფროჲს

[40] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 48.

ათორმეტისა კენდინარისა მოიღო განძი ოდენ, სხუათა ტურფათაგან კიდე, — რომელი იგი ყოველივე მამისა თჳსისა სულიერისა იოვანეს ჴელთა მისცა და თავი თჳსი სრულიად უარყო და არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ჴელმწიფებასა ქუეშე თჳსსა, არამედ ეგევითარმან (მან) განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაჲ თჳსი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მოჩილებასა მისსა".[41] 1 კენტინარი 100 ლიტრას, ანუ 32,7 კილოგრამ ოქროს უდრიდა, 12 კენტინარი 392,4 კილოგრამი ოქროს ტოლფასი იყო.[42] როგორც წყაროშია მითითებული, 12 კენტინარი განძი თორნიკეს შეწირულობის მხოლოდ ნაწილი იყო. ეს სიმდიდრე ქართველმა ბერებმა მარტოოდენ ივერთა მონასტრის აშენებას როდი მოახმარეს, არამედ ათონის სხვა მონასტრებსაც მდიდარი შეწირულობა გაუგზავნეს. სწორედ ამიტომ გიორგი მთაწმინდელი ყველას ახსენებს ამ ფაქტს და ცდილობს, ქართველთა ათონზე ყოფნას, მათ სტატუსს სხვა სამართლებრივი საფუძველი მოუძებნოს.

„ცხოვრების" ქართული რედაქცია (როგორც სვინაქსარული, ასევე ვრცელი) აღნიშნავს მხოლოდ იოვანესა და თორნიკეს მიერ ივირონის დაარსებასა და ღვთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრების მშენებლობას. ბერძნული სახელი ამ ადგილისა ქართულ რედაქციებში ნახსენები არ არის. იოანეს, ეფთვიმეს და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება" კი პირიქით, ხაზგასმით გვეუბნება, რომ ქართველმა წმინდა მამებმა აღმართეს საკუთარი ლავრა, რომელსაც ძველად კლიმენტოსს ეძახდნენ, მოგვიანებით კი ივერიონი ეწოდაო.[43] თითქოს ისე ჩანს, რომ ქართული მონასტერი ამ ადგილებზე არსებული ძველი ბერძნული მონასტრის აღორძინების შედეგად წარმოიშვა. ქართული რედაქცია ამას არც ახსენებს. მეტიც, „ცხოვრების" ვრცელ რედაქციას ქვეტექსტად მიჰყვება ანტიბიზანტიური განწყობა. ამას თავისი ახსნა აქვს. XI საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ივერთა მონასტრის ქართველი ბერები ძალიან შეავიწროვეს ბერძენმა ბერებმა. საქმე იმპერატორის სასამართლომდე მივიდა. სწორედ ამ ფაქტის გამო გიორგი მთაწმინდელი იოვანესა და ეფთვიმეს „ცხოვრებაში" დაწვრილებით გვიყვება ყველა იმ შეწირულობაზე, რომელიც ქართველებს ჰქონდათ გაღებული ათონის სამონასტრო ძმობისადმი, მათ შორის დიდ ლავრისადმი გაწეულ დახმარებაზე, ასევე, ცალკეული მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ამით გიორგი მთაწმინდელს სურდა ეჩვენებინა, რომ

[41] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 50.

[42] The Oxford Dictionary of Byzantium, vol. 2, Edited by Alexander P. Kazhdan. Oxford University Press. New York and Oxford, 1991, გვ. 1121; G. Dagron, C. Morrisson, Le Kentênarion dans les sources byzantines, Revue numismatique, 6e série, t. 17, année 1975, გვ. 146-151.

[43] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება", გვ. 126-127.

ქართველები ცარიელ ნიადაგზე არ მისულან ათონზე და მათ წმინდა მთაზე სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში დიდი წვლილი მიუძღოდათ. ეს არის ერთგვარი რეესტრი ყველა იმ შეწირულობისა, რომელიც იოვანემ და თორნიკემ გაიღეს და რომელიც ქართველებს სრულფასოვანი მოღვაწეობის უფლებას ანიჭებდა ათონზე.[44]

გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში ხაზგასმით უთითებს ივირონის დამაარსებელ მამათა სურვილზე, მხოლოდ ქართველები ყოფილიყვნენ მონასტრის საძმოში. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ტაოდან „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“ ჩაიყვანა ათონზე. იოვანე მთაწმინდელთან ერთად გადაწყდა ცალკე ქართველთა მონასტრის დაარსება. თორნიკე მოითხოვდა, რომ „ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“.[45] აქ, რა თქმა უნდა, ეთნიკურ ქართველებზეა საუბარი, რამეთუ ბერძნები, რომელთა არშეშვებასაც მოითხოვდა თორნიკე, ასევე მართლმადიდებლები იყვნენ. ამ კონტექსტში რელიგიურ კუთვნილებაზე არ კეთდება აქცენტი, ეს არის პატარა ერის შვილების წმინდა წყლის თავდაცვითი ნაბიჯი, ათონზე საკუთარი ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით. ქართველმა ათონელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ბერძნულ სამყაროში მულტინაციონალურ მონასტერში ქართულ ეროვნულ სულს ვერ შეინახავდნენ. ასეთი გადაწყვეტილება ბერძნების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, უბრალოდ, ქართველ ბერებს სურდათ, საკუთარი მონასტერი დაეცვათ ელინიზებისაგან. ზუსტად იმავე პირობას ჩადებს ერთი საუკუნის შემდეგ გრიგოლ ბაკურიანის ძე პეტრიწონის ტიპიკონში და მოითხოვს, რომ მონასტერი პირწმინდად ქართული ყოფილიყო (მხოლოდ ერთი ბერძენი ბერი დაიშვებოდა, რომელსაც მწერალ-მთარგმნელობა ევალებოდა). ათონზე საბოლოოდ ამის მიღწევა გაუჭირდათ: „გარნა, ვინაჲთგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იიძულნეს ბერძენთაცა შემოყვანებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღუსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არაჲ გუაქუს, და ჩუენი ყოველი გასარომელი ზღჳთ შემოვალს, და მერმე თჳნიერ მჭედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაჴეთა და ნავის-მოქმედთა და სხუათა ესევითართა ამის ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვაჲ უღონო არს“.[46] ნაწარმოები სრულდება ერთგვარი ანტიბერძნული განწყობით. გიორგი მთაწმინდელს მოჰყავს ივერიონის ძმობის შეთანხმების ტექსტი, რომელშიც საუკუნო ხსენება და კურთხეევაა განწესებული იმათ მიმართ, ვინც მონასტერში

[44] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 52-54.

[45] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 49.

[46] იქვე.

ქართველთა გამრავლებაზე იღვაწებს და „ასე წმინდასა ადგილსა ნათესავსა ჩვენსა დაუმტკიცებს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერძნული „ცხოვრება“ თორნიკე ერისთავს არ ახსენებს. არც სვინაქსარულ რედაქციაშია სრულყოფილად მისი ღვაწლი ასახული. სამაგიეროდ, გიორგი მთაწმინდელი იოვანესა და ეფთვიმეს გვერდით საინტერესო ცნობებს გვაწვდის თორნიკეს ბერობის დროინდელ პერიოდზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ გიორგი მთაწმინდელი ფაქტების მშრალ კონსტატაციას კი არ იძლევა, არამედ ცდილობს, მონათხრობი ცოცხალი ისტორიებით გაამდიდროს, რომლებშიც კარგად ჩანს ნაწარმოების მთავრი გმირების (იოვანეს, თორნიკეს, ეფთვიმეს...) შინაგანი ბუნება, ხასიათი. მიუხედავად ათონის მონასტერთა მკაცრი ტიპიკონისა, ბერები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ავლენდნენ ჩვეულებრივ ადამიანურ სისუსტეებს. სასწაულებზე თხრობის პარალელურად, ნაწარმოებში გადმოცემულია ათონელი ბერების პირადი განცდები, ქცევები. ეს პასაჟები მხოლოდ ამდიდრებს „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებას“. განსაკუთრებით საინტერესოა ბერი იოანე-თორნიკეს შესახებ დაცული ცნობები, რომლებშიც შერწყმულია დაყუდებული ბერისა და ერისკაცის ხასიათი. „წყობათა შინა აღზრდილი“ თორნიკე მონასტრის საძმოს თუ მოსულ პირებს თავის ერისკაცობის დროინდელ ამბებს უყვებოდა ხოლმე („უბნობაჲ და ჰამბავი უყუარდა“).[47] მონასტრის წინამძღვარი იოვანე მთაწმინდელი ყველანაირად ერიდებოდა თორნიკესათვის შენიშვნის მიცემას. განსაკუთრებით აფრთხობდა ის ფაქტი, რომ მონასტრის ძმათა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო ყოფილი მხედართმთავრის სამხედრო თუ პოლიტიკური თავგადასავალი. ამასთანავე, თორნიკესთან „წარჩინებულ და პატიოსან“ კაცთა სტუმრობა გახშირებულა. მაშინ კი იოვანე მთაწმინდელმა ბერს მიუთითა, რომ საერო ამბების თხრობა და გახსენება მის სულს ავნებდა. წინამძღვარმა ლოცვა-კურთხევა მისცა თორნიკეს, ამიერიდან თავისი თავგადასავალი მხოლოდ გაბრიელ ხუცესისთვის მოეთხრო. გიორგი მთაწმინდელი იქვე აღნიშნავს: „ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი“.[48] წინამძღვარმა, ამდენად, იოვანე-თორნიკეს, ერთი მხრივ, არ აუკრძალა საკუთარი ისტორიების თხრობა, ხოლო, მეორე მხრივ, მონასტრის საძმო მის ამბებს დელიკატურად ჩამოაშორა: „და მიერითგან მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ, გარნა თუ უცხოჲ ვინ მოვიდის და მცირედი რაჲმე სიტყუაჲ

[47] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 51.

[48] იქვე.

მიუგის მას“.[49] ეს დეტალი არა მხოლოდ უკვე ასაკოვანი თორნიკეს პიროვნულ თვისებებს გვიხატავს, არამედ მონასტრის ყოველდღიურობასაც აცოცხლებს.

ერთობ საინტერესოა ქართული და ბერძნული რედაქციების შეპირისპირება ეფთვიმეს ბერძნულად და ქართულად განსწავლასთან დაკავშირებით. გიორგი მთაწმინდელი უკიდურესად პროქართულ პოზიციას იჩენს: „პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“.[50] ბერძნული ცხოვრება კი გვიყვება, რომ იოვანემ თავისი ვაჟი „მიაბარა ბერძნულ მეცნიერებათა სკოლაში და ყველა მსურველს შეეძლო ენახა, როგორ მოჰყვებოდა სასწაული სასწაულს“.[51] ქართულ ვრცელ „ცხოვრებაში“ თვალში საცემია ერთი შეუსაბამობა. როგორც ზემოთ ითქვა, გიორგი მთაწმინდელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეფთვიმემ ჯერ ქართული ისწავლა (როგორც მშობლიური) და მხოლოდ შემდეგ ბერძნულიო, თუმცა, სხვა ადგილას ავტორი აღნიშნავს, რომ პატარა ეფთვიმეს, თავდაპირველად უჭირდა ქართულად საუბარი. ნაწარმოებიდან ისე ჩანს, რომ მან მშობლიურ ენაზე მეტყველება დაიწყო მას შემდეგ, რაც ყრმობისას სნეულს ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნა. გიორგი მთაწმინდელის თქმით, ავადმყოფ ეფთვიმეს ღვთისმშობელი ქართულად ესაუბრა. ეს ამბავი იმდენად გახმაურებული ყოფილა ივირონის მონასტერში, რომ გიორგი მთაწმინდელს მოჰყავს იოვანე ათონელის მოგონება: „და იტყოდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ: „მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერითგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ, აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“.[52] აშკარაა, რომ გიორგი მთაწმინდელი აქ ეწინააღმდეგება საკუთარ მოსაზრებას. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ავტორი ორი სხვადასხვა წყაროთი სარგებლობდა და მათი სინქრონიზაცია არ მოუხდენია. რაც შეეხება ეპიზოდს, რომელშიც გადმოცემულია ეფთვიმეს მიერ ქართული ენის სასწაულის წყალობით შესწავლის ისტორია, ასევე, ღვთისმშობლის გამოცხადებისა და მისი ქართულად საუბრის პასაჟი. ამ ამბების გადმოცემის მიზანი უნდა ყოფილიყო, მკითხველისათვის ეჩვენებინა ქართული ენის მნიშვნელობა – რომ იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა ბერძნულს. კონტექსტის პოლიტიკური ქვეტექსტი გასაგებია – ქართული ენაც უფლისგანაა კურთხეული, რამეთუ ღვთისმშობელი და წმ. მამა ერთმანეთს სწორედ ქართულად ესაუბრებოდნენო. ქართული ენის მნიშვნელობაზე აქცენტის

---

[49] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 51.

[50] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 60.

[51] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გვ. 132.

[52] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 61.

გაკეთება ალბათ მონასტერში XI საუკუნის 20-იან წლებში არსებულმა ვითარებამ განაპირობა, როდესაც ივირონის მესამე წინამძღვრის, გიორგის დროს მონასტერში ბერძენთა გაძლიერებას ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების შეზღუდვა მოჰყვა. მონასტრის წინამძღვარმა გიორგიმ „კუალად ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრიკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაჲმე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა“.[53] ბერძენთა წინ წამოწევით ქართველთა მონასტერმა ნაციონალური სახე დაკარგა. რა თქმა უნდა, ეს წინამძღვრის პრობიზანტიულობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ ტენდენციას „ცხოვრების“ ავტორი უპირისპირებს საკუთარ პატრიოტულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ათონის მთის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა წმინდანმა ეფთვიმემ დასაწყისში მხოლოდ ქართული იცოდა. ეს პასაჟი უნდა მივიჩნიოთ ივირონის ბერების ნაციონალური პროგრამის ნაწილად, რომლითაც ისინი ბერძენ ბერებს უპირისპირდებოდნენ.

ამდენად, ათონელი მამების ცხოვრების შესწავლისათვის სამივე წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული „ცხოვრება“ XVIII საუკუნეშია შექმნილი, მასში მოთხრობილი ცალკეული დეტალები ავსებს ჩვენს ცოდნას ივერიელთა მონასტრის დამაარსებლების შესახებ. აღარაფერს ვამბობთ გიორგი მთაწმინდელის თხზულებისა და სვინაქსარულ რედაქციის შესახებ. სამივე ძეგლი მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

[53] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი ..., გვ. 92.

ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, „იბერიის თემის“ დაარსების თარიღისათვის*

„იბერიის თემი“ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის იყო ბიზანტიის იმპერიის პლაცდარმი ქართულ-სომხური სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ აგრესიისას. თემის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილები ხშირად ერეოდნენ საქართველოსა და სომხეთში უშუალოდ ბიზანტიელთაგან ხელოვნურად გაღვივებულ კონფლიქტებში.

„იბერიის თემის“ ისტორია ბიზანტინოლოგიაში კარგადაა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ისტორიის ცალკეული საკითხები ჯერ კიდევ ითხოვს სათანადო დაზუსტებას.

მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს „იბერიის თემის“ დაარსების თარიღი. ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად სამი მოსაზრება დომინირებს:

1. დავით კურაპალატის კუთვნილ ტაოს ქართველთა სამეფოს საფუძველზე წარმოშობილი ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული „იბერიის თემი“ ფუნქციონირებას იწყებს 1001 წლიდან.

2. ბასილ II-მ „იბერიის თემს“ საფუძველი ჩაუყარა 1022 წელს, საქართველოს მეფის, გიორგი I-ის დამარცხების შემდეგ.

3. „იბერიის თემი“ დაარსდა საქართველო-ბიზანტიის 1021-1022 წლების ომის წინა პერიოდში და მისი შექმნა სამხედრო-სტრატეგიული მიზნებით იყო განპირობებული. საქართველოსთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ ბიზანტიამ კავკასიაში გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა, რომელიც ახალი „დიდი თემის“, იბერიისა და ქალდიის თემის შექმნით გამოიხატა.

ერთ-ერთი პირველი, ვინც „იბერიის თემის“ დაარსების თარიღს შეეხო, ნ. ადონცი იყო. მან საგანგებოდ გამოიკვლია არზრუმის ციხეში, ე. წ. „ქართველთა

* ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის თემის“ დაარსების თარიღისათვის, კრ. „სამეცნიერო პარადიგმები“, მიძღვნილი პროფ. ნათელა ვაჩნაძისადმი, თბილისი-ქუთაისი, 2009, გვ. 171-183.

კარზე" გაკეთებული წარწერა, რომელშიც „იბერიის კატეპანად" იხსენიება რომანოზ დალასენოსი. ნ. ადონცი ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დაარსებას 1023 წლით ათარიღებდა და პირველ კატეპანად წარწერაში მოხსენიებულ რომანოზ დალასენოსს მიიჩნევდა.[2] იბერიაში მის მმართველობას ნ. ადონცი 1023-1026 წლებში აქცევდა.

ნ. ადონცის მოსაზრება, გარკვეული კორექტივებით, გაიზიარეს რ. ბარტიკიანმა[3] და კ. იუზბაშიანმა.[4] აღნიშნული დათარიღება მიიღო და ახალი მასალით გაამდიდრა ვ. შანდროვსკაიამ.[5] მან ყურადღება გაამახვილა ერმიტაჟის მუზეუმში 1766 ნომრით დაცულ ბეჭედზე, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ღმერთო, შეეწიე მონასა შენსა თეოფილაქტე დალასინს, პროტოსპაფარსა და იბერიის კატეპანს". ვ. შანდროვსკაია მიიჩნევს, რომ ახლად წარმოშობილ თემს 1022 წლიდან ხელმძღვანელობდა თეოფილაქტე დალასენოსი და არა მისი ძმა რომანოზი, თუმცაღა მკვლევარი იქვე უშვებს იმ აზრსაც, რომ თეოფილაქტე შეიძლება კატეპანი XI საუკუნის 30-იან წლებშიც ყოფილიყო.

ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრების გადახედვას შეეცადა ვ. არუთუნოვა-ფიდანიანი.[6] მან ბერძნულ, სომხურ და არაბულ წყაროებზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ „იბერიის თემის" ჩამოყალიბება 1001 წელს უნდა მომხდარიყო.[7] მკვლევარმა თავისი მოსაზრების განსამტკიცებ-

---

[2] N. Adontz. Les Dalassènes, Etudes arméno-buzantines. Lisbonne, 1965, გვ. 169-172.

[3] Р. М. Бартикян, О феме «иверия», «Вестник общественных наук», 1974, №12, Ер., 1974. გვ. 68-72.

К. Н. Юзбашян, Армянские государство эпохи Багратидов и Византия. IX-XI вв., М., 1988, გვ. 149, 183-184.

[5] В. Шандровская, Неизвестный правитель византийской фемы «иверия», «Вестник общественных наук», Ер., 1976, გვ. 79-86.

В. А. Арутюнова-Фиданян, Византийские правители феми «иверия». «Вестник общественных наук». 1973, №2, Ер., 1973, გვ. 63; В. А. Арутюнова-Фиданян, Еще раз о феме «иверия», «Кавказ и Византия», вып. I, Ер., 1979, გვ. 37-42; В. А. Арутюнова-Фиданян, Армяне-халкидониты на восточных границах византийской империи (XI в.), Ер., 1980, გვ. 101-103.

თარიღს არ უთითებდა, მაგრამ 1001 წლის ახლო ხანებით ათარიღებდა „იბერიის თემის – საკატეპანოს" დაარსებას ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. სკაბალანოვიჩი. მისი აზრით, ახალი ადმინისტრაციული ერთეული ბასილ II-მ სამხრეთ ტაოს დაკავებისთანავე შექმნა (Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, т. I, С.-П., გვ. 334, 2004). აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ვ. კოპალიანმა, რომელიც ამ საკითხზე მსჯელობისას ზოგადი მინიშნებით შემოიფარგლა: „სამხრეთი ტაოს დაპყრობის შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებამ ახლად მიტაცებული მიწა-წყლის ხარჯზე, ე. წ. იბერიის თემი – საკატეპანო დააარსა და იქ მმართველად თავისი მოხელე დანიშნა" (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 83-84).

ლად დაიმოწმა არისტაკეს ლასტივერტეცის, ასოღიკისა და იაჰია ანტიოქიელის ცნობები. ვინაიდან ამ ისტორიკოსთა ცნობები „იბერიის თემის“ შექმნის თარიღის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, სრულად ვიმოწმებთ ამ თხზულებებიდან შესაბამის ადგილს.

ასოღიკი მოგვითხრობს: „ბასილ მეფე გაემგზავრა ქალაქ უხტიქში, ტაოელთა ყველა ციხე-სიმაგრე თავის ხელქვეით დაიმორჩილა და სანდო პირებს ჩააბარა ისინი. დარჩენილი ტაოელი აზნაურები კი თან წაიყვანა, რათა დაესახლებინა ისინი ბერძენთა ქვეყანაში. თვითონ კი კარინითა და ხალტო-იარჭით კონსტანტინოპოლში დაბრუნდა“.[8]

არისტაკეს ლასტივერტეცი კი წერს: „გარდაიცვალა დავით კურაპალატი, კაცი ძლიერი, ქვეყნის მშენებელი. გულუხვი და ღატაკთა მოყვარე... მისი სიკვდილის შემდეგ ჰორომთა თვითმპყრობელი მეფე ბასილი, თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს, დაიძრა მძიმედ შეიარაღებული, გამოემართა და მიაღწია ეკეღეაცის გავარს... ტაოელი აზნაურთა ჯარი შეეგება მათ... მოვიდა ქალაქ უხტიქში. მან მრავალი გავარი, ციხე და ქალაქი დაიპყრო. აქ მან დააყენა საქმისგამგებლები, მოსამართლეები და ზედამხედველები. თვითონ კი მშვიდად განაგრძო გზა და მიაღწია თავის სამეფო ქალაქს, კონსტანტინოპოლს“.[9]

არაბ ისტორიკოსს, იაჰია ანტიოქიელსაც საკმაოდ საინტერესო ცნობა აქვს შემონახული: „ქართველთა მეფე დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო... მან (ბასილ II-მ) ქართველთა ქვეყანა ჩაიბარა და მათ თავის მხრივ გამგებლებად ბიზანტიელები მიუჩინა...“[10]

როგორც ვხედავთ, წყაროებში საუბარია დავით კურაპალატის სამეფოს ადმინისტრაციულ მოწყობაზე – „დააყენა საქმისგამგებლები, მოსამართლეები და ზედამხედველები“, „თავის ხელქვეით დაიმორჩილა და სანდო პირებს ჩააბარა“, „თავის მხრივ, გამგებლებად ბიზანტიელები მიუჩინა“. ამ მითითებებით თითქოს დასტურდება, რომ საქმე გვაქვს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის ფორმირებასთან. ვ. არუთუნოვა-ფიდანიანის აზრით, ამ ცნობების უგულებელყოფა ძნელია.

---

[8] სტეფანოს ტარონელი, ასოღიკი. „მსოფლიო ისტორია“, ქართული თარგმანი იხ.: ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, X-XI საუკუნეებში, მრავალთავი, ტ. II, თბ., 1973, გვ. 177. იხ., ასევე: ელ. ცაგარეიშვილი, თბ., 2020, გვ. 106.
არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 41.

[10] ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის პირველ მეოთხედში, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VI, თბ., 1985, გვ. 115.

ამასთანავე, ვ. არუთუნოვა-ფიდანიანი ერთგან დასძენდა, რომ „გიორგი I-თან ომისას დაირღვა თემის მშვიდობიანი ცხოვრება, ბიზანტიური ადმინისტრაცია ხელახლა აღდგა ტრაპიზონის (1022 წელს – ჯ. ს.) ზავის შემდეგ...“ იქვე მკვლევარი კიდევ უფრო აზუსტებს: „ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იბერიის თემი დააარსა ბასილ II ბულგართმმუსვრელმა 1001 წელს, მშვიდობიანად იარსება 14 წელი, გადაიტანა ომი საქართველოს მეფე გიორგი I-თან და ისევ აღდგა ძველ საზღვრებში, ტრაპიზონის ზავის დადების შემდეგ“.[11]

პ. ლემერლი თორთუმის ხეობაში, ექექის ტაძრის 1007 წლის ბერძნულ წარწერაზე დაყრდნობით, ვარაუდობს იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაციული აპარატის არსებობას.[12] ექექის ტაძრის წარწერა კარგადაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში. პირველად იგი ნერსეს სარგისიანმა XIX საუკუნის შუა ხანებში ნახა და პალეოგრაფიული ასლი გადმოიღო, რომლის ბერძნული წაკითხვა ფრანგული თარგმანით გამოსცა მ. ბროსემ.[13] წარწერაში ქტიტორად მოხსენიებულია პატრიკიოსი გრიგოლი, ლარისისა და მაკედონიის სტრატეგოსი. ტაძარი აუგიათ ბასილისა და კონსტანტინეს მეფობაში, 6515 (1007) წელს. წარწერა შეისწავლა ნ. ადონცმა და მაგისტროსი გრიგოლი გააიგივა გრიგოლ ტარონელთან, რომლის მემკვიდრე რუბენი მიიჩნევა რუბენიდების ცნობილი საგვარეულოს უშუალო წინაპრად.[14] ე. თაყაიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა ამ იგივეობის უსაფუძვლობა.[15] ამჯერად ამ საკითხის გარკვევა ჩვენს საკვლევ თემას სცილდება, მასზე სხვა სტატიაში გვექნება საუბარი.

---

[11] В. А. Арутюнова-Фиданян, Еще раз о феме «иверия», «Кавказ и Византия», вып. 1, Ер., 1979, გვ. 42.

[12] P. Lemerle, Prolégomènes à une édition critique et commentée des "Conseils et Récits" de Kékauménos. Mémoires de l'Académie Royale de Belgique. Classe des lettres et des sciences morales et politiques 54, Brussels, Palais des Académies, 1960.

[13] Incriptions géorgiennes et autres, recueillies par le Pere Nersés Sargisian et expliqués par M. Brosset, Memoirs de l'Academie Imperiale des sciencés de St. Petersbourg, VII série, t. VIII, №10, St.-Pb., 1864. გვ. 12-14, II, №3, გვ. 12-14. 1864 წელს აკად. მ. ბროსემ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის „მემუარებში“ ("Mémoires") გამოაქვეყნა სამხრეთ საქართველოში მხიტარისტ ნერსეს სარგისიანის მიერ შეკრებილი ძველი ქართული წარწერები. წარწერები ნ. სარგისიანის პალეოგრაფიული ასლებით გადმოიღო შემდეგი ძეგლებიდან: ოშკი („ეოშკ“, როგორც იგი უწოდებს ადგილობრივი სახელის მიხედვით), ხახული („ხახუ“, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გამოთქმით), ექექი („ეგრეკი“), იშხანი, ყარსი, ჩანგლი (კ. შენგელია, ტაო-კლარჯეთის ძეგლები, თბ., 2008. გვ. 11).

[14] N. Adontz, Notes arméno-byzantines, IV, l'aïeul des Roubéniens, Byzantion, 10, 1935, გვ. 194-195.

[15] ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ.,

ექექის წარწერაში იმპერატორების, ბასილისა და კონსტანტინეს მოხსენიება მეტყველებს, რომ 1007 წლისათვის თორთუმის მხარე ბიზანტიის კუთვნილებაა. რა თქმა უნდა, ამ რეალობიდან გამომდინარე, თორთუმის მხარეში და, შესაბამისად, იმიერ ტაოშიც იარსებებდა ადმინისტრაცია, მაგრამ ეს იყო „იბერიის თემის“ თუ სხვა რომელიმე თემის წარმომადგენლობა. ამის თქმა წარწერაზე დაყრდნობით ძნელია.

არისტაკეს ლასტივერტეცის, ასოღიკისა და იაჰია ანტიოქიელის ცნობებზე დაყრდნობით, ასევე ტაოს ეპიგრაფიკული მასალის გათვალისწინებით, 1001 წლით ათარიღებს დავით კურაპალატის სამეფოს ტერიტორიაზე საიმპერიო ადმინისტრაციის შემოღებას ი. ნოდია.[16]

ვ. სტეპანენკომ ორი მნიშვნელოვანი სტატია მიუძღვნა იბერიის თემის ისტორიას.[17] მისი მოსაზრებით, იბერიის თემი 1019-1021 წლებს შორის უნდა შექმნილიყო. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბება ბიზანტიელებს უნდა დაეჩქარებინათ საქართველოს მეფესთან მოსალოდნელი დაპირისპირების გამო. ვ. სტეპანენკოს თანახმად, ახალი „დიდი თემი“ დავით კურაპალატის სამეფოს ნაწილისა და ბიზანტიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ქალდიის თემის გაერთიანების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო. მეცნიერი ამ მოსაზრებას ამაგრებს სომეხი ისტორიკოსის, არისტაკეს ლასტივერტეცის ერთი ცნობით, რომელშიც საუბარია 1019 წლისათვის ბასილ II-ის ბრძანებით თეოდოსიოპოლში ვინმე ნიკომედიელი მოხელის გამოგზავნის თაობაზე. ვ. სტეპანენკო მიიჩნევს, რომ თუ 1019 წლამდე არსებობდა იბერიის თემი, მაშინ ბასილ II-ს არ დასჭირდებოდა თეოდოსიოპოლში ნიკომედიიდან საგანგებო მოხელის გამოგზავნა. ეს ცნობა, მეცნიერის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ იბერიის თემი 1019 წლამდე არ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. ამასთანავე, ვ. სტეპანენკო თვლის, რომ 1021 წლისათვის, საქართველოსთან ფართომასშტაბიანი ომის დაწყების წინ, ბიზანტია ყველა შემთხვევაში განახორციელებდა ადმინისტრაციულ რეფორმას და შექმნიდა მძლავრ პლაცდარმს კავკასიაში ბრძოლის წარმოებისთვის.

ამდენად, გამოკვეთილია სამი მოსაზრება, რომელთაგან არც ერთს არ გააჩნია ისეთი არგუმენტი, რომელიც საბოლოოდ წერტილს დაუსვამდა ამ კამათს. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტო-

---

1960, გვ. 69-70.

[16] ი. ნოდია, იბერიის საკათედრო დაარსება, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარული მეცნიერებანი, B 8-9 (155-156), თბ., 1974, გვ. 96.

[17] В. П. Степаненко. К дискуссии о дате образования фемы иверия. византийский временик. 44, М., 1983, გვ. 211-214; В. П. Степаненко, Неизвестный катепан Иверии и Халдии спафарий Роман, историко-филологический журнал, Ер., 1991, №2, გვ. 163-169.

რიული ერთეულის შექმნის მცდელობა ბიზანტიის საიმპერატორო კარს 1001 წლის ახლო ხანებშივე ექნებოდა. წერილობითი წყაროების ცნობებიც, რომლებიც ზემოთ მოვიტანეთ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ასოღიკი და იაჰია ანტიოქიელი), თითქოს ამას მეტყველებს. გაუგებარია, რატომ უნდა გადაედო ბასილ II-ს ორი ათეული წლით დავით კურაპალატის სამეფოს ტერიტორიაზე ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციის ფორმირება. აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში ბიზანტიის მიერ ახალი მიწების შემოერთებას ყოველთვის თან სდევდა ამ ტერიტორიაზე ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის – თემის შექმნა. 966-967 წელს, ტარონის დაპყრობის შემდეგ, ჩამოყალიბდა ტარონის თემი. 1021 წელს ვასპურაკანის მეფის, სენექერიმ არწრუნის მიერ ბასილ II-ისადმი სამეფოს გადაცემას მოჰყვა ამ სამფლობელოს საკატეპანოდ გადაქცევა (თემი, რომელსაც განაგებს კატეპანი). 1019-1020 წლებში, ბალკანეთის დაპყრობის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა ყოფილი ბულგარეთის სამეფო გაყო სამ ადმინისტრაციულ ერთეულად. ამდენად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგივე გამეორდებოდა დავით კურაპალატის სამეფოს დაპყრობის შემდეგაც.

ბიზანტიამ დავით კურაპალატის სამეფოს შეერთებით საკმაოდ ვრცელი ტერიტორია იგდო ხელთ, რომელიც რამდენიმე პროვინციისაგან შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბასილ II-მ 1001 წელს ვერ მოახერხა ტაოს სამეფოს სრული ინკორპორირება, იმპერიის შენაძენი მაინც საკმაოდ სოლიდური იყო. ამდენად, ამ ტერიტორიის ადმინისტრირებისათვის იმპერიას ცალკე უნდა ეზრუნა. ასეთი ვარაუდი არავითარ გადაჭარბებას არ შეიცავს. გაცილებით ძნელი დასაშვებია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარს შემოერთებული ტაოს სამეფოს ადმინისტრაციის მოწყობა 21 წლით გადაედო. მთავარი მაინც ერთი დეტალის გათვალისწინებაა. 1001 წლისათვის „იბერიის თემის" შექმნა ბიზანტიისთვის არა მარტო საჭირო, არამედ აუცილებელიც იყო, უპირველესად, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე. დავით კურაპალატის სამეფოს შემოერთებისას ბიზანტია სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ქართული სამეფოების მხრიდან.

როგორც ცნობილია, ბასილ II-მ აღმოსავლეთში ყოფნისას დალაშქრა მხოლოდ ის ტერიტორია, რომლის შემოერთებასაც იმ პერიოდისთვის უშუალოდ აპირებდა. ამიტომ მან მხოლოდ ბასიანი და იმიერ ტაო დაიკავა. ამაზე ჩრდილოეთით ბასილ II არ წასულა და ეს იმიტომ, რომ დავით კურაპალატის დანარჩენი მამულების (რომლებიც კოლა-არტაანსა და ჯავახეთში მდებარეობდა) მიმართ ბიზანტიის იმპერატორს განსხვავებული ინტერესები ჰქონდა. როგორც ჩანს, ოლთისის ჩრდილოეთით არსებული მიწები სიცოცხლის ბოლომდე საკუთრების უფლებით დაუთმო მან ბაგრატ III-ს და გურგენ მეფეს. ამით

იმპერატორმა მოახერხა, ნაწილობრივ გაენეიტრალებინა ბიზანტიის აღმოსავლეთში ექსპანსიისადმი ქართველ მეფეთა აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება. ჭოროხისა და თორთუმის ხეობაში ბიზანტიელთა გამოჩენა სერიოზულად არღვევდა რეგიონში ძალთა თანაფარდობას. ბუნებრივია, ქართველთა ასეთი განწყობის შესახებ ინფორმირებული იქნებოდა ბასილ II, რომელმაც აღარ გაამწვავა ვითარება და მხოლოდ კურაპალატის მამულის ნაწილს დასჯერდა. ოლთისის ჩრდილოეთით არსებული მიწები მან მამა-შვილს, გურგენს და ბაგრატს გადასცა. მოგვიანებით, გიორგი I-ის მეფობისას, სწორედ ამ ტერიტორიის დაბრუნების საბაბით ატყდა საქართველო-ბიზანტიის ომი.

1008 წელს, გურგენის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III სრულად დაეუფლა 1001 წელს ბიზანტიელთაგან დათმობილ ტერიტორიას.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინ „იბერიის“ ადმინისტრაციული ერთეულის სახელად გამოტანა ბიზანტიელებს ყველაზე მეტად სწორედ 1001 წლის ახლო ხანებში სჭირდებოდათ, რამეთუ ამით აქცენტი კეთდება ორ „იბერიაზე“ – ბიზანტიის კუთვნილ და მის საზღვრებში მოქცეულსა და ქართველ მეფეთა მფლობელობაში არსებულზე. ჯერ კიდევ დავით კურაპალატის სამეფოს ბიზანტიის იმპერიის სრულ ინკორპორაციამდე (1022-1029 წწ.) აუცილებელი იყო ამ სახელწოდების თემის გაჩენა. როგორც ზევით აღინიშნა, დასაწყისში ბიზანტია დავით კურაპალატის სამეფოს მხოლოდ 50-60%-ს აკონტროლებდა. ასეთ ვითარებაში სახელწოდება „იბერიის თემი“ უფრო ექსპანსიურ ელფერს ატარებს. ამით ბიზანტიის იმპერიის მესვეურები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ კურაპალატის მემკვიდრეობა ერთიანია და რომ იმპერიაში არსებობს „ქართულ-იბერიული თემი“, რომელსაც შემდგომში „დაუბრუნდება“ კურაპალატის სამეფოს ის ნაწილი, რომელიც ბაგრატ III-სა და გურგენ მეფეს გადაეცათ. ამდენად, 1001 წლის ახლო ხანებში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, „იბერიის თემის“ შექმნა უფრო პოლიტიკური აქტი ჩანს, რითიც ბიზანტიელები ხაზს უსვამდნენ დავით კურაპალატის მემკვიდრეობის იმპერიისადმი კუთვნილებას და მის ერთიანობას.

რ. ბარტიკიანი, ვ. არუთუნოვა-ფიდანიანთან კამათისას, არგუმენტად ასახელებს იმ ფაქტს, რომ 1022 წლამდე „იბერიის თემის“ არც ერთი ხელისუფალი წყაროებში მოხსენიებული არ არის.[18] მართალია, თეოფილაქტე დალასენოსამდე, ანუ 1022 წლამდე, „იბერიის თემის“ სტრატეგი თუ კატეპანი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ეს არგუმენტი თემის არსებობა-არარსებობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება. ამასთანავე, ვფიქრობთ, ამ კუთხით ყველა წყარო

[18] Р. М. Бартикян, О феме «иверия», გვ. 70.

კრიტიკულად შესწავლილი არ არის. სომეხ ისტორიკოსთან, არისტაკეს ლასტივერტეცთან ერთი საინტერესო ცნობაა დაცული, რომელიც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ „იბერიის თემი" 1001 წელს შექმნილად მივიჩნიოთ. მემატიანე წერს: „ჩვენი წელთაღრიცხვის 467 წელს (1018) თვითმპყრობელმა მეფემ გამოგზავნა ერთი ნიკომედიელი მთავარი, რომელიც მოვიდა და სულადი გადასახადი შეაწერა ქვეყანას. მან შეკრიბა დიდძალი ხალხი და დაიწყო თეოდოსიოპოლის ხელახლა აშენება".[19] ამ ცნობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ვ. სტეპანენკომ. იგი თავის გამოკვლევაში ეყრდნობოდა კ. იუზბაშიანის რუსულ თარგმანს, რომელშიც ნათქვამია, რომ «самодержавный император прислал некоего никомидийского сановника».[20] სწორედ ამიტომ ვ. სტეპანენკოს აზრით, არისტაკესის ინფორმაცია ადასტურებს იმას, რომ 1018/1019 წლებში არავითარი „იბერიის თემი" არ არსებობდა.

არისტარკეს ლასტივერტეცის ცნობის ვ. სტეპანენკოსეული ანალიზი რამდენიმე შეკითხვას ბადებს: 1. თუ არ არსებობდა იბერიის „დიდი" თემი, ამ შემთხვევაში დავით კურაპალატის სამეფოს ნაწილი რომელიმე მომიჯნავე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში უნდა ყოფილიყო მოქცეული. ამ შემთხვევაშიც ნიკომედიიდან მოხელის გამოგზავნა უცნაური ჩანს, რამეთუ იმ თემს, რომელშიც კურაპალატის სამფლობელოები იყო გაერთიანებული, ჰყავდა ცალკე ადმინისტრაცია, რომელსაც ევალებოდა კიდეც ფისკალური პოლიტიკის წარმოება; 2. ეს მოხელე არ ჩანს მხოლოდ გადასახადების ამკრეფი. მას სამხედრო ფუნქციაც ჰქონდა, რამეთუ თეოდოსიოპოლის გამაგრებით იყო დაკავებული; 3. „ნიკომედიელი მთავარი" არც ერთი სხვა თემის კატეპანისა თუ დუკის ქვეშევრდომი არ ჩანს. მას პირდაპირ იმპერატორი ნიშნავს; 4. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ბიზანტიური ადმინისტრაციის წარმომადგენლის გაჩერების ადგილი თეოდოსიოპოლია? ეს ქალაქი გარკვეული პერიოდი „იბერიის თემის" დედაქალაქი იყო.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არისტაკესის თხზულების დედანში საუბარია არა „მოხელეზე", არამედ „მთავარზე". ჩვენი თხოვნით, პროფესორმა ელენე ცაგარეიშვილმა კიდევ ერთხელ შეამოწმა დედანი, თავისი ვარიანტებით. ყველგან არის „იშხანი". არისტაკეს ლასტივერტეცის ინგლისურ და ფრანგულ თარგმანშიც ("Nicomedian prince"; "Prince de Nicomédie") „პრინცია" და არა „მოხელე".[21] ამასთანავე, ნიშანდობლივია ერთი მო-

[19] არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 45.

[20] В. П. Степаненко. К дискуссии о дате образования фемы «иверия», გვ. 60.

[21] Aristakes Lastivertc'i's History. Translated from Classical Armenian by Robert Bedrosian (http://www.attalus.org/armenian/a2.htm). Histoire d'Arménie, comprenant la fin du Royaume d'Ani et

მენტიც: ეს მოხელე მხოლოდ გადასახადების ამკრეფი კი არ არის, არამედ უფრო სერიოზული ფუნქციაც აკისრია – სამხედრო ღონისძიებებითაა დაკავებული. როგორც ცნობილია, ბიზანტიაში თემის უმაღლესი ხელისუფალი არ მარტო „გენერალი", არამედ „გუბერნატორიც" იყო. მათ მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა როგორც სამხედრო, ასევე ფისკალურ პოლიტიკას. ამდენად, ნიკომედიიდან ჩამოსული მთავარი ჩვენ მიგვაჩნია „იბერიის თემის" დღემდე უცნობ მმართველად. ამ მოსაზრების აღიარების შემთხვევაში, გასარკვევია ერთი საკითხი. როგორც ვ. არუთუნოვა-ფიდანიანი ვარაუდობს,1015 წლის შემდეგ „იბერიის თემმა" დროებით არსებობა შეწყვიტა და აღდგა 1022 წელს. გამოდის, რომ დაახლოებით 1018 წელს, „ნიკომედიელი მთავრის" დანიშვნისას, „თემს" დროებით ფუნქციონირება შეწყვეტილი ჰქონდა. ვფიქრობთ, ეს მოსაზრებაც გარკვეულ კორექტირებას ითხოვს.

დასაწყისში გავარკვიოთ ერთი საკითხი: რა ტერიტორიას მოიცავდა 1001 წელს შექმნილი „იბერიის თემი"?

თავისი ხანგრძლივი მმართველობის განმვალობაში დავით III-მ ტაოს მეფის სკიპტრის ქვეშ ვრცელი სამფლობელო გააერთიანა. ნაწილი მამულებისა მას მემკვიდრეობით ერგო, ნაწილიც ბიზანტიელთაგან მიიღო. საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის სხვადასხვა განშტოებას შორის საგვარეულო მიწების გადანაწილების შემდეგ, დავით კურაპალატის უშუალო ნინაპარს წილად ხვდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც არ შემოიფარგლებოდა ერთი რომელიმე პროვინციით. უკვე აღინიშნა, რომ დავით III იმიერტაოს ჩრდილოეთით, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში ფლობდა მამულებს. ეს ტერიტორიები კურაპალატს სწორედ მემკვიდრეობით უნდა მიეღო. 979 წელს, ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას, ბიზანტიელთადმი გაწეული დახმარების სანაცვლოდ, იმიერტაოს მეფემ სიცოცხლის ბოლომდე ფლობის უფლებით მიიღო იმპერიის კუთვნილი ტერიტორიები. გიორგი მთაწმინდელი ამ პროვინციებს მხოლოდ „ზემონი ქვეყანანის" სახელწოდებით იხსენიებს და არ აკონკრეტებს, სახელდობრ, რა მხარეები გადასცეს ქართველ კურაპალატს.[22] სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი) კი უფრო დაწვრილებით ინფორმაციას გვაძლევს ბერძენთა მიერ დავით III-ისადმი ბოძე-

---

le commencement de L'Invasion Des Seldjoukides par Arisdaguès de Lasdiverd. Traduite pour la première fois de l'arménien sur l'édition des RR. PP. Mékhitaristes de Saint-Lazare et accompagnee denotes. Par M. ÉVARISTE PRUD'HOMME. Paris, 1865. გვ. 20.

[22] ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ.,1967, გვ. 48.

ბული მამულების შესახებ. იგი დასძენს: „ყველა იმ თავგადასავალთა შემდეგ ბერძენთა მეფემ ბასილმა თორნიკე სარდალი, ტომით ქართველი, წმინდა მთის ბერი გამოიძახა და წარგზავნა ტაოელთა კურაპალატთან დავითთან, რომელსაც აღუთქვა, რომ მისცემდა ხალტო-იარიჭს კელესურით, ჩორმაირს, კარინს, ბასიანს, პატარა ციხეს სევუკს მარდაღში, ჰარქსა და აპაჰუნიქს (რომლებიც გადასცა კიდეც შემდეგში), თუ კი (დავითი) მას ჯარს გაუგზავნიდა დასახმარებლად".[23] მართლაც, ქართველთა მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ იმპერატორმა პირობა შეასრულა და სიცოცხლის ბოლომდე სამართავად ეს მამულები დავით კურაპალატს დაუთმო. ამდენად, დავითი სიკვდილის წინ ფლობდა ტერიტორიას, რომელიც შედგებოდა, ერთი მხრივ, საკუთრივ მემკვიდრეობით მიღებული და, მეორე მხრივ, ბიზანტიისაგან ბოძებული მიწებისაგან. 1001 წელს კურაპალატის სამფლობელო შუაზე გაიყო. იმიერტაო და მის სამხრეთით არსებული პროვინციები ბასილ II-მ უშუალოდ შეიერთა, ხოლო მდინარე ოლთისისწყლის ჩრდილოეთით მდებარე მიწები ქართველ მეფეებს გადასცა. ამდენად, დავით კურაპალატის სამეფოს ნაწილის ბაზაზე ჩამოყალიბებულ ახალ თემში უნდა გაერთიანებულიყო: იმიერტაო, ბასიანი, თეოდოსიოპოლი, ხალტო-იარიჭი და მისი კლისურები, ანუ თანამედროვე ბრნაკაპანი, ჩორმაირი, მარდალი, ჰარქი და აპაჰუნიქი (ამ პროვინციის ცენტრს წარმოადგენდა მანაზკერტი). ეს საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო იმისთვის, რომ მძლავრი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ჩამოყალიბებულიყო. ეს ტერიტორია აღემატებოდა ტარონსაც და ვასპურაკანსაც, ბულგარეთში შექმნილ თემებს კი სიდიდით ოდნავ ჩამოუვარდებოდა ან თითქმის თანატოლი იყო.

რა ბედი ეწია „იბერიის თემს" 1015 წლის შემდეგ? უნდა ვივარაუდოთ თუ არა მისი არსებობის დროებით შეწყვეტა, როგორც ამას ვ. არუთუნოვა-ფიდანიანი უშვებს?

1014 წელს, ბაგრატ III-ის გარდაცვალებისა და ახალგაზრდა გიორგი I-ის გამეფების შემდეგ, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დაიძაბა. არისტაკეს ლასტივერტეცს თუ ვერწმუნებით, თავდაპირველად ამ დაპირისპირებას უფრო დიპლომატიური ომის ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება სამხედრო მოქმედებას, ის დაახლოებით 1015 წლის პირველ ნახევარში უნდა დაწყებულიყო. იგივე არისტაკესი მოგვითხრობს, რომ გიორგი I-ის წერილის მიღების შემდეგ იმპერატორმა „ჯარი გაგზავნა ქვეყნის ძალით დასაპყრო-

[23] სტეფანოს ტარონელი, ასოღიკი. „მსოფლიო ისტორია", ქართული თარგმანი იხ.: ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, X-XI საუკუნეებში, მრავალთავი, გვ. 170-171.

ბად. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ტაოელი ვაჟკაცები, რომლებმაც დიდ და-ბა-სოფელ უხტიქის მახლობლად უკუაქციეს ჰორომთა ჯარი, ხოლო ქალაქსა და სხვა გაშენებულ ადგილებს ზიანი არ მიაყენეს. ასე მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაცემას".[24] სომეხი ისტორიკოსის ეს მონათხრობი, უდავოდ, ძვირფას ცნობებს შეიცავს. სამწუხაროდ, ქართული წყაროები ამ პერიოდის ბიზანტია-საქართველოს დაპირისპირების შესახებ არაფერს ამბობს. ერთადერთი წყარო, რომელშიც აღწერილია ეს მოვლენები და აღნიშნულია თარიღი, არისტაკეს ლასტივერტეცის „ისტორიაა".[25] დავით კურაპალატის მემკვიდრეობის ბედ-იღბალთან დაკავშირებული საქართველო-ბიზანტიის მიმოწერა მართლაც მოსალოდნელია, გიორგი I-ის გამეფებისთანავე, 1014 წელს დაწყებულიყო. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვინაიდან ტახტზე ასვლისთანავე იმპერატორი შეახსენებდა საქართველოს მეფეს, რომ მას მამისაგან წილად ხვდა ის მამულები, რომლებიც მემკვიდრეობით ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ და ბაგრატ III-ს მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში ფლობის უფლებით ჰქონდა. არ გამოვრიცხავთ, რომ 1014 წელი ამ დიპლომატიურ ვოიაჟებს დასჭირვებოდა. რაც შეეხება არისტაკესთან მოთხრობილ ბიზანტიელთა ლაშქრობას და ოლთისთან მათ დამარცხებას, შესაძლებელია იგი, მართლაც, 1015 წელს მომხდარიყო.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ირკვევა, რომ პირველ ეტაპზე იმპერატორს უცდია, ძალით დაებრუნებინა ის, რაც „კანონით" ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ოლთისის მახლობლად მათ წინ გადაეღობნენ ქართველები, რომლებმაც უკუაქციეს მტერი და არ შეუშვეს იმ ტერიტორიაზე, რომლის დასაპყრობადაც მოდიოდნენ.

ეს იყო ბიზანტიელთა მხრიდან დავით კურაპალატის მამულების შემოერთებისათვის ბრძოლის დასაწყისი, თუმცა, უშედეგო. ამ ეტაპზე ბასილ II-მ საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირების გაგრძელებაზე უარი თქვა, ბალკანეთში მიმდინარე მოვლენების გამო. იმპერიის მთელი ყურადღება ამ დროს ბულგარეთის სამეფოს წინააღმდეგ ომისაკენ იყო მიმართული. მით უმეტეს,

---

[24] არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, გვ. 43.

[25] სომეხი მემატიანე აშკარად შეცდომას უშვებს. იგი ბაგრატ III-ის გარდაცვალებას 1015 წლით ათარიღებს. ქართული წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფე 1014 წლის მაისში მიიცვალა ფანასკერტში. კ. იუზბაშიანი ამ უზუსტობას გადამწერის შეცდომით ხსნის. მეცნიერის აზრით, პირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო Ն Կ Գ – 463. მხოლოდ მოგვიანებით, ხელნერის გადანუსხვისას, ბოლო ასო შეცდომით გადაუწერიათ – Ն Կ Դ. ასე მივიღეთ 464 და შესაბამისად, 1015/1016 წწ. Повествование вардапета Аристакэса Ластивертеци. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашяна. М., 1968, გვ. 144.

რომ 1014-1015 წლებში იმპერიამ ბალკანეთში საგრძნობ წარმატებას მიაღწია. აღმოსავლეთში ახალი საომარი კერის გაჩენას შეიძლება ბალკანეთში მიღწეული უპირატესობა საფუძვლიანად შეერყია.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ბასილ II სამხრეთ კავკასიისთვის ვერ მოიცლიდა და ეს, უპირველესად, ხელს აძლევდა საქართველოს მეფეს, გიორგი I-ს.

როდის უნდა აეღო გიორგი I-ს დავით კურაპალატის მამულების ის ნაწილი, რომელიც 1001 წლიდან ბიზანტიელთა ხელში იყო?

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხზე არავითარი პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია და ამჯერად მხოლოდ ვარაუდის გამოთქმით უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენი აზრით, 1015 წლის ახლო ხანებში, ოლთისთან ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ, ქართველებს უნდა დაეკავებინათ იმიერტაოს დიდი ნაწილი. არისტაკეს ლასტივერტეცის მითითებით, გიორგი I-ის ჯარებს ოლთისის მიდამოებიც კი დაუკავებიათ ისე, რომ ქალაქისათვის ზიანი არ მიუყენებიათ. ეს მომენტი საკმაოდ თვალში საცემია. გამოდის, რომ იმიერტაოს ოლთისის უბანი ქართველებს უკვე 1015 წლისთვის თავისი გავლენის ქვეშ მოუქცევიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული წარმატება უფრო მეტ სტიმულს მისცემდა გიორგი I-ს და ბიზანტიელთა იმიერტაოდან და ბასიანიდან განდევნის საქმეს საქართველოს მეფე რამდენიმე წლით არ გადადებდა, მით უმეტეს, რომ ბასილი II-მ ამ მომენტისთვის ვერ მოახერხა სათანადო ძალების აღმოსავლეთში გადმოსროლა, რის გამოც იმპერიამ აქტიურ წინააღმდეგობაზე უარი განაცხადა. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ 1015-1016 წლებში გიორგი I-ის ხელისუფლება შეიძლება გავრცელებულიყო იმიერტაოსა და ბასიანზეც. ყოველ შემთხვევაში, 1017 წლისათვის ორივე პროვინცია გიორგი I-ის ხელშია სავარაუდებელი. საქმე ისაა, რომ 1017 წელს საქართველოს მეფის გავლენა სამხრეთ კავკასიაში საგრძნობლად იზრდება. იგი რეგიონში გამორჩეულ ლიდერად გვევლინება. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ამ პერიოდში ანისის სამეფოში მიმდინარე მოვლენები. 1017 წელს, ანის-შირაკის მეფის გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო სისხლისმღვრელმა ომმა მოიცვა. ტახტის დასაუფლებლად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გაგიკის შვილები – ჰოვჰანეს-სუმბატი და აშოტი. როგორც სომხურ წერილობით წყაროებშია მოთხრობილი, ძმებს შორის ატეხილ უთანხმოებაში ჩარეულა საქართველოს მეფე გიორგი I, რომელსაც ერთგვარი მოსამართლის როლი უკისრია. „მათთან მოვიდა, – დასძენს არისტაკესი, – აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი... სუმბატს (ასაკის) უფროსობის გამო (გიორგიმ) მისცა წილი:

ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთს და საქართველოს უყურებდა".[26]

გიორგი I-ის ასეთი გავლენა გვაფიქრებინებს, რომ მას გარკვეული წარმატება ბიზანტიელებთან ომში უკვე უნდა ჰქონოდა მიღწეული. ასეთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, პირობითია, თუმცაღა საფუძველს არაა მოკლებული. თუ ყოველივე ზემოთქმული მართალია, მაშინ იმიერტაოსა და ბასიანის დაკავება 1015-1016 წლებში უნდა მომხდარიყო. ეს მოვლენა ოლთისთან ბიზანტიელთა დამარცხების ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

უკანასკნელ ხანს გ. ბუაჩიძემ, იბნ-ალ-ადიმის ცნობაზე დაყრდნობით, ამ დროს მანასკერტშიც ივარაუდა ქართველთა ყოფნა. მეცნიერის მითითებით: „გიორგი I-მა 1014-1018 წლებში დაიკავა არა მარტო ტაო, არამედ დავით კურაპალატის სხვა სამფლობელოები მის სამხრეთით, მანასკერტის ჩათვლით. მათ შორის როგორც ქართული, ისე სომხური მიწები".[27] მანასკერტზე გიორგი I-ის ძალაუფლების გავრცელება სრულიად შესაძლებელია. ბასიანის დაკავება საქართველოს მეფეს საშუალებას მისცემდა, უფრო სამხრეთისაკენ, ვანის ტბის მიმართულებით გაჭრილიყო, მაგრამ ეს მოვლენა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდებოდა 1015 წლამდე. მანასკერტზე ლაშქრობა, მხოლოდ იმიერტაოსა და ბასიანის დაკავების შემდეგაა სავარაუდო, დაახლოებით 1016-1018 წლებში.

მიუხედავად გიორგი I-ის ასეთი წარმატებისა, 1001 წელს ჩამოყალიბებული „იბერიის თემის" ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ბიზანტიელთა ხელში რჩებოდა. ბუნებრივია, ამ ტერიტორიას ადმინისტრირება ესაჭიროებოდა და თემის გაუქმების აუცილებლობა არც იდგა. პირიქით, საჭირო იყო „იბერიის თემის" გაძლიერება და დარჩენილი პროვინციების გამაგრება. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს მეფის მხრიდან თეოდოსიოპოლის მიმართულებით ლაშქრობის დაწყების ყველაზე დიდი საფრთხე იყო, ბასილ II-მ მიიღო გადაწყვეტილება და „იბერიის თემში" ადმინისტრაცია შეცვალა – იქ ახალი კატეპანი განაწესა. ეს ცვლილება რომ გარკვეულ სამხედრო საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ჩანს „ნიკომედიელი მთავრის" მიერ გატარებული ღონისძიებებიდან. მან სასწრაფოდ თეოდოსიოპოლის გამაგრება დაიწყო. ამდენად, იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ „იბერიის თემს" 1015-1022 წელს არსე-

---

[26] არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 44.

[27] გ. ბუაჩიძე, საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), ქართული დიპლომატია, ტ. 4, თბ., 1997, გვ. 54.

ბობა არ შეუწყვეტია. საქართველო-ბიზანტიის ომის გამო მხოლოდ მისი ტერიტორია შემცირდა და ისიც, რამდენიმე წლით.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „იბერიის თემი“ პირველად შეიქმნა 1001 წლის ახლო ხანებში, მაგრამ რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მას იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიც წარმოიქმნა, დიდხანს არ უარსებია. 1014 წლიდან მაინც ბიზანტიელთაგან შეერთებული დავით კურაპალატის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი გიორგი I-მა დაიკავა. საქართველოს მეფის ხელში გადავიდა იმიერტაო და ბასიანი. 1018 წელს ბასილ II-მ „იბერიის თემში“ კატეპანად გამოგზავნა „ნიკომედიელი მთავარი“, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა და, ფაქტობრივად, თემი მომავალი საქართველო-ბიზანტიის ომისთვის მოამზადა. 1022 წელს, ბასილ II-ის მიერ გიორგი I-ის დამარცხების შემდეგ, ბიზანტიამ უკან დაიბრუნა დავით კურაპალატის სამეფოს ტერიტორია, მათ შორის 1001 წელს ბაგრატ III-ისა და გურგენისთვის ბოძებული მიწების უდიდესი ნაწილი. სწორედ ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის თემის“ კუთვნილ საზღვრებში ფუნქციონირება.

ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“)*

ბიზანტიის იმპერიას მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. მრავალი ქართველი სასულიერო და საერო პირი მოღვაწეობდა ბიზანტიაში. მათი პოლიტიკური თუ რელიგიურ-კულტურული საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ ნარატიულ ძეგლებში. ამ მასალის გამოყენება კიდევ უფრო გაამდიდრებს ბიზანტიის ისტორიას, ბევრ მანამდე უცნობ ფაქტს გამოამზეურებს და გააცოცხლებს.

XI საუკუნის ქართული ბიოგრაფიული პროზის ერთ-ერთ ბრწყინვალე ძეგლს – გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისას“ მრავალი საინტერესო ცნობა შემოუნახავს XI საუკუნის ბიზანტიის იმპერიის შესახებ. საერთოდ, გიორგი მთაწმინდელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორებთან, საიმპერატორო კართან, კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქებთან. ყოველივე ეს სათანადოდაა ასახული მისდამი მიძღვნილ თხზულებაში. გიორგი მცირეს ბიზანტიის ისტორიის ბევრი ისეთი მოვლენა აქვს მოთხრობილი, რომლებიც სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება და ეს მეტად ზრდის ამ ძეგლის მნიშვნელობას ბიზანტინოლოგიაში.

„ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ ჩვენამდე მოღწეულია თერთმეტი ხელნაწერის სახით, რომელთაგან უმრავლესობა დაცულია საქართველოში, ერთი – ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში და ერთიც – ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში.[1] ამ ძეგლმა მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიქცია.

---

* ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“), ქართული დიპლომატია, ტ. 12, თბ., 2005, გვ. 394-414.

გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1994, გვ. 10.

მოგვიანებით „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ არაერთგზის გამოქვეყნდა.[2] თხზულების შემოკლებული რუსული თარგმანი დაბეჭდა მ. საბინინმა,[3] ხოლო ლათინური – პ. პეეტერსმა.[4]

„ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ შექმნილია 1066-1072 წლებში. თავად ავტორი, გიორგი მცირე, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა გიორგი მთაწმინდელის გვერდით და მისი გამორჩეული მოწაფე და თანამებრძოლი იყო. თხზულების წერისას იგი გადმოგვცემს უშუალოდ ნანახს ანდა გიორგი მთაწმინდელისა და მასთან დაახლოებულ პირთა ნაამბობს. ამდენად, გიორგი მცირის ცნობების უტყუარობაში ეჭვის შეტანა არ იქნება გამართლებული.

„ცხოვრების“ თანახმად, გიორგი მთაწმინდელის ოჯახი წარმოშობით სამცხიდან ყოფილა. მამა, იაკობი, „ქართველ მეფეთა“ კარზე საკმაოდ დაწინაურებული პირი ჩანს. იგი საკმაოდ საპატიო დავალებებს ასრულებდა, მათ შორის დიპლომატიურსაც.[5] გიორგის დედა, მარიამი, წარმოშობით თრიალეთიდან იყო. საფიქრებელია, ისიც წარჩინებულ გვარს უნდა კუთვნებოდა. დაქორწინების შემდეგ იაკობი საცხოვრებლად ცოლის მამულში გადავიდა, სადაც 1009 წელს დაიბადა გიორგი მთაწმინდელი.[6] მშობლებს გიორგი თავიდანვე ეკლესიისთვის ჰყავდათ „შეწირული“, ამიტომაც შვიდი წლისა უკვე ტაძრისის დედათა მონასტერში მიაბარეს აღსაზრდელად (ამავე მონასტერში იზრდებოდა გიორგის და, თეკლეც – ჯ. ს.). ათი წლის გიორგი მამამ ხახულის მონასტერში გადაიყვანა თავის ძმებთან – გიორგი მწერალსა და საბასთან. უკვე ამ დროს ყმაწვილი გიორგი გამოირჩეოდა გონებამახვილობითა და განათლებისაკენ სწრაფვით. გიორგი მცირე აღნიშნავს: „ხოლო უწყეს სწავლათაც საეკლესიოთა და სამღდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარემატა და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა. საღმრთოთა კულა წიგნთა კითხვისათვის რად სავმარ არს სიტყუად“.[7]

---

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 101-207; გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, გვ. 171-263.

М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, СПБ,1872, გვ. 161-212.

B. Martin-Hisard. La vie de jean et Euthyme et le status du monastere des Iberes sur L'Athos. Revue des Etudes Byzantines. XLIX. 1991. გვ. 69-159.

[3] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 179.

[4] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 66.

[5] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 185.

1021 წლის ახლო ხანებში, „ცხოვრების“ თანახმად, ცნობილ ფეოდალს, ფერის ჯოჯიკის ძეს, ოჯახში სულიერ მასწავლებლად მიუწვევია გიორგი მთაწმინდელის ბიძა, გიორგი მწერალი. ამ უკანასკნელმა თან წაიყვანა თავისი ძმისწულიც.[8] ფერის ჯოჯიკის ძე ტაოს ცნობილ საგვარეულო სახელს ეკუთვნოდა. 1001 წელს, ბასილ II-ის მიერ დავით კურაპალატის მამულების ინკორპორაციის შემდეგ, როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერატორმა რამდენიმე დიდი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი გადაასახლა კონსტანტინოპოლში. სკილიცე-კედრენე საგანგებოდ მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც ბასილ II-მ დავით III-ის მამულები დაიპყრო, „თან წაიყვანა იბერიის დიდგვარიანები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფევდატი და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა“.[9] მოგვიანებით, იმავე ბიზანტიელი ავტორის მითითებით, ფერსის მონანილეობა მიუღია ბასილ II-ის წინააღმდეგ აჯანყებაში, რის გამოც იგი სიკვდილით დაუსჯიათ. ფერის/ფერსი ჯოჯიკის ძის შესახებ მოგვითხრობენ სკილიცე-კედრენე, არისტაქეს ლასტივერტეცი, „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძე და „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“. მაგრამ ამ ნაწარმოებთაგან გიორგი მცირის თხზულება ზოგიერთ ისეთ დეტალზე მიუთითებს, რაც არ მოიპოვება სხვა ისტორიკოსებთან. „ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ 1001 წელს ბიზანტიაში გადასახლებულ პირთაგან ბაკურიანი და ფევდატი კონსტანტინოპოლში დარჩენილან, ხოლო ფერის/ფერსი ბასილ II-ს კვლავ უკან დაუბრუნებია. ყოველ შემთხვევაში, 1021 წლის ახლო ხანებში მაგისტროსი ფერის/ფერსი ჯოჯიკის ძე ტაოშია, თავის მამულში, ტვარწატაფში. სწორედ აქ მიიწვია მან გიორგი მწერალი და მისი ძმისწული. ეს ცნობა ჩვენთვის საყურადღებოა იმით, რომ ამ შემთხვევაში ადვილად ვიგებთ, თუ სად იმყოფებოდა ფერის/ფერსი ჯოჯიკის ძე ბასილ II-ის წინააღმდეგ მოწყობილი 1022 წლის შეთქმულებისას. როგორც ცნობილია, 1021 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ახალი სამხედრო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს წინააღმდეგ. ბასილ II ცდილობდა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის, გიორგი I-ის დასჯას და იმ ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც 1001 წელს დავით III კურაპალატის სამეფოდან დაუთმო ბაგრატ III-სა და გურგენს. იმპერატორის აღმოსავლეთში ლაშქრობისთანავე ბიზანტიაში ახალმა შეთქმულებამ იჩინა თავი. ბასილ II-ის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით გამოვიდა ნიკიფორე ფოკა და ქსიფე. მალე აჯანყებულთა ბანაკში

[8] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 185.

[9] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 46; Ioannis Scylitzae. Synopsis Historiarum. Recensuit Ioannes Thurn. Corpus Fontium Historiae Byzantinae. vol. 5. 1973. გვ. 339-340.

განხეთქილება მოხდა. ქსიფეს საგანგებოდ მიგზავნილმა მეომრებმა ნიკიფორე ფოკა მოკლეს. ამან კი შეთქმულთა ბანაკის შესუსტება გამოიწვია. მალე თავად ქსიფეც შეიპყრეს და იმპერატორს მიჰგვარეს, რომელმაც იგი ანტიგონის კუნძულზე გადაასახლა.[10] ამ გამოსვლაში აქტიურად მონაწილეობდა ფერის/ფერსი ჯოჯიკის ძეც, რომელიც ბასილ II-მ სიკვდილით დასაჯა.[11]

გიორგი მცირის თქმით, მას შემდეგ, რაც პატარა გიორგი ტვარწატაფში მისულა თავის ბიძასთან ერთად, ფერის/ფერსის და მის მეუღლეს იგი შვილივით მიუღიათ. მაგრამ მალე ფერის ჯოჯიკის ძეს ბასილ II-ის რისხვა დაატყდა, „რამეთუ განდგომილება დასწამეს“ და ამის გამო მისთვის თავი მოუკვეთიათ.[12] სკილიცე-კედრენესგან კი ვიგებთ, რომ სიკვდილით მხოლოდ პატრიკიოსი ფერსი დაუსჯიათ, რომელიც ყველაზე უწინარეს მიკედლებია აჯანყებულებს.[13] გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება“ ახალ დეტალს მატებს ამ ისტორიას. შეთქმულების ჩახშობის შემდეგ, ბასილ II-ის ბრძანებით, ფერის/ფერსის ოჯახი ბიზანტიაში გადაუსახლებიათ. გიორგი მცირე აღნიშნავს: „ესრეთ ბრძანებითა სამეუფოთა ესე ღირსი დედაკაცი (ე. ი. ფერის/ფერსის მეუღლე – ჯ. ს.) ერითურთ თჳისითა კონსტანტინეპოლედ წარიყვანეს, ვინა-იგი დაყვეს ათორმეტი წელი“. როგორც სულიერი მასწავლებელი, ფერის/ფერსის ოჯახს ბიზანტიაში თან ნაჰყვა გიორგი მწერალიც თავის პატარა ძმისწულთან ერთად. ამიერიდან გიორგი მთაწმინდელი 12 წელი კონსტანტინოპოლში იზრდებოდა. „ცხოვრებიდან“ იმასაც ვიგებთ, რომ გადასახლებაში მყოფი ფერის/ფერსი ჯოჯიკის ძის ოჯახი ბიზანტიაში საკმაოდ თავისუფლად ცხოვრობდა, ყოველ შემთხვევაში, ფერისის მეუღლეს და გიორგი მწერალს შეეძლოთ, პატარა გიორგის განათლებაზე საგანგებოდ ეზრუნათ. მათ მომავალი მწიგნობარი მიაბარეს „კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა ღმრთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა“.[14] გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლში, ბერძენთა გარემოცვაში იზრდებოდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი შესანიშნავი ცოდნა ბერძნული ენისა. გიორგი მცირის მითითებით, გი-

---

[10] ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ., თბ., 1969, გვ. 109-114.

ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, თბ., 1980, გვ. 64-69.

[12] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 187.

[13] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 48; Ioannis Scylitzae, Synopsis Historiarum, Recensuit Ioannes Thurn. Corpus Fontium Historiae Byzantinae. გვ. 367.

[14] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 186.

ორგი მთაწმინდელს სწავლისას გამოუჩენია განსაკუთრებული სიბეჯითე და შრომის უნარი, იმდენად, რომ მის გარშემო მყოფ ბერძენ ბავშვებსაც აოცებდა მისი გამჭრიახობა და გულმოდგინება. 1034 წელს, იმპერატორის ბრძანებით („ბრძანებითა სამეფოჲთა"), ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახი კვლავ სამშობლოში, თავის მამულში, ტვარწატაფში დაბრუნდა.[15] მათთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელიც, რომელიც მოკლე ხანში ხახულის მონასტერში გადავიდა სამოღვაწეოდ. აქვე 25 წლის ასაკში იგი ბერად აღკვეცილა. ორი წლის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი ტოვებს საქართველოს და შავ მთაზე, რომანა-წმინდას მონასტერში გადადის. შავ მთაზე, „ნაპრალსა შინა კლდისასა", გიორგიმ იპოვა ერთი ქართველი ბერი, გიორგი შეყენებული, რომელსაც დაემოწაფა. ამიერიდან გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის არეალი ძირითადად ბიზანტიის იმპერიაა. 1039 წელს გიორგიმ მოილოცა იერუსალიმი. უკან დაბრუნებული კი, მოძღვრის დაჟინებული თხოვნით, მთაწმინდაზე, ივერიის მონასტერში გაემგზავრა, სადაც დიდი მთარგმნელობითი მუშაობა გააჩაღა. 1042 წელს გიორგი ივერიის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს.[16]

გიორგი მცირეს მეტად საინტერესო ცნობები შემოუნახავს გიორგი მთაწმინდელის წინამძღვრად დადგინებასთან დაკავშირებით. თანახმად ათონის კანონიკისა, რომელიც სავალდებულო იყო ყველა იქაური მონასტრისათვის, წინამძღვარი სიკვდილის წინ თვითონ ასახელებდა თავის შემცვლელს, ხოლო თუ რაიმე მოულოდნელი მიზეზით ეს ვერ მოხდებოდა, მაშინ მონასტრის ძმები თვითონ ირჩევდნენ მას.[17] აღნიშნული ტრადიციით გადავიდა წინამძღვრობა ივერიის მონასტერში იოანედან ექვთიმემდე, ხოლო ამ უკანასკნელმა ასევე თავის სიცოცხლეში დაასახელა მემკვიდრედ გიორგი I, ვარაზ-ვაჩედ წოდებული. მაგრამ გიორგი მთაწმინდელის მიმართ „ტიპიკონით" გათვალისწინებული ეს წესი არ შესრულდა. როგორც ჩანს, წინა წინამძღვარი ისე გარდაცვლილა, რომ მას ვერ მოუსწრია შემცვლელის დასახელება. ამ შემთხვევაში საქმე წილისყრაზე მიდგებოდა და ძმები თავად ირჩევდნენ იღუმენს. გიორგი მცირე აღნიშნავს: „სამგზის წილუგდეს ძმათა სხუათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისა შეწირვითა უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲთა, ქუეშე წმიდისა ტრაპეზსა და დასხმითა წილთაჲთა".[18] საერთოდ, ასეთი ფორმით იღუმენის არჩევა მიღებული იყო ბიზანტიაში მოქმედ მონასტრებში. ლოცვის შემდეგ წინამძღვრობის კანდიდატების სახელები იწერებოდა სამ ფურცელზე და წერა-კითხვის უცო-

[15] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 186.

[16] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 83.

[17] კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, „ივირონი – 1000", თბ., 1983, გვ. 38.

[18] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 195-196.

დინარი ბერი მათ დებდა ტრაპეზზე, დაფარნის ქვეშ. სამი დღის შემდეგ ასევე წერა-კითხვის უცოდინარი ბერი იღებდა ერთ-ერთი კანდიდატის სახელს, რომელიც არჩეულად მიიჩნეოდა.[19] ათონის ივერიის მონასტერში გიორგი მთაწმინდელის არჩევაც ამ წესით ჩატარებულა, მაგრამ მას ორჯერ უარი უთქვამს იღუმენობაზე და მხოლოდ მესამედ, როდესაც კვლავ ხვდა წილისყრით წინამძღვრობა, გიორგი იძულებული შეიქნა, დათანხმებულიყო.

გიორგი მთაწმინდელი ენერგიულად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და მონასტრის საქმეების მოგვარებას. ამ დროს ივერიის მონასტრის დიდ ლავრაში სახურავი ჩარღვეული იყო და ტაძარში წვიმა ჩადიოდა. ზიანდებოდა მონასტერი და საეკლესიო ნივთები. გიორგიმ კონსტანტინოპოლში, იმპერატორ კონსტანტინე IX-სთან გამგზავრება გადაწყვიტა, გადახურვისათვის საჭირო ტყვიის გამოსათხოვად. ამ შეხვედრის ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ იგი 1046-1051 წლებს შორის უნდა შემდგარიყო. იმპერატორს, როგორც ირკვევა, მანამდეც სმენოდა გიორგი მთაწმინდელის შესახებ. გიორგი მცირის მითითებით, კონსტანტინე IX-ს „დიდი სარწმუნოება აქუნდა მისა მიმართ და ესვიდა წმიდათა ლოცვათა მისთა". ასევე, ცნობილია, რომ 1045 წელს ათონის მთაზე ჩამოვარდნილი დავის გამო მონასტრების წინამძღვრები და მათ შორის „ივერიელთა სავანის მონაზონი და იღუმენი გიორგი" ეახლნენ კონსტანტინე IX მონომახს, რომელსაც ვითარების გაცნობა და სათანადო გამოძიება სთხოვეს. იმპერატორმა ათონზე საგანგებოდ მიავლინა სტუდიის მონასტრის ბერი, კოზმა ცინცილუკისი. ათონზე მოიწვიეს მონასტრების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელსაც 180 მონაზონი დაესწრო. თათბირის შემდეგ შეიქმნა ტიპიკონი, რომელსაც ხელი მოაწერა ათონის პროტმა და 30-მა წინამძღვარმა, მათ შორის „გიორგი ქართველმა". ეს დოკუმენტი მოგვიანებით იმპერატორმაც დაამტკიცა.[20] ჩვენი აზრით, საყურადღებოა ი. ლოლაშვილის მოსაზრებაც. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ 1056 წელს, როცა გიორგი ივერიის მონასტრის წინამძღვრობიდან გადადგა, „შევიდა ქალაქად სამეუფოდ და მეფისაგან თავისუფლება მიიღო".[21] ცხადია, აღნიშნავს ი. ლოლაშვილი, წინამძღვრად მისი დადგენაც ბიზანტიის იმპერატორის ნებით და თანხმობით მოხდებოდაო.[22] ამ

[19] А. П. Каждан. Византийский монастырь XI-XII вв.. Как социальная группа, «Византийский временник». т. XXXI, М., 1971, გვ. 66.

[20] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 113.

[21] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 207.

[22] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 113. ათონის ივერიის მონასტრის სტატუსთან დაკავშირებით იხ.: B. Martin-Hisard, La vie de jean et Euthyme et le status du monastere des Iberes sur L' Athos. Revue des Etudes Byzantines, XLIX, 1991.

დროს ათონის მთაზე იურისდიქცია იმპერატორს ეკუთვნოდა და მხოლოდ 1312 წელს გადავიდა იგი პატრიარქის კომპეტენციაში.[23]

კონსტანტინოპოლში ჩასულ გიორგი მთაწმინდელს იმპერატორი კეთილგანწყობით შეხვდა. კონსტანტინე IX მონომახმა „ჯეროვანი მოკითხვა მიაგება ბერსა".[24] იმპერატორს უყოყმანოდ შეუსრულებია თხოვნა გიორგი მთაწმინდელისთვის და სამეფო სალაროდან გადახურვისთვის საჭირო ტყვია გამოუყვია. 1046-1051 წლებში გიორგი მთაწმინდელი კიდევ ერთხელ სწვევია კონსტანტინოპოლს. ამჯერად მას იმპერატორისათვის იმ წყალობის სიგელთა/ხრისობულთა ხელახალი დამტკიცება უთხოვია, რომლებიც წინა იმპერატორებს ჰქონდათ გაცემული. ამასთანავე, კონსტანტინე IX-ს ახალი მამულები შეუწირავს მონასტრისათვის.[25]

1051-52 წლებში ბიზანტიის იმპერიას ეწვია საქართველოს სამეფო კარის საკმაოდ დიდი დელეგაცია ბაგრატ IV-ის ხელმძღვანელობით. ქართველ მეფეს სურდა, მოეწესრიგებინა საქართველო-ბიზანტიას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა. ამ დროს იმპერია მხარს უჭერდა ბაგრატ IV-ის ოპოზიციას. 1051 წელს თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლებული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში იმპერიის სამხედრო ძალების დახმარებით საქართველოში შემოიჭრა და ქვეყნის დიდი ნაწილი კონტროლის ქვეშ მოაქცია. ბაგრატ IV დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს დაპირისპირება კონსტანტინოპოლიდან იმართებოდა და ამიტომ სამეფო კარმა უაზრო სამოქალაქო ომის გაგრძელებას უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორთან მოლაპარაკება არჩია. სწორედ ამ მიზნით ეწვია ბაგრატ IV კონსტანტინოპოლს.

საქართველოს მეფის ბიზანტიაში ყოფნის ჟამს ათონის ივერიის მონასტერი მეტად მძიმე ვითარებაში ყოფილა ჩავარდნილი. კონსტანტინე IX მონომახის მეფობის ბოლო პერიოდში ბიზანტია აშკარად განიცდიდა ეკონომიკურ კრიზისს. სამეფო ხაზინა თითქმის დაცარიელდა. იმპერატორმა დაიწყო ახალ-ახალი შემოსავლების ძიება. კონსტანტინე IX-მ შემოიღო ახალი გადასახადები, გაამკაცრა ფისკალური პოლიტიკა. სკილიცე-კედრენე საინტერესოდ აღწერს იმპერატორის ამ ღონისძიებებს: „მეფე რომ აშენებდა დიდი მოწამის, წმინდა გიორგის სახელობის ეგრეთ წოდებულ მანგანის მონასტერს და უხვად ხარჯავდა ამ მშენებლობისათვის სახელმწიფო ფულებს (თუ აშენებისათვის, თუ დანგრევისათვის), ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ამის გამო

---

[23] Р. Ф. Тафт, Византийский церковный обряд (краткий очерк), С.-П., 2000, გვ. 95.

[24] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 200.

[25] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 200-201.

ყოველგვარ მევახშეობას მიმართავდა და უმართებულო და გამოგონილ გადასახადებს ადებდა ხალხს. ჩააყენა უღვთო და უწმინდური გადასახადის ამკრეფები და მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროებიდან".[26] კონსტანტინე IX მონომახი არ მოერიდა იბერიის თემის ჯარის დაშლასაც კი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ინახავდა. სამაგიეროდ, იბერიის თემში შემოიღეს ახალი გადასახადები, რომლებიც პირდაპირ სახელმწიფო სალაროში უნდა შესულიყო.[27]

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში გარკვეული პრობლემები შეექმნებოდა ქართველთა მონასტერს ათონზე, ვინაიდან იგი საკმაოდ დიდ მამულებს ფლობდა. კონსტანტინე IX მონომახის დროს ეკლესიებსა და მონასტრებს ერთმეოდათ შეუვალობა, თუ ისინი არ წარმოადგენდნენ პრივილეგიის სათანადო დოკუმენტებს. სხვათა შორის, ის, რომ ათონის ივერიის მონასტერიც შეუწუხებიათ გადასახადების ამკრეფებს, ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან", რომელშიც ამის შესახებ საგანგებოდაა აღნიშნული: „და კუალად რამეთუ დიმოსისგან დიდსა ჭირსა შინა იყვნეს პრასტინნი ჩუენნი".[28] გიორგი მცირის თქმით, ასეთი ვითარება სუფევდა ივერიის მონასტერში ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ვიზიტის წინა ხანებში. აშკარად ემთხვევა კონსტანტინე IX-ის ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებას.

მონასტრის მესვეურთ გადაუწყვეტიათ, ამ საკითხზე თავად იმპერატორისათვის მიემართათ. ამ ვითარებაში ბერებს „ესრეთ მისცა უფალმა ჟამი მარჯვე". 1051-52 წლებში კონსტანტინოპოლს ეწვია საქართველოს მეფე და მისი დედა. გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორთან ვიზიტი სწორედ ამ დროს დაამთხვია. სავარაუდოდ, გიორგი 1052 წელს უნდა ჩასულიყო კონსტანტინოპოლში. გიორგი მცირე წერს: „მას ჟამსა, ოდეს ღმრთის-მსახური ბაგრატ აფხაზთა მეფე და დედაჲ მისი მარიამ დედოფალი სამეუფოდ ქალაქად მოვიდეს, აღვიდა ნმიდაჲცა ესე მამა ჩუენი წინაშე ღმრთის-სამსახურთა მათ მეფეთა".[29]

ბაგრატ IV-მ და მარიამ დედოფალმა დიდი პატივით მიიღეს ივერიის მონასტრის წინამძღვარი. მეფემ და დედოფალმა იშუამდგომლეს კონსტანტინე IX-ის წინაშე და მართლაც, მალე ყოველივე ქართველი ბერების სასარგებლოდ გადაწყდა. „და ესრეთ ყოველივე საქმე მონასტრისა, რაჲც უნდა, ყოველი კეთილად იურვა. და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყდა, რაჲთა მედიმოსენი პრასტილთა ჩუენთა ვერ შემოვიდოდინ, არამედ რათა გარე-გარე სეკრიტონსავე

[26] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 81.

[27] იქვე.

[28] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 201.

[29] იქვე.

შინა მიეცემოდის როქისა ჩვენისაგან ლიტრა ერთი დიმოსად, ვითარცა თჳთ განაწესა ღმრთის-მსახურმან მეფემან კონსტანტი მონომახმა, და ამას ზედა ოქრო-ბეჭედი შეუქმნა მტკიცე და უქცეველი",[30] – დასძენს გიორგი მცირე.

ამ მონათხრობში ყოველივე ნათლადაა მითითებული, მაგრამ ვფიქრობთ, მას გარკვეული კომენტარი მაინც ესაჭიროება. გიორგი მცირის მითითებით, ამიერიდან „მედიმოსენი პრასტინთა ჩვენთა" ვერ შემოვიდოდნენო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადების ამკრეფები (მედიმოსენი) მონასტრის მამულებს უკვე ველარ გაეკარებოდნენ და იმპერატორის ბრძანებით, გადასახადი ქართველ ბერებს უშუალოდ სეკრიტონში უნდა გადაეხადათ, ე. ი. იმპერატორის კარზე არსებულ საგანგებო საფინანსო საქმეთა სამდივნოში. ამასთანავე, კონსტანტინე IX მონომახს ივერიის მონასტრისათვის დაუკისრებია ფიქსირებული გადასახადი – „ლიტრა ერთი". ამას გარდა, საქართველოს მეფეს და დედოფალს მოუხერხებიათ, იმპერატორისაგან მონასტრისათვის გამოეთხოვათ „ლიტრა ერთი სოლიმნი". ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს როგორც გიორგი მცირე, ასევე ათონის ქართული მონასტრის სააღაპე წიგნი.[31]

სოლიმნი ბიზანტიის იმპერატორების მიერ ეკლესია-მონასტრებისთვის მიცემული ყოველწლიური გასაცემელია. რომანოზ III-ის დროს წმ. სოფიის ტაძარს სოლიმნის სახით ყოველ წელს 80 ლიტრა დაუწესდა. ათონის მთაზე განლაგებულ მონასტრებზე 180 ლიტრა ოქრო გაიცემოდა იმპერიის სალაროდან.

ათონის ივერიის მონასტრის სააღაპე წიგნში დაცულია როგორც კონსტანტინე IX მონომახის, ასევე ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის სახელზე შექმნილი აღაპები, რომლებშიც საგანგებოდაა ხაზგასმული დიმოსის „მოსწყვეტასა" და სოლიმნის გაწესებაში მათი დამსახურება.[32] ამ მოვლენების გადმოცემისას გიორგი მცირეს ასევე მოთხრობილი აქვს ერთი საკმაოდ საინტერესო ფაქტი, რომელიც ბიზანტიის ისტორიაში ნაკლებადაა ცნობილი. ქართველი ავტორის თქმით, კონსტანტინე IX მონომახის მეფობისას იმპერატორის სანადირო ადგილებში მხეცები მომრავლდნენ, რომლებიც მუსრს ავლებდნენ ნადირს. იმპერატორის ბრძანებით, მხეცთა დასახოცად „გრძნებათა შინა" განთქმული პირები მოუწვევიათ. მათ „ჴელოვნებითა გრძნებისა თჳისისაჲთა მოსწყჳდნენ მჴეცნი იგი ნადირთა მათ მომსრველნი. ხოლო მათ ბრძანებაჲ მეფისა საქმით აღასრულეს და მრავალი მჴეცი მოსწყჳდეს".[33] გიორგი

---

30 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 201.

31 ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტერის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 140.

32 ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტერის სააღაპე წიგნი, გვ. 140, 159-161.

33 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 202.

მცირის მინიშნებით, ეს პირები სამარიტელები ყოფილან, სვიმეონ მოგვის ტომისაგან, რომელთაც აწინკიანებს უწოდებდნენ. ამ ფაქტის შესახებ ბაგრატ IV-საც შეუტყვია. საქართველოს მეფე დაინტერესებულა, როგორ ახერხებდნენ ისინი ამ ყოველივეს და ამიტომ ეს პირები თავისთან მიუწვევია. აუდიენციისას მათ დანვრილებით მოუთხრეს ბაგრატ IV-ს თავიანთი ხელოვნების შესახებ. თურმე ისინი ხორცს შეულოცავდნენ და მას მხეცებს უგდებდნენ საჭმელად, თავად კი ხეზე აძვრებოდნენ და „მჭეცებრ ჴმითა“ ცხოველებს იტყუებდნენ. ის მხეცი, რომელიც ასეთ საკვებს მიიღებდა, იმწამსვე კვდებოდა. „ხოლო დიდსა შაბათს შობილი მჭეცი, – იქვე აღნიშნეს მისნებმა, – არა გჳსმენს და არა ჭამსო“.[34] ამ მონათხრობით გაკვირვებულმა მეფემ გაგონილის ნახვა ისურვა. ბაგრატ IV-სთან ძაღლი მოიყვანეს. მისნებმა შელოცვილი ხორცი მიუგდეს ცხოველს. გიორგი მთაწმინდელი ამ დროს კონსტანტინოპოლში საქართველოს მეფესთან იმყოფებოდა. წმ. ბერმა მოწამლულ ხორცზე ჯვარი გამოსახა. როდესაც ძაღლმა ეს ხორცი შეჭამა, მისი სიკვდილის მომლოდინეებმა დარბაზიდან გაიყვანეს. მაგრამ აქ მოხდა სასწაული. ძაღლს არაფერი ევნო. დამსწრენი მიხვდნენ, რომ ეს გიორგი მთაწმინდელის სასწაულის ნყალობით მოხდა და ამიტომ მეფეს სთხოვეს, ბერი სხვა ოთახში გაეყვანა. ბაგრატ IV ასეც მოიქცა. ამჯერად შელოცვილმა ხორცმა უცაბედად გამოასალმა სიცოცხლეს მეორედ მოყვანილი ძაღლი. გიორგი მცირე იქვე დასძენს: „გულისჴმაყვეს ყოველთა, ვითარმედ წმიდასა მის მიერ იყო პირველი იგი სასწაული“.[35] მოგვიანებით, ბაგრატ IV-მ აუდიენციისას მოუთხრო იმპერატორს ამ სასწაულის შესახებ: „ხოლო ბაგრატ მეფემან, ვითარცა იხილა ესე ყოველთა თანა მთავართა თჳსთა, აღივსო სიხარულითა და მიუთხრეს სასწაული ესე ღმრთის-მსახურსა მეფესა კონსტანტის მონომახსა და დიდად განიხარა და ჰმადლობდა (ღმერთსა)“.[36]

გიორგი მცირეს შემონახული აქვს უნიკალური ცნობები 1056 წელს ბაგრატ IV-ის ასულის, მართას (მოგვიანებით ბიზანტიის დედოფლის, მართა-მარიამის) კონსტანტინოპოლში აღსაზრდელად ჩაყვანის შესახებ. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ დედოფალ თეოდორას საქართველოს მეფისათვის უთხოვია, ბიზანტიაში გაეგზავნა თავისი ასული. გიორგი მცირე აღნიშნავს: „ჟამსა მას, ოდეს იგი თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ აფხაზთა მეფისგან, რაჲთა მისცეს ასული მისი მართა და შვილად თჳსად აღზარდოს. ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა

[34] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 203.
[35] იქვე.
[36] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 204.

წარმოუგზავნა შვილი თჳისი მართა კაცთა თანა საკუთართა თჳსთა".[37] როგორც ვხედავთ, ოფიციალური მიზეზი უფლისწულის კონსტანტინოპოლში ჩაყვანისა იყო მისი ბიზანტიაში აღსაზრდელად მინვევა. პოლიტიკური მოტივები კი აბსოლუტურად გასაგებია – მართას მძევლის როლი უნდა ეთამაშა. მაგრამ უფლისწულის კონსტანტინოპოლში ჩასვლისას თეოდორა დედოფალი გარდაცვლილა. გიორგი მცირის მითითებით, როდესაც მართა სასახლეში შეუყვანიათ, გიორგი მთაწმინდელს, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, უთქვამს: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა".[38] ბერის ეს რეპლიკა ერთგვარი წინასწარმეტყველება აღმოჩნდა. მართლაც, მოგვიანებით მართა ბაგრატ IV-ის ასული ბიზანტიის დედოფალი გახდა.

1056 წელს გიორგი მთაწმინდელი ათონის მთიდან სამოღვაწეოდ შავ მთაზე ბრუნდება. გიორგი მცირის თქმით, ივერიის მონასტრის წინამძღვარს ეს გადაწყვეტილება კონსტანტინოპოლში იმპერატორისათვის მოუხსენებია. ამ უკანასკნელს მეტად ემძიმებოდა გიორგის გაშვება და მხოლოდ მარიამ დედოფლის შუამდგომლობის შემდეგ დართო ბერს შავ მთაზე გადასვლის ნება.[39] ეს პასაჟი ნათლად მიუთითებს, რომ ათონის მონასტრების წინამძღვრების განთავისუფლება ან ცნობილი ბერების სხვა სავანეში გადასვლა იმპერატორის ნება-სურვილით ხდებოდა. გიორგი მცირე ასევე მიუთითებს, რომ შავ მთაზე მიმავალ გიორგის „წიგნი სამეუფო" წაუღია.[40] მას შემდეგ, რაც გიორგი სვიმეონ-წმიდას მონასტერში დამკვიდრდა, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ანტიოქიისა და შავი მთის მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებთან. ქართველ ავტორს მეტად საინტერესო ცნობები აქვს დაცული წმ. ბერისა და ანტიოქიის პატრიარქებს შორის ურთიერთობებზე. გიორგი მთაწმინდელის შესახებ თავიდანვე შეუტყვია ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს (1052-1056) და თავისთან მიუწვევია. გიორგი მცირის გადმოცემით, პატრიარქსა და ბერს შორის გამართულა საუბარი წმინდა წერილისა და საეკლესიო კანონების შესახებ. ამ შეხვედრის შემდეგ პეტრე მეტად დაახლოებულა გიორგი მთაწმინდელთან. თავის მხრივ, ქართველმა ბერმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა, როდესაც ანტიოქიაში ცეცხლი გაუჩნდა პეტრე მოციქულის ტაძარს და დაიწვა. გიორგი საგანგებოდ ჩავიდა ანტიოქიაში და ანუგეშა პატრიარქი.[41]

---

[37] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 206.

[38] იქვე.

[39] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 207.

[40] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 207-208.

[41] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 212.

გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმინდელს ასევე საქმიანი ურთიერთობა ჰქონია ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურთან, თევდოსი III-სთან (1057-1059). ქართველი ავტორი ამ პატრიარქს „სამეუფოელს" უწოდებს. მაშასადამე, ის ან სამეფო ჩამომავლობის, ან წარმოშობით კონსტანტინოპოლელი ყოფილა.[42] სწორედ თევდოსის პატრიარქობის დროს, ანტიოქიაში მოეწყო ორი დისპუტი ქართველ და ბერძენ სამღვდელოებას შორის ქართველი ბერების უფლებებისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. გიორგი მცირის მითითებით, შავი მთის ბერებს მოუწადინებიათ ქართველთა გაყრა სვიმეონ-წმიდის ლავრიდან. მათ პატრიარქიც წაუქეზებიათ, მაგრამ გიორგი მთაწმინდელმა მოახერხა, დაერწმუნებინა თევდოსი ამ აზრის უსაფუძვლობაში.[43] შემდგომ ბერძენ ბერებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დაუყენებიათ ეჭვქვეშ. მათი არგუმენტების მიხედვით, ვინაიდან საქართველოში არც ერთ მოციქულს არ უქადაგია, ამიტომ ქართულ ეკლესიას უფლება არ ჰქონდა, ავტოკეფალური ყოფილიყო; იგი უნდა დაქვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს, როგორც ყველაზე მახლობელ საეკლესიო ცენტრს. პატრიარქის სასახლეში გამართულ დისპუტში გიორგი მთაწმინდელმა, ანდრია მოციქულის „მიმოსლვაის" წიგნზე დაყრდნობით, ბერძენი ბერების მოსაზრების უსაფუძვლობა დაამტკიცა. გიორგი მცირის გადმოცემით, ბერს ანტიოქიის პატრიარქისთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ: თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი: და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყჳ კანანელსა – ქვეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ".[44] შემდეგ გიორგი მთაწმინდელმა გაიხსენა, რომ ხატმებრძოლობის დროს, როდესაც „ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოებოდა", თვით იოანე გუთელი მცხეთაში ეკურთხა ეპისკოპოსადო.[45] ბოლოს და ბოლოს, ეს დისპუტი იმით დასრულდა, რომ პატრიარქმა შერისხა შუღლის ჩამომგდები ბერძენი ბერები. გიორგი მცირის თქმით, იმ მომენტიდან თევდოსი III ძალიან დაუახლოვდა გიორგი მთაწმინდელს: „მიერ დღითაგან ესრეთ შეიყუარა (ე. ი. გიორგი – ჯ. ს.) პატრეაქმან და ყოველთა ანტიოქიელთა, ვითარცა მამა და

[42] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 128.
[43] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 213-214.
[44] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 216.
[45] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 217.

მოძღვარი სულიერი".[46] ივ. ჯავახიშვილის სრულიად სამართლიანი შენიშვნით, „გიორგი მთაწმინდელის მარად მადიდებელი უნდა იყოს საქართველო, რომ მან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა და ბერძენთა სამღვდელოების მიმტაცებლობისაგან იხსნა".[47]

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში" მოიპოვება თურქ-სელჩუკთა აღმოსავლეთში აგრესიის ამსახველი რამდენიმე ცნობაც. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია XI საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს წინა აზიაში არსებული საერთაშორისო ვითარების რეკონსტრუირება. გიორგი მცირე მთელ პასაჟებს უთმობს მომთაბარე ოღუზების მიერ ბიზანტიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაპყრობის აღწერას. 1058-59 წლების მიჯნაზე, საქართველოს მეფის დაჟინებული თხოვნით, გიორგი მთაწმინდელმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. ძეგლში აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-მ ბერის ჩამოსაყვანად შავ მთაზე თავისი ელჩი, „საკუთარი თჳსი იოანე" გაგზავნა. მეფის წარმომადგენელმა გიორგი მთაწმინდელს ჩაუტანა მოგზაურობისათვის საჭირო თანხაც. ამასთანავე, იოანემ ანტიოქიის დუკას და პატრიარქს მიართვა ბაგრატ IV-ის წერილები, რომლებშიც მეფე გიორგი მთაწმინდელს გამგზავრებაში დახმარებასა და ხელის შეწყობას სთხოვდა.[48]

1059 წლის შუა ხანებში გიორგი მთაწმინდელი მცირე ამალით სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. იგი ანტიოქიიდან ევფლატისკენ წასულა და იქიდან აპირებდა საქართველოსაკენ წამოსვლას. მაგრამ, გიორგი მცირის თქმით, მდ. ევფლატთან მისულებს გაუგიათ, რომ „თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ისაური და საბერძნეთი".[49] როგორც ჩანს, ოღუზებს უკვე დაკავებული ჰქონიათ ანტიოქიიდან სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალი უმოკლესი გზები, რომლებიც სომხურ ტერიტორიებზე გადიოდა, ამიტომ გიორგიმ შემოვლითი მარშრუტი აირჩია. იგი სევასტიისაკენ წავიდა, მაგრამ, გიორგი მცირის მითითებით, „უწინარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი, და აეღო ქალაქი იგი და დაენვა და ჩუენ არა უწყოდეთ და მივიდოდეთ და კნინღადა მცირედ ჴელთა მათთა შთავვარდებოდეთ".[50] ამდენად, გიორგი მთაწმინდელის მოგზაურობას დამთხვევია თურქ-სელჩუკების მიერ სევასტიის აღება. სომეხი მემატიანის, მათეოს ურჰაელის ცნობით, ქ. სევასტია მომთაბარე ოღუზებს აუღიათ 1059

[46] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 217.

[47] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 183.

[48] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 219.

[49] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 220.

[50] იქვე.

წლის 6 აგვისტოს, ფერიცვალება დღეს. ქალაქს სენექერიმ არწრუნის ვაჟები განაგებდნენ. ამ უკანასკნელთ, გაუგიათ რა თურქ-სელჩუკების მოახლოება, მიუტოვებიათ ქალაქი და ხავანდანეკში (დღევ. დეველი) გადასულან. მტერმა ადვილად მოახერხა სევასტიის დაუფლება. თურქ-სელჩუკებს აუარებელი სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში. მათ რვა დღის განმავლობაში ძარცვეს ქალაქი და მიმდებარე ტერიტორია, ბოლოს კი „სპარსეთში" დაბრუნდნენ.[51]

სწორედ ამ დროს სევასტიისაკენ მოემგზავრებოდა გიორგი მთაწმინდელი თავისი ამალით. როგორც ჩანს, თურქთა შემოსევა მართლაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან ქართველმა ბერებმა მხოლოდ ქალაქთან მიახლოებისას შეიტყვეს სევასტიის აღების ამბავი. „ცხოვრებიდან" კარგად ჩანს, რომ მტერი მარტო ქალაქის ძარცვა-გლეჯით არ ყოფილა დაკავებული. თურქ-სელჩუკები მიმდებარე ტერიტორიასაც აოხრებდნენ. გიორგი მცირის მითითებით, ისინი ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, კინაღამ თურქ-სელჩუკებს რომ ჩავარდნიან ტყვედ. ამიტომ გიორგი მთაწმინდელი თანმხლებ პირებთან ერთად მთებში დამალულა და ასე, „დღე და ღამე სლვითა", კესარიაში ჩავიდა.[52] აქედან ქართველი ბერი ამასიისაკენ წავიდა, სადაც დაბა ევხაიტში წმ. თევდორეს სამარტვილე მოილოცა, შემდეგ კი „სამისონს" (სამსუნი) ჩასულა, საიდანაც ზღვით ფოთში მოსულა.[53] გიორგი მთაწმინდელი საქართველოში 1059 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა და სამშობლოში ხუთი წელი დაჰყო.

„ცხოვრებაში" საინტერესო ცნობებია დაცული გიორგი მთაწმინდელის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. ამ ეპოქის აღწერისას ისტორიკოსები გვერდს ვერ აუვლიან გიორგი მცირის მონათხრობს. საქართველოს ისტორიის ბევრი მოვლენა სწორედ „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისას" მიხედვითაა ჩვენთვის ცნობილი. ამ მხრივ ეს ძეგლი, მართლაც რომ, უნიკალურია.

1065 წელს გიორგი მთაწმინდელი კვლავ ბიზანტიაში ბრუნდება. გიორგი მცირის თქმით, კონსტანტინოპოლში მისი ჩასვლა დამთხვევია იქ ქართველი პრინცესის, მართას ჩაყვანას. „ცხოვრების" ავტორის მითითებით, კონსტანტინე X დუკას თავისი ვაჟისთვის, მიხეილისათვის, საცოლედ უთხოვია საქართველოს მეფის ქალიშვილი. „ხოლო წარმოვემართენით მას ჟამსა, ოდეს მართა უფლისწული სძლად თჳსად კოსტანტინე დუკამან მოიყვანა დედოფლად სამეუფოსა ამას ქალაქსა", – წერს გიორგი მცირე.[54] „ცხოვრებიდან" ვიგებთ, რომ იმპერატორს სარძლოს ჩამოსაყვანად საქართველოში გამოუგზავნია ბი-

[51] К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М.,1988, გვ. 229.

[52] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 220.

[53] იქვე.

[54] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 235.

ზანტიელი დიდებული აარონი. თავის მხრივ, მართა (მარიამი) ბიზანტიაში ჩავიდა დიდი დელეგაციის თანხლებით, რომელსაც პეტრე პეტრიკ-ყოფილი და იოანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი და სვინგელოზი ხელმძღვანელობდა.[55]

საქართველოდან გიორგი მთაწმინდელი დიდი პატივით გააცილა მეფემ და მთელმა სამეფო კარმა. ამასთანავე, ბერმა ბიზანტიაში აღსაზრდელად წაიყვანა 80 ობოლი ბავშვი. „ცხოვრების" მიხედვით, გიორგი კონსტანტინოპოლში 1065 წლის ივნისში ჩავიდა. ამ დროს მართა უკვე ბიზანტიაში იმყოფებოდა. იმპერიის დედაქალაქში მისვლისთანავე კონსტანტინე X-მ აუდიენცია გამართა გიორგი მთაწმინდელთან. შეხვედრას დასწრებია ბერძენი, ქართველი, რომაელი და სომეხი დიდებულები და სასულიერო პირები. „ცხოვრებიდან" ვიგებთ, რომ ამ დროს გაგიკ კარელი (კარის/ყარსის უკანასკნელი მეფე) უკვე კონსტანტინოპოლშია და ის იმპერატორმა საგანგებოდ მიიწვია გიორგი მთაწმინდელთან აუდიენციისას. „ხოლო იყვნეს მას ჟამსა წინაშე მეფისა მდგომარე კაცნი ვინმე დიდებულნი და წარჩინებულნი – ჰრომნი და სომეხნი, რომელთა თანა იყო გაგიკ კარელი და სხუანი თავადნი სამეუფოჲსანი", – წერს გიორგი მცირე.[56] იმპერატორსა და ბერს შორის გაიმართა საუბარი თეოლოგიურ საკითხებზე. კონსტანტინე დუკას აინტერესებდა, რა განსხვავება იყო კათოლიკურ და ბერძნულ (ე. ი. მართლმადიდებლურ) სარწმუნოებას შორის. რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის რელიგიური განხეთქილების შემდეგ (1054 წ.), როგორც ჩანს, ეს საკითხი ბიზანტიისათვის საკმაოდ აქტუალური იყო. გიორგი მთაწმინდელის პასუხი გონებამახვილური გამოდგა, რითიც იმპერატორი მეტად კმაყოფილი დარჩა. იმავეს თქმა შეიძლება იქ მყოფ რომაელებზეც, რომელთაც თვით რომის პაპთან წაყვანაც კი შესთავაზეს ქართველ ბერს.[57]

გიორგი მთაწმინდელი მეორე დღეს კვლავ შეხვდა იმპერატორს. ამჯერად ბერმა მას საქართველოდან აღსაზრდელად ჩამოყვანილი ახალგაზრდები შეახვედრა. კონსტანტინე X დუკამ ბავშვების ნახვის სურვილი გამოთქვა და შეხვედრაც დაუნიშნა „გარე ფილიპატსა (ფილოპატი, ნაკრძალი, სანადირო ბაღი – ჯ. ს.)". რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი მთაწმინდელმა მართლაც წარუდგინა იმპერატორს საქართველოდან ჩამოყვანილი პატარები და საგანგებო „პიტაკი" (წერილობითი სათხოვარი) გადასცა, რომელშიც იმპერატორს სთხოვდა, ობლებისათვის ათონის მთაზე შესვლისა და ცხოვრების უფლება

---

[55] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 235.

[56] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 237.

[57] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 237-238.

მიეცა.[58] საერთოდ, ათონის მთის მონასტრებში აკრძალული იყო საჭურისებისა და ყრმების მიღება. 1045 წელს ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა ათონზე, სადაც ათონის პროტს, თეოფილაქტს, დიდი ლავრის წინამძღვარ ნეოფიტეს, ვატოპედის სავანის წინამძღვარ ათანასეს და ივერიელთა სავანის წინამძღვარ გიორგის (მთაწმინდელს) შეუტანიათ წინადადება, მონასტერსა და მის შემოგარენში არ მიეღოთ საჭურისნი და უწვერულნი; ისინი არც ბერებად აღეკვეცათ. ამის კონტროლი უნდა გაეწიათ ათონზე ზედამხედველად დადგენილ ბერებს. წინადადება მოიწონეს და მისი დაცვა ყველასათვის სავალდებულო გახდა.[59] ამ პირობებიდან გამომდინარე, გიორგი მთაწმინდელმა მიზანშეწონილად მიიჩნია, 80 ყმაწვილის ათონზე აღსაზრდელად მიყვანისათვის იმპერატორისაგან საგანგებო ნებართვა აეღო. ამის გარეშე მათ ივერიის მონასტერში ცხოვრების ნებას არავინ დართავდა.

ამ შეხვედრის შემდეგ გიორგი მთაწმინდელს დიდხანს აღარ უცოცხლია და რამდენიმე დღეში იქვე, კონსტანტინოპოლში მიიცვალა. როგორც გიორგი მცირე მოგვითხრობს, კონსტანტინე X დუკამ აღუსრულა ქართველ ბერს თავისი ბოლო თხოვნა და ორი ხრისობული გამოსცა. ერთში იგი უფლებას აძლევდა 80 ობოლს, ეცხოვრა ათონის მთაზე, მხოლოდ მეორე სიგელით იმპერატორი ათონის ივერიის მონასტრისადმი მანამდე გაცემულ ყველა ხრისობულს ანახლებდა. 1956 წელს F. Dölger-მა გამოაქვეყნა კონსტანტინე X დუკას მიერ 1065 წელს ათონის ივერიის მონასტრისადმი გაცემული ხრისობულის პირი. ეს უნდა იყოს სწორედ გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული სიგელი, რომელშიც კონსტანტინე X წინა იმპერატორების მიერ გაცემულ ხრისობულებს ანახლებდა. იმპერატორის ბრძანებით, ათონის ივერიის მონასტერს გადასახადი უშუალოდ იმპერატოროს კარზე უნდა გადაეხადა. იკრძალებოდა გადასახადის ამკრეფთა მიერ მონასტრის შეწუხება.[60] ამ ხრისობულში ასახული უნდა იყოს ის პრივილეგია, რომელიც 1052-1054 წლებში მიანიჭა კონსტანტინე X მონომახმა ათონის ივერიის მონასტერს.

გიორგი მთაწმინდელი ათონზე გადაასვენეს და ივერიის მონასტერში დაასაფლავეს. მისი „ცხოვრების“ ზემორე განხილული ცნობების გარდა, თხზულებაში მოიპოვება საყურადღებო ინფორმაცია საქართველოს სამეფო კარსა

[58] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 239-241.

[59] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 121; П. Успенский, История Афона, III, Киев, 1877, გვ. 85.

[60] F. Dölger, Finanzgechichtliches aus der Byzantinischen Kaiserkanzlei des XI Jh. Zum Tetarteron, München, 1956, გვ. 6-8; ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, თბ., 1980, გვ. 3-5; Г. А. Острогорский, К истории иммунитета в Византии, «Византийский временник», т. XIII, М., 1958, გვ. 70-71.

და ბიზანტიის იმპერატორებს შორის მიმოწერის შესახებ. „ცხოვრებაში“ შემონახულია ავტორისეული პერიფრაზი ბაგრატ IV-ის წერილისა კონსტანტინე X დუკასადმი, სხვა წერილების კი მხოლოდ არსებობა დასტურდება.

გიორგი მცირეს საინტერესო ცნობები დაუცავს ბიზანტიაში მოღვაწე ქართველთა შესახებ. მისი მითითებით, ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის კარზე იმყოფებოდა ვინმე თეოფილე, ტომით ქართველი, რომელიც მოგვიანებით ტარსუს მიტროპოლიტი გახდა. „ცხოვრებაში“ მოხსენიებულია, ასევე, ანტონ ლიპარიტყოფილი, ცნობილი ქართველი ფეოდალი, პრობიზანტიური დაჯგუფების მეთაური საქართველოში – ლიპარიტ ბაღვაში. ეს უკანასკნელი 1055 წელს შეიპყრო ბაგრატ IV-მ და ბერად აღკვეცა, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში გააძევა.[61] საყურადღებოა გიორგი მცირის ცნობები ბიზანტიაში მცხოვრებ სხვა ერებზეც. ათონიდან კონსტანტინოპოლში მიმავალმა გიორგი მთაწმინდელმა ერთხელ მოინახულა ივერიის მონასტრის მამულები ლივიზდიაში, სადაც ბულგარელები ცხოვრობდნენ. ქართველმა ავტორმა კარგად იცის, რომ ბულგარელები სლავები არიან: „მუნ ხოლო კაცნი მკჳდრ არიან ბორღალნი, რომელთა სკლავ ეწოდების“.[62] ამ სოფელში ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა წარმართული კერპი, რომელიც გიორგი მთაწმინდელს დაუნგრევია.

ამ ცნობების გარდა, „ცხოვრებაში“ გვხვდება იმპერატორის სასახლის ადმინისტრაციისა და ბიზანტიის საერო თუ საეკლესიო თანამდებობების აღმნიშვნელი ტერმინები.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ XI საუკუნის ბიზანტიის ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა და საჭიროა, ბიზანტინოლოგებმა ამ ძეგლს მეტი ყურადღება დაუთმონ.

---

[61] ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1999, გვ. 76.

[62] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 204.

ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში – პოლიტიკური კრიზისის ანატომია

საქართველოში XI საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი მეფესა და ფეოდალურ ოპოზიციას შორის. ისტორიკოსები ხშირად მსჯელობენ საკითხზე – ვინ იყო დამნაშავე და ინიციატორი ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებისა. ჩვენი აზრით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე ცალსახად ერთი მხარის დადანაშაულება არ შეიძლება. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორივე მებრძოლ ბანაკს. ცენტრალური ხელისუფლება კლდეკარის ერისთავთან მიმართებით ბევრ შეცდომას უშვებდა. ბუნებრივია, ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის ლიპარიტსაც, უპირველესად, სამოქალაქო ომის გაღვივებისა და უცხო ძალის მოწვევის გამო. საერთოდ, შთამომავლობა ყოველთვის ლმობიერია ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიმართ, რაოდენ რადიკალური და ულმობელიც უნდა იყოს იგი და მეტად მკაცრია ფეოდალთა მიერ მეფის თუ სამეფო კარის წინააღმდეგ მიმართული აქციის შეფასებისას. ამას თავისი ახსნა აქვს. ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში ცენტრისკენული ძალები ყოველთვის მიმზიდველია, სეპარატისტული მოძრაობა კი, პირიქით, კრიტიკას იმსახურებს. ასეთია ისტორიის კანონზომიერება, რომელსაც ვერსად გაექცევით. თუმცაღა, ისტორიკოსის ვალია, ჯეროვნად შეაფასოს მოვლენები და დეტალურად აჩვენოს თითოეული პროცესის გამომწვევი მიზეზები.

საქართველოში XI საუკუნის 40-50-იან წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომზე მსჯელობისას, ბუნებრივია, ლიპარიტ ბაღვაშის როლი ყოველთვის უარყოფითად იქნება შეფასებული, ვინაიდან იგი სეპარატისტული მოძრაობის მამამთავარი იყო და მისი ქმედება ქვეყნის ერთიანობის ბალავარს ასუსტებდა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის საწყის ეტაპზე დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობა ცენტრალურ ხელისუფლებასაც ეკისრება, რამეთუ სამეფო კარის არაგეგმაზომიერმა მოქმედებებმა კლდეკარის ერისთავი მტრად აქცია. მეტიც, ბაგრატი IV-ის გარშემო შეკრებილი ფეოდალები ფარულად ებრძოდნენ ლიპარიტს და მისი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებას ცდილობდნენ.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით ლიპარიტ ბაღვაშის რეაბილიტაცია გვსურს. უბრალოდ, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ არც ის ფეოდალები იყვნენ უცოდველნი, რომლებიც, სამეფო კარს ამოფარებულნი, საკუთარ პოლიტიკურ თამაშს აწარმოებდნენ.

მოვლენათა ქრონოლოგია

თავდაპირველად შევეხოთ სტატიაში ასახული მოვლენების დათარიღების საკითხს. ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა მეტად მნიშვნელოვანია პროცესის გააზრებისთვის, რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სიზუსტით შევაფასოთ, ცალკეულ ისტორიულ ფაქტსა თუ მოვლენაზე რა საგარეო და საშინაო პოლიტიკური კონიუნქტურა მოქმედებდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენთვის საინტერესო ამბების გადმოცემისას, ცალკეულ შემთხვევაში, ქართველი ისტორიკოსები კვლავ იყენებდნენ XX საუკუნის დასაწყისში მიღებულ ქრონოლოგიას, რომელიც დიდი ხანია დაზუსტებული და შეცვლილია.[1]

როდის დაიწყო კონფლიქტი მეფესა და ერისთავს შორის?

მხარეთა შორის სამხედრო დაპირისპირება დაიწყო თბილისის მეორე გარემოცვისას მომხდარი მოვლენების შემდეგ, როდესაც მეფემ, ლიპარიტ ბაღვაშის დაუკითხავად, ქალაქის ალყა მოხსნა და თბილისის ამირა ჯაფარს დაუზავდა. ლიპარიტმა აჯანყება დაიწყო, ბიზანტიელებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით ცენტრალურ ხელისუფლებას შეუტია. ეს დაპირისპირება დიდხანს არ გაგრძელებულა. ზამთრის დადგომისთანავე ბიზანტიელთა ჯარი უკან დაბრუნდა, მხოლოდ ლიპარიტი დაუზავდა ბაგრატ IV-ს. მეფემ „ურჩ ყმას" ქართლის ერისთავთერისთავის პატივი უბოძა. ქვეყანაში დროებით კვლავ დაისადგურა მშვიდობამ. აღნიშნული მოვლენების შესახებ ვრცელი ცნობა მხოლოდ „მატიანე ქართლისას" შემოუნახავს. ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით, აქ მხოლოდ დავძენთ, რომ ქართველი ავტორი ყოველგვარი ქრონოლოგიური დაზუსტების გარეშე მოუთხრობს მკითხველს ამ ფაქტის შესახებ.[2] გარკვეულ ქრონოლოგიურ ორიენტირს იძლევა სომეხი

---

[1] ამ საკითხზე იხ.: ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის, ქართული დიპლომატია, №4, თბ., 1997, გვ. 235-252; ჯ. სამუშია, ბაგრატ IV, თბ., 2020. ქრონოლოგიის ცალკეული საკითხები განხილულია ნაშრომში: ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990. შესაბამისი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა იხ. აქვე.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მოვლენების დათარიღება სცადა, მარი ბროსე იყო, რო-

მემატიანე ვარდან არეველცი. მასთან ვკითხულობთ: „ქართველთა მთავარი ლიპარიტი აუჯანყდა (ბაგრატს), გააქცია ის შიდა აფხაზეთში და თვით ეპყრა ქვეყანა ბრძნულად, კეისარ მიქაელის ხელშეწყობით. (მიქაელმა) სიკვდილის წინ გვირგვინი გადასცა თავის დისშვილს კალაფატს".[3] ვარდანის ეს ცნობა ძვირფას ინფორმაციას შეიცავს საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიისათვის.[4] ამ ცნობებზე დაყრდნობით, ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის პირველი დაპირისპირება ქართულ ისტორიოგრაფიაში, უპირატესად, 1042-1043 წლებითაა დათარიღებული. მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნული თარიღი გადასინჯვას მოითხოვს. ვარდანთან კლდეკარის ერისთავის ხელშემწყობად იმპერატორი მიხეილ IV (1034-1041) ჩანს, რომლის გარდაცვალების შემდეგ ტახტი მართლაც მისმა დისშვილმა, იმპერატორმა მიხეილ V კალაფატმა (1041-1042) დაიკავა. მოვლენები ასე უნდა განვითარებულიყო: თბილისის ალყა 1040 წელს დასრულდა; ამავე წელსაა სავარაუდო კახეთ-ჰერეთზე ლაშქრობა და, ამდენად, ლიპარიტის გამოსვლა შეიძლება 1041 წლისათვის გადავდოთ. ჩვენი

მელიც მათ დაახლოებით 1038-1040/41 წლების შუალედში ვარაუდობდა (M. Brosset, Histoire de la Georgie, Depuis l'antiqite jusqu'au XIX siecle, t. 1, St.-Pb., 1849, გვ. 318-319). ივ. ჯავახიშვილი 1044-1045 წლებში აქცევდა მათ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 143). ვ. კოპალიანმა კონფლიქტის დასაწყისი 1042 წლით დაათარიღა (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 190). აღნიშნული საკითხი განხილულია ნაშრომში: ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 159 (იხ. სქოლიო 177). ვრცლად იხ.: ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის, ქართული დიპლომატია, 4, თბ., 1997, გვ. 235-252; ჯ. სამუშია, ბაგრატ IV, თბ., 2020, გვ. 86-89.

[3] Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. Эмина, М., 1861, გვ. 123. იხ., აგრეთვე: ვ. არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002, გვ. 122.

ქართველ მეცნიერებს ნაწარმოების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი რატომღაც ნაკლულად მოაქვთ, რის გამოც კონტექსტის ინტერპრეტაცია არაზუსტად ხდება. ეს შეეხება როგორც ვ. კოპალიანს, ასევე ვარდანის ქართულად მთარგმნელს, ე. ცაგარეიშვილს. ვ. კოპალიანი წერტილს სვამს იმ ადგილას, სადაც ვარდანი მიუთითებს, რომ ლიპარიტმა „იმპერატორ მიხეილის დახმარებით დაიწყო მისი ბრძნულად მართვა" (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 189-190). ე. ცაგარეიშვილიც ზუსტად ამ ადგილას ამთავრებს ვარდანის ცნობის გადმოცემას: „(ლიპარიტმა) გონივრულად მიჰყო ხელი ქვეყნის (მართვას) მიხეილ კეისრის დახმარებით" (ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, მრავალთავი, ტ. II, თბ., 1973, გვ. 196-197).

აზრით, 1040-1041 წლების ზამთარი უნდა ყოფილიყო ის პერიოდი, როდესაც ერისთავმა დაიწყო „ქვეგამხედვარად თავის პატრონისაგან". ხოლო რეალური ნაბიჯი ლიპარიტმა 1041 წელს გადადგა, როდესაც „გამოიყვანა... დემეტრე, ძმაჲ ბაგრატისა, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა".[5] რამდენიმეთვიანი დაპირისპირება 1041 წლის ზამთარში დასრულდა, როდესაც ბიზანტიელთა ჯარი საქართველოდან გავიდა. ჩვენი აზრით, ქართველი მემატიანის მითითება, რომ „არე ზამთრისა მოწევნულიყო; ბერძენთა ენება შეღმართ წასვლა",[6] უნდა ავხსნათ იმით, რომ 1041 წლის 10 დეკემბერს იმპერატორი მიხეილ IV გარდაიცვალა და ამიტომ ბიზანტიელებმა შეწყვიტეს ბრძოლა საქართველოში, ხოლო მხარეები დაზავდნენ.

ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების მეორე ეტაპი 1045-1046 წლებზე მოდის. ამ მოვლენათა დათარიღებაც მნიშვნელოვანია საერთო სურათის დასანახად.

დავიწყოთ ანისის სამეფოს ბიზანტიელთაგან დაპყრობის თარიღით.

ანისის სამეფოს ბიზანტიელთაგან ოკუპაცია 1045 წელს მოხდა. ეს თარიღი ერთხმად აღიარეს როგორც სომხეთის ისტორიის მკვლევრებმა, ასევე ბიზანტინისტებმა,[7] თუმცა, დაკონკრეტება ამ მოვლენის ქრონოლოგიისა მეტ სიცხადეს სძენს საერთო სურათს.

1041 წელს, ანისის მეფეების – ჰოვჰანეს-სუმბატისა და აშოტის გარდაცვალების შემდეგ, ტახტი გაგიკ აშოტის ძემ დაიკავა. 1042 წელს ბიზანტიაში კონსტანტინე IX მონომახის ხელისუფლებაში მოსვლას მოჰყვა იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება. მართალია, 1043-1044 წლებში ბიზანტია აჯანყებებით იყო მოცული, მაგრამ კონსტანტინე IX-მ მოახერხა, ეს სირთულეები დაეძლია და უკვე 1044 წლისთვის ანისის სამეფოს შემოერთების საქმეში კონკრეტული ნაბიჯი გადადგა.[8] ბიზანტიის იმპერატორმა შეძლო ანისის სამეფოს გარშემო ისეთი პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნა, რამაც აიძულა

[5] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 282.

[6] იქვე.

[7] История Армянского народа, ч. I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ер., 1951, გვ. 152; Г. Г. Литаврин, Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг., История Византии, т. 2, М., 1967, გვ. 274; К. Н. Юзбашян, Скилица о захвате Анийского царства в 1045, «Византийский временник», т. 40, М., 1979; К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византиа IX-XI вв., М., 1988, გვ. 185.

[8] К. Н. Юзбашян, Скилица о захвате Анийского царства в 1045, «Византийский временник»; К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византиа IX-XI вв., გვ. 185; ჯ. სამუშია, ბიზანტიის იმპერიის მიერ ანისის სამეფოს ოკუპაცია და საქართველო, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1999.

გაგიკ II, კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყო. თავდაპირველად კონსტანტინე IX-მ ანისის მეფეს პიროვნული ხელშეუხებლობა და ქვეყნის დამოუკიდებლობა აღუთქვა, მაგრამ როგორც კი გაგიკი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ბიზანტიის იმპერატორმა დადებული პირობა დაივიწყა და ანისის ბიზანტიელთათვის გადაცემა მოითხოვა. ანისის მეფემ უარი განაცხადა იმპერატორის ამ წინადადებაზე, რის გამოც კონსტანტინემ იგი კონსტანტინოპოლში დატოვა. ამას მოჰყვა ბიზანტიელების მხრიდან სამხედრო მოქმედებების დაწყება. როგორც ჩანს, ამ დროს ქალაქში მყოფმა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა ვერ გაბედეს, მეფის დაბრუნებამდე თავად ეკისრათ ანისის გამგებლის ფუნქცია, ამიტომ გადაწყდა, ქალაქი გარეშე პირისთვის ჩაებარებინათ. ანისელებს ამ გასაჭირის დროს ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდათ და, ბოლოს და ბოლოს, ასეთად საქართველოს მეფე ბაგრატ IV მიიჩნიეს. გადაწყდა ამ საკითხზე ბაგრატთან მოლაპარაკების გამართვა და საგანგებო ელჩები ანისიდან ქუთაისში გაიგზავნა. როგორც ჩანს, მოლაპარაკება შედგა და „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი – სენაქერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედაჲ".[9] საქართველოს დედოფალი ანისში გაემგზავრა დიდი ამალის თანხლებით.[10] ამასობაში ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს ანისს, რომელსაც დროებით საქართველოს დედოფალი მარიამი განაგებდა. გარემოცულ ბიზანტიელთა მხარეზე კი იბრძოდა ლიპარიტ ბაღვაში, რომელმაც, საბოლოოდ, მეტად უარყოფითი როლი ითამაშა ანისის ისტორიაში. მან ვერაგულად გამოიტყუა ანისიდან ქართველი დიდებულები და შეიპყრო, რამაც დააჩქარა ანისის დაცემა. დღეისათვის, ანისის აღების თარიღის დადგენისას, უპირატესად, სკილიცე-კედრენეს, მათეოს ურჰაელის და არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობები გამოიყენება. ამ თვალსაზრისით, ქართული წყაროს – „მატიანე ქართლისას" ცნობები ერთგვარად უგულებელყოფილია. ქართულ წყაროში ვკითხულობთ: „და ვითარ ამას შინა გარდაჯდეს დღენი ზაფხულისანი, და კუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა. და გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან"... ქართველი დიდებულები „... და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა".[11] როგორც ვხედავთ, ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „დღენი ზაფხულისანი" გარდასულ იყო, ანუ ეს ფაქტი 1045 წლის შემოდგომის დასაწყისში მომხდარა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ლიპარიტ ბაღვაშის ღალატსა და ბიზანტიელთაგან ანისის

[9] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 283.

[10] ამ საკითხზე ვრცლად, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით, იხ.: ჯ. სამუშია, ბიზანტიის იმპერიის მიერ ანისის სამეფოს ოკუპაცია და საქართველო, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1999.

მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 284.

აღებას შორის დიდ დროს არ უნდა გაევლო, მაშინ, უპრიანი იქნება, ეს უკანასკნელი მოვლენაც 1045 წლის შემოდგომით დავათარიღოთ.

ამის შემდეგ მოვლენები ასეთი თანმიმდევრობით წარიმართა: 1045 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ანუ ანისის აღების შემდგომ, ბიზანტიელებმა დვინზე ილაშქრეს, ხოლო ლიპარიტ ბაღვაში იმპერატორის ჯარების ნაწილთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა. ქართველი მემატიანის თქმით, იგი ანისიდან წამოსულა და „მოადგა ფოკათა". აქ ლიპარიტი მეფის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნით ყოფილა დაკავებული. კლდეკარის გამგებელი თავის სამშობლოში ჩანს, ასევე, 1046 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. ამ დროს იგი ენერგიულად ებრძოდა საქართველოს მეფეს. ამ ურთიერთშუღლმა ზაფხულამდე გასტანა, როდესაც სასირეთის ჭალაში და არყისციხესთან ერისთავმა დაამარცხა მეფე.[12] გამარჯვებულმა ლიპარიტმა 1046 წლის მეორე ნახევარში თავისი ძალები ქალაქ დვინის ალყით დაკავებულ ბიზანტიელებს მიაშველა. ერისთავი სამშობლოში, დაახლოებით, 1047 წლის შემოდგომით უნდა დაბრუნებულიყო, მაშინ, როცა მთლიანად ეს კამპანია ლეო თორნიკეს აჯანყების გამო შეწყდა. ლიპარიტი ამის შემდეგ საქართველოშია თითქმის ერთი წელი. იგი მხოლოდ მომდევნო, 1048 წელს ჩნდება მოვლენების ეპიცენტრში, როდესაც ბიზანტიელებთან ერთად ბასიანში ებრძვის თურქ-სელჩუკებს. კლდეკარის ერისთავი ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და მხოლოდ 1050 წელს გაათავისუფლეს.[13] ამ ფაქტმა საქართველოში კვლავ დაძაბა ვითარება, რამაც აიძულა ბაგრატ IV, 1051-1052 წლების მიჯნაზე ბიზანტიაში გამგზავრებულიყო. 1052-1054 წლებში მეფე ბიზანტიაშია.[14] კონსტანტინე IX მონომახის სიკვდილამდე

---

[12] ჯ. სამუშია, ვარიაგების მონვევისა და სასირეთის ჭალისთავს მომხდარი ომის დათარიღებისათვის, გვ. 190-192; ჯ. სამუშია, „მატიანე ქართლისას" ცნობა ვარანგთა სამიათასიანი რაზმის საქართველოში ყოფნის შესახებ, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1999.

[13] გ. ჯაფარიძე, ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობაში, ქართული დიპლომატია, 5, თბ., 1998, გვ. 330.

[14] ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ვიზიტის ქრონოლოგიამ მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია. საკითხის კვლევისას „მატიანე ქართლისას" ერთ ცნობას მეტი სიცხადე შეაქვს დასმული პრობლემის გადაჭრაში. ნაწარმოებში ნათქვამია, რომ ბაგრატმა „დაყო მუნ (ე. ი. კონსტანტინოპოლში) სამი წელიწადი", ე. ი. უკვე ცნობილია ბიზანტიაში საქართველოს მეფის ყოფნის ხანგრძლივობა. ამდენად, თუნდაც იმის დადგენა, თუ როდის წავიდა მეფე ბიზანტიაში ან, პირიქით, როდის ჩამოვიდა, გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ საკითხის ქრონოლოგიური ჩარჩო. მ. ბროსე ამ მოვლენებს 1050-1053 წლებში აქცევდა; თ. ჟორდანია ბაგრატის ბიზანტიაში წასვლას 1050 წლის ბოლოს და 1051 წლის დასაწყისში ათავსებდა, დაბრუნებას კი, შესაბამისად, 1053 წლის ბოლოს და 1054 წლის დასაწყისში ვარაუდობდა; ივ. ჯავახიშვილმა, „მატიანე

(1055 წლის 11 იანვარი) ცოტა ხნით ადრე ბაგრატ IV საქართველოში დაბრუნდა. 1055 წლის დასაწყისიდან, ბიზანტიის ახალი იმპერატორის ზეობისას, კარდინალურად შეიცვალა იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსი საქართველოს მიმართ. ამით ისარგებლა ბაგრატ IV-მ და1055 წლის პირველ ნახევარში ლიპარიტ ბაღვაში შეაპყრობინა.

კრიზისის დასაწყისი

ლიპარიტ ბაღვაშის გაორგულება ერთბაშად არ მომხდარა და მას რამდენიმე მოვლენა უძღოდა წინ. დავიწყოთ ცოტა შორიდან. 1032 წელს ლიპარიტმა და ქართლის ერისთავმა, ივანე აბაზას ძემ, მოტყუებით გამოიყვანეს თბილისის ამირა ჯაფარი ქალაქიდან და მუხათგვერდთან შეიპყრეს.[15] მიუხედავად იმისა, რომ ამირა მათ ხელში იყო, ქართველმა ფეოდალებმა ვერ მოახერხეს თბილისის აღება და მხოლოდ ბირთვისის ციხე წაართვეს ჯაფარს. ეს უკანასკნელი რამდენიმე წელი ტყვედ იმყოფებოდა და მხოლოდ 1037 წლის ახლო პერიოდში გაათავისუფლა ბაგრატ IV-მ. 1038 წელს, ბაგრატისა და ლიპარიტის შეთანხმებით, დაიწყო თბილისის მეორე გარემოცვა. ალყამ ორ წელს გასტანა. ამასობაში ქალაქში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. როგორც მემატიანე აცხადებს, თბილისში „ლიტრა ვირის ხორცი" ხუთასი დრამა ღირდა.[16] ამ პირობებში ჩავარდნილმა მოსახლეობამ, ამირას ზურგს უკან,

---

ქართლისას" ტექსტის გამართვის საფუძველზე, ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნა 1054-1057 წლებით განსაზღვრა. აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შეისწავლეს მაქსიმე და მამისა ბერძენიშვილებმა. მათ მეფის კონსტანტინოპოლში „საპატიო ტყვეობა" 1052-1055 წლებში მოაქციეს. ამ საკითხზე ვრცლად, ისტორიოგრაფიის მიმოხილვით, იხ.: ჯ. სამუშია, ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 2011, გვ. 125-153.

[15] „მატიანე ქართლისაჲ" აღნიშნავს: „და სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთკსი" (მატიანე ქართლისაჲ, გვ. 281). ამ ცნობას ადასტურებს სოფ. განახლების ეკლესიის წარწერა: „ქრონიკონი იყო სმიბ (1032). მოწყალებითა ღმრთისაჲთა, მე, თევდორე ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა საყდრისა, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ მეფისა სალოცველად, და შემდგომად ლიპარიტ ერისთავთა ერისთავისა. მას ჟამსა დაიდვა ბალაჰვარი, ოდეს შეიპყრა ლიპარიტ ერისთავთა ერისთავმან ამირაჲ" (ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები (ზოგადი მიმოხილვა), ტ. II, თბ., 2000, გვ. 242).

[16] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 281.

ქალაქის ბაგრატ IV-ისთვის გადაცემა გადაწყვიტა: „ტფილელთა განიზრახეს მოცემაჲ ტფილისისაჲ. და ამის ქალაქისა ბრძოლასა შინა წაუხუნეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა მეფისა ლაშქართა“.[17] თავის მხრივ, არც ამირა აპირებდა ომის გაგრძელებას. მან კარგად იცოდა მოსახლეობის განწყობა და მალულად ქალაქიდან გაპარვას ფიქრობდა: „და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემზადა ტივები და ნავები ღამით წარსვლად განძას ლაშქარიას თანა ფადლონის შვილსა“.[18] თითქმის ყველაფერი შემზადებული იყო იმისათვის, რომ თბილისი დაცემულიყო, მაგრამ ამ დროს ბაგრატ IV-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ახსნა ერთობ ძნელია. მან ქალაქს ალყა მოხსნა, ამირა ჯაფართან ზავი გააფორმა და ქალაქს გაეცალა.

ვინაიდან მეფის ეს ნაბიჯი მოგვიანებით ლიპარიტის გაორგულების მიზეზად იქცა, შედარებით ვრცლად შევეხოთ ამ მოვლენას. „მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს: „და რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ლიპარიტისგან ფარულად გააზრახეს მეფესა არაგანძებაჲ ამირასი, და ფარულად ლიპარიტისგან დაჰკიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკჳდრეს ამირა ტფილისსავე ზედა“.[19] თბილისისათვის ალყის მოხსნა გარეშე საფრთხით არ უნდა იყოს ნაკარნახევი, უფრო მართებულია იმის ვარაუდი, რომ ეს ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის ფარული თუ აშკარა დაპირისპირების ნაყოფი იყო. ამ მოვლენების შესწავლისას ერთი რამ ნათლად გამოიკვეთა – XI საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ლიპარიტ ბაღვაშის გავლენა ბაგრატ IV-ზე აშკარაა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სამეფო კარის მიერ ამირა ჯაფართან დადებული შეთანხმება, რომლის ძალითაც თბილისის ამირა კვლავ დაბრუნდა ქალაქში, მალევე დაირღვა სწორედ ლიპარიტის ინიციატივით. კლდეკარის ერისთავმა მოახერხა, სამეფო კარისათვის ისეთი გადაწყვეტილება მიეღებინებინა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მცირე ხნის წინ გადადგმულ ნაბიჯს – შერიგებოდნენ ამირა ჯაფარს. ეს აშკარად მეტყველებს, ერთი მხრივ, სამეფო კარზე ლიპარიტის გავლენაზე და, მეორე მხრივ, სამეფო ოჯახის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებასა და ნდობაზე კლდეკარის ერისთავის მიმართ.

მაშ, რა მოხდა 1040 წლისთვის, როდესაც კლდეკარის ერისთავთან შეუთანხმებლად მეფემ ზავი გააფორმა თბილისის ამირასთან და დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყო? გამორიცხულია, ლიპარიტის

[17] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 281.
[18] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 281-282.
[19] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

კონკურენტ და მასთან დაპირისპირებულ ფეოდალებს არ სცოდნოდათ ბაგრატ IV-ისა და სამეფო ოჯახის კეთილგანწყობა ლიპარიტისადმი. ამიტომაც, პირდაპირ კლდეკარის ერისთავზე იერიშის მიტანა საკმაოდ რთული და არაგონივრული ნაბიჯი იქნებოდა. იმის დაშვება, რომ ლიპარიტისადმი მტრულად განწყობილი ძალები შეეცდებოდნენ ბაგრატის დარწმუნებას კლდეკარის ერისთავის ღალატში, არ გვეჩვენება ლოგიკურად. სამეფო ოჯახს 1040 წლამდე არ ჰქონდა არავითარი საბაბი, ეჭვი შეეტანა ლიპარიტის ერთგულებაში. მთავარ კითხვად რჩება ის, თუ როგორ მოახერხეს „დიდებულთა აფხაზთა“, ანუ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულებმა, მეფესა და ლიპარიტს შორის ქიშპის ჩამოგდება. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ამაზე საგანგებოდ მსჯელობს: „დიდებულთა აფხაზთა მეფისათა“ ლიპარიტისაგან ფარულად დაარწმუნეს მეფე თბილისის გარემოცვის შეწყვეტაში და „ფარულად ლიპარიტისაგან დაჰკიდეს ზავი ამირასა“.[20] ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა და ბევრ რამეს ჰფენს ნათელს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ერთ წინადადებაში ორჯერაა გამოყენებული სიტყვები „ფარულად ლიპარიტისაგან“. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს კლდეკარის ერისთავის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან. მაგრამ მთავარი ამჯერად ერთი დეტალის გარკვევაა. რა გზით მოახერხეს „დიდებულთა აფხაზთა“ მეფის დაყოლიება, გადაედგა ლიპარიტის საწინააღმდეგო ნაბიჯი. ჩვენი აზრით, სწორედ აქ იშლება მთავარი ინტრიგა.

კლდეკარის ერისთავის მოწინააღმდეგე დიდებულებისთვის მთავარი იყო, ლიპარიტისათვის წაერთმიათ პოლიტიკური ინიციატივა. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ თბილისის შემოერთებისთვის ბრძოლა ლიპარიტის ლიდერობით მიმდინარეობდა. როგორც ზემოთ ითქვა, პირდაპირ კლდეკარის ერისთავის კომპრომეტირება შეუძლებელი იყო. ისინი, საფიქრებელია, გარკვეულ არგუმენტებს იშველიებდნენ და სასურველ გადაწყვეტილებას აღებინებდნენ ბაგრატ IV-ს. საქართველოს მეფე ამ დროს 21-22 წლის ყმაწვილია. რა თქმა უნდა, იგი ისე კარგად ვერ იქნებოდა გაწაფული პოლიტიკურ ინტრიგებში, რომ ყოველივე სათანადოდ გაეაზრებინა და შესაბამისი შეფასება მიეცა მოვლენებისთვის. ამიტომ, საფიქრებელია, ბაგრატ IV ადვილად მოექცა სხვათა გავლენის ქვეშ და ამით კარგად ისარგებლეს სამეფო კარზე მოქმედმა კლანებმა. ჩვენი აზრით, მოწინააღმდეგე ბანაკმა კლდეკარის ერისთავზე პირდაპირი იერიში კი არ მიიტანა, არამედ მეფეს შესთავაზა „აფხაზთა სამეფოს“ გაძლიერების და გაფართოების სხვა, უფრო მომგებიანი წინადადება. ლიპარიტის გეგმის საპირისპიროდ, სავარაუდოდ, ამ დაჯგუფებას უნდა

[20] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

წამოეყენებინა კახეთ-ჰერეთის შემოერთების იდეა და ამ კუთხით თბილისის გარემოცვისას გარკვეული სამუშაოც გაეწია. „მატიანე ქართლისას“ ავტორს შემონახული აქვს ერთი საყურადღებო მინიშნება: „იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, – წერს მემატიანე, – აშოტ, მთავარი მარღლელი, დისიძე კჳრიკე მეფისაჲ, და ხახულა გურთა ჯურის-ციხითა; და მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა“.[21] ამ ციტატიდან ისე ჩანს, თითქოს ამ ფეოდალთა გადაბირება თავად მეფეს ეწარმოებინა, მაგრამ, უდავოა, ასე არ იქნებოდა. მეფე თავად არ დაიწყებდა ფარულ მოლაპარაკებას კახეთ-ჰერეთის ფეოდალებთან. ეს მის წოდებრივ მდგომარეობას არ შეეფერებოდა და ამას არც სამეფო კარი დაუშვებდა. ამასთანავე, ბაგრატ IV ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო ასეთი საიდუმლო მოლაპარაკებების წარმართვისათვის. უპრიანია ვიფიქროთ, რომ მთელი ეს პროცესი, კახეთ-ჰერეთის ერისთავების მოსყიდვა-გადაბირება, სამეფო კარზე მოღვაწე დიდებულებმა განახორციელეს. არ გამოვრიცხავთ არც იმას, რომ მათ მეფე ფაქტის წინაშე დააყენეს.

კახეთ-ჰერეთის მეფის, კვირიკე III დიდის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე კვირიკეს დისშვილი, ტაშირ-ძორაგეტის მეფის, დავითის ვაჟი – გაგიკი ავიდა. როგორც ჩანს, გაგიკის გამეფებით კახეთ-ჰერეთში ყველა არ იყო კმაყოფილი. ეს ეცოდინებოდათ აფხაზთა მეფის კარზეც. კვირიკე III-ს მეორე დაც ჰყავდა, რომელიც მარილისის ერისთავზე ყოფილა გათხოვილი. აშოტ მარღლელის გარშემო შემოიკრიბა გაგიკის მოწინააღმდეგე ბანაკი. ბაგრატ IV-ის დიდებულებმა სწორედ მათთან გააბეს კავშირი და დახმარება აღუთქვეს კახეთ-ჰერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლიტიკურ თამაშს თავისი დაუწერელი წესები აქვს: მას აუცილებლად სჭირდება გარკვეულ ლოგიკურ არგუმენტებზე დაფუძნებული რეალობა, რომლის სათანადო მიმართულებით განვითარება უკვე პოლიტიკოსის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. კახეთის სამეფოს შიდაპოლიტიკური პროცესები ამისთვის ბრწყინვალე ნიადაგს ქმნიდა. ჯერ ერთი, კვირიკე III დიდის გარდაცვალების შემდეგ თუკი შეიძლებოდა კახეთის სამეფო ოჯახის წევრის, ქალის ხაზით, შვილის გამეფება, რატომ არ შეიძლებოდა ასეთივე ამბიცია ჰქონოდათ კვირიკეს მეორე დის ოჯახის წევრებს? ამ პოლიტიკური კონიუნქტურის გამოყენება სცადა „აფხაზთა სამეფოს“ დიდებულთა ერთმა ნაწილმა, ერთი მხრივ, გაგიკ კახთა მეფის, ხოლო, მეორე მხრივ, ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ. ეს იყო მრავალსვლიანი მოქმედება და კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ინტრიგა.

ამ მოვლენების ანალიზისას ერთი რამ არის თვალში საცემი – რატომღაც, აფხაზთა სამეფოს დიდებულები ჩქარობენ. ხომ შეიძლებოდა, ჯერ თბილისის

[21] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

შემოერთების საქმე დასრულებულიყო და ამის შემდეგ მიეხედათ კახეთ-ჰერეთისათვის? აშოტ მარღლელის განწყობა გაგიკისადმი ყოველთვის ასეთი იქნებოდა. მას, ბუნებრივია, თავისი ამბიციები ამოძრავებდა და მისით მანიპულირება ბაგრატ IV-ს და მის მომხრეებს ყოველთვის შეეძლოთ. მთავარი იყო ის, რომ აშოტ მარღლელი წამოვიდა ფარულ კავშირზე აფხაზთა სამეფოს წარმომადგენლებთან. არაფერი ედგა წინ იმას, რომ ყველაფერი ეტაპობრივად გადაწყვეტილიყო – ჯერ თბილისის შემოერთების საქმე მოგვარებულიყო, ხოლო შემდეგ – კახეთ-ჰერეთის პრობლემა. მაგრამ აშოტ მარღლელისა და მისი მომხრეების გადმობირების ინიციატორებმა ბაგრატ IV-ს სრულიად სხვა გადაწყვეტილება მიაღებინეს. როგორც ჩანს, ეს დიდებულები, თავის მხრივ, ლიპარიტთან იყვნენ დაპირისპირებულნი. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ, საბოლოო ჯამში, კახელი ფეოდალების მიმხრობა ლიპარიტის წინააღმდეგ მიმართული გეგმის შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა. შეუძლებელია, ეს დამთხვევა უბრალო შემთხვევითობა იყოს. „მატიანე ქართლისას" ავტორი, ამ მოვლენების თანამედროვე, პირდაპირ აღნიშნავს, რომ კახეთ-ჰერეთზე ლაშქრობა კლდეკარის ერისთავისაგან „ფარულად" დაუგეგმავთ. ბაღვაშის მოწინააღმდეგე კლანმა მეფეს დაუხატა ბრწყინვალე პერსპექტივა კახეთ-ჰერეთის შემოერთებისა. ამასთანავე, გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით უკვე ჩატარებული იყო. საქმე, მართლაც რომ, გადაუდებელი ჩანდა და ბაგრატ IV-მ, „რომელთა დიდებულთა აფხაზთა" შეგონებით, თბილისის გარემოცვას კახეთ-ჰერეთის შემოერთება არჩია. ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივა სამეფო კარმა კიდევ ერთხელ ჩააგდო. სწორედ ამას მოაყოლებს „მატიანე ქართლისას" ავტორი თავის ცნობილ ფრაზას: „და მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავისი პატრონისაგან".[22]

ამდენად, საქართველოს მეფემ გადადგა ნაბიჯი, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ლიპარიტ ბაღვაშის პოლიტიკურ კურსს. სწორედ ეს იქცა კლდეკარის ერისთავის გაორგულების საბაბად. დაიწყო ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის კონფლიქტი.

ბიზანტია – პროცესების კატალიზატორი

1041 წელს საქართველოს მეფეზე განაწყენებული ერისთავთერისთავი ბიზანტიელებს დაუკავშირდა და მათი დახმარებით ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ძალების შევიწროება დაიწყო ჯერ მესხეთში, შემდეგ კი შიდა ქართლში. ამასთანავე, კლდეკარის ერისთავმა, ბრძოლისთვის

[22] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

სამართლებრივი ელფერი რომ მიეცა, კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ ჩამოიყვანა დემეტრე გიორგის ძე. დღეისათვის ძნელი სათქმელია, რა სამართლებრივ გამართლებას უძებნიდნენ აჯანყებულნი სამეფო ტახტზე დემეტრეს პრეტენზიებს. გიორგი I-ის კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ IV იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საქართველოში უძველესი დროიდან არსებული წესის თანახმად, სამეფო ტახტი მეფის უფროს შვილს ეკუთვნოდა. ზემოთქმულის მიუხედავად, ფაქტია, რომ დემეტრე უფლისწულის მომხრეებს რაღაც არგუმენტები ექნებოდათ მასების დასარწმუნებლად, თუმცაღა გამოგონილი.

ამ გამოსვლის ჟამს ბიზანტიელებთან ერთად ლიპარიტის მხარეს იბრძოდნენ კახელებიც. ეს გასაგებიცაა, რამეთუ კახეთ-ჰერეთის სამეფოს მესვეურნი ამ აჯანყებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და მიაჩნდათ, რომ ბაგრატ IV-ის დამარცხება კახეთის პრობლემას მეტ-ნაკლებად მოხსნიდა. ამდენად, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმა დიდი კოალიცია, ლიპარიტ ერისთავის, ბიზანტიელთა და გაგიკ კახთა მეფის მონაწილეობით. აჯანყებულებმა მოკლე ხანში მოახერხეს ზემო ქართლის (მესხეთის) უმეტესი ტერიტორიის დამორჩილება. ზოგი ბრძოლით, ზოგი კი თავისით ნებდებოდა ლიპარიტსა და მის მომხრეებს, მაგრამ უმეტესობა მაინც, საფიქრებელია, უბრძოლველად მიემხრო დემეტრე უფლისწულს. ამის შესახებ ქართველი მემატიანე პირდაპირ მიუთითებს: აჯანყებულებს „მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი“.[23] გარკვეული წარმატებების შემდეგ პრობიზანტიურმა ძალებმა შიდა ქართლის დამორჩილება გადაწყვიტეს და ატენის ციხეზე მიიტანეს იერიში. მიუხედავად იმისა, რომ ლიპარიტს „ჰყვეს... კახნი და ბერძენნი“, მან მაინც ვერ მოახერხა ატენის ციხის აღება. ციხის დამცველნი ბოლომდე მეფის ერთგულნი დარჩნენ და მას არ მისცეს ატენის ხეობაში გამაგრების შესაძლებლობა. ატენის ციხესთან მომხდარი მოვლენების შემდგომ ჩვენი მემატიანე ახალქალაქის ციხის მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს. ტექსტში ისეთი თანამიმდევრობითაა მოვლენები მოთხრობილი, რომ რთულია ზუსტად დადგენა, ვინ იყო ახალქალაქის თავდაცვითი ზღუდის მშენებლობის ორგანიზატორი. მემატიანის ცნობიდან, თითქოს, ისე ჩანს, რომ ახალქალაქის გალავნით შემოზღუდვა ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელის თაოსნობით უნდა მომხდარიყო. ამ აზრს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ფარსმან თმოგველი ჯავახეთის ერისთავად იხსენიება.[24]

---

[23] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

[24] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985, გვ. 96-97.

ამდენად, დასაშვებია, თავისივე საგანგებო ტერიტორიაზე ერისთავს სამშენებლო საქმიანობა ენარმოებინა. სწორედ ასეა ეს საკითხი გაგებული ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის მიერ. დ. ბერძენიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა ეჭვი „ქართლის ცხოვრების“ ამ ხელნაწერის მონაცემებში და უპირატესობა მიანიჭა სხვა ვარიანტებს, რომლებშიც აღნიშნულია: „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქის ზღუდეთა შენებად“.[25] იმავეს მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „მოადგნენ ატენს, არამედ ციხე ვერ დაიპყრეს, ხოლო ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალქალაქი“.[26] დ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანსაც, რომელშიც ახალქალაქის ციხის მშენებლობის ინიციატორად კვლავ მეფეა გამოყვანილი.[27] სავარაუდოა, რომ ლიპარიტ-ბაგრატის ურთიერთობის დაძაბვისას, მეფეს მართლაც ეფიქრა ახალქალაქის გამაგრება. ეს ადგილი ჯავახეთის სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც აკონტროლებდა იმ მხარეში გამავალ ძირითად მაგისტრალებს. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლობის ინიციატორი მეფე ყოფილიყო, რომელიც თავს ჯავახეთის პატრონად მიიჩნევდა. არ შეიძლებოდა, მას ყურადღება არ მიექცია ამ საკვანძო პუნქტისათვის. მებრძოლ მხარეებს შორის დაპირისპირება დიდხანს არ გაგრძელებულა და იმავე წლის ზამთარში, ბიზანტიელთა წასვლასთან ერთად, შეწყდა. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ამასთან დაკავშირებით გადმოგვცემს: „არე ზამთრისა მოწევნულ იყო. ბერძენთა ენება შეღმართ წასვლა. დაუზავდა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა“.[28] აღნიშნული მოვლენების შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ეს მოვლენა 1041 წლის დეკემბერში იმპერატორ მიხეილ IV-ის გარდაცვალებას უნდა უკავშირდებოდეს. ბიზანტიური არმიის გასვლას მოჰყვა მებრძოლ მხარეთა შორის დროებითი დაზავება. ბაგრატ IV იძულებული გახდა, ლიპარიტისთვის ქართლის ერისთავის ტიტული ებოძებინა.

---

[25] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 298. იხ. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს შორის არსებული კითხვა-სხვაობები.

[26] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 146.

[27] „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 226.

[28] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 282.

მხარეთა შორის მშვიდობამ დიდხანს არ გასტანა. 1044 წელს კავკასიაში კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს საქართველოსა და ბიზანტიის ინტერესები.

XI საუკუნის საქართველოში, თამამად შეიძლება ითქვას, არ არსებობდა სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც იმდენი ძალა ექნებოდა, მარტო დაპირისპირებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ამიტომ ბიზანტიის იმპერია ყოველთვის მიისწრაფოდა საქართველოს შიგნით თავად შეექმნა, შემდეგ კი ფარულად დახმარებოდა გარკვეულ დაჯგუფებას, რომელიც არ მისცემდა ცენტრალურ ხელისუფლებას გაძლიერების, ხოლო ქვეყანას – გაერთიანების შესაძლებლობას. იმპერიის მესვეურნი საქართველოში მიმდინარე შიდაფეოდალური ომებით დაინტერესებულნი იყვნენ იმდენად, რამდენადაც ამ ხერხით ისინი ხელოვნურად ბორკავდნენ ჩვენს ქვეყანას და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ აძლევდნენ. ის ენერგია, რომელიც ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, ბიზანტიასა და მის აგენტებთან ბრძოლას ხმარდებოდა. მაგრამ, როდესაც საქართველო ამ გარეშე ძალების ჩარევისაგან თავისუფლდებოდა, კვლავ აქტიურად ებმებოდა საერთოკავკასიურ პოლიტიკაში. 1042-1044 წლები სწორედ ასეთი ამოსუნთქვის ხანაა საქართველოს ისტორიაში. ის 2-3 წელი, როდესაც, მემატიანის სიტყვით, „დააგო სვემან ბაგრატისმან ჟამი“, აღსავსეა მეტად საინტერესო პოლიტიკური მოვლენებით, რომლებშიც საქართველო საკმაოდ აქტიურადაა ჩაბმული. 1044 წელს საქართველოს დედოფალი მარიამი ანისელმა წარჩინებულებმა ქალაქში მიიწვიეს და მას დროებითი მმართველობა გადასცეს. ამ ნაბიჯით ანისის თავკაცები შეეცადნენ სომხეთ-ბიზანტიის ომში საქართველოს ჩაბმას. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს უთუოდ მომგებიანი იყო ორივე მხარისთვის, რამეთუ ისინი გაერთიანებული ძალით გამოდიოდნენ თავიანთი დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ. სამხრეთ კავკასიაში იმ დროს საქართველო წარმოადგენდა შედარებით მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ბიზანტიის იმპერიასთან ხანგრძლივ ბრძოლას არ შეუშინდა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ქედმოუხრელად იბრძოდა. საქართველო ამ დროს ანისელთათვის, მართლაც რომ, სასურველი მოკავშირე უნდა ყოფილიყო. და კიდევ ერთი, მარიამ არწრუნის ანისში ჩასვლა არ იქნებოდა აღქმული, როგორც „უცხო ძალის“ მიერ ქალაქის დაკავება. მარიამი, შეიძლება ითქვას, გაგიკ II-ის შემდეგ ერთ-ერთი კანონიერი მემკვიდრე იყო ანისის სამეფო ტახტზე. მარიამის დედა სომეხი ბაგრატუნების სახლის წარმომადგენელი იყო და ჰოვჰანეს-სუმბატისა და აშოტის ღვიძლი და გახლდათ. ამდენად, გაგიკ II და მარიამი ურთიერთის ბიძაშვილ-მამიდაშვილები გამოდიან. ამავე პერიოდში ბაგრატ IV-მ შეუტია ანაკოფიის ციხეს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან და სამხრეთ-დასავლეთით

ქართველი მეომრები ხუფათის ციხეს შემოეწყვნენ. ყველა ეს მოვლენა სწორედ 1044-1045 წლებშია სავარაუდო. როგორც ჩანს, ბაგრატ IV ცდილობდა, რამდენიმე „ცხელი წერტილი" გაეხსნა ბიზანტიელებისთვის სამხრეთ კავკასიაში, რათა არ მომხდარიყო მათი ძალთა კონცენტრირება ერთ რომელიმე პუნქტთან, ამ შემთხვევაში, ანისთან. ეს არ უნდა ყოფილიყო უბრალო დამთხვევა. ბაგრატ IV-ის პოლიტიკა საკმაოდ ნათელია და მისი გააზრება უნდა მოხდეს მხოლოდ კავკასიური პოლიტიკის მასშტაბით.

საქართველოს მეფისგან განსხვავებით, 1045 წელს ბიზანტიელთა მხარე დაიკავა ლიპარიტ ბაღვაშმა და ბაგრატ IV-ს ანისის სომხური სამეფო დააკარგვინა. ამ ფაქტით ძმათამკვლელი ომის ახალი ეტაპი დაიწყო. იმავე წელს მოწინააღმდეგეებმა თავი აარიდეს ერთმანეთთან პირისპირ ბრძოლას. როგორც ბაგრატ IV-მ, ისე ლიპარიტ ბაღვაშმა, ძალების მობილიზაციის ტაქტიკა არჩიეს. ლიპარიტმა დასახმარებლად ბიზანტიელებს მიმართა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი ვიკინგებს დაუკავშირდა.

ქართველებს ვიკინგთა არსებობის შესახებ სწორედ ბიზანტიელებისაგან უნდა გაეგოთ. ქართულ წყაროებში მოხსენიებული სახელი „ვარანგი" ბერძნული სახელწოდების ადეკვატურია. „მატიანე ქართლისას" ავტორი დასძენს: „და მოვიდეს ვარანგნი – სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შჯდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდაჲთ ლაშქრითა, და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშატნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს".[29] როგორც წყაროდან ვიგებთ, დაქირავებული ვარიაგები პირველად რიონის დინებით სოფელ ბაშში დაბანაკდნენ (ეს სოფელი შედიოდა სამოქალაქოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც სამეფო დომენს წარმოადგენდა.). ბაგრატ IV-მ საქართველოში სულ 3000 ვიკინგი მოიწვია. სასირეთის ჭალაში გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში მეფემ მხოლოდ 700 ვარიაგი წამოიყვანა.[30]

---

[29] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 285.

[30] ვარანგების ქართველი მოკავშირის ვინაობის შესახებ, ძირითადად, ორი მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ვარანგები ლიპარიტ ბაღვაშმა მოიწვია საქართველოში და მის არმიაში ირიცხებოდნენ. ამ აზრს იზიარებენ: ნ. ბერძენიშვილი, ვ. კოპალიანი, ქ. ჩხატარაიშვილი, ვ. გოილაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი და სხვა (ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (რეცენზია), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 197-201; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 227-228; ქ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII საუკუნის

საქართველოს ლაშქარში, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 178; ვ. გოილაძე, ვიკინგები საქართველოში, „მნათობი“, №4, თბ., 1984, გვ. 170; ა. ბოგვერაძე, „მატიანე ქართლისას“ ცნობა 1047 წ. ვარიაგთა საქართველოში შემოსვლის შესახებ, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1990, გვ. 70-81; დ. გოგოლაძე, „მატიანე ქართლისას“ ცნობა „ვარანგთა“ შესახებ, ქართული დიპლომატია, №5, თბ., 1998; ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი, სკანდინავია და საქართველო, კონტრასტული მენტალიტეტები (XI ს.), სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი (თბ., 1996 წ., 18-20 ნოემბერი), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1997. ნაშრომის ვრცელი ვარიანტი იხ.: ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი, საქართველოს ისტორიის ახალი პერსონაჟები, Dedication, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2001, გვ. 92-123. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ვარანგებს ბაგრატ IV-ის მიერ მოწვეულად მიიჩნევენ: ს. ბარათაშვილი, მ. ჯანაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ი. ცინცაძე, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი, გ. ანჩაბაძე, ბ. სულაკაური, ვ. კიკნაძე და სხვანი (С. Баратова, История Грузии, Тетрадь, II-III, История средных веков, С.-П., 1871, გვ. 62-63. აღნიშნული ნაშრომის ქართული თარგმანი იხ.: საქართველოს ისტორია თავადის ს. ბარათაშვილისა, ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ, რვეული III, საშუალო საუკუნეთა ისტორია, ქუთ., 1913, გვ. 108-110; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ჰისტორია, თბ., 1894, გვ. 88; დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, თბ., 1880, გვ. 28; ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956, გვ. 23-44; З. В. Папаскири, «Варанги» грузинской «Летописи Картли» и исторические вопросы русско-грузинских контактов в XI веке – «История СССР», №3, М., 1981, გვ. 164-169; З. В. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 34-43; ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 179-201; რ. მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი...“, ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი, თბ., 1988, გვ. 75-76; გ. ანჩაბაძე, „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპას“) მნიშვნელობის გარკვევისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, №1, თბ., 1987, გვ. 85; ბ. სულაკაური, ვიკინგები საქართველოში, გაზ. „განათლება“, 1992 წ., 6 ნოემბერი; ვ. კიკნაძე, ბაგრატ IV, ლიპარიტ ბაღვაში და ვარანგები ანუ „... და იყო მი-და-მო საურავი ხელოვნებისა“, კრებული მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, თბ., 1998; ასევე, აზრთა სხვადასხვაობაა ვარანგების ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებით. 1871-1875 წლებში რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში დაიბეჭდა აკად. ვ. ვასილევსკის სტატია «Варяго-русская и Варяго-английская дружина въ Константинополе XI и XII вековъ». ამ ნაშრომში რუსმა ბიზანტოლოგმა საქართველოში ჩამოსული ვარიაგები რუს-ვარანგებად მონათლა. სწორედ აკად. ვ. ვასილევსკის ამ სტატიამ მისცა ბიძგი ქართველ მეცნიერთა რამდენიმე თაობას, „მატიანე ქართლისას“ ცნობა ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში განეხილა, რიონისა და თეძმის ჭალებში მოსული ვარანგები კი აღმოსავლეთ სლავი ტომების წარმომადგენლებად მიეჩნია (ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ვ. კოპალიანი, ზ. პაპასქირი, რ. მეტრეველი და სხვანი). 1966 წელს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს ფარგლებში, გამოიცა კრებული „საქართველო რუსთაველი ხანაში“, რომელშიც დაიბეჭდა ქ. ჩხატარაიშვილის საინტერესო სტატია: „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს

ბი მდინარის ორივე მხარეს ყოფილან დაბანაკებულნი. წყაროდან ისე ჩანს, რომ ბაგრატ IV ბრძოლის დაწყებას აჭიანურებდა, რამეთუ დამატებით ძალებს ელოდა მესხეთიდან. ამ დროს საკუთარ სიმამაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა, სარდლობასთან შეუთანხმებლად, იერიში მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე. ამან იძულებული გახადა საქართველოს მეფე, ბრძოლაში ჩართულიყო. ქართველი მემატიანე გაკვირვებით აღნიშნავს: „და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა".[31] კლდეკარის ერისთავს ბიზანტიელთა სამხედრო ნაწილები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმღვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და მეფის ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. ერისთავის წარმატება გაცილებით მასშტაბური იყო. მან შეტაკების ჟამს ხელთ იგდო ვარანგთა ის შვიდასკაციანი რაზმი, რომელიც მეფეს ქართლში ჰყავდა გადმოყვანილი. ამასთანავე, ლიპარიტ ბაღვაშმა სასირეთის ჭალაში დაატყვევა მეფის ერთგული დიდებულები – „აბუსერი და სხვანიცა დიდებულნი მის თანა".

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასირეთის ბრძოლას ორივე მხარისათვის, ამაზე მეტყველებს შემდგომ მომხდარი ერთი მეტად საგულისხმო ამბავი. „მატიანე ქართლისას" მონათხრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ შეტაკების ჩამთავრებისთანავე მეფე პანიკურ მდგომარეობაში ყოფილა: „შეშინდა ბაგრატ სამეფოს და მამულისა მისისა განხეთქილობასა". რა თქმა უნდა, ძნელია, საუკუნეების შემდეგ მთელი სისრულით ავსახოთ ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც იმხანად საქართველოში არსებობდა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შეიძლება ამის წარმოდგენა, ამა თუ იმ პიროვნების მოქმედების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ ბაგრატ IV-მ, დამარცხებით შეშინებულმა, ომის შემდგომ თავი დაიმცირა და ხოვლეს მდგარ ერისთავს მცირედი ამალით ეახლა შესარიგებლად, მიგვანიშნებს, რომ ბრძოლის შედეგებზე სამეფო კარის მესვეურნი მართლაც სერიოზულად

ლაშქარში". პირველად სწორედ ამ გამოკვლევაში დადგა ეჭვქვეშ ვარანგთა და რუსთა იგივეობა. ქ. ჩხატარაიშვილი, საერთოდ, თამარის დროსაც კი ვარაუდობდა ნორმანთა საქართველოში ყოფნას (კ. გრიმბერგის ნაშრომზე დაყრდნობით). ქართული წყაროს ვარანგებისა და ვიკინგების იგივეობის დამტკიცებას, ახალი მასალის საფუძველზე, შეეცადა ვახტანგ გოილაძე (ვ. გოილაძე, ვიკინგები საქართველოში, „მნათობი", №4, თბ., 1984). ეს თემა განავრცო ბაკურ სულაკაურმა სტატიაში „ვიკინგები საქართველოში" (გაზ. „განათლება", 1992 წ., 6 ნოემბერი). უკანასკნელ ხანს ბაგრატ IV-ის მოკავშირე ვარანგების სკანდინავიურ წარმოშობას საგანგებო წერილი უძღვნეს ნათელა ვაჩნაძემ და გიორგი ჭეიშვილმა (ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი, საქართველოს ისტორიის ახალი პერსონაჟები, Dedication, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი).

მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 285.

ჩაფიქრებულან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ დროს მეფის მომხრეებს შორის სრული დაბნეულობა სუფევდა. სხვაგვარად ძნელდება ბაგრატ IV-ის ამ ნაბიჯის ახსნა. შეთანხმება მებრძოლ მხარეთა შორის ჩაიშალა, ლიპარიტმა არ ისურვა ბაგრატთან მოლაპარაკება და ხოვლეს გაეცალა (ამ საკითხს ქვემოთაც შევეხებით).

ბინძური ანგარიშსწორების ერთი მაგალითი

XI საუკუნის 40-იანი წლების შუა პერიოდში საქართველოში დატრიალებული ამბების გადმოცემისას ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე სკილიცე ერთ ასეთ ფაქტს მოგვითხრობს: „იბერიის მთავარმა ბაგრატმა, კაცმა საკმაოდ თავაშვებულმა, შეურაცხყო ლიპარიტის საწოლი... და ამ ჩადენილი საქმით (ე. ი. ლიპარიტის მეუღლის გაუპატიურებით) აიძულა შეურაცხყოფილი ლიპარიტი იარაღი აეღო ხელში ბაგრატის წინააღმდეგ. ლიპარიტმა დაამარცხა იგი ომში და გააქცია კავკასიის მთებში და შიდა აბაზგიაში სამეფო სასახლეში რომ მოხვდა, თავის დედოფალზე ძალა იხმარა, ბაგრატის დედაზე, და მთელი იბერიის ბატონ-პატრონი გახდა".[32] უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს შემაძრწუნებელ ფაქტთან. პოლიტიკური პროცესების ასეთი რადიკალიზაცია, უკიდურესად ბინძური ხერხების გამოყენება, ორივე მხარის მიმართ უარყოფითად განგაწყობს. მაგრამ ასეთი შეფასება იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ სკილიცესთან მოთხრობილ ამბავს ჭეშმარიტებად მივიღებთ. ამდენად, გასარკვევია, რამდენად რეალურია ბიზანტიელი მემატიანის მიერ მოთხრობილი ისტორია და თუ აისახა ეს ფაქტი ქართულ წყაროებში.[33]

---

[32] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გეორგიკა, ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963, გვ. 67.

[33] სკილიცეს ამ ცნობაზე სათანადო ყურადღება პირველად მარი ბროსემ გაამახვილა. იგი აღნიშნავდა: „დაახლოებით 1048 წელს ბაგრატი ცდილობდა შერიგებოდა ლიპარიტს, მაგრამ ამ დაუცხრომელმა მისმა მტერმა უარ-ჰყო ზავზე მოლაპარაკება. მიზეზი იმათ შორის მტრობისა და შურისძიებისა იყო ის შეურაცხყოფა და გაუპატიურება, რომელიც ბაგრატმა ლიპარიტის ცოლს შეამთხვია. თავის მხრივ, ლიპარიტიც გაკადნიერდა და შური უდო მით, რომ ძალ-დატანებით შეურაცხყოფა მიაყენა მეფის დედას". მ. ბროსსე, საქართველოს ისტორია, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, ტფ., 1895; ახალი გამოცემა, ბათუმი, 1998, გვ. 110 (მითითება ახალი გამოცემის მიხედვით). ბიზანტიელი მემატიანის ამ ცნობას შეეხო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ეს ფაქტი, სრულიად სამართლიანად, XI საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში ჩვენში მიმდინარე სამოქალაქო ომს დაუკავშირა.

„მატიანე ქართლისაში“ არაფერი იმის მსგავსი, რაც სკილიცეს აქვს მოთხრობილი, აღნიშნული არ არის. ეს გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს. ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელ, სამარცხვინო ფაქტს, რომელშიც მეფის მონაწილეობა დასტურდებოდა, ქართველი მემატიანე თავის თხზულებაში არ შეიტანდა. თავის მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ „მატიანე ქართლისას“ ტექსტის საგულდაგულო შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მატიანის ეს ნაწილი უნდა წავიკითხოთ არა პირდაპირ, არამედ სტრიქონებს შორის დამალულ აზრებთან ერთად. წყაროში აღწერილი 1045 წლის შემოდგომიდან 1046 წლის ზაფხულამდე მომხდარი მოვლენები ბევრ კითხვას ბადებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისტორიკოსმა „ცენზურის“ გამო რაღაც ინფორმაცია დამალა.

მივყვეთ მოვლენათა თანმიმდევრობას.

1045 წლის შემოდგომაზე, ანისის სამეფოს დაცემის შემდგომ, ლიპარიტის მოსალოდნელი ლაშქრობის შესაჩერებლად ბაგრატ IV-მ ახლად შემოერთებული თბილისი მიატოვა და ჯარით ჯავახეთში დაბანაკდა. მეფის თბილისიდან ჯავახეთს წასვლა საკმაოდ საყურადღებო დეტალია, რომელიც საინტერესო დასკვნების შესაძლებლობას იძლევა. ამაზე ოდნავ ქვემოთ. ამასობაში, ანისიდან ბერძენთა ჯარით ზურგგამაგრებული ლიპარიტი ბაგრატის წინააღმდეგ სალაშქროდ გამოემართა. ჯავახეთს მყოფი ბაგრატ IV, დაინახა რა ლიპარიტისგან მომდინარე საშიშროება, თავადაც შეუდგა სამხედრო სამზადისს. მეფის ბრძანებით, აწყურის ეპისკოპოსმა მესხი მეომრები დაიქირავა. „ამისა შემდგომად გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი განძითა ბაგრატისითა, – წერს მემატიანე, – შუელად მეფისა. და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ

იქვე მეცნიერმა ამ მოვლენის ერთგვარი შეფასებაც მოგვცა: „კედრენეს... 1048 წ. ქვეშე მოთხრობილი აქვს, რომ ბაგრატ მეფეს თავისი ურჩი მოყმის დასამცირებლად ყოვლად საზიზღარი საქციელი ჩაუდენია: პირადად რომ ლიპარიტს ვერა დააკლო რა, ბაგრატმა ლიპარიტის ცოლს პატიოსნება აჰხადაო... იგივე ბიზანტიელი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ლიპარიტმა იმგვარივე სამარცხვინო სამაგიერო შურისძიება ჩაიდინა: მეფე აფხაზეთში განუდევნია, სამეფო სასახლეს თავს დაეცა და ბაგრატის დედა გააუპატიურაო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 145-146). სკილიცეს ცნობაში ეჭვი შეიტანა ვ. კოპალიანმა. მისი განმარტებით, „ასეთი „ბარბაროსული შურისძიება და მტრობა“ (ეს არის ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება – ჯ. ს.), რომელიც „ბიზანტიაში გავრცელებული ყოფილა“, საეჭვოა, საქართველოს მეფესა და მის ქვეშევრდომებს შორის მომხდარიყო“ (ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ., გვ. 234). ამ საკითხზე ვრცლად იხ.: ჯ. სამუშია, ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის დაპირისპირების ისტორიიდან (სკილიცეს ცნობა ინტერპრეტაციისათვის), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №14, თბ., 2011, გვ. 109-126.

შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა. გამოექცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს".[34] ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ახალ ფაზაში შევიდა, მაგრამ ბაგრატ IV-მ ვერ გარისკა ბრძოლის გაგრძელება და ჯავახეთს გაეცალა. მან შეძლო ქართლში გადასვლა, საიდანაც ცოტა მოგვიანებით აფხაზეთს გაემგზავრა. ამ კონტექსტში თვალში საცემია მაწყვერელი ეპისკოპოსის ნაბიჯი. თავდაპირველად იგი საქართველოს მეფის მხარეს მოქმედებს და მის ბანაკშია, მაგრამ უეცრად ლიპარიტთან გადადის. პოზიციების ასეთი კარდინალური ცვლილება რაღაცას უნდა გამოეწვია. შიშის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ. შიში მაწყვერელს მაშინაც ექნებოდა, როდესაც მეომრებს ქირაობდა მეფისათვის. მიზეზი უფრო სერიოზული უნდა იყოს.

ლიპარიტ ბაღვაშმა 1045 წლის მიწურულს კვლავ აღიდგინა ძველი დიდება და მთელი ზემო ქართლის (ე. ი. სამხრეთ საქართველოს) ბატონ-პატრონი შეიქნა. ასეთ დროს, უეცრად, მემატიანეს პოლიტიკურ ავანსცენაზე შემოჰყავს ლიპარიტ ბაღვაშის ვაჟი – ივანე, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბაგრატ IV-ს ჰყოლია დატყვევებული. ერისთავთერისთავს მეფესთან მოლაპარაკება გაუმართავს მძევლების გაცვლის საბაბით. მოქიშპე მხარეები დაინტერესებულნი იყვნენ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებით. ივანეს ტყვეობა ლიპარიტს ხელებს უბორკავდა, თავის მხრივ, ამ გადამწყვეტ მომენტში ბაგრატ IV-ს აბუსერ ერისთავის გათავისუფლება დამატებითი სამხედრო ძალების მობილიზაციის საშუალებას აძლევდა. შეთანხმება შედგა. ივანეს სანაცვლოდ ლიპარიტმა ანისში დატყვევებული აბუსერ ერისთავი თავისი ციხეებით გაათავისუფლა.

მთელ ამ ისტორიაში ბევრი საკითხი მოითხოვს პასუხს, მაგრამ დამეთანხმებით, ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, როგორ აღმოჩნდა ივანე ლიპარიტის ძე ბაგრატ IV-ის ტყვეობაში.

1045 წლის შემოდგომის პირას ლიპარიტ ბაღვაშის მიერ „ანისის კართან" მარიამ დედოფალთან მყოფი ქართველი დიდებულების დაპატიმრება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ დროს მისი ძე ივანე მეფის ტყვეობაში არ უნდა ყოფილიყო. უდავოა, ერისთავის ვაჟის ბაგრატის ხელთ ყოფნა, გარკვეულწილად, იმოქმედებდა ლიპარიტის აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაზე. ანისის დაცემამდე ლიპარიტის ვაჟი ბაგრატ IV-სთან რომ ყოფილიყო მძევლად, ერისთავი ისეთ რადიკალურ ნაბიჯს ვერ გადადგამდა, რომელსაც არა მხოლოდ ქართველ დიდებულთა დატყვევება მოჰყვა, არამედ – ანისის სამეფოს დაცემა. ფაქტობრივად, ეს იქნებოდა საკუთარი შვილის სიცოცხლით თამაში. ლიპარიტი დარწმუნებული არ უნდა ყოფილიყო, რომ

[34] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 284.

სამეფო კარი დაუსჯელად დატოვებდა მის ამ საქციელს. ბაგრატ IV-ს მართლაც არ ახასიათებდა გადაჭარბებული ჰუმანიზმი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ რამდენიმე წლის შემდეგ მეფის მიერ ლიპარიტისა და ივანეს ძელზე გასმა კლდეკარის მეციხოვნეთა თვალწინ.

ანისის ქვეყანაში დატრიალებულ მოვლენებს მემატიანე უშუალოდ მოაყოლებს მეფის ჯავახეთს გახიზვნის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, ისმის კითხვა: საქართველოს მეფემ, თბილისიდან ჯავახეთს მიმავალმა, ხომ არ დალაშქრა ლიპარიტის მამული, რომელზეც უცილობლად მოუწევდა გავლა?

1045-1046 წლების მიჯნაზე ივანე ლიპარიტის ძის ბაგრატ IV-სთან მძევლად ყოფნა არაპირდაპირად მიუთითებს მეფის ბაღვაშთა წინააღმდეგ ლაშქრობაზე. თუ იმ აზრს მივიღებთ, რომ 1045 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ანისი დაეცა, ივანე ბაღვაში ტყვედ არ იმყოფებოდა, მაშინ მისი დატყვევების ერთადერთ დროდ, შემოდგომის ის შუალედი რჩება, როდესაც ბაგრატ IV-მ თბილისი მიატოვა და ჯავახეთს გავიდა. მოგვიანებით ბაგრატი ჯავახეთიდან – შიდა ქართლში, აქედან კი აფხაზეთში წავიდა. საეჭვოა, მეფისა და ერისთავის ვაჟის გზები ამ დროს გადაკვეთილიყო. მაგრამ, თუ მაინცდამაინც ეჭვის თვალით შევხედავთ მეფის კლდეკარზე ლაშქრობის ფაქტს, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. ყოველ შემთხვევაში, პასუხი გასაცემია კითხვაზე: სახელდობრ, სად შეიპყრო ბაგრატმა ლიპარიტის ვაჟი?

„მატიანე ქართლისაში“ დროის ეს მონაკვეთი (1044-1046 წლები) საკმაოდ დაწვრილებითაა აღდგენილი, მაგრამ იგი არსად სიტყვას არ ძრავს მეფის მიერ ივანე ბაღვაშის დაპატიმრებაზე. ბაგრატ IV-ს ლიპარიტის ვაჟი ბრძოლისას ანდა შემთხვევით რომ ჩავარდნოდა ტყვედ, ამას მემატიანე უდავოდ აღნიშნავდა. ის ფაქტი, რომ ისტორიკოსი დუმს ივანე ბაღვაშის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ არაპირდაპირად მიუთითებს, რომ მეფემ იგი ისეთ ვითარებაში შეიპყრო, რომლის გახმაურებას მემატიანე ერიდება. ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ივანე უშუალოდ თრიალეთში შეიპყრეს ოჯახთან ერთად. მაგრამ აქვე მომხდარმა ზოგიერთმა არასასიამოვნო ფაქტმა აიძულა ისტორიკოსი, დადუმებულიყო. ბიზანტიელი ისტორიკოსის, სკილიცეს მონათხრობი სწორედ ამ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ამასთანავე, 1045-1046 წლების მიჯნაა ის პერიოდი, როდესაც პირდაპირ დასტურდება ბაგრატ IV-ის ხელში ლიპარიტის ოჯახის წევრის ტყვეობა და, ამავე დროს, ლიპარიტის ხელთ ანისში დატყვევებული მეფის დედის, მარიამ დედოფლის ყოფნა.

1046 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც მხარეებმა ტყვეები გაცვალეს, სოფ. სასირეთთან ლიპარიტ ბაღვაში და ბაგრატ IV ერთმანეთს შეებრძოლნენ.

ზემოთ აღინიშნა, რომ დამარცხებულმა მეფემ ლიპარიტის ნახვა ინება და მცირე ამალით ეახლა, თუმცა ერისთავმა მასთან შეხვედრა არ ინება. ლიპარიტის ასეთი საქციელი ბევრ კითხვას ბადებს.

რისთვის იბრძოდა კლდეკარის ერისთავი?

პასუხი ერთია – თავისი უფლებების გაზრდისა და მეფისგან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. ლიპარიტმა მშვენივრად იცოდა, რომ მას საქართველოს მეფედ არავინ დასვამდა. მისი მიზანი იყო, ცენტრალური ხელისუფლებისაგან მეტი შეუვალობა მოეპოვებინა. სასირეთის ბრძოლის შემდეგ ეს მიღწეული იყო – დამარცხებული საქართველოს მეფე თავისი ფეხით მიდიოდა გამარჯვებულ ერისთავთან. ეს იყო ლიპარიტის ტრიუმფი. ამაზე მეტის მიღწევა იმ მომენტში აღარ შეიძლებოდა და ეს ლიპარიტმა კარგად იცოდა. მას რომც ნდომებოდა მესხეთის დამოუკიდებლობა, მეფესთან შეხვედრა ხელს არ შეუშლიდა ამ მიზნების განხორციელებაში. პირიქით, დამარცხებულ ბაგრატთან გამარჯვებული ლიპარიტის შეხვედრა ამ მიმართულებით კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ბრძოლას, საერთოდ, ჟინი სდევს – ჟინი მოწინააღმდეგის დამარცხებისა. მაგრამ გამარჯვებულს ორმაგ სიამოვნებას ანიჭებს, როდესაც მის წინაშე დამარცხებული დგას, მისი მოწყალების იმედად დარჩენილი. ლიპარიტის ბანაკში ბაგრატის მისვლა ამ უკანასკნელისთვის უკიდურესად დამამცირებელი იყო. ქვეყანაში ორი პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდა. სასირეთის ბრძოლის შემდეგ ლიპარიტის გარშემო არსებულმა პოლიტიკურმა ძალამ არა მარტო გაიმარჯვა, არამედ, მეფესთან შეხვედრის შემთხვევაში, შესაძლებლობა ეძლეოდა, ამ გამარჯვების ლეგიტიმაცია მოეხდინა. მაგრამ ამ დროს ბაღვაში დგამს უცნაურ ნაბიჯს: მან არ ისურვა მეფესთან შეხვედრა და საერთოდ გაეცალა ხოვლეს. არანაირი პოლიტიკური ახსნა ლიპარიტის ამ ნაბიჯს არა აქვს. ამ გადაწყვეტილებაში უფრო პირადული, ემოციური მოტივები გამოსჭვივის. მან არ მოისურვა მეფის ნახვა. სკილიცეს ცნობას თუ მოვიშველიებთ, კლდეკარის ერისთავის საქციელის გაგება თითქოს ხერხდება. ის მეფისგან პიროვნულადაა შეურაცხყოფილი და ამიტომაც არ სურს ბაგრატ IV-ის ნახვა. თავის მხრივ, ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილება, ხლებოდა ხოვლეს მდგომ ლიპარიტს, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მეფე არ თვლიდა თავს დამნაშავედ ამ ინციდენტში. აშკარაა, რომ მეფე ცდილობს, გაემიჯნოს იმ სამარცხვინო ფაქტს, რომელიც ლიპარიტის ოჯახის გარშემო დატრიალდა. ამ შემთხვევაში, სკილიცე, უდავოდ, აჭარბებს, როდესაც უშუალოდ ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს მიიჩნევს ამ შემზარავი საქციელის ჩამდენ პირებად. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, მოქმედებენ საქართველოს მეფისა და ლიპარიტ ბაღვაშის მომხრეები. ამჯერად

ჭირს იმის დადგენა, რა დოზით იყვნენ დამნაშავენი ბაგრატ IV და ლიპარიტი ამ საქმეში და იყო თუ არა მათგან სიტყვიერი დასტური. ბაგრატ IV-ის მცირე ამალით მისვლა ლიპარიტთან გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფე ემიჯნებოდა მომხდარს და თავიდან იცილებდა პასუხისმგებლობას. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ლიპარიტისათვის.

ლიპარიტ ბაღვაშის გავლენა ბიზანტიურ თანამეგობრობაში

XI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან ლიპარიტ ბაღვაშის პოლიტიკური წონა ბიზანტიის იმპერიაში დღითი დღე იზრდებოდა. ამ პერიოდში კავკასიში იმპერიის ნებისმიერი ფართომასშტაბიანი აქცია წარმოუდგენელი იყო კლდეკარის ერისთავის მონაწილეობის გარეშე. განსაკუთრებით ფასდაუდებელი იყო ლიპარიტის დამსახურება ანისის დაკავების ჟამს, როდესაც მის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა მთლიანად გაანეიტრალა ქალაქის დასაცავად ჩასული ქართველი მეომრები. ამ დამსახურებათა გამო ლიპარიტ ბაღვაშისთვის მაგისტროსის ტიტული უნდა გადაეცათ. პირველად იგი მაგისტროსად 1047 წელს იხსენიება.[35] აშკარაა, რომ მას ეს ტიტული ამ მოვლენის წინა პერიოდში უნდა მიეღო, ჩვენი ვარაუდით, 1045-1046 წლებში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის (ანისის აღება, დვინზე ლაშქრობა).

1048 წელს ბიზანტიას თურქ-სელჩუკთა ახალი ლაშქრობა დაატყდა თავს. ბიზანტიელმა მხედართმთავრებმა თავიდანვე გადაწყვიტეს, თავდაცვითი ტაქტიკა აერჩიათ, ყველაფერი ციხეებში გამოეკეტათ, ქალაქები გაემაგრებინათ და ბრძოლა იმპერიის შიგნით მიეღოთ. ვასპურაკანის კატეპანმა აარონმა და იბერიის დუკამ კეკავმენმა ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყეს და ვასპურაკანიდან იბერიის თემში გადავიდნენ. იმავდროულად, „სიმაგრეებში ჩაკეტეს მთელი სოფლის მოსახლეობა, ქალები და ბავშვები და ყველაფერი, რაც ძვირფასი ჰქონდათ".[36] ამასთანავე, მხედართმთავრებმა მომხდარის შესახებ იმპერატორ კონსტანტინე IX-ს აცნობეს და მომავალი მოქმედების ინსტრუქცია სთხოვეს. „მეფემ, ეს წერილი რომ მიიღო, – დასძენს სკილიცე-კედრენე, – უბრძანა მათ (ე. ი. სარდლებს), თავი შეეკავებინათ, სანამ ლიპარიტი მოვიდოდა იბერიის ჯარით და რომაელთა ჯარებს შეუერთდებოდა".[37] თავის მხრივ, კონსტანტინე

---

[35] ვ. სილოგავა, ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები, Dedication, თბ., 2001, გვ. 251-272.

[36] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 71-72.

[37] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 72.

IX მონომახმა ლიპარიტ ბაღვაშს წერილი მისწერა, რომელშიც იმპერატორი კლდეკარის ერისთავს დახმარებას სთხოვდა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში: „თუ რომაელთა მოკავშირედ და მეგობრად თვლი თავს, სასწრაფოდ წამოიყვანე მთელი ჯარი, რაც კი შენ ხელთაა, მოდი და შეუერთდი რომაელთა სარდლებს და მათთან ერთად იომე ბარბაროსების წინააღმდეგ“.[38]

ამ ცნობიდან კარგად ჩანს იმპერატორის დამოკიდებულება ლიპარიტის პერსონისადმი. იგი თავის სარდლებს უკრძალავს მის გარეშე მოქმედებას. თავად კლდეკარის ერისთავიც არ ერიდებოდა ბიზანტიელ სარდლებს და საჭიროების შემთხვევაში, წინააღმდეგობასაც უწევდა. ეს კარგად გამოჩნდა გადამწყვეტი ბრძოლის წინ გამართულ თათბირზე. ვასპურაკანიდან წამოსული ბიზანტიელთა არმია იბერიის თემში გადავიდა და ბასიანში გამაგრდა. 1048 წლის 17 სექტემბერს, შაბათ დღეს, მოწინააღმდეგეები ურთიერთის პირისპირ იდგნენ. ომი საღამო ხანს დაწყებულა. ამას ადასტურებენ არისტაკეს ლასტივერტეცი, სკილიცე-კედრენე და მათეოს ურჰაელი. ეს უკანასკნელი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „იმ დროს, ღამით, უცხო ტომის ჯარებმა დაიწყეს ბრძოლა“. ბიზანტიელი მემატიანე აკონკრეტებს: „იყო საღამო ჟამი, გუთნეულის გამოხსნის დრო“.[39] ლიპარიტ ბაღვაშს თავიდანვე არ სურდა შაბათს ომის დაწყება. სამხედრო თათბირზე მან კეკავმენს განუცხადა, რომ ამ დღეს არ იბრძოლებდა. სკილიცე-კედრენე ამას იმით ხსნის, რომ კლდეკარის ერისთავი „უბედურ დღეთა რიცხვს მიაკუთვნებდა შაბათს“.[40]

[38] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 72

[39] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 76; საზოგადოდ, ამ ბრძოლის თარიღზე იხ.: G. Schlumberger, L' Epopee Byzantine a la fin du X-s, Paris, 1905, გვ. 559-560; К. Н. Юзбашян, Армянские государство эпохи Багратидов и Византия. IX-XI вв., გვ. 222; C. Cahen, Pro-Ottoman Turkey, London, 1968, გვ. 68; W. Felix, Byzanz und die islamische Welt im fruhem 11. Jahrhundert, Wien, 1981, გვ. 165, შენ. 39; Р. А. Гусейнов, Взаимоотношения Византии и Сельджукрв в Малой Азии в XI- XII вв. (По сирийским источникам), «Средневековый Восток», М., 1980, გვ. 121; ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, გვ. 201; R. Grousset, Histoire de l´Armenie des origins à 1071, Paris, 1947, გვ. 589; E. Honigmann, Die ostgrenze des Byzantinischen Reiches, von 363 bis 1071, Bruxelles, 1935, გვ. 111; С. А. Маркарян, Сельджуки в Иране XI веке, Саратов, 1991, გვ. 111; С. Г. Микаелян, История Киликийского-армянского государства, Ер., 1952, გვ. 55. ვრცლად იხ.: გ. ჯაფარიძე, ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობაში, გვ. 317-325; ჯ. სამუშია, ბიზანტიურ-ქართულ-სომხური სამხედრო კოალიცია თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 349, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 2003.

[40] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 75.

ამავე ცნობას ადასტურებს მათეოს ურჰაელიც. მისი თქმით, ლიპარიტს ბიზანტიელი სარდლისათვის უთქვამს: „შაბათია და ქართველები შაბათ დღეს საბრძოლველად არ გამოვლენ“.[41] ამასობაში, თურქ-სელჩუკებმა ისარგებლეს მოწინააღმდეგის პასიურობით და თავად გადავიდნენ შეტევაზე. მიუხედავად საომარი მოქმედებების დაწყებისა, კლდეკარის ერისთავი ბოლომდე თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა და მხოლოდ მაშინ ჩაერთო ბრძოლაში, როცა უახლოესი ნათესავის, ჩორტუანელის დაღუპვის ფაქტი შეიტყო.[42] თანამებრძოლისა და ნათესავის დაკარგვამ ისე იმოქმედა ლიპარიტზე, რომ მთელი ძალით ჩაება საომარ მოქმედებებში.

გაერთიანებულ არმიასა და თურქ-სელჩუკთა შორის ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. ლიპარიტ ბაღვაშმა მოახერხა თურქ-სელჩუკთა შეტევის მოგერიება, მაგრამ, მთლიანობაში, ომი გაერთიანებული ლაშქრისათვის საკმაოდ ცუდი შედეგებით დასრულდა. თურქ-სელჩუკებმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება. მათ თვით ლიპარიტ ბაღვაშიც კი ჩაიგდეს ტყვედ, რაც უდიდესი წარმატება იყო მომთაბარე ოღუზთათვის. დატყვევებულ ლიპარიტს თავიდანვე უცდია თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლება. იბნ ალ-ასირის მითითებით, აფხაზთა მთავარმა თავის გამოსახსნელად თურქ-სელჩუკებს „შეაძლია 300 000 დინარი და 100 000 დინარის საფასური საჩუქრები“.[43] ორ წელზე მეტხანს მოუწია ლიპარიტს სულთნის კარზე ყოფნა. ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IX მონომახმა არაერთხელ სცადა მისი ტყვეობიდან დახსნა. საბოლოოდ, 1050 წელს ლიპარიტი სულტანმა თორღულ-ბეგმა გაათავისუფლა.[44]

თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან წამოსული ლიპარიტ ბაღვაშის მარშრუტის აღდგენა უფრო ზედმიწევნით „მატიანე ქართლისას“ მეშვეობითაა შესაძლებელი. სხვა წყაროებში შედარებით ზოგადი ცნობებია დაცული. მემატიანე წერს: „ამისსა შემდგომად დაეწსნა ლიპარიტ თურქთა და შემოვიდა ანისს“.[45] ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში შემოსვლის შემდეგ კლდეკარის ერისთავი სამშვიდობოს იყო. ვფიქრობთ, ლიპარიტისთვის თავიდანვე ნათელი გახდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნება, თუნდაც მცირე ბიზანტიური არმიის თანხლებით, შედეგს ვერ მოიტანდა. მას სხვა გზა

[41] მათე ურჰაელი, ისტორია, გვ. 199.

[42] იქვე; გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 76.

[43] ბ. სილაგაძე, იბნ ალ-ასირის თხზულების „თარიხ-ალ-ქამილის“ ერთი ადგილის დადგენისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბ., 1971, გვ. 68.

[44] გ. ჯაფარიძე, ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობაში, გვ. 317-325.

[45] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 286.

უნდა ეძებნა და სამშობლოში ჩამოსვლისათვის მასშტაბური სახე მიეცა. ეს უნდა გამოხატულიყო ბიზანტიელთა მხრიდან პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის ფორმით. ამიტომაც ლიპარიტი არ ჩქარობდა საქართველოში დაბრუნებას, პირიქით, მისთვის ამ მომენტში იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახთან ვიზიტი გაცილებით მეტი პოლიტიკური დივიდენდების მომტანი იყო. სწორედ ამიტომ ბაღვაში კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იმპერატორს ეახლა. სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი მოგვითხრობს: „სულთანმა გაათავისუფლა იგი (ლიპარიტი – ჯ. ს.) და დიდძალი საჩუქრებით ჰრომებთან გააგზავნა. ლიპარიტი მივიდა კონსტანტინოპოლში. როდესაც მონომახმა იხილა იგი, ფრიად განიხარა და დიდძალი საჩუქრებით გააგზავნა სახლში, ცოლთან და ვაჟიშვილებთან“.[46] ამდენად, ზედმიწევნით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ლიპარიტის განთავისუფლებასა და მის საქართველოში დაბრუნებას შორის არსებულ პერიოდს. კლდეკარის ერისთავი ანისში მცირე ხნით უნდა შეჩერებულიყო და აქედან პირდაპირ იმპერატორის სანახავად გამგზავრებულიყო. კონსტანტინოპოლში კონსტანტინე IX მონომახმა მას საპატიო დახვედრა მოუწყო. ერისთავის ვიზიტი აღწერილი აქვს მიხეილ ატალიატეს, რომელიც აღნიშნავს: „რომაელთა მეფემ მიიღო და საჯარო პატივით დააჯილდოვა იგი, და შეამკო ისეთი საჩუქრებითა და სიტყვებით, რომელთაც ყველგან ჰქონდა ის ბრწყინვალება, რომელიც არის უეჭველად რომაული სახელმწიფოს სულის გამომხატველი.“[47] ბიზანტიის იმპერატორის ლიპარიტისადმი ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებას ლოგიკური ახსნა აქვს. კლდეკარის ერისთავი იმპერიის აღმოსავლეთ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, მაგრამ ლიპარიტისა და კონსტანტინე IX მონომახის ურთიერთობაში გარკვეული სუბიექტური ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერატორი გამოირჩეოდა თავისი ექსტრავაგანტური საქციელით. მას შეეძლო, ადამიანი შეჰყვარებოდა უზომოდ, დაენახა მასში მხოლოდ დადებითი, ანდა, პირიქით, მოეძულებინა ისე, რომ მასზე გული აღარ მობრუნებოდა. ეს იყო ადამიანი, რომელიც ორ უკიდურესობას შორის მერყეობდა. ცნობილია, როგორ განიცადა კონსტანტინე მონომახმა თავისი მსახურისა და მასხარის, რომან ბოილას შეპყრობა, როდესაც ამ უკანასკნელს იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა. სასამართლოზე დამნაშავე თავად კონსტანტინე IX-მ გაამართლა. თავისი მასხარის გადარჩენა იმპერატორმა დიდი ლხინით აღნიშნა. ვფიქრობთ,

---

[46] მათე ურჰაელი, ისტორია, გვ. 204.

[47] მიხეილ ატალიატე, ისტორია, გეორგიკა, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 26.

ლიპარიტის მიმართაც მას განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი გვაქვს. აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინე IX-ს, პოლიტიკური თანამშრომლობის გარდა, პიროვნული სიმპათია ამოძრავებს კლდეკარის ერისთავის მიმართ. კონსტანტინოპოლში ლიპარიტმა დასახულ მიზანს მიაღწია: მან საჭირო სამხედრო დახმარება მიიღო იმპერატორისაგან. „მატიანე ქართლისას“ ცნობას, რომ ერისთავი „ბერძენთა მეფის“ ჯარით დაბრუნდა საქართველოში, ადასტურებს ვარდან დიდიც, რომელიც დასძენს: „კეისარი თხოულობდა ლიპარიტის მისვლას. იგი წავიდა მასთან, მიიღო მისგან ჯარი და დაბრუნდა საქართველოში“.[48] იმპერატორის ასეთი ცალსახა მხარდაჭერა ლიპარიტსა და მის მომხრეებს ბრძოლის გაგრძელებისა და, რაც მთავარია, გამარჯვების იმედს უსახავდა, სამეფო კარს კი, პირიქით, უიმედობასა და სასონარკვეთილებაში აგდებდა.

ლიპარიტის პოზიციები საიმპერატორო კარზე გამაგრებული იყო შესაბამისი ბიზანტიური ტიტულებითაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაახლოებით 1045-1046 წლიდან ლიპარიტი მაგისტროსია.[49] მოგვიანებით იგი პროედროსად და პროტარხონად იხსენიება.[50] „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ ტექსტზე დაყრდნობით, ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლიპარიტ ბაღვაში კურაპალატის მაღალ საკარისკაცო ტიტულსაც ატარებდა. „მატიანე ქართლისას“ ის ადგილი, სადაც საუბარია ლიპარიტის მიერ პატარა გიორგი II-ის აღზრდაზე („და ზრდიდა ბაგრატის ძესა, გიორგის მცირესა, სახელ-ითა მეფობისაჲთა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყო-ბით“[51]), სომხურად თარგმნილია შემდეგნაირად: „ლიპარიტ კურაპალატს ეჭირა მთლიანად ზემო ქვეყანა და ვერ შეჰგუებოდა ბაგრატის მეფობას, თუმცა კი გაეზარდა მისი შვილი და გაემეფებინა“. ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც ლიპარიტი კურაპალატად იხსენიება. ნ. სკაბალანოვიჩმა ერთ-ერთმა პირველმა მიიჩნია ლიპარიტის კურაპალატობა უტყუარ ფაქტად.[52] ეს მოსაზრება

---

[48] ვარდან დიდი, მსოფლიო ისტორია, გვ. 197; ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, გვ. 123.

[49] ლ. თავაძის აზრით, მაგისტროსის ტიტულის პარალელურად, ლიპარიტს უნდა ჰქონოდა „პროტოსტრატორის“ ტიტულიც (ლ. თავაძე, მაგისტრი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, თბ., 2016, გვ. 147).

[50] ამ საკითხზე ვრცლად იხ.: ვ. სილოგავა, ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები, გვ. 251-283.

[51] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 287.

[52] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, кн. I, გვ. 279. რუსი ბიზან-ტინისტი ამ ცნობას მ. ბროსეს თარგმანით იცნობდა.

დღემდე გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[53] მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ლიპარიტი კურაპალატია, არ მიგვაჩნია მართებულად, ეს ცნობა პირდაპირ მივიღოთ. ჩვენამდე მოღწეულია კაცხის მონასტრიდან წაღებული სახარების ერთი ძვირფასი ანდერძ-მინაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „ესე ანდერძი მე, ივანე პროედროსმან, ძემან ლიპარიტის ერისთავთა ერისთავისამან პროედროსისა და პროტარხონისამან, დავწერე მას ჟამსა ოდეს... ძლიერმან აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან კოსტანტინეპოვლით მომიყვანეს და მოვედ კაცხს".[54] იქვე ივანეს ყმებს დაუწერიათ: „ქ. ადიდენ ღმერთმან ძრიელსა და უძლეველსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან გამოიყუანა კოსტანტიპოვლით ივანე პროედროსი, ძე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა... და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა ია (11), დღესა ახალკურიაკესა..." როდესაც „ესე წყალობაჲ მოჲწია ღმერთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა... ქრონიკონი იყო სოთ(1059)".[55] როგორც ვხედავთ, ლიპარიტის ტიტული ქვეყნიდან გაძევებისა და საერო ცხოვრების დასრულების ჟამს ყოფილა „პროედროსი და პროტარხონი". გამორიცხულია, შვილს შეშლოდა მამის ტიტულატურა, ანდა დაემალა მისი „კურაპალატობა", რომელიც გაცილებით მაღალი საკარისკაცო პატივი იყო, ვიდრე „პროედროსობა". ამიტომაც ვფიქრობთ, რომ უფრო მეტ ნდობას იმსახურებს თანადროული ქართული ხელნაწერის მინაწერი, უშუალოდ ლიპარიტის ვაჟის მიერ შესრულებული, ვიდრე „ქართლის ცხოვრების" XII საუკუნის სომხური თარგმანი.

ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ვიზიტი და კრიზისის დარეგულირება

ბიზანტიიდან კლდეკარის ერისთავის საქართველოში დაბრუნებას კვლავ მოჰყვა პოლიტიკური ვითარების დაძაბვა. ქვეყანა აშკარა, უფრო დიდი მასშტაბის სამოქალაქო ომის წინაშე იდგა. ცენტრალურ ხელისუფლებას

[53] ლ. თავაძე, მაგისტრი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, თბ., 2016, გვ. 150. მეცნიერის აზრით, ლიპარიტს კურაპალატობა 1054 წლის შემდეგ უნდა მიეღო.

[54] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II(1), თბ., 1986, გვ. 214.

[55] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, გვ. 214.

უკვე აღარ შესწევდა ძალა, წინ აღდგომოდა ურჩი ერისთავის ქმედებას. ლიპარიტის გაძლიერების შეჩერება სამეფო კარს უკვე აღარ შეეძლო, ამიტომ საქართველოს მეფემ რთული მდგომარეობიდან თავისებური, სარისკო გამოსავალი მოძებნა. ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა თავად ხლებოდა იმპერატორს და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის საკვანძო საკითხები კონსტანტინოპოლში მოეწესრიგებინა.

XI საუკუნის ისტორიულ წყაროებში, როგორც ქართულში, ასევე ბიზანტიურსა და სომხურში, თვალნათლივ ჩანს, რომ ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში გამგზავრება გამოწვეული იყო სწორედ ლიპარიტ ბაღვაშის გააქტიურებით. სკილიცე-კედრენეც მეფის კონსტანტინოპოლში ჩასვლას კლდეკარის ერისთავის სამშობლოში დაბრუნებით ხსნის.[56] სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდიც ამ ფაქტს ლიპარიტს უკავშირებს.[57] მართალია, ბაგრატ IV-ს ეს ნაბიჯი ლიპარიტ ბაღვაშის სამშობლოში დაბრუნებამ გადაადგმევინა, მაგრამ მთავარი აქ, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ მეფემ აღარ ისურვა უაზრო სამოქალაქო ომის გაგრძელება და საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარება არჩია. ამ დროს „აფხაზთა და ქართველთა" სამეფოში სამი მხარის ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს: საქართველოს მეფე ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისკენ მიისწრაფოდა, ლიპარიტი დაკარგული უფლებების აღდგენისათვის იბრძოდა, ბიზანტიის იმპერატორი კი მთელი ამ ინტრიგით კავკასიური პოლიტიკიდან საქართველოს გამოთიშვასა და ჩვენი ქვეყნის შიგნით იმპერიის გავლენის გაზრდას ცდილობდა. ამ კვანძის გახსნა კი მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან შეიძლებოდა და ეს იმდროინდელმა ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად უწყოდნენ. ამდენად, ბაგრატ IV-მ ბიზანტიასთან პირდაპირი დიალოგის გზა აირჩია და არა მისი ინტერესების დამცველ ლიპარიტთან ბრძოლა. ასევე, საინტერესოა ერთი დეტალიც. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ჩასვლა იმხანად სამივე მხარეს თავისებურად უნდა შეეფასებინა. უდავოა, კონსტანტინოპოლში ამ ნაბიჯს იმპერიის პოლიტიკის გამარჯვებად აღიქვამდნენ, ლიპარიტი მას თავის წარმატებად მიიჩნევდა, საქართველოს სამეფო კარი კი, მართალია, უკან დახევად, მაგრამ მაინც მოხერხებულ დიპლომატიურ ნაბიჯად ჩათვლიდა.

---

[56] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 67.

[57] ვარდან დიდი, მსოფლიო ისტორია, გვ. 197.

* * *

სანამ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში წავიდოდა, მან სამეფო თავის ვაჟს, გიორგის გადასცა: ბაგრატმა „დაუტევა ქუთაისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“ გიორგი უფლისწული და თავად „წარვიდა საბერძნეთს“.[58]

ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში დედის, მარიამ დედოფლისა და წარჩინებულთა დიდი ამალის თანხლებით ჩასულა. მეფის დელეგაციის მრავალრიცხოვნობაზე საგანგებოდ მიუთითებს გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“. იმ ადგილას, სადაც ათონიდან კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV-ის სანახავად გიორგი მთაწმინდელის ჩასვლაზეა საუბარი, ავტორი მიანიშნებს: „იხილეს რაჲ (გიორგი მთაწმინდელი – ჯ. ს.) მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა, განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ ასმიოდა საღმრთოჲ იგი მოქალაქობაჲ მისი“.[59] როგორც ვხედავთ, სამეფო ოჯახის გარშემო „მთავართა და წარჩინებულთა“ მთელი დასია. საქართველოდან ბიზანტიაში ჩასული დელეგაციის მთელი შემადგენლობის დადგენა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი წევრის ვინაობა ცნობილია. ელ. მეტრეველი ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღაპებში მოხსენიებული ძმები პეტრიკი და იოანე (აღაპი 15), სანანო ქველის ძე (აღაპი 20) და ფარსმან თმოგველი (აღაპი 89) ბაგრატ IV-ის ამალის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.[60]

კონსტანტინოპოლში ჩასულმა ბაგრატ IV-მ იმპერატორთან აუდიენციისას დიპლომატიური ეტიკეტი არაფრად ჩააგდო და კონსტანტინე IX მონომახს „დიდი საყვედური მოახსენა“. სხვათა შორის, ამას მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი სკილიცე-კედრენე. მას ისე ბუნებრივად აქვს გადმოცემული საქართველოს მეფის ემოციები და განწყობა, შეუძლებელია, ამ პასაჟში ეჭვი შევიტანოთ. ისტორიკოსი დასძენს: იმპერატორს „რომ შეხვდა (ბაგრატი – ჯ. ს.), ჯერ დიდი საყვედური მოახსენა, მეფე ხარ და არა პატარა ქვეყნის. აბაზგიის მთავართან დადებული გქონდა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი, განდგომილი მონა დაიახლოვეო. შემდეგ ის სთხოვდა, ისინი (ბაგრატი და ლიპარიტი – ჯ. ს.) მოერიგებინა“.[61] სამწუხაროდ, მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ შემდგომში განვითარებული მოვლენები

---

[58] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 287.

[59] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1994, გვ. 201.

[60] ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 74-77.

[61] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 68.

გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ IV-ის სიტყვებს კონსტანტინე IX-ზე მაინცდამაინც დიდი გავლენა არ უნდა მოეხდინა. ბიზანტიას თავისი გეგმები ჰქონდა კავკასიაში და საქართველოს მეფის მკაცრი პოზიცია დიდს ვერაფერს შეცვლიდა. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ შეხვედრის შემდეგ ბაგრატ IV-ს თითქმის სამი წელი მოუწია კონსტანტინოპოლში „სტუმრად" დარჩენა, უფრო სწორად, „საპატიო ტყვედ". ეს რეალობა საკმაოდ მძიმედ იმოქმედებდა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე. ქვეყანაში ორი პოლიტიკური ცენტრი იყო შექმნილი. ლიპარიტის დამოუკიდებლობის ხარისხი არაღიარებული მეფე-მთავრის სტატუსს უტოლდებოდა. ის თავის ქმედებაში სრული თავისუფლებით სარგებლობდა. მეორე მხრივ, ალბათ, ლიპარიტმა შესანიშნავად იცოდა, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ის ვერასდროს გახდებოდა დამოუკიდებელი მმართველი. მოსაძებნი იყო კომპრომისი, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნებოდა. რეალურად, ბიზანტიელები, ბაგრატ IV და ლიპარიტი მზად იყვნენ, შეთანხმებისთვის მიეღწიათ. მთავარი იყო ის, თუ ვის რისი დათმობა შეეძლო. ამის ძიებასა და გარკვევაში საკმაო ხანი გავიდა.

ლიპარიტ ბაღვაში და ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა საქართველოში

საქართველოს მეფის ბიზანტიაში საპატიო ტყვეობა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა იმ გარიგებით, რომელიც კონსტანტინე IX მონომახის შუამდგომლობით დაიდო ლიპარიტ ბაღვაშსა და ბაგრატ IV-ს შორის. ბიზანტიელი ისტორიკოსის, სკილიცე-კედრენეს წყალობით კი, შემონახულია ზოგადი შინაარსი ამ შეთანხმებისა. მემატიანე წერს: „მეფის მეცადინეობით (ე. ი. იმპერატორის – ჯ. ს.)... იმათ ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, მესხეთის, მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ. აი, ასე დამთავრდა აბაზგიის საქმეები".[62] როგორც ვხედავთ, ლიპარიტსა და ბაგრატს შორის გავლენის სფეროები გადანაწილდა. ერისთავი აღიარებდა მეფის უზენაესობას, თუმცა, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს მორჩილება ნომინალური უნდა ყოფილიყო. რა მდგომარეობა იყო საქართველოში ბაგრატ IV-ის გამგზავრების შემდეგ და როგორ აისახა კონსტანტინოპოლში გაფორმებული ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის პლიტიკურ ცხოვრებაზე?

[62] გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გვ. 68.

ბაგრატ IV-მ ბიზანტიაში წასვლამდე, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი ძე, გიორგი დატოვა თანამოსაყდრედ. ამ დროს, ფაქტობრივად, სამეფო ორ ნაწილად იყო გაყოფილი. სახელისუფლო კრიზისი საქართველოში კარგა ხანს გაგრძელებულა და ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების წინა ხანებში დარეგულირებულა, თუმცა, მხოლოდ გარეგნულად. „მატიანე ქართლისას" მინიშნებით, საქართველოს მეფის კონსტანტინოპოლში ყოფნისას, რატომღაც, ლიპარიტ ბაღვაშს მოუწადინებია გიორგი ბაგრატის ძის საქართველოს მეფედ აღიარება და ამ წინადადებით სამეფო კარისთვის მიუმართავს: „ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რაჲთა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი".[63] როგორც ვხედავთ, არასასურველი რეალობის გამოსწორების სურვილით შეპყრობილმა სამეფო კარმა დიდი სიხარულით მიიღო ერისთავის წინადადება. გიორგი ბაგრატის ძე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანეს და რუისის ტაძარში მეფედ აკურთხეს. სამეფო კარსა და ბაღვაშებს შორის შეთანხმება ერთ მუხლსაც ითვალისწინებდა: მართალია, ლიპარიტი აღიარებდა ბაგრატიონთა სიუზერენობას, მაგრამ იმავდროულად, გიორგი მისი მფარველობის ქვეშ უნდა გაზრდილიყო. ეს მოვლენა მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ თავსდება ბიზანტიელ ისტორიკოსთან მოთხრობილ, საქართველო-ბიზანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებში. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებით, გავარკვიოთ, დაახლოებით როდის უნდა მომხდარიყო რუისის ტაძარში გიორგი ბაგრატის ძის კურთხევა.

„მატიანე ქართლისას" მიხედვით, გადაჭრით შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი ბაგრატ IV-ის საქართველოში დაბრუნების წინა ხანებში უნდა მომხდარიყო. სკილიცე-კედრენეს ცნობას თუ ქართული წყაროს მონაცემებს დავუმატებთ, ჩვენ წინაშე წარმოჩინდება საკმაოდ საინტერესო სურათი. ბიზანტიელი ავტორის მითითებით, ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს სამეფო გაუყვიათ, ერთი ნაწილი – აფხაზეთი და იბერია – საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა, ხოლო მესხეთი – ლიპარიტს. იმავდროულად, ეს უკანასკნელი ბაგრატ IV-ს ცნობდა მეფედ. ქართული წყაროს ცნობა სრულებით არ ეწინააღმდეგება ამას, პირიქით, მასში ახსნილია, თუ რა ფორმით გამოიხატა საქართველოს სამეფო კარის უზენაესობის ცნობა კლდეკარის ერისთავის მხრიდან – ლიპარიტი ერთიანი საქართველოს მეფედ გიორგი ბაგრატის ძეს მიიჩნევდა. ფაქტობრივად, ქვეყნის გამაერთიანებლად გიორგი უფლისწული

[63] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 287.

მოგვევლინა. ლიპარიტ ბაღვაშმა იგი საქართველოს მეფედ აკურთხა. ამ აქტით ქართულ სინამდვილეში თანამეფობის ინსტიტუტი შემოდის. ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე. ჩვენი აზრით, საქართველოში თანამეფობის ბიზანტიური მოდელი დამკვიდრდა.

„მატიანე ქართლისაში" მოიპოვება ერთი მეტად საყურადღებო მინიშნება, რომელიც პირდაპირ ეხმიანება ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას. იქ, სადაც საუბარია ბაგრატ IV-ის საქართველოში დაბრუნებაზე, ავტორი აღნიშნავს: „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და საბერძნეთს – ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა, გიორგის მცირესა, სახელითა მეფობისაჲთა, ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით".[64] კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ეს რეალური ვითარება უნდა ყოფილიყო დოკუმენტირებულად გაფორმებული კონსტანტინოპოლში. 1054 წელს კონსტანტინოპოლიდან წამოსული ბაგრატ IV სამშობლოში კვლავინდებურად ტრაპიზონის გზით დაბრუნებულა. დიდებულები მას ხუფათის მიდამოებში მიეგებნენ. „მატიანე ქართლისას" მიხედვით, „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღუს პირსა, ხუფათს, და იყო სიხარული და ღმრთის მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდ სახლად თვისად ქუთათისს".[65] ბაგრატ IV აფხაზეთისა და ქართლის გარკვეულ ნაწილს ფლობდა, ხოლო ლიპარიტი, ძირითადად, სამხრეთ საქართველოს აკონტროლებდა. გიორგი ბაგრატის ძე, საქართველოს მეფის სახელით, კლდეკარის ერისთავთან იზრდებოდა. ეს მოდუსი, ჩვენი აზრით, თავიდანვე უნდა ყოფილიყო ჩადებული კონსტანტინოპოლის შეთანხმებაში.

ხელისუფლების ცვლილება ბიზანტიაში, ლიპარიტ ბაღვაშის მარცხი და სახელისუფლო კრიზისის დასასრული

1055 წლის 11 იანვარს კონსტანტინე IX მონომახი გარდაიცვალა. მას მეფობის ბოლო პერიოდში საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თანამმართველთან, მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთან, დედოფალ თეოდორასთან. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კონსტანტინე IX-ის მომხრეები შეეცადნენ, იმპერატორის ტახტი შეეთავაზებინათ ბულგარეთის მმართველ ნიკიფორესათვის და მასთან ფარულად წარმომადგენელიც კი გააგზავნეს. ეს ამბავი ცნობილი გახდა დედოფალ თეოდორას მომხრეთა

[64] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 287.

[65] იქვე.

დასისთვის, რომლებმაც სასწრაფოდ იზრუნეს, რათა მომავალ იმპერატორად თეოდორა გამოეცხადებინათ. სხვათა შორის, კონსტანტინე IX მონომახსა და თეოდორას ურთიერთობაში ყოველთვის იგრძნობოდა დაძაბულობა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. კონსტანტინე IX მეტ პატივს მიაგებდა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებულ სამხედრო პარტიას, მაშინ, როცა თეოდორა, პირიქით, მეტ გასაქანს სამოქალაქო პირებს აძლევდა. დედოფალ თეოდორას მმართველობის მცირე პერიოდში (1055 წლის იანვრიდან 1056 წლის აგვისტომდე) მნიშვნელოვნად შეიცვალა იმპერიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. ახალი ხელისუფლების დროს უფრო მშვიდობისმოყვარე ურთიერთობები ჩამოყალიბდა მეზობლებთან და ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი. აშკარაა, რომ კონსტანტინე IX მონომახის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიელთა დამოკიდებულება ლიპარიტ ბაღვაშისადმი კარდინალურად შეიცვალა. ახალი იმპერატორი, დედოფალი ზოია, კეთილგანწყობილი იყო ქართველი ბაგრატიონებისადმი. როგორც ცნობილია, მან ბაგრატ IV-ის ასული მართაც კი მიიწვია ბიზანტიაში აღსაზრდელად. ამან ხელი გაუხსნა საქართველოს მეფეს და თავისი ურჩი ყმა ადვილად დაამარცხა. ლიპარიტის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მთავარი მოქმედი პირები ბაღვაშის ძველი მოკავშირეები იყვნენ. სულა კალმახელის მეთაურობით მათ შეთქმულება მოაწყვეს კლდეკარის ერისთავის წინააღმდეგ. მემატიანე აღნიშნავს, რომ მესხ დიდებულებს „მოეწყინა პატრონება ლიპარიტისი“. შეთქმულებმა ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს, ნიანია ლიპარიტის ძემ კი შეძლო კლდეკარის ციხემდე მისვლა, თუმცა, მამის მეციხოვნეებმა იქ არ შეუშვეს. ამის შემდეგ ნიანია ანისში გადაიხვეწა. შეთქმულებმა მეფესთან სასწრაფოდ მაცნე გაგზავნეს და სამხრეთ საქართველოში მოიწვიეს. გურანდუხტ დედოფალი და გიორგი ბაგრატის ძე ამ დროს ღრტილაში იდგნენ. ლიპარიტის შეპყრობისთანავე, როგორც ჩანს, შეთქმულებმა ისინი ახალქალაქში გახიზნეს. მართალია, „მატიანე ქართლისას“ ავტორი ცდილობს, დაფაროს ამ მოვლენებში ბაგრატ IV-ის ფარული მონაწილეობის ფაქტი, მაგრამ, უდავოა, ამ აქციაში სამეფო კარის ხელიც უნდა ერიოს, რამეთუ მხოლოდ სულა კალმახელი და მისი მომხრეები ვერ გადაწყვეტდნენ ამ ჩანაფიქრის აღსრულებას, მათ საამისოდ, უცილობლად, მეფის დასტური უნდა ჰქონოდათ.

ბაგრატ IV სასწრაფოდ ჯავახეთში ჩავიდა. მოკლე ხანში სამეფო ჯარმა დაიკავა ლიპარიტის ხელთ მყოფი ციხეები – არტანუჯი, ყველი, უფლისციხე და ბირთვისი. მხოლოდ კლდეკარის მეციხოვნეებმა გაუწიეს სერიოზული წინააღმდეგობა საქართველოს მეფეს. ბაგრატ IV-მ ლიპარიტ ბაღვაშისა და

ივანეს ძელზე გასმა ბრძანა. მხოლოდ ამ ღონისძიებების შემდეგ დანებდა კლდეკარი.

კლდეკარის დაკავების შემდეგ უკვე ნათელი იყო, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ საბოლოოდ მოაგვარა ლიპარიტ ბაღვაშის პრობლემა. თავად ერისთავიც კარგად ხვდებოდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ ბერად აღკვეცა და კონსტანტინოპოლში წასვლა გადაწყვიტა. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილების მიღებაში ერისთავს სამეფო კარმაც „შეუწყო ხელი“. ასე დასრულდა ბაღვაშთა საგვარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნების – ლიპარიტის პოლიტიკური კარიერა. კლდეკარის ერისთავმა კონსტანტინოპოლში წასვლამდე თავისი ვაჟი საქართველოს მეფეს შეავედრა. ბაღვაშებს სამფლობელოდ მხოლოდ არგვეთის მამული დარჩათ. ამ მოვლენიდან მცირე ხნის შემდეგ მამის გზას დაადგა ივანე ლიპარიტის ძეც. „მატიანე ქართლისას“ ავტორი დასძენს, რომ „შემდგომად მცირედის ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს და დაყვნა მუნ წელნი რაოდენნიმე“.[66] ივანეს ბიზანტიაში გადახვეწა 1056 წლისთვის უნდა მომხდარიყო, იმპერატორ ზოიას გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან ივანე ლიპარიტის ძისათვის ხელსაყრელი პირობები იმპერიაში მხოლოდ ზოიას მემკვიდრის დროს შეიქმნებოდა.

[66] მატიანე ქართლისაჲ, 2008, გვ. 288.

„მეფის კურთხევის“ წესი „დავითისა და თამარის ეპოქაში“ („აფხაზთა მეფეთა“ დროინდელი წესის შეცვლის საკითხისათვის)*

საქართველოში კორონაციის ევოლუციაზე თვალის გადევნება, სათანადო წყაროების უქონლობის გამო, საკმაოდ ჭირს. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ვარაუდებით შემოვიფარგლებით. ისეთი ძველი მონარქიული ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თავიდანვე იარსებებდა მეფის კურთხევის მწყობრად ჩამოყალიბებული წესი და განგება. ისიც უდავოა, რომ ამ წესს შესაბამისი დოკუმენტირებული დადასტურებაც ექნებოდა ისევე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც ბევრი სხვა საბუთი, ეს დოკუმენტებიც დაიკარგა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გამო. ამიტომაცაა, რომ ყველაზე ადრეული დოკუმენტი, რომელშიც მეფის კურთხევის ცერემონიალია სრულად აღწერილი, XIII საუკუნეში შედგენილი ძეგლია – „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“.[1] ეს არცთუ

* „მეფის კურთხევის“ წესი „დავითისა და თამარის ეპოქაში“ („აფხაზთა მეფეთა“ დროინდელი წესის შეცვლის საკითხისათვის), „ელდარ მამისთვალიშვილი – 75“, გორი, 2015, გვ. 323-348. იხ., ასევე: „აფხაზთა მეფეების“ დროინდელი „მეფის კურთხევის“ წესის შეცვლის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2015, №1, გვ. 30-48.

ს. კაკაბაძის მოსაზრებით, „წესი და განგება“ XIII ს-ის დასაწყისში უნდა შექმნილიყო, საგანგებოდ ლაშა-გიორგის გამეფებისათვის. მეცნიერის აზრით, მეფის კურთხევის წესი „უნდა იყოს შედგენილი არა უადრეს XIII საუკუნისა, რადგან მასში მოხსენიებული თანამდებობა ათაბაგისა შემოვიდა ჩვენში XIII საუკუნის დასაწყისს“ (ს. კაკაბაძე, მეფის კურთხევის წესი XIII საუკუნის დასაწყისს შედგენილი, ტფ., 1913, გვ. 1-2). ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ეს ძეგლი XIII ს-ის მიწურულს ეკუთვნოდა. ბოლო პერიოდში ისტორიკოსი მხოლოდ XIII საუკუნეს უთითებდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 151). სხვათა შორის, იქვე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ცხადი ხდება, რომ მეფეთა კურთხევის წესის თავდაპირველი განგება იმ დროს (XII-XIII ს-მდე) უნდა იყოს შედგენილი, როდესაც ჯერ ზარების რეკა არ იყო, არამედ ხის ფიცრის რაკუნით ატყობინებდნენ ხოლმე მრევლს ლოცვის დასაწყისს“ (იქვე, გვ. 152). „წესსა და განგებას“ XIII ს-ის ძეგლად

ისე დიდი დოკუმენტი სხვადასხვა ხელნაწერის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. დღემდე მისი რამდენიმე პუბლიკაცია განხორციელდა.[2] აღნიშნული გამოცე-

---

მიიჩნევს ნ. ბერძენიშვილი. იგი აღნიშნავს: „ეს ძეგლი რუსუდანის გამეფებამდის არ შეიძლება იყოს დაწერილი... „მეფეთ კურთხევის წესი და განგება“ არ შეიძლება დადებულ იყოს XIII საუკუნის 40-იან წლებზედ ადრე“ (ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, „მიმომხილველი“, ტ. I, თბ.,1926, გვ. 105-106. იხ. ასევე: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 92). თ. ვირსალაძის აზრით, ძველი წესის ახლით შეცვლა უნდა მომხდარიყო თამარის მეფობის შემდეგ, თუმცა, ამის წინაპირობა თვით მეფე-ქალის მმართველობისას უნდა გაჩენილიყო (Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в мацхвариши, „ქართული ხელოვნება“ (“Ars Georgica”), ტ. 4, თბ., 1955, გვ. 180). ი. დოლიძის ვარაუდით, „წესსა და განგებაში“ არსებული რეალობა იძლევა იმის დაშვების უფლებას, რომ მეფის კურთხევის წესში ცვლილებები და შესაბამისად, ძეგლიც XIII საუკუნის მეორე ნახევრით დავათარიღოთ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 597). ი. ფუტკარაძე „წესსა და განგებას“ XIII საუკუნის დოკუმენტად მიიჩნევს (იხ.: „წესი და განგება“ მეფეთა კურთხევისა[ი]“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 310. ასევე: წესი და განგება მეფეთ კურთხევისა, ქართული და რუსული გამოცემა, რუსულად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1996. ამ უკანასკნელ გამოცემაში „წესი და განგება“ XIII საუკუნის შუა პერიოდითაა დათარიღებული). გ. ნადარეიშვილის აზრით, ეს დოკუმენტი XIV საუკუნეს განეკუთვნება (გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2005, გვ. 230). გ. კვანტიძე „წესი და განგების“ შექმნის თარიღად, ზოგადად, XIII საუკუნეს უთითებს (გ. კვანტიძე, მეფედ კურთხევის რიტუალისათვის საქართველოში (ქართული საისტორიო მწერლობისა და კედლის მხატვრობის მიხედვით), საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, №1 (46-B), თბ., 2010, გვ. 281). ს. კაკაბაძის დათარიღებას იზიარებენ მ. პატარიძე და ირ. ფაღავა (იხ.: მ. პატარიძე, ირ. ფაღავა, გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა, საისტორიო კრებული, ტ. 3, თბ., 2013, გვ. 231).

[2] ს. კაკაბაძე, მეფის კურთხევის წესი XIII საუკუნის დასაწყისს შედგენილი, ტფ., 1913; წესი და განგება“ მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965; წესი და განგება მეფეთ კურთხევისა, ქართული და რუსული გამოცემა, რუსულად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1996. ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით, „წესი და განგება“ დაიბეჭდა წიგნში „ქართული დიპლომატიის ისტორია“, ქრესტომათია, გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბ. კუპატაძემ, გ. საითიძემ, ჯ. სამუშიამ, თბ., 2004, გვ. 209-213; რ. მეტრეველი, წესი და განგება“ მეფეთ კურთხევისა, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010.

მები ძირითადად ეფუძნება XVIII საუკუნეში შექმნილი „კურთხევანის“ (S-352) ხელნაწერში დაცულ „წესი და განგება მეფეთ კურთხევის“ ტექსტს.[3]

დ. ფურცელაძემ „წესისა და განგების“ რუსულად თარგმნისას S-352 ხელნაწერთან ერთად გამოიყენა XVII საუკუნის კურთხევანში (A-450) დაცული ტექსტი (251v-260r).[4] ასევე, ჩვენამდე მოღწეულია „წესისა და განგების“ სხვა ვარიანტებიც. ერთ-ერთი დაცულია XVII საუკუნის კონდაკ-კურთხევანის ხელნაწერში, სათაურით „წესი დადგინება, რომელი აღესრულების კურთხევასა მეფეთასა, მეფეთა საკითხავი (65r-73r)“.[5] ამჟამად ამ ძეგლის ახალ გამოცემას ვამზადებთ, რომელიც ყველა არსებულ ხელნაწერს დაეფუძნება. სწორედ ამ გამოცემაში შევეცდებით ვაჩვენოთ ის კითხვა-სხვაობები, რომლებიც ტექსტებს შორისაა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტი XIII საუკუნეშია შექმნილი, თუმცა, ისიც უდავოა, რომ მანამდეც იარსებებდა ასეთივე „წესი და განგება“. ამდენად, არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში მეფის კურთხევის ცერემონიალის რამდენიმე ფენა იყოს შემონახული. რა თქმა უნდა, XIII საუკუნეში ამ „წესს და განგებას“ არავინ გამოიგონებდა, მას ისტორიული ფესვები ექნებოდა, მით უმეტეს, ცნობილია, რომ მოდერნიზაცია საეკლესიო რიტუალებს ყველაზე ნაკლებად ეხება. „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“ განსაზღვრავდა სწორედ ცერემონიალის დროს მიმდინარე საეკლესიო რიტუალის წესებს. ამიტომაცაა, რომ ეს დოკუმენტი „კურთხევათა“ ნუსხებში გვხვდება.

ვნახოთ, როგორ აკურთხებდნენ მეფეს XIII საუკუნეში.

მეფის კურთხევის ცერემონიალი წინა საღამოს იწყებოდა, როდესაც სასახლიდან საზეიმოდ, კათოლიკოსის მიერ დადგენილი ეპისკოპოსის თანხლებით, ტაძარში მიჰქონდათ ფეშხუმზე დადებული სამეფო ნიშნები – გვირგვინი, სკიპტრა, პორფილი და ბისონი.[6] ამის შემდეგ იწყებოდა ღამისთევის ლოცვა.

---

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 409.
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II$_1$, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1986, გვ. 140.

[5] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953, გვ. 66.

[6] წესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 50.

გამთენიისას ყველა დასასვენებლად მიდიოდა. მესამე ჟამს („სამჟამ“) ძელზე შემოკვრით წირვის დაწყებას იუწყებოდნენ. ამის შემდეგ მეფე და დიდებულები ტაძრისკენ მიემართებოდნენ. პროცესიას წინ მიუძღოდა „ზარი მეფეთა,“ შემდეგ – დროშა და შუბი, მთავარდიაკონი – სანთლებითა და საკმევლით, ხოლო ჯვარისმტვირთველი – „ძელი ცხორებისათი“. უშუალოდ მეფის წინ იდგა მანდატურთუხუცესი სამანდატურო არგნით. მეფეს მარჯვნივ მიჰყვებოდა ხმალშემორტყმული ამირსპასალარი, რომელსაც სამეფო ხმალი ორივე ხელით ეპყრა. მის უკან მოდიოდნენ ამილახორი და მეაბჯრეთუხუცესი.

მომავალი მეფის მარცხნივ იდგნენ ჭყონდიდელი და ათაბაგი, ხოლო უკან – ეზოთუხუცესი, ჩუხჩარეხი. უკანა მწკრივში იყო მოქცეული, მარჯვნივ, მეაბჯრეთუხუცესი (ის ამილახორის უკან მოდიოდა). ამ სამ მოხელეს მიჰქონდა სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში.[7]

ტაძრის კარიბჭესთან მისულ მეფეს სასულიერო პირები ეკლესიაში შეიყვანდნენ და სამეფო ადგილას დააყენებდნენ. ამირსპასალარს სამეფო ხმალს ჩამოართმევდა ჯვარისმტვირთველი და საკურთხეველში „ძელი ცხორებისას“ ხატს მიაყრდნობდა, დროშა და შუბი კი აღსავლის კარის იმიერ და ამიერ ეჭირათ.

კათოლიკოსის მითითებით, „მღვდელთ-მოძღუარი“ საკურთხევლიდან იღებდა ბისონს და მეფეს მიართმევდა, შემდეგ კი მონარქი მიჰყავდათ კათოლიკოსთან, რომელსაც მეფედ გამზადებული თავმოდრეკით ეტყოდა: „მაკურთხე, მეუფეო“.[8] კათოლიკოსი ჯვარს დასწერდა და ეტყოდა: „კურთხეულმცა არს მეფობა თქუენი დასასრულამდე ჟამთა და განმტკიცენ სარწმუნოებასა მისსა ზედა მიუდრეკლად“. ამ სიტყვების შემდეგ მეფეს ბისონს აცვამდა „თავის ჴელითა და ჯუარი დასწეროს“.[9] მეფე მღვდელთმოძღვრის თანხლებით თავის ადგილს უბრუნდებოდა. კურთხევის ცერემონიალი თანდათან კულმინაციას უახლოვდებოდა. წესისამებრ, ამას მოჰყვებოდა უშუალოდ მეფის დალოცვა. დასაწყისში მთავარდიაკონი წარმოთქვამდა კვერექსს. შემდეგ ტაძარში სახარება იკითხებოდა, რომლის დასრულების შემდეგ აფხაზთა კათოლიკოსი (მისი არყოფნის შემთხვევაში, იშხნელი ეპისკოპოსი) და მთავარეპისკოპოსი გამოდიოდნენ საკურთხევლიდან და მეფესთან მიდიოდნენ, ერთი – მარცხნიდან და მეორე – მარჯვნიდან. ისინი მონარქს ხელს ჰკიდებდნენ და ტაძრის შუაში, „საწარდგომელსა ადგილსა“ მიიყვანდნენ, სადაც იგი სამგზის თაყვანს სცემდა საკურთხევლის კარს. ამას მოჰყვებოდა ის, რაც ერისკაცისთვის, ჩვეულე-

---

[7] ნესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 50-51.

[8] ნესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 51-52.

[9] ნესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 52.

ბრივი მოკვდავისათვის აკრძალული იყო – მეფე აღსავლის კარით შეჰყავდათ ტრაპეზთან. „წესისა და განგების“ შემდგენელმა იცის, რომ ეს უჩვეულო პატივია მეფისთვის და იქვე განმარტავს: „ვითარ შეიყვანონ ერთგზის წმიდასა ტრაპეზსა“.[10] სიტყვა „ერთგზის“ გვაფიქრებინებს, რომ მეფე საკურთხეველში შედიოდა აღსავლის კარით და არა სადიაკვნოდან ან სამკვეთლოდან.

ტრაპეზის წინაშე მუხლმოდრეკილ მეფეს ეპისკოპოსები გადააფარებდნენ „ომფორს“, ანუ ომოფორს, კათოლიკოსი ჯვარს გადასწერდა და მიმართავდა „მაღლად სასმენელად ყოველთა: „საღმრთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩუენთა ჰკუნებს და ნაკლულებასა ჩუენსა აღავსებს და განაჩინებს ღმრთის მოშიშსა სახელით ერსა და სამეფოსა ამას ზედა მეფედ-მეფედ და გარე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა, ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკჳდროს მის თანა მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან“.[11] ამ დალოცვას მოჰყვებოდა ტაძარში შეკრებილთა პასუხი: „კირიელეისონ! კირიელეისონ! კირიელეისონ!“

კათოლიკოსი ლოცვას სამჯერ წარმოთქვამდა, რის შემდეგაც მეფეს წამოაყენებდნენ და სამეფო ნიშნებით შეამკობდნენ. თავდაპირველად კათოლიკოსი საკურთხეველიდან აიღებდა გვირგვინს და მეფეს თავზე დაადგამდა, თან იტყოდა: „დაადგ თავსა მისსა გჳრგჳნი ქცსა მისგან პატიოსნისა, ცხოვრება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნითი უკუნისამდე“.[12] შემდეგ მონარქს აცვამდნენ პორფილს, გადასცემდნენ სკიპტრას, განსაკუთრებული პატივის ნიშნად, ტრაპეზის მარჯვნივ ორხაოს დაუფენდნენ და ზედ დააყენებდნენ. ტაძარში ისმოდა გალობა: „მრავალ-ჟამეულ ჰყვენ, ღმერთო, მეფეთ-მეფე ჩუენი სახელით, მრავალ-ჟამეულ ჰყვენ“.[13] წირვის დასრულებამდე მეფე საკურთხეველში იდგა. წმინდა ზიარების დაწყებისას მონარქი სასულიერო დასთან ერთად ეზიარებოდა, მღვდლების წინ.

საკურთხეველიდან გამოსვლისთანავე ტაძარშივე მეფეს ამირსპასალარი ხმალს შემოარტყამდა. ეს იყო ცერემონიალის ბოლო აკორდი, რის შემდეგაც ახლად ნაკურთხი მონარქი მარჯვნივ – კათოლიკოსის, ხოლო მარცხნივ – აფხაზთ კათოლიკოსის (მისი არყოფნის შემთხვევაში, ჭყონდიდელის ან იშხნელის) თანხლებით, სასახლეში ბრუნდებოდა. ტახტზე იგი კათოლიკოსს და ჭყონდიდელს აჰყავდათ, შემდეგ კი „თაყვანისცემის“ პროცესი იწყებოდა. დედოფალი, კათოლიკოსი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი,

---

[10] წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 52.

[11] იქვე.

[12] წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 53.

[13] იქვე.

ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და სხვა უმაღლესი საკარისკაცო პატივის მქონენი, დარბაზის ერნი მეფეს რიგრიგობით მიეახლებოდნენ და ულოცავდნენ ტახტზე ასვლას. სამი დღე მონარქი ვალდებული იყო, სამეფო შესამოსელით ჩვენებოდა საზოგადოებას.[14]

„წესისა და განგების" ზემოთ აღწერილი სურათი XIII საუკუნის რეალობას ასახავს. ამაზე თავად წყაროში დაცული ცნობები მიუთითებს. ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია შემჩნეულია. საკითხის შესახებ არსებული მასალის შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს ერთიანი მონარქიის დროს (კერძოდ, XII-XIII საუკუნეებში) მეფის კურთხევა ყოველთვის ერთი წესით არ ხდებოდა. „წესსა და განგებაში" მოთხრობილი რეალობა კორონაციის ძველი წესის ევოლუციის შედეგი უნდა იყოს. თამარის გამეფებისას კი ჯერ კიდევ „აფხაზთა სამეფოში" დამკვიდრებული კურთხევის წესი მოქმედებდა.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „თამარის დროინდელ მეფის კურთხევის წესში ყველაზე უფრო საყურადღებო გარემოება ის არის, რომ ხმლის გადაცემა... ანუ „სრულყოფა" სამ დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოს მოხელე-ნევრების ხელში ყოფილა... საგვარეულოს წევრები, რომელნიც ხმლის მოღებისა და გადაცემის წესში მონაწილეობას იღებდნენ, ყველანი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, ლიხთიმერეთის დიდებულთა საგვარეულოებს ეკუთვნოდნენ. უეჭველია, ეს გარემოებაც „აფხაზთა" მეფეების კურთხევის წესისა და განგების ნაშთად უნდა ჩაითვალოს".[15] ამ მოსაზრებას იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც. მისი აზრით, XII საუკუნისთვის არსებული მეფეთა კურთხევის წესი „საგანგებოდ უსვამდა ხაზს ფეოდალური არისტოკრატიული საგვარეულოების მნიშვნელობას გამეფების აქტში... ეს წესი დასავლეთ საქართველოში იყო შემუშავებული იმ დროს, როდესაც მეფე არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, ფაქტობრივად, სამეფო ხელისუფლებას ფეოდალური არისტოკრატიისგან იღებდა".[16] უკანასკნელ ხანს ამ საკითხს შეეხო რ. მეტრეველი, რომელიც აღნიშნავს, რომ მეფეთა კურთხევის „წესი იმ დროს უნდა იყოს შედგენილ-შემოღებული, როცა მეფეები მხოლოდ დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფეები იყვნენ, აღმოსავლეთი საქართველო კი მათ არ ეკუთვნოდათ".[17]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი ასე აღწერს 1184 წელს თამარის ინაუგურაციის სცენას: „აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა [მამა]

[14] წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 53-54.

[15] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 150-151.

[16] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს მეფეთა ტიტულატურა და მეფედ კურთხევის წესი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 2008, გვ. 435-436.

[17] რ. მეტრეველი, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, გვ. 10.

პაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა. და მოიღეს გკრგჳნი, და აღიღეს ჴმა მგალობელთა და ძლევით გკრგჳნოსნობისა და მძლედ მფლობელობისა, და მოაჴსენეს მთასა ზეთისხილთასა ჯუარი გამოჩენილი კოსტანტინესთჳს. და ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გკრგჳნსა თავსა სამეუფოსა, აწჳს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარებისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე მიღებად გკრგჳნსა, და ცალის-კერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოჴელეთა სჳანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჴრმლისა. ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო-ქმნილთა. თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შჳდისავე სამეფოსათა".[18] ქართულ საისტორიო თხზულებებში ერთიანი საქართველოს მეფეთა კურთხევის ცერემონიალის ასეთი მკვეთრი და დაწვრილებითი აღწერა არ მოგვეპოვება. მკითხველი ადვილად ამოიცნობს განსხვავებას ძველ და ახალ წესებს შორის. XII საუკუნემდე კურთხევისას ძირითადი მოქმედი პირები დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის – ლიხთიმერეთის) სასულიერო და საერო პირები იყვნენ. გვირგვინსა და სამეფო ნიშნებს მონარქს გადასცემდა ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, ხმალს კი იმიერ საქართველოს ფეოდალები – სვანთა ერისთავი ვარდანის ძე, საღირისძენი და ამანელისძენი არტყამდნენ. ის ფაქტი, რომ მეფის კურთხევისას წამყვანი როლი ეკისრებოდა დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ფეოდალურ საგვარეულოს, სხვა მასალითაც დასტურდება. ლატარის თემში შემავალი სოფ. მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის ტაძრის 1140 წელს შესრულებულ ფრესკაზე გამოსახულია მეფის კურთხევის სცენა. საქართველოს კედლის მხატვრობაში მსგავსი რამ სხვაგან არსად გვხვდება.[19] ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნახევარში მთელი ტანით წარმოდგენილია ქრისტესადმი მევდრებელი დემეტრე I-ის ფიგურა. მეფის თავს ამშვენებს ნიმბი, რომლის გარშემო მოთავსებულია წარწერა. მეფეს გვირგვინი ხურავს, რომელიც ოქროსფერშია გადაწყვეტილი და კვადრატულა-

[18] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959. გვ. 26-27.

[19] ანტონი ისტმონდის მოსაზრებით, მაცხვარიშის ფრესკა მონარქის პოზიციას კი არ გამოსახავს, არამედ მის არისტოკრატი ქვეშევრდომებისათვის სასურველ მდგომარეობას, მათ ხედვას, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს სამეფო ხელისუფლება. ამ სცენას ავტორი სიმბოლურ გზავნილად მიიჩნევს (A. Eastmond, Royal Imagery in Medieval Georgia, Pennsylvania, 1998, გვ. 82-83. იხ. ასევე: მ. პატარიძე, ირ. ფაღავა, გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა, საისტორიო კრებული, ტ. 3, თბ., 2013, გვ. 229).

დაა დანაწევრებული.[20] ამ ფრესკაზე მეფის გარშემო გამოსახულია ორი დიდებული, რომლებიც დემეტრე I-ს ხმალს წელზე არტყამენ. წარწერა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იწყება მეფის ნიმბთან და სრულდება მარჯვნივ გამოსახული ერისთავის მხრებს ზემოთ. მისი ტექსტი მთელი ფრესკის კომპოზიციას უფრო მეტად ფენს ნათელს – „დემეტრე მეფესა ჴმალსა აბამენ დავითისას ერისთავნი".[21] ქართველ მეცნიერთათვის თავიდანვე არ იყო საეჭვო, რომ მაცხვარიშის ფრესკაზე დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენაა გამოსახული, უფრო კონკრეტულად, ცერემონიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – დიდებულთა მიერ ხმლის შებმა. ამდენად, ადვილია დავინახოთ კავშირი მაცხვარიშის ტაძარში არსებულ გამოსახულებასა და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" აღწერილ თამარის მეფედ კურთხევის სცენას შორის. ხელოვნებათმცოდნე თ. ვირსალაძემ ივარაუდა, რომ ფრესკაზე ერისთავთა შორის ერთ-ერთი უნდა იყოს დემეტრეს თანამედროვე სვანთა ერისთავი ვარდანისძე,[22] მაგრამ ამ პიროვნების მხოლოდ კონკრეტული ფეოდალური საგვარეულოსადმი კუთვნილება შეიძლება დადგინდეს, სამწუხაროდ, არც მისი სახელია ცნობილი და არც ცხოვრების ზუსტი წლები (სავარაუდოდ, XII საუკუნის I ნახევარი).

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს ვიღებთ – XII საუკუნეში, XIII საუკუნის შუა ხანების იმავე რიტუალთან შედარებით, მეფის კურთხევის განსხვავებული წესი არსებობდა. ერთი რამ, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ის გახლავთ, რომ დავითისა და თამარის ეპოქაში მეფეს აკურთხებდა ქუთათელი მიტროპოლიტი, ხოლო ხმლის შემორტყმის რიტუალს ლიხთიმერეთის ფეოდალები ასრულებდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად ვარდანისძე იყო. XIII საუკუნეში ეს წესი შეცვლილია – ფეოდალურ საგვარეულოთა ნაცვლად, ცერემონიის წამყვანი ფიგურები სამეფო კარის მოხელეები არიან. ეს ცვლილება აშკარად პროგრესული ნაბიჯია. ისტორიოგრაფიაში დღემდე დადგენილი არ არის, როდის მოხდა ძველ აფხაზთა სამეფოში არსებული „წესის" ახლით შეცვლა. ძირითადად, XIII საუკუნის I ნახევარს მიუთითებენ. თ. ვირსალაძის აზრით, XIII საუკუნის „წესი და განგება" ნათლად აჩვენებს, რომ ფეოდალურ საგვარეულოებს ამ დროს უკვე დაკარგული ჰქონდა ის პრივილეგიები, რომლებიც მეფის კურთხევისას გააჩნდა და რომლებიც აფხაზთა სამეფოში არსებული ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა. მეცნიერი ძველი წესის ახლით შეცვლას XIII საუკუნის 10-20-იან წლებს უკავშირებს, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი თამარის მეფობისას მომხდარ მოვლენე-

[20] Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 175.

[21] Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 176.

[22] Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 187.

ბში უნდა ვეძიოთ.[23] მეფის კურთხევის წესში განხორციელებული ცვლილებები XII საუკუნის 80-იან წლებს დაუკავშირა ჯ. სტეფნაძემ. მისი მოსაზრებით, დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა აჯანყების მიზეზი უნდა გამხდარიყო „მეფის კურთხევის წესში დასავლეთ საქართველოს დიდებულთა საზიანოდ შეტანილი ცვლილებანი".[24] ამ საკითხს ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება: „თამარსა და დავითს ძალიან გაუჭირდებოდათ დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ერთიანად დამცრობა. სანამ მათ წინააღმდეგ რაიმე ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებდნენ, საჭირო იყო იმ პრივილეგიების მოსპობა, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ფლობდნენ".[25] იქვე ჯ. სტეფნაძე მეფის კურთხევის წესში შეტანილ ცვლილებებს ათარიღებს „დავით-სოსლანის საქართველოში მოსვლისა და გიორგი ანდრიასძის აჯანყებას შორის მოქცეული" პერიოდით.[26]

ანი კლდიაშვილის მოსაზრებით, „მეფედ კურთხევის ძველი წესის ახლით შეცვლა, კერძოდ კი დიდებულთა მიერ მეფისათვის ხმლის წელზე შემორტყმის რიტუალის შეცვლა, ერთი მხრივ, გახლდათ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი, მიმართული ფეოდალთა ძალაუფლების შესასუსტებლად, მეორე მხრივ კი, ამ ცვლილებით ნათლად აისახა იმდროინდელი მსოფლმხედველობა, უფრო მეტად გაესვა ხაზი მეფის ღვთისსწორობის, მისი ხელისუფლების ღვთიურ და მხოლოდ ღვთიურ წარმომავლობას".[27] ძველი წესის ახლით შეცვლას მეცნიერი უკავშირებს 1184 წელს თამარის ხელახალ კურთხევას (ეს არ იყო მეორედ კურთხევა. პირველად თამარი თანამოსაყდრედ აკურთხეს, ხოლო მეორედ – მეფედ). სწორედ ამ დროს „არსებობდა მეფის კურთხევის წესის შეცვლის საფუძველი და აქედან გამომდინარე, ახალი წესის შექმნის შესაძლებლობაც".[28]

ჩვენი აზრით, ცვლილების აუცილებლობა XIII საუკუნემდე იარსებებდა, საბოლოოდ, მისი გაფორმება ჯერ ლაშა-გიორგის – თანამოსაყდრედ, ხოლო მოგვიანებით მეფედ კურთხევისას მოხდებოდა.

მონარქის კურთხევა პოლიტიკური აქტია. ძველმა წესმა სწორედ თამარის მეფობაში შექმნილ ერთ-ერთ კრიზისულ ვითარებაში აჩვენა თავისი სუსტი მხარე, რის გამოც მისი შეცვლის აუცილებლობა სამეფო კარის წინაშე უკვე აქტიურად დადგებოდა. 1191 წელს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში

---

[23] Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 180.

[24] ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 1985, გვ. 115.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] ა. კლდიაშვილი, მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში, „ლიტერატურა და ხელოვნება", 3, თბ.,1991, გვ. 168.

[28] ა. კლდიაშვილი, მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში, გვ. 170.

იფეთქა საკმაოდ მასშტაბურმა აჯანყებამ, რომლის მთავარი მიზანი იყო თამარ მეფის ჩამოგდება და მის მაგივრად თამარის პირველი ქმრის, გიორგი (იური) ანდრიას ძის აყვანა.[29] დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს ამის უფლება ჰქონდათ. ძველი წესის თანახმად, კურთხევისას მთავარი მამოძრავებელი ძალა ლიხთიმერელი სასულიერო და საერო პირები იყვნენ. ამიტომაც შეეცადნენ ისინი 1191 წელს, ლეგიტიმაცია მიეცათ იური რუსისთვის. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", მოგვითხრობს რა ვარდან დადიანის თაოსნობით დაწყებული აჯანყების შესახებ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიჰყვება მოვლენებს. ვარდანი გამოსვლამდე მცირე ხნით ადრე, რაღაც გამოგონილი მიზეზით გადადის დასავლეთ საქართველოში და იქ აჯანყების დროშას აფრიალებს. როგორც ჩანს, ამ დროს ფეოდალურ არისტოკრატიაში უკმაყოფილება თამარისა და სამეფო კარის მიმართ პიკს აღწევს. რა იყო ამ კრიზისის მიზეზი, გადაჭრით ამის თქმა ჭირს. ჩვენ უფრო იქით ვიხრებით, რომ მთელი ამ მოძრაობის კატალიზატორად მმართველ ელიტაში არსებული წინააღმდეგობა დავინახოთ. როგორც ჩანს, გიორგი რუსის გაძევების შემდეგ მეფის გარემოცვაში გავლენა დაკარგა ფეოდალთა ნაწილმა, რაც უკვე იყო კრიზისის წარმოშობის წინაპირობა. ამას დაემატა სამეფო კარზე ახალი ფავორიტების გაჩენა, რომლებიც თავიდანვე შეეცდებოდნენ პოლიტიკური პოზიციების გაზრდას.[30] ეს პროცესი კი მხოლოდ და მხოლოდ სხვათა დამცრობის ხარჯზე თუ წარიმართებოდა. პოლიტიკა თავისთავად გულისხმობს გავლენებისათვის ბრძოლას. მეთოდები ყველგან ინდივიდუალურია, მაგრამ შუა საუკუნეებში ერთი რამ დაუწერელი კანონი იყო: მეფის გარემოცვაში ყოფნა უკვე პრივილეგია გახლდათ. ამიტომაც, რეტროსპექტულად თუ გავადევნებთ თვალს საქართველოს შუა საუკუნეების პოლიტიკურ ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ ფეოდალური არისტოკრატიის განაწყენების ან აჯანყების მიზეზად, ხშირად, მეფის საფარველქვეშ ადგილის დაკარგვა ქცეულა. ამ შემ-

[29] ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს აჯანყება, ძირითადად, 1191 წლითაა დათარიღებული. ილ. ანთელავას აზრით კი, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალთა ამბოხი 1188-1189 წლებში მიდიოდა (ილ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 208-209).

[30] ჯ. სტეფნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მინიშნებას იძლევა: „მეფის კურთხევის წესში შერჩენილი დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა პრიორიტეტი დიდი ხანია აღსაკვეთი იყო. საქართველოს მეფე ახლა არა მხოლოდ „აფხაზთა", არამედ „ყოველი საქართველოს" მეფეა. სახელმწიფოში ამა თუ იმ მხარის ფეოდალთა პრიორიტეტის დაშვება დიდ სიძნელეს უქმნიდა ქვეყანას. გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული პრივილეგიების მოსპობა აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალთა უაღრესად გაზრდილ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას დაემთხვა" (ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ.116, სქოლ. 258).

თხვევაშიც იმავე მიზეზთან უნდა გვქონდეს საქმე. შეუძლებელია, ასეთი მასშტაბური გამოსვლა მეყსეულად წარმოშობილიყო. რეალურად ეს იყო თამარის გარშემო არსებული კლანების დაპირისპირება პირველობისათვის. დასაწყისში ამ პროცესს დაჯგუფებებს შორის კონკურენციის სახე უნდა ჰქონოდა, მაგრამ კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავებულა, საბოლოოდ კი, ჩიხში შევიდა, რამაც გამოიწვია დამცრობილ-გავლენადაკარგული მხარის მიერ იარაღის ძალით „ძველი დიდების“ აღდგენისათვის ბრძოლის დაწყება. მემატიანე არ მალავს, რომ აჯანყება მასშტაბური იყო: „ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი, ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსიმდის უცილობელად ქონებისა, და თჳთ ქუეშისა ციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა. ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქაშიგთამან აფიცნა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“.[31] თითქოს ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ქვეყანაში დიდი ცვლილება განხორციელდეს. გიორგი რუსის ჩამოსაყვანად ტაოში ჩავიდა სამხედრო რაზმი, რომელმაც რუსი უფლისწული ჯერ სამცხეში მოიყვანა, ხოლო შემდეგ – გეგუთში.[32] დავაკვირდეთ თხრობის მთავარ ხაზს – ვარდან დადიანი ჯერ აფიცებს სრულიად დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს „რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს“[33] და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოჰყავთ იგი გეგუთში. მემატიანე კი ამბობს, რომ „მივიდეს გეგუთს და... საყდარსა დაჯდა დავითიანსა“,[34] მაგრამ ეს ფაქტის კონსტატაცია უფროა, ვიდრე რაიმე აქტის იურიდიულად გაფორმების აღნიშვნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსი ტახტზე კი დასვეს, მაგრამ მეფედ არ უკურთხებიათ. თამარის პირველი ქმარი გასამეფებლად რომ ჩამოიყვანეს, ამას თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარიც აღნიშნავს: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯულობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კუალად განსამეფებლად“.[35] როგორც ვხედავთ, აქაც საუბარია სურვილზე და არა ფაქტზე, რომელიც უკვე მოხდა. ისიც საინტერესოა, რომ გიორგი რუსს იმის უფლება ჰქონია, პრეტენზია განეცხადებინა სამეფო ტახტზე. თამართან

[31] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 49.

[32] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 49-50.

[33] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 49.

[34] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 50.

[35] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 122.

დაქორწინების შემდეგ იგი მეფედ იწოდებოდა ისევე, როგორც მოგვიანებით – დავით სოსლანი, მაგრამ, ბუნებრივია, მეფე-ქმრის სტატუსი განსხვავდებოდა თვითმპყრობელი მეფის ტიტულისაგან. სტატუსში განსხვავება ნათლად ვლინდება ნუმიზმატიკურ მასალაში. 1200 წელს მოჭრილ წესიერი ფორმის მონეტის შუბლზე ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები, ზურგზე კი ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი". დ. კაპანაძე სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ „საინტერესო და შინაარსიანია მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული ზედწერილი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თამარს ახსენებს და ადიდებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს დედოფლის მეუღლე დავით სოსლანი უკვე ტახტის მემკვიდრე ლაშა გიორგის მშობელი იყო, ის აქ სრულიად არ არის მოხსენიებული. აქედან უდავო ხდება... დავით სოსლანს საქართველოს მეფისა და დედოფლის თანაბრობის პრეტენზია არ ჰქონია".[36] ეს ფაქტი აღნიშნული აქვთ გ. დუნდუასა და თ. დუნდუას, თანაავტორებს წიგნისა „ქართული ნუმიზმატიკა". ისინი საგანგებოდ მიუთითებენ: „მიუხედავად იმისა, რომ ის (დავით სოსლანი – ჯ. ს.) ტახტის მემკვიდრის მამა იყო, მონეტაზე იგი „მეფის" ტიტულით არ იხსენიება. ამ ფაქტს დიდი დაკვირვება და ანალიზი სჭირდება".[37] დავით სოსლანი მეფედ იწოდება წერილობით წყაროებში, მაგრამ აშკარად ჩანს განსხვავება სტატუსში დავითსა და თამარს შორის. ივ. სურგულაძე მართებულად მიუთითებს, რომ „დავით სოსლანის და რუსუდანის (თამარის ასულის) მეუღლის მეფის ტიტული მათი სუვერენი მეუღლეების უფლებათა რეფლექსია".[38] გამომდინარე ზემოთქმულიდან, აშკარაა, რომ თამარ მეფეზე დაქორწინების ჟამს გიორგი რუსის ან დავით სოსლანის თვითმპყრობელ მეფედ კურთხევა არ მოხდებოდა. მათი უფლებები თანამოსაყდრის უფლებების ტოლფასი იყო. ვინაიდან ქართულმა სამართალმა მანამდე ქალის მეფედ აყვანის პრეცედენტი არ იცოდა და შესაბამისად, არ იქნებოდა განსაზღვრული მეფე-ქმრის სტატუს-მოვალეობანი, ვფიქრობთ, თამარის დროს ახალ რიტუალს არ შექმნიდნენ. ქორწილის შემდეგ მეფე-ქალი მეუღლეს, როგორც თანამოსაყდრეს, თავად დაადგამდა სამეფო გვირგვინს და როგორც მამაკაცს და არმიის მთავარსარდალს, სიმბოლურად გადასცემდა საკუთარ სამეფო ნიშანს – ხმალს, რომლის ტარების უფლება, ვითარცა ქალს, თავად არ ჰქონდა. რა

---

[36] დ. კაპანაძე, წარსულის მაცნეები, თბ., 1965, გვ. 70.

[37] გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, ტ. I, თბ., 2006, გვ. 207.

[38] ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თბ., 1977, გვ. 65.

თქმა უნდა, ეს ჩვენი ვარაუდია, რომლის დაშვების უფლებასაც გვაძლევს ორი ფაქტი. 1. დავით სოსლანი მეფედ იხსენიება ოფიციალურ დოკუმენტებში, ანუ ეს მისი რეალური ტიტულია და არა სიმბოლური. 1187 წელს თამარ მეფის მიერ გელათისადმი ბოძებულ სიგელს თან ახლავს დავით სოსლანის გვიანდელი ხელრთვა-დამტკიცება: „ქ. მე, დავით მეფესა დამიმტკიცებია“.[39] შიომღვიმის სიგელს მარცხენა კიდეზე, ძირითადი ტექსტის მიმართ განივად მიწერილია დავითის კიდევ ერთი ხელრთვა: „ქ. მე, მეფესა დავითსაცა დამიმტკიცებია. მტკიცეა ნებითა ღმრთისაითა“.[40] მეფეთ-მეფის პარალელურად, მეფის ტიტულს საქართველოში თანამოსაყდრეები ატარებდნენ. ისინი სამეფო ინსიგნიას იღებდნენ არა საეკლესიო პირისაგან, რომელიც ღვთის ნებას აღასრულებდა, არამედ – უფროსი მონარქისაგან. ეს უკანასკნელი იყო ხელისუფლების წყარო თანამოსაყდრისათვის. ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მსგავს ანალოგიასთან. 2. რატომ ხმლის გადაცემა? ხელისუფლების ერთ-ერთ ნიშანს სწორედ ხმალი განასახიერებდა. ეს იყო ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის სიმბოლო. ქალ მეფეს ხმლის ტარების უფლება არ ჰქონდა. კურთხევის ოფიციალური რიტუალით, ხმალს დიდებულები მეფეს წელზე არტყამდნენ. თამარ მეფის კურთხევისას კი „მოჭელეთა სჯანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა“ მას ხმალი მხოლოდ მიართვეს – განახორციელეს „მოღება და დადება ჴრმლისა“. ეს იყო სამეფო ნიშნის სიმბოლური გადაცემა. მეფე-ქალის ქორწინებისას კი მისი მეუღლე არა მარტო მომავალი უფლისწულის მამა უნდა გამხდარიყო, არამედ მას ქვეყნის მთავარსარდლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ბასილ ეზოსმოძღვარი თამარის პირველი ქორწინების შესახებ თხრობისას ამაზე პირდაპირ მიუთითებს: „ხოლო იგინი წინააღუდგებოდეს, უშვილოებასა მოაჴსენებდეს სახლისა მისისასა უნაყოფოებასა დრტჳნვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა“.[41] ხაზგასმა იმისა, რომ „წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს“, მიუთითებს, რომ მეფე-ქმრის მთავარი ფუნქცია არმიის წინამძღოლობა იყო. სამეფო ინსიგნიაში კი ამის ნიშანი ხმალი გახლდათ. ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, რომ ამ მოვალეობის ხაზგასასმელად მეფე-ქალს მეუღლისათვის სწორედ ხმალი გადაეცა. ამ ვარაუდის სისწორისდა მიუხედავად, ფაქტი ერთია – თამარის და რუსუდანის მეუღლეები თვითმპყრობელი მეფეები არ იყვნენ და, შესაბამისად, არც მათი კურთხევა მოხდებოდა იმ „წესის და განგების“ მიხედვით, რომლითაც საუკუნეების

[39] ვ. სილოგავა, ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები, თბ., 2003, გვ. 28.

[40] იქვე.

[41] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 120.

განმავლობაში სრულდებოდა მეფის ინაუგურაცია. ამ შემთხვევაში გასაგებია, თუ რა ჰქონდათ ჩაფიქრებული 1191 წელს აჯანყებულებს – გიორგი რუსის გეგუთში ჩამოყვანის შემდეგ უნდა შემდგარიყო მისი მეფედ კურთხევა. მაგრამ მთავარი აქ სხვა საკითხი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საზღვრები გადაჭიმული იყო ლიხის ქედის აღმოსავლეთით და სამხრეთით საკმაოდ შორს, მთავარი პოლიტიკური მოვლენა – მეფის კურთხევა – კვლავ დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა პრეროგატივად რჩებოდა. XII საუკუნეში ქვეყნის გაერთიანებამ და საგარეო-პოლიტიკურმა წარმატებებმა საქართველოში ახალი რეალობა წარმოშვა. დავით IV აღმაშენებლიდან მოყოლებული, ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცენტრმა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა. ფეოდალური არისტოკრატიაც უფრო ჭრელი გახდა.[42] მიუხედავად ამისა, ლიხთიმერელ დიდებულებს გარკვეული რიტუალური პრივილეგიები შენარჩუნებული ჰქონდათ. იური ანდრიას ძის აჯანყებამ აჩვენა, რომ სრულიად შესაძლებელი იყო, ერთ მშვენიერ დღეს მეფობის პრეტენდენტი გადასულიყო დასავლეთ საქართველოში და ადგილობრივ ფეოდალთა შემწეობით, თავი მეფედ გამოეცხადებინა. ამას კი შეიძლება ქვეყნის ერთიანობისთვის ბზარი გაეჩინა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სამეფო კარს უნდა გადაეხედა კურთხევის ძველი, აფხაზთა სამეფოს

[42] ამ საკითხს ვრცლად განიხილავს ნ. ბერძენიშვილი: „ყველაზე რეალური მაინც ის ახსნა იქნებოდა, რომ ძირძველები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან, უკმაყოფილონი იყვნენ იმ ფაქტიური მდგომარეობით, რომელიც შექმნილიყო საქართველოს მეფის კარზე, როცა უმაღლეს ფეოდალთა მნიშვნელობის სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდიოდა, როცა აშკარა გახდა ტენდენცია, რომ სამეფო კარს დღეს-ხვალ საბოლოოდ ხელთ იგდებენ ერთგულ-გაზრდილები აღმოსავლეთ საქართველოდან, შიდა და ქვემო ქართლიდან, ჰერეთ-კახეთიდან, ხოლო ეს უკანასკნელი მოვლენა კანონზომიერი შედეგი იყო საქართველოს განვითარებისა... დავითის დროიდან მოკიდებული, საქართველო არსებითად სხვა სახელმწიფო იყო მის წინა დროის საქართველოსთან შედარებით: ის, დასავლეთის ორბიტაში ამოზრდილი ქვეყანა, აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეული შეიქმნა და სხვა რიგად არც შეიძლებოდა: საქართველო ამიერ (და იმიერ) კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოვიდა და თბილისის-ქართლ-კახეთ-ჰერეთის გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიან საქართველოში გარდაუვალი შეიქმნა. უფრო სწორი იქნება საკითხი პირშექცევით დაისვას: ქართლის (შიდა და ქვემო), კახეთის (კახეთ-ჰერეთიც) ეკონომიურმა დანინაურებამ ამ კუთხეების მნიშვნელობა, შედარებით დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობასთან, განუზომლად გაზარდა და გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ცენტრი აქეთ გადმოვიდა. ქუთაისმა და არტანუჯმა, როგორც პოლიტიკურმა ცენტრებმა, თავისი დრო მოჭამეს, პროვინციალურ მნიშვნელობისად დარჩნენ. ახალი ქვეყნის ცენტრი თბილისი და მისი მიმდგომი ქართლ-კახეთ-ჰერეთი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი, XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1975, გვ. 167-168).

დროინდელი წესისათვის. ეს მოსაზრება ეფუძნება ერთ დაკვირვებას. 1184 წლიდან, ანუ თამარის გამეფებიდან ვიდრე XIII საუკუნის შუა წლებამდე, თვალს თუ გავადევნებთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ მხოლოდ 1191 წლის აჯანყებისას იყო შექმნილი ისეთი პოლიტიკური ვითარება, როდესაც მონარქის კურთხევის ძველმა წესმა აშკარა კრიზისი გამოიწვია და ქვეყანა დაშლამდე მიიყვანა. ყველამ დაინახა, რომ ასეთ სამართლებრივ ნორმას მომავალში მეფობის პრეტენდენტთა სიმრავლე შეიძლება გამოეწვია. პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა სამეფო კარი, მეფის კურთხევა კი დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ნაწილის პრეროგატივა იყო. ფაქტობრივად, არსებობდა ორი პოლიტიკური პოლუსის წარმოშობის რეალური საფრთხე. საქართველოს სამეფო კარმა მიიღო სრულიად ადეკვატური გადაწყვეტილება – მეფის კურთხევის უფლება ჩამოართვეს ქუთათელ მიტროპოლიტსა და ფეოდალურ საგვარეულოებს და ეს პრეროგატივა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და სამეფო კარის უმაღლეს მოხელეებს გადასცეს. ამიერიდან კურთხევისას მთავარ მოქმედ პირებს ფეოდალური საგვარეულოები კი აღარ წარმოადგენდნენ, არამედ – მხოლოდ სამეფო კარის მაღალ სახელოთა მფლობელი მოხელეები. ეს იყო ცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი.

დასავლეთ საქართველოში დაწყებული აჯანყების შესწავლისას ბევრი საკითხი დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და სათანადო ყურადღებას ითხოვს. ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ამჟამად პირდაპირ უკავშირდება აჯანყების მსვლელობისას ანტონ ქუთათელის გარშემო დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები. ამ საკითხს ეხება რამდენიმე მეცნიერი, თუმცა, წყაროს ორაზროვანი განცხადების გამო, საბოლოოდ, ერთიანი მოსაზრების შემუშავება ვერ მოხერხდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გიორგი რუსის გეგუთში ჩაყვანას მოაყოლებს ანტონ ქუთათელის ამბავს: „და თჳთ თამარ ჴელითა საუფლოთა და სიტყჳთა ოქრო-ნექტარითა მრავალგზის მართლად იკითხვიდა მიზეზსა მკჳდრთა მისთაგან. ოდესმე თევდორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთ-იმერით სისხლთა დათხევამდის, და სხუათა ეპისკოპოზთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათგან ვერას პირის მპოვნელი“.[43] ქართულ ისტორიოგრაფიაში მემატიანის ეს მონაკვეთი იმგვარადაა გაგებული, თითქოს ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ანტონ II საღირისძე, კათოლიკოს-პატრიარქ თევდორესთან ერთად, სამეფო კარმა მოსალაპარაკებლად გაგზავნა აჯანყებულ ფეოდალებთან. ამ მისიის შესრულებისას, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ანტონი მოკლეს, ხოლო მეორეთა მოსაზრებით, დაჭრეს. თავი-

[43] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 50.

დანვე ვიტყვით, რომ წყაროს ასეთი გაგება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შესაბამისი ადგილის ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს. ვახუშტი პირდაპირ წერს: „შემდგომად მოინია რუსი იგი კარნუ-ქალაქს. პირველად მიერთო მას კლარჯთა ერისთავი, მერმე მესხნი და ლიხთ-იქითნი; მოიყვანეს და დაუსუეს ქუთაისს. ეჰა, საკჳრველი! რამეთუ რომელნი უმეტეს განდიდებულ იყვნენ თამარისაგან, მათ ჰყვეს ესრეთ, ამისმან მცნობმან თამარ მოუწოდა ქართველთა, ჰერ-კახთა, სომხითართა და დაირწმუნა მათგან ფიცითა ძლიერითა არა შეერთებად მათთანა; გარნა კათალიკოსი აფხაზეთისა და ქუთათელი არა შეერთებულ იყვნენ ზრახვასა მას ბოროტსა და წინაშე იყვნენ თამარისა და წარავლინნა ესენი მათდა არა ყოფად ზრახვისა მის“.[44] ვფიქრობთ, ასეთი გაგება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ შესაბამისი ადგილისა არასწორია. დავაკვირდეთ თხრობის თანმიმდევრობას: „ოდესმე თევდორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთიმერით სისხლთა დათხევამდის“.[45] ამ პასაჟში საუბარია, რომ ეს ორი სასულიერო პირი სამეფო კარზე კი არ იყვნენ, არამედ თამარის „ერთგულად“ დარჩნენ „ლიხთიმერით.“ რაც შეეხება სამშვიდობო მოლაპარაკებაზე გაგზავნილ სასულიერო პირებს, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სხვებზეა საუბარი. მემატიანე აგრძელებს: „სხუათა ეპისკოპოზთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათგან ვერას პირის მპოვნელი“.[46] ასეთი გაგება ტექსტისა, ნაწილობრივ ცვლის ჩვენს წარმოდგენას ანტონ ქუთათელის მისიის შესახებ, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ამ უკანასკნელსაც ეცადა (თევდორე პატრიარქთან ერთად), თამარის დავალებით, მოლაპარაკება აჯანყებულებთან.

ქუთათელი მთავარეპისკოპოსის, ანტონ II საღირისძის მოღვაწეობის შესახებ საინტერესო დასკვნები ეკუთვნის ვალერი სილოგავას, რომლის აზრით, ანტონ ქუთათელი დასავლეთ საქართველოს ფეოდალების მიერ თამარ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებას შეეწირა. მეცნიერის მითითებით, ანტონი „ორჯერ არის მოხსენიებული XII საუკუნის ბოლო ოცეული წლების საქართველოს მეტად ბობოქარ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით: პირველად, თამარ მეფის სამეფო ტახტზე მეორედ კურთხევის დროს, 1184 წელს, ხოლო მეორედ – დასავლეთ საქართველოს დიდებულთ აჯანყების დროს სამეფო სახლის წინააღმდეგ, 1190 წელს, როდესაც თამარ მეფე „ოდესმე თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა

[44] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 177.

[45] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 50.

[46] იქვე.

ერთგულად ლიხთ-იმერით, სისხლთ დათხევამდის, და სხუათ ეპისკოპოსთა გზავნიდის". აჯანყებულთ მშვიდობიანი გზით შემოსარიგებლად, როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, სამეფო სახლის ერთგული ანტონ ქუთათელი ამ მისიას შესწირვია კიდეც".[47] ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, პაპუნა გაბისონია ფიქრობს, რომ ანტონ საღირისძე არ მოუკლავთ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალების მიერ მოწყობილი აჯანყების დროს და რომ იგი ამის შემდეგაც ფლობდა ქუთათელის კათედრას.[48] უკანასკნელ ხანს ქუთათელი მთავარეპისკოპოსის, ანტონ საღირისძის მოღვაწეობის საკითხს ვრცლად შეეხო თ. ჯოჯუა, რომელმაც საგანგებოდ მიუთითა იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც არ შეიძლება გავიზიაროთ ვ. სილოგავას პოზიცია. მისი თქმით, „ანტონ II საღირისძე 1191 წელს არ დაღუპულა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, ძირითადად, ორ გარემოებას ვემყარებით: 1. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ციტირებულ ფრაგმენტში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ანტონ II საღისრიძემ „სისხლის დათხევამდე", ანუ საკუთარი სისხლის დაღვრის ფასად უერთგულა თამარს. ეს ფრაზა კი, თავის მხრივ, თანაბარი წარმატებით შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ამბოხებულებმა დაჭრეს; და 2. ყოველად წარმოუდგენელია, რომ აჯანყებულ ფეოდალებს მათთან მოსალაპარაკებლად მისული ანტონი II საღირისძე მოეკლათ და ამის შემდეგ მეფე თამარს ამბოხებულებთან დიპლომატიური მისიით კიდევ გაეგზავნა ეპისკოპოსები. არადა, ციტირებულ ფრაგმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თამარმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ქართლის კათოლიკოს თეოდორე II-ისა და ანტონ II საღირისძის შემდეგ სხვა ეპისკოპოსებიც გაგზავნა."[49] იქვე მეცნიერი მატიანისეულ ფრაზას, რომ ანტონი ქუთათელი „დარჩა მას უამსა ერთგულად ლიხთიმერით სისხლთა დათხევამდის", ასეთ კომენტარს უკეთებს: „გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორს განსახილველი ფრაზა სულაც გადატანითი მნიშვნელობით გამოეყენებინა და ამ ფრაზის დახმარებით, ანტონ

---

[47] ვ. სილაგოვა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, თბ., 1990, გვ. 91.

[48] პ. გაბისონია, ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 48-49.

[49] თ. ჯოჯუა, ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ანტონ II საღირისძის (1183/1184-1190-იანი წწ.) დაკვეთით გადაწერილი ოთხთავი (-325) (ანდერძების პუბლიკაცია, კოდიკოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ., 2010/2011, გვ. 229.

II საღირისძის მიერ მეფე თამარისადმი გამოჩენილი უდიდესი ერთგულებისათვის გაესვა ხაზი".[50] ვფიქრობთ, ეს შენიშვნა აბსოლუტურად სამართლიანია. ანტონ საღირისძე მართლაც აჯანყებულებს რომ მოეკლათ, ამას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი გაცილებით დრამატული ფორმით გადმოგვცემდა. შუა საუკუნეებში სასულიერო პირზე ხელის აღმართვა უდიდეს ცოდვად ითვლებოდა, მით უმეტეს, ეპისკოპოსის მოკვლა. მემატიანე, ვიდრე ანტონ ქუთათელზე ჩამოაგდებდეს სიტყვას, გვესაუბრება, თუ როგორ ცდილობდა თამარი, გამოერკვია აჯანყების გამომწვევი მიზეზები. ამ პასაჟით ისტორიკოსს სურს მკითხველს დაანახვოს ადამიანური, ჰუმანური მხარე მეფისა და სამეფო კარისა. ისტორიკოსის პოზიცია ნათელია – მას სურს, ვითარება ისე წარმოადგინოს, თითქოს თამარი აჯანყებულთა ერთპიროვნულ დასჯას კი არ ცდილობდა, არამედ ამ კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებისკენ მიისწრაფოდა. მაგრამ უკმაყოფილო ფეოდალების შემორიგება პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა. ანტონ ქუთათელი ამ დროს აჯანყებულებს რომ მოეკლათ, ნუთუ მემატიანე ორიოდ სიტყვით შემოიფარგლებოდა ამ ფაქტზე საუბრისას? რა თქმა უნდა, არა. ამ შემთხვევაში, ისტორიკოსის ორაზროვანი გამონათქვამი არაადეკვატურად გამოიყურება. ის მოვლენის დრამატიზებას კი არ უწყობს ხელს, არამედ პირიქით, იმას აჩვენებს, როგორი ყოვლისმომცველი იყო აჯანყება. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ანტონ ქუთათელი აჯანყებულებს არ მოუკლავთ, წყაროს ჩვენება კი ისე უნდა გავიგოთ, რომ ვარდან დადიანის მომხრეებმა მთავარეპისკოპოსი გვემეს ან დაჭრეს, ანდა სხვა სახის შეურაცხყოფა მიაყენეს. ბუნებრივია, გარკვეულწილად, ასახსნელია აჯანყებულთაგან განხორციელებული ეს ძალადობრივი ფაქტი. ამის აუცილებლობას წარმოშობს ის რეალობა, რომელიც მატიანეშია მოცემული. გეგუთში შეკრებილ განდგომილ ფეოდალებთან თამარ მეფე და სამეფო კარი ეპისკოპოსებს აგზავნის მოსალაპარაკებლად, მაგრამ მაინცდამაინც ანტონ ქუთათელი გახდა ძალადობის მსხვერპლი. ვფიქრობთ, ამას თავისი ახსნა აქვს და ეს საქართველოში XII საუკუნის მიწურულს არსებულ მეფის კურთხევის წესში უნდა ვეძიოთ. ვარდან დადიანის სურვილი თავიდანვე ნათელი იყო. მან მთელი დასავლეთ საქართველოს ფეოდალები დააფიცა გიორგი რუსის „გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს", მაგრამ მას შემდეგ. რაც რუსი გეგუთში ჩამოიყვანეს, არსად მითითებული არ არის, რომ მეფედ აკურთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ამის

[50] თ. ჯოჯუა, ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ანტონ II საღირისძის (1183/1184-1190-იანი წწ.) დაკვეთით გადანერილი ოთხთავი (-325) (ანდერძების პუბლიკაცია, კოდიკოლოგიურ-ნყაროთმცოდნეობითი ანალიზი), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ., 2010/2011, გვ. 229, იხ. სქოლიო.

სურვილი აჯანყებულებს გაცხადებული ჰქონდათ. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დადიანმა და მისმა მომხრეებმა ვერ მოახერხეს სასულიერო პირთა გადაბირება. კურთხევის ცერემონიალზე, XII საუკუნის მიწურულისთვის არსებული წესის მიხედვით, სასულიერო პირთაგან გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ქუთათელ ეპისკოპოსს ენიჭებოდა, რომელიც მეფის მაკურთხებელი და სამეფო ნიშნების გადამცემი პირი იყო. ამ დროს დასავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური რეალობა ასეთია: კურთხევის ცერემონიალში მონაწილე ფეოდალური საგვარეულოები ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულნი არიან. ქუთათელის გადმობირების შემთხვევაში, კორონაციის მონაწილე ყველა მხარე აჯანყებულთა ბანაკში აღმოჩნდებოდა. ასეთ შემთხვევაში გიორგი რუსის მეფედ კურთხევას წინ აღარაფერი ეღობებოდა. ქუთათელი ეპისკოპოსის პოზიციამ აჯანყებულთა გეგმები შეცვალა, მათ ლეგიტიმაციას ვერ მიაღწიეს. თუმცა, მემატიანის მითითებიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – ვარდან დადიანი და მისი მომხრეები ძალადობრივი ხერხითაც ცდილობდნენ ქუთათელის „კეთილგანწყობის" მიღწევას, მაგრამ ანტონი „დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთიმერით სისხლთა დათხევამდის". თუ ჩვენ მემატიანის მონათხრობს ამ კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ ყველაფერს ახსნა ეძებნება. სწორედ ამ კრიზისულმა ვითარებამ აჩვენა, თუ რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენდა სახელმწიფოსთვის მეფის კურთხევის ძველი წესის არსებობა, რომელშიც წამყვან როლს დასავლეთ საქართველოს სასულიერო პირები და ფეოდალური საგვარეულოები ასრულებდნენ.

როდის უნდა გაფორმებულიყო ახალი წესი?

ჩვენი აზრით, ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ კურთხევა უკვე ახალი წესით უნდა შეესრულებინათ. მოგვიანებით, თამარის გარდაცვალების შემდეგ, მეფედ კურთხევაც ასევე შეცვლილი სახით ჩატარდებოდა. მართალია, „წესი და განგება მეფე კურთხევისა" XIII საუკუნის შუა ხანებშია შექმნილი, მაგრამ ამ დოკუმენტის მიხედვით, ახალი წესის დამკვიდრების დროის განსაზღვრა არ იქნებოდა მართებული. ცნობილია, რომ „წესი და განგება" სავაზიროს წევრებად იხსენიებს ათაბაგს და მსახურთუხუცესს. პირველი სავაზიროში XIII საუკუნის დასაწყისში შეიყვანეს, ხოლო მეორე – რუსუდანის მეფობის ჟამს. მაგრამ ტექსტში არსებული ეს რეალობა თავად წესის შეცვლის თარიღის დასადგენად ვერ გამოდგება. „წესი და განგება" მოქმედი დოკუმენტი იყო და პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლასთან ერთად, მასში ცვლილებები შეჰქონდათ. ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად შეიძლება მოვიტანოთ ერთი ამონარიდი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ტექსტიდან. თამარის კურთხევის აღწერისას მემატიანე მრავლისმეტყველად ამბობს: „და მოიღეს გკრგჳნი, და

აღიღეს ჴმა მგალობელთა და ძლევით გკრგკნოსნობისა და მძლედ მფლობელობისა... და ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გკრგკნსა თავსა სამეუფოსა, აწკეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარებისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის ძე მიღებად გკრგკნსა"[51] და ა. შ. ამ კონტექსტში ისტორიკოსის აქცენტი უცნაურად ჩანს. რისი ხაზგასმა სურს მემატიანეს? ქვემოთ კორონაციის მთელი რიტუალია გადმოცემული, რომლიდანაც კარგად ჩანან მეფის კურთხევის ცერემონიალის მთავარი მოქმედი პირები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მემატიანე მაინც იმეორებს: „ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გკრგკნსა". ასეთ კონკრეტიზაციას ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. მაშინ, როცა ავტორი თავის თხზულებას წერდა, მეფის კურთხევის წესში უკვე შეტანილი იყო ცვლილება. ამ მინიშნებით იგი მკითხველს განუმარტავდა, შეახსენებდა ძველ და ახალ წესს შორის განსხვავებას. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ მოახდენდა ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის კონსტატაციას. ეს მინიშნება არ არის კორონაციის მხატვრულად გადმოცემის მცდელობა. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გკრგკნსა" – არ არის აღწერა, არამედ მემატიანისეული განმარტებაა. ამ ორ ფაქტს შორის დიდი განსხვავებაა. ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა ბუნებრივი და გასაგები, როდესაც ამის აუცილებლობა იარსებებდა. ასეთ დროდ კი, ჩვენი აზრით, ის პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც მეფის კურთხევის ახალი წესი უკვე შემოღებული იყო.

ახალ წესში უნდა მომხდარიყო პერსონალური და არა შინაარსობრივი ცვლილებები. ვგულისხმობთ იმას, რომ თუ უწინ ინაუგურაციის დასაწყისში ტაძარში ხმალი ერთ-ერთ ფეოდალურ საგვარეულოს წარმომადგენელს მიჰქონდა, ახალი წესით, ეს უფლება უკვე ამირსპასალარს ეკუთვნოდა; თუ ძველად მეფის მარცხნივ და მარჯვნივ კონკრეტული საგვარეულოების წარმომადგენლები იდგნენ, ახალი „განგებით", ამის უფლება უმაღლეს მოხელეებს ჰქონდათ. ასევეა სასულიერო პირებთან დაკავშირებითაც. თუ მანამდე ქუთათელ მიტროპოლიტს შეეძლო კურთხევის ჩატარება, თამარის მეფობის შემდეგ ამის უფლება მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქს დაუტოვეს. მაგრამ საკუთრივ რიტუალი – მეფის სასახლიდან გამოსვლა, სამეფო ნიშნების ტაძარში წაღება, ჯვრის თანხლებით მონარქის კათედრალში მისვლა, წირვა-ლოცვის თანმიმდევრობა და უშუალოდ კურთხევის ცერემონიალი – ვფიქრობთ, უცვლელი უნდა დარჩენილიყო.

---

[51] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 50.

ივანე ათაბაგის ლაშქრობა ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ*

ივანე ათაბაგის საქართველოს მთიანეთში ლაშქრობა ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში. ამჟამად ჭირს ზედმინევნით იმის დადგენა, რამ განაპირობა ესოდენ მასშტაბური აჯანყება ფხოვსა და დიდოეთში. ამ პერიოდში საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც დამარცხებული ჰყავდა ადარბადაგანის ათაბაგი აბუ-ბექრი და რუმის სულთანი რუქნ ად-დინი, მოწყობილი ჰქონდა შორეული ლაშქრობები ბიზანტიასა და სპარსეთის მიმართულებით. ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ, ფაქტია, რომ მცირერიცხოვან ფხოველთა და დიდოელთა ამბოხს სერიოზული საფუძველი უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი არაფერს ამბობს ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების გამომწვევ მიზეზთა შესახებ და პირდაპირ სამხედრო მოქმედებების აღწერაზე გადადის. მემატიანე მოგვითხრობს: „მათ უკუე ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. დიდონი უკუე ბუნებითა მშთუართა და უხარშავსა ჭამენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებენ ცოლად, რომელნი უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანისსცემენ და ზოგნი – უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ჰყოფენ. ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტეანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და ჴოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით. მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჴევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა. მისცნა ივანეს ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჴადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა

ივანე ათაბაგის ლაშქრობა ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2017, №2; ივანე ათაბაგის ლაშქრობა ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ (გაგრძელება), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2018, №1.

არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო – დიდოეთი და ფხოეთი. ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერცა. და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად და რბევად და კლვად და ტყუეობად და დაწუად. მოსწყჳდეს ურიცხჳ კაცი დიდოი და ფხოვი. და დაყენეს სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგჳსტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურება და ხარაჯა და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხა მძევლები, იქმნნეს ზავნი და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო, იქმნა ბრძანება შენი, მოვაოჴრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი". ხოლო მეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა".[1]

დასაწყისში შევეხოთ საკითხის ქრონოლოგიას და ფხოველთა და დიდოელთა განსახლების პრობლემას.

ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების დათარიღებისათვის

ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ქრონოლოგია მოცემული აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორს. ეს საკითხი ასევე საგანგებოდ შეისწავლა რ. მეტრეველმა სტატიაში „ერთი ფურცელი საქართველოს ისტორიიდან (მთიელთა აჯანყების საკითხისთვის XIII საუკუნის ათიან წლებში)".[2] მემატიანის მონათხრობის მიხედვით, ვიგებთ, რომ მთიელთა აჯანყება მომხდარა თამარის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. თამარის ისტორიკოსი, მართალია, მხოლოდ ფხოველთა და დიდოელთა წინააღმდეგ ივანე მხარგრძელის მოქმედების თვეებს მიუთითებს – ივნისს, ივლისსა და აგვისტოს (სამეფო ჯარმა მთაში დაჰყო „სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგჳსტოსი"), მაგრამ მოვლენების თანმიმდევრობის სრული აღდგენა – აჯანყების დაწყებიდან, ვიდრე მის ჩახშობამდე, ამ ცნობებზე დაყრდნობით თავისუფლადაა შესაძლებელი. მემატიანე დასაწყისში მხოლოდ ზოგადად მიუთითებს მთიელთა მეკობრეობასა და ურჩობაზე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ამას მოაყოლებს აჯანყებულთა წინააღმდეგ

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 478-479.

[2] რ. მეტრეველი, მცირე გულანი, ქუთ., 1979, გვ. 58-75; რ. მეტრეველი, მეფე თამარი, ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა, თბ., 1991, გვ. 206-213.

ივანე მხარგრძელის ლაშქრობას (სამთვიანი პერიოდის მოვლენებს) და დასასრულს დასძენს, რომ აჯანყების ჩახშობისთანავე ივანე ათაბაგი წარდგა მეფე თამარის წინაშე და მოახსენა: „ძლიერო მეფეო, იქმნა ბრძანება შენი, მოვაოხრენ ურჩნი შენი დიდოეთი და ფხოეთი“.[3] ეს არის ბოლო მოვლენა, რომელიც ტექსტშია აღწერილი. მემატიანე წერს: „და იყო ყოველგან მშჯდობა, წარმატება, დღითიდღე შემატება სამეფოთა, ღმრთივდაცული მეფობა თამარისი. ხოლო სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთობასა, თჯთ თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იყვნიან, განისუენებდიან და აღივსებოდიან საბოძვრითა მეფისა მიერ მათისა... ამისთჯსცა მოხედნა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკჯდრებელსა თჯსსა, და მიიცვალა მეფე თამარ ჴმელსა დგომასა შინა“.[4] ბასილი ეზოსმოძღვარისა და „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ მიხედვით, თამარ მეფე 18 (12) იანვარს გარდაიცვალა. ამასთანავე, ბასილი ეზოსმოძღვარი იმასაც აღნიშნავს, რომ სიკვდილის წინ მას მძიმე სენი აღმოაჩნდა და ეს სამეფო კარმა შემოდგომის პირას, ნაჭარმაგევს ყოფნის ჟამს გაიგო. რ. მეტრეველი, რომელიც თამარის გარდაცვალებას 1213 წლით ათარიღებს, მთიელთა აჯანყებას 1212 წლის ზაფხულში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) ვარაუდობს.[5] ეს მოსაზრება სრულიად ემთხვევა თამარის ორივე ისტორიკოსის მონაცემებს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საკუთრივ თამარის გარდაცვალების თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამჯერად ამ საკითხს არ შევეხებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომელ თარიღს მივიღებთ (1207, 1210 თუ 1213 წელს), ფაქტი ერთია – მთიელთა აჯანყების ჩახშობა თამარის გარდაცვალების წინა წელს, ზაფხულში უნდა მომხდარიყო.

ფხოველთა და დიდოელთა დამორჩილების თარიღის გარკვევა ნაწილობრივ დაგვეხმარება იმის დადგენაში, საკუთრივ როდის უნდა დაწყებულიყო მთიელთა ამბოხი. ერთი რამ უდავოა – სიძლიერის ზენიტში მყოფი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არ შეურიგდებოდა აჯანყებულ მთას. ჩვენი აზრით, სამეფო კარის რეაქცია მყისიერი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ივანე ათაბაგის ლაშქრობისა და ფხოელ-დიდოელთა გამოსვლის დასაწყისს შორის დიდ დროს არ უნდა გაევლო და უფრო უპრიანია, ეს მოვლენები ქრონოლოგიურად ერთ პერიოდში, რამდენიმე თვის დაშორებით ვიგულისხმოთ. ამდენად, ივანე მხარგრძელმა თუ ზაფხულში ჩაახშო აჯანყება,

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 479.

[4] იქვე.

[5] რ. მეტრეველი, მეფე თამარი, გვ. 213.

მისი დაწყება რამდენიმე თვით ადრე, წინა წლის (ე. ი. 1205/1208/1211 წლებში) შემოდგომა-ზამთარშია საფიქრებელი. შესაძლებელია, ეს პერიოდი საგანგებოდ იყო შერჩეული, რამეთუ ოქტომბერ-ნოემბრიდან, ციები ამინდებისა და თოვლის გამო, ფხოვსა და დიდოეთში შესვლა სამხედრო შენაერთებს გაუჭირდებოდა. ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდი მხარეებმა სამზადისს დაუთმეს. ბუნებრივია, სამეფო კარს ასეთი მასშტაბური აქციისთვის გარკვეული დრო სჭირდებოდა და ამისთვის მაისამდე პერიოდი უნდა გამოეყენებინა.

ფხოველთა და დიდოელთა განსახლების არეალი

ფხოველები

ფხოვი შუა საუკუნეებში ფშავ-ხევსურეთის კრებსით სახელს წარმოადგენდა. ამის თაობაზე საგანგებოდ აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: „არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა ჴეობათა (ფშავ-ხევსურეთს) ფხოელნი და აწ უწოდებენ ესრეთ“.[6] ქისტები დღემდე ხევსურებს „ფხიას“ ან „ფხჲეს“ უწოდებენ.[7] ეს სახელი, უდავოდ, ფხოველებიდან უნდა მომდინარეობდეს.

რა ტერიტორიას მოიცავდა ფხოვი?

აღნიშნული საკითხის განხილვისას თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ფშავისა და ხევსურეთის მექანიკური გაერთიანებით მიღებულ ტერიტორიას ვერ მივიჩნევთ ისტორიულ ფხოვად. საკუთრივ ტოპონიმმა ფშავმა გვიან შუა საუკუნეებში მოიცვა არაგვის ხეობის მთისწინეთი, გაფართოვდა. მკვლევარი რ. თოფჩიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეეცადა, ეჩვენებინა წინაფშავში (დღევანდელი მაღაროსკარი) ფშაველთა ჩამოსახლების პროცესი, რომელიც XV-XVI საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ისტორიულ-გეოგრაფიული ფშავი, მეცნიერის მითითებით, მოიცავდა შედარებით მცირე ტერიტორიას და მისი სამხრეთ საზღვარი უწევდა კართანასა და სოფ. წინაკარამდე. ფშაველთა თავდაპირველი საცხოვრისი კი ორწყლის ზემო ტერიტორია იყო – ფშავის არაგვის ხეობა, უკანაფშავი.[8] ეს ტერიტორია,

[6] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 534.

А. Шанидзе, Отчетъ о лѣтней командировкѣ 1913 г. въ Душетской и Тионетской уѣзды Тифлисской губерніи для изученія грузинскихъ говоровъ, Извѣстія Императорской Академіи Наукъ, VI серия, т. 7, 18, 1913, გვ. 1072.

[8] რ. თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ.,

რომ ნამდვილად შედიოდა ფხოვში, ამას ადასტურებს ტოპონიმებიც, კერძოდ, სოფ. შუაფხოს (შუა-ფხო) სახელწოდება. რაც შეეხება ხევსურეთს, ვახუშტის მიხედვით, ამ პროვინციის საზღვარი კავკასიის ქედზე გადიოდა: „ჩდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი".[9] ვახუშტისთან თითქოს ისე ჩანს, რომ პირიქითა ხევსურეთი ფხოვის ნაწილი არ იყო. შეუძლებელია, მას შატილში, მუცოსა და არხოტში არსებული ქართული დასახლებების შესახებ ცნობები არ ჰქონოდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ვახუშტისთვის საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის ხევსურეთის მონაკვეთი ერთ კონკრეტულ ქედზე კი არ გადიოდა, არამედ – გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც პირიქითა ხევსურეთსაც მოიცავდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს – დურძუკებს, ღლიღვებს და ქისტებს – კახეთის სამეფოს შემადგენლობაში ვარაუდობს: „გარნა სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკეთა, ღლიღუთა და ქისტთა თჳსად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნენ".[10] ს. მაკალათიას მითითებით, „ხევსურები მხოლოდ პირაქეთ ნაწილას, არაგვის ხეობაში მოქცეულ თემებს (ბაცალიგო – ბარისახოს) უწოდებენ ხევსურეთს, პირიქითელები კი შატილიონებად და არხოტიონებად (არხვატიონი) იწოდებიან".[11]

XIII საუკუნის დასაწყისში ფხოვი პირიქითა ხევსურეთსაც მოიცავდა. ამ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის არსებობა უძველესი დროიდან ივარაუდება. ყოველ შემთხვევაში, მდ. არღუნის ხეობაში, სოფ. გიორგიწმინდაში, ე. წ. ციხეთაგორაზე, გაითხარა სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება, აღმოჩნდა შვიდი ნახევრად მიწისქვეშა აკლდამა, რომლებიც ნაგები იყო ფილაქნითა და ტალახით. გვხვდება ორ- და სამსართულიანი აკლდამები. აღმოჩენილი მასალა დიდ სიახლეს ამჟღავნებს საჩხერეში, სამშვილდესა და ამირანის გორაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან შედარებით, რაც მიუთითებს მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ კავშირზე საქართველოს შიდა რეგიონებთან.[12] პირიქითა ხევსურეთი არქეოლოგიურად ცუდადაა შესწავლილი, თუმცა, ის მასალა, რომელიც ჩვენს ხელთაა, მეტყველებს, რომ აქაური მოსახლეობა საერთოქართული

1984, გვ. 50-63.

[9] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 533.

[10] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 534. ეაინახური ტომების შესახებ იხ.: ს. ზედელაშვილი, კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 2012, გვ. 26-27; Г. З. Анчабадзе, Вайнахи (чеченцы и ингуши), Тб., 2002.

[11] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 11.

[12] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, „მნათობი", №8, თბ., 1986, გვ. 132.

კულტურის ნაწილია. ეს სიახლოვე და ერთობა განსაკუთრებით იგრძნობა შუა საუკუნეებში. პირაქეთა ხევსურეთისა და ფშავის გაქრისტიანების პარალელურად, პირიქითა ხევსურეთის გაქრისტიანებაც მიმდინარეობდა და ეს პროცესიც ერთიანად უნდა განვიხილოთ. ხევსურეთის ორივე ნაწილში ადრეულ შუა საუკუნეებში ჩნდება ქრისტიანული სალოცავები. მდ. ასას ხეობაში სოფ. ამღაში გათხრილი ორბეულეთის ეკლესია, მდინარეების – არღუნისა და მუცოსწყლის შესართავთან ანატორის მარიამწმინდის ეკლესია ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება.[13] მკვლევარი რ. რამიშვილი მთის ათვისების რამდენიმე ეტაპს გამოყოფს (აღნიშნულ სტატიაში მეცნიერის მიერ გამოთქმულ სხვა მოსაზრებებზე ამჯერად არ ვისაუბრებთ. რამდენიმე ფასეული დაკვირვების ფონზე, მთელი რიგი დეტალები დასაზუსტებელია), რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „მეორე ციკლი". მისი დაწყება ემთხვევა VIII საუკუნის მიწურულს კახეთის სამეფოს ფორმირებას: „კართანას ეკლესიის, ტყობაერდის, ანატორის, გარბანიას ეკლესიის და სხვა მისთანა, მშენებლობა, როგორც ჩანს, დაემთხვა ქრისტიანული ბარის მთაზე შეტევის მეორე ციკლის პირველ ეტაპს, ხოლო ეკლესია-მონასტრების ის მრავალრიცხოვანი ნანგრევები, რომლებიც არაგვის ხეობისა და პირიქითაცაა დადასტურებული, შეიძლება მივაკუთვნოთ მთაზე შეტევის მეორე ციკლის აღმავლობის ხანას".[14] რ. რამიშვილისავე მითითებით, ანატორის ხერთვისში, სადაც ხორციელდებოდა ორივე ხეობის დაცვა, გამაგრებული სოფლის ციტადელში აღმოჩნდა VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ტიპის მომცრო ეკლესიის ნაშთი ნალისებური მოხაზულობის აბსიდით, საკურთხევლის წინ ჯვრის აღსამართავი შირიმის კვადრითა და ემბაზით. მეცნიერის აზრით, ეს იყო გასამხედროებული ციხე-სოფელი, სადაც ბარიდან ამოსულ მეციხოვნეებს უნდა ეცხოვრათ.[15] ანატორის მიდამოებში ღვთისმშობლის ტაძრის აღმოჩენა, მეცნიერის თქმით, მიუთითებს, რომ ფშავ-ხევსურეთი უკვე საკმაოდ ყოფილა

---

[13] გ. გოგოჭური, ამღა, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004, გვ. 202; რ. რამიშვილი, კ. წერეთელი, ანატორი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004, გვ. 335; ი. წიკლაური, პირიქით ხევსურეთის ნასოფლარები (შატილ-მიღმახევის ხეობები), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, „რამინ რამიშვილი – 80", თბ., 2008, გვ. 33.

[14] რ. რამიშვილი, მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ჟინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980, გვ. 150.

[15] რ. რამიშვილი, მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, 119-120. ტაძარი აგებულია ღვთაება ანატორ-ანთარიას ადგილას (იქვე).

„მოქცეული“, თორემ პირიქითა ხევსურეთის თითქმის უკიდურეს განაპირას სამეფო ხელისუფლება ამგვარი პუნქტის დაარსებას ვერ გაბედავდა.[16] ჩვენი აზრით, რ. რამიშვილის ეს მოსაზრება ძალიან საინტერესოა, თუმცა გასარკვევია რამდენიმე ქრონოლოგიური საკითხი. ანატორის ეკლესია ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მაგრამ გამორიცხულია, ამავე პერიოდისად მივიღოთ აქ ბარიდან ამოსული მეციხოვნეების ცხოვრება. ნაწილობრივ ამაზე აქცენტს თავად მეცნიერიც აკეთებს, მაგრამ ეს დეტალი უფრო ნათლად უნდა განიმარტოს. კერძოდ, ანატორის „მეიდანზე“ აღმოჩენილი სამარხები ტიპურია ბარისთვის და განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ჟინვალის ნაქალაქარის შუა ფეოდალური ხანის სამაროვანთან. ეს მსგავსება თვალში საცემია უფრო იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იშენებდა ნახევრად მიწისზედა აკლდამებს. აშკარაა განსხვავება სამარხთა ტიპებს შორის, მაგრამ ეს სამარხები უფრო მოგვიანო ხანისაა, ვიდრე თავად ანატორის ეკლესია. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ანატორის მიდამოების გადაქცევა ბარელთა სამხედრო დასახლებად შესაძლებელია უკავშირდებოდეს თამარ მეფის დროინდელ სამხედრო ექსპედიციას. ბუნებრივია, ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სამეფო კარს თავისი სამხედრო დასახლებები გაეჩინა ფხოვსა და დიდოეთში. ანატორის ციხე-სოფელი ერთ-ერთი ასეთი გამაგრებული ბანაკი უნდა ყოფილიყო.[17] აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ჩიტაიას შატილიც ლიმიტროფულ ზოლში მდებარე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაარსებულ ციხე-ქალაქად მიაჩნდა. შატილში მცხოვრებ ჭინჭარაულებში არსებული გადმოცემის მიხედვით, ამ გვარის ჩამოსახლებას ამ მიდამოებში და გამაგრებული ციხე-ქალაქის გაჩენას მეცნიერი XI-XII საუკუნეებით ათარიღებდა.[18]

ამდენად, XIII საუკუნის დასაწყისში, ივანე მხარგრძელის სამხედრო ექსპედიციის ჟამს, ფხოვი, დღევანდელი გეოგრაფიული ნომენკლატურით, პირიქითა ხევსურეთსაც მოიცავდა. არდოტის, შატილისა და არხოტის ხეობები ადრეულ შუა საუკუნეებში უკვე ინტენსიურად ჩანს ათვისებული ფხოველების მიერ. ერთ-ერთი მძლავრი მიგრაციული ნაკადი პირიქითა ხევსურეთში უნდა

---

[16] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, „მნათობი“, 1986, ტ. 8, გვ. 134.

[17] რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, „მნათობი“, 1986, ტ. 8, გვ. 120.

[18] გ. ჩიტაია, შატილის წარმოშობის შესახებ, შრომები, ტ. II, თბ., 2000, გვ. 305-306. სტატიას ახლავს ავტორის მინაწერი: „შატილი დაცული უნდა იქნეს არა მარტო როგორც ეთნოგრაფიული ძეგლი, როგორც ახლაა მიღებული... არამედ როგორც ჩრდილოეთ კარის საიმედო ფორპოსტი“ (იქვე, გვ. 307).

განხორციელებულიყო ქართლის მთიანეთის გაქრისტიანების ჟამს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ მთაში ვინც ქრისტიანობის მიღება არ ინება, „ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართთა მახჯილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი... ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“,[19] მხოლოდ ფხოველთა ერთი ნაწილის მიგრაციაზე უნდა მოგვითხრობდეს. ბუნებრივია, დღევანდელ პირაქეთა ხევსურეთში მცხოვრებთათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო, სამეფო ხელისუფლების რისხვას შეუუალ პირიქითა ხევსურეთში გაქცეოდნენ.

ფშავის ამ ისტორიულ-გეოგრაფიული რეალობის გათვალისწინების შემდეგ უკვე ადვილი ასახსნელია ივანე მხარგრძელის სამხედრო მანევრი. კავკასიის წყალგამყოფი ქედის დაკავებით, განსაკუთრებით პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის ნაწილში, ცენტრალური ხელისუფლების საჯარისო ნაწილები სტრატეგიულ სიმაღლეს იკავებს და კონტროლს აწესებს იმ გზებზე, რომლებიც სამხედრო მოქმედების ჟამს მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა. ივანე ათაბაგის ფხოვში მისვლისთანავე (რა თქმა უნდა, იგულისხმება პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი) მასთან „მოვიდეს ძღუენითა მეფენი დურძუკთანი“.[20] როგორც ჩანს, შატილის (შესაბამისად, მდ. არღუნის ხეობის), ანატორის ხერთვისის, მუცოს (მუცოსწყლის ხეობის) დაკავება ნიშნავდა იმ პლაცდარმის შექმნას, საიდანაც ადვილი იქნებოდა დურძუკეთში შესვლა. ამიტომაცაა, რომ „მეფენი დურძუკთანი“ მორჩილების ნიშნად ეახლნენ ივანე მხარგრძელს. საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის გამაგრება აჯანყების შემდეგაც აქტუალური იყო და ამიტომაც სამეფო კარმა საგანგებოდ იზრუნა ანატორის ციხე-სოფლის გამაგრებით. არ გამოვრიცხავთ, რომ პირიქითა ხევსურეთში ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება მომავალში ამ თეზისის დამადასტურებელ სხვა მასალასაც გამოამზეურებს.

დიდოეთი და დიდოელები

კავკასიის მთიანეთის ერთ-ერთ მცირერიცხოვან ხალხს – დიდოელებს ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების არაერთი ავტორი იხსენიებს. როგორც ჩანს, ძველად „დიდოეთი“ გაცილებით დიდი ტერიტორიის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა, ვიდრე დღესაა. არ გამოვრიცხავთ, რომ

[19] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 140.

[20] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 478.

წყაროებში მოხსენიებულ „დიდოელებში" დასავლეთ დაღესტნის სხვა მცირერიცხოვანი ხალხებიც იგულისხმებოდეს. დღეისათვის დიდოელები (ცეზები) ძირითადად სახლობენ დაღესტნის რესპუბლიკის წუნტის რაიონში. 1989 წლის მონაცემებით, დიდოელების საერთო რაოდენობა 9000 იყო.[21] სხვა მონაცემებით, ეს რიცხვი მერყეობს 7500-8000 კაცამდე.[22] ამასთანავე, დაღესტანში გამოიყოფა დიდოელების (ცეზების) მცირერიცხოვანი ხალხების ჯგუფი, რომელშიც შედიან: დიდოელები, კაპუჭელები (ბეჟტიელები), ჰინუხელები, ჰუნზიბელები, ხვარშიელები. ისტორიულად ამ ტომთა ერთობა შეადგენდა დიდოს სამხედრო-პოლიტიკურ კონფედერაციას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოქცეული იყო საქართველოს შემადგენლობაში. XV საუკუნიდან „დიდოელთა კონფედერაციამ" რღვევა დაიწყო, რამაც საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმოშობას.[23]

დიდოელები ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს კავკასიის მთიანეთში. ამით უნდა აიხსნას დიდოელთა მოხსენიება I საუკუნის ცნობილ რომაელ ავტორთან, პლინიუს უფროსთან. მემატიანე დიდოელებს იხსენიებს „დიდურების" სახელით და მათ ალბანელების მოსაზღვრედ მიიჩნევს კავკასიის მთიანეთში. ქვემოთ შევეხებით შუა საუკუნეებში თუშებისა და დიდოელების ურთიერთობის საკითხსაც და გამომდინარე აქედან, აქვე აღვნიშნავთ, რომ პლინიუს უფროსს მდ. იორის მოსაზღვრედ მოხსენიებული ჰყავს თუშებიც (Thasie//Thusie).[24]

ბერძენი გეოგრაფი პტოლემაიოსი კავკასიის ტომების აღწერისას ახსენებს თუშებსა და დიდოელებს. იგი წერს: „კავკასიის მთასა და კერვანის მთებს

---

[21] რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012, გვ. 148. სახელწოდება „დიდოს" შესახებ იხ.: Д. М. Магомедов, Исторические сведения о дидойцах, Вопросы истории Дагестана (досоветский период), т. II, Махачкала, 1975, გვ. 95-96.

[22] Х. А. Ибрагимов, С. С. Ибрагимова, О малочисленных этносах дагестана, «Социологические исследования», 2011, №9, გვ. 94.

[23] ნ. არდოტელი, ბეჟიტური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი), თბ., 2010, გვ. 17.

[24] С. Н. Муравьев, Заметки по исторической географии закавказья, ВДИ, т. 1, М., 1988, გვ. 157-159; А. В. Подосинов, М. В. Скржинская, Римские Географические Источники: Помпоний Мела и Плиний старший, М., 2011, გვ. 189, შენიშვნა: გვ. 337-338. გ. მელიქიშვილი პლინიუს უფროსთან მოხსენიებულ ტოპონიმ Thasie-ს ქვეშ ტაშირს გულისხმობდა (Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 104). უკანასკნელ ხანს გამოითქვა აზრი, რომ ტექსტის "Thasie"-ს მაგიერ უნდა იყოს "Thusie". ეს უკანასკნელი სიტყვა კი შეიძლება გავაიგივოთ თანამედროვე თუშეთთან (С. Н. Муравьев, Заметки по исторической географии закавказья, გვ. 337).

შორის (ცხოვრობენ) ტუსკები და დიდურები".[25] ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ეს ორი კუთხე გვერდიგვერდ მდებარეობდა და, შესაბამისად, II საუკუნისთვის თუშეთი პირიქითა ალაზნის ხეობაში ლოკალიზდება.

„ქართლის ცხოვრება" დიდოელებს ძვ. წ. III საუკუნის ამბების გადმოცემისას ახსენებს. საურმაგმა ქართლში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირების ჟამს მხარდაჭერისთვის დურძუკებს კავკასიის მთიანეთში გამოუყო ახალი საცხოვრისი „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე".[26] ქართლში ორმეფობის ჟამს არმაზს იჯდა მეფე აზორკი, ხოლო შიდა ქართლს – არმაზელი. მათ სომხეთის წინააღმდეგ მოუწყვიათ დიდი ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩრდილო-კავკასიის ძალები: „მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი – ბაზუკ და აბაზუკ – სპითა ოვსთისაჲთა, და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი, და გარდამოვიდა მეფე ლეკთაჲ და გარდამოიტანნა დურძუკნი და დიდონი".[27]

დიდოელების შემდგომი მოხსენიება დაკავშირებულია მირიან მეფის პერიოდთან. ლეონტი მროველის ეს ცნობა იმითაა საინტერესო, რომ იმავე პერიოდის მოვლენების გადმოცემისას „ქართლის ცხოვრებაში" გვხვდება ტოპონიმი თუშეთიც. მირიან მეფისა და ლეკების ურთიერთობის აღწერისას მემატიანე დასძენს: „ხოლო განდგომილ იქმნნიან ოდესმე მირიანისგან ლეკნი და მათ გამოიყვანიან რაჲ ხაზარნი თანაშემწედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან ჰერეთს ანუ მოვაკანს, და მუნ ეწყვის მათ. და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთნიან და გამოიყვანნიან ხაზარნი".[28] ქვემოთ კი, სადაც მემატიანე აღწერს წმ. ნინოს, ეპისკოპოს იოვანეს და მირიან მეფის ერისთავის მიერ მთის გაქრისტიანებას, აღნიშნულია: „დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწოთიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს, ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანაჲ მათი და გარდავიდეს თუშეთს".[29]

საინტერესო ცნობაა შემონახული თუშებისა და დიდოელების შესახებ ჯუანშერთან. მემატიანესთან ისე ჩანს, რომ თუშეთი წუქეთის საერისთავოში იყო მოქცეული. არჩილ მეფემ „პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთავი და თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმათთა მის მთისათა, სახელი აბუხუასრო.

---

[25] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1955, ნაკვ. 32, გვ. 44.

[26] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 47.

[27] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ. 58.

[28] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ. 80.

[29] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ. 140.

და არა ინება მისგან წარღებად წუქეთი".[30] სხვათა შორის, ცოტა ადრეული პერიოდის ამბების გადმოცემისას ჯუანშური ახსენებს დიდოელებს: „გუარამ ყო ეგრე, გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი, შევიდეს ადარბადაგანს და უწყეს ტყუენვად".[31]

VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში წანართა მეზობლად იხსენიება „თუსი", ხოლო რამდენიმე კუთხის დასახელების შემდეგ – „დიდოცი", ანუ დიდოელები.[32] არაბულ წყაროებში დიდოეთი იხსენიება „დუდანიას" ფორმით. იბნ ალ-ასირის ცნობით, მურვან იბნ მუჰამედმა დუდანია „საშინლად დაარბია და (ალ-ბაბს) დაუბრუნა".[33] ბალაზური ახსენებს ციხეს – „დუდანიას კარს",[34] ალ-მასუდი დიდოელებს წარმათებად მიიჩნევს, რომლებიც არ ემორჩილებიან არც ერთ მეფეს. ამასთანავე, არაბი მემატიანე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეც ამახვილებს ყურადღებას და ქორწინების უცნაურ წესებზე მიუთითებს.[35]

XI საუკუნის მოვლენებზე საუბრისას ვახუშტი ბატონიშვილი საინტერესო კონტექსტში ახსენებს თუშეთსა და დიდოეთს. მისი მითითებით, თუშეთი კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და პანკისის, ანუ მარილისის საერისთავოში შედიოდა. პანკისის ერისთავის ტერიტორია იყო „ჰერეთის საზღვრის ზეით კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ".[36] რაც შეეხება დიდოეთს, ის ჰერეთში არსებულ შტორის ერისთავთა სამფლობელოში იყო მოქცეული:

---

[30] ჯუანშერი, ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 243. წუქეთის საერისთავოს შესახებ იხ.: დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 64-67.

[31] ჯუანშერი, ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, გვ. 227.

[32] Армянская География VII века по Р. Х (приписывавшаяся Моисею Хоренскому), Пер. и подготовка издания К. П. Патканова, С.-П., 1877, გვ. 37; А. А. Туаллагов, Сведения «Ашхарацуйц» об Аланах, Известия Соигси, 4 (43), 2010, გვ. 26-27.

[33] ვრცლად ამ საკითხზე იხ.: ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991, გვ.100-101.

[34] Баладзори, Книга завоевания стран, Переводчик с арабского П. К. Жузе, Материалы по истории Азербайджана,вып. III, Баку, 1927, გვ. 3-4 (რუსული თარგმანის გვ. 5).

[35] მასუდის ცნობის შესაბამისი ადგილის რუსული თარგმანი იხ.: В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI вв., М., 1963, გვ. 191-192. ასევე, იხ. ერცელი შენიშვნა ნიგნში: Эпиграфические памятники Северного Кавказа на арабском, персидском и турецком языках, ч. 3, Надписи X-XX вв., Тексты, переводы, комментарии, введение и приложение Л. И. Лаврова, М., 1980, გვ. 111-112; Д. М. Магомедов, Исторические сведения о дидойцах, გვ. 101-103.

[36] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 561.

„დასუა (ერისთავი) შტორისა და მისცა შტორის ჴევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ“.[37]

მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი გვიანდელი ავტორია, მაგრამ მისი და XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი მროველის ცნობები კარგად ესადაგება ერთურთს თუშეთისა და დიდოეთის ცალ-ცალკე პროვინციის არსებობის თაობაზე. ამ რეალობის გათვალისწინებით, პასუხი გასაცემია კითხვაზე: რატომ არ გვხვდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორთან თუშეთი? ივანე ათაბაგის ლაშქრობის აღწერისას თუშეთის გამოტოვება შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ერთი რეალობით – წყაროში მითითებული სამი გეოგრაფიული სახელიდან (დურძუკეთი, ფხოვი და დიდოეთი) ერთ-ერთი ფარავს ამ პროვინციას.

თამარის ისტორიკოსთან კარგად ჩანს, რომ ფხოველებსა და დიდოელებს საერთო საზღვარი ჰქონდათ. სხვაგვარად ვერ გავიგებთ მემატიანის განმარტებას, რომ ივანე ათაბაგი „წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა“.[38] ეს მთა ამ ორი პროვინციის გამყოფია. ოდნავ ქვემოთ ისტორიკოსი აზუსტებს: „ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო – დიდოეთი და ფხოეთი“.[39] როგორც ვხედავთ, საქართველოს მთიანეთის ეს მონაკვეთი XIII საუკუნის დასაწყისში ასე გამოიყურებოდა – ფხოვს აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა დიდოეთი, ხოლო ორივე პროვინციას ჩრდილოეთიდან ეკვროდა დურძუკეთი. ამ გეოგრაფიული ნომენკლატურის გათვალისწინებით, ისმის კითხვა: სად უნდა ვეძიოთ თუშეთი, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან დასტურდება ფხოვსა და დიდოეთს შორის?

ზემოთ ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით სხვადასხვა წყაროში დიდოეთისა და თუშეთის ერთობლივად მოხსენიების ფაქტები. წყაროებში კარგად ჩანს, რომ უკვე ანტიკური პერიოდიდან ფხოვი, თუშეთი და დიდოეთი დამოუკიდებელი გეოგრაფიული სახელებია. ვფიქრობთ, წყაროთა სიმრავლიდან გამომდინარე, ეს ფაქტი საკამათო არ არის, მაგრამ რა ვუყოთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისის მოვლენების თხრობისას საერთოდ არ ახსენებს თუშეთს? ჩვენი აზრით, ამ ფაქტს ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – მემატიანესთან მოხსენიებული რომელიმე პროვინცია ფხოვი, დურძუკეთი ან დიდოეთი, უნდა ფარავდეს თუშეთს.

---

[37] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 561.

[38] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 478.

[39] იქვე.

მრავალი ასეთი ფაქტი შეიძლება მოვიხმოთ საქართველოს ისტორიიდან, მით უმეტეს, თუ ერთი ტოპონიმის მეორით გადაფარვა პოლიტიკური აქტიურობით იხსნება.

XI საუკუნეში, ერთიანი კახეთ-ჰერეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, დიდოეთი და თუშეთი უწინდებურად კახთა მეფეთა მორჩილებაში იყო,[40] თუმცა, XI საუკუნის შუა პერიოდიდან კახეთ-ჰერეთის სამეფოს დასუსტებამ მთაზე კონტროლი შეასუსტა. ანალოგიური ვითარება საქართველოს ისტორიაში ყოფილა. ეს პროცესი უცხო არ არის. XV საუკუნის II ნახევარში, როდესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მოიშალა, ხოლო კახეთის სამეფო ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული, მთამ მორჩილება შეწყვიტა. კახეთის მეფეებს „არა მორჩილებდნენ თუშნი და ფშავ-ხევსურნი".[41] კახეთის სამეფოს მოძლიერებისთანავე მთის წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტები ამოქმედდა, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. ანალოგიურ პროცესებს ვხედავთ XI საუკუნის II ნახევარში, როდესაც კახეთ-ჰერეთს დასავლეთიდან ბაგრატ IV უტევს, ხოლო აღმოსავლეთიდან შირვანშაჰები ავიწროებენ. ასეთ დროს ჩრდილოეთ კავკასიის ტომებზე გავლენის შენარჩუნებისთვის არავის ეცალა. ალბათ, ამან განაპირობა დიდოელთა გააქტიურება. არ გამოვრიცხავთ, რომ ნაწილობრივ კახეთ-ჰერეთის დასუსტებას, ხოლო მოგვიანებით თურქ-სელჩუკთა შემოსევებს ბიძგი მიეცა დიდოელთა სამხედრო-პოლიტიკურ კონფედერაციის ფორმირებისთვის, რომლის უპირველესი საზრუნავი იქნებოდა ჯერ კახეთ-ჰერეთის მეფეთა გავლენისგან გათავისუფლება, ხოლო შემდეგ – თავისი ტომობრივი გაერთიანების გაფართოება. XI საუკუნის II ნახევრისთვის ამის საკმაო საფუძველი არსებობდა. ამ პერიოდში დიდოელთა სამხედრო მოკავშირედ გვევლინება განძის ამირა აბულ-ას-ვარი. 1063 წელს განძის მიერ შირვანის დედაქალაქის გარემოცვისას დაღუპული 50 წარჩინებული მხედრიდან ნაწილი დიდუვანელების (დიდოელების) ტომიდან იყო.[42] აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XI საუკუნის დასაწყისში, მართალია, კახეთ-ჰერეთის მეფეებმა მოახერხეს შაკიხის, ანუ შემდეგდროინდელი შაქის შემოერთება, რაც მათ ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის გაერცობის მეტ შესაძლებლობას აძლევდა, მაგრამ იმავე საუკუნის 50-იანი წლებიდან შაქის პროვინციის დაუფლებას ცდილობს, ერთი მხრივ, შირვანი, მეორე მხრივ, განძა. შირვანშაჰ სალარ იბნ იაზიდმა (1049-1063) 1053 წელს შაქის

[40] Х. Х. Рамазанов, А. Р. Шихсаидов, Очерки истории южного Дагестана, Махачкала, 1964, გვ. 47.

[41] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 568.

[42] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 160.

რაიონში მოასერხა ციხესიმაგრე მალუს – მალულის აგება. ამით ამ რეგიონის ნაწილზე შირვანელთა კონტროლი დაწესდა, თუმცა, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ შაქი ერთგვარ კონფლიქტის ზონად იქცა, სადაც თავისი ინტერესები ჰქონდა კახეთ-ჰერეთს, განძის საამიროს და შირვანს. ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში რეგიონი მოკლებულ იყო ერთიან მმართველობას და შესაბამისად, აქედან ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის გავრცელება შეუძლებელი გახდა. მეორე მხრივ, კავკასიის მთებში მცხოვრებთათვის შესანიშნავი საშუალება იყო, დაქირავებული მეომრების სახით ჩართულიყვნენ ამ დაპირისპირებაში. ბარი (კახეთ-ჰერეთი) თავის პრობლემებში იყო ჩაფლული, მთას ბართან ალტერნატიული ურთიერთობის გზები გაუჩნდა (შაქის რაიონი). ამ ყოველივეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში არსებულ რეალობაზე გავლენა უნდა მოეხდინა. დიდოელთა გააქტიურება XI საუკუნის შუა ხანებიდან შეიმჩნევა. მუნეჯიმ-ბაშის ანონიმს[43] საინტერესო ცნობა აქვს დაცული, რომლის მიხედვითაც, 1049 წლისათვის განძას ფაქტობრივად მართავდა ჰაჯიბი (მსახურთუხუცესი) აბუ მანსური. ეს უკანასკნელი „შეუთანხმდა მხედართმთავრებს და ქვეშევრდომებს, რომ დაეტოვებინათ ურწმუნოთა წინააღმდეგ აშენებული ციხეები, სახელდობრ, ტატიიანი, მუჯქანქი და ალ-ბაიდა, აშენებული შაქის მფლობელის წინააღმდეგ, ქრმსთანი – დიდოელთა (?) წინააღმდეგ, ციხე ქრდმლანი – აფხაზთა წინააღმდეგ და ალ-რუსთავი, რუმიელთა წინააღმდეგ აშენებული".[44] როგორც ვხედავთ, XI საუკუნის შუა პერიოდში განძის საამიროს დიდოელთა წინააღმდეგ საგანგებო ციხესიმაგრე ჰქონდა აგებული, ბუნებრივია, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დიდოელთა გააქტიურებას თავისი შედეგი უნდა გამოეღო. სხვათა შორის, არ არის შემთხვევითი, რომ ქართული საერო მწერლობის ისეთი ძეგლი, როგორიცაა „ამირანდარეჯანიანი", იცნობს „დიდოთა მეფეს". რა თქმა უნდა, ზღაპრული ამბების შემცველი საგმირო-სარაინდო თხზულება საისტორიო წყაროს ტოლფასად ვერ ჩაითვლება, მაგრამ როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა, „ეს ზღაპრები ზოგი ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა. ასეთი უნდა იყოს ზღაპარი მზეჭაბუკის შესახებ, როგორც ამას ამჟღავნებს მისი წმინდა ქართული სახელი – მზეჭაბუკი, განსაკუთრებით კი ზღაპარი ამირანის შესახებ, რომელშიც ჩვენ ვხვდებით, სხვათა შორის, დიდოთა მეფეს და მისი

[43] ჩვენთვის უცნობია თხზულება „თარიხ ალ-ბაბ ვა შირვანის" (ალ-ბაბას და შირვანის ისტორია) ავტორი. ეს ნაწარმოები შესულია თურქი ისტორიკოსის, აჰმად ბენ ლუტფულაჰის – მუნეჯიმ ბაშის კომპილაციურ თხზულებაში.

[44] ვ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ურთიერთობები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 74; V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 18.

ქვეყნის აღწერილობას ასეთი ფორმით: „იყო მეტად კლდოვანი ადგილი და ხევი ღრმა, მას ხევსა შინა მაღალი მოხვეწილი კლდე“.[45] თავად „დიდოთ მეფის“ მოხსენიება საინტერესო ფაქტია, მით უმეტეს, ისეთ ძეგლში, რომელიც XI-XII საუკუნეების მიჯნით თარიღდება.[46] ეს პერიოდი დაახლოებით ემთხვევა იმ ხანას, როდესაც ვვარაუდობთ დიდოელთა პოლიტიკურ გააქტიურებას. ამ ფონზე, საინტერესოა XIII საუკუნის ქართველი მემატიანის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ცნობა, რომ მთიელთა ამბოხის დროს კავკასიის მთიანეთში გვერდიგვერდ სახლობდნენ ფხოველები, დურძუკები და დიდოელები. ჩვენი აზრით, ჩრდილოეთ კავკასიაში ეს რეალობა XI საუკუნის II ნახევარში უნდა შექმნილიყო, დიდოელების სამხედრო-პოლიტიკური კონფედერაციის აქტივობის შედეგად, როდესაც დიდოეთის ნაწილი შეიძლება გამხდარიყო თუშეთი. ეს ძალით თუ ნებაყოფლობით მოხდა, ამის თქმა ძნელია. რა თქმა უნდა, უფრო იქით ვიხრებით, რომ მთელ ამ პროცესში დიდოელების მხრიდან გავლენის ძალისმიერი ზრდა დავინახოთ. არაა გამორიცხული, გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებს განეპირობებინა თუშებსა და დიდოელებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა დიდოს ტომის დომინანტობით, რის გამოც გეოგრაფიული სახელი დიდოეთი გაფართოვდა. ეს შეცვლილი კონიუნქტურა უნდა მიეღო ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის აღდგენისას დავით IV აღმაშენებელს და მსგავსი ვითარება შენარჩუნდა XIII საუკუნის დასაწყისისთვის.

დიდოეთის სტატუსზე საუბრისას ნიშანდობლივია კიდევ ერთი საკითხი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დიდოეთი ნეკრესელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო. ამდენად, ეს პროვინცია ეკლესიურად ქართული მართლმადიდებლური

---

[45] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 75-76; მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ., 1967, გვ. 96-97. „ამირანდარეჯანიანში“ ვკითხულობთ: „წავედით მუნით და იყო დიდი კლდე და ქუაბი. გამოვიდა მის კლდისაგან კაცი დიდი წითლოსანი და თქუა: „ვაშად მოხეულ ამირან დარეჯანის ძეო!“... უბრძანა დარეჯანისძემან: „მითხარ, ძამათო, რა ხარო? მან ეგრე მოაჯსენა: „დიდოთ მეფე ვიყავ, დევთა გამომაძეს და ლაშქარი დამიჯოცეს, და მე მარტო დავრჩომილვარ... ვნავიდა დიდოთ მეფე და წავედით ჩუენ. და იყო კლდოვანი ადგილი და ჴევი ღრმა. და იყო მას ჴევსა შინა მაღალი, მოხუეწილი კლდე...“ (მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გვ. 95-96).

[46] გ. იმედაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“, ენც. საქართველო, ტ. I, თბ., 1997, გვ. 131-132; გ. იმედაშვილი, ამირანდარეჯანიანი, „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 181-223. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის ავტორობით გამოცემულ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ „ამირანდარეჯანიანი“ XII საუკუნითაა დათარიღებული (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1987, გვ. 190).

ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა. „ყვარელს ზეით მთასა შინა, – წერს ვახუშტი, – არს ნეკრესი. დ˜ მეფის ფარნავაზომისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, ი˜გ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჯრისა დიდოთურთ“.[47] ეს რეალობა ადრეული შუა საუკუნეების გარდა, XI-XIII საუკუნეებსაც უნდა გულისხმობდეს. ის ფაქტი, რომ დიდოეთი, დაღესტნის სხვა თემებთან ერთად, ასევე, დურძუკები, ეკლესიურად მცხეთის საკათალიკოსოს შემადგენლობაში იყო მოქცეული, მეცნიერთა შორის კამათს არ იწვევს.[48] პოლიტიკურ ინტეგრაციასთან ერთად, ქართული სახელმწიფო აქტიურად ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის კულტურულ-რელიგიური გავლენის ქვეშ მოქცევას. ეს პროცესი საკმაოდ აქტიურად წარმოებდა, რაზეც ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში აღმოჩენილი მასალა მეტყველებს. XI-XII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში შენდება მართლმადიდებლური ეკლესიები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია დღემდე შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში XI საუკუნემდე საეკლესიო სფეროში აშკარად ბიზანტიური გავლენა შეიმჩნევა. ამას თავისი ახსნა აქვს, რამეთუ დასავლეთ ალანიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი ბიზანტიის იმპერიაა. მართალია, ეს არ გამორიცხავს ქართველ მისიონერთა მოღვაწეობას ამ ზონაში, მაგრამ დომინანტი მაინც ბიზანტია იყო და ეკლესიურადაც ალანიის ეპარქია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. ვითარება იცვლება XI საუკუნიდან, როდესაც ყალიბდება ერთიანი ქართული სახელმწიფო. ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის ძირითადი გამავრცელებელი უკვე საქართველოა. კავკასიის მთიანეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი თავიდანვე ქართველი მისიონერების მოღვაწეობის არეალი იყო. ამიტომაც, ამ ზონაში ქართული კვალი გაცილებით მეტია. ოსეთში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში, ნაეკლესიარ-ნატაძრალების გარდა, შემონახულია მატერიალური კულტურის ბევრი ნიმუში, რომლებიც ამ თეზისს ადასტურებს.

---

[47] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 545. იხ., ასევე: კ. ხარაძე, კახეთის ისტორიული გეოგრაფია (XVIII ს.), თბ., 2010, გვ. 154.

[48] დაღესტანში აღმოჩენილ ქრისტიანულ სიძველეებზე იხ.: Д. М. Атаев, Нагорный Дагестан в раннем средневековье, Махачкала, 1963, გვ. 202-209; А. Шихсаидов, Взаимоотношения народов Дагестана с народами кавказа и юго-восточной европыв VI-X вв., История Дагестана, т. I, М., 1967, გვ. 166-167; А. Шихсаидов, Взаимоотношения народов Дагестана с народами кавказав XI-XV вв., История Дагестана, т. I, 214-215.

***

მთისა და ბარის ურთიერთობაში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა. ამ კავშირებს თავისი მიზიდულობა ჰქონდა, რის გამოც მთას ბარი სჭირდებოდა, ბარს კი – მთა. ურთიერთობა მხოლოდ მაშინ იძაბება, როდესაც გარკვეული დაუწერელი ბალანსი ირღვევა. სხვათა შორის, ვახუშტი კარგად ხსნის ამ საკითხს (მთისა და ბარის ურთიერთობას) სწორედ დიდოეთსა და თუშეთზე საუბრისას. მართალია, დიდოეთი „არს ქვეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუალი მტერთაგან"[49], მაგრამ ის საკმაოდ მწირია და ღარიბი. დაღესტნის ის მხარე, რომელიც კახეთს ესაზღვრება, „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაჲთგან ზიდვენ კახეთიდან საზრდელსა, საშიშლოსა და საჴმარსა თჳსსა".[50] ეს სურათი, მართალია, გვიანი შუა საუკუნეების რეალობას ასახავს, მაგრამ ფაქტია, მისი განზოგადება მთელ შუა საუკუნეებზეა შესაძლებელი. დიდოეთის კახეთის ბართან დამოკიდებულება გრძელდებოდა XIX საუკუნემდე. არაერთ მკვლევარს აქვს აღნიშნული, რომ მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი დიდოელებს ალაზნის დაბლობზე დამოკიდებულებს ხდიდა, სადაც წლის განმავლობაში ბინადრობდა მათი ცხვრის ფარები.[51]

ძლიერი ბარი ყოველთვის ცდილობდა მთასთან ვაჭრობაში გარკვეული რეგულაცია ან მონოპოლია შემოეღო, რაც მთის დამორჩილებისკენ იყო მიმართული. ცალკეა განსახილველი ბარის მიერ მთისადმი გაცემული განსაკუთრებული პრივილეგიები, რომელთა არსებობა მთისა და ბარის ინტეგრაციას უწყობდა ხელს. ასეთია, მაგალითად, გვიან საუკუნეებში კახეთის მეფეების მიერ თუში მეცხვარეებისადმი მიცემული უფლება, ესარგებლათ კახეთის საძოვრებით. ვახუშტი, სხვათა შორის, ამაში ხედავს თუშთა მორჩილების ერთ-ერთ საფუძველს: „არამედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაჲთგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა".[52] ჩვენი აზრით, ეს რეალობა მარტო გვიანი შუა საუკუნეებისათვის არ იქნებოდა დამახასიათებელი. VIII-IX საუკუნეებშიც, კახეთის და ჰერეთის სამეფოების შექმნისას, მთისა და ბარის ურთიერთობაშიც იგივე ინტერესები

[49] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 552.

[50] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 553.

[51] ვრცლად იხ.: Ф. Х. Гутнов, Горский феодализм, ч. III, Северный Кавказв XIII-XV вв., Владикавказ, 2014, გვ. 137.

[52] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 554.

იარსებებდა. XI საუკუნეში, ერთიანი კახეთ-ჰერეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, მთაზე კონტროლის პოლიტიკა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის აქტიური პოლიტიკის, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად, კახეთ-ჰერეთის მეფეებს მთაზე შესაბამისი გავლენა უნდა დაეკარგათ. ასეთი ვითარება გაგრძელდებოდა XII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც დავით IV აღმაშენებელმა შემოიერთა შირვანი და ჩრდილოეთ კავკასია თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. სწორედ ამ პერიოდიდან დიდოეთი უშუალოდ საქართველოს ერთ-ერთი საერისთავოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო ისევე, როგორც ეს იყო წინა საუკუნეებში. ამის თქმის უფლებას გვაძლევს, უპირველესად, თამარის ისტორიკოსის ის ცნობა, რომელშიც საუბარია საქართველოს შემადგენლობაში მყოფი პროვინციების – ფხოვისა და დიდოეთის ამბოხსა და ურჩობაზე. სხვაგვარად ძნელია გავიგოთ სიტყვები: „მათ უკვე ჟამთა ინყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა“.[53] ივანე ათაბაგის ლაშქრობა ახალი მიწა-წყლის დაპყრობას კი არ გულისხმობდა, არამედ ქვეყნის შიგნით სეპარატიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. საკუთარი ტერიტორიის გარეთ მყოფი პროვინცია შეუძლებელია „განდგეს“. ძველ ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობა პირდაპირ ხსნის იმ პროცესებს, რომლებიც თამარ მეფის დროს წარიმართა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. განდგომა ნიშნავდა აჯანყებას, გაცლას, „განშორებას“, ჩამოცილებას.[54] ამდენად, მემატიანისთვის ფხოვი და დიდოეთი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილია, რომელიც აჯანყების, სეპარატიზმის გზით ცდილობს ქვეყნის ერთიანობის დარღვევას.

სხვათა შორის, დიდოთის კახეთთან მჭიდრო კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თავად დიდოელები საკუთარ თავს საქართველოდან მისულებად მიიჩნევენ. XX საუკუნის 30-იან წლებში, დიდოეთში სამეცნიერო მივლინებისას, ი. მეგრელიძემ ჩაიწერა არაერთი გადმოცემა, რომლებშიც მთხრობელები ჩამოთვლიდნენ კახეთის სოფლებს – ენისელს, გრემს, შილდას, საბუეს, ყვარელს და ა. შ., საიდანაც ისინი დიდოეთში გადასახლებულან.[55] იქნებ ამ გადმოცემის ერთგვარი გამოძახილი იყოს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ სარკინეთის აღების შემდეგ იქ მყოფნი „მოვიდნენ და დაეშენნენ“ დიდოეთში.[56] ყოველ შემთხვევაში, თავად დიდოელები მიიჩნევდნენ, რომ მათთვის საქართველოს ბართან ურთიერთობა

[53] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 478.

[54] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 54.

[55] И. В. Мегрелидзе, Дидойцы и название «Дидо», პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1941, გვ. 179.

[56] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 552.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. არსებობდა ასეთი გამოთქმაც: „დიდოელის მუცელი საქართველოა, ხოლო ზურგი – დიდო“.[57]

აჯანყების გამომწვევი მიზეზი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მთიელთა აჯანყების გამომწვევ მიზეზთა თაობაზე არაერთ მეცნიერს აქვს გამოთქმული ღირებული მოსაზრება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა შეხედულება ორ მთავარ პოსტულატამდე დადის – გამოსვლა განაპირობა ფხოვისა და დიდოეთის ფეოდალიზაციისა და ქრისტიანიზაციის პროცესებმა. დამეთანხმებით, ორივე პროცესში საკმაოდ რთული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები მოიაზრება. ვერც ერთი მათგანი ვერ დაიწყებოდა, თუნდაც, თამარის გამეფებისას და ვერ დასრულდებოდა მის გარდაცვალებამდე. ზოგადად, ფეოდალიზაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ევოლუციას. საქართველოს მთიან ზოლში მან თავისი დასრულებული (ეს ცნება პირობითია. ჩვენი აზრით, საქართველოს მთიან ზოლში „კლასიკურ“ ფეოდალიზმზე საუბარი გადაჭარბებულია) სახე ვერ მიიღო. მაშ, რა უნდა ვიგულისხმოთ მთის „ფეოდალიზმში“, რომელმაც ასეთი მასშტაბური აჯანყება გამოიწვია? იგივე ითქმის ქრისტიანიზაციის საკითხზეც. ეს პროცესიც რამდენიმე საუკუნე ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ფხოვში ადრეული შუა საუკუნეების ძეგლები უხვადაა შემონახული. ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობა X-XI საუკუნეებში აქტიურდება და ეს ვითარება შენარჩუნებულია შემდეგაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნას ვერ მივიჩნევთ მთის ქრისტიანიზაციის ახალი ეტაპის დაწყების თარიღად. საამისოდ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. მართალია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს სურს, მკითხველს აჩვენოს, რომ ფხოვსა და დიდოეთში ქრისტიანობა სუსტადაა ფეხმოკიდებული, მაგრამ ამ კონტექსტის მიხედვით აჯანყების მიზეზის ძიება არ იქნება მართებული. დიდოელები კი „ეშმაკსა თაყუანისცემენ“, მაგრამ აჯანყებული ფხოველები „ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“.[58] თითქოს აქ სიტყვა „იჩემებენ“ დამცინავი ტონითაა ნათქვამი, მაგრამ ამის აღნიშვნა ავტორს მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ თავისი

[57] И. В. Мегрелидзе, Диідойцы и название «Диідо», გვ.181.

[58] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 478.

მთავარი სათქმელი ახსნას. ფხოველები და დიდოელები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არიან ნაზიარები ქრისტიანულ ცივილიზაციას და ამიტომ „იწყეს რბევად და ჴოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით".[59] ვფიქრობთ, ქრისტიანობის გავრცელება მთაში არც აჯანყების მიზეზი და არც მისი ჩახშობის შემდეგ მისაღწევი მიზანი ყოფილა. რა თქმა უნდა, ფხოვისა და დიდოეთის მტკიცედ დამორჩილების შემდეგ არ გამოვრიცხავთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გააქტიურებას ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ეს უფრო აჯანყების ჩახშობის შედეგად შექმნილი რეალობიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო. უშუალოდ ფხოველთა და დიდოელთა გამოსვლის ჟამს აჯანყებულთათვის მთავარი მამოძრავებელი მთის ქრისტიანიზაციის საკითხი არ უნდა ყოფილიყო. მთისა და ბარის ურთიერთობა საინტერესო პროცესებით ხასიათდება. მთა ყოველთვის მიისწრაფვის, ნამატი მოსახლეობა ბარში ჩამოანაცვლოს, თავის მხრივ, ბარი ცდილობს, მთას მაქსიმალურად შეუზღუდოს „ავტონომიურობა". სწორედ ეს საკითხები, განსაკუთრებით უკანასკნელი, იწვევდა მთისა და ბარის კონფლიქტს.

როდესაც ვსაუბრობთ მთიელთა გამოსვლის მიზეზებზე, ამოსავალი უნდა იყოს ერთი ფაქტორი – რისი მიღწევა სურდა საქართველოს სამეფო კარს ფხოველებთან და დიდოელებთან ბრძოლისას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა შედეგს მიაღწია ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამარჯვების შემდეგ? ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ რისთვისაც გამარჯვებული ივანე მხარგრძელი იბრძოდა, იმას ეწინააღმდეგებოდნენ დამარცხებული მთიელები. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორს ასეთ პრობლემურ საკითხებად დასახელებული აქვს სამი მიზეზი:

1. აჯანყების დაწყების აღწერისას ის მიუთითებს, რომ ფხოველებმა და დიდოელებმა „იწყეს რბევად და ჴოცად და ტყუეობად ცხადად და ღამით", ანუ მემატიანე მთიელთა მეკობრეობაზე გვესაუბრება. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის უპირველესი მიზანი, რის გამოც გამარჯვების შემდეგ ივანე მხარგრძელმა ფხოველებისა და დიდოელებისაგან მძევლები აიყვანა და მათ „პირი სიმტკიცისა აღუთქვეს".

2. მემატიანე ჩამოთვლის იმ პირობებს, რომლებიც ფხოველებმა და დიდოელებმა „აღუთქვეს" ივანე ათაბაგს. პირველად მითითებულია „მსახურება" – „აღუთქუეს მსახურება."

რას უნდა გულისხმობდეს ეს „მსახურება"?

ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ტერმინი გულისხმობს არა ყველა სახის „მსახურებას", არამედ – სამხედრო სამსახურს, რომელიც

[59] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 478.

მთას ვალდებულებად ედო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ კახეთის მეფის კონსტანტინე II-ისა და თეიმურაზ II-ის სიგელები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ რას ითვალისწინებდა ეს „მსახურება“.

ა) სიგელი კონსტანტინე მეფის მიერ ლაშარის ჯვარისა და ფშაველთათვის სოფ. მარილისის ნახევრის ბოძების შესახებ.

„... კურთხეულისა და სანატრელისა და ყოველთა მეფეთა უმჯობესისა პაპის ჩვენისა ბატონის თეიმურაზისათვის თავი არ დაგეზოგათ სამსახურზედ და მრავალი გემსახურათ. კიდევ ნამეტნავი სამსახური ჩვენს ძმასთან მეფე იმაყულიხანთან დაგედვათ და გეჩვენებინათ, მრავალჯერ მის წინ ომში ყოფილიყავით, და გაგემარჯვებინათ... ოდეს მოვიდნენ ურუმნი საქართველოდ, ვილაშქრეთ მათ ზედან, თქვენ მოძმისა ჩვენისა ლაშქარნი და დროშა სრულ ფშაველნი თან გვახლდით. ოდეს ერთმანეთს შევებენით, მრავალნი მოკვდით ჩვენ წინა ურუმთაგან; ხოლოს ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი საქართველოში არცა ერისთავების ალაგებში ეგებოდა ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დაიჭირეს იგი ადგილები, ხოლო ინება მოძმემან ჩვენმან და არა განგვწირა; არამედ წარმოგვიძღვა ადგილად თვისად და მოგვაგება ლაშქარნი და მოყმენი თვისი ფშაველნი წინაშე ჩვენსა, რომელთა იტკრთენით ბარგნი ჩვენნი ზურგითა და მჯრითა თქვენითა და მოგვიძეღით ადგილად თქვენდა სამყოფსა მოძმისა ჩვენისასა ფშავს და გ(ვ)მსახურეთ მსახურებითა დიდითა, ვითარცა მსახურებთ მოძმესა ჩვენსა ერთგულად, ეგრეთად ჩვენ მისსა მოძმესა; არამედ არა ეგებოდა ვითარცა ესეოდენთა ამათ მსახურებათა თქვენთა არა გავრჯილ ვიყავით შესაწირავითა და მსახურებითა მოძმისა ჩვენისა...“[60]

ბ) მეორე სიგელი თეიმურაზ II-ის ფშაველებისა და ერწო-თიანელების „პირობისა და ფიცის წიგნია“. მასში ვკითხულობთ: „... ჩვენის ჴელმწიფის მეფის თეიმურაზის და მისის სახლის კაცის, მათ შვილთა და შვილის შვილთა დიდი ერთგულნი ვიყვნეთ... როგორც რომ ჩვენის ლაშარის წმინდის გიორგის ერთგულნი ვართ, ისრე მეფის თეიმურაზის მტრისა მტერნი ვიყვნეთ, მოყვრისა მოსამსახურენი. როდესაც გაუჭირდეს იმასთან დავიხოცნეთ... მისის ბრძანებით მტერს უმტეროთ, მოყვარეს ვემსახუროთ. მოხდეს, ავიყაროთ, ლაშქარი სადმე ბრძანოს, – ულაშქროთ... მისი ბრძანების მორჩილნი ვიყვნეთ“.[61] „ისტორიანი

[60] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 2940/5160; ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974, გვ. 42.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 221. იხ., ასევე: დ. გოგოლაძე, ქართული სოფლის ფეოდალიზმის ხანაში, (VI-XVIII სს.), წიგნი I, თბ., 1992, გვ. 216.

და აზმანი შარავანდედთანში" მოხსენიებული „მსახურება" სწორედ ასეთი სახის ვალდებულებებს უნდა გულისხმობდეს. გვიან შუა საუკუნეებში ფშავ-ხევსურეთს უწინდებურად ედო ასეთი სამხედრო ვალდებულება, მაგრამ დიდოეთი მისგან უკვე თავისუფალია. არ გამოვრიცხავთ, რომ დიდოელებთან მიმართებით ვითარება XV-XVI საუკუნებში შეცვლილიყო, რაც ახალი პოლიტიკური რეალობით იქნებოდა ნაკარნახევი. ამდენად, ჩვენი აზრით, ის ვალდებულება, რომელიც XIII საუკუნეში ფხოვსა და დიდოეთს სამეფო კარმა განუწესა, მოგვიანებით ნანილობრივ შეიცვალა.

3. თამარის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ივანე ათაბაგმა ფხოველებს და დიდოელებს „ხარაჯა" განუწესაო. აქ უნდა იგულისხმებოდეს მთისადმი შეწერილი სხვადასხვა სახის გამოსაღები. მაგალითად, გვიან შუა საუკუნეებში კახეთის სამეფოში დიდოელებს ეკისრებოდათ სამეფო კარის ყინულით მომარაგება. ზაფხულობით დიდოეთიდან ჩამოჰქონდათ ყინული. ეს ვალდებულება მათ დაკისრებული ჰქონდათ ლევან და ალექსანდრე II კახთა მეფეების დროიდან, რასაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ასრულებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ფშავ-ხევსურებსაც, ლაშქრობასთან ერთად, ეკისრებოდათ „ბეგარა". XVI საუკუნეში კახეთის მეფეებს „არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ჴევსურნი".[62] ლევან კახთა მეფემ ურჩი მთა დაიმორჩილა არა ძალით, „არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯვარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდენ ლაშკარსა და ბეგარასა".[63] რა სახის იყო ფშავ-ხევსურთა ბეგარა, ჩვენთვის უცნობია, თუმცა, მას მძიმე გადასახადის სახე არ უნდა ჰქონოდა. ფშავ-ხევსურებთან კახეთის მეფეები, ძირითადად, მაინც სამხედრო ვალდებულებით იფარგლებოდნენ.

ამდენად, გვაქვს სამი მიზანი, რომელთა მიღწევასაც ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლება ფხოველებსა და დიდოელებთან ბრძოლისას. აქ უნდა დაისვას ერთი კითხვა: ნუთუ სამივე პრობლემა – მთიელთა მეკობრეობა, „მსახურებასა" და „ხარაჯის" ვალდებულებებზე უარის თქმა – ერთმნიშვნელოვნად უნდა ვაღიაროთ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად?

რა თქმა უნდა, არა. განსაკუთრებით ეს ეხება სამხედრო ვალდებულებებს. მთა (ყველგან ვსაუბრობთ ფხოვსა და დიდოეთზე), სადაც ამ პერიოდში გაბატონებული იყო „სამხედრო დემოკრატიის" საწყისები, ყოველთვის

---

[62] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 573.

[63] იქვე.

მოწოდებულია, სამხედრო აქციების წყალობით, დამატებითი შემოსავალი გაიჩინოს. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხედრო ძალები უცხო ქვეყნებში ლაშქრობებითაა დაკავებული (ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, ყარსი/კარის ციხის შემოერთება, ირანში ლაშქრობა და სხვა). ასეთი სახის სამხედრო მოქმედებები ალაფის აღების იდეალურ საშუალებას წარმოადგენდა. პირიქით, სამხედრო არისტოკრატია საქართველოს სამეფო კარს აიძულებდა მსგავსი მარბიელი ლაშქრობების მოწყობას. გიორგი III-ის მეფობის ჟამს, როდესაც „მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად“,[64] მისმა მხედართმთავრებმა გადაწყვიტეს მეფისთვის შეეხსენებინათ, რომ ლაშქრისთვის მთავარი იყო „ლაშქრობა და რბევა“: „ვინათგან უღონო იქმნნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელნი ეტყოდეს ესრეთ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. და მომსმენელმან მეფემან წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა და ესრე სახედ ილაშქრა: ლიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა პაემანშემქმნელმან: უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა – კარისა და აშორნისა, და ამირსპასალარსა და სომხითართა – მტკუარს აქათ ვიდრე განძამდის. თჳთ ხასაგიანთა ლიხთ-იმერთა და ქართველთა – განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხლათამდის, ჰერთა და კახთა – ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის“.[65] თამარის დროსაც საქართველოს სამხედრო ძალებს არაერთი ასეთი მარბიელი ლაშქრობა მოუწყვია ქვეყნის საზღვრისპირა სამეფო-საამიროების წინააღმდეგ. ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ჟამს კი ქართველთა სამხედრო მოქმედებების არეალი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ქვეყანა ამ ლაშქრობებით დიდძალ შემოსავალს იღებდა. მაგალითად, ირანში ლაშქრობისას ქართველებმა გურგანამდე მიაღწიეს და ბრძოლის გაგრძელება ალაფის სიდიდის გამო ვერ შეძლეს: „ვერ ძალედვა წიაღმისლვად ალაფისაგან“.[66] ასეთი ლაშქრობები მთიელებს დამატებით შემოსავალს უჩენდა. სამხედრო ვალდებულება ფხოველებისა და დიდოელებისათვის ტვირთი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ – გამდიდრების წყარო. ამიტომაც ეს „სამსახური“ აჯანყების მიზეზად ვერ იქცეოდა.

რაც შეეხება მეკობრეობას და სამეფო გამოსაღების განწესებას, ეს არის ის ორი მიზეზი, რომლებსაც უნდა გამოეწვია მთასა და ბარს შორის წინააღმდეგობა.

---

[64] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 391.

[65] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 391-392.

[66] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 475.

დავიწყოთ მეკობრეობით.

გიორგი III-ის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეამცირა კრიმინალი. მეკობრეობა-ავაზაკობა სასტიკად ისჯებოდა. მიუხედავად ამისა, თამარის ეპოქაში ცალკეული გამოვლინებანი ამ სახის დანაშაულისა შიგადაშიგ თავს იჩენდა. მეკობრეობით იყო დაკავებული ცნობილი ფეოდალი გუზან ტაოსკარელი, რომელიც კოლას მთებში „ავაზაკობდა მალვით“. მეკობრეობა რომ ქართული სახელმწიფოს ყოველდღიურობის ნაწილი იყო, ჩანს „ამირანდარეჯანიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“, რომლებშიც არის მეკობრეებთან ბრძოლის პასაჟები. მეკობრეობაში მაინცდამაინც მთიდან განხორციელებული ხალხმრავალი თავდასხმები არ უნდა ვიგულისხმოთ, შესაძლებელია, ეს ყაჩაღობა პატარ-პატარა ჯგუფებსაც განეხორციელებინა. ზოგადად, თამარის ეპოქის კრიმინოლოგიურ ვითარებაზე ლაკონიურად მოგვითხრობს „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“: „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერვინ იკადრებდა, ქარავანსა ვერვინ ძარცვდა. ამერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა. მპარავი, ავის მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის, დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმა[ნ] და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“.[67] ამ ფონზე, ფხოველთა და დიდოელთა მეკობრეობა სამეფო კარისთვის სერიოზულ პრობლემად უნდა ქცეულიყო. მთიელთა ეს პერმანენტული ყაჩაღური თავდასხმები, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დანარჩენ ნაწილში ქურდობა თითქმის ამოკვეთილი იყო, დიდ რეზონანსს გამოიწვევდა და სამეფო კარმაც გადაწყვიტა, შესაბამისი პასუხი გაეცა გამოწვევისთვის.

რა შეიძლება ყოფილიყო ფხოველთა და დიდოელთა მეკობრეობის მიზეზი?

გარდა იმისა, რომ ყოველ ასეთ ყაჩაღურ ბანდას თავისი კრიმინალური მიზნები ჰქონდა (ძარცვა, საქონლის მითვისება, შესაძლებელია, ადამიანთა მოტაცებაც და სხვა), ზოგადად, ამ პროცესის წამახალისებელი უნდა ყოფილიყო ფხოვსა და დიდოეთში სამეფო კარის დასაყრდენის – ადგილობრივი ადმინისტრაციის სუსტი სისტემა ან, საერთოდ, არარსებობა. სხვათა შორის, ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული საქართველოს მთიანეთის ფეოდალიზაციის პროცესთან.

ფეოდალური საზოგადოების ფორმირება ურთულესი ევოლუციური პროცესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებას წინ უძღოდა მთელი ეტაპები,

[67] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 354.

რომლებიც ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში თანდათან ცვლიდა სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების წესებს.

ზოგადად, ფეოდალიზაციისათვის ამოსავალია, ერთი მხრივ, მიწის სარგებლობისა და რენტის ახალი ფორმა, მეორე მხრივ კი, სამართლებრივ-პოლიტიკური სენიორია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ცენტრალური ელემენტი. მაგრამ ყველა ეს მახასიათებელი დასრულებული ფორმით სახეზეა მხოლოდ ფეოდალიზმის განვითარების ბოლო ეტაპზე, მაშინ როცა, მედიევისტიკაში ესოდენ გავრცელებული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „ფეოდალურმა რევოლუციამ" გაიმარჯვა. ეს საკმაოდ საინტერესო თემა, სამწუხაროდ, ჩვენს საკვლევ პრობლემას სცდება და ამიტომაც მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საზოგადოების ფეოდალიზაციის ევოლუცია-გარდაქმნის ამ გრძელ გზაზე გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნეოდა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ამ პროცესში ზონალობის გამოკვეთა, კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და საქართველოში თანაბრად არ მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი ბარში, მთისწინეთსა და მთაში. მაშინ, როცა ბარში „ფეოდალური რევოლუცია" უკვე დასრულებულია, მთისწინეთში შედარებით განსხვავებულ სურათს ვხედავთ: აქ ჯერ კიდევ გარდამავალი ეტაპია. ამ დროს მთიან ზონაში, ძირითადად, ისევ ძველი სამეურნეო ურთიერთობის ფორმა – მეთემეთა კერძო ალოდური სისტემა ბატონობს. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს. ფეოდალიზმი ნელ-ნელა მიცოცავს მთაში და უპირველესად, სამართლებრივ-პოლიტიკურ სენიორიის სახით მკვიდრდება ისე, რომ ადგილობრივ დონეზე, ძველი სასოფლო თემის ინსტიტუტებსა და ტრადიციებში, მიწის ნაწილზე საერთო საკუთრების ფორმით ურთიერთობაში, არ იჭრება. ამან განაპირობა ის, რომ მთიანეთის უმეტეს კუთხეებში არ წარმოქმნილა ადგილობრივ აზნაურთა ფენა – ბარის საზოგადოებრივი წყობის აგენტთა, მაგრამ იქ, სადაც იცვლებოდა მთიანეთის საზოგადოებრივი წყობა, ირღვეოდა მთიელთა „ძმობა". მთა თანდათან ბარს ემსგავსებოდა.[68] სრულიად სამართლიანად მიუთითებს ქ. ჩხატარაიშვილი: „მთის რეგიონების ფეოდალიზაციის პროცესს, მთის თემების ცენტრალური ხელისუფლებისადმი ბარის გლეხთა მსგავსად დამორჩილებას ხელს უშლიდა მაღალმთიან რეგიონებში კომუნიკაციების სიმცირე და სირთულე, უგზოობა".[69] ამას უნდა დავუმატოთ მიწის ფონდის სიმცირე, რის გამოც მთაში სახნავი მიწის, საძოვრების საზოგადო საკუთრების სხვადასხვა

[68] ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 242.

[69] ქ. ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1991, გვ. 130.

ფორმა არსებობდა. ფეოდალურ საქართველოში სოციალური სურათი, რა თქმა უნდა, ყველა რეგიონში არ იყო ერთგვაროვანი. მაშინ, როცა ბარში ფეოდალური ურთიერთობები მყარად იყო ფეხმოკიდებული, განსხვავებული რეალობა არსებობდა მთისწინეთსა და მთის ზონის საქართველოში. ეს არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსთვის ანდა კავკასიისთვის. იმავეს ვხედავთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ალპებისა და პირენეების კალთებზე მცხოვრები მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა არქაულ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს და „გლეხურ რესპუბლიკებს" ქმნიდა. ისტორიოგრაფიაში არსებობს შედარებაც, რომ ეს გარემო წარმოადგენდა „ეკონომიკური და სოციალური ფორმების ნაკრძალს".[70] შესაბამისი მასალის შესწავლის შედეგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა სოციალურად გაუდიფერენცირებელ ან სუსტად დიფერენცირებულ მასას წარმოადგენდა, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, თავისუფალი იყო და ბატონყმური ურთიერთობის გარეთ იდგა[71]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მთის რეგიონშიც არ არის ერთიანი სურათი. სრულიად სამართლიანადაა შენიშნული, რომ მთიანეთის ის ნაწილი, რომელიც ადვილად მისაწვდომი იყო და მაღალმთიანობის მიუხედავად, კომუნიკაციებით დასერილი გახლდათ, თავისებურად ფეოდალიზებულ რეგიონებს წარმოადგენდა. ძირითადად, ეს ითქმის მთისწინეთზე, ერთგვარ გარდამავალ ზონაზე. რაც შეეხება იმ რეგიონებს, რომლებთანაც ბარს საკმაოდ სუსტი კომუნიკაცია ჰქონდა და, ამავდროულად, მიწის ფონდიც მცირე იყო, მათ შენარჩუნებული ჰქონდათ სასოფლო ან საგვარეულო თემი. არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მტკიცე საფუძველს ქმნიდა არქაული სასოფლო თემის არსებობისთვის, რომლისთვისაც, ასევე, დამახასიათებელი იყო არქაული ტიპის მმართველობის სისტემა ტრადიციული ადათ-წესებით.[72] აღსანიშნავია ისიც, რომ X-XV საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას კონკრეტულად თუშ-ფშავ-ხევსურეთისათვის ოფიციალური კოდიფიცირებული

---

[70] ამ საკითხზე ვრცლად იხ.: ქ. ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, გვ. 120-133. იქვე იხ. შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა.
Г. А. Меликишвили, К характеристике социалъно-экономического строя раннеклассового обшества грузинских горцев, ВДИ, №1, М., 1984, გვ. 42; ქ. ჩხატარაიშვილი, თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში, გვ.129.

[72] ამ საკითხზე ვრცლად იხ.: დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV საუკუნეებში, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983, გვ. 53-71.

სამართალი არ შეუდგენია, რაც, თავისთავად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სანქცია იყო, აღნიშნულ რეგიონს საკუთარი ადათობრივი სამართლით ეხელმძღვანელა.[73] ეს, ფაქტობრივად, სამართლებრივ ჭრილში „რეგიონის ავტონომიურობას“ ნიშნავდა. მთლიანობაში, თუშ-ფშავ-ხევსურეთს XII-XIII საუკუნეებში მხოლოდ ხარკის გადახდა და სალაშქრო ვალდებულება ეკისრებოდა, თუმცა, რა მოცულობის იყო როგორც ერთი, ასევე მეორე, ამაზე ჭირს რაიმეს თქმა.[74]

გარემო პირობები არ იძლეოდა საშუალებას, მთის საქართველოში მსხვილი ფეოდალური მამულები ჩამოყალიბებულიყო. ამის კარგი მაგალითია სვანეთი, სადაც, მართალია, სახეზეა საზოგადოების დიფერენციაცია და ფეოდალთა საზოგადოების წიაღში „დიდი და მცირე“ აზნაურების წარმოქმნა, მაგრამ სოციალურ ურთიერთობებში კვლავ ძლიერი პოზიციები ჰქონდა სასოფლო ერთობას, სასოფლო თემს, რომელიც ცდილობდა ვარგი-აზნაურების სასოფლო ერთობის (კომუნის) სტატუსის სალტეში მოქცევას. სასოფლო კრებების გადაწყვეტილება მათთვის სავალდებულო იყო.[75] დ. გოგოლაძის მითითებით: „ვარგ-აზნაურთა ფეოდალური წოდების არსებობა, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, სასოფლო თემების (ხევების) ძლიერი ორგანიზაციები სამხედრო დემოკრატიის დროინდელი რიგი სერვიტუტებით, – ეს სოციალური სიმბიოზი აშკარად არსებობდა სვანეთში X-XVIII საუკუნეებში, რამაც ადრეფეოდალური ურთიერთობის გახანგრძლივება გამოიწვია და ძველი სათემო ერთობების ძლიერმა ორგანიზაციამ მოცემულ ხანაში სვან აზნაურ-ფეოდალებს კლასობრივი ფრთის გაშლის შესაძლებლობა არ მისცა – ადრეფეოდალური ურთიერთობა მათ ბატონყმობად ვერ გადააქციეს“.[76] ანალოგიურ სურათს ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ XIII-XIV საუკუნეებში მთიულეთში, გუდამაყარში, ხანდოსა და ჭართალში საზოგადოება დიფერენცირებულია და სახეზეა ადგილობრივ დიდგვაროვანთა წრე, „ფეოდალურ რევოლუციას“ აქ გამარჯვებულად ვერ ჩავთვლით, რამეთუ ფეოდალური ზედაფენა საკმაოდ სუსტია. ყოველ შემთხვევაში, გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაგვის ხეობაში შემდეგი სოციალური კატეგორიებია: დიდებული, აზნაური, მეთემე, ლომისის

---

[73] დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV საუკუნეებში, გვ. 69.

[74] დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისთვის X-XV საუკუნეებში, გვ. 69-70.

[75] დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), ნიგნი I, სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია, თბ., 1992, გვ. 212.

[76] დ. გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), ნიგნი I, გვ. 213.

გლეხი, ჰეროვანი. ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელია ერისთავი – გამგებელი – ხევისბერი, ციხისთავი. თითქოს სახეზეა ფეოდალური საზოგადოების მეტ-ნაკლებად სრული სტრუქტურა, მაგრამ როგორც კი გადავაჯგუფებთ თითოეულ ამ კატეგორიას, აღმოჩნდება, რომ ფეოდალური არისტოკრატია მთიანეთის ამ ნაწილში იმდენად სუსტი ყოფილა, რომ სამეფო კარის მიერ გამწესებულ მოხელეებად (გამგებელი, ციხისთავი) რიგით მეთემეთაგან დაწინაურებულ პირებს ნიშნავდნენ. რეალურად, საქმე გვაქვს ფეოდალური სახელმწიფოს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან, სადაც ის თანამდებობები, რომელებიც ბარის პირობებში ფეოდალთა წრიდან გამოსულთ უკავიათ, უმეტესად, თავისუფალ მეთემეთა ხელშია. ფაქტობრივად, ბარი თავადაა მაპროვოცირებელი მთის სოციალური დიფერენციაციისა, ვინაიდან მას სჭირდება მძლავრი საყრდენი წარჩინებულთა სახით. ამასაც თავისი ახსნა აქვს. ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის მეშვეობით შედარებით ადვილი იყო საყოველთაო სამხედრო მობილიზაციისა და ფისკალური პოლიტიკის გატარება. ამიტომაც ბარი მცოცავ ფეოდალიზაციას ეწევა. იგი მოწოდებულია, აზნაურთა მფლობელობა შექმნას, რამეთუ ამ წოდებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. ისინი ახდენდნენ მიწების ექსპლუატაციას და იცავდნენ ერისთავის სასარგებლოდ შექმნილ სიმდიდრეს. მათზე იყო დაყრდნობილი საერისთავოს სამხედრო ძალა, რადგან მათი სამსახურის ძირითად არსს – სიუზერენისთვის, მისი შუამავლობით კი მეფისთვის მეომართა გამოყვანა წარმოადგენდა.[77] მიუხედავად იმისა, რომ XIV საუკუნისთვის (ალბათ, წინა საუკუნეშიც) სამეფო კარისთვის სრულიად გასაგები იყო აზნაურის, როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, რომ „ძეგლის დადების“ მიხედვით, სუფთა სააზნაურო ფუნქციას – გამგებლობას – ხშირ შემთხვევაში, ასრულებდა მსახურეული. ძეგლის II და IV მუხლების მიხედვით, განმგებლად შეიძლება ყოფილიყო როგორც მსახური, ისე აზნაური: „განმგებელი თუ ქვეყანამ მოკლას, ერთმან სოფელმან, გინდა ერთმან პირმან, ჴევმან, მსახურ იყოს განმგებელად, ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასით (მუხ. II)“; „და თუ აზნაურშვილი იყოს განმგებელად, მოკლან, მის გუარსა ზედან დაიურვონ სისხლი“.[78] ასევე, საინტერესოა „ძეგლის დადების“ ის მუხლები, რომლებიც ეხება ხევისბერსა და ციხისთავს. ორივე ეს სახელო საპატიოა და მათ ადმინისტრაციული ფუნქცია აკისრიათ. ძეგლის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ „ჴევისბერს

[77] გ. შარაშიძე, შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში, თბ., 2011, გვ. 147.

[78] ს. კაკაბაძე, „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, თბ., 1913, გვ. 5-6.

დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰბოძებია".[79] როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირაა საუბარი ხევისბრის, როგორც სამხედრო მოხელის, მთიელთა ლაშქრის ერთ-ერთი მეთაურის მოვალეობებზე. სამართლის ძეგლის მიხედვით, ხევისბერი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი არ ჩანს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც დარბაზი რომელიმე გამორჩეულ მეთემეს „ლაშქართ თავადობას" (ლაშქრის მეთაურობას) უბოძებდა, მისი ოჯახი და ახლობლებიც თემში გარკვეულ პრივილეგიას იძენდნენ. ამაზე მეტყველებს როგორც ხევისბერის ოჯახის წევრების, ისე მისი განაყოფების სისხლის ფასი, რომელიც ბევრად აღემატებოდა მოსახლეობის ძირითადი მასის წარმომადგენელთა სისხლის ფასს.[80] ასევე, არააზნაურული წარმოშობისაა ციხისთავი. მისი სისხლის დაურვებისას კანონმდებლის ყურადღება მთლიანად აქცენტირებულია აღნიშნული მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მაშინ, როდესაც მისი სოციალური კუთვნილება არსებითად გათვალისწინებული არ არის.[81]

„ძეგლის დადებიდან" კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური ტიპოლოგია – ჩვენ წინაშეა საზოგადოება, რომელიც სისხლხორცეული ნაწილია სახელმწიფო ფეოდალიზმისა, თუმცა, ეს სისტემა არ არის გამყარებული ადგილობრივი, კერძო საბატონო-მემამულური ფეოდალიზმით[82]. ამიტომაცაა, რომ დიდებულთა ფენა იმდენად სუსტია, რომ ვერ ახერხებს ყველა დონეზე ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებას.

„ძეგლის დადების" მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ საკვლევ რეგიონში ერისთავის, როგორც საქვეყნოდ გამრიგე უმაღლესი მოხელის, შემდეგ ყველაზე უფრო გავლენიანი პირი განმგებლად მყოფი აზნაური ან მსახური იყო, მაგრამ სჯულმდებელმა რაკი დაუშვა, განმგებლად ყოფილიყო მსახურიც, ეს, ძალაუნებურად, გვაფიქრებინებს ჩვენთვის საინტერესო მთის კუთხეებში აზნაურთა სიმცირეს ან არარსებობას. რაც შეეხება დანარჩენ მოხელეებს (ხევისბერი, ციხისთავი), აგრეთვე, მთის თემების თავკაცებს – ჰეროვანებს, ისინი სოციალურად (იურიდიულად) აღზევებულ და წარჩინებულთა წოდებაში გაფორმებულ პირებს არ წარმოადგენდნენ, სოფლიონთა (რიგით მეთემეთა) წრიდან ახერხებდნენ დაწინაურებას და სისხლის საურავის გადიდებას პირადი დამსახურებით აღწევდნენ.[83] მოგვიანებით არაგვის ხეობის ამ ნაწილში

---

[79] ს. კაკაბაძე, „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ", თბ., 1913, გვ. 7.

[80] ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში, თბ., 2001, გვ. 39.

[81] ვ. ითონიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43-44.

[82] დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 71.

[83] ვ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური

სოციალური დიფერენციაცია, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაღრმავდა. გვიან შუა საუკუნეებში შედარებით სხვა სურათს ვხედავთ. ფეოდალიზაციის პროცესი შორს არის ნასული, სათემო და ინდივიდუალურ-შრომით საკუთრებაში მყოფი მიწების ფონდის ხარჯზე. ეს პროცესი მიმდინარეობდა როგორც „მშვიდი“ სოციალურ-ეკონომიური განვითარების, ასევე, ფეოდალების მიერ მიწების იძულებითი ექსპროპრიაციის გზით.[84]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველგან ერთნაირი საზოგადოება არ გვაქვს. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ფეოდალურ პერიოდში თუშ-ფშავ-ხევსურეთის საზოგადოება კლასობრივად გაუდიფერენცირებელია, წინაფეოდალური (resp. პროტოფეოდალური).[85] ასეთ პირობებში ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, ბიძგი მისცეს ისეთ პროცესებს, როგორებიც მთიანეთის ნაწილშია – შექმნას თავისი დასაყრდენი სოციალური წრე განმგებლის, ხევისბერის, ციხისთავის ფორმით. ფხოველებისა და დიდოელებისთვის ეს რეალობა აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. ბარი ცდილობდა თავისი აგენტები გაეჩინა მთაში. რა თქმა უნდა, არ მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს ზუსტ ანალოგიასთან, თუმცა, ევროპაში მიმდინარე “Incastellamento”, ანუ „გაციხოვნების“ პროცესი რაღაცით ეხმიანება საქართველოს მთაში ფეოდალიზმის შეღწევის ფორმებს.[86] განმგებელი (რა თქმა უნდა, ამავდროულად, ციხე-კოშკის მფლობელი) და ციხისთავი თანდათან გამოეყოფიან თავისუფალ მეთემეებს და ქონებრივად თუ სოციალური სტატუსით განსხვავებულ წრეს ქმნიან, რომლის წიაღიდანაც გამოდის აზნაურთა ფენა. სწორედ ამ პროცესს აღუდგა წინ მთა XIII საუკუნის დასაწყისში. არაგვის ხეობის ნაწილში, „ძეგლის დადების“ მიხედვით, როგორც დავინახეთ, არსებობს რთული ადმინისტრაციული სისტემა, რასაც ვერ ვიტყვით ფხოვსა და დიდოეთზე. თავისთავად, ეს ორი პროვინცია ადმინისტრაციულად რომელიმე საერისთავოს ნაწილი იქნებოდა, მაგრამ უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ამ კუთხეებში თავისი განმგებლები და ციხისთავები არ ჰყავს. ამ ფუნქციას ფხოვისა და დიდოეთის თემების ერთობა ასრულებს. არ გამოვრიცხავთ, რომ მთიელთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მთაში სამეფო ადმინისტრაციის შექმნის მცდელობა ყოფილიყო. რა ფორმით

სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში, თბ., 2001, გვ. 59.

[84] ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, თბ., 1973, გვ. 114.

[85] დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 70.

[86] აღნიშნულ საკითხზე იხ.: აკ. ჩიქობავა, ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში, თბ., 2015, გვ. 66-77.

აპირებდა ამის განხორციელებას ცენტრალური ხელისუფლება, ამის თქმა ძნელია, თუმცა, უდავოდ უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო კარი შეეცდებოდა მთიელთა მეკობრეობის აღსაკვეთად ფხოვსა და დიდოეთში პლაცდარმების შექმნას, რომლებიც მიმართული იქნებოდა, ერთი მხრივ, ადგილობრივი კრიმინალის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილოეთიდან პოტენციური საფრთხის განეიტრალებისკენ. რა თქმა უნდა, ერთი ასეთი მცდელობაც კი ადგილობრივების მხრიდან აღქმული იქნებოდა, როგორც მათი თავისუფლების შეზღუდვა. სამეფო კარის მოხელეებისა თუ სამხედრო პუნქტების გაჩენა ფხოველთა და დიდოელთა ცხოვრების რეგლამენტაციისაკენ იქნებოდა მიმართული. სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ პირიქითა ხევსურეთში ამავე პერიოდში იქმნებოდა ლიმიტროფული ზონები შატილისა და ანატორის ციხე-ქალაქების სახით, რომელთა შენახვა სწორედ ადგილობრივ მოსახლეობას ევალებოდა.[87] ფხოვსა და დიდოეთში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ასეთი სახის დასახლებების გაჩენა და მასზე მიბმული ადმინისტრაციის შექმნა უნდა ქცეულიყო აჯანყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. მოგვიანებით, მთიელთა გამოსვლის დამარცხების შემდეგ, როგორც ჩანს, სამეფო კარმა საწადელს მიაღწია და საზღვრისპირა გამაგრებულ დასახლებებზე თავისი კონტროლი დააწესა. რაც შეეხება ადმინისტრაციის შექმნას, ამ კუთხით ფხოვსა და დიდოეთში განსხვავებული მოდელი შემუშავდა – აქ მოხდა მეფის ხელისუფლების საკრალიზაცია და გაღმერთება. ფაქტობრივად, სახელმწიფო ფეოდალიზმმა თავისებური სახე მიიღო. ამიერიდან ფხოვი და დიდოეთი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს „სამეფო საქონებელი", სამეფო ყმა-მამული, ფისკალური და მოლაშქრეთა რეგიონია, თუმცა, რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულები – ძველი სასოფლო-ტერიტორიული თემები

---

[87] გ. ჩიტაიას აზრით, შატილი XI-XII საუკუნეებში უნდა აეგოთ. მეცნიერი ეყრდნობა შატილში მცხოვრები ჭინჭარაულების „მამების" და „თაობების" გამოანგარიშებას (გ. ჩიტაია, შატილის წარმოშობის შესახებ, შრომები, ტ. II, თბ., 2000, გვ. 306). ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს XII-XIII საუკუნეების მიჯნა. ფხოვის შემომტკიცება დავით IV აღმაშენებლის დროს უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა სამეფო კარი, აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა პირიქითა ხევსურეთის მიმართულებით. ალბათ ეს დავით IV-ის მემკვიდრეების მეფობის ჟამსაა საგულვებელი. რაც შეეხება ლიმიტროფული ზონების შექმნას, არ გამოვრიცხავთ, ეს სწორედ თამარის ეპოქას ემთხვეოდეს. ყოველ შემთხვევაში, ესაა პროცესი, რომელიც XII საუკუნეში გაგრძელდა. წინა საუკუნეებში, განსაკუთრებით X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. ამიტომაც უპრიანია, ეს იმ პროცესის გაგრძელებად მივიჩნიოთ, რომელიც საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის პიკში, თამარის მეფობისას, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ფხოველები და დიდოელები სწორედ ამან შეაშფოთა.

და ხევები – უწინდებურად დამოუკიდებელ შინაგან ორგანიზაციასა და იურიდიულ სტატუსს ინარჩუნებდნენ.[88]

XIII საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა და შემოსევების ზრდა შეუძლებელია არ დატყობოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს. ფხოვი და დიდოეთი ჩართული უნდა ყოფილიყო რეგიონულ თუ საერთაშორისო ვაჭრობაში. არაგვისა და ივრის ხეობიდან გზები მიემართებოდა ფხოვისაკენ, აქედან კი ჩრდილოეთ კავკასიაში, დურძუკეთში გადადიოდა. თავის მხრივ, კახეთიდან დაღესტნის სხვადასხვა რაიონისაკენ მიმავალი გზა დიდოეთზე გადიოდა. ეს სავაჭრო მაგისტრალები მოითხოვდა სტაბილურობას და, რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივთათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ერთი მხრივ, ასეთი ეკონომიკური გარემო და, მეორე მხრივ, მარბიელ ლაშქრობებში მონაწილეობა მთას სერიოზულ შემოსავალს უჩენდა. ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, ცენტრალურ ხელისუფლებას ყოველთვის შეღავათიან ფისკალურ პირობებში მყოფი მთისთვის „ხარაჯის" გაზრდა ეფიქრა. ყოველ შემთხვევაში, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორთან არ ჩანს, აჯანყებამდე ფხოველებსა და დიდოელებს ეკისრებოდათ თუ არა „ხარაჯა". შესაძლებელია, მთა მხოლოდ სამხედრო ვალდებულებით შემოიფარგლებოდა. ზოგადად, ამ კონტექსტში „ხარაჯას" – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლო გადასახადის ხსენება პირდაპირ მიუთითებს, რომ სამეფო კარმა გარკვეული საგადასახადო შეღავათები მოუხსნა მთას. ამჟამად ძნელია იმის თქმა, „ხარაჯას" განწესება აჯანყებამდე იყო ჩაფიქრებული სახელმწიფოს მხრიდან და ყველაფერთან ერთად, ამან გარკვეული სოციალური ფონი მისცა მთიელთა გამოსვლას, თუ ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ ფხოველთა და დიდოელთა დამარცხების შემდეგ განხორციელებული ღონისძიება გახლდათ. ჩვენ უფრო პირველი მოსაზრებისკენ ვიხრებით. იქნებ ამიტომაც მიიღო ამ გამოსვლამ ასეთი საყოველთაო ხასიათი. სოციალურ და ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული მოძრაობები ყოველთვის მასშტაბურია. მთლიანობაში, საინტერესო სურათს ვიღებთ – გამოსვლის პოლიტიკურ მოტივებთან ერთად (მთის ფეოდალიზაცია – თავს მოხვეული ადგილობრივი ადმინისტრაციის ფორმირება), აშკარად ჩანს საგადასახადო შეღავათების გაუქმებით გამოწვეული უკმაყოფილება. რომ არა პრობლემების

[88] დ. გოგოლაძე, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონისა და სასოფლო თემის იურიდიული სტატუსის საკითხისათვის X-XV საუკუნეებში, გვ. 70.

ასეთი ერთობლიობა, საეჭვოა, ფხოველებსა და დიდოელებს გაებედათ, აჯანყებულიყვნენ მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ივანე ათაბაგის ლაშქრობის მარშრუტი

თამარის ისტორიკოსი დაწვრილებით მოგვითხრობს ივანე ათაბაგის ლაშქრობის მარშრუტის თაობაზე. მემატიანის ცნობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის მიმდინარეობას.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ასე იწყებს ივანე მხარგრძელის ლაშქრობის აღწერას: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჴეეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა. მისცნა ივანეს ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“.[89] როგორც ვხედავთ, მემატიანე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა თემს ახსენებს, მაგრამ ვფიქრობთ, ლაშქრის შემადგენლობა გაცილებით მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო და მასში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის პროვინციებიდან გამომავალ სამხედრო ნაწილებსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ თამარის მემატიანე, მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად დაწვრილებით აღწერს მოვლენებს, სამხედრო ისტორიის კუთხით, გარკვეულ დეტალებს არ ახსენებს. კერძოდ, როგორც ფხოვი, ასევე დიდოეთი სამხრეთიდან იმ პროვინციებს ემეზობლებოდა, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა. რა თქმა უნდა, საჯარისო ნაწილები ფხოვისა და დიდოეთის მთლიან ბლოკირებას მოახდენდნენ. ამ მასშტაბური ოპერაციისათვის კი ქართლისა და კახეთის საერისთავოებიდან გამომავალი ლაშქრის მონაწილეობა აუცილებელი და სავალდებულო უნდა ყოფილიყო. მემატიანე ახსენებს მხოლოდ ლაშქრობის იმ მიმართულებას, რომელსაც სარდლობდა ივანე ათაბაგი, მაგრამ ფხოვს თუ ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ნაწილების ერთმა შენაერთმა ჩრდილოეთიდან დაარტყა, გამორიცხულია, დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულება (აღმოსავლეთიდან დიდოეთი მდებარეობდა) მოშიშვლებული ყოფილიყო. იგივე ითქმის დიდოეთზეც, სადაც გაცილებით ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია იყო საწარმოებელი. ამდენად, სამხედრო თვალსაზრისით, ქართული

[89] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 478.

სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მობილიზაცია გაცილებით მასშტაბური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს აქვს მითითებული.

მემატიანის თქმით, ივანე ათაბაგს საკმაოდ სარისკო, თუმცაღა, ჭკვიანური გადაწყვეტილება მიუღია – მან აღმოსავლეთ საქართველოს მთას ბარიდან კი არ შეუტია, არამედ, მოწინააღმდეგე ძალების დანაწევრების მიზნით, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გავიდა, ერთ მხარეს მოიტოვა ფხოვი და დიდოეთი, ხოლო მეორე მხარეს – დურძუკეთი. ეს საკმაოდ რთული სამხედრო ოპერაცია იყო, რომლის განხორციელება მხოლოდ იმიტომ მოხერხდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხარეს იბრძოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ხევები, განსაკუთრებით მოხევეები, ხადელები და ცხავატელნი. ამ ხევებიდან შესაძლებელი იყო იმ სიმაღლეზე გასვლა, საიდანაც ფხოვისა და დიდოეთის მიმართულებით საბრძოლო მოქმედებები ადვილად წარიმართებოდა. ცნობილია ნაპოლეონის პოსტულატი – „მთას არ უტევენ“. ამ სიტყვების ჭეშმარიტება არაერთხელ დადასტურებულა საქართველოს მთიანეთის მაგალითზე. ივანე მხარგრძელის ლაშქრობისას ვითარება კარდინალურად განსხვავებული იყო სამეფო კარის მომხრეთა სასარგებლოდ. ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ძალები გაბატონდა ისეთ სიმაღლეზე, რომლის დაკავების შედეგად, გარე სამყაროსგან ფხოვი – მთლიანად, ხოლო დიდოეთი ნაწილობრივ იზოლირებული აღმოჩნდა. ივანე ათაბაგის ლაშქარმა არა მარტო გაყო დურძუკეთი და ფხოვ-დიდოეთი, არამედ ამ ორი უკანასკნელი პროვინციის დამაკავშირებელი გზების ჩაკეტვა მოახერხა, რის გამოც ფხოველებს და დიდოელებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ურთიერთს მიხმარებოდნენ. როდესაც ვსაუბრობთ გარე სამყაროსგან იზოლაციაზე, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორს. ორივე პროვინცია რამენაირად მოახერხებდა სამი ან მეტი თვე თავის შენახვას. ვსაუბრობთ, სამხედრო თვალსაზრისით, ამ მხარეების განეიტრალებაზე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო, ხელი შეეშალა აჯანყებულთა გაერთიანებისათვის და ბრძოლის დაწყების პირველსავე ეტაპზე მათი გაყოფა-დაცალკევება მოახერხა. საქართველოს მთიანეთს შესწევდა უნარი, თავი დაეცვა, როდესაც მტერი ერთი ან ორი მიმართულებით უტევდა, მაგრამ ყველა მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, საჭირო იყო დიდძალი ადამიანური რესურსი, რომელიც ცალკე აღებულ ფხოვს ან დიდოეთს არ გააჩნდა.

თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მინიშნება – „მოუწოდან მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა

მოჭევეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა...“[90] – უნდა გავიგოთ ისე, რომ თამარმა ყველა ამ კუთხის სამხედრო ძალებს უბრძანა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა და არა ისე, თითქოს ისინი ერთად შეიკრიბნენ, ერთ ადგილას და ივანე ათაბაგის მხარდამხარ ილაშქრეს. თუ კარგად დავაკვირდებით, აქ ჩამოთვლილი კუთხეები, ძირითადად, ფხოვს საზღვრავდა დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ასევე, ნაწილობრივ ერწო-თიანეთიდან შეიძლებოდა მოხვედრა ფხოვსა და დიდოეთში. ჩვენი აზრით, დარტყმის მთავარი ობიექტი ფხოვი იყო. ცენტრალური ხელისუფლება მისი დაკავების შემდეგ აპირებდა დიდოეთში გადასვლას. რა თქმა უნდა, ამას თავისი ახსნა აქვს, რამეთუ დიდოეთის გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლეოდა მისი სრული იზოლაციის საშუალებას. აღმოსავლეთით დიდოეთს ემიჯნებოდა დაღესტნური თემები. საქართველოს სამეფო კარი, ბუნებრივია, სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე მათთან გარკვეულ დიპლომატიურ სამუშაოს ჩაატარებდა, დიდოეთი ამ მხრიდანაც იზოლირებული ყოფილიყო. რაც შეეხება ფხოვს, მართალია, ივანე მხარგრძელმა მას ჩრდილოეთიდან შემოუარა, მაგრამ გარკვეული სამხედრო მოქმედებები, სავარაუდოა, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც წარიმართა. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ფხოვის მომიჯნავე ხევებიდან გამომავალ შეიარაღებულ ძალებს თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული გეგმა ექნებოდათ და მათი მონაწილეობა კავკასიონის წყალგამყოფი სიმაღლის დასაკავებლად განხორციელებულ მანევრში აუცილებელი არ იყო. მეტიც, ფხოვის მეზობელი ხევებიდან გამომავალ მეომრებს ის საკომუნიკაციო არტერიები უნდა დაეკავებინათ, საიდანაც შესაძლებელი გახდებოდა ფხოვის სხვადასხვა ზონაში ყველა მხრიდან ადვილად შეღწევა.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიხედვით, თავად ივანე ათაბაგი ხადის ხევით მოძრაობდა: „აღვიდა მთასა ჯადისასა და წარვლო წური მთისა“.[91] რა თქმა უნდა, სამეფო ლაშქრის რიცხოვნობა საკმაოდ დიდი იქნებოდა, თუმცა მთლიანად აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ოპერაციაში გაცილებით მეტი მეომარი იქნებოდა ჩართული, რომლებიც, როგორც ითქვა, პირველ ეტაპზე, ფხოვისა და დიდოეთის ბლოკირებას მოახდენდნენ სხვადასხვა მიმართულებით. მთის რელიეფზე რამდენიმე ათასი მეომრის გადაადგილება ადვილი არ იყო, ამიტომ, საფიქრებელია, ივანე ათაბაგის საჯარისო ნაწილები სხვადასხვა გზა-ბილიკით ისარგებლებდნენ. ხადის ხეობიდან ძირითადი შენაერთი სნოსწყლის აუზში უნდა გადასულიყო, საიდანაც „დვალთა,

[90] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 478.

[91] იქვე.

ცხრაზმელთა, მოჰევეთა" რაზმებთან ერთად მდ. ჯუთის ხეობით ფხოვისაკენ გადასასვლელ უღელტეხილზე აღმოჩნდებოდა. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ცენტრალური ხელისუფლების საჯარისო ნაწილების კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გასვლისთანავე სინქრონულად უნდა დაეწყოთ მოქმედება დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჭართლელებს და ერნო-თიანელებს.

ფხოვის საზღვარზე ივანე ათაბაგის საჯარისო ნაწილები ალბათ რამდენიმე ნაწილად დაიყოფოდა. პირიქითა ხევსურეთის მიმართულებით გადავიდოდნენ არხოტისთავის გადასასვლელით, საძელის და ჭაუხის გადასვლელებით კი მდ. როშკის აუზში მოხვდებოდნენ. აქედან რამდენიმე გზა-ბილიკი მიემართებოდა დათვისჯვრის უღელტეხილისაკენ. ერთ-ერთი მთავარი გზა გადიოდა მდ. გუდანისჭალისა და ხახმატის გავლით, თუმცა, ჩვენი აზრით, ჯარის ძირითად ნაწილს უნდა ესარგებლა კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გამავალი გზით, რომელიც მიუყვებოდა კალოტანისღელისა და ანატორისღელის გადასასვლელებს, ბორბალოსა და კისტანისთავის მთებს და პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ მონაკვეთზე – დათვისჯვრის უღელტეხილზე ხვდებოდა. ამ ადგილიდან ერთი ნაწილი სამხედრო შენაერთისა შატილ-ანატორის მიმართულებით იმოძრავებდა და შეეცდებოდა მდ. ანდაქისწყლის ხეობაზე გასვლას, რამეთუ აქედან ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი თუშეთ-დიდოეთისაკენ მიემართებოდა. მემატიანის მიერ მითითებული ადგილმდებარეობა – „წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოეთსა, რომელი არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო – დიდოეთი და ფხოვი"[92] – გულისხმობს კავკასიონის წყალგამყოფი ქედის და იმავე ხეობების დაკავებას (მდ. არღუნის სათავეები, მდ. ანდაქისწყლის ხეობა და კავკასიონის ქედის ორივე ფერდობი), რომლებიც მართლაც მიჯნავდა ფხოვს – დიდოეთსა და დურძუკეთს.

დათვისჯვრის უღელტეხილის დაკავების შემდეგ სამხედრო ოპერაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყებოდა – ფხოვისა და დიდოეთის გამყოფი ქედის მიმართულებით მარში. ამ შემთხვევაშიც გზა წყალგამყოფ ქედს მიუყვებოდა – დათვისჯვარი – ჭანჭახის გადასასვლელი – ჭანჭახის მთა – ანდაქი – პატარა ბორბალო; აქედან უკვე თუშეთის ალაზნის აუზში გადადიოდა, ანუ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის გეოგრაფიული ნომენკლატურით, დიდოელთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვინაიდან სამხედრო მოქმედებების გაგრძელება იგეგმებოდა დიდოელთა მიმართულებით, მეომართა კონცენტრაციის არეალი შეიძლება ყოფილიყო

[92] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 478.

ანდაქისა და ბორბალოს ზონა – ფშავის არაგვის სათავეები. სხვათა შორის, ამ ადგილებიდან არც ისე შორსაა ლაშარის ჯვარი, სადაც უნდა შემდგარიყო საბოლოო შეთანხმება სამეფო კარსა და აჯანყებულ მთიელთა შორის. ამ საკითხზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

აჯანყების ჩახშობა და მებრძოლი მხარეების შეთანხმება

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" საკმაოდ მოკლედ გვიყვება სამეფო კარსა და აჯანყებულებს შორის შემდგარ შეხვედრაზე: „მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურება და ხარაჯა და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. ნამოასხა მძევლები, იქმნნეს ზავნი და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე".[93] სად შედგა ეს შეთანხმება, რა ფორმით მოხდა პირობების გაფორმება, ჩვენთვის უცნობია.

საზოგადოდ, ფშავ-ხევსურეთსა და დიდოეთში უკანასკნელ ხანობამდე შენახული იყო ხსოვნა ივანე მხარგრძელის მიერ მოწყობილი ლაშქრობისა და თამარ მეფის მთიელებზე, კერძოდ, დიდოელებზე განრისხების შესახებ. გ. ჩიტაიამ 1962 წელს ფშავში, ექსპედიციის დროს, ჩაიწერა შემდეგი გადმოცემა: „ამბობენ, რომ მხარგრძელის მიერ იქნა ამ ხეობაში ციხე-გალავნები დანგრეული თუ დამწვარი. მას შემდეგ აქ ციხეები არ აღუდგენიათ".[94] დიდოელთა ზეპირსიტყვიერებაში ასახულია თამარ მეფის დროს ამ მხარის დამორჩილების ამბავი. დიდოელებში გავრცელებული იყო წყევლა: „დაე, შენ განგგმიროს თამარ დედოფლის ქვამ" (თამარ დედოფალეს ეჰენ წოხთლო დებზო!). ფიქრობენ, ამ წყევლის გაჩენას საფუძვლად უნდა ედოს ის ფაქტი, რომ თამარ მეფემ დიდოელებს რაღაც დიდი წყენა დაუტოვა. სრულიად ბუნებრივია, ასეთად XIII საუკუნის დასაწყისში ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების სასტიკი ჩახშობა მივიჩნიოთ.[95]

ს. მაკალათიას დაცული აქვს საინტერესო გადმოცემა ფხოვში ივანე მხარგრძელის ყოფნის შესახებ: „წინათ ლაშარობა-თამარობას ხევისბერები, დამწყალობლების დროს, ივანე მხარგრძელსაც იხსენიებდნენ თურმე. თამარ მეფის საჯარეში, ღელეში, დღესაც დაცულია სავარძლისებურად მომრგვალებული ქვის საჯდომი, რომელსაც მხარგრძელის საჯდომს უწოდებენ. გადმოცემით, მხარგრძელი აქ ჯდებოდა თურმე და საჯარეში

[93] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 479.

[94] გ. ჩიტაია, 1962 წ. ფშავის ექსპედიცია (დღიური), შრომები, ტ. III, თბ., 2001, გვ. 538.

[95] И. В. Мегрелидзе, Дидойцы и название «Дидо», გვ. 182.

შეკრებილი ფხოელების ხევისბერების ბჭობა-თათბირს უსმენდა".[96] ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ამ გადმოცემას სწორედ თამარის მეფობაში მომხდარ აჯანყებას დავუკავშირებთ. ზოგადად, ლაშა-გიორგის სახელთან დაკავშირებული სალოცავის გაჩენაც, ჩვენი აზრით, ამავე პერიოდის მოვლენა უნდა იყოს და მას თავისი ახსნა მოეძებნება.

თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სახელზე აგებული სალოცავები ფშავში, ხევსურეთსა და თუშეთში შეუძლებელია XIII საუკუნის დასაწყისში მომხდარი ამბოხების უწინარეს ვივარაუდოთ (მეფე-ქალის, თამარის გამეფებიდან ან ლაშა-გიორგის დაბადებიდან). სამეფო ოჯახი თუ ასეთი პოპულარული იყო, მაშინ მის წინააღმდეგ აჯანყებას არავინ მოაწყობდა. აშკარად შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე – ერთი მხრივ, ფშაველები, ხევსურები, თუშები ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას, მეორე მხრივ კი, მათ სახელზე სალოცავებს აგებენ? კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი – რატომღაც, სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ ნაწილშია ლაშა-გიორგი იმდენად პოპულარული, რომ მის სახელს უკავშირებენ ხატ-სალოცავებს. ყველაზე საინტერესო სწორედ ის არის, რომ გეოგრაფიულად ლაშა-გიორგის პოპულარობის არეალი, რატომღაც, ემთხვევა თამარის დროს მომხდარი მთიელთა აჯანყების გეოგრაფიას. ნუთუ ეს დამთხვევაა? მართალია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მხოლოდ ივანე მხარგრძელს იხსენიებს ფხოველთა და დიდოელთა ამბოხის აღწერისას, მაგრამ, უდავოა, მთელ ამ პროცესში ჩართული იქნებოდა სამეფო კარი და, უპირველესად, თამარის თანამოსაყდრე – ლაშა-გიორგი. „ქართლის ცხოვრებაში" მხოლოდ სამხედრო მოქმედებებზეა საუბარი. მთავარი მოქმედი პირი ივანე ათაბაგია, მაგრამ ფაქტია, მთიელთაგან მძევლების აყვანას, „ხარაჯისა და პირის სიმტკიცის" მიღებას სხვა ლეგიტიმაცია სჭირდებოდა. ჩვენი აზრით, მთელი ამ მოლაპარაკების სათავეში სწორედ ლაშა-გიორგი უნდა ყოფილიყო, როგორც მეფის თანამოსაყდრე და მომავალი მონარქი. თავიდანვე ვიტყვით, რომ მთიელთა აჯანყებაში ლაშა-გიორგის მონაწილეობის თაობაზე დამატებითი წყაროს მოტანა ჭირს, თუმცა, საინტერესო პარალელი შეიძლება გაივლოს ამ მოვლენასა და ცოტა ხნით ადრე მომხდარ ყარსის/კარის ციხე-ქალაქის აღებას შორის.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მოგვითხრობს: „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა".[97] მემატიანეს კარის/ყარსის ციხის დაუფლებისათვის ბრძოლაში საერთოდ ნახსენები არ ჰყავს ლაშა-გიორგი, მაშინ, როცა

[96] ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 21.

[97] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008, გვ. 462.

„ცხოვრება მეფედ-მეფისა თამარისას“ ავტორი მთელ ამ მოვლენებში ერთ-ერთ მთავარ ფიგურად სწორედ უფლისწულს ასახელებს. როგორც თამარის ორივე ისტორიკოსი მოგვითხრობს, კარის/ყარსის ციხე-ქალაქი ქართველებს რამდენიმე წელი ჰქონდათ გარემოცული. 1206 წელს თამარ მეფემ კარის ციხის ასაღებად დავით სოსლანი გააგზავნა: „ხოლო დაშთომილთა მათ (ციხეში მყოფებმა) ითხოვეს დავითისგან, რათა თჳთ თამარ მიჳდეს და მას მიენდვნენ...“[98] მეციხოვნეთა ეს სურვილი თამარ მეფეს მოახსენეს, რომელიც პირადად ჩავიდა ქალაქის ჩასაბარებლად. მიუხედავად იმისა, რომ თამარი და დავითი ამ დროს კარში/ყარსში იმყოფებოდნენ, სამეფო ოჯახის სახელით მოლაპარაკებას ლაშა-გიორგი უძღვებოდა. რა თქმა უნდა, უფლისწულის მონაწილეობა ამ შემთხვევაში სიმბოლურია, რამეთუ ყველა დეტალი თავიდანვე გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ აქ მხოლოდ ეს არ უნდა დავინახოთ: ლაშა მომავალი მეფეა და ამიტომ მისი მხრიდან კარის/ყარსის მცხოვრებთათვის პირობის მიცემა ნიშნავდა, რომ გამეფების შემდეგაც განუხრელი დამცველი იქნებოდა ამ შეთანხმებისა: „და მოიხუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშჳდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი... არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთჳს მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევიდეს და თჳთ მოითუალოს ქალაქი და ციხე“.[99] ვფიქრობთ, იგივე უნდა მომხდარიყო ფხოველთა და დიდოელთა შემორიგებისას. სამეფო სახლის სახელით, აჯანყებულთაგან „პირი სიმტკიცისა“ სწორედ მომავალ მეფეს – ლაშა-გიორგის უნდა მიეღო. ჩვენი აზრით, ლაშარის ჯვრის ადგილზე უნდა მომხდარიყო საბოლოო შეთანხმება მხარეებს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ თავად ლაშარის ჯვრის ადგილი „არ არის რაღაც განსაკუთრებული, რაიმე ნიშნით გამორჩეული მასზე დაქვემდებარებული საყმოთა ჯვრების ადგილებისგან, – ის არც მაღალზე მდებარეობს, როგორც ცალკეულ საყმოთა მთაწმინდები და არც ფშავისხევის გეოგრაფიულ ცენტრშია; ის ერთი ხრიოკი ადგილია, სრულიად შეუმჩნეველი გარეშე თვალისათვის, რაც თავად მის სახელწოდებაშია ასახული – „ხმელგორი“.[100] სხვათა შორის, შემთხვევითად არ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ფშავში ლაშარის ჯვარი არის ლაშარის საყმოს, ანუ ფშავის თორმეტი თემის გამაერთიანებელი. როგორც ჩანს, ფშაველთათვის ეს ადგილი მხოლოდ საკრალურ მნიშვნელობას არ ატარებდა, აშკარაა

---

[98] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 508.

[99] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 508-509.

[100] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, ქუთ., 1996, გვ. 166.

ლაშარის ჯვრის პოლიტიკური დატვირთვაც – ეს არის ფშავის საყმოების საერთო შესაკრებელი. თითოეულ საყმოს ამ შესაკრებელში თავისი საჯარე აქვს.[101] ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლაშარის ჯვარი იმ ადგილების სიახლოვეს მდებარეობს, სადაც კონცენტრირებული იყო XIII საუკუნის დასაწყისში მთიელთა წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური ხელისუფლების ძალები. არ გამოვრიცხავთ, რომ ფხოველთა შემორიგება სწორედ ლაშარის ჯვარში მომხდარიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ივანე მხარგრძელის მიზანი ლაშქრობის დასაწყისში იმ სიმაღლეების დაკავება იყო, რომელთა მეშვეობით, ერთი მხრივ, გამოირიცხებოდა დურძუკების მხრიდან რაიმე სახის დახმარება აჯანყებულთათვის და, მეორე მხრივ, მეამბოხე ფხოველებისა და დიდოელების გათიშვა მოხდებოდა. ამიტომაც, სამეფო ლაშქარი უნდა გასულიყო ანდაქის გადასასვლელზე და ბორბალოს მთის მიდამოებში. აქედან აღმოსავლეთით მიდიოდა გზა ამბოხებული დიდოელების სოფლებისკენ, ხოლო დასავლეთით – ფხოველთა დასახლებებისკენ, დღევანდელი ფშავის არაგვის სათავეებისკენ. ამ ადგილებიდან ლაშარის ჯვრამდე არც ისე დიდი მანძილია – 15-20 კმ. როგორც უკვე ითქვა, ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ძალების მიერ ფხოვი, ფაქტობრივად, ალყაში იყო მოქცეული. ფხოველთა მხრიდან ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც მებრძოლ მხარეებს შორის შეთანხმება შედგა და ასეთ ადგილად სწორედ ლაშარის ჯვრის მიდამოები გვესახება, სადაც მეფე ლაშა-გიორგიმ ფხოველნი ითაყვანა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხურ ტრადიციაში გავრცელებულ გადმოცემას ღელეში, თამარ მეფის სალოცავში, ივანე მხარგრძელის ქვის ტახტ-სავარძლის არსებობის შესახებ, ისევ და ისევ, იმ ადგილებამდე მივყავართ, სადაც ლაშარის ჯვარია. თამარის ხატის საბრძანისი ლაშარის გორის პირდაპირ, მთაზეა აგებული, არაგვის გაღმა, ღელის ქედზე.[102] ფშაველთათვის საერთო ხატ-სალოცავების დღეობა მიყოლებითაა, ივლისის შუა რიცხებში. ს. მაკალათია წერს: „საღამოს ლაშარის გორა დაიცალა და მეხატენი ღამის სათევად არაგვის ჭალაში ჩაბარგდნენ. წინათ ლაშარში საზოგადო წოლა მიღებული ყოფილა და ღამის მთევლები წაწლობდნენ თურმე. ფშაველების თქმით, ლაშარის ჯვარი ქალთან წოლას არ უშლისო, რადგანაც თვითონაც მოქეიფე და ქალების მოყვარული იყო და ფშავში წაწლობაც ლაშამ დააწესაო. მეორე დილას კი მლოცველები აქედან თამარ მეფის ხატისკენ დაიძრნენ".[103]

---

[101] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ. 166.

[102] ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 220.

[103] იქვე.

ლაშარის ჯვრის ადგილას ხატ-სალოცავი, შესაძლებელია, XIII საუკუნემდეც არსებობდა, თუმცა, მისი განსაკუთრებული რელიგიურ-პოლიტიკური ფუნქციით აღჭურვა თამარის მეფობის დასასრულს უნდა მომხდარიყო. მეცნიერთა აზრით, ლაშარის წარმოშობა მთვარის წარმართულ ღვთაებას უკავშირდებოდა, რომელიც წმ. გიორგის კულტს შეერწყა გაქრისტიანების შემდეგ, მოგვიანებით კი მექანიკურად დაუკავშირდა მეფე ლაშა-გიორგის სახელს.[104] მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ლაშარის ჯვარი სალაშქრო სალოცავია თავისი შინაარს-დანიშნულებით და ენობრივი მონაცემებით სიტყვა „ლაშქართან" არის დაკავშირებული.[105]

ამჯერად ჩვენს საკვლევ თემას სცილდება ლაშარის ჯვრის ისტორიის შესწავლა, მით უფრო, რომ ამ კუთხით ეთნოლოგებსა და ფოლკლორისტებს დიდი სამუშაო აქვთ ჩატარებული. არსებული მასალა გვაძლევს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ სახელწოდება „ლაშარის ჯვარი" მართლაც დავუკავშიროთ ლაშა-გიორგის. ყოველ შემთხვევაში, ამ სალოცავის ფშავის მთავარ ხატად გადაქცევას XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიმდინარე მოვლენას ვუკავშირებთ. ჩვენი აზრით, ფხოველთა და დიდოელთა მიმართ სამეფო კარის შეთანხმების ზოგად შტრიხში აღდგენა შესაძლებელია სწორედ იმ ინსტიტუტის გათვალისწინებით, რომელიც მოგვიანებით ფშავ-ხევსურეთში არსებობდა სამეფო ხელისუფლების, ჯვარ-სალოცავებისა და ფშავ-ხევსურეთის ერთობლივი თემების ურთიერთობის სახით. ეს საკითხი საგანგებოდაა შესწავლილი ვ. ბარდაველიძის[106], ზ. კიკნაძის,[107] მ. კანდელაკის[108] და სხვა ავტორთა ნაშრომებში.

ზ. კიკნაძის სრულიად სამართლიანი მითითებით, მთიელი თაყვანს სცემს და ემორჩილება ჯვარს და არ ცნობს ბარიდან ამოსულ ბატონს.[109] ერთადერთი საგვარეულო, რომელთანაც ფშავ-ხევსურნი არიან შეერდრებულ-შეხვეწილნი, ბაგრატიონთა საგვარეულოა, რომლის წარმომადგენლები გუდანის საღვთოს

[104] დ. მჭედლური, ჩარჩოებს ნუ დავივიწროებთ, „ცისკარი", თბ., 1985, №1, გვ. 118-119. ასევე, იხ.: ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.

[105] ქ. ლომთათიძე, კვლავ „ლაშარის ჯვარის" შესახებ, „მნათობი", თბ., 1985, №8, გვ. 145; ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 102-106.

[106] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974; ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი), მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1971, №3.

[107] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, ქუთ., 1996.

[108] მ. კანდელაკი, ლაშარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, ტ. XXIII, თბ., 1987.

[109] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ. 161.

(ხევსურეთი) და ლაშარის ჯვრის „მოძმეები" არიან.[110] მეცნიერი განმარტავს: „ბაგრატიონის მოქმედების კვალს ვხედავთ ფშავ-ხევსურეთის საყმოთა კულტის გენეზისში, სახელდობრ, როცა სამეფო ტახტისაგან განმდგარი ფხოველნი... კვლავ დაიმორჩილა თამარმა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მათი ხელახალი მოქცევა ქრისტეს რჯულზე – მათ მიერ აღიარებული ჯვარის თაყვანისცემაში ჯვარის ჭეშმარიტი რელიგიის აღდგენა. ამ ისტორიულ-პოლიტიკური აქციის გამოძახილი უნდა იყოს ტრადიციული ცნობები თამარის მიერ ხევსურეთის საზოგადოებებში ეკლესიის აგებაზე და... ლაშა-გიორგის ჯვარის არსებობა ფშავის ხევში. ფხოვში წარუშლელ კვალს ტოვებს ბაგრატიონი – მის ერთ ნაწილში (ხევსურეთში) ის კულტის დამფუძნებელია, ხოლო ფშავში თავად არის გადაქცეული სალოცავად, ღვთისშვილად, ჯვარად, რომელიც ჰპატრონობს ფშავის ხევის საყმოებს, როგორც ერთ მთლიან საყმოს".[111] ხდება სამეფო ხელისუფლების საკრალიზაცია, რაც გამოიხატა თემის ღვთაებასთან მეფის „ძმადნაფიცობით" – „თანასწორობით". ალ. ოჩიაურის ჩანაწერში ერეკლე II-ის მაგალითზე საინტერესოდ არის გადმოცემული ხორციელ-უხორცო მოძმეთა ურთიერთობა: „ხევსურებს მეფე ირაკლიც ისე მიაჩნდათ, როგორც ღვთაება და ეძახოდნენ გუდანის ჯვარის მოძმეს. იგიც ამოდიოდა ხევსურეთში, ხევსურთ გუდანის ჯვარში მოუყრიდა თავს და თვითონ ბეღელში შევიდოდა და ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი. ხევსურებს ეგონათ, გუდანის ჯვარს ირაკლი პირადად ელაპარაკებაო, ჩვენ ვერ ვხედავთ გუდანის ჯვარს, რადგან საფარველი აძევსო და როგორც მისი მოძმე... ირაკლი თვალით ხედავს და ერთად ბაასობენო".[112] ბაგრატიონებსა და ფშავ-ხევსურების მთავარ ხატ-სალოცავებს შორის „მოძმეობის" ინსტიტუტი პოლიტიკური თეოლოგიის ნაწილია. ქართველი მეფეები იმთავითვე გამოცხადებულნი იყვნენ თემის უმთავრესი ჯვარ-ხატის „ნათესავებად". მათი „დანათესავება" – „მოძმეობა" ლაშარის თუ გუდანის ჯვართან დაბადებისთანავე ხდებოდა. თავის მხრივ, თემის წევრები ამ სალოცავთა ყმები იყვნენ. ვ. ბარდაველიძის მითითებით, „ძმადნაფიცობა, როგორც ერთგვარი პოლიტიკურ-უფლებრივი ინსტიტუტი, ძველად ქართველ მთიელებში გაგებული იყო, როგორც ძმადნაფიცობა მათი სათემო ღვთაებებისა. ძმადნაფიცობის რეალური აქტი ისევე, როგორც საკავშირო შეთანხმებანი, თემის ღვთაებათა სახელით ედებოდა თემთა წინამძღოლების მიერ, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენდნენ სათემო

[110] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ.173.

[111] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ. 175.

[112] ალ. ოჩიაური, თქმულებები ხევსურულ ღვთაებათა და ღვთისშვილთა შესახებ, 1938 წ., ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი 15. ციტირებულია: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ. 179.

ხატის თუ ჯვარის მთავარ საკულტო მსახურებას. ამ პრაქტიკის ახსნა უნდა მოინახოს იმ შეხედულებაში, რომ ჯვარი თუ ხატი თავის თავში წარმოადგენს ერთობას იმ თემისას, რომლის უმაღლეს მმართველად და მფარველად ითვლება იგი".[113] საკითხის განხილვისას უნდა გამოიყოს ორი პრობლემა: ერთი – მეფისა და ჯვარ-სალოცავთა საკრალური ურთიერთობა და მეორე – ის „პირობები", რომლებიც ბაგრატოვნებსა და ფშავ-ხევსურეთის თემის უზენაეს ხატებს შორის „მოძმეობას" განსაზღვრავდა. საფუძველი ამ ურთიერთობაში იყო კორპორატიული თანადგომა. ხორციელ და უხორცო ბატონებს ერთი საერთო, საზიარო საყმო ჰყავდათ. უნჯი ყმა ვალდებულია მიაშუროს, გაჰყვეს თავის პატრონს პირველსავე დაძახებაზე, მაგრამ ეს ვალდებულება პატრონის ნებით არ არის ნაკარნახევი, ის ბუნებრივად, რაიმე განსჯის გარეშე იბადება საყმოს შეგნებაში, როგორც მისი შინაგანი მოთხოვნილება.[114] შუა საუკუნეებში არსებულ ტრადიციას თუ მივიღებთ, „ვალდებულებითი" ტვირთი ორივე მხარეს ეკისრებოდა. მეფე თავისი „ძმადნაფიცი" სალოცავის ღვთისშვილებს მფარველობას აღუთქვამდა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი მას ერთგულებას და მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ. სრულიად სამართლიანადაა შენიშნული, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება „ძმადნაფიცია" ფშავ-ხევსურეთის ცენტრალური ჯვარ-სალოცავებისა – ლაშარისა და გუდანისა. „ძმადნაფიცი" ქართველი მეფეები კი, ფაქტობრივად, არ არღვევენ საქართველოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში არსებული მთის ავტონომიურ ფუნქციონირებას.[115] მაგრამ ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ მეფესა და თემს შორის ურთიერთობა იდეალური იყო. იმ შემთხვევებში, თუ ბაგრატიონთა გვარის რომელიმე წარმომადგენელს შეექმნებოდა პრობლემა ფშავ-ხევსურებთან, მათ ახსენებდა იმ პირობას, რომლითაც განსაზღვრული იყო ლაშარის ჯვრისა და ბაგრატიონთა „ძმადნაფიცობა" – „ნათესაობა". მართალია, შუა საუკუნეების მასალა არ გაგვაჩნია საილუსტრაციოდ, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისის ორი დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის პრობლემის არსზე.

პირველი წერილი ეკუთვნის დავით ბატონიშვილს: „ქ. დიდის იმპერატორის ნებით ჩვენ, ს˜დ საქართველოს მემკვიდრე დავით გიბრძანებთ ჩვენო

---

[113] ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი), გვ. 68.

[114] ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ტ. I, ჯვარი და საყმო, გვ. 179-180.

[115] მ. კანდელაკი, ლაშარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIII, თბ., 1987, გვ. 189. ვრცლად ამ საკითხზე იხ.: ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში; გ. მელქაშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, თბ., 1979, №1.

უნჯნო ყმანო ფშავის ხევის. (?) ხევისბერებო. მერე: რატომ არ ჩამოხვედით აქამდინა და არა გვნახეთ. ახლავ ჩამოდით აქ, თქვენთან საქმე გვაქვს. თუ არ ჩამოხვალთ, მაშინ შევიტყობთ, რომ ჩვენი ბატონ-ყმობა არ გნდომებიათ და მერე ჩვენს ძალასაცა სცნობთ. თებერვლის კ. ქკს უ".[116] მეორე წერილის ავტორია ალექსანდრე ბატონიშვილი და ამჯერადაც ადრესატები ფშაველი ხევისბერები არიან: „ქ. მეფის ძე ალექსანდრე ძმური საყვარულით მოგიკითხავთ ერთობით ფშავის ხევის ბერებო, უფროს უფროსნო და ფშავლებო. მერმეთ: თქვენი ყოველიფერი საქმე კარგად გაშინჯული გვაქვს და შადილს (შატილს) ყოფაშიაც კარგად გვმსახურეთ. ვინც კარგად იმსახურენით, ჩვენგან წყალობა დაგემართებათ და ვინც ურჩნად მოიქცა, ჩვენის მოძმეებისათვის გვიპატივებია და ახლა რიგიანად მოიქეცნით... გეყოფათ. ღთ¯ით ამ არს დღეზე ჩვენ და რუსებს დიდი ომი მოგვიხდება; ახლავ და ახლავ მდევრულად საჩქაროდ უნდა აქ ჩვენთან შილდას მოხვიდეთ და ვინც წინ სოფლები დაგხვდეთ, თან გამოიყოლეთ და თუ ურჩობასა და მიზეზს იტყვით რასმე, გაზაფხულივით, მაშინ ოთხი ხუთი ათასი კაცი არც თქვენთვის გვეშურება და ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ იცით. ახლავ და ახლავ მდევრულად გამოსწიეთ, დღეს რომ ორშაბათი არის, სწორამდის მოგელით და ახლა თქვენ როგორც გიჯობდეთ, ისე საჩქაროდ მოაშურეთ შილდას. აგვისტოს კვ. ქ¯კს ფა. ალექსანდრე".[117]

ამდენად, როგორც ვხედავთ, პირობის დარღვევისას ბაგრატიონები „უვალონი" იქნებოდნენ და ყოველგვარი ვალდებულებისგან თავისუფლდებოდნენ. მართალია, ამ წერილებში შედარებით გვიანდელი რეალობაა ასახული, მაგრამ შინაარსობრივად ეს ცნობა სამეფო კარისა და ფშავ-ხევსურთა შორის დადებული „შეთანხმების" ასახვას უნდა წარმოადგენდეს.

არ გამოვრიცხავთ, რომ ქართველ მეფეებს (ადრე შუა საუკუნეებში ქართლის მეფეებს, შედარებით მოგვიანებით, კახეთის და კახეთ-ჰერეთის მეფეებს) და ფხოველებს შორის მანამდეც არსებულიყო რაღაც ფორმით „შეთანხმება", მაგრამ თამარისა და ლაშა-გიორგის დროს გაფორმდა წმ. გიორგის სალოცავში ლაშა-გიორგისა და ხევისბერებს შორის ახალი „ძმადნაფიცობა". ამის ნიშნად, მეფემ დიდი შესაწირი მიართვა ხატს. ალბათ აქედან მოდის წმ. გიორგის ხატის დაკავშირება ლაშა-გიორგისთან და ის ტრადიცია, რომლის მიხედვით, ამ სალოცავის წარმოშობა ლაშას სახელს

[116] ვ. ბარდაველიძე, დავით ბატონიშვილის ბარათი ხევისბრისადმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, გვ. 48.

[117] ვ. ბარდაველიძე, წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა ფშაველ ხევისბერებისადმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, გვ. 50-51.

უკავშირდება.[118] ეს რეალობა უნდა დასდებოდა საფუძვლად ლაშარის ჯვრის პოლიტიკურ ფუნქციას, როგორც ფშავის თემების გამაერთიანებელი სალოცავისას. ალბათ ძნელია იმის უარყოფა, რომ ლაშარის ჯვრის სახელი თამარ მეფის ძეს, ლაშა-გიორგის უკავშირდება. ამას ხაზს უსვამს საისტორიო წყაროები და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სამეფო კარზე და ხალხში არსებული ტრადიცია. ლაშარის ჯვარში შემონახულ ზარზე ასეთი წარწერა იყო დაცული: „ქ: შეწევნითა: ღთ: შენითა: მე: სახლთუხუცესმა ბებერი: შვილის: პაუას: შემომიწირავს: ზარი: ესე: ფშავს: ლაშა: გიორგისათვის".[119] მეორე ზარზე შემდეგი შინაარსის ტექსტს ვკითხულობთ: „ქ: ესე: ზარი: შემოგწირე: მე: ერისთავმა: რევაზ: შენ წმინდას გიორგის ლაშარეს".[120] ლაშარის ჯვარს ასეთი ფორმით მოიხსენიებს თავის სიგელში შანშე ერისთავი: „დიდსა ლაშარის ჯვარსა გიორგისა".[121] ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი და უწოდებენ ლაშას-ჯვარს".[122] იოანე ბატონიშვილი ერცლად საუბრობს ლაშა-გიორგის ფშავში მოღვაწეობასა და წმ. გიორგის დიდი ჯვრის აღმართვაზე: „ხოლო ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარად". მეფის შეწირულობის გამო გუდანისა და ლაშარის სალოცავები „ბაგრატიონთა მოძმის ჯუარად" იხსენიება.[123] ს. მაკალათიას აზრით, „როდესაც „ფხოვი (ფშავი) დიდოსთან ერთად აჯანყდა და თამარი იძულებული იყო მათ დასამორჩილებლად ივანე მხარგრძელი გაეგზავნა... (მან) ეს კუთხე დაიპყრო და ხმელგორზე თამარის

---

[118] გ. აბდალაძე შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხზე: „XIII ს-ის დასაწყისში, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის გავლენით ფშავში წამყვანი გახდა ლაშარის წმინდა გიორგი და ღელის თამარის ხატი, რომელმაც დაიკავა წარმართული ნაყოფიერების კერპის ადგილი" (გ. აბდალაძე, გიორგი IV ლაშა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 2011, გვ. 128).

[119] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, გვ. 36.

[120] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, გვ. 37.

[121] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, გვ. 41.

[122] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 533.

[123] ქ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1965, გვ. 299.

ნაბოძები ლაშას სახელობის ჯვარი დაასვენა და ამ სალოცავსაც ლაშარის ჯვარი ეწოდა".[124] ხალხურ ყოფაში გავრცელებული ლეგენდებიც ლაშარის ჯვრის აღმართვას მეფე გიორგი IV-ის სახელს უკავშირებს. ვაჟა-ფშაველა წერს: ლაშარის ჯვრის „ადგილას წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდის გიორგისა სახელზედ, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შენირული და შემწირველი გაუერთიანებია და კიდეც გაულმერთებია".[125] როგორც ვხედავთ, ზეპირსიტყვიერებაში დომინირებს აზრი ლაშა-გიორგის ფშავში ყოფნასთან დაკავშირებით. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით კი, ის ხატი, სადაც ეს შეთანხმება შედგა, ლაშარის ჯვრად იქცა, ალბათ მეფის მიერ შენირული ჯვრისა თუ ხატის გამო. ამასთანავე, სამეფო კარი ყმა-მამულებსაც ბევრს შესწირავდა ლაშარის ჯვარს, რაც არა მარტო სალოცავის, არამედ ნაწილობრივ „ხატის ყმების" მატერიალურ უზრუნველყოფასაც ემსახურებოდა.[126]

როდის შეიძლება „გაღმერთებულიყო" ლაშა-გიორგის სახელი ფშავ-ხევსურეთში (ფხოვში)?

თავშიც აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს პროცესი ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ითქვა, მთიელთა ამბოხი თამარის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. მართალია, აგვისტოში ივანე მხარგრძელმა თამარ მეფეს ფხოველთა და დიდოელთა დამორჩილების შესახებ მოახსენა, მაგრამ, ბუნებრივია, ზოგადად, ეს პროცესი ასე მოკლე დროში არ მორჩებოდა. შემოდგომიდან მთიელთა პრობლემის საბოლოო მოგვარებისთვის არავის ეცლებოდა, რამეთუ მეფეს „გამოაჩნდა სასიკვდილო

---

[124] ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 216.

[125] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბ.,1937, გვ. 143. ხალხური გადმოცემების შესახებ იხ., ასევე: ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, გვ. 211-220; გ. აბდალაძე, გიორგი IV ლაშა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, გვ. 120-134 (აქვე იხ. საკითხის ბიბლიოგრაფია). გ. აბდალაძეს გამოქვეყნებული აქვს 1975 წელს დუშეთის რაიონის სოფ. მლაშეში ჩანერილი ლეგენდა ლაშა-გიორგიზე (ინახება თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივში, ფ. 21088).

[126] გვიან შუა საუკუნეებშიც კახეთის მეფეები არაერთ მამულს სწირავდნენ ლაშარის ჯვარს ბარში (იხ.: ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები, გვ. 36-51). ვახუშტი ბატონიშვილს ლევან კახთა მეფის მოღვაწეობის აღწერისას აღნიშნული აქვს: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ჴევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შენირულობა ლაშას ჯვარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდენ ლაშკარსა და ბეგარასა" (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 573).

სენი". იანვარში თამარი მიიცვალა და ლაშა-გიორგი გამეფდა. ამდენად, მთელი პროცესი – სამეფო კარსა და მთიელთა შორის მოლაპარაკების დაწყება, კრიზისის საბოლოო მოგვარება – ლაშა-გიორგის სახელს უკავშირდება. აქედან უნდა მოდიოდეს განსაკუთრებული პატივისცემა ამ მეფის მიმართ. წმინდა გიორგის ხატში შეთანხმებაც ლაშას უნდა დაედო. ის, როგორც ხატის „ძმადნაფიცი", თემის ხორციელ მფლობელად ცხადდებოდა ისევე, როგორც ლაშარის წმ. გიორგი თემის უხორცო მფარველ-მფლობელი იყო. ჩვენი აზრით, ლაშა-გიორგის უნდა ეკუთვნოდეს ხმლით დამორჩილებული მთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების ინიციატივა. სწორედ ამან წარმოშვა მისი, როგორც მფარველი ხელმწიფის კულტი, რომელმაც მალე რელიგიური საფარველი შეიძინა.

ბიჯნისის შეხვედრა (მიკროისტორიული კვლევის ერთი ნიმუში)

მოკლედ მიკროისტორიული ანალიზის შესახებ

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება ახალი მიმართულება – მიკროისტორიული ანალიზი[1]. ეს არ იყო ახალი სამეცნიერო სკოლის ფორმირება, მას შედარებით მოკრძალებული, თუმცაღა, მრავლისმომცველი მიზანი ჰქონდა. გლობალური ისტორიების ფონზე უნდა შექმნილიყო ლოკალური ისტორიები, რომლებშიც მაქსიმალურად მოხდებოდა შესასწავლი ობიექტების დეტალიზაცია და ინდივიდუალიზაცია. ეს იყო ისტორიული ანთროპოლოგიის ახალ ეტაპზე გადასვლა, რაც იტალიურ ისტორიოგრაფიაში – მიკროისტორიის ჩასახვით, გერმანულ საისტორიო სკოლაში – ყოველდღიურობის ისტორიის კვლევის არეალის გაზრდით, ამერიკაში – „ახალი კულტურის ისტორიის" ფორმირებით გამოიხატა.[2]

შესაძლოა, ტერმინი „მიკროისტორია" თავის დროზე მიკროეკონომიკის, მიკროსოციოლოგიის მიბაძვით წარმოიშვა, მაგრამ თანდათან ისტორიული მეცნიერების ამ მიმართულებამ საკმაოდ დიდი გასაქანი პოვა.

„მიკროისტორია", როგორც ტერმინი, გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე მას 70-იან წლებში იტალიელი ისტორიკოსები გამოიყენებდნენ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგი სხვადასხვა შინაარსით გამოიყენებოდა. ამ თემისადმი მიძღვნილ საინტერესო სტატიაში კარლოს გინზბურგმა ტერმინი „მიკროის-

---

[1] კ. გინზბურგი იგონებს, რომ პირველად სიტყვა „მიკროისტორია" ჯ. ლევისაგან გაიგო დაახლოებით 1977-1978 წლებში. მეცნიერი მიუთითებს, რომ ჯ. ლევი ემყარებოდა „დაკვირვების მასშტაბების შემცირების იდეას, რომელსაც გამოხატავდა თავსართ „მიკროს" არსებობით (К. Гинзбург, Микроистория: Две-три вещи, которые я о ней знаю / К. Гинзбург, Мифы – эмблемы – приметы, М., 2004, გვ. 287; К. Гинзбург, Микроистория: две-три вещи, которые я о ней знаю, Современные методы преподавания новейшей истории, М., 1996, გვ. 207; C. Ginzburg, Miti, emblemi, spie: morfologia e storia. Turin: G. Einaudi, 1986. ინგლისური თარგმანი: C. Ginzburg, Clues, Myths, and the Historical Method. Baltimore, Johns Hopkins University Press, 1989).

[2] М. М. Кром, Историческая антропология: Пособие к лекционному курсу, С.-П., 2004, გვ. 73.

ტორიის“ მოკლე ისტორია მოგვცა: პირველად იგი ისტორიული კვლევის გარკვეული ფორმის აღსანიშნავად ამერიკელმა ჯორჯ რ. სტიუარტმა გამოიყენა 1959 წელს. მის ნაშრომს ერქვა „პიკეტის შეტევა: გეტისბერგის უკანასკნელი შეტევის მიკროისტორია, 3 ივლისი, 1863 წ.“. ამ გამოკვლევაში თითქმის 300 გვერდი ეთმობა ამერიკის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლის შესწავლას.[3]

ათიოდე წლის შემდეგ ეს ტერმინი გამოიყენა მექსიკელმა ისტორიკოსმა ლუის გონსალეს-ი-გონსალესმა. მას „მიკროისტორია“ გამოყენებული აქვს „ადგილობრივი, ლოკალური ისტორიის“ მნიშვნელობით. გონსალესი სწავლობს ერთი სოფლის ისტორიას, თუმცა მოგვიანებით, მან ეს ტერმინი წიგნის სათაურადაც კი გამოიტანა.[4]

„მიკროისტორია“ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენია 1958 წელს ფ. ბროდელმა. მისთვის ეს იყო სინონიმი „მოვლენების ისტორიისა (“Histoire evenementielle”), მაშინ, როცა თავად ხანგრძლივი დროის, ანუ მრავალსაუკუნოვანი სტრუქტურებისა და სისტემების კვლევას ანიჭებდა უპირატესობას.[5]

---

[3] 1861 წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდა. სამხრეთის 11 შტატმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა ახალი სახელმწიფო – ამერიკის კონფედერაციული შტატები. დაიწყო ფედერაციასა და კონფედერაციას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ხანგრძლივი ომი. 1863 წლის 1-3 ივლისს მიმდინარე გეტისბერგის ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა კონფედერაციის ჯარებისათვის. მალე ჩრდილოეთის არმიამ სამხრეთელები საბოლოოდ დაამარცხა. სწორედ გეტისბერგის ბრძოლას ეძღვნებოდა სტიუარტის 300-გვერდიანი წიგნი. მასში წვრილმანების დონეზეა აღწერილი მთელი სამხედრო მოქმედებები და განსაკუთრებით სამხრეთელთა გადამწყვეტი კონტრშეტევა – ე. წ. „გენერალი პიკეტის შეტევა“. ეს გენერალი ბრძოლის ველზე 2 ივლისს გამოჩნდა, 3 ივლისს კი შეეცადა სტრატეგიული სიმაღლის დაკავებას, მაგრამ უშედეგოდ, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია ბრძოლის და საერთოდ, სამოქალაქო ომის მსვლელობაზე. გეტისბერგის ბრძოლის ეს მონაკვეთი ისტორიკოსს წუთების სიზუსტით აქვს აღდგენილი. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს თავად იმყოფება შეტაკების ეპიცენტრში. სტიუარტი ეძებს „გადამწყვეტი მოვლენის კულმინაციურ მომენტს“. მისთვის სწორედ ეს არის მიკროისტორია (К. Гинзбург, Микроистория: Две-три вещи, которые я о ней знаю, გვ. 288).

L. González y González, Pueblo en vilo. Microhistoria de San José de Gracia, Mexico, 1968; К. Гинзбург, Микроистория: Две-три вещи, которые я о ней знаю, გვ. 289.

[5] F. Braudel, Écrits sur l'histoire. Paris, Éditions Flammarion, 1985, გვ. 46-48; იხ. ასევე: F. Braudel, Histoire et sociologie, In: Traité de sociologie, publié sous la direction de Georges Gurvitch, PUF, 1958.

* * *

XX საუკუნის I ნახევარში „ახალი ისტორიული მეცნიერების" (ფრანგი ისტორიკოსები ამ მიმართულებას უწოდებენ "Nouvelle histoire"-ს) ფორმირებამ ბიძგი მისცა მოდერნისტული ისტორიოგრაფიის შექმნას. ფრანგული „ანალების" სკოლა ამ მიმართულებით აშკარად ლიდერობდა, თუმცა, სხვა ქვეყნების ისტორიოგრაფიაშიც ახალი ეტაპი თვალნათლივ შეიმჩნეოდა. XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან „ისტორიკოსის ტერიტორია" კიდევ უფრო გაფართოვდა. შემოვიდა ახალი მიმართულებები, თემები. რეალურად ეს იყო მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადასვლა. ეს ცვლილება ფ. ბროდელმა შემდეგნაირად ახსნა: მან ლ. ფევრი და მ. ბლოკი, ასევე, მისი თაობის ისტორიკოსები „ახალი ისტორიის" მიმდევრებს მიაკუთვნა, ხოლო შემდეგი თაობა, შედარებით ახალგაზრდა ისტორიკოსები, „ახალი „ახალი" ისტორიის" ფუძემდებლად გამოაცხადა.[6] სწორედ მათ მიიჩნევენ პოსტმოდერნისტ ისტორიკოსებად, რომელთა წიაღშიც ჩაისახა კიდეც ახალი კვლევის მიმართულება – მიკროისტორია.

მიკროისტორიის კვლევის მიმდევრები თავიდან გაერთიანდნენ ჟურნალ "Quademi Storici"-ის გარშემო, მოგვიანებით კი, 1980 წელს, დაარსდა სერია "Microstoria", რომლის შემქმნელები იყვნენ კ. გინზბურგი, ს. ჩერუტი და ჯ. ლევი.[7] ძირითად ყურადღებას მიკროისტორიის მიმდევრები ამახვილებდნენ სოციალურ სფეროზე, განსაკუთრებით, ლოკალურ სოციალურ ჯგუფებზე და მათ შიგნით მიმდინარე პროცესებზე. ეს იყო მცდელობა, „მიკროსკოპის ქვეშ" დაენახათ ისტორიული მოვლენები. მიკროისტორიის ანალიზისას ამოსავალია კვლევის მასშტაბების შეცვლა. ისტორიკოსები ერთ კონკრეტულ მოვლენას იღებენ განსჯის საგნად და მისგან ახდენენ განზოგადებას. ჟაკ რეველის სიტყვით, მიკროისტორიული ანალიზი დაახლოებით ჰგავს კარტოგრაფიას, რომელშიც შეიძლება შეიცვალოს მასშტაბები. ერთსა და იმავე გეოგრაფიული გარემოს სხვადასხვა მასშტაბში ჩვენებით, მართალია, არ იცვლება არეალი,

---

[6] И. Олабарри, «Новая» новая история: структуры большой длительности, Пер. О. В. Гавришиной, Культура и общество в Средние века – раннее Новое время. Методология и методики современных зарубежных и отечественных исследований, М., 1998, გვ. 99-136; И. Олабарри, «Новая» новая история: структура большой длительности, Ойкумена. Альманах сравнительных исследований политических институтов, социально-экономических систем и цивилизаций, вып. 2, Харьков, Константа, 2004; რ. ლაბაძე, ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში (ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი), თბ., 2006, გვ. 6.

К. Гинзбург, Микроистория: Две-три вещи, которые я о ней знаю, გვ. 287; Ж. Ревель, Микроанализ и конструирование социального, Современные методы преподавания новейшей истории, М., 1996, გვ. 236-261; Ж. Ревель, Микроанализ и конструирование социального, Одиссей. Человек в истории, М., 1996, გვ. 110-127.

მაგრამ იცვლება ინფორმაცია, საანალიზო მასალა გაცილებით მრავალფეროვანი ხდება.[8]

მიკროისტორიული კვლევა უნდა დაედოს საფუძვლად გლობალური ისტორიების შექმნას, რამეთუ თითოეული მოვლენა დაწვრილებით თუ არ იქნება შესწავლილი, ვერ მოხდება მათი მასშტაბების გააზრება და, შესაბამისად, შეცდომით აღიქმება მთელი ისტორიული პროცესიც. მიკროისტორია ადამიანების ისტორიაა. მასში ყველაზე უკეთ ჩანს ისტორიის შემოქმედი მთელი თავისი სირთულით. ამიტომაცაა, რომ მას ისტორიული ანთროპოლოგიის ოჯახში მოიაზრებენ და მიაჩნიათ, რომ მიკროდონეზე კვლევა უფრო დიდ პერსპექტივას უჩენს ისტორიულ მეცნიერებას.

ისტორიკოსის სურვილი, გლობალური თემებიდან ყურადღება გადაიტანოს მიკროდონეზე არსებულ პრობლემებზე, გვაგონებს იმ გზას, რომელიც განვლეს ქიმიკოსებმა და ფიზიკოსებმა ორგანული ნივთიერების შესწავლისას. ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ მატერიის უმცირესი ნაწილი ატომი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნემდე ვერ მოხერხდა ამ იდეის ექსპერიმენტული დადასტურება. შემდეგი საუკუნეები მეცნიერებმა მოანდომეს ატომბირთვების და მათი ქიმიური ბმების შესწავლას. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ატომის მიკროსკოპულ დონეზე შესწავლისას აღმოაჩინეს მისი უმცირესი ელემენტები.

ისტორიკოსებმაც იგივე გზა განვლეს. საუკუნეების განმავლობაში ისინი ცდილობენ კვლევის არეალის გაზრდას. XX საუკუნის მოდერნისტული ისტორიოგრაფია ამას ემსახურებოდა. პოსტმოდერნისტული ისტორიოგრაფია, ატომის უმცირესი ნაწილაკების შესწავლის დარად, საზოგადოებრივი ისტორიის კვლევისას საკმაოდ ღრმად, მიკროდონეზე ჩავიდა.[9] როგორც ელექტრონი გვიქმნის წარმოდგენას ატომზე და საშუალება გვაქვს, მთლიანობაში გავიგოთ ნივთიერების ბუნება, იგივე ხდება ისტორიული მეცნიერების შემთხვევაშიც. მიკროდონეზე განხორციელებული კვლევა უნდა ემსახურებოდეს ისტორიის „გლობალური თემების" სრულფასოვნად გააზრებას. მიკრო- და მაკროდონეზე კვლევამ, საბოლოო ჯამში, ერთმანეთი უნდა შეავსოს. 1990 წელს მიკროისტორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჯოვანი ლევი აღნიშნავდა: „მიკროისტორია ნიშნავს არა წვრილმანების თვალიერებას, არამედ წვრილმანებზე დაკვირვე-

---

[8] Ж. Ревель, Микроанализ и конструирование социального, Одиссей. Человек в истории, გვ. 112-113.

[9] XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ იხ. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006, გვ. 6-28.

ბას".[10] სწორედ ეს არის ის ღერძი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ისტორიული კვლევები.

მაგრამ სად შეიძლება გაივლოს გამყოფი ხაზი მიკრო- და მაკროისტორიებს შორის? მიკროისტორიის კვლევის ობიექტი კონკრეტული, ერთეული მოვლენებია, რომელთა ერთობლიობა ქმნის მაკროდონეს. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ მიდგომას მოხდენილად „მასშტაბებით თამაში" უწოდეს.[11] საკვლევი თემის რაც შეიძლება სიღრმეში უნდა ჩავიდეთ. მიკროისტორია წარმოადგენს საპირწონეს ისტორიულ მეცნიერებაში XX საუკუნის შუა ხანებში გაბატონებული მიმდინარეობისა, რომლის მიხედვით, ისტორიოგრაფია უნდა იკვლევდეს დიდ ისტორიულ კატეგორიებს. მაგრამ ისტორიკოსი უნდა ხედავდეს არა მარტო გლობალურ პროცესებს, არამედ მოვალეა, გააცოცხლოს ისტორიის შავ-თეთრი სურათები, აალაპარაკოს მოქმედი გმირები, აჩვენოს მათი პრობლემები, ყოველდღიურობა, სიხარული თუ ტკივილი.

„მიკროისტორია" საკმაოდ ფართო ცნებაა, ამიტომ ძნელია განვსაზღვროთ მისი ჩარჩოები. ერთმანეთს უნდა შევუპირისპიროთ ორი ტერმინი – „მიკროისტორია" და „მიკროანალიზი". შესასწავლ ობიექტად უნდა ვაქციოთ ყველაფერი, რაც ამ ტერმინებში შეიძლება მოიაზრებოდეს.

მიკროისტორია გულისხმობს ერთი კონკრეტული სოფლის, ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის (მაგალითად, საქალაქო თუ სასოფლო თემების, ოფიციალური თუ არაოფიციალური ჯგუფების და ა. შ.), ინდივიდის, მოვლენის სიღრმისეულ შესწავლას. სწორედ ეს მიკროელემენტები ქმნის საზოგადოებას და ისტორიას. ამ კუთხით კვლევა გაცილებით მდიდარს ხდის ისტორიულ მეცნიერებას. ეს არის გამოძახილი იმ სურვილისა, რომელიც XVIII საუკუნეში ჰქონდა ვოლტერს, როდესაც ამბობდა: „ყველგან ვხედავ მხოლოდ მეფეების ისტორიას, მე კი მსურს, დავწერო ხალხის ისტორია". ლოკალურ ისტორიაში ფართოდაა წარმოდგენილი საზოგადოება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის „ახალი სოციალური ისტორია".

ამასთანავე, მიკროისტორია სწავლობს ერთ კონკრეტულ მოვლენასაც, რომელმაც ქვაკუთხედის როლი შეასრულა ისტორიული პროცესის განვითარებაში. ჯოვანი ლევის მითითებით, „პრობლემის მიკროდონეზე შესწავლა სრულებით არ ამცრობს მოვლენის მასშტაბებს. მიკროანალიზი საშუალებას

[10] ჯ. ლევის ეს სიტყვები დამონმებული აქვს ხ. მედიკს: X. Медик, Микроистория, Thesis, Теория и история экономических и социальных институтов и систем, т. II, 4, 1994, გვ. 193. Черутти Симона, Микроистория: социальные отношения против культурных моделей?, გვ. 23 (http://orbis-medievalisru.47.com1.ru/library/cerutti.pdf). „მასშტაბებით თამაში" – ამ სახელწოდების კრებული გამოვიდა 1996 წელს (იხ.: Jeux d'échelles, La micro-analyse à l'expérience, Textes rassemblés et présentés par J. Revel, Paris, 1996).

იძლევა, დავინახოთ მოვლენების განვითარების მთელი პროცესი მისი გარდამტეხი მომენტებით, ანუ ისტორიის „გარკვეული წერტილი რეალურ ცხოვრებაში“.[12]

ფაქტის მიკროანალიზისას წარმოებს მისი საფუძვლიანი, ყოვლისმომცველი შესწავლა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩვენებით. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ მიდგომით გვსურს შევისწავლოთ ერთი შეხვედრის ისტორია, რომელიც ცნობილია ბიჯნისის შეხვედრის სახელით. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი XIII საუკუნეში დატრიალებული ტრაგედიის საყრდენი წერტილია.

განადგურდა თუ არა საქართველოს სამხედრო პოტენციალი გარნისის ბრძოლაში?

საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“ დასასრულად ისტორიკოსები სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ხორეზმელთა ბატონობის იმ ხუთწლიან პერიოდს, როდესაც მტერმა მოახერხა ქვეყნის დედაქალაქისა და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონების ხელში ჩაგდება. ხორეზმელებს მონღოლები მოჰყვნენ და XIII საუკუნე ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქად იქცა, რომელსაც ქართული პროზის დიდოსტატმა გრიგოლ აბაშიძემ მოსწრებულად „დიდი ღამის უკუნი სიბნელე“ უწოდა.[13] ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ეპოქა გამოცხადებულია „ტეხილად“, რომელმაც XIV-XV საუკუნეების „ჩიხისკენ“ გახსნა გზა.[14]

მონღოლთა მიერ ხორეზმის დაპყრობის შემდეგ ხორეზმშაჰი მუჰამედი მალე გარდაიცვალა. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას სათავეში ჯალალ ედ-დინი ჩაუდგა. 1221 წელს ქაბულის მახლობლად, ფერვანის რეგიონში, ჯალალ ედ-დინმა დაამარცხა მონღოლები და საგრძნობ წარმატებას მიაღწია (ჯალალ ედ-დინი ფერვანაში შეებრძოლა მონღოლთა არმიის ერთ ნაწილს. ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. პირველი დღის შემდეგ მონღოლი სარდალი შეეცადა ხორეზმელთა მოტყუებას. მან საგანგებოდ დამზადებული ფიტულები გამოიყენა, ვითომდა, დამხმარე ჯარი მოვიდაო, მაგრამ ამ ხერხმაც არ უშველა და სასტიკად დამარცხდა), მაგრამ ჩინგიზ ხანმა ახალი სამხედრო ექსპედი-

---

[12] Дж. Леви, К вопросу о микроистории, Современные методы преподавания новейшей истории. М., 1996, გვ. 167-169; G. Levi, On Microhistory. New Perspectives on Historical Writing, Oxford, 1991, გვ. 93-113.

[13] გრ. აბაშიძე, თხზულებები სამ ტომად, ტ. II, თბ., 1984, გვ. 858.

[14] დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004, გვ. 7.

ცია გაგზავნა მის წინააღმდეგ. მონღოლებმა 1221 წლის 24 ნოემბერს მდ. ინდის ნაპირთან სასტიკად დაამარცხეს ხორეზმშაჰი, რომელმაც მცირე რაზმთან ერთად მდ. ინდის გადაცურვა მოახერხა და ინდოეთში გაიქცა. მიუხედავად წარუმატებლობისა, ხორეზმშაჰი წინააღმდეგობას არ წყვეტდა. ინდოეთიდან მან მოახერხა ირანსა და ერაყში გაბატონება. ანტიმონღოლურ კოალიციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული გაერთიანდა. ჩინგიზ ხანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ჯალალ ედ-დინმა საქართველოს სამეფოს დამორჩილება დაისახა მიზნად. იმ შემთხვევაში, თუ ხორეზმშაჰი მოახერხებდა საქართველოს დაჩოქებას, კავკასიის მუსლიმური სამყარო უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა ანტიმონღოლურ მოძრაობაში. ჩრდილოეთ ირანიდან ჯალალ ედ-დინმა საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიების დარბევა დაიწყო. ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი არ დაუშვებდა ასეთ მარბიელ ლაშქრობებს და პასუხმაც არ დააყოვნა. საქართველოს სამეფო დარბაზმა მტრის წინააღმდეგ დიდი სამხედრო კამპანიის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. 1225 წლის აგვისტოში ადარბადაგანიდან წამოსული ჯალალ ედ-დინის დიდი ლაშქარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა და დვინის მიდამოებში დაბანაკდა. სამეფო კარმა მთავარსარდლად ივანე ათაბაგი განაწესა. რუსუდანმა მას უბოძა „დროშა სვიანი“.

გარნისის ბრძოლამდე პროცესები ასე ვითარდებოდა: დვინის მიდამოების დარბევა ჯალალ ედ-დინმა 1225 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო. მტერი ამ საქმით იყო დაკავებული, როდესაც გარნისში ქართველები მივიდნენ. ჯალალ ედ-დინმა მთელი ლაშქრის მობილიზაცია მოახდინა და გარნისში დაბანაკებული ივანე ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა.

გარნისის ბრძოლის მსვლელობასა და მასშტაბებზე ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილი ამ მოვლენას საკმაოდ მოკლედ აღწერს: „ჯალალედინმა სამართლიანად უფრო ხელსაყრელად ცნო, დაუყოვნებლივ ბრძოლა დაეწყო და მოწინააღმდეგეზე უმალ იერიში მიეტანა. მისი ანგარიში მთლიანად გამართლდა: სასტიკსა და უაღრესად სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჯალალედინმა გაიმარჯვა“.[15] დ. გვრიტიშვილი უფრო ვრცლად საუბრობს გარნისის ბრძოლაზე და ჟამთააღმწერლის კრიტიკულ ანალიზსაც იძლევა. „ჟამთააღმწერელს, – დასძენს ისტორიკოსი, – გარნისის ომის აღწერის დროს მხოლოდ მეწინავე ნაწილის ბრძოლები აქვს აღწერილი და ძირითადი ბირთვი თითქოს არც ღებულობდა მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ეს არ არის მართალი. ეს ცნობა

[15] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 11.

მხოლოდ იმდენად უნდა მივიღოთ სარწმუნოდ, რამდენადაც მტრის პირველი დარტყმა მეწინავე ნაწილს უნდა მიეღო".[16]

რ. კიკნაძე გარნისში ქართველთა დამარცხების მიზეზად ასახელებს ხორეზმელთა მოულოდნელ თავდასხმას და ივანე ათაბაგის მერყეობასა და ორჭოფულ მოქმედებას, რასაც სარდლის ხანდაზმულობით ხსნის.[17] ნოდარ ასათიანიც ბრძოლაში ჩართულად მიიჩნევს ქართული ჯარის ძირითად ნაწილს (ცენტრს და მარჯვენა ფრთას).[18] სომეხი ისტორიკოსი ლ. ბაბაიანი ასეთ დახასიათებას აძლევს ამ შეტაკებას: „ბრძოლას გააფთრებული ხასიათი ჰქონდა, მხარეები საკმაოდ შეუპოვრად იბრძოდნენ".[19] აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ზ. ბუნიატოვი კი აღნიშნავს: „მაშინ ჯალალ ად დინი თავად გაუძღვა ლაშქარს ქართველების წინააღმდეგ, სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ქართველები, რის შემდეგ ისინი წელში ვეღარ გაიმართნენ".[20]

მსგავსი ციტატები სხვა ისტორიკოსთა ნაშრომებიდანაც შეიძლება მოვიხმოთ. ფაქტია, ყველა ისტორიკოსი ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ გარნისის ბრძოლისას სასტიკი შეტაკება გაიმართა ქართველებსა და ხორეზმელებს შორის, მაგრამ, მთლიანობაში, არის ორი დეტალი, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს იწვევს: 1. ქართველთა მხრიდან რა ძალები დაუპირისპირდა ჯალალ ედ-დინს; 2. შეიძლება კი, გარნისის ბრძოლა მივიჩნიოთ ისეთი მასშტაბის შეტაკებად, რომელში დამარცხების შემდეგაც ქართველები „წელში ვეღარ გაიმართნენ"?

თვალი გავადევნოთ წერილობითი წყაროების მონაცემებს.

ჟამთააღმწერელმა იცის, რომ ქართველთა ძირითადი ნაწილი ბრძოლაში არ ჩაბმულა. ხორეზმელებს გააფთრებულ წინააღმდეგობას მხოლოდ წინამავალი უწევდა შალვა და ივანე ახალციხელების სარდლობით. მემატიანე აღნიშნავს: „ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა".[21] ვახუშტი ბატონიშვილიც

---

[16] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1962, გვ. 164.

[17] რ. კიკნაძე, ხორეზმელები საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 540.

[18] ნ. ასათიანი, რუსუდანის გამეფება და ჯალალ ედ-დინის შემოსევები, საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 2008, გვ. 31.

[19] Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV веках, М., 1969, გვ. 95.

[20] З. Буниятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы), Баку, 1978, გვ. 125.

[21] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 170.

საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ათაბაგი სპითა უვნოდ წარმოვიდა“.[22] უცხოელი ავტორებიდან ამ დეტალზე ყურადღებას ამახვილებენ სტეფანოზ ორბელიანი, კირაკოს განძაკელი, სტეფანოზ ეპისკოპოსი და ნაწილობრივ, შიჰაბ ად-დინ მუჰამმად ან-ნასავიც.

სტეფანოს ორბელიანი მოგვითხრობს ერთ უცნაურ დეტალზე: „ათაბაგმან... დაადგინა ორნი მაუწყებელნი – შალვა და გრიგოლ (?). უკეთუ ოდეს იხილონ მცირენი ძალნი ხორასნელთა, მაშინ უჴმონ ძალთა ჩუენთა, უკეთუ: „მოვედით, მოვედით“. ხოლო მას, რომელი უფალი არს მძლეველობისა, ენება აღხოცვა... ამისთჳს შეჰსცუალა ჴმა მაუწყებელთა ყურთა მათთა შინა, უკეთუ „ივლტვოდეთ“. მაშინ მათ დაუტევეს უნჯნი კარავნი და ამჴედრდენ მსწრაფლად ცხენსა და ვითარცა სულელნი უჴლმოდ და უმდევროდ გარდაცკვდნენ დიდსა ჴრამსა მას გარნისისა“.[23] როგორც ვხედავთ, ძირითად შტრიხებში სომეხი მემატიანე ეთანხმება ჟამთააღმწერელს. ბრძოლაში ჩართულან მხოლოდ წინამბრძოლნი, დანარჩენი კი გაქცეულან. ამასთანავე, ისტორიკოსი საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას – ქართველებს არავინ მოსდევდა („უმდეროდ“). კირაკოს განძაკელი, მართალია, ქართული არმიის სრულ კრახზე მოგვითხრობს, მაგრამ ბრძოლის ეტაპები მასაც ზუსტად აქვს აღწერილი: შალვამ და ივანემ „უბრძანეს დანარჩენ მეომრებს: „თქვენ ჯერ მოიცადეთ, ჩვენ წავალთ და შევებრძოლებით მათ რიგებს; და თუ რომელიმე მათგანს უკან დახევას ვაიძულებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, თქვენც შეუტიეთ, მაგრამ თუ მათ დაგვამარცხეს, გაიქეცით და თავს უშველეთ“. და ისინი (ქართველები) აირიენენ სულტნის ჯართან და დაიწყეს მათი განადგურება. მაგრამ (დანარჩენმა) ქართველმა მეომრებმა ამას არ მიაქციეს ყურადღება და დაიწყეს გაქცევა ისე, რომ უკანდახევისას საკუთარ მეგობრებს ვერ ცნობდნენ“.[24] სხვათა შორის,

---

[22] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 201.

[23] სტეფანოს ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978, გვ. 65-66.

[24] К. Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1976, გვ. 226. იმ ფაქტს, რომ ქართველებმა ძირითადი დანაკარგი უკან დახევისას განიცადეს, სხვა სომეხი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, მაგალითად, ვარდან არეველცი (ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002, გვ. 160-161); ანონიმი სებასტიელი (Армянские источники о монголах: Извлчения из рукописей XIII-XIV вв., Пер. с древнеарм. А. Г. Галетяна, М., 1962, გვ. 24).

კირაკოს განძაკელიც მიუთითებს, რომ ჯალალ ედ-დინს ქართველთა დევნა არ უწარმოებია.

სომეხი მემატიანე სტეფანოზ ეპისკოპოსი[25] საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველებმა უბრძოლველად დატოვეს გარნისი: „დიდმა მხედართმთავარმა ივანემ გამოიყვანა (ხორეზმელთა წინააღმდეგ) 60 ათასი მეომარი. მაგრამ ღვთის რისხვა დაატყდა მათ... არ მიუღიათ რა ბრძოლა გარნისის მიდამოებში, მტრის გაუმარჯვებლად ისინი (ქართველები) უკუიქცნენ".[26]

გარნისის ბრძოლის თაობაზე მეტად მნიშვნელოვანია ან-ნასავის ცნობები. იგი ჯალალ ედ-დინის პირადი მდივანი და მოვლენების თვითმხილველი იყო. მის მონათხრობში ნიშანდობლივია დაღუპულ ქართველ მეომართა რიცხვი – 4000.[27] მიუხედავად მის მიერ დახატული მასშტაბური შეტაკებისა, მსხვერპლი კატასტროფული არ ყოფილა. ნასავიმ იცის, რომ ქართველთა არმიის ძირითადი ნაწილი გადარჩა. ეს უკანასკნელი ცნობა უფრო სანდოა, ვიდრე იბნ ალ-ასირის მონაცემები, თითქოს ქართველებს გარნისში 20 ათასი კაცი დაუკარგავთ, ანუ მთელი არმიის მესამედი.[28] ნასავიმ შესანიშნავად იცოდა, რამდენი ქართველი მეომარი დაეცა ბრძოლის ველზე – ის ხომ ჯალალ ედ-დინის უახლოეს წრეს ეკუთვნოდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ასევე ქართული ზეპირსიტყვიერების ცნობები. შალვა ახალციხელის ციკლის ლექსებში შემონახულია ერთი ლექსი – „შალვა შურისა მძებნელი", რომელიც ასე მთავრდება:

„... კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯავრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკველი
უომრობასა სჩიოდა..."[29]

---

[25] ზოგჯერ მეცნიერი მას სტეფანოზ ორბელიანად მიიჩნევს, თუმცა, დღეისთვის მიღებულია, რომ იგი XIII საუკუნის მიწურულს მცხოვრები ისტორიკოსი უნდა იყოს (ლ. მელქისეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 136; ლ. მელქისეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, I, თბ., 1949, გვ. 270-271).

[26] Армянские источники о монголах: Извлечения из рукописей XIII-XIV вв., გვ. 33.

[27] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави, Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, Пер. с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З. М. Буниятова, Баку, 1973, გვ. 152.

[28] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави, Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 335; 48-ე თავის შენიშვნა 6.

[29] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, ტექსტების მომზადება, რედაქცია,

როგორც ვხედავთ, გამალებულ ბრძოლაში მყოფი შალვა ახალციხელი „უომრობას სჩიოდა“. ხომ არ არის გარნისის ბრძოლის რეალობის გამოძახილი, როდესაც ბედის ანაბარად მიტოვებული ქართველი წინამბრძოლნი სამართლიან, თანასწორ ბრძოლას ნატრულობდნენ და „უომრობას სჩიოდნენ“?

ამდენად, გარნისის ბრძოლაში მთავარსარდლის უგუნური საქციელის გამო, ფაქტობრივად, საქართველოს არმიას მთელი თავისი შემადგენლობით მონაწილეობა არ მიუღია. მთლიანი დანაკარგი (მოკლულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით) 10%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ჯალალ ედ-დინს არც უცდია, ქართველებს დადევნებოდა, პირიქით, სამხრეთით წავიდა და დვინი გარემოიცვა. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გარნისში საქართველოს სამხედრო პოტენციალი სრულად არ განადგურებულა. ჯარის ძირითადი ნაწილი კვლავ ბრძოლისუნარიანი იყო, მხოლოდ – გულგატეხილი და ფსიქოლოგიურად დათრგუნული. პრობლემა არსებობდა არა უშუალოდ ჯარისკაცების დონეზე, არამედ უმაღლეს სარდლობაში, რომელმაც ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ჯალალ ედ-დინმა არ იცოდა, რა კრიზისში იმყოფებოდა ქართული სახელმწიფო და მისი სამხედრო ძალები. ქართველებმა გარნისის შემდეგ სამხედრო პოტენციალი „გადაარჩინეს“. ეს აკრთობდა ხორეზმშაჰს. ჩვენი აზრით, ჯალალ ედ-დინმა რამდენიმე თვე მოანდომა საქართველოში არსებული ვითარების ზედმიწევნით შესწავლას და მოგვიანებით სწორედ ამან გააბედვინა თბილისზე ლაშქრობა. მანამდე ხორეზმშაჰი ფრთხილად მოქმედებდა და ქართულ მხარეს დიალოგსა და მოლაპარაკებას სთავაზობდა.

ავაგ ათაბაგისა და ჯალალ ედ-დინის შეხვედრა ბიჯნისის მიდამოებში

გარნისში გამარჯვების შემდეგ ჯალალ ედ-დინმა დვინი აიღო და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მარბიელი დააგზავნა. ამ ეტაპზე ქვეყნის სიღრმეში, კერძოდ, თბილისის მიმართულებით ლაშქრობა ხორეზმელებს გადაწყვეტილი არ ჰქონდათ. რა იყო ამის მიზეზი, თქმა ძნელია. როგორც ჩანს, ხორეზმელთათვის საქართველო, როგორც მოკავშირე, საჭირო იყო მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომაც, ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების მაგიერ, ჯალალ ედ-დინი კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარებას შეეცადა. სხვათა შორის, ნიშანდობლივია,

შესავალი და შენიშვნები ქ. სიხარულიძისა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 105.

რომ გარნისის ბრძოლამდეც ჰქონდა სურვილი, დაკავშირებოდა საქართველოს სამეფო კარს. ალ-ბაღდადის ცნობით, „როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა დედოფალს ტკბილი სიტყვით. და როცა მასთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: „ამგვარად იქცევიან მეფეები? ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თვითონ კი საწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება".[30] ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ხორეზმშაჰი თავიდანვე ცდილობდა რუსუდანთან საერთოს გამონახვას. ამას თავისი ახსნა აქვს. საქართველოსთან ომის შემთხვევაში, იგი ორ ცეცხლს შორის ექცეოდა – ჩრდილოეთიდან მისდამი მტრულად განწყობილი საქართველო იყო, ხოლო სამხრეთიდან მონღოლთა მოსალოდნელი შემოსევის საშიშროება არსებობდა. ასეთი პოლიტიკური ვითარება არახელსაყრელი იყო ჯალალ ედ-დინისთვის. საქართველოსთან დაპირისპირება მის ისედაც მყიფე სამხედრო სიძლიერეს დიდ ზიანს მიაყენებდა. ჯალალ ედ-დინს სურდა, აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური ცენტრი შეექმნა, რომელიც მონღოლებს ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდა. მის გარშემო უნდა შემოკრებილიყო ძლიერი კოალიცია, ეს კი საქართველოს გარეშე წარმოუდგენელი იყო. როდესაც ამ პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს ვაანალიზებთ, გასათვალისწინებელია რამდენიმე დეტალი: 1. ჯალალ ედ-დინს სურდა მისდამი კეთილგანწყობილი საქართველოს არსებობა; 2. ხორეზმშაჰის გეგმებში არ შედიოდა ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფრონტაცია საქართველოსთან, რაც მას კიდევ უფრო დაასუსტებდა; 3. ჯალალ ედ-დინის გეგმით, აღმოსავლეთში დიდი კოალიცია უნდა შექმნილიყო. ამ მიმართულებით მან არაერთი ნაბიჯი გადადგა. ფაქტობრივად, ქართველებთან ომის შემთხვევაში, ამ კოალიციის ყველაზე სასურველი წევრი – საქართველო – ხორეზმშაჰის გეგმების მიღმა რჩებოდა; 4. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ჯალალ ედ-დინმა გაცილებით დიდი დრო დაუთმო საქართველოსა და მის ყმადნაფიც ქვეყნებთან ბრძოლას, ვიდრე ირანში ანტიმონღოლური თავდაცვითი სისტემის შექმნას. შედეგიც თვალნათელი იყო – 1229 წლის შემდეგ მონღოლთა შემოსევებს ჯალალ ედ-დინმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ამდენად, ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ თავდაპირველი გეგმით, ჯალალ ედ-დინს ჩაფიქრებული ჰქონდა მოლაპა-

[30] გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1995, გვ. 187; ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბ., 2004, გვ. 193.

რაკების დაწყება საქართველოს სამეფო კართან. ეს ნაბიჯი პოლიტიკურად გამართლებული იყო.

ხორეზმშაჰი საქართველოს სამხრეთ პროვინციებს არბევდა, როცა შეიტყო ავაგ ათაბაგის ბიჯნისში ყოფნა. ჯალალ ედ-დინმა მას მოციქული მიუგზავნა და შეხვედრა სთხოვა.

შეხვედრის ადგილად მხარეებმა ბიჯნისის ხევი აირჩიეს. როგორც ჩანს, ჯალალ ედ-დინი ბიჯნისამდე ტერიტორიას ნაწილობრივ უკვე აკონტროლებდა და მისი მარბიელები ამ მიდამოებში თარეშობდნენ. ქართველთა და ხორეზმელთა გამყოფ ხაზად მდ. რაზდანი უნდა მივიჩნიოთ. სწორედ რაზდანის მიერ წარმოქმნილი ხრამის პირას უნდა შეხვედროდნენ ავაგი და ჯალალ ედ-დინი. ეს ადგილი ბიჯნისის ციხის სამხრეთითაა საძიებელი. ხორეზმელთა სამხედრო ნაწილები ოდნავ მოშორებით დაბინავდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ, მიუხედავად ხელშეუხებლობის შესახებ ავაგის პირობისა, ჯალალ ედ-დინი რამდენიმე ათეულ კილომეტრს დაუცველად და ბედის ანაბარად არ გამოიცლიდა. ხორეზმელთა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა შეხვედრის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში უნდა მდგარიყო, გაუფრთხილებელი შემთხვევის ჟამს მთავარსარდალს რომ მიშველებოდა. ავაგი უშუალოდ ბიჯნისის ციხეში იმყოფებოდა. ეს ციხე-ქალაქი მოგვიანებით მოხსენიებულია, როგორც „სახლი ავაგ ათაბაგისა“.

ამდენად, შეჭურვილი ავაგი და ჯალალ ედ-დინი მდინარის პირას შეხვდნენ ერთმანეთს. ბიჯნისის მიდამოებში მდინარე მაინცდამაინც დიდ ხევს არ წარმოქმნის, მაგრამ მემატიანის განცხადება, რომ ხრამსა ზედა ბიჯნისისა „შეკრბეს მახლობელად ერთი-ერთისა“,[31] არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ავაგი და ჯალალ ედ-დინი მდინარის სხვადასხვა ნაპირზე იდგნენ და ასე მართავდნენ მოლაპარაკებას. ასე ესმის ეს ვახუშტის, რომელიც აღნიშნავს: „იქით მოადგა ჴევის-პირს სულტანი ერთითა მონითა და აქათ ავაგ ეგრეთვე“.[32] ჩვენი აზრით, ჟამთააღმწერლის ცნობა შეცდომითაა გაგებული. მდინარის ხმაური, სიშორე აიძულებდა მხარეებს, ყვირილით მიემართათ ერთმანეთისთვის. ბიჯნისის მიდამოებში აუცილებლად იქნებოდა ხიდი (ადგილობრივები ასეთი ხიდის არსებობას ადასტურებენ), რომლითაც ისარგებლებდა ერთ-ერთი მხარე, სავარაუდოდ, ავაგი. ამ შემთხვევაში, მხარგრძელი და ჯალალ ედ-დინი

---

[31] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 173.

[32] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 202.

პირისპირ აღმოჩნდებოდნენ, სწორედ „ხრამსა ზედა“. ასეთ პირობებში მოლაპარაკების გამართვა ძნელი არ იქნებოდა.

დათქმულ დღეს ჯალალ ედ-დინი და ავაგი ერთმანეთს შეხვდნენ. ხორეზმშაჰმა თავისი გეგმა გააცნო ქართველ დიდებულს და სთხოვა, საქართველოს სამეფო კარისათვის გადაეცა. ჯალალ ედ-დინი თავიდანვე აღნიშნავდა, რომ საქართველოში საომრად და ქვეყნის ასაოხრებლად არ იყო მოსული, რომ მას მშვიდობა და მოკავშირეობა სურდა. ხორეზმშაჰი „გულისტკივილით“ ამბობდა: „არა მოვედ მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშვიდობისათჳს. გარნა თქუენ მსწრაფლ საომრად აღიჭურნეთ და ფიცხლა შემებენით, და არა იქმნა მშჯდობა“.[33] ჯალალ ედ-დინი საქართველოს სამეფო კარს საერთო მტრის – მონღოლების წინააღმდეგ ერთობლივი ძალით გამოსვლისაკენ მოუწოდებდა. ამ ერთიანობის საწინდარი კი ხორეზმშაჰის რუსუდანზე დაქორწინება უნდა გამხდარიყო. ჯალალ ედ-დინი, ამავდროულად, აფრთხილებდა ქართველებს, თუ იუარებთ, თქვენს ქვეყანას ავაოხრებო. ავაგ ათაბაგთან საუბრისას მან ერთგვარად გააანალიზა შუა თუ წინა აზიაში მიმდინარე მოვლენები. მისი აზრით, ხორეზმელების საქართველოდან წასვლის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა ვერ გადაურჩებოდა მონღოლების რისხვას. ამიტომ ჯალალ ედ-დინთან ალიანსი მისაღები უნდა ყოფილიყო სამეფო კარისათვის. თავადაც არ მალავდა, რომ ეს ერთობა მისთვისაც აუცილებელი იყო. ჯალალ ედ-დინი საგანგებოდ აღნიშნავდა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა... და ვსძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა“.[34]

ჟამთააღმწერლის ეს ცნობა მართლაც უნიკალურია. რა თქმა უნდა, საქმე არ გვაქვს სტენოგრაფიულ ჩანაწერთან, თუმცა, ქართველ მემატიანეს ამ საუბრის შინაარსი შეიძლება კარგად სცოდნოდა. ავაგ ათაბაგმა საგანგებო წერილით (სამეფო კარზე „იხილეს წიგნი“ ავაგისაო) აუწყა მეფეს და სამეფო დარბაზს ბიჯნისის შეხვედრის შესახებ. ამ წერილის არსებობა XIV საუკუნის დასაწყისისთვისაცაა დასაშვები. რუსუდანისვე პერიოდში წერილის შინაარსი ქართველ დიდებულთა დიდ წრეს ეცოდინებოდა. ამ წარჩინებულთა შვილები და შვილიშვილები ჟამთააღმწერლის თანამედროვენი იყვნენ და მათგან ინფორმაციის აღება ისტორიკოსს არ უნდა გასჭირვებოდა. დავით გვრიტიშვილის აზრით, ჯალალ ედ-დინისა და ავაგის ბიჯნისში მოლაპარაკებები იმ ჯგუფის „მონაჭორი და შენათხზავი“ უნდა იყოს, რომელსაც სურდა ჯალალ ედ-დინის მიერ საქართველოში დატრიალებული მთელი საშინელება რუსუდანისთვის გა-

[33] ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 173.

[34] იქვე.

დაებრალებინა.[35] ვფიქრობთ, დ. გვრიტიშვილის ეს პოზიცია გადაჭარბებულია. ჟამთააღმწერლის მონათხრობი საკმაოდ დამაჯერებელია და არ შეიცავს ისეთ დეტალებს, რომლებიც დაგვაეჭვებდა მემატიანის გულწრფელობაში.

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ ჯალალ ედ-დინის მოთხოვნები, ისინი ასე გამოიყურება:

1) უნდა შემდგარიყო რუსუდანისა და ჯალალ ედ-დინის ქორწილი;
2) მხარეებს შორის დამყარებულიყო მშვიდობა;
3) შექმნილიყო მონღოლთა წინააღმდეგ ერთობლივი კოალიცია.

ბუნებრივია, ხორეზმშაჰის მოთხოვნებზე ავაგ ათაბაგს არ ჰქონდა პასუხის გაცემის უფლება, ამიტომაც მან ჯალალ ედ-დინს მიმართა: „ვაუწყებ თქმელსა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა".[36] ავაგ ათაბაგი ბიჯნისს დარჩა, მეფეს საგანგებო წერილი აახლა და ხორეზმშაჰის დანაბარები, ყოველივე დაწვრილებით გადასცა.

როდის, რა შემადგენლობით შეიკრიბა სამეფო კარი, ამის თაობაზე ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს. წყაროდან ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიმღები მარტო მეფე არ ყოფილა: „და მიუმცნეს ავაგს", – წერს ისტორიკოსი. მეფესთან ერთად, როგორც ჩანს, ასეთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაში სამეფო დარბაზიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ჯალალ ედ-დინის ერთ-ერთ შემონათვალზე ქართველებს წერილით უპასუხიათ. მემატიანე არ აკონკრეტებს, როდის უნდა მომხდარიყო ეს. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ბიჯნისის შეხვედრის შემდეგ უნდა მომხდარიყო, რამეთუ ქართველების წერილში, დაახლოებით, იმაზეა გაცემული პასუხი, რაზეც ამ შეხვედრისას ჯალალ ედ-დინი ავაგ ათაბაგს ესაუბრა. ქართველებს ხორეზმშაჰისათვის შეუთვლიათ: „ჩვენ თავს დაგვესხნენ თათრები, რომლებიც მამაშენს, რომელიც ფლობდა გაცილებით დიდ ტერიტორიას, ვიდრე შენ და ჰყავდა გაცილებით დიდი არმია... კარგად მოგეხსენება, როგორც მოექცნენ... მათ დაიპყრეს თქვენი ქვეყანა. მაგრამ ჩვენ არ მიგვიქცევია ყურადღება (თათრებისათვის) და ყველაზე მეტი, რაზეც ისინი ფიქრობდნენ, იყო შინისაკენ წასულიყვნენ".[37]

საქართველოს სამეფო კარის ვერდიქტი საკმაოდ მკაცრი იყო. ჯალალ ედ-დინთან ყოველგვარი კავშირი უნდა გაწყვეტილიყო. ჟამთააღმწერელი აღ-

[35] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1962, გვ. 166.

[36] ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 174.

[37] Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (Полного свода истории) Ибн ал-Асира, Пер. П. Жузе, Баку, 1940, გვ. 156; З. Буниятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы), Баку, 1978, გვ. 125.

ნიშნავს: „მიუმცნეს ავაგს არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად".[38] თავის მხრივ, ავაგ ათაბაგმა ყოველივე ხორეზმშაჰს აუწყა და ასე უშედეგოდ დასრულდა ბიჯნისის მოლაპარაკება. ამის შემდგომ საქართველოსთვის პოლიტიკური მოვლენები ტრაგიკულად წარიმართა. ჯალალ ედ-დინმა თბილისზე ილაშქრა და 1226 წლის 9 მარტს ქალაქი აიღო. საქართველოში დაიწყო ხორეზმელთა ბატონობის წლები.

რატომ უთხრა საქართველოს სამეფო კარმა ჯალალ ედ-დინს მოკავშირეობაზე უარი?

ჟამთააღმწერლის მიხედვით, ხორეზმშაჰის მიერ წამოყენებული მოთხოვნებიდან ცენტრალური იყო დინასტიური ქორწინების საკითხი. შეიძლება ჯალალ ედ-დინი მართლაც ფიქრობდა, რომ ამ გზით შეძლებდა საქართველოს სამხედრო პოტენციალის სრულ გამოყენებას, მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რომ ეს ქორწინება განუხორციელებელი იყო. ჯალალ ედ-დინმა შესანიშნავად იცოდა, რომ რუსუდანს მეუღლე ჰყავდა და არავინ დაუშვებდა, საქართველოს მეფეს ასეთი დამამცირებელი ნაბიჯი გადაედგა – მუქარის გამო გაყროდა ჯვარდაწერილ მეუღლეს და ჯალალ ედ-დინზე ექორწინა.

მაგრამ მოდით, საკითხი სხვაგვარად დავსვათ. ჯალალ ედ-დინის მოთხოვნებში რომელი დომინირებდა – საქართველოსაგან სამხედრო დახმარების მიღწევის თუ რუსუდანის ცოლად შერთვის სურვილი? საქართველოს სამეფო კარს უარი რომ ეთქვა დინასტიურ ქორწინებაზე (რაზეც არგუმენტირებულად უარის თქმა ქართველებს არ გაუჭირდებოდათ), მაგრამ, სამაგიეროდ, დაეწყო მოლაპარაკება ხორაზმელებთან (თუნდაც დროის გასაყვანად) თანამშრომლობის თაობაზე, ხორეზმშაჰი დათანხმდებოდა ამ წინადადებას?

იმის თქმა გვსურს, რომ ჯალალ ედ-დინის სურვილი, დაქორწინებულიყო რუსუდანზე, აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ ეს ხორეზმშაჰისთვის პანაცეა არ იყო. მას ეს სჭირდებოდა საქართველოს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და ჩრდილოეთიდან ზურგის გასამაგრებლად. ადარბადაგანში, სპარსეთის ერაყში, მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა ჯალალ ედ-დინისათვის ხელსაყრელი არ იყო. დრო ხორეზმელთა სასარგებლოდ არ მუშაობდა. მაგალითად, ადარბადაგანი ისევე დაპყრობილი ჰქონდა ჯალალ ედ-დინს, როგორც მოგვიანებით – საქართველო. ათაბაგი უზბეგი ნახიჩევანში აფარებდა თავს და ჯალალ ედ-დინის მიერ მისი სამეფოს დაპყრობას ყურანის

[38] ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 174:

ციტატებით პასუხობდა.[39] ამდენად, არავინ იცოდა, როდის იფეთქებდა აჯანყება ხორეზმელთა მიერ დამორჩილებულ ტერიტორიაზე. დამპყრობელს რელიგია არა აქვს. ადარბადაგანის მუსლიმი მმართველებისთვის ჯალალ ედ-დინი ისევე მიუღებელი იყო, როგორც მცირე ხნის წინ – ქართველი მეომრები. ამას მშვენივრად ხედავდა ხორეზმშაჰი და სწორედ ამიტომ ეწვია ავაგ ათაბაგს.

ამდენად, საქართველოს სამეფო კარმა ხორეზმშაჰს უარი უთხრა არა მარტო რუსუდანთან ქორწინებაზე, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ყოველგვარ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე.

ისმის კითხვა: რა იყო საქართველოს სამეფო კარის ამ გადაწყვეტილების საფუძველი?

მართალია, ხორეზმი და საქართველო ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა, მაგრამ ისტორიამ ისე ინება, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა.

XII საუკუნის მიწურულიდან ხორეზმის სახელმწიფო ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას ირანისა და ერაყის მნიშვნელოვან ნაწილზე. თავის მხრივ, ამავე პერიოდში (განსაკუთრებით 1195 წლიდან, შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ) საქართველოს სამეფო გააქტიურდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. შამქორში ილდეგიზიანთა სახელმწიფოს გამგებლის, აბუ-ბექარის დამარცხების შემდეგ ქართველები პერმანენტულად აწყობდნენ მარბიელ ლაშქრობებს ადარბადაგანში. უშუალოდ 1195 წლის ივნისში ქართველებმა განჯა დაიკავეს, რომელიც ილდეგიზიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. მართალია, განჯის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, მაგრამ იგი საქართველოს ყმადნაფიც ქალაქად დარჩა. მოგვიანებით დვინის შემოერთება უკვე იმის ნიშანი იყო, რომ ქართველები არ მოერიდებოდნენ კიდევ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით გაჭრას.

1204-1206 წლებში ქართველებმა ორჯერ მოარბიეს ადარბადაგანი. ადგილობრივ მოსახლეობაში მსხვერპლი დიდი იყო. უშუალოდ ილდეგიზიანთა სახელმწიფოს გამგებელი, ათაბაგი აბუ-ბექარი, არავითარ წინააღმდეგობას არ სწევდა. ქვეყანა ბედის ანაბარად იყო დარჩენილი. წყაროები იმასაც კი აღნიშნავდა, რომ ათაბაგი შამქორში დამარცხების შემდეგ გალოთებულა.

1206 წელს აბუ-ბექარმა ცოლად შეირთო საქართველოს სამეფო ოჯახის წევრი. არაბ ისტორიკოსებთან მითითებულია, რომ ეს იყო „ქართველი მეფის ქალი“,[40] მაგრამ მისი ვინაობა დაკონკრეტებული არ არის. ამის შემდეგ ილდ-

[39] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави, Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 158.

[40] З. Буниятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы), Баку, 1978, გვ. 107.

ეგიზიანთა სახელმწიფო საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა. ეს დიდი პოლიტიკური გამარჯვება იყო.

1208 წელს ადარბადაგანში ხორეზმის ჯარი შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ამავე პერიოდში ხორეზმშაჰი მუჰამედი საბოლოოდ იმორჩილებს გურგანს და ხორასანს.

1210 წელს გარდაიცვალა აბუ-ბექარი და მის მაგიერ ათაბაგი მისი ძმა, უზბეგი გახდა. ამას დაემთხვა 1210 წელს ქართველთა ცნობილი ლაშქრობა ირანში. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ საქართველომ ილაშქრა ადარბადაგანის ხელახლა დასამორჩილებლად, სპარსულ ერაყში გავლენის გასავრცელებლად და ხორეზმის წინააღმდეგ, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ადარბადაგანზე.[41] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, ადარბადაგანის გავლის შემდეგ ქართულ ლაშქარს მიუღწევია ხორასანამდე და გურგანის ქვეყნამდე. ეს კი ხორეზმშაჰის გავლენის ქვეშ მყოფი პროვინციები იყო. მემატიანემ ეს კარგად იცის და ამიტომ დასძენს: „ვერვინ წინაღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხუარასნისა სულტანი (როგორც ჩანს, იგულისხმება ხორეზმშაჰი), ვერ ერაყისა და ვერ რომელი თემი“.[42] აშკარაა, რომ ქართველთა ესოდენ მასშტაბური ლაშქრობა მარტოოდენ ალაფის გამო (ასეთი მოსაზრება ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია) არ განხორციელებულა. მიზანი გაცილებით შორს მიმავალი იყო. ქართულმა სახელმწიფომ ამ აქციით დაადასტურა თავისი პრეტენზიები ადარბადაგანზე და, ამავდროულად, თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ხორეზმის მიმართ ძალის დემონსტრაცია განახორციელა.[43] რამდენიმე წელში ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ლაშა-გიორგის დროს ქვეყანაში კიდევ უფრო გაღრმავდა პოლიტიკური კრიზისი. თამარის მემკვიდრემ სათანადოდ ვერ შეაფასა ილდეგიზიანთა სახელმწიფოს გარშემო მიმდინარე პროცესები და შედარებით პასიური პოზიცია დაიკავა. საქართველოს მიერ ადარბადაგანში პოზიციების დათმობის პარალელურად, ამ რეგიონისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ხორეზმი.

1215 წლის ახლო ხანებში ათაბაგი უზბეგი შეეცადა, ესარგებლა სპარსულ ერაყში შექმნილი ვითარებით და ამ პროვინციაზე თავისი გავლენა განევრცო.

---

[41] დ. შველიძე, ე. შველიძე, საქართველოსა და ხორეზმის ურთიერთობა და ქართველთა ლაშქრობა ირანში (1210 წ.), ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, თბ., 2001, გვ. 40-42.

[42] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 107.

[43] ჯ. სტეფნაძე, ხორასანში ლაშქრობის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 187-200.

ხორეზმშაჰ მუჰამედს ამის პრეტენზია თავად ჰქონდა და ამიტომაც ათაბაგ უზბეგისა და მისი მოკავშირის, ფარსის გამგებლის, სად იბნ ზენგის წინააღმდეგ გაილაშქრა. ხორეზმშაჰმა მოახერხა ათაბაგის მთელი სიმდიდრის ხელთ გდება, რის შემდეგაც უზბეგი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ხორეზმს. ილდეგიზიანთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მუჰამედის სახელზე ხუტბას აღავლენდნენ.[44] როგორც ჩანს, ამ აქტის საპასუხო იყო 1215/1216 წლის ქართველთა ლაშქრობა ადარბადაგანზე, რის შემდეგაც ათაბაგმა უზბეგმა ხორეზმშაჰს ქართველების შესახებ საჩივარი მისწერა. მუჰამედმა საქართველოს მეფეს, ლაშა-გიორგის, მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა, არ დასხმოდა თავს უზბეგის ქვეყანას. იგი აცნობებდა საქართველოს მეფეს, რომ უზბეგის ქვეყანა ამიერიდან მის საკუთრებას (სახასოს) წარმოადგენდა; რომ ამ ქვეყნის ყველა მინარეთში ხუტბას მის სახელზე აღავლენდნენ, ხოლო ფულზე გამოსახული იყო მისი სახელი.[45]

ამდენად, XIII საუკუნის 10-იან წლებში ადარბადაგანში გავლენისათვის იბრძვის ორი სახელმწიფო – საქართველო და ხორეზმი. თუ მოვლენები თავდაპირველად საქართველოს სასარგებლოდ წარიმართა, 1215 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. იმდენად დაიძაბა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, რომ გაჩნდა საშიშროება, პოლიტიკური კონფრონტაცია სამხედრო კონფლიქტში გადაზრდილიყო. ხორეზმშაჰმა მუჰამედმა 50000 მეომარი გამოყო საქართველოზე სალაშქროდ, მაგრამ იმხანად ამ სამხედრო ექსპედიციის ჩატარება ვერ მოხერხდა.[46] მონღოლთა გამოჩენის შემდეგ კი ხორეზმის სახელმწიფო აღმოჩნდა კატასტროფის წინაშე. საქართველოს თითქოს ამით უნდა ესარგებლა და ადარბადაგანზე თავისი გავლენის გავრცელება კიდევ ერთხელ ეცადა, მაგრამ ეს არ მოხდა.

ასე ვითარდებოდა საქართველო-ხორეზმის პოლიტიკური ურთიერთობა XIII საუკუნის დასაწყისში. ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარზე ამ რეალობას ითვალისწინებდნენ. ბიჯნისში ავაგ ათაბაგის წინაშე იდგა იმ სახელმწიფოს გამგებელი, რომლის ქვეყანა ბოლო 20 წლის განმავლობაში თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდა ტერიტორიაზე, რომელზეც ქართულ მხარესაც ჰქონდა პრეტენზია. ხორეზმის სახელმწიფოს განადგურება ქართული საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ საქმეში ქართველთა მოკავშირეებად მონღოლები გამოდი-

---

[44] З. Буниятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы), Баку, 1978, გვ. 111-112.

[45] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави, Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 56.

[46] იქვე.

ოდნენ. რუსუდან მეფეს და სამეფო კარს ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა შემოსევა ერთჯერად აქტად ჰქონდათ წარმოდგენილი. მათ არ სჯეროდათ, რომ მონღოლები ისეთი მასშტაბის დაპყრობით ომს წამოიწყებდნენ, როგორიც მოგვიანებით განახორციელეს ჩინგიზ ხანის მემკვიდრეებმა. ჯალალ ედ-დინის პროგრამა კი ხორეზმის რეანიმაციას ისახავდა მიზნად, რაც საფუძველშივე მიუღებელი იყო ქართული მხარისთვის. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო საფუძველი საქართველოს სამეფო კარის გადაწყვეტილებისა, მოკავშირეობაზე უარი შეეთვალათ ჯალალ ედ-დინისთვის. რამდენად ადეკვატური იყო პოლიტიკური პროცესების ასეთი ანალიზი, სხვა საკითხია.

ქართველების შეცდომა თუ გამჭრიახი პოლიტიკური ნაბიჯი?

მონღოლთა შემოსევებმა ადარბადაგანსა და სპარსეთის ერაყში საქართველოს პოლიტიკური კონკურენტი – ხორეზმი გაანადგურა. ჯალალ ედ-დინთან ალიანსი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში არ შედიოდა. ერთი შეხედვით, ეს გათვლა თითქოს სწორია, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთი ხელის მოსმით ჯალალ ედ-დინთან მოლაპარაკებაზე უარის თქმაც შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამის ინიციატორი თავად ხორეზმშაჰი იყო, თანაც, სულ მცირე, ორჯერ. დიპლომატიური მოლაპარაკებებით რაც უფრო მეტ დროს მოიგებდა საქართველოს სამეფო კარი, მით უფრო მოახერხებდა ძალების მობილიზაციას. რაც უფრო გაიწელებოდა დრო, მით უფრო მეტი პრობლემები შეექმნებოდა ხორეზმშაჰს დაპყრობილ ტერიტორიებზე. ასეთი იყო რეალობა, იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. ამდენად, აბსოლუტურად გაუგებარია საქართველოს სამეფო კარის გადაწყვეტილება, უარი შეეთვალა მოლაპარაკებაზე. რუსუდანის მხრიდან ამ ნაბიჯს მარტივად ავხსნიდით, საქართველოს ხელისუფლების მიერ ხორეზმელთა შესაჩერებლად განხორციელებული ღონისძიებები რომ დაგვენახა, მაგრამ წყაროებიდან მსგავსი არაფერი ჩანს. გარნისის შემდეგ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს ზამთრის დადგომამდე არბევდნენ ხორეზმელები. გარნისის ბრძოლის შემდეგ ჯალალ ედ-დინის ერთ-ერთი სარდალი, ხუსამ ად-დინ ჰიდრი ყვებოდა: „ჩვენ ვიმყოფებოდით მათთან (აფხაზის) ქვეყანაში სამი თვე, განუწყვეტლივ ვაწყობდით თავდასხმებს, მანამ სანამ არ ავაოხრეთ, და (ამ ქვეყნის) მცხოვრებლებმა არ განიცადეს დიდი უბედურება. და გახდა ქართველი ტყვეები იაფი, მათ ყიდდნენ ორ-სამ დინარად... ჩვენ მათ მივდევდით

გადასასვლელებამდე, ვჩერდებოდით და ვაფრთხილებდით ჩვენს მეომრებს, რომ არ წასულიყვნენ წინ, ვაცნობებდით, რომ წინ იყო მთის ვიწრობები. მაგრამ ისინი არ აქცევდნენ ამას ყურადღებას და წინ მიდიოდნენ ცალკე ან ჯგუფებად. ორ-სამ დღეში ბრუნდებოდნენ ალაფით და ტყვეებით".[47] თავად ჯალალ ედ-დინი ადარბადაგანში იყო წასული. საქართველოს სამეფო კარმა ვერ მოახერხა მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ქვეყნის სამხედრო ძალები იმდენად დაქსაქსული იყო, რომ თბილისის ალყის დროს ჯალალ ედ-დინი თავისუფლად მოქმედებდა. მრისხანე ქართული არმიის კვალიც კი არსად ჩანდა.

ამდენად, საქართველოს სამეფო კარი არაადეკვატურად აფასებდა საკუთარ ძალებს და ხორეზმშაჰის სამხედრო შესაძლებლობებს. ეს რომ ასე იყო, ბიჯნისის შეხვედრიდან რამდენიმე თვეში გამოჩნდა, როცა ჯალალ ედ-დინმა თბილისი აიღო. ბიჯნისში დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელება ქართულ მხარეს მნიშვნელოვან დროს მოაგებინებდა. მახლობელ აღმოსავლეთში ამ ეტაპზე არ ჩანს ჯალალ ედ-დინის წინააღმდეგ საქართველოს მოთავეობით კოალიციის შექმნის მცდელობა. მთლიანობაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოს სამეფო კარმა ვერ გააანალიზა გარნისის ბრძოლის შედეგები. ქართველი ფეოდალები ახალი ბრძოლისათვის „ემზადებოდნენ". გარნისში დამარცხებას ყველა შემთხვევითობად და მარტოოდენ სარდლის შეცდომად მიიჩნევდა.

ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ლაშა-გიორგის დროს დაწყებული სახელისუფლო კრიზისი რუსუდანის პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავებულა და აბსოლუტურად მოშლილა ქვეყნის საგარეო დაზვერვა. ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი ადეკვატურად ვერ აღიქვამდა რეალობას. დიპლომატიური ლავირების ნაცვლად, აშკარა სამხედრო რიტორიკა ბატონობდა.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიჯნისში დაწყებული მოლაპარაკებით საქართველოს სამეფო კარს ჰქონდა შანსი, სულ სხვა განვითარება მიეცა პოლიტიკური პროცესებისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო სამეფო კარზე გადაწყვეტილება მიეღოთ იმ ადამიანებს, რომელთაც რეალობის შეგრძნება ჰქონდათ. შეცდომა იყო დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე უარის თქმა. ასეთი სახის შეხვედრები გაცილებით დიდ ინფორმაციას მიაწვდიდა ქართულ მხარეს, უფრო რეალურ სურათს შეუქმნიდა ხორეზმელთა თუ მონღოლთა სამხედრო პოტენციალზე. ეს ყოველივე, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. შედეგმაც არ დააყოვნა – ჯალალ ედ-დინმა ჯერ თბილისი აიღო, შემდეგ კი – მთელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო. ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა.

---

[47] Шихаб Ад-дин Мухаммад ан-насави, Жизнеописание султана Джалал Ад-Дина Манкбурны, გვ. 155.

არტანუჯის ციხე-ქალაქის სტატუსისათვის XI-XIV საუკუნეებში

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, არტანუჯის ციხის აგება ვახტანგ I გორგასლის სახელს უკავშირდება. ჯუანშერის გადმოცემით, ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლიდან დაბრუნებულ ვახტანგს კლარჯეთში ერთი სოფელი უნახავს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „არტანუჯად" მოიხსენიებდნენ. მეფეს ისე მოსწონებია სოფლის სტრატეგიული მდებარეობა, რომ თავისი ძუძუმტისთვის, არტავაზისათვის, ამ ადგილებში ციხის აგება უბრძანებია. ვახტანგის გადაწყვეტილებით, მომავალი ციხე საიმედო პლაცდარმი უნდა ყოფილიყო სამეფო კარისათვის. „უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, – უთქვამს ვახტანგს ძუძუმტისთვის, – საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს".[1] არტავაზმაც მალე შეასრულა ვახტანგის ბრძანება და „აღაშენა ციხე არტანუჯისა"[2]. ამიერიდან არტანუჯი ერისთავთა რეზიდენცია და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდა.

არტანუჯის დაწინაურებას, ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მონაცემების გარდა, ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც. იგი სამხრეთ საქართველოს რამდენიმე მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობდა. არტანუჯთან თავს იყრიდა როგორც შიდა რეგიონული, ისე ტრანსსახელმწიფოებრივი გზები. შავი ზღვის ნავსადგურებიდან მომავალი გზა არტანუჯის გავლით არტაანში გადადიოდა, აქედან კი ერთი განშტოება ყარსი (ქართ. კარი)-ანისისაკენ მიემართებოდა, მეორე კი – მტკვრის ხეობით საქართველოსა და ამიერკავკასიის შიდა რაიონებისაკენ. არტანუჯიდან გზები მიდიოდა, ასევე, ტაოსა და შავშეთისაკენ. შესაძლებელია, არტანუჯის ადგილას გარკვეული თავდაცვითი ნაგებობა ვახტანგ გორგასლამდეც არსებულიყო, ვინაიდან ასეთი სტრატეგიული ადგილი შეუძლებელია V საუკუნის II ნახევრამდე შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სამწუხაროდ, ამ ადგილების საფუძვლიანი არქეოლოგიური

ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 178.

[2] იქვე.

გათხრები დღემდე არ წარმოებულა და სათანადო მასალის არქონის გამო, ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდადღა რჩება.

V საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, არტანუჯის ციხე დიდ როლს ასრულებდა საქართველოსა და კერძოდ, კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ციხეს უკავშირდება ჩვენი ერის ისტორიის ბევრი საინტერესო მოვლენა. ქართულ წყაროებში ხშირად მოიხსენიება არტანუჯის ციხე, მოგვიანებით – ქალაქი არტანუჯი.

VIII საუკუნის 30-იან წლებში არტანუჯის ციხე სასტიკად ააოხრა მურვან ყრუმ. არაბებმა მთლიანად მოსპეს და დააქციეს იგი. ამის შემდეგ არტანუჯის სანახები, მრავალი ათწლეულის განმავლობაში, სრულიად მიტოვებული და გავერანებული იყო. როგორც ძველ მატიანეებშია აღნიშნული, არტანუჯის ციხე ძირფესვიანად დანგრეულა, ხოლო მისი მიდამოები ტყით დაფარულა.

არტანუჯის ციხეს იმდენად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, რომ უკვალოდ გაქრობა არ ეწერა. IX საუკუნიდან იწყება მისი აღორძინება. იგი სამხრეთ ქართული სახელმწიფოს ცენტრად გვევლინება. IX-X საუკუნეები ქალაქ არტანუჯისთვის აღმავლობის ხანაა. მან დაიბრუნა ძველი დიდება და რეგიონში ძლიერ ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა. ამას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი – საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურმა პროცესებმა, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურმა აღმავლობამ, გეოგრაფიულმა ფაქტორმა და სხვა. X საუკუნის შუა ხანებისათვის არტანუჯი იმდენად სერიოზულ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, რომ მის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (913-959) თავის თხზულებაში "De Administrando imperio". იგი აღნიშნავს: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც" და დაბა-ქალაქიც: და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. ადრანუჯის ციხის მინაწყალი, ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს"[3].

არტანუჯის ასეთი მნიშვნელობის გამო თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. X საუკუნის I ნახევარში გურგენ ერისთავთ-ერისთავმა (გარდ. 941 წ.) პატრიკიოს აშოტ კისკას (გარდ. 939 წ.), ფაქტობრივად, არტანუჯის ციხე წაართვა, იურიდიულად კი ყველის ციხეში გაუცვალა. გურგენ ერისთავთ-ერისთავისა და მაგისტროსის გარდაცვალების

[3] კონსტანტინე პორფიროგენეტი, De Administrando imperio, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 278-280.

შემდეგ არტანუჯი სუმბატ არტანუჯელის (გარდ. 889 წ.) შვილიშვილს, ერისთავთერისთავ სუმბატს (გარდ. 988 წ.) ერგო. ამიერიდან, რამდენიმე ათეული წელი, არტანუჯის ციხე-ქალაქი ბაგრატიონთა ამ შტოს ხელშია. ქართულ წყაროებში სუმბატ ერისთავთერისთავის შთამომავლები „კლარჯ ხელმწიფეებად" იხსენიებიან. ფაქტობრივად, ისინი კლარჯეთის დამოუკიდებელ სამთავროს განაგებდნენ.

X-XI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა. სწორედ ამ დროს ჩაეყარა ბალავარი სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს გაერთიანებას. ბაგრატ III-ის (975/978-1014 წწ.) მოთავეობით დაწყებულმა ქვეყნის გაერთიანების პროცესმა ორი ათასწლეულის მიჯნაზე ამიერკავკასიაში ახალ, პოლიტიკურად მზარდ გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. არტანუჯი და საერთოდ, კლარჯეთი, თავდაპირველად ამ მოვლენების მიღმა აღმოჩნდა, ვინაიდან ამ რეგიონში „კლარჯი ხელმწიფენი" ბატონობდნენ. XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარის წინაშე უკვე მწვავედ დადგა ამ დამოუკიდებელი სამთავროს გაუქმების აუცილებლობის საკითხი. ბაგრატ III-მ მიიღო საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება: 1011 წლის ახლო ხანებში მან ფანასკერტის ციხეში სტუმრად მიიწვია თავისი მამიდაშვილები – სუმბატ არტანუჯელი და მისი ძმა გურგენი. დარბაზობისას „აფხაზთა და ქართველთა" მეფემ „კლარჯნი ხელმწიფენი" შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალნენ კიდეც. ბაგრატ III-მ მოკლე ხანში აიღო არტანუჯის ციხე და მთელ კლარჯეთს დაეუფლა. ბიზანტიაში გაქცევა მოახერხეს მხოლოდ ბაგრატ სუმბატის ძემ და დემეტრე გურგენის ძემ. „კლარჯ ხელმწიფეთა" ოჯახის დანარჩენი წევრები სამეფო კარმა ამოწყვიტა.[4] კლარჯეთი და არტანუჯის ციხე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ბაგრატ III-ის ინიციატივით დაარსდა არტანუჯის საერისთავო, რომლის პირველი ერისთავი იოვანე აბუსერისძე გახდა.

1028 წელს, იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) ბრძანებით, სამხრეთ საქართველოს ბიზანტიელთა არმია შემოესია. მტერმა ჯერ ჯავახეთ-თრიალეთი მოარბია. მცირე ხნის შემდეგ ბიზანტიელთა სარდალმა ნიკოლოზ პარაკიმომენმა შავშეთ-კლარჯეთში იოანე ხარტულარი გაგზავნა დიდი ლაშქრით და თან კონსტანტინოპოლში გაქცეული „კლარჯ ხელმწიფეთა" ნაშიერი, დემეტრე გურგენის ძე გააყოლა. ბიზანტიელთა ჩანაფიქრის მიხვედრა ადვილი იყო – მათ სურდათ, დემეტრე გურგენის ძის შემწეობით, კლარჯეთი,

[4] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990, გვ. 53.

არტანუჯის ციხითურთ, დედა სამშობლოსაგან ჩამოეშორებინათ. სამწუხაროდ, დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ კლარჯეთში ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე მცირდებოდა. ფანასკერტის ციხეში მიწვეულ „კლარჯ ხელმწიფეთა“ შეპყრობა ბაგრატ III-ის მიერ, როგორც ჩანს, კლარჯეთში არაერთგვაროვნად შეფასდა. კლარჯეთის მცხოვრებთ ბაგრატ III და მასთან გაიგივებული ცენტრალური ხელისუფლება დამპყრობლად და სიტყვის გამტეხად წარმოედგინათ, ხოლო სუმბატისა და გურგენის ოჯახი – დევნილად და შევიწროებულად. ასეთ დროს დემეტრე გურგენის ძის გამოყვანა ბიზანტიელთა დაპყრობით ომს კანონიერ იერს აძლევდა და იმპერიის მესვეურთ კლარჯელი ბაგრატიონების შელახული უფლებების ქედუხრელ დამცველებად წარმოგვიდგენდა.

არტანუჯის ციხე ამ დროს იოვანე ერისთავს ეჭირა. ფაქტობრივად, კლარჯეთის დიდ ნაწილს ის აკონტროლებდა. ქართული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ იოვანემ ბაგრატ IV-ს უერთგულა და ბოლომდე ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ერთგული დარჩა. ბრძოლა კლარჯეთსა და შავშეთში რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში არტანუჯის ციხე ანტიბიზანტიური ბრძოლის ცენტრს წარმოადგენდა. მტერმა ვერ მოახერხა მისი ხელთ გდება და შესაბამისად, კლარჯეთში გაბატონება. 1029-1030 წლებში, საქართველო-ბიზანტიის ზავით, არტანუჯის ციხე-ქალაქი კვლავ დედასამშობლოს შემადგენლობაში დარჩა.

XI საუკუნის I ნახევარში არტანუჯის საერისთავოს განაგებდა აბუსერისძეთა გავლენიანი საგვარეულო. იოვანეს შემდეგ, 30-40-იან წლებში, საერისთავოს სათავეში ჩანს აბუსერი, რომელიც თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო. იგი, არტანუჯის გარდა, ფლობდა ხიხათის, ციხისჯვრისა და აწყურის ციხეებს. 1045 წელს მარიამ დედოფლის მიერ ანისში წაყვანილ ქართველ ფეოდალთა ჩამონათვალში აბუსერ ერისთავი პირველი მოიხსენიება. ეს იმაზე მიუთითებს, თუ რა განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა არტანუჯის ერისთავი. ქალაქ ანისის ბიზანტიელთაგან გარემოცვის დროს, როგორც ცნობილია, ლიპარიტ ბაღვაშმა ქართველი დიდებულები – აბუსერი (ერისთავი არტანუჯისა, ხიხათის, ციხისჯვრისა და აწყურის ციხის პატრონი), ივანე ერისთავი, ივანე დადიანი, გუარამ გოდერძის ძე (ბეჭის ციხის პატრონი) – ქალაქიდან გამოიტყუა და შეიპყრო. ცენტრალური ხელისუფლებისათვის ეს დიდი დანაკლისი იყო. ბაგრატ IV ცდილობდა დატყვევებული ფეოდალების გამოხსნას. განსაკუთრებით არტანუჯის ერისთავის, აბუსერის გათავისუფლებაზე ზრუნავდა. 1045-1046 წლების მიჯნაზე, ბაგრატ IV-სა და განდგომილ ლიპარიტ ბაღვაშს შორის გამართული მოლაპარაკების

დროს, როდესაც კლდეკარის ერისთავი, თავის მხრივ, მეფესთან მძევლად მყოფი ვაჟის, ივანეს გათავისუფლებას ითხოვდა, ბაგრატმა ივანეს სანაცვლოდ სწორედ დატყვევებული არტანუჯის ერისთავის გაშვება მოითხოვა.

აბუსერის შემდეგ არტანუჯის საერისთავოს მისი ვაჟი გრიგოლი განაგებდა. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა 1046 წელს არყისციხესთან მომხდარ ბრძოლაში, რომელშიც ლიპარიტმა კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა საქართველოს მეფე ბაგრატ IV. კლდეკარის ერისთავმა სხვებთან ერთად არტანუჯის ერისთავი გრიგოლიც შეიპყრო. ლიპარიტი სიკვდილით დაემუქრა გრიგოლს და ამ გზით ხელთ იგდო არტანუჯის ციხე-ქალაქი. თითქმის ათი წელი არტანუჯი ბაღვაშთა ხელში იმყოფებოდა. 1055 წლისთვის, კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტის დაპატიმრებისა და საქართველოდან გაძევების შემდეგ, მეფემ სასწრაფოდ დაიბრუნა არტანუჯის ციხე.[5] ჩვენი აზრით, ამ დროიდან არტანუჯი სამეფო ქალაქთა რიცხვში უნდა ჩაეთვალათ და მეფის დომენში მოექციათ.

1080 წელს არტანუჯი სასტიკად ააოხრეს თურქ-სელჩუკებმა. მტრის მარბიელმა ლაშქარმა მთელი კლარჯეთი და შავშეთი გაანადგურა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთის ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამით ქვეყანათა მკკდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქვეყანათა შინა თურქთა, ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყჳდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა“[6].

XII საუკუნის 10-იან წლებში, ტაოდან და კლარჯეთიდან თურქ-სელჩუკთა განდევნის შემდეგ, ქ. არტანუჯმა კვლავ დაიბრუნა ძველი დიდება. იგი უწინდებურად სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

XII-XV საუკუნეების წერილობით წყაროებში არტანუჯის შესახებ მეტად მწირი ცნობებია დაცული.

ამ პერიოდის ისტორია ბევრ სადავო საკითხს ბადებს. წინამდებარე ნაშრომის მოცულობა არ გვაძლევს ამ დისპუტში ჩარევის საშუალებას. ამიტომაც

---

[5] ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის, ქართული დიპლომატია, ტ. 4, თბ., 1997, გვ. 242-249.

[6] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 319-320.

შევეცდებით, მოკლედ შევეხოთ იმ საკამათო საკითხებს, რომლებიც არტანუჯთან დაკავშირებით არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პირველი სადავო საკითხია, არსებობდა თუ არა არტანუჯის საერისთავო XI საუკუნის შუა ხანებიდან. ლ. მუსხელიშვილის აზრით, მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ არტანუჯი ლიპარიტ ბაღვაშს წაართვა, ეს ციხე თავისთვის დაიტოვა და აბუსერისძეებს აღარ დაუთმო. არტანუჯი სამეფო ქალაქად იქცა და საერისთავოს ცენტრს არ წარმოადგენდა.[7] ამის საპირისპიროდ, მ. ბახტაძე თვლის, რომ არტანუჯის საერისთავო XI საუკუნის შუა ხანებიდან კვლავ განაგრძობდა არსებობას XIII საუკუნემდე და მისი ერისთავები აბუსერისძეები იყვნენ.[8] ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მკვლევარს მოაქვს 1281-1282 წლებში ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის მიერ დაწერილი სიგელი არვანბეგ საბაისძისადმი, რომელშიც მოხსენიებულია სოფ. შეუბანი. ამ უკანასკნელს ეკისრებოდა აბუსერისძეთა საერისთავო გადასახადი. სიგელში აღნიშნულია, რომ მონღოლთაგან განდგომის ჟამს დავით ულუ კლარჯეთში გადასულა, სადაც მეფის „სამსახურისათვის" თავი გამოიჩინა არვანბეგ საბაისძემ. ამის სანაცვლოდ დავითს მისთვის სოფ. შეუბანი უბოძებია.[9] კონტექსტიდან ისე ჩანს, რომ ეს სოფელი კლარჯეთში უნდა იყოს. ნიკოლოზ კათალიკოსი დასძენს, რომ სოფ. შეუბანს აბუსერისძეთა „საერისთავოი და ბეგარი ზედა სდებოდა". ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მ. ბახტაძე ფიქრობს, რომ შეუბანი კლარჯეთის სოფელია. თუ ეს ასეა, მაშინ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ კლარჯეთი აბუსერისძეთა საერისთავო „ქვეყანა" იყო. კლარჯეთის საერისთავო „ქვეყანა" კი, ავტორის შენიშვნით, სხვა არაფერია, თუ არა არტანუჯის საერისთავო[10]. მაგრამ ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის სიგელი არტანუჯის საერისთავოს არსებობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება, რამეთუ სოფელი შეუბანი, ანუ შუბანი, აჭარაშია და, ბუნებრივია, მას შეიძლება აჭარის ერისთავების

---

[7] ტბელ აბუსერისძე, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, 1233 წლ., ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 20.

[8] მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 269. მ. ბახტაძის ნაშრომი ერთ-ერთი ღირებული გამოკვლევაა საქართველოს საერისთავოების შესახებ. ავტორს ამომწურავი ინფორმაცია აქვს მოცემული არტანუჯის საერისთავოზეც (იხ. გვ. 265-271).

დაწერილი ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსისა არვანბეგ საბაისძისადმი (1281-1282), ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, თბ., 1984, გვ. 177-178.

[10] მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 269.

აბუსერისძეთა საერისთავო გადასახადი ჰქონოდა დაკისრებული. მართალია, მეფე კლარჯეთში გაიხიზნა, მაგრამ მან არვანბეგ საბაისძეს აჭარაში არსებული სოფელი მიუბოძა. წყაროებში XII-XIII საუკუნეების არტანუჯის საერისთავოს მოუხსენიებლობაც აძლიერებს იმ ეჭვს, რომ, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, არტანუჯის საერისთავოს ამ დროს არ უნდა ეარსება. ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ არტანუჯის საერისთავოს XI საუკუნის 50-იან წლებში არსებობა უნდა შეეწყვიტა და ციხე-ქალაქი, საბოლოოდ, სამეფო დომენად (სამეფო მამულად) გამოცხადებულიყო.

XII საუკუნის 70-80-იან წლებში კლარჯეთი რამდენჯერმე მოაოხრა მუსლიმურმა ლაშქარმა. არტანუჯი ამ დროს საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ ქართველებს. მასში მოსახლეობა დაუხიზნავთ, მტერს კი დაცარიელებული სოფლები დაურბევია. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ მატიანეებში კლარჯეთის აოხრების აღნიშვნისას არტანუჯის ციხის აღებაზე საუბარი არ არის.

1175 წელს მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი სულთან არსლან-შაჰის, შამს ად-დინ ელდიგუზის და მისი ვაჟის, ფაჰლავანის სარდლობით საქართველოს შემოესია. მათი მიზანი იყო გიორგი III-ის დასჯა, რომელმაც 1174 წელს ანისის ციხე აიღო. მტერი ქვემო ქართლის გავლით თრიალეთ-ჯავახეთში მოსულა და ქალაქი ახალქალაქი მოურბევია. გიორგი III არტაანში იდგა. თავდასხმა მოულოდნელი იყო და ამიტომაც საქართველოს მეფემ ბრძოლას თავი აარიდა. ამით ისარგებლეს მუსლიმებმა და შავშეთ-კლარჯეთსაც გადასწვდნენ.

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას ბევრი მტერი ჰყავდა, უპირველესად, ჩვენი მეზობელი მუსლიმური საამიროები. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ საქართველოს მზარდი სამხედრო პოტენციალი მალე მათაც დაუპირისპირდებოდა და ამიტომაც, ეს სახელმწიფოები მარადჟამ იმის მცდელობაში იყვნენ, პერმანენტული ზიანი მიეყენებინათ საქართველოსთვის.

ახალგაზრდა თამარის გამეფებისას საქართველოს სამეფო კარზე ურთიერთს დაუპირისპირდნენ ფეოდალური კლანები. ჯერ იყო და გიორგი III-ის დროს აღზევებულ ყუბასარსა და აფრიდონს დაატოვებინეს თანამდებობა, შემდეგ თავად გამარჯვებულთა შორის ჩამოვარდა ქიშპობა. კარნუქალაქის გამგებელი შეეცადა, ტახტზე ახალგაზრდა მონარქის ასვლითა და სამეფო კარზე დაწყებული ფეოდალური კინკლაობით ესარგებლა. მან სირიელთა და გარმიანელთა (კარმიანი, იგულისხმება მალატია) დიდი კოალიცია შექმნა და 1185 წლის დასაწყისში საქართველოსაკენ ილაშქრა. მემატიანე მოგვითხრობს: „მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აღივსო შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა“.[11] მტრის შემო-

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყვე-

სევა ნაუცბათევად მომხდარა. სამეფო ლაშქარმა შეკრებაც კი ვერ მოახერხა. მუსლიმთა კოალიციას სამხრეთ საქართველოს ფეოდალები დაუპირისპირდნენ – გუზან აბულასანის ძე და ბოცო ჯაყელი. თამარის ისტორიკოსი ამ მოვლენას ასე აღწერს: „აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მის ქვეყანისა ლაშქარი, და ბოცო და ვინცაღა იხილა, მიესწრნენ მესხნი და მარბიელ-გაშუებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან აძლია, გააქციენეს მუნცა და დახოცნეს".[12] მართალია, მოვლენები კლარჯეთ-შავშეთში განვითარდა, მაგრამ პასაჟიდან არ ჩანს, ამ შემოსევას არტანუჯის ციხისათვის რაიმე ევნო. ამჯერადაც ხალხის დახმარება ქართველებს დროზე მოუხერხებიათ. ერთ-ერთი ძირითადი სახიზარი კლარჯეთის ამ ნაწილის მოსახლეობისათვის არტანუჯის ციხე იქნებოდა. მტერს მარბიელი შეუსევია კლარჯეთ-შავშეთისათვის. გუზან ტაოელს მალე ბოცო ჯაყელიც მიეშველა და ერთობლივი ძალებით ქართველებმა მომხვდურნი ქვეყნიდან განდევნეს.

ამ მოვლენის თხრობისას მემატიანესთან პირველად გამოჩნდა გუზან აბულასანის ძე, როგორც კლარჯეთ-შავშეთის „პატრონი". ეს პიროვნება ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგი თამარის მეფობის დასაწყისში კლარჯეთ-შავშეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო.

თამარის ეპოქაში, დ. ბერძენიშვილის აზრით, კლარჯეთ-შავშეთ-ტაო ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, რომელსაც გუზანი ედგა სათავეში.[13] შ. ბადრიძის მოსაზრებით კი, გუზანი კლარჯეთ-შავშეთის ერისთავთ-ერისთავია.[14] ამ საკითხს უკანასკნელ ხანს შეეხნენ ბ. კუდავა, გ. საითიძე და თ. ჯოჯუა ერთობლივ სტატიაში „ერისთავთერისთავ აბულასანის უცნობი წარწერა შავშეთიდან (XII ს.)".[15] მათი მოსაზრებით, პირველ ეტაპზე გუზანი იყო კლარჯეთ-შავშეთის ერისთავი, ხოლო ტაოს ბოძების შემდეგ – კლარჯეთ-შავშეთ-ტაოს ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის გამგებელი. შესაბამისად, არტანუჯის ციხეც გუზანის გამგებლობაში იქნებოდა მოქცეული. მაგრამ, როგორც ითქვა, არტანუჯის საერისთაო XI საუკუნის 50-იანი წლებიდან აღარ

ლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 38.

[12] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 38.

[13] დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 101-102; იგივე სტატია შესულია კრებულში: დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2006, გვ. 5-25.

[14] შ. ბადრიძე, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 312.

[15] ბ. კუდავა, გ. საითიძე, თ. ჯოჯუა, ერისთავთერისთავ აბულასანის უცნობი წარწერა შავშეთიდან (XII ს.), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №2, თბ., 2005, გვ. 34-50.

უნდა არსებულიყო. გუზანს კი, ჩანს, კლარჯეთში გარკვეული მინები ჰქონდა. მართებულია მ. ბახტაძის მითითება, რომ გუზანი ამ რეგიონში საკუთარ ფეოდალურ მამულს ფლობდა.[16] ჩვენი აზრით, გუზანის საკუთრებაში არსებული მინები არტანუჯის ხეობაში არაა საგულვებელი. ისინი უფრო ჭოროხის ხეობის ქვემო სექტორში უნდა ყოფილიყო.

მოკლედ შევეხოთ აღნიშნულ თემას. დასაწყისში გავარკვიოთ, თამარის ეპოქაში არტანუჯის ან კლარჯეთ-შავშეთის თუ კლარჯეთ-შავშეთ-ტაოს საერისთავოს არსებობის საკითხი.

წერილობით წყაროებში XI საუკუნის შუა ხანებიდან ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ ჩანს. თამარის მეფობის აღწერისას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ჩამოთვლის ამ დროის ერისთავებს და მათ საერისთავოებს. ამ სიაში არ არის მოხსენიებული არც არტანუჯის და არც კლარჯეთ-შავშეთის ერთიანი საერისთავო. დაუჯერებელია, რომ ისეთი მასშტაბის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, როგორიც იქნებოდა კლარჯეთის, მით უმეტეს, კლარჯეთ-შავშეთ-ტაოს საერისთავო, არ მოეხსენიებინა თამარის ისტორიკოსს. ტერიტორიულად იგი (კლარჯეთ-შავშეთის თუ კლარჯეთ-შავშეთ-ტაოს ერთიანობის შემთხვევაში) აღემატებოდა[17] თითქმის ყველა იმ საერისთავოს, რომლებიც მემატიანეს აქვს ჩამოთვლილი. ფაქტი, რომ თამარის ისტორიკოსის ჩამონათვალში ის შეტანილი არ არის, სერიოზული არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ასეთი საერისთავო ამ დროს უკვე აღარ არსებობდა.

საინტერესოა, ქართულ წყაროებში რა ცნობები მოიპოვება ტაო-კლარჯეთის ადმინისტრირების თაობაზე?

კლარჯეთი X-XI საუკუნიდან ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ამ რეგიონის მინის ფონდი გადანაწილებული იყო ბაგრატიონთა საგვარეულოს განშტოებათა შორის. კლარჯეთის დიდი ნაწილი XI საუკუნის დასაწყისში „კლარჯ ხელმწიფეთა“ ხელშია. მათი დამარცხების შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიქმნა არტანუჯის საერისთავო. XI საუკუნის შუა ხანებში კლარჯეთში, პარალელურად ორი საერისთავო ჩანს – არტანუჯის („აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა“) და თუხარისის („ბეშქენ ჯაყელი, თუხარისისა ერისთავი“). XI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ვითარება აშკარად იცვლება. ბაგრატ IV-ის მიერ ოპიზელი და მიჯნაძოროელი მამებისადმი გაცემულ სიგელში მოხსენიებულია არა კლარჯეთის ერისთავი,

---

[16] მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 269-270.

[17] კლარჯეთი, დაახლოებით, მოიცავდა 3271 კმ²-ს, შავშეთი – 1317 კმ²-ს, ამიერტაო – 1807 კმ²-ს.

არამედ „ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერები“.[18] ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ტანუტერები არიან სამეფო დომენის გამგებლები, ანუ მამასახლისები.[19] ეს ტერმინი დადასტურებულია ტაო-კლარჯეთსა და ატენის ხეობაში. ორივე მხარე სამეფო დომენს წარმოადგენდა. ტანუტერი, როგორც კლარჯეთში სამეფო დომენის მოხელე, XII საუკუნის II ნახევარშიც არსებობს. ეს დასტურდება კორიდეთის ოთხთავის ქართული მინაწერებით. ეს სოფელი მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის, მდ. მურღულას ნაპირზე მდებარეობდა. XIX საუკუნის მიწურულს სოფ. კორიდეთი ართვინის უბანში შედიოდა და მასში 9 კომლი ცხოვრობდა.[20] ამდენად, სოფ. კორიდეთი კლარჯეთის სოფელია. აქ შედგენილი ოთხთავის მინაწერებში კი რამდენჯერმე იხსენიება სამოხელეო ტერმინი „ტანუტერი“. კორიდეთის ოთხთავის 22 ქართული მინაწერი დაჯგუფდა 12 ისტორიულ საბუთად.[21] ქრონოლოგიურად ეს ისტორიული საბუთები, ძირითადად, X-XII საუკუნეებით თარიღდება. XII საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ ბეშქენის კორიდელ ხუცესთადმი დაწერილში ნათქვამია: „მე, ბეშქენ, ჩემისა სძლისა ხუაშაქისა ხუავიშნითა გაუშუი კორიდელთა ხუცესთა სატანუტროი დრამაი“.[22] აკ. შანიძის მიხედვით, საბუთში მოხსენიებული ბეშქენი თავად იყო ტანუტერი და „სატანუტროი დრამის“ გადახდა უპატიებია კორიდეთის ტაძრისათვის.[23] ილ. ანთელავა უარყოფს ამ ვარაუდს და ახალ მოსაზრებას გამოთქვამს: „სატანუტრო დრამა“ ერისთავის მოხელის, ტანუტერის სასარგებლოდ იკრიფებოდაო.[24] ამას მეცნიერი იქიდან გამომდინარე ამტკიცებს, რომ „მეფის „ტანუტერის“ სარგოს ერისთავი ვერ „ახდიდა“ კორიდელებს“, მაშასადამე, ბეშქენს შეეძლო, მხოლოდ თავისი „ტანუტერის“ სამსახურისაგან გაეთავისუფლებინა ტაძარიო.[25] ჩვენი აზრით, ასეთი ვარაუ-

---

[18] სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 34.

[19] აკ. შანიძე, მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1971, გვ. 112-114; ილ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეში, თბ., 1983, გვ. 206-209.

[20] В. А. Лисовский, Чорохский Край, Тф., 1887. იხ. დამატება. 1886 წლის აღწერის შედეგების მიხედვით შედგენილი ჭოროხის ხეობის დასახლებულ პუნქტთა სია, გვ. 11. კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989, გვ. 19.

[22] იქვე, გვ. 27.

[23] აკ. შანიძე, მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში, თბ., 1971,, გვ. 113.

[24] ილ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეში, გვ. 208.

[25] იქვე.

დი სწორი არ არის. ძეგლში არსად ჩანს, რომ ბეშქენს „ტანუტერი“ ჰყავს. კორიდეთის ხუცესების მეფის მოხელის გადასახადისაგან განთავისუფლება, ანუ „სატანუტროი დრამის“ მოშლა, რა თქმა უნდა, უშუალოდ ფეოდალს არ შეეძლო. ის ამ ღონისძიების ინიციატორი შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება გამონათქვამებს – „გაუშუი“ და „სატანუტროი გამომეშალა“ – ეს სიტყვები ეკუთვნის იმ პიროვნებას, რომელმაც უშუალოდ იშუამდგომლა მეფესთან, რათა ამ უკანასკნელს შეღავათი გაეწია კორიდელი ხუცესებისთვის. ასეთი სახის განცხადებები არ არის უცხო შუა საუკუნეებში. ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის შესახებ აღნიშნულია: „ბაგრატის დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგჳწყჳდა“.[26] ამ შემთხვევაშიც დედოფალი მარიამი და ბაგრატ IV ინიციატორები იყვნენ, თორემ სოლიმნის (საიმპერატორო კარიდან მონასტრებისადმი გაცემული ყოველწლიური საბოძვარი) ბოძება და დიმოსისაგან (მონასტრის გადასახადი) განთავისუფლება ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო. ამდენად, ჩვენი აზრით, კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთში მოხსენიებული „სატანუტროი დრამა“ მეფის მოხელე ტანუტერის სასარგებლო გადასახადი უნდა იყოს. ამავე ხელნაწერის XII საუკუნის მინაწერში იხსენიება „ტანუტერი კორიდელი“.[27]

XI საკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XII საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით თუ კლარჯეთში ტანუტერების ინსტიტუტი დასტურდება, მაშინ გამოდის, რომ ეს ტერიტორია სამეფო დომენია. სწორედ ამიტომაც არ იხსენიება საერისთავოთა სიაში. იგივე სტატუსი ჰქონდა ამიერ ტაოსაც, რომელიც ბაგრატიონთა მამულად ითვლებოდა.

ახლა კი გავარკვიოთ გუზან აბულასანის ძის სტატუსი. თამარის ისტორიკოსთან იგი იხსენიება, როგორც „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“. ჩვენი აზრით, ეს ტერმინი არაზუსტია. მემატიანე მხოლოდ იმ ორ პროვინციას აღნიშნავს, სადაც გუზანის მამულები მდებარეობდა. ქართულ საისტორიო მწერლობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ისტორიკოსი ამა თუ იმ ფაქტის თხრობისას თავს არ იწუხებს მიკროტოპონიმის მითითებით და ზოგადი პროვინციის დასახელებით იფარგლება. XI საუკუნის 70-იან წლებში ბიზანტიელებმა დატოვეს სამხრეთ საქართველოს ციხეები. მემატიანე ჩამოთვლის იმ პროვინციებს, სადაც ბიზანტიელთა გარნიზონები იდგა და მათ შორის ასახელებს კლარჯეთს და შავშეთს. არადა, ცნობილია, რომ ამ მხარეთა მნიშვნელოვან

---

[26] ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998, გვ. 138.

[27] კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 34. ტექსტში იხსენიება „ტანუტრობასა კორიდელისასა“.

ნაწილს იმ დროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა. ბიზანტიელები მხოლოდ კლარჯეთისა და შავშეთის რამდენიმე ციხეს ფლობდნენ. აშკარაა, რომ ისტორიკოსი მხოლოდ პროვინციის დასახელებას დასჯერდა. ზემოთ ვახსენეთ 1185 წლის დასაწყისში მუსლიმური კოალიციის ლაშქრობა, რომლის შემდეგ მტრისაგან „აღივსო შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა".[28] მაგრამ მემატიანე არსად ახსენებს რომელიმე ციხის ალყას, რაიმე დიდ შეტაკებას. იგი აღნიშნავს, რომ ქართველები მხოლოდ თურქ მარბიელებს შებმიან. ამდენად, შეუძლებელია, „მარბიელ-გაშვებულთ" აევსოთ „შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა". აქაც, კონკრეტული მიკროზონის დასახელების მაგიერ, მემატიანე იმ ისტორიულ მხარეებს უთითებს, სადაც მოვლენები განვითარდა. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამდენად, გუზანი მთელი კლარჯეთისა და შავშეთის „პატრონი" კი არ არის, არამედ ამ ორი მხარის ტერიტორიაზე ფლობს მამულებს. ჩვენი აზრით, შეიძლება გარკვეული კავშირები არსებობდეს გუზანისა და „კლარჯი ხელმწიფეების" სამამულო მფლობელობას შორის.

რას ეფუძნება ეს დასკვნა?

როგორც ცნობილია, 1027-1028 წლების საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირებისას საკმაოდ აქტუალურად იდგა 1011 წელს უფლებააყრილი „კლარჯი ხელმწიფების" მემკვიდრეობის საკითხი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1028 წელს ბიზანტიელებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, შავშეთისა და კლარჯეთის მიმართულებით განახორციელეს აგრესია. დემეტრე კლარჯის წყალობით, ბიზანტიელთა მხარეს „მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქვეყნისანი წურილისა ერისაგან".[29] დაპირისპირება ამ რეგიონში საკმაო ხანს გაგრძელდა. მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლში ყოფნისას ურთიერთშუღლი კლარჯეთსა და შავშეთში ჯერაც არ იყო ჩაწყნარებული. სუმბატ დავითის ძის მინიშნებით, საქართველოს დედოფალს რომანოზ III-ისთვის უთხოვია, „რათა მშჳდობა-ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ".[30] მემატიანის ამ ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ 1029 წლისთვის კლარჯეთსა და შავშეთში ჯერ კიდევ გრძელდებოდა დაპირისპირება და ამ რეგიონში მშვიდობის დამყარება იყო საჭირო.

---

[28] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 38.

[29] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 292.

[30] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გვ. 60.

ამდენად, ირკვევა, რომ დემეტრე კლარჯის პრეტენზიებმა საქართველოს სამეფო კარს საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საჭირო იყო ამ სკითხის მოგვარება-დარეგულირება, მაგრამ ქართული მხარისათვის ეს ადვილი არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, მარიამ დედოფალმა ნაწილობრივ ცნო დემეტრეს პრეტენზიები. ამ პიროვნების გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე XI საუკუნის 20-იან წლებში უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ბიზანტიელებს ჰქონდათ ბრწყინვალე შანსი, თავისი გავლენა განევრცოთ კლარჯეთსა და შავშეთზე და ამას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ეს რომ ნამდვილად ასე მოხდა, იქიდან ჩანს, რომ თვით XI საუკუნის 70-იან წლებამდე ბიზანტიელები ფლობდნენ ტერიტორიებს კლარჯეთსა და შავშეთში. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს, რომ გიორგი II-მ XI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მოახერხა იმ მიწების შემომტკიცება, რომლებიც მანამდე ბიზანტიელებს ეჭირათ. საქართველოს მეფის სამხედრო კამპანია ყველა მიმართულებით წარიმართა. მემატიანე წერს: „და შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“.[31] ჩვენ გარკვეული გვაქვს, როდის შეიძლება გადასულიყო ეს ტერიტორიები ბიზანტიელთა ხელში,[32] ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ დავსძენთ, რომ შავშეთისა და კლარჯეთის ნაწილში ბიზანტიელთა დამკვიდრება დემეტრე კლარჯსა და 1029/1030 წლის კონსტანტინოპოლის შეთანხმებას უნდა უკავშირდებოდეს.

ვფიქრობთ, კლარჯეთსა და შავშეთში ზუსტად ის მოხდა, რაც მოგვიანებით ანაკოფიის ციხესთან მიმართებით განხორციელდა. როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ აღიარა დემეტრეს პრეტენზიები კლარჯეთისა და შავშეთის ნაწილზე. დემეტრემ კი ეს მამულები დასაცავად ბიზანტიელებს დაულოცა. სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით დემეტრე კლარჯი უკვალოდ ქრება პოლიტიკური სცენიდან. ამ პიროვნებას ან მის ნაშიერთ ბიზანტიელები აღარასოდეს იხსენიებენ და იყენებენ საქართველოს წინააღმდეგ, მაშინაც კი, როდესაც XI საუკუნის 40-50-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში გამძვინვარებული სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. კონსტანტინოპოლელმა პოლიტიკოსებმა ამ პერიოდში საქართველოს მეფეს თავისი ნახევარძმა, დემეტრე გიორგის ძე დაუპირისპირეს. ეს უკანასკნელი, თანამოსახელის მსგავსად, ბიზანტიაში იყო

---

[31] მატიანე ქართლისაჲ, 1955, გვ. 292.

[32] ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, ტ. 9, თბ., 2002, გვ. 640-644.

გაქცეული. მთელი ამ მოვლენების ანალიზისას იბადება კითხვა: რატომ არ გამოიყენა ბიზანტიამ დემეტრე კლარჯი კიდევ ერთხელ? ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ დემეტრემ, როგორც ჩანს, მიიღო ის, რისთვისაც იბრძოდა და ამიტომაც მისი პოლიტიკურ მოვლენებში ჩართვის აუცილებლობა აღარ არსებობდა. გიორგი II-ის დროს, შავშეთისა და კლარჯეთის საბოლოოდ შემომტკიცების შემდეგ, დემეტრეს ნაშიერთ თავიანთი მამულები ამ პროვინციებში დარჩებოდათ.[33] იქნებ გუზანი მათი შთამომავალიც იყო ანდა „კლარჯ ხელმწიფეთა" მამულს მართავდა რაღაც პირობით. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული ვარაუდია. ამ მოსაზრებისკენ გვიბიძგებს ერთადერთი გარემოება – XI საუკუნეში „კლარჯი ხელმწიფები" ფლობენ მამულებს შავშეთსა და კლარჯეთში, XII საუკუნეში კი „პატრონად კლარჯეთისა და შავშეთისა" დასახელებულია გუზანი.

„ქართლის ცხოვრებაში" მოიპოვება კიდევ ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც გუზან ტაოელს შეეხება და რომელიც მეტად მნიშვნელოვანი შეიძლებოდა გამხდარიყო, თავდაპირველი სახით რომ იყოს ჩვენამდე მოღწეული. სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების" ნუსხები ამ ადგილის სხვადასხვა სახით წაკითხვას გვთავაზობს. ტექსტში საუბარია გიორგი რუსის აჯანყების დამარცხების შემდეგ გუზანის მიერ შაჰ-არმენებისადმი ციხეების გადაცემასა და მათ მოწვევაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამ აქტს დაუპირისპირდა ქართველ ფეოდალთა ნაწილი, რომელმაც მოახერხა შაჰ-არმენების უკუგდება. მემატიანე ამ კონტექსტში ახსენებს ვინმე მელვინეთუხუცესს, რომლის შესახებაც ამბობს: „სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა". ტექსტიდან დანამდვილდებით არ ჩანს, ვის მიმართაა ნათქვამი ეს სიტყვები, ან რა კონტექსტში. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში" ეს პასაჟი ასეა გადმოცემული: „... გუზან, პირველითგანვე წარწყმედელი თავისა, ანცა გამტანელი ტაოს-კარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაერმენისასა, და სამძღვარი, სახელით აზნაურის-შვილებითა, რომელთა თანა იყო მელჯინეთ-უხუცესიცა, სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა. მიეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონთაგან შეწყალებულნი".[34] ამ მონაკვეთის გასწორება სცადა კორნელი კეკელიძემ, რომელმაც სიტყვა „სამძღვარში" დაინახა „სამძივართა" გვარი, ხოლო ტერ-

[33] 2002 წელს გამოცემულ სტატიაში აღნიშნული გვქონდა, რომ შესაძლებელია, სომეხი მეფე-მთავრების მსგავსად, დემეტრეს თავისი ციხეები იმპერიის მიერ ბოძებულ მამულებზე გაეცვალა. მაგრამ ეს არ ჩანს (ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 644).

[34] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ექ. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1906, გვ. 444-445.

მინი – „სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა“ – გუზანის მომხრეების მიმართ ნახმარ ზოგად ფრაზად მიიჩნია. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის კორნელი კეკელიძისეულმა რუსულმა თარგმანმა, საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო: «Гузан, погубивший себя с самого начала, захватил Таос-Кари, Вашловани и много других крепостей и отправился к Шах-Арману. С ним отправились также Самдзивари и другие азнаурские сыновья, среди которих находился и кравчий, считавший себя за наследника Кларджети и Шавшети».[35] როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძემ ერთ-ერთმა პირველმა დაინახა, რომ ტექსტში ლაპარაკია კლარჯეთ-შავშეთის ვიღაც მემკვიდრეებზე («... считавший себя за наследника Кларджети и Шавшети»), მაგრამ იმდენად დამახინჯებულია თავდაპირველი ტექსტი, რომ კეკელიძისეული აღდგენა სხვა მეცნიერებმა არ გაიზიარეს. „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში ტექსტის ნაწილი, მართალია, ჩასწორდა, მაგრამ ბუნდოვანი ადგილები კვლავ დარჩა. უპირველესად, ეს შეეხება ფრაზას – „სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა“. კონკრეტულად არ ჩანს, ვის მიემართება ეს სიტყვები. „ვინცა გუზან პირველითგანვე წარწყმედილი თავისა, აწცა გამტანელი ტაოს-კარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა, მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა, და სამძივარი სხჳთა აზნაურისშვილებითა, რომელთა თანა იყო მეღჳნეთ-უხუცესიცა, სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა“,[36] – ამ მონაკვეთის გამართვა სცადა რ. კიკნაძემ, რომელმაც ერთმანეთს შეუპირისპირა ფარსადან გორგიჯანიძისა და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტები. მეცნიერის განცხადებით, „როცა სამეფო ხელისუფლებამ ცნობა მიიღო გუზანის განდგომის შესახებ, „მაშინ წარავლინნეს სარგის თმოგუელი და კახა სამძივარი“ და თან გაატანეს „მეღვინეთ-უხუცესიცა, სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა“. როდესაც ჯავახეთის ერთისთავი კოლის მთაზე ავიდა, იქ შემოხვდა მეორე მონაპირე, ზაქარია ფანასკერტელი, რომელიც, შესაძლებელია, თავისი ინიციატივითაც იყო წამოსული გუზანის წინააღმდეგ“.[37] თუ ამ აღდგენას დავუჯერებთ, გამოდის, რომ ვინმე მეღვინეთ-უხუცესი, ნაუყვანიათ „სეფე-შვილად“ კლარჯეთისა და შავშეთისა.

ტერმინი „სეფე-წული“/„სეფე-შვილი“ ქართულ წერილობით ძეგლებში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ამ სახელით უფლისწულებს იხსენიებდნენ.

[35] История и Восхваление Венценосцев, Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил проф. К. С. Кекелидзе, Тб., 1954, გვ. 52.

[36] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959, გვ. 55.

[37] რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 88.

თუმცაღა, არის შემთხვევები, როდესაც სეფე-წულად წარჩინებული დიდგვაროვანის შვილებიც იწოდებიან. ილია აბულაძის განმარტებით, სეფე-წული ნიშნავდა „სამეუფოჲსა კაცს", მეფის გვარის, მეფესთან დაახლოებულ და სამეფო კარის კაცს.[38] ს. ყაუხჩიშვილი ამ სიტყვას შემდეგმაირად ხსნის: სეფე-შვილი – ბატონიშვილი, უდრის სეფე-წულს, იგივე უფლისწულს.[39] ჩვენთვის საინტერესო ადგილას ტერმინი „სეფე-შვილი" აშკარად გამორჩეული მნიშვნელობითაა გამოყენებული. მემატიანეს თითქოს რაღაცაზე სურს აქცენტის გაკეთება. აქ საუბარია კლარჯეთისა და შავშეთის „სეფე-შვილობაზე", რომელშიც, საეჭვოა, დიდებულის შვილობა მოიაზრებოდეს. ყველაფერი თავის ადგილას დგება, თუ ამ სიტყვას გავიგებთ ისე, როგორც ივანე ჯავახიშვილს ესმოდა: „სომეხთა ისტორიკოსსაც მოსე ხორენელს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში სეფე-წულები მეფეთა ნათესაობის, შთამომავლობის წევრებს ეწოდებოდათ... ამისდა მიხედვით, ტერმინი „სეფეწული" უდრის „უფლისწულ"-ს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მეორე მთლად ქართული ტერმინია, პირველი კი – სპარსულ-ქართული. მაშასადამე, ქართულში ამ სპარსულ ტერმინს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს და „სეფე" სახლიშვილისა კი არა, არამედ უფლის აღმნიშვნელი გამხდარა. ამ დებულებას ტერმინი „სეფისკვერიც" ამტკიცებს, რომელიც უფლის კვერსა ჰნიშნავს რასაკვირველია და არა სახლისუფროსი შვილის კვერს, როგორი მნიშვნელობაც ამ სიტყვას უნდა ჰქონოდა, ნ. მარრის განმარტება რომ სწორე ყოფილიყო".[40]

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების" ის მონაკვეთი, რომელშიც გუზანის პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლო პერიოდია აღწერილი, ბევრ კითხვას ბადებს. მნიშვნელობა არა აქვს, ვის მიმართ გამოიყენა მემატიანემ ფრაზა – „სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა". ამჯერად მთავარი ისაა, რომ კლარჯეთსა და შავშეთში რაღაც სეფე-წულთა ინსტიტუტი არსებულა. ისიც აშკარაა, რომ „სეფე-წული" „დიდებულის შვილის" აღმნიშვნელად არ არის გამოყენებული ამ კონტექსტში. ასე რომ იყოს, მთლიანად წინადადება დაკარგავდა აზრს. ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძისეული განმარტების გაზიარების შემთხვევაში, გარკვეული კავშირი იბმება „კლარჯ ხელმწიფეებთან". თუ დავუშვებთ იმ აზრს, რომ დემეტრე კლარჯის მემკვიდრეები თამარის ეპოქაში ცხოვრობდნენ, ხომ არ ექნებოდათ მათ, როგორც ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს გვერდით შტოს, გარკვეული პრივილეგიები? იქნებ სწორედ ისინი

[38] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 388.

[39] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, ლექსიკონი, გვ. 599.

[40] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 173-174.

იწოდებოდნენ სეფე-წულად „კლარჯეთისა და შავშეთისა“? ეს სეფე-წული იყო გუზანი, მელვინეთუხუცესი თუ ვინმე სხვა, გადაჭრით თქმა, ცხადია, ძნელია. მაგრამ თავად კლარჯეთ-შავშეთის „სეფე-წულთა“ არსებობა, მრავლისმეტყველია და ამ ორი პროვინციის ტერიტორიაზე გარკვეული სტატუსის მქონე ფეოდალური ოჯახის არსებობას ადასტურებს, რომელსაც, ჩვენი აზრით, კავშირი უნდა ჰქონდეს ძველ „კლარჯ ხელმწიფეებთან“. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ოჯახის წევრი იყოს გუზანი.[41] თუ ეს ასეა, მაშინ გუზანის ერისთავობა არტანუჯში არ არის სავარაუდო. კლარჯეთის ერთი ნაწილი სამეფო დომენი იყო[42], რომელსაც ტანუტერები განაგებდნენ, ნაწილი კი – კერძო მამული. მათ შორის იქნებოდა გუზანის მინებიც. მას მამულები შავშეთშიც უნდა ჰქონოდა.

ამდენად, გუზანის „პატრონობა“ კლარჯეთ-შავშეთში მის ერისთავობას არ უნდა ნიშნავდეს. ის ამ რეგიონში (ასევე, შავშეთში) დიდ ფეოდალურ მამულს ფლობდა და ამიტომაც იყო „პატრონი“. აღნიშნული პრობლემების შესახებ საუბარს ვაპირებთ საგანგებო ნაშრომში, რომელშიც გუზანის ტაოში მმართველობის საკითხზეც გავამახვილებთ ყურადღებას.

გუზანი ვერ იქნებოდა კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავი, ვინაიდან შავშეთი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა და მას მტბევარი ეპისკოპოსი მართავდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ მტბევარს ერისთავის სახელო 1028 წლის შემდეგ უნდა მიეღო, როდესაც საბა მტბევარი, უერთგულა რა სამეფო კარს, სათავეში ჩაუდგა რეგიონში ანტიბიზანტიურ მოძრაობას.[43] „ხელმწიფის კარის გარიგებაში“

---

[41] ტერმინი „კლარჯი ხელმწიფეები“ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული სახელია. რა თქმა უნდა, ასეთი ოფიციალური ტიტული არ არსებობდა. სუმბატ არტანუჯელი, რომელიც იყო პაპა ბაგრატის მიერ შეპყრობილი სუმბატისა და გურგენისა, იწოდებოდა „ერისთავთ-ერისთავად“. ეს ტიტული უნდა ეტარებინათ სუმბატის მემკვიდრეებსაც. იმ შემთხვევაში, თუ დემეტრე კლარჯის შთამომავლობასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვარაუდი მართალია, არ არის გამორიცხული, კლარჯეთსა და შავშეთში მამულების მიღებასთან ერთად, მათ ერისთავთერისთავობაც დაებრუნებინათ. შავშეთში უკანასკნელ ხანს აღმოჩენილ წარწერაში მოხსენიებული „ერისთავთერისთავი აბულასანი“ თუ გუზანის მამა აბულასანია, მაშინ ისიც „კლარჯ ხელმწიფეთა“ შთამომავლად უნდა მივიღოთ. მის მიერ „ერისთავთ-ერისთავის“ ტიტულის ტარება ბუნებრივი უნდა იყოს.

[42] თ. ენუქიძის მოსაზრებით, გუზანი შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს სამეფო დომენს განაგებდა (თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 30). მაგრამ ეს მოსაზრება მართალი არ უნდა იყოს.

[43] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 166. იხ., ასევე: 1990 წლის გამოცემა, გვ. 166; თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 32; მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 260.

ნათქვამია: „მტბევარსა ზედა, დარბაზს, მისსა საჯდომსა უკანით, მისსა მოლარეთუხუცესსა ფარი და ჴმალი აქვს უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შავშეთისა“.[44] სამეფო კარზე არსებული ეს ტრადიცია, აშკარად, რეალური ცხოვრებიდან უნდა მომდინარეობდეს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ შავშეთის ერისთავი არ იხსენიება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერისთავთა სიაში, ამას თავისი ახსნა მოეძებნება. ამ ნუსხაში ის საერო მოხელეები არიან მითითებულნი, რომლებიც ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდნენ. მტბევარი ეპისკოპოსი ერისთავის მხოლოდ ფუნქციას ასრულებდა, ოფიციალურად კი საეკლესიო წოდებას ფლობდა. ამიტომაც თამარის ისტორიკოსმა საერო პირთა ჩამონათვალში არ შეიყვანა სასულიერო პირი, რომლის საქმიანობის სფერო არა ერისთავობა, არამედ ეპარქიის მმართველობა იყო. ერისთავის სახელო მას შეთავსებით ჰქონდა – „ერისთავიც არის შავშეთისა“.

კიდევ ერთი საკითხი: როდის უნდა დაწინაურებულიყო გუზან ტაოელი? ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს თამარ მეფის დროს მომხდარა, როდესაც მეფეს მისთვის ტაო უბოძებია. მაგრამ 1185 წლის ამბების აღწერისას გუზანი უკვე ტაოელად იხსენიება. მისთვის ტაოსკარი, ჩვენი აზრით, გიორგი III-ს უნდა გადაეცა. დემნა უფლისწულის აჯანყებისას გუზანი აჯანყებულთა მხარეს არ ჩანს. საფიქრებელია, იგი გიორგი მეფეს უჭერდა მხარს და ამისათვის დასაჩუქრდა კიდეც.

XII საუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკური ვითარება კლარჯეთში კვლავ დაიძაბა. ბიზანტიაში გაძევებულმა თამარის პირველმა ქმარმა გიორგი რუსმა 1191 წლისთვის საქართველოში თავისი უფლებების აღდგენა გადაწყვიტა. რუს უფლისწულს საქართველოში მომხრეთა საკმაოდ დიდი დასი უჭერდა მხარს. ამ მოძრაობის ხელმძღვანელები იყვნენ გუზან ტაოელი, ბოცო ჯაყელი და ვარდან დადიანი. გიორგი რუსი აჯანყებულებმა დასავლეთ საქართველოში გადაიყვანეს და „სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი და არგვეთი“ დააფიცეს მის ერთგულებაზე. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. საბოლოოდ, სამეფო კარმა მოახერხა აჯანყებულთა დამარცხება, მაგრამ გუზან ტაოელის დასჯა იმხანად ვერ მოხერხდა. მან თავი ტაო-კლარჯეთს შეაფარა. თავისი მოღალატური საქციელი გუზანმა უფრო დაამძიმა,

[44] ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, თბ., 1993, გვ. 26-27.

როდესაც ტაოს ციხეები – ტაოსკარი და ვაშლოვანი – შაჰ-არმენთა გამგებელს გადასცა. თურქებმაც არ დააყოვნეს და ლაშქარი გამოგზავნეს საქართველოში გუზანის მიერ გადაცემულ ციხეებში ჩასაყენებლად. ქართველებმა მტერი უკუაქციეს, ცოტა ხნის შემდეგ კი თავად გუზანიც შეიპყრეს. მოვლენების განვითარების ეპიცენტრი ტაო-კლარჯეთი იყო და, ბუნებრივია, არტანუჯის ციხე-ქალაქიც გარკვეულ როლს შეასრულებდა ამ პროცესში. რაკი გუზანის მიერ გადაცემულ ციხეებში არტანუჯი არ ფიგურირებს, მაშასადამე, იგი ამ ფეოდალის მფლობელობაში, თუნდაც ძალით დაპყრობილი, ამ დროს არ ყოფილა. არტანუჯში თამარის მომხრეთა გარნიზონი იდგა, რომელსაც გუზანის დამარცხებასა და კლარჯეთის შემომტკიცების საქმეში გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა.

XIII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში დატრიალებული მოვლენები, თავისთავად, არტანუჯელთა მშვიდ ცხოვრებასაც დაარღვევდა. ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე მონღოლთა შემოსევა აღმოჩნდა. მტერმა კლარჯეთიც მოარბია. მემატიანე არაფერს ამბობს მონღოლთა მიერ არტანუჯის აღებაზე. როგორც ჩანს, ამჯერადაც საქმე უნდა გვქონდეს მარბიელ ლაშქრობასთან. მოსახლეობა არტანუჯის ციხე-ქალაქში გაიხიზნა. მონღოლთა შემოსევის აღწერისას, მართალია, ჟამთააღმწერელი არტანუჯს არ ახსენებს, მაგრამ მისი განცხადება, რომ ხალხი „ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა“ კლარჯეთსაც უნდა შეეხებოდეს. ვინც მოასწრებდა არტანუჯის, ახიზას თუ სხვა ციხეებში შეღწევას, ხომ კარგი. დანარჩენი მოსახლეობა მთებს და მიუვალ ადგილებს აფარებდა თავს.

1266 წელს მონღოლებმა სამცხე – სარგის ჯაყელი-ციხისჯვარელის მამული – ერთიან საქართველოს ჩამოაშორეს და ხასინჯუდ გამოაცხადეს, ანუ პირდაპირ მონღოლთა ულუსს დაუქვემდებარეს.

რა ბედი ეწია ამ დროს არტანუჯს?

ჩვენი აზრით, არტანუჯი თავდაპირველად არ შედიოდა ჯაყელთა მამულში და მაშასადამე არც ხასინჯუს წარმოადგენდა. მემატიანის თქმით, იგი მხოლოდ ბექა ჯაყელმა დაიჭირა თავისთვის. ჟამთააღმწერელი ამ მოვლენას XIII საუკუნის 80-იან წლებში გულისხმობს. მემატიანის მითითებით, „დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმთავრესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“[45].

---

[45] ჟამთააღმწერელი, 1959, გვ. 273.

ამდენად, XIII საუკუნის მიწურულიდან არტანუჯი ჯაყელთა მფლობელობაშია. გიორგი V ბრწყინვალემ პაპამისის, ბექას სამფლობელო, მართალია, შემოიმტკიცა, მაგრამ სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი კვლავ ჯაყელებს ეკუთვნოდათ, მათ შორის, არტანუჯის ციხე. სწორედ ამ დროს არტანუჯი სამეფო დომენიდან კერძო ფეოდალურ მამულად იქცა. მას ჯერ ბექას შვილი, ხოლო შემდეგ შვილიშვილი განაგებდა. მათ ზედწოდება „არტანუჯელიც“ მიიღეს. ბექა I-ის გარდაცვალების შემდეგ სამფლობელოს მიყოლებით მართავდნენ მისი შვილები – სარგის III, ყვარყვარე I და შალვა. ვანის სახარების მინაწერში ექვთიმე თაყაიშვილმა ამოიკითხა შალვა არტანუჯელის სახელი: „პატრონმან ნათიამან... მისისა მეუღლისა ბექაისა შალვა არტანუჯელისაჲ შვილისათუის...“.[46] როგორც ვხედავთ, შალვას ჰყავს შვილი – ბექა. ეს შალვა კი ბექა I-ის ვაჟი უნდა იყოს, რომელიც ძმების შემდეგ ათაბაგი და სამცხის სპასალარიც გახდა. მანამ, სანამ ძმები მართავდნენ საქართველოს, როგორც ჩანს, შალვას მამულად არტანუჯი ეკავა. მის შემდეგ არტანუჯის მფლობელი ჩანს შოშია არტანუჯელი – ბექა I-ის შვილიშვილი და სარგის II-ის შვილი. ეს უნდა მომხდარიყო შალვას გამთავრების შემდეგ. ბიძამ ათაბაგობისა და სამცხის სპასალარობის მიღებისთანავე არტანუჯი ძმისწულს, შოშიას გადასცა. ეს ფაქტი XIII საუკუნის 60-იან წლებშია საგულვებელი. შოშია არტანუჯელი ცოცხალია და მონაწილეობს აღბუღა I ათაბაგის მიერ ჭულეში მოწვეულ კრებაში, რომელმაც კორექტირება შეიტანა ბექა I მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში. ეს თავყრილობა ჭულეს ულამაზესი მონასტრის მიდამოებში დაახლოებით 1381-1391 წლებში უნდა ვივარაუდოთ. ყოველ შემთხვევაში, კრება ვერ გაიმართებოდა 1391 წლის შემდეგ, რამეთუ ამ მოწვევის ინიციატორი, აღბუღა ათაბაგი, ამ წელს მიიცვალა. საყურადღებოა, რომ 1392 წლის 1-ელ დეკემბერს შედგენილ მეორე დოკუმენტში არტანუჯის ციხე-ქალაქი და მისი შემავალი ქვეყანა უკვე მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილებადაა გამოცხადებული.[47] მოკლედ შევეხოთ აღნიშნულ საკითხს.

---

[46] ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი I, ტფ., 1907, გვ. 17.

[47] ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, 1392 წ. 1 დეკემბერი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 176-181. აღნიშნული დოკუმენტი ზოგიერთ მკვლევარს ნაყალბევი ჰგონია, თუმცაღა, უკანასკნელ ხანს დ. ნინიძემ საფუძვლიანად გაარკვია, რომ დოკუმენტი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, რა თარიღიც უზის. 1392 წლის გუჯარში, „პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შეჰქონდათ

სამწუხაროდ, წყაროთა სიმცირის გამო, კვლავ ვარაუდებით უნდა შემოვიფარგლოთ. ათაბაგის ორი ბიძა ჭულეს კრებისას ცოცხალნი ჩანან: ერთი – შოშია, ანუ იგივე შოშია არტანუჯელი და მეორე – საფარის მონასტრის წინამძღვარი პაფნუტი[48]. ჰყავდა თუ არა შოშიას საკუთარი მემკვიდრე, არაა ცნობილი. ის, მართალია, აღბუღას შვილიშვილია, მაგრამ მამამისი ბექას ვაჟებს შორის უფროსი იყო და ადრევე, 1334 წელს გარდაიცვალა. ამდენად, შოშია აღბუღაზე დიდიც უნდა ყოფილიყო და სიბერეში შესულიც იქნებოდა (შუა საუკუნეებში სიბერეზე სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. ამჟამად ადამიანთა ასაკი მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავებულია"). ასე რომ, 1392 წლამდე მისი გარდაცვალება არაა გასაკვირი. მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ შოშიას ძმა საფარის მამათა მონასტრის წინამძღვარია. აქ ჩნდება ერთი კითხვა: ხომ არ გადასცა შოშია არტანუჯელმა, ძმის თხოვნით, მთელი თავისი მამული მცხეთის საკათალიკოსოს? შოშია არტანუჯელის მემკვიდრეები სამცხის ისტორიაში არ ჩანან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მას ან არ ჰყავდა, ან მანამდე გარდაიცვალნენ. ის ფაქტი, რომ მცხეთის საკათალიკოსო კლარჯეთში ფლობდა მამულებს, უცხო არ უნდა იყოს, მაგრამ ციხე-ქალაქი არტანუჯი პატრიარქის ტახტის კუთვნილი XIV საუკუნის მიწურულამდე არ ყოფილა. 1392 წლის 1-ელ დეკემბერს კი საკათალიკოსო მამულებში მოქცეულია „არტანუჯის ციხე და მისი შესავალი", ასევე, არტანუჯის ხევის რამდენიმე სოფელი. ვფიქრობთ, ერთადერთი სწორი ვარაუდი იქნება ვიფიქროთ, რომ შოშია არტანუჯელმა სიკვდილის წინ ან საერო ცხოვრების დატოვებისას მთელი თავისი მამული საკათალიკოსო ტახტს დაუთმო.

XIV საუკუნეში, როგორც ითქვა, ციხე არტანუჯი და ყოფილი არტანუჯის საერისთავოს რამდენიმე სოფელი მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა. 1392 წლის 1-ელ დეკემბერს შედგენილ ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მა-

---

მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ცვლილებები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველდაწყებითი ტექსტი არსებითად შეცვლილი არ ჩანს. დამატებები ხდებოდა არა მარტო ახალი მამულების ბოძების შემთხვევაში, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული წყალობისა თუ საზღვრების დაკონკრეტების დროსაც. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, საკმაოდ ბუნებრივია, რომ შინაპოლიტიკური აშლილობის გამო, გარკვეული მამულები სადავო ხდება, ამიტომ აუცილებლობამ მოითხოვა მათი ერთი ნაწილის ზუსტი ლოკალიზაცია. ის მინები, რომლებიც სადავო არ იყო, მექანიკურად გადაიწერებოდა 1392 წ. სითარხნის გუჯარის მაგვარ დოკუმენტებში" (იხ. დ. ნინიძე, პროვინციების მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995, გვ. 107).

[48] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 285.

მულების სითარხნის გუჯარში აღნიშნულია: „არტანუჯს: სოფ. ახალდაბა, სოფელი დოლისყანა, სოფელი ნიგოზეთი, სოფელი სავანეთი... არტანუჯის ციხე და მისი შესავალი, მუნვე სოფელი ციხისძირი, ახალდაბა, ბოცოს-ჯუარი და აგარა".[49]

ამ ცნობაში, მიუხედავად იმისა, რომ არტანუჯის საერისთავო უკვე გაუქმებული ჩანს, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძველი რეალობა. საბუთში ერთურთისაგან განირჩევა არტანუჯის რეგიონი, არტანუჯის ციხის შემავალი ქვეყანა და საკუთრივ არტანუჯის ციხე. მაგალითად, სოფელი დოლისყანა არტანუჯიდან საკმაოდ მოშორებულია და მისი მოხსენიება საერთო სახელის, „არტანუჯის" ქვეშ ნიშნავს იმას, რომ აქ იგულისხმება არტანუჯის ქვეყნის (ყოფილი არტანუჯის საერისთავოს) ტერიტორია. გუჯარში შემდეგ იხსენიება არტანუჯის ციხე და მისი შემავალი ქვეყანა, ანუ ძველი არტანუჯის რეგიონის ერთი მიკრორაიონი, რომელიც უშუალოდ ციხის გარშემო მდებარე სოფლებს აერთიანებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საინტერესოა ტოპონიმი ციხისძირი და დოკუმენტის შემდგენლის მითითება: „მუნვე სოფელი ციხისძირი". ამ ტოპონიმს არტანუჯის ციხის მიდამოებში ვერ მივაკვლიეთ. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ არტანუჯის დამცრობის შემდეგ თავდაპირველი სახელი მხოლოდ აკროპოლისს შერჩა, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებას კი ციხისძირი ეწოდა. მაგრამ ამ ტოპონიმს დიდხანს არ უნდა ეარსება. ოსმალების პერიოდში არტანუჯმა ძველი პოლიტიკური მნიშვნელობა დაიბრუნა და ქალაქი კვლავ აღორძინდა. ტერმინი „ციხისძირი" კი უწინდებურად „არტანუჯმა" გადაფარა.

ზუსტად რამდენ ხანს იყო არტანუჯი საეკლესიო მამული, უცნობია. ამ პერიოდში ქალაქ არტანუჯის მნიშვნელობა დამცრობილია.

XV საუკუნის შუა ხანებში, სამცხე-საათაბაგოს მმართველის, ყვარყვარე II ათაბაგის დროს, არტანუჯის ციხისა და მისი შემავალი ქვეყნის, ასევე, არტანუჯის ხეობის სოფლების მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა უნდა მომხდარიყო. საერთოდ, ცნობილია, რომ ყვარყვარე ათაბაგმა სამხრეთ საქართველოში მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილი მამულები მიიტაცა.[50] რა თქმა უნდა, ამპარტავანი ათაბაგის ყურადღების მიღმა არ დარჩე-

---

[49] ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, გვ. 178.

[50] აღნიშნულ საკითხზე იხ. ვრცლად: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 275-285; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 91-94; მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო, თბ., 1992, გვ. 47-49.

ბოდა არტანუჯის ციხე. ყვარყვარემ არა მარტო ეკლესიის კუთვნილ სოფლებს დაადო ხელი, არამედ – კათალიკოს-პატრიარქის კუთვნილ მონასტრებსაც, მათ შორის, ვარძიის მონასტერს. მართალია, კათალიკოს დავითის გაბედული ნაბიჯის წყალობით, დედაეკლესიის ერთიანობა არ დარღვეულა, მაგრამ მცხეთის საკათალიკოსოს გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა სამცხე-საათაბაგოში. არტანუჯის ციხე კიდევ ერთხელ გადავიდა ჯაყელთა ხელში.

1551 წელს არტანუჯი ოსმალებმა დაიპყრეს.

იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი დონ კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით

საქართველოში უცხო სახელმწიფოს ელჩების მიღებას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს. პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნის შემდეგ, ბუნებრივია, ქვეყნის ხელისუფალნი ცდილობდნენ დაემყარებინათ კეთილმეზობლური ურთიერთობა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ამ ურთიერთკავშირს თავიდანვე დიპლომატები აწარმოებდნენ. იმ შორეულ საუკუნეებში პროფესიონალი დიპლომატის ინსტიტუტი არ არსებობდა და ამ ფუნქციას უპირატესად გაბატონებული ფენის წარმომადგენლები ასრულებდნენ. ბუნებრივია, ქართული დიპლომატიური სისტემა ისევე, როგორც სხვა ქვეყნის დიპლომატია, არ გაჩენილა მოულოდნელად და მაშინვე არ შეუძენია მზამზარეული პოლიტიკური ფორმა. დიპლომატიური სამსახურის სისტემა შეესაბამება საზოგადოების იმ ბაზისს, რომელიც მოცემულ სახელმწიფოს შეეფარდება. ასე იყო საქართველოშიც, პირველი დიპლომატიური კავშირები, რაღაც ფორმით, სახელმწიფოს დიპლომატიური საქმიანობის ორგანიზაციასაც გულისხმობს. საერთაშორისო ურთიერთობებმა, დიპლომატების გაცვლამ ქვეყნის წინაშე დააყენა დიპლომატიური „ოქმის" – „პროტოკოლის" არსებობის აუცილებლობა. უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო უცხოელ დიპლომატთა მიღებისა და ქვეყანაში ყოფნის წესი. ეს ცერემონიალი, ბუნებრივია, საუკუნეების განმავლობაში უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებდა. XI-XII საუკუნეებში, გარდა ელჩების უშიშროების გარანტირებისა, საქართველოში მიღებული იყო მათი უზრუნველყოფა მომსახურებით – ბინით, კვებით, გაცილებით და ა. შ. ელჩებს, როგორც წესი, ბინას აძლევდნენ „სამეფო პალატებში". განსაკუთრებით საპატიო პირებისათვის გათვალისწინებული იყო რთული ცერემონიალი: აღლუმი „მუშაირი" (პოეტთა და მუსიკოსთა იმპროვიზებული გამოსვლები, სპორტული სანახაობანი, ნადიმები, ნადირობა და ა. შ.).[1]

[1] ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1994, გვ. 30-31.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ელჩების მიღების ერთიანმა წესმა, შესაძლოა, გარკვეული ცვლილება განიცადა. ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე აღმოცენებულ სამეფო-სამთავროებში თანდათან განსხვავებული დიპლომატიური ეტიკეტი დამკვიდრდა. ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფო კარზე უცხოელი ელჩების მიღების ეტიკეტმა თანდათან ორიგინალური სახე შეიძინა. ამიტომ ამ სამეფოებში არსებული დიპლომატიური ცერემონიალი ცალ-ცალკეა შესასწავლი. ქვემოთ ჩვენ კონკრეტულად იმერეთის სამეფოში XVII საუკუნეში უცხოელი ელჩები მიღების წესებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

XVII საუკუნის იმერეთის სამეფოს შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვებათ დასავლეთევროპელ და რუს მოგზაურებს, მისიონერებს, ელჩებს. ეს პირები, უპირატესად, ან დიპლომატიური კურიერები იყვნენ, ანდა იმერეთში ოფიციალური დიპლომატიური მისიით ჩამოსული ელჩები. ამიტომ მათ ყველა შემთხვევაში უხდებოდათ სამეფო კარზე წარდგენა, მიღებაც შესაბამისი ცერემონიალის ჩატარებით მიმდინარეობდა. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ჩვენთვის საინტერესო ამ ავტორთა ცნობები, რამეთუ მოგვიანებით ისინი საგანგებოდ აღწერდნენ ხოლმე თავიანთ მოგზაურობას იმერეთის სამეფოში. ბუნებრივია, ამ ცნობებში ავტორები მოგვითხრობენ იმერეთის მეფეთა კარზე არსებული ცერემონიალის შესახებაც. მათ ხომ უშუალოდ მოუხდათ ამ ცერემონიალით გათვალისწინებული წესების შესრულება, როდესაც მეფესთან წარდგნენ, ამიტომაც ამ ავტორთა ჩანაწერები დიდ ინტერესსა და ნდობას იმსახურებს.

XVII საუკუნის იმერეთის სამეფოს ისტორიის შესახებ მდიდარი მასალა შემოგვინახა დონ კრისტოფორო დე კასტელიმ. იტალიელი მისიონერის ცნობები შეეხება დასავლეთ საქართველოს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ამიტომაცაა, რომ კასტელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მრავალმხრივაა საინტერესო. წინამდებარე წერილში, იტალიელი მისიონერის მიერ ჩახატულ სურათებსა და მათზე გაკეთებულ მინაწერებზე დაყრდნობით, შევეცდებით, აღვადგინოთ იმერეთის სამეფო კარზე XVII საუკუნეში არსებული უცხოელი ელჩების მიღების წესი.

დონ კრისტოფორო დე კასტელი დაიბადა 1597 წელს პალერმოში, მდიდარი არისტოკრატის ოჯახში. თავდაპირველად იგი პალერმოში მოღვაწეობდა, შემდეგ – გენუაში. თითქმის სამი წელი კასტელი სწავლობდა თეოლოგიას,

ერთი წელი – მედიცინას. ნიჭიერმა კასტელიმ მალე მოახერხა საპროპაგანდო კონგრეგაციაში მოხვედრა.[2] 1631 წელს დონ პიეტრო ავიტაბილეს მისიონერთა მთელი არმია მოჰყავს საქართველოში, მათ შორის იყო დონ კრისტოფორო დე კასტელი. საქართველოში გამომგზავრებამდე კასტელი უკვე საკმაოდ დახელოვნებული მხატვარი იყო. 1632 წლის 25 აპრილს დონ კრისტოფორო დე კასტელი თავის ბიძას, გრეგორი კასტელის, გალიანის გრაფს სწერდა: „ოთხ დღეში, უფლის წყალობით, ჩვენ ალეპოდან გავალთ და გავემგზავრებით ჩვენს ძვირფას საქართველოში...“ იგი სთხოვდა ბიძას, მისთვის საქართველოში გამოეგზავნა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სხვადასხვა ფერის საღებავები, ასევე, ფუნჯები, რათა ბევრი სურათი დაეხატა. იგი გალიანის გრაფს იმასაც ატყობინებდა, რომ თითქმის გაუთავდა საღებავები და ეს იმიტომ, რომ რომიდან საქართველოში წასვლის წინ იტალიის მთელმა რიგმა ეკლესიებმა მას შეუკვეთეს ღვთაებრივი შინაარსის სურათები და ყველა თხოვნა შეასრულა.[3]

დონ პიეტრო ავიტაბილემ და მისმა თანამგზავრმა მისიონერებმა, ოსმალეთის გავლით, მხოლოდ ათთვიანი მოგზაურობის შემდეგ მოახერხეს საქართველოში ჩამოსვლა. 1632 წლის ივლისში ისინი გორში დაბინავდნენ. თითქმის ორი წლის განმავლობაში დე კასტელი აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა. 1634 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსის, მაქსიმე მაჭუტაძის მიწვევით, იგი გურიაში გადადის სამოღვაწეოდ. 1640 წელს ვახტანგ II გურიელისაგან დევნილი კასტელი ოდიშში გადადის და საბოლოოდ იქ მკვიდრდება. იტალიელი მისიონერი სამშობლოში დაახლოებით 1654 წლისთვის დაბრუნდა, ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცხოვრია. ისტორიკოს კოტონეს მითითებით, პატრი 1659 წლის 3 ოქტომბერს გარდაიცვალა.[4]

დონ კრისტოფორო დე კასტელიმ იმერეთში 1644-1646 წლებში იმოგზაურა. მან ორ წელზე მეტი გაატარა ქუთაისში. იტალიელმა მისიონერმა იმერეთის სამეფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების არაერთი საინტერესო ჩანახატი დაგვიტოვა. ამ მემკვიდრეობიდან ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის სურათები, რომლებშიც ასახულია იმერეთის სამეფოში არსებული დიპლომატიური ეტიკეტის დეტალები. კასტელის ამ შინაარსის არაერთი ნახატი მოეპოვება. სურათებში ასახულია როგორც თავად კრისტოფოროს

---

[2] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 140-141.

[3] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 144.

დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 17.

იმერეთში ვიზიტის ეპიზოდები, ასევე, საერთოდ, იმერეთის მეფის სასახლეში უცხო ელჩის მიღების სცენები. ასევე, მეტად ძვირფას ინფორმაციას შეიცავს ამ ნახატების მინაწერები, რომლებიც ერთგვარი განმარტებითი ბარათის როლს ასრულებს.

მართალია, კასტელი არ იყო რომის პაპის ელჩი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმერეთში იტალიელ მისიონერს განსაკუთრებული პატივით შეხვდნენ. კასტელი აღფრთოვანებულია იმერთა მეფის მიერ მისდამი გამოვლენილი მოწინებისა და პატივისცემის გამო. თეატინელი მისიონერის ქუთაისში ჩასვლამდე იმერეთში კათოლიკე ბერების მისია არ არსებობდა. პირველი წერილი, რომელიც რომის პაპმა იმერეთის მეფეს გაუგზავნა, 1626 წლითაა დათარიღებული,[5] მაგრამ შემდგომში ეს კონტაქტები არ გაღრმავებულა. მოგვიანებით რომისა და იმერეთის სამეფოს შორის ურთიერთობების აღდგენა კრისტოფორო დე კასტელის იმერეთში ჩასვლასთანაა დაკავშირებული. აქვე კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ კასტელი ელჩი არ ყოფილა, მაგრამ იტალიელი მისიონერის მონაცემებისა და სხვა წყაროთა შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ მას იგივე პატივი მიაგეს ქუთაისში, როგორსაც იმერეთში მიაგებდნენ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენელს. როგორც ჩანს, თეატინელი ბერის იმერეთში ჩასვლა მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა ყოფილიყო. კასტელი რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მიუთითებს, რომ ქუთაისში ჩასვლისას მას მეფესთან მიჰქონდა რომის პაპის წერილი.[6] სამწუხაროდ, ეს წერილი ამჟამად დაკარგულია და ცნობილი არ არის, რას სთხოვდა კათოლიკური ეკლესიის მესაჭე ალექსანდრე III-ს, მაგრამ ერთი რამ ნათელი ხდება: კასტელი ქუთაისში რომის პაპის, ურბან VII-ის დავალებას ასრულებდა. მას პონტიფექსის წერილი უნდა გადაეცა იმერეთის მეფისათვის. იქნებ სწორედ ამიტომ ალექსანდრე III კასტელის უყურებდა არა როგორც უბრალო მისიონერს, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის წმ. კონგრეგაციის

---

[5] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, გვ. 223.

P. A. Licini, Cristofero Castelle e la sua Missione in Georgia, "Regnum Dei", Anno XLI, №111, 1985, გვ. 103. იტალიელმა მკვლევარმა პატრიცია ანა ლიჩინმა ბოლო პერიოდში კასტელის საქართველოში მოგზაურობას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მანვე გამოაქვეყნა იტალიის არქივებში დაცული კასტელის საქართველოდან გაგზავნილი რამდენიმე წერილი. აღნიშნულ წყაროზე მიგვითითა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მურმან პაპაშვილმა, რომელმაც გამოაქვეყნა პატრიცია ანა ლიჩინის სტატიის მის მიერვე შესრულებული ქართული თარგმანი. ამ უანგარო დახმარებისთვის მურმან პაპაშვილს დიდ მადლობას მოვახსენებთ. იხ.: პ. ა. ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მ. პაპაშვილმა, თბ., 2009.

დავალებებს ასრულებდა და პარალელურად დავრდომილთა მკურნალობით იყო დაკავებული, არამედ როგორც რომის პაპის წარმომადგენელს. კასტელის აღნიშვნით, მეფემ მისიონერს პომპეზური მიღება მოუწყო, რომლის დროსაც ჯერ რომის პაპის ძალაუფლებაზე იმსჯელეს, მერე – ევროპის მეფეებზე.[7] ასევე, საინტერესოა ის სიტყვა, რომლითაც ალექსანდრე III-მ კასტელის პირველი შეხვედრისას მიმართა: „ღვთის მონავ, კარგა ხანია, თქვენმა სათნოებამ განაბრწყინა საქართველოს სამეფონი, თუ ჩემი სამეფო უკან ჩამორჩა სხვებს და თქვენი სიკეთე არ ეღირსა, ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მე და ჩემი სამეფო თქვენს აქ ყოფნას არ ვნატრობდით, არა, ამის მიზეზი სულ სხვა სამწუხარო ამბავი იყო. რა შევიძელი თქვენი მოწვევა, მაშინვე მივმართე ჩვენს ბიძაშვილს, მეფე დადიანს და ვსთხოვე თქვენი თავი, რომლესაც დიდი ხანია ვნატრობდი. რა კეთილ ინებეთ და მოხვედით, დიდად გავიხარეთ".[8] ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს იმერეთის მეფის სურვილი, მჭიდრო კავშირი იქონიოს რომის პაპსა და მის წარმომადგენლებთან – თეატინელ ბერებთან. ამასთანავე, ამ მიმართვიდან გამოსჭვივის ის აზრიც, რომ იმერეთში მისიონერთა არყოფნა პირდაპირ ქვეყნის პრესტიჟზე მოქმედებდა და რომ ამით „სამეფო უკან ჩამორჩა". ეს კი ნათლად მიუთითებს, რომ კასტელის იმერეთში ჩასვლა, უპირველესად, პოლიტიკური აქტი იყო. სწორედ ყოველივე ზემორე თქმულის გამო დახვდნენ პატრს ასეთი პატივით იმერეთში. იგი ქუთაისში მიიღეს არა როგორც კერძო პირი, ანდა უბრალო მკურნალი, არამედ როგორც პაპის წარმომადგენელი, რომელსაც მომავალში უნდა ეზრუნა, უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა რომი და იმერეთის სამეფო.

ამდენად, კასტელის ქუთაისში ჩასვლა იმერეთის სამეფოს გარკვეულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ერთი შეხედვით, თეატინელი ბერის ქუთაისში ჩასვლა თითქოს არაფერია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე III თავად იყო დაინტერესებული მისიის დაარსებით, დავრწმუნდებით, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფე კასტელის იმერეთში ყოფნას. ამიტომაც, სამეფო კარმა გადაწყვიტა, დე კასტელისათვის შესაბამისი დონის შეხვედრა გაემართა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კასტელის ქუთაისში სწორედ სრული დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით მიიღებდნენ. ქვემოთ ჩვენ ამ მოსაზრების სისწორეში არაერთხელ დავრწმუნდებით.

---

[7] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 598; Cajetanus M. Cottono, De Scriptoribus Clerieorum Regularium, Palerme, 1733, გვ. 94-95.

[8] მ. თამარაშვილის მითითებით, აღნიშნული მიმართვა ინახება Archive di si sillvesto-ში, მაგრამ ასეთი ზოგადი დამოწმება არაფერს იძლევა. იხ.: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 215, 661.

იმერეთის სამეფო კარის დიპლომატიური ეტიკეტი მოიცავდა საკმაოდ რთულ რიტუალს. ელჩის ქვეყანაში შესვლის შემდეგ მასპინძელი მხარე ვალდებული იყო, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი დიპლომატიური ეტიკეტის მკაცრი დაცვით მიეღო. ელჩის მიმართ გამოხატული უპატივცემულობა ელჩის დამნიშვნელი ქვეყნის უპატივცემულობად ითვლებოდა. ქვემოთ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, აღვადგინოთ იმერეთის სამეფო კარის დიპლომატიური ეტიკეტის ის ფორმა, რომელიც XVII საუკუნისათვის უნდა არსებულიყო, მაგრამ სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ბევრი საკითხი კვლავ ღიად რჩება. უპირველესად, ჩვენთვის უცნობია, რომელ უწყებას ევალებოდა ელჩის მიღება და უცხოეთში ელჩის გაგზავნა, ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი სამეფო კარზე და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ მასალიდან, რომელიც ჩვენს ხელთაა, კარგად ჩანს, რომ იმერეთში არსებობდა ჩამოყალიბებული, სრულყოფილი დიპლომატიური ეტიკეტი. შესაძლოა, თავისი მრავალფეროვნებითა და პომპეზურობით ის ვერ შეედრებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ დიპლომატიურ ეტიკეტს, მაგრამ ელჩის მიღებისათვის აუცილებელი ნორმები იმერეთში მკაცრად იყო დაცული. უფრო სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნა იმერეთის სამეფოს დიპლომატიურ ეტიკეტზე, კასტელის ალბომის გარდა, სხვა წერილობით წყაროებსაც გავეცანით და შესაბამისად, კვლევისას გამოვიყენეთ. უპირველესად, ეს შეეხება ტოლოჩანოვისა და იევლევის „მუხლობრივ აღწერილობებს“, რომლებიც კრისტოფორო დე კასტელის ცნობების მსგავსად, უძვირფასეს მასალას შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

უცხო სახელმწიფოს ელჩის ჩამოსვლას დიდი სამზადისი უძღოდა წინ. ეს შეეხებოდა იმ ელჩობას, რომლის ჩამოსვლის შესახებ სამეფო კარმა გარკვეული ხნით ადრე იცოდა. ასეთ შემთხვევაში, იმერეთის სამეფოში გათვალისწინებული იყო, ელჩისათვის მასპინძელ ქვეყანაში შემოსვლისთანავე კაცი შეეგებებინათ, რომელსაც შემდეგ უნდა შეესრულებინა მასპინძლისა და მეგზურის როლი. შეიძლება ეს ყოფილიყო რამდენიმე პიროვნება, ან ელჩს მრავალრიცხოვანი ამალა შეჰგებებოდა. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად საპატიო ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოდიოდა იმერეთში.

უცხო ქვეყნის ელჩების საზღვართან დახვედრის ცერემონიალი XVII საუკუნეზე გაცილებით ადრე არსებობდა. ამ ეტიკეტის ჩანასახი შეიძლება ვიპოვოთ ძველ აღმოსავლეთში. რომის იმპერიაშიც, გარკვეული ფორმით,

არსებობდა ელჩის მიღების მსგავსი წესი. აქ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს რომიდან საკმაოდ მოშორებით ხვდებოდნენ და ასე მოაცილებდნენ ქალაქამდე. ელჩს, განურჩევლად იმისა, რომელი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო, ეძლეოდა საცხოვრებელი. იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებთანაც რომს მტრული ურთიერთობა ჰქონდა, ქალაქში არ უშვებდნენ და გარეუბანში დააბინავებდნენ ხოლმე. სენატორთა მიერ ელჩების მიღებაც ქალაქგარეთ მიმდინარეობდა. სრულიად განსხვავებული იყო რომში მეგობარი სახელმწიფოების ელჩების მიღება. მათ უდიდესი პატივით ხვდებოდნენ და ზეიმით შეჰყავდათ ქალაქში, საცხოვრებელსაც პრესტიჟულ კვარტალში მიუჩენდნენ.[9] ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმა ელჩების დახვედრის ეტიკეტმა, შეიძლება ითქვას, ბიზანტიაში მიიღო. აქ ელჩებს საზღვართან ხვდებოდნენ, შემდეგ მიაცილებდნენ კონსტანტინოპოლამდე. მთელი გზის მანძილზე ელჩი და მისი თანმხლები პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით და საკვებით.[10]

ნაწილობრივ არაბებისაგან და ნაწილობრივ კი ბიზანტიელებისაგან უნდა აეღოთ ეს ეტიკეტი თურქებს. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს სახელგანთქმულმა ვეზირმა და ათაბაგმა ნიზამ ალ მულქიმ თავის „სიასეთ ნამეში", ანუ „პოლიტიკის წიგნში", მთელი თავი უძღვნა ელჩების მიღების, მათთან მოლაპარაკების წარმოების საკითხებს. ნიზამ ალ მულქი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ელჩების შეურაცხყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, თუნდაც იგი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს წარმომადგენელი ყოფილიყო. ამასთანავე, მთელი გზის მანძილზე იგი ბინით და საკვებით მასპინძელ მხარეს უნდა უზრუნველეყო.[11]

ელჩის საზღვართან დახვედრა, გზაში ბინით და საკვებით მომარაგება მიღებული იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც.

რუსეთში უცხო ქვეყნის ელჩს საელჩო „პრიკაზი" საზღვართან დიდებულს ახვედრებდა, რომელსაც „პრისტავი" ერქვა. ამ უკანასკნელს უნდა ეზრუნა გზაში ელჩის დაბინავებასა და კვებაზე. ამასთანავე, „პრისტავს" ელჩის მარჯვენა მხარეს უნდა ევლო და ამ დეტალს განაწესი დიდ ყურადღებას უთმობდა.[12]

---

[9] В. С. Сергеев, Дипломатия Древнего Рима, История дипломатии, 1, М., 1941, გვ. 60-62.

[10] L. Brehier, Les institutions de L,empure Byzantin, Paris, 1949, გვ. 291-324; С. В. Бахрушин, Е. А. Косминский, Варварские государства и Византия, История дипломатии, 1, М., 1941, გვ. 101.

[11] С. В. Бахрушин, Е. А. Косминский, Варварские государства и Византия, История дипломатии, გვ. 110.

[12] Н. М. Рогожин, Дела посольские, «Око всей Великой России», Об истории русской

დონ კრისტოფორო დე კასტელი, როგორც ზემოთ ითქვა, იმერეთის სამეფო კარზე მიიღეს როგორც რომის პაპის წარმომადგენელი. ამდენად, მისთვის ისეთივე პატივი უნდა მიეგოთ, როგორიც გათვალისწინებული იყო ეტიკეტით. მ. თამარაშვილი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მეფეს დიდი სამზადისი ჰქონია ყველა დიდებულის თანდასწრებით და დიდი ამბით მიუღია პატრი ისე, როგორც დიდებულ მთავრებს მიიღებენ ხოლმეო.[13] თავად კასტელი არაერთგზის მიუთითებს, თუ რა პომპეზურობით მიიღო იგი ალექსანდრე III-მ. ბუნებრივია, უბრალო მისიონერს ასეთ პატივს არავინ მიაგებდა. იმერეთში კასტელი რომის პაპის წარმომადგენლად აღიქმებოდა და ის მოწიწებაც, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს, ამით იყო განპირობებული.

დონ კრისტოფორო დე კასტელის მოგზაურობის პირველივე დღიდან სამეფო კარი იმავე რანგის პატივს მიაგებდა, როგორსაც ქუთაისში უცხო ქვეყნის ელჩებს მიაგებდნენ ხოლმე. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ჩანს კასტელის განცხადებიდან: „პატრი გზას გაუდგა... მას არანაკლებ მიეფერნენ იმ ქალაქებში, სადაც გაიარა. მეფის განკარგულებით მის პიროვნებას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ და ეფერებოდნენ ქალაქ ქუთაისამდე".[14] კასტელი აქ თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს. როგორც ვხედავთ, იტალიელი მისიონერი ქუთაისში საკმაო პატივით ჩამოუყვანიათ. ბუნებრივია, მეფე მას ხალხსაც მიაგებებდა საზღვართან. კასტელის ზემოთ მოტანილი მონათხრობი ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა, მეტიც, იმერეთის მეფეს ისიც კი ჰქონია ნაბრძანები, კასტელის მთელი გზის მანძილზე პატივით მოპყრობოდნენ. ამ დროს დონ კრისტოფორო დე კასტელი ოდიშში იმყოფებოდა, ლევან დადიანის კარზე. ალექსანდრე III-მ იტალიელი მისიონერის ჩამოსაყვანად სამეგრელოში საგანგებოდ თავისი ელჩი, ფეშანგი ნაცოდი (Besangus Nosodor) გაგზავნა. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მოეყვანა პატრი ქუთაისში. მართალია, დანამდვილებით არ ვიცით, დაახვედრა თუ არა ალექსანდრე III-მ მას აზნაურები საზღვართან, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: მთელი გზის მანძილზე პატრს დიდი პატივით ექცეოდნენ და ეს დიპლომატიური ეტიკეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. კასტელი ქუთაისამდე ჩასვლას ოთხ დღეს მოუნდა. ამ ხნის მანძილზე იმერელი დიდებულები, პატივისცემის ნიშნად, არა მარტო ეგებებოდნენ პატრს, არამედ საფიქრებელია, მის დაბინავებასა და კვებაზეც ზრუნავდნენ. სწორედ ამას უნდა მიეცა საბაბი კასტელისათვის, განეცხადებინა: „მეფის განკარგულებით,

---

дипломатической службы XVI-XVII веков, М., 1989, გვ. 48.

[13] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 215.

[14] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 218.

მის პიროვნებას განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ და ეფერებოდნენ ქალაქ ქუთაისამდე". შესაძლებელია, ასეთი გულთბილი შეხვედრა არ გაემართათ სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის, განსაკუთრებით იმისთვის, ვისთანაც იმერეთს არ ჰქონდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, ელჩს იმერეთში ყოველთვის გარანტირებული ჰქონდა პირადი ხელშეუხებლობა და ქუთაისში მიმავალ გზაზე ბინითა და საკვებით მასპინძელი მხარე უზრუნველყოფდა.

ის ფაქტი, რომ იმერეთში უცხო ქვეყნის ელჩების ჩამოსვლისას საგანგებოდ ყოფილა გათვალისწინებული მათი საზღვარზე დახვედრის ცერემონიალი, კარგად ჩანს რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის „მუხლობრივი აღწერილობებიდან". როგორც ცნობილია, ეს ავტორები ცალ-ცალკე ადგენდნენ თავიანთ „მუხლობრივ აღწერილობებს" და ამდენად, მათი ცნობების ერთგვარი გადამოწმებაცაა შესაძლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ ელჩების ქუთაისში ჩამოსვლის ზუსტი დრო უცნობი იყო, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ, თავად შეეტყობინებინათ სამეფო კარისათვის ელჩობის მიზეზი და ადგილი, იმ დროს სადაც იმყოფებოდნენ. ელჩებს, ასევე, უნდა შეეტყობინებინათ, თუ რა გზით აპირებდნენ ქვეყანაში შესვლას. სწორედ ამ საკითხების მოსაგვარებლად გაგზავნეს თერგზე მყოფმა რუსმა ელჩებმა 24 ოქტომბერს ქუთაისში ასტრახანელი წვრილვაჭარი ივანე. ეს უკანასკნელი უკან დაბრუნდა 21 იანვარს და თან ჩამოიყვანა თეიმურაზ მეფის (კახეთის მეფე ამ დროს იმერეთში იყო გადახვეწილი) სუფრაჯი, გიორგი ზურაბის ძე „ბიძინაშვილი". სუფრაჯი გიორგის მეშვეობით თეიმურაზ მეფე ელჩებს ატყობინებდა, რომ აუცილებელი იყო გაზაფხულამდე თერგზე დარჩენა და რომ მხოლოდ გამოდარებისა და მთებში გზის გახსნის შემდეგ იყო შესაძლებელი იმერეთისკენ წამოსვლა. ამასთანავე, თეიმურაზი ელჩებისადმი გაგზავნილ წერილში საგანგებოდ მიუთითებდა, თუ რა გზით უნდა შემოსულიყვნენ რუსი დესპანები საქართველოში. თეიმურაზი ელჩებს ჰპირდებოდა საზღვარზე თავისი ხალხის დახვედრასაც.[15]

ტოლოჩანოვსა და იევლევს მართლაც მოუწიათ გაზაფხულამდე თერგზე ყოფნა. იმერეთისაკენ ისინი მხოლოდ 15 აპრილს დაიძრნენ, 17 მაისს კი უკვე ბალყარეთში იყვნენ. ვინაიდან რუს ელჩებს საკმაოდ დიდი რაოდენობით ტვირთი ჰქონდათ და ბუნებრივია, ჭირდა მისი ტარება, იმერეთის მეფე

[15] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმნით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 63-66.

ალექსანდრე III-მ ტოლოჩანოვსა და იევლევს თავისი ხალხი ბალყარეთში მიაგება. 25 მაისს, ტოლოჩანოვის მითითებით, მათთან ერთად მოსკოვიდან მომავალ ქართველ ელჩებთან მივიდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის აზნაური „ნაკილი“. მან ივანე გრიგოლის ძეს და არქიმანდრიტ პახომის აუწყა, რომ ხელმწიფისა და მეფის ხაზინის გადასაზიდად და ბალყარეთში ელჩების გადასაყვანად საბარგულების მაგივრად ორას ორმოცი ქვეითი კაცი იყო გამზადებული. ამ ხალხს თან ახლდა ოთხი აზნაური.[16] რამდენიმე დღის შემდეგ ამჯერად უკვე ელჩი იევლევი ჩაიწერს: „მაისის 29 ბალყარეთში ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი ორი აზნაური შემოგვეგება: მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი (კანშოვი) და ალექსანდრე მეფისაგან წერილი მოგვართვა. ამ აზნაურებთან ერთად, ხელმწიფის ხაზინისა და ელჩების ბარგის გადასატანად ორას სამოცდაცამეტი კაცი გამოეგზავნა მეფეს“.[17] ეს სწორედ ის ხალხი უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებ რამდენიმე დღით ადრე ვინმე „ნაკილი“ აუწყებდა რუს ელჩებს, მაგრამ არც „ნაკილი“, არც მამუკა ჯაფარიძე და არც გიორგი ყანჩელი (კანშოვი) არ იყვნენ ის პირები, რომლებიც ოფიციალურად უნდა დახვედროდნენ მათ ქვეყნის საზღვართან. ზემოთ ჩამოთვლილ პირებს მხოლოდ რუსი ელჩების ტექნიკური მომსახურება ევალებოდათ.

მაშ, ვინ დახვდა რუს ელჩებს იმერეთის სამეფოს საზღვართან?

ვახუშტი ბატონიშვილი, მოგვითხრობს რა ტოლოჩანოვისა და იევლევის საქართველოში მოგზაუროობის შესახებ, საგანგებოდ მიუთითებს: „ხოლო დიდსა რუსეთის მეფესა კეთილად შეეწყნარა ხოსია და წარმოევლინა თავის დესპანად ნიკიფორე – პავლეს შვილი და მდივანი ალექსი – იოანეს შვილი ნიჭითა დიდითა. ესენი მოვიდნენ რაჭას. ამათ მიაგებნა მეფემან ალექსანდრემ ლომკაც ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე, მერმე მოვიდნენ ქუთაისს“.[18] როგორც ვხედავთ, ალექსანდრე III-ს ელჩებისათვის ლომკაც ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე მიუგებებია, მაგრამ კონკრეტულად სად, სამწუხაროდ, ვახუშტი არ ასახელებს. საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს რუსი ელჩის, იევლევის ჩანაწერები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელია გადავამოწმოთ ვახუშტის ეს ცნობა. რუსი დესპანი თავის „მუხლობრივ აღწერილობაში“ მიუთითებს: „სამ ივნისს საღამოს ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი ორი აზნაური შეგვხვდა ჩვენ და (მოსკო-

[16] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 68.

[17] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 105.

[18] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 831-832.

ვიდან ჩვენთან ერთად მომავალმა) იმერეთის ელჩმა ივანე (გრიგორიევმა) გამოგვიცხადა, რომ: თქვენ, ხელმწიფის ელჩებს, ალექსანდრე მეფემ თავისი მახლობელი (ტახტის) აზნაური შემოგაგებათ ლომკაც ჯაფარიძე და გიორგი „არისუფი" და დაავალა თქვენ ჯანჩაღობით მოეკითხეთო. ალექსანდრე მეფის ამ კაცებმა მიგვიღეს თავის მზრუნველობაში და გიორგი „კანშოვის" (ყანჩელი?) სამფლობელოსაკენ გავწიეთ ციხე-ქალაქ „თავრიჟში".[19] როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ რუს ელჩებს თავისი დიდებულები სწორედ რომ იმერეთის სამეფოს საზღვართან მიაგება. თუ გავითვალისწინებთ, რომ 29 მაისიდან 2 ივნისამდე ელჩები ჯერ კიდევ ბალყარეთში იყვნენ, მაშინ 3 ივნისს ისინი იმერეთში ახალი შემოსულები უნდა ყოფილიყვნენ.[20] ამიერიდან ტოლოჩანოვზე და იევლევზე „მზრუნველობა" ლომკაც ჯაფარიძემ და გიორგი არეშიძემ იკისრეს. ეს გვაფრიქრებინებს, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ სამეფო კარის იმ ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელები, რომელთაც ელჩების სამეფო საზღვართან დახვედრა და დედაქალაქამდე მოყვანა ევალებოდათ. ბუნებრივია, მთელ გზაზე ბინითა და საკვებით ელჩების უზრუნველყოფა მათ ეკისრებოდათ. რაჭიდან ელჩები ქუთაისში ტყიბულის გავლით წამოვიდნენ. ამ ხნის განმავლობაში ტოლოჩანოვს და იევლევს ალექსანდრე III-ის დიდებულები აცილებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმერეთის მეფემ გელათის ახლოს კიდევ შეაგება რუს დესპანებს სამეფო აზნაურების დიდი დელეგაცია მამუკა ჯაფარიძისა და გიორგი ყანჩელის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელნი ტოლოჩანოვსა და იევლევს ჯერ კიდევ ბალყარეთში დახვდნენ, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც რუს ელჩებზე ზრუნვა ლომკაც ჯაფარიძემ და გიორგი არეშიძემ იკისრეს, მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი ქუთაისში დაბრუნდნენ. ასეთი შენაცვლება, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. მამუკა ჯაფარიძისა და გიორგი ყანჩელის დაბრუნება განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მათ ოპერატიული ინფორმაცია უნდა ჩამოეტანათ ქუთაისში რუსეთის ხელმწიფის ელჩებთან დაკავშირებით და ასევე, უნდა მოეხსენებინათ სამეფო კარისათვის იმ საჭირო სამზადისის შესახებ, რომელიც აუცილებელი იყო ელჩების დასახვედრად. გელათთან კვლავ მამუკა ჯაფარიძის და გიორგი ყანჩელის შეხვედრა იმაზე მეტყველებს, რომ ეს უკანასკნელნი ამიერიდან თავის თავზე იღებდნენ ქუთაისში ელჩების დახვედრისა და დაბინავების ორგანიზებას. მოგვიანებით რუსი ელჩები არაერთგზის აღ-

[19] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა"), გვ. 106.

[20] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა"), გვ. 105-106.

ნიშნავდნენ, რომ სამეფო კარისაგან მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი მათზე საგანგებოდ ყოფილან მიმაგრებულნი. ქუთაისში ელჩების ჩამოყვანით იწურებოდა ლომკაც ჯაფარიძისა და გიორგი არეშიძის მისია. როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო კარზე გამიჯნული ყოფილა ფუნქციები. ლომკაც ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე თუ სამეფო კარის დავალებას ასრულებდნენ და საზღვართან ხვდებოდნენ ელჩებს, პარალელურად მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი ტექნიკურ ორგანიზებას უზრუნველყოფდნენ. ამასთანავე, გელათთან მამუკა ჯაფარიძისა და გიორგი ყანჩელის ტოლოჩანოვსა და იევლევთან შეხვედრა გამოწვეული ყოფილა, სხვა ყველაფრისაგან განსხვავებით, დიპლომატიური ეტიკეტით. იმერელ დიდებულებს ევალებოდათ ელჩების მგზავრობით დაღლილი ცხენების შეცვლა. ტოლოჩანოვი ამ ფაქტის შესახებ მიუთითებს: „... ალექსანდრე მეფის გამოგზავნილი თავადები და აზნაურები შემოგვეგებნა. მათ შორის მამუკა ჯაფარიძე და (იური) გიორგი „კანშოვი". ამათი ხელით ელჩებისათვის შეკაზმული ბედაური გამოეგზავნა, სხვა ჩვენი კაცებისათვის ჩვეულებრივი ცხენები".[21] ამდენად, ესეც დიპლომატიური განაწესით გათვალისწინებული პროცედურა ყოფილა.

გელათიდან რუსი ელჩები პირდაპირ ქუთაისისკენ წამოვიდნენ. მათი მოგზაურობა საბოლოოდ 21 ივნისს დასრულდა. ტოლოჩანოვი და იევლევი სამეფო კარმა რიონზე გადამდგარ მთაზე გამართულ კარვებში დააბინავა. ორი დღის შემდეგ, ალექსანდრე III-ის ბრძანებით, ისინი ქალაქის გარეუბნის სახლებში გადაიყვანეს.

ქვეყნის საზღვარზე ელჩის დახვედრის ცერემონიალი მიღებული იყო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებშიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი საქართველოში ოდითგანვე უნდა არსებულიყო. დონ არქანჯელო ლამბერტის მონათხრობით, ლევან დადიანიც ოსმალეთის სულთნის ელჩებს საზღვართან ახვედრებდა თავის დიდებულებს. „როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, – წერს ლამბერტი, – დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგს, პირდაპირ გზებს, მშვენიერს და კარგს ადგილებს და სანახავებს, გამოატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურული ტყეებით და ცუდი ადგილებით, მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით უნდა დაებინავებინათ რომელისამე ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინათ დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმლად ეშოვნათ ყველი და მწვანილი".[22] ზემომოტანილი

[21] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 94.

[22] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფესორმა ილ. ანთელავამ, თბ.,

ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ელჩებს, სამეგრელოში არსებული წეს-ჩვეულების შესაბამისად, საზღვარზე უნდა დახვედროდნენ. დიპლომატიური ეტიკეტით გათვალისწინებულ ამ წესს დადიანი, როგორც დავინახეთ, ოსტატურად იყენებდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის, მაგრამ ამჯერად ის ფაქტი გვაინტერესებს, რომ სამეგრელოში, იმერეთის სამეფოს მსგავსად, არსებულა ელჩის საზღვართან დახვედრის ცერემონიალი. ლამბერტის ამ ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომებს თურქი ელჩების დახვედრისას ევალებოდათ ამ უკანასკნელთა ბინით და საკვებით უზრუნველყოფა. მეორე საკითხია, როგორ ასრულებდნენ ისინი დიპლომატიური ეტიკეტით გათვალისწინებულ პირობებს.

სამეგრელოს სამთავროს გარდა, კახეთის სამეფოში მიღებული იყო ელჩების საგანგებოდ საზღვართან დახვედრა და მათი ბინით და საკვებით მომარაგება. ამ დეტალს კახეთის სამეფოს მესვეურნი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდნენ. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) დროს კახეთს რამდენჯერმე ეწვივნენ რუსი ელჩები. მათ მიერ შედგენილ „მუხლობრივ აღწერილობაში" საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები ის დიპლომატიური ეტიკეტი, რომელიც კახეთში არსებობდა. 1587 წელს რუსეთის მეფე თეოდორემ კახეთში გამოგზავნა თავისი ელჩები – ბირკინი და პივოვი, რომელთაც გამოატანა მოსკოვში შემუშავებული „ფიცის წიგნი". დანასაქმით, ალექსანდრე კახთა მეფეს, შვილებითა და დარბაისლებით, რუსეთის მეფის ერთგულებაზე უნდა დაეფიცა. ამის შემდეგ ალექსანდრე II-ს დესპანი უნდა უნდა გაეგზავნა რუსეთში, თეოდორესთან, საგანგებო აჯა-მოხსენებით. ხელმწიფე მოუსმენდა, „შეიწყალებდა" ხელდებულს და წყალობის წიგნს ოქრო ბეჭდით გამოუგზავნიდა. ამით მფარველობა-ხელდებულობის აქტი საბოლოოდ ძალაში შევიდოდა.[23] ასეთი საპატიო მისიის შესასრულებლად მოდიოდნენ რუსი ელჩები კახეთში 1587 წელს. მათ 16 აგვისტოს გადმოლახეს საქართველოს საზღვარი. რუსი ელჩები თავიანთ მოხსენებაში მიუთითებდნენ: «И того ж дни Встретил на Грузинском Рубеже Родивона да Петра Александра князя Грузинсково околничей его Уман, а с ними с пятдесят человекьказнауров да сто чсловекь янычан; а от Олександра князя Родивону да Петру иноходцы привели и кормъ по станомъ от рубежа Родивону да Петру, дорогою едучи, давал доволен».[24] როგორც ვხედავთ, ალექსანდრე II-ს თავადი უმანი, ანუ იგივე სახლთუხუცესი ომან ჩოლოყაშვილი მიუგებე-

1991, გვ. 31-32.

[23] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 20.

[24] С. А. Белокуров, Сношенія Россіи съ Кавказомъ, Матеріалы ізвлеченные изъ Московского главного архива министерства иностранныхъ делъ, вып. 1, 1578-1613 гг., М., 1889, გვ. 35.

ბია, რომელსაც არა მარტო დახვედრა, არამედ გზაში ელჩების მომარაგებაც ევალებოდა. თითქმის იმავე სურათს ვხედავთ რუსი ელჩების, თავად ზვენიგოროდსკისა და დიაკ ანტონოვის ჩანაწერებშიც. ეს უკანასკნელნი კახეთის მეფის სამფლობელოში 1589 წლის 5 ოქტომბერს შემოვიდნენ, 7 ოქტომბერს კი მათთან მივიდა „ოკოლჩინი" უმანი, ე. ი. ომან ჩოლოყაშვილი. მასთან ერთად იყვნენ ალექსანდრე II-ის აზნაურებიც. ომანმა ელჩებს განუცხადა, რომ ალექსანდრე II-ის დავალებით დახვდა და მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა მათი სურსათ-სანოვაგითა და საზიდებით უზრუნველყოფა.[25]

ხ. ა. ბელოკუროვისა და მ. პოლიევექტოვის მიერ გამოცემულ კახეთში რუსი ელჩების ვიზიტის აღწერილობებში დიპლომატიური ეტიკეტის ამ დეტალს არაერთხელ შეხვდებით. ყველა ელჩს კახეთში სწორედ ისე ხვდებოდნენ, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ამ ორიოდე მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ კახეთშიც, იმერეთის სამეფოს მსგავსად, მიღებული ყოფილა ელჩების საზღვართან დახვედრა და გზაში მათი სურსათ-სანოვაგითა და ბინით უზრუნველყოფა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იმერეთში ელჩებს ორი პირი ხვდებოდა საზღვართან, კახეთში კი ასეთად, რატომღაც, ერთი თავადი ჩანს.

იმერეთის სამეფოში დიპლომატიური ეტიკეტით გათვალისწინებული იყო უცხო სახელმწიფოს ელჩის ბინით და საკვებით უზრუნველყოფაც. მასპინძელი მხარე ვალდებული იყო, ქვეყანაში ყოფნისას ელჩისათვის საცხოვრებელი ფართი გამოეყო და ასევე, დროდადრო საკვებითაც მოემარაგებინა იგი.

უცხო ქვეყნის ელჩის საკვებით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყო მიღებული.[26] რომსა და ბიზანტიაში ელჩებს არა მარტო სურსათით, არამედ ბინითაც უზრუნველყოფდნენ.[27] XVII საუკუნეში, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთში, ელჩების მასპინძლობის ეს ფორმა საყოველთაოდ იყო გავრცელებული. რუსეთში XVI საუკუნეში არსებობდა ელჩების დასაბინავებელი რამდენიმე „კარი", ე. ი. სპეციალური ნაგებობა მათ მისაღებად,

---

[25] С. А. Белокуров, Сношенія Россіи съ Кавказомъ, გვ. 154.

[26] И. А. Стучевский, Древний Египет, Межгосударственные отношения дипломатия на древнем Востоке, М., 1987, გვ. 31.

[27] В. С. Сергеев, Дипломатия Древнего Рима, «Исторія дипломатии», 1, გვ. 61-63; С. В. Бахрушин, Е. А. Косминский, Варварские государства и Византия, Исторія дипломатии, გვ. 100-102.

ხოლო XVII საუკუნიდან უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ძირითადად კიტაი-გოროდში იღებდნენ.[28] მოსკოვში ელჩებს საკვებითაც მასპინძელი მხარე ამარაგებდა. უცხოელი ელჩები რუსეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე იღებდნენ სურსათს. მათ დიდი რაოდენობით სურსათს აძლევდნენ, ეს კი უცხოელი დიპლომატების სერიოზულ გაკვირვებას იწვევდა. თუმცა, სურსათის ხარისხი ხშირად უსიამოვნების მიზეზიც ხდებოდა.[29]

ქუთაისში მოსული დონ კრისტოფორო დე კასტელი სამეფო კარმა საგანგებოდ უზრუნველყო ბინით. ამას თავად იტალიელი მისიონერი მიუთითებს 588-ე ნახატზე გაკეთებულ წარწერაში: „მან (ე. ი. ალექსანდრე III-მ) მოამზადა მათთვის სახლი და საწოლი ოთახები".[30] იტალიელი მისიონერი თავის თავს მესამე პირში იხსენიებს. ზემოთ დამოწმებულ ციტატაში მითითებული საცხოვრებელი სწორედ კასტელისათვის მომზადდა. ამას ადასტურებს კასტელის ისტორიკოსი Silosi-ი, რომელიც აკონკრეტებს, რომ სასახლეში პატრს ძვირფასად მორთული ოთახი ჰქონდა.[31] რამდენად მართალია Silosi-ი, ამის თქმა



431. იმერეთის მეფის ნაბოძები, „ახალ სასახლედ" წოდებული, მისიონერების თავშესაფარი ქ. ქუთაისში

[28] Н. М. Рогожин, Дела посольские, «Око всей Великой России», Об истории русской дипломатичесской службы XVI-XVII веков, გვ. 48.

[29] ჰ. ჭიპაშვილი, დიპლომატიის ანბანი, თბ., 1993, გვ. 15.

[30] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 218.

[31] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 215; Silos, Historia Clericurum Regularium, t. 3, Rome, 1655, გვ. 306.



94. იმერეთის მეფის ფარეშები ძღვენს მიართმევენ მისიონერებს

ძნელია, მაგრამ ფაქტი ერთია: კასტელის ქუთაისში ჰქონდა სახლი, რომლის არსებობას თავადვე ადასტურებს რომში გაგზავნილ წერილში. „როდესაც მეფეს მოახსენეს ჩემი ჩასვლის შესახებ, მან ბრძანა, რომ ჩემთვის გამოეყოთ ბინა და მოვესვენებინე", – წერს კასტელი.[32] 482-ე ნახატზე გაკეთებულ წარწერაში კრისტოფორო მიუთითებს: იმერეთის მეფემ „ქუთაისში მომცა სახლი, ეკლესიაც ჩამაბარა, რომელსაც წმ. სოფია ეწოდებაო... ერთი მათგანი [საცხოვრებელი] მის სასახლესთან ახლო იყო, რომ მთავრისათვის მოსახერხებელი ყოფილიყო ხშირად ვენახე ხოლმე".[33] კასტელი რომ ქუთაისის ციხის გარეთ ცხოვრობდა ცალკე, ჩანს 92-ე ნახატის წარწერიდანაც. მეფესთან აუდიენციაზე მიმავალი კასტელი წერს: „წამიყვანეს ქუთაისისა და ციხესიმაგრის სანახავად, სადაც შევხვდი მეფეს".[34] ე. ი. კასტელის საცხოვრებელი ციხის გარეთაა საგულვებელი.

იტალიელი მისიონერი იმერეთში ორ წელზე მეტხანს დარჩა. მეფემ მას საცხოვრებელი არა მარტო ქუთაისში, არამედ სამეფოს სხვა მხარეებშიც (ბაღდადში, არგვეთში და სხვა) უწყალობა. მეფის ამ წყალობაზე კასტელი არაერთხელ მიუთითებს. ალბომში პატრს ჩახატული აქვს ეს ადგილები. განსაკუთრებით საინტერესოა იმერეთის მეფის ნაბოძები „ახალ სასახლედ" წოდებული მისიონერების თავშესაფარი ქ. ქუთაისში. ეს შენობა ორსართულიანი, აივნიანი სახლი ყოფილა, რომელსაც გვერდით საკუჭნაო ჰქონდა მოდგმული.[35]


ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საბაბს ვამტკიცოთ, რომ კასტელის იმერეთში ჩასვლის შემდეგ პატრი სამეფო კარმა საგანგებოდ უზრუნველყო საცხოვრებლით და ამისათვის საჭირო ხარჯები მასპინძელმა მხარემ გაიღო. უცხო ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენელს იმერეთში, საცხოვრებელთან ერთად, კვებითაც უზრუნველყოფდნენ. ამ ხარჯებსაც მასპინძელი მხარე

[32] P. A. Licini, Cristofero Castelle e la sua Missione in Georgia, "Regnum Dei", Anno XLI, №111, 1985, გვ. 103; პ. ა. ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 120.

[33] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 180.

[34] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 101.

[35] იხ. ნახ. 431.



151 და 152. მისიონერების მსახურნი: ოლოსია და პისკო ლაბაკია

იღებდა. ქუთაისში ჩასულ პატრს ალექსანდრე III-მ, როგორც ითქვა, ბინა გამოუყო, ამასთანავე, თავისი ფარეშების მეშვეობით მეფე ხშირად საკვებსაც უგზავნიდა მას. იტალიელ მისიონერს თავის ერთ-ერთ ნახატში (ნახ. 94) წარმოდგენილი აქვს იმერეთის მეფის ფარეშების მიერ მისიონერებისადმი ძღვნის მირთმევის სცენა. ამავე სურათზე გაკეთებულ წარწერაში ვკითხულობთ: „[იმერეთის მეფე] გვიგზავნის სამეფო პაჟებს, რომელთაც ფარეშებს უწოდებენ, რათა მოგვართვან პური და მეფური საჭმელი".[36] იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ თეატინელ ბერს საგანგებოდ გამოუყო საკმაოდ დიდი მამულები, მისცა გლეხები,[37] რომელთაც უნდა ეზრუნათ კასტელის კვებაზე, რასაც კასტელი თავადვე აღნიშნავს და მადლიერებას გამოხატავს მეფისადმი. იტალიელი მისიონერი თავის ალბომში არაერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ გულუხვად დააჯილდოვა იგი ალექსანდრე III-მ. მაგალითად, 482-ე სურათზე გაკეთებულ წარწერაში კასტელი აღნიშნავს: „თითქმის ყველა მხარის სხვადასხვა ადგილი მიჩვენა საცხოვრებლად და... მითხრა: სადაც მოგეწონოთ, იქ იცხოვრეთო და რა საქმეც გინდათ, ის გააკეთეთო... ქუთაისში მომცა სახლი, ეკლესიაც ჩამაბარა, რომელსაც წმინდა სოფია ეწოდება. გლეხების ოჯახებიც მიბოძა ჩემს სარჩენად".[38] ამ მინაწერებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავს იმერეთის მეფე კასტელიზე. ამასთანავე, გარდა ალექსანდრე III-ისა, პატრს, პატივისცემის ნიშნად, საკვებს უგზავნიან იმერეთის დიდებულები და სასულიერო

[36] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 101.

[37] იხ. ნახ. 150 და 151.

[38] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 180.

პირები. ქუთაისში სტუმრად მყოფმა ალექსანდრიის პატრიარქმაც ერთხელ მას ძღვნად თევზი და სხვადასხვა საჭმელი გაუგზავნა.[39]



340. ალექსანდრიის პატრიარქმა ძღვენი გამოუგზავნა მისიონერებს

ბუნებრივია, მარტო კასტელის არ მიაგებდნენ ამგვარ პატივს. იმერეთის სამეფოში სხვა სახელმწიფოს ელჩებსაც მსგავსი წესით ხვდებოდნენ. მაგალითად, რუსი ელჩების ქუთაისში მოსვლის შემდეგ სამეფო კარი საგანგებოდ ზრუნავდა მათ დაბინავებაზე. დასაწყისში ტოლოჩანოვი და იევლევი სამეფო კარებში დააბინავეს, ორი დღის შემდეგ კი ქალაქის გარეუბანში გადაიყვანეს. ტოლოჩანოვი წერს: „ამ კარვებიდან, მეფის ბრძანებით, ჩვენმა მეურვეებმა ელჩები ქალაქის გარეუბნის სახლებში გადაიყვანეს“.[40] იევლევი ამავე მოვლენაზე აღნიშნავს: „ივნისის 23 ალექსანდრე მეფემ კაცი გამოგვიგზავნა, ქალაქის გარეუბანში გადასვლა შემოგვითვალა და ბინა მიგვიჩინა“.[41] რუსი ელჩების ამ ჩანაწერებიდან საინტერესოა ორი დეტალი: პირველი, რომ მათ დაბინავებაზე მასპინძელი მხარე ზრუნავს და რომ არა აქვთ უფლება, თავად აირჩიონ საცხოვრებელი და მეორე – უცხო ქვეყნის წარმომადგენელს ერთ სახლს კი არ გადასცემდნენ, არამედ რამდენიმეს. როგორც ჩანს, ტოლოჩანოვი და იევლევი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ თავიანთ მსახურებთან ერთად. მოგვიანებით, მეფის ბრძანებით, ელჩებმა დროებით ქუთაისის ციხეში დაიდეს ბინა.

დონ კრისტოფორო დე კასტელის მსგავსად, ტოლოჩანოვისა და იევლევის კვებაზეც იმერეთის სამეფო კარი ზრუნავდა. ქუთაისში ყოფნის განმავლობაში რუსი ელჩებისათვის, ალექსანდრე III-ის ბრძანებით, არაერთხელ მიურთმევიათ სურსათი. ეს ძღვენი ერთჯერადი კვებისათვის არ იყო გათვალისწინებული, რამეთუ შეუძლებელია, ერთ დღეში შეჭამო იმ რაოდენობის სურსათი, რასაც მეფე ტოლოჩანოვსა და იევლევს უგზავნიდა.

---

[39] იხ. ნახ. 340.

[40] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 94.

[41] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 109.

საილუსტრაციოდ რამდენიმე ადგილს მოვიხმობთ რუსი ელჩების „მუხლობრივი აღწერილობებიდან“.

ტოლოჩანოვი წერს: „ივლისის 9 ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი აზნაურიშვილი პაატა მოვიდა ჩვენთან. მან მეფისაგან მე ნიკიფორე ტოლოჩანოვს სურსათი მომიტანა, ერთი დეკეული და რვა ქათამი, ხოლო მდივანს ალექსი იევლევს დეკეული და შვიდი ქათამი“.[42] იასე ცინცაძის მითითებით, იევლევი ელჩობის სრულუფლებიანი წევრი იყო, ხოლო ელჩობის ხელმძღვანელად ტოლოჩანოვი ითვლებოდა. ალექსი იევლევი ელჩობაში ტოლოჩანოვის შემდეგ პირველი პირი გახლდათ.[43] საკვების განაწილებისას სწორედ ამიტომაა დაცული გარკვეული დიფერენციაციაც. ელჩობის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა უფრო მეტი, ვიდრე სხვა წევრებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ჩანს ტოლოჩანოვის სხვა ჩანაწერიდანაც: „აგვისტოს 28... ალექსანდრე მეფემ ელჩებს, თავისი სახელით სურსათი გამოგვიგზავნა. ნიკიფორე ტოლოჩანოვს დეკეული, ორი ცხვარი, ცხრა ქათამი, ხუთი კოკა ღვინო და ნესვები. მთარგმნელს, თარჯიმნებს და მეთოფურებს დეკეული, ქათმები, ღვინო და ნესვები“.[44] ამ ციტატიდან იმასაც ვიგებთ, რომ იმერეთის სამეფო კარი არა მარტო ელჩების კვებაზე ზრუნავდა, არამე იმ ადამიანებზეც, რომლებიც ელჩობაში შედიოდნენ. ტოლოჩანოვს თავის „მუხლობრივ აღწერილობაში“ 21 ივლისის ქვეშ ჩაწერილი აქვს: „მეფემ ჩვენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი იევლევს და ჩვენს ხალხს სურსათი გამოგვიგზავნა, შემდეგ ალექსანდრე მეფემ თავისი სუფრიდან საჭმელი, სასმელი და ხილი გვიწილადა“.[45]

ზემოთ მოტანილი მასალა ნათლად მიუთითებს, რომ იმერეთის სამეფო კარის დიპლომატიური ეტიკეტით გათვალისწინებული ყოფილა უცხო ქვეყნის ელჩის არა მარტო ბინით უზრუნველყოფა, არამედ სურსათითაც. თითოეული დეტალის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი დარღვევა და შეუსრულებლობა პირდაპირ მიუთითებდა, რომ მეფე არ სწყალობდა ელჩობას. მაგალითად, 1651 წელს თურქეთის ელჩმა ალექსანდრე III-სთან შეხვედრისას ისეთი რამ შეჰკადრა მეფეს, რომ ააღელვა და ელჩი სასწრაფოდ დაითხოვა, თავისი გულისწყრომა კი იმით გამოხატა, რომ სულთნის წარმომადგენელი სუფრასთან არ მიიწვია და არც სურსათის მიცემა ბრძანა მისთვის.[46] ამ ცნობიდანაც

---

[42] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 110.

[43] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 5.

[44] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 123.

[45] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., გვ. 119.

[46] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 148.

კარგად ჩანს, რომ სურსათით ელჩების მომარაგება დიპლომატიური განანესით ყოფილა გათვალისწინებული.

საკვებითა და ბინით ელჩის უზრუნველყოფა მიღებული იყო სამეგრელოშიც. დონ არქანჯელო ლამბერტი ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს.[47] მაგრამ ამჯერადაც ლევან დადიანი თავისი მიზნებისათვის იყენებდა ეტიკეტის წესებს. დაბინავება და კვება კახეთშიც მასპინძელ მხარეს უნდა ეკისრა. ელჩებთან – ბირკინთან და პოვოვთან – აგვისტოს 24-ში, მეფის ბრძანებით, მივიდა აზნაური «Юрема» და გადასცა: «Государъ мой, Александр княз, велел мне у вас государевых посланников быти в приставехъ и кормъ вам велел давать доволен и велел вас поставити на своемъ дворе».[48] საგანგებოდ ზრუნავს სამეფო კარი თავად ზვენიგოროდსკისა და დიაკ ანტონოვის დაბინავებასა და კვებაზე.[49] სამწუხაროდ, წერილობით წყაროებში არაა მითითებული, რა რაოდენობის სურსათს აძლევდნენ კახეთში უცხო ქვეყნის ელჩებს, მაგრამ, ვინაიდან რუსი ელჩები ამის შესახებ ცუდს არაფერს ამბობენ, ეს არაპირდაპირად მიუთითებს, რომ მათთვის გამოყოფილი სურსათი სავსებით აკმაყოფილებდათ.

იმერეთში ჩამოსულ უცხო ქვეყნის ელჩს საპატიოდ იღებდნენ და თავიდანვე მიუჩენდნენ საცხოვრებელს. ელჩი, თავის მხრივ, მეფის წარმომადგენელს აუწყებდა, რა საკითხზე იყო მოსული და რა პირობებში სურდა მეფესთან საუბარი. ამის შემდეგ ელოდებოდა სამეფო კარზე მიწვევის ბრძანებას. შეიძლება, ამა თუ იმ საკითხის გადაუდებლობის გამო, ელჩს ჩასვლისთანავე მეფესთან მოეთხოვა ხლება, მაგრამ ამ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას მონარქი იღებდა. ელჩს უფლება ჰქონდა, ასევე, მასპინძელი მხარისათვის ეთხოვა, მის აუდიენციას არ დასწრებოდა სხვა სახელმწიფოს ელჩი. ასეთ შემთხვევაში სამეფო კარი ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა.

უცხო ქვეყნის ელჩის სამეფო კარზე წარდგენას თავისი ცერემონიალი ახლდა. ე. ცაგარელი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიუთითებდა: «Церемониалъ приема пословъ иностранныхъ государствъ, существовавший в Грузии, напоминает

---

[47] დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 32.

[48] С. А. Белокуров, Сношенія Россіи съ Кавказомъ, Матеріалы извлеченные изъ Московского главного архива министерства иностранныхъ делъ, вып. 1, 1578-1613 гг., М., 1889, გვ. 35.

[49] С. А. Белокуров, Сношенія Россіи съ Кавказомъ, გვ. 159.

частью византийский, частью персидский подобного рода придворные этикеты».[50] XI-XII საუკუნის საქართველოს დიპლომატიურ ეტიკეტზე გარკვეული ბიზანტიური გავლენა რომ იქნებოდა, ეს უდავოა. მოგვიანებით ქართულ სამეფო-სამთავროებსაც მემკვიდრეობით უნდა მიეღო ერთიან საქართველოში არსებული დიპლომატიური ცერემონიალი. მაგრამ, რამდენად იყო შემოჭრილი XVII საუკუნისათვის ჩვენს დიპლომატიურ ეტიკეტში ირანული ელემენტი, ამის თქმა იმ მასალებზე დაყრდნობით, რაც ჩვენს ხელთაა, ძნელია. რუსეთის სამეფოს დიპლომატიურმა ეტიკეტმაც ბევრი რამ სწორედ ბიზანტიისაგან აიღო და ამიტომაცაა, რომ გარეგნულად ქართულ სამეფო-სამთავროებსა და რუსეთის სამეფოში არსებული დიპლომატიური ცერემონიალები ერთგვარად ჰგავს კიდეც ერთმანეთს. დონ კრისტოფორო დე კასტელი საგანგებოდ მოგვითხრობს იმერეთის სამეფო კარზე არსებული ცერემონიალის შესახებ, მაგრამ იტალიელი მისიონერი ძირითადად მხოლოდ რაღაც ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას. მიუხედავად ამისა, ეს ცნობები ძვირფას ინფორმაციას შეიცავს. კასტელი მიუთითებს:

„ქართველთა მეფე დიდ პატივს აგებს უცხოელთ, ძლიერ უყვარს ისინი და სურს, თავისიანებიც ასევე ექცეოდნენ. ყოველთვის ადიდებდეთ ჩემს მეუფეს. მეფემ სამგზავროდ მთლად ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოკაზმული ცხენი მიბოძა. მისმა მხედრებმა შუაში ჩამიყენეს და ისე წამიყვანეს ქუთაისისა და ციხესიმაგრის სანახავად, სადაც შევხვდი მეფეს, მან დიდი პატივი მცა, რამაც ძალიან დამარცხვინა" (ნახ. 92).[51] ამ ამბებს კასტელის ისტორიკოსი Cajetanus Maria Cottono უფრო საინტერესოდ აღწერს: „მეორე დღეს ნასადორო, რამდენიმე წარჩინებულთან ერთად, პატრს ეახლა და მეფის სახელით აუწყა, ოქრომკედითა და თვალმარგალიტით მოკაზმულ ცხენზე ამხედრებულიყო, რათა მათთან ერთად ქალაქი კოტატისი შემოეარა. პატრი შეეწინააღმდეგა: ჩემს სიმდაბლეს არ შეჰფერის მეფური დიდებულებაო. რაკი უარი გადაჭრით განაცხადა; ამგვარი ფუფუნება სარწმუნოებრივ აღთქმას სავსებით ეწინააღმდეგებაო. მისი უარი მეფეს მოახსენეს, მაგრამ მეფემ არ დაიშალა. კვლავ სთხოვა: ეს პატივი ძალზე მცირეა და მიეცი შენ თავს უფლება მორთმეულ ცხენზე ამხედრებისო. ისიც მეტი თავმდაბლობით დაეთანხმა – ჯერ ქალაქი მოატარეს, შემდეგ ციხეც უჩვენეს და პატრმა ორივე დიდად მოიწონა".[52]

იმერეთის მეფესთან შესახვედრად მიმავალი კასტელი გამოსახულია 91-ე და 92-ე სურათებზე. იტალიელმა მისიონერმა არა მარტო სიტყვიერი აღწერილობა დაგვიტოვა ამ ცერემონიალისა, არამედ, მისი ჩანახატების წყალობით,

[50] А. А. Цагарели, Сношения России с Кавказом в XVI-XVIII вв., С.-П., 1891, გვ. 26.

[51] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 101.

[52] Cajetanus M. Cottono, De Scriptoribus Clerieorum Regularium, Palerme, 1733, გვ. 94-95.

საშუალება გვაქვს, ვიზუალურადაც წარმოვიდგინოთ ეს პროცესი. 91-ე სურათზე ორი მხედარი მიაცილებს დე კასტელის იმერეთის მეფის სასახლემდე. პატრი ამხედრებულია, როგორც თავად ამბობს, ძვირფასი ქვებით მოჭედილი უნაგირით შეკაზმულ ცხენზე და მხლებლების შუაში დგას. მომდევნო, 92-ე სურათზე კი, თითქმის იგივე სცენაა განმეორებული, ოღონდ აქ კასტელის, ორი აზნაურის გარდა, უკან სხვა წარჩინებულებიც მოჰყვებიან. ორივე სურათზე ერთი და იგივე მოვლენაა ჩახატული – კასტელის მისვლა სამეფო კარზე. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ პატრის თანმხლებ პირებად ორივე სურათზე ერთი და იგივე ხალხია გამოსახული. ამ უკანასკნელთა ჩაცმულობიდან კი კარგად ჩანს, რომ ისინი დიდებულები უნდა ყოფილიყვნენ. მართალია, კასტელი აღნიშნავს, რომ თითქოს ქუთაისის ციხის სანახავად მიჰყავდათ, მაგრამ ეს მხოლოდ იტალიელი მისიონერის პოზიციაა. ქართველი დიდებულები პატრს მეფესთან აუდიენციაზე მიაცილებდნენ და ამიტომ იყო, რომ სრული დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით მიიყვანეს ალექსანდრე III-ის სასახლემდე.



91. ორი მხედარი მიაცილებს დე კასტელის იმერეთის მეფესთან, ქუთაისში



92. დე კასტელი, მხედრების თანხლებით, ქუთაისის ციხის სანახავად მიჰყავთ

იტალიელი მისიონერის ამ ცნობის წყალობით, ნათლად ჩანს, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლების მეფესთან წარდგენა გარკვეული ცერემონიალის დაცვით მიმდინარეობდა. უპირველესად, ის უნდა მჯდარიყო ოქრო-ვერცხლით მოკაზმულ ცხენზე. რაც მთავარია, ქუთაისის სასახლემდე მას უნდა გაჰყოლოდა ორი აზნაური, უფრო სწორად, ელჩი ორი იმერელი აზნაურის შუაში მდგარი უნდა მისულიყო სამეფო კარზე. კასტელის ნახატებიდან დიპლომატიური ეტიკეტის ეს დეტალი საკმაოდ კარგად ჩანს.

იტალიელი მისიონერის ამ ცნობების გადამოწმება ხერხდება რუსი ელჩების – ტოლოჩანოვისა და იევლევის მონაცემების საფუძველზე.

ნიკიფორე ტოლოჩანოვი აღნიშნავს:

„ივნისის 24 ალექსანდრე მეფემ თავისი მდივანი ფეშანგი „ამირევი" გამოგვიგზავნა და გვიბრძანა, მას საელჩო საქმეებზე მოსალაპარაკებლად ვხლებოდით. ჩვენ, ელჩებმა, მეფის მდივანს, ფეშანგს დავავალეთ მეფისათვის გადაეცა: მეფის (თვალების ხილვის) აუდიენციის მოხარული ვიქნებოდით და მოსალაპარაკებლადაც მზად ვიქნებოდით, მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენ, ელჩები, მეფე ალექსანდრესთან გამოვცხადდებოდით სხვა სახელმწიფოს მოციქული ან ელჩები არ უნდა ყოფილიყვნენ. ალექსანდრე მეფემ იგივე მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი გამოგვიგზავნა საპასუხო ცნობით და ცხენებიც მოგვართვა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი ხალხისათვის, ფეშანგი მდივანმა მეფის სიტყვებიც გადმოგვცა, რომ სხვა სახელმწიფოს ელჩები და მოციქულები არ მეყოლებაო, რაკი თქვენი ხელმწიფის ბრძანებულება ასეთი ყოფილა და როგორც ხელმწიფეს უმჯობესად მიუჩნევია, მეც ისე მოვიქცეიო.

ჩვენ ცხენებზე შევჯექით და ელჩობაზე გავემგზავრეთ".[53]

ამავე მოვლენას უფრო სრულად აღწერს ალექსი იევლევი:

„ივნისის 25. ელჩებმა ნიკიფორე და ალექსიმ, ალექსანდრე მეფეს შევუთვალეთ, რომ ჩვენთვის საელჩო დავალებაზე მოსალაპარაკებლად მის წინაშე გამოცხადება ებრძანებინა და ამასთანავე კაცები გამოეგზავნა ჩვენთან, ხელმწიფის წყალობის, სიასამურის ბეწვეულის, გადასატანად, ხოლო ელჩებისათვის ცხენებიც გამოეგზავნა. იმავე დღეს ალექსანდრე მეფემ, ელჩებს ცხენები გამოგვიგზავნა, ცხენები ვერცხლით მოჭედილი უნაგირებით იყო შეკაზმული, აღვირ-ლაგამი კი ოქროთი იყო გაწყობილი. სიასამურის გადასატანადაც კაცები გამოგვიგზავნა.

ნიკიფორემ და ალექსიმ ხელმწიფის მიერ გამოტანებული სიასამური გადავსინჯეთ, წესრიგში მოვიყვანეთ და სიის მიხედვით მამუკა ჯაფარიძეს და გიორგი „კანშოვს" ჩავაბარეთ (ეს აზნაურები ჩვენზე იყვნენ მომაგრებული).

[53] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. გვ. 94-95.

ესენი ბეწვეულს თავიანთ მეთოფურებს ურიგებდნენ გადასატანად, ამათ რუსულად სტრელცები ეწოდებათ. ჩვენ, ელჩებმა, ამათ ვუბრძანეთ წინ წასულიყვნენ, ხოლო ხელმწიფის სიგელი მდივნის თანაშემწეს მივეცით და ვუბრძანეთ იგი წინ, მაღლა ხელებაწეული დაეჭირა და ისე წაეღო ჩვენ წინ. ჩვენ, ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, ცხენებზე შევჯექით და ამათ უკან გავყევით...“.[54]

ამ აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ ტოლოჩანოვი და იევლევი, კრისტოფორო დე კასტელის მსგავსად, ოქრო-ვერცხლით მოკაზმული ცხენებით მიუყვანიათ სამეფო კარამდე. აუდიენციამდე მეფესა და ელჩებს შორის კურიერის როლს ასრულებდა „მდივანი ფეშანგი“, რომელსაც, ამასთანავე, ევალებოდა ალექსანდრესთან შეხვედრის დეტალების საბოლოო დაზუსტება. ეს „ფეშანგი“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს კასტელისთან აუდიენციის წინ მისული ვინმე ნასოდორო. ამ უკანასკნელს, იტალიელი მისიონერის თქმით, რქმევია ფეშანგი ნაცოდი. სწორედ მან ჩაიყვანა კასტელი იმერეთში. სრულიად დასაშვებია, კასტელისთან მოხსენიებული „მდივანი ფეშანგი“ ერთი და იგივე პირი იყოს. მართლაც, ალექსანდრე III-ის დროს სამეფო კარის მდივანი იყო ვინმე ფეშანგი, რომელიც შეიძლება გავაიგივოთ კიდეც კასტელისა და რუსი ელჩების მიერ მოხსენიებულ „ფეშანგთან“. თუ ასეა, გამოდის, რომ მეფესთან აუდიენციის წინ ეტიკეტით გათვალისწინებული ყოფილა მეფის მიერ ელჩებთან თავისი მდივნის გაგზავნა, რომელსაც შეხვედრის დეტალები უნდა დაეზუსტებინა. ეს კარგად ჩანს როგორც კასტელის, ისე რუსი ელჩების მონათხრობიდან.

ტოლოჩანოვისა და კასტელის ჩანაწერებიდან ისე ჩანს, თითქოს მთელ ამ ცერემონიალს ფეშანგი ხელმძღვანელობს. მაგრამ, ფეშანგის გარდა, სხვა პირებიც რომ მონაწილეობდნენ საზეიმო მსვლელობაში, კარგად ჩანს კასტელის ნახატებიდან. მას ხუთი პირი მიაცილებს ქუთაისის სასახლემდე. აქედან ორს უშუალოდ კრისტოფოროს გვერდით ხლება აქვს დავალებული. რუს ელჩებს რომ სამეფო კარამდე ორი დიდებული მიაცილებდა, ჩანს ალექსი იევლევის ჩანაწერებიდან. აქ ფეშანგი საერთოდ არ არის მოხსენიებული, სამაგიეროდ, ალექსისთან ფიგურირებს ორი იმერელი აზნაური – მამუკა ჯაფარიძე და გიორგი „კანშოვი“, რომლებსაც ელჩები აბარებენ კიდეც რუსეთის ხელმწიფის მიერ გამოგზავნილ სიასამურის ბეწვს. ალექსი იევლევთან ისე ჩანს, რომ სწორედ ეს ორი აზნაურია მათი გამცილებელი სამეფო კარამდის. აქვე დავძენთ, რომ, რა თქმა უნდა, გარდა მამუკა ჯაფარიძისა და გიორგი „კანშოვისა“, ელჩებს სხვა იმერელი დიდებულებიც მიჰყვებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ტოლოჩანოვისა და იევლევის უშუალო ხლება სწორედ მამუკასა და გიორგის ევალებოდათ. სხვა შემთხვევაში, როდესაც რუსი ელჩები მეფესთან

[54] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 109-110.

მიემგზავრებოდნენ შესახვედრად, მათ ყოველთვის აცილებდა ორი იმერელი აზნაური. უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს იმერეთში არსებული დიპლომატიური ეტიკეტის შემადგენელი ნაწილი იყო. ასევე, რუს ელჩებს, მეფესთან აუდიენციაზე მიმავალთ, ძირითადად, ოქრო-ვერცხლით მოკაზმულ ცხენებს მიართმევდნენ ხოლმე. ვფიქრობთ, არც ეს იყო შემთხვევითი. ამდენად, სრულიად შესაძლებელია, კასტელისა და რუსი ელჩების ცნობების საფუძველზე, იმერეთის სამეფო კარზე არსებული დიპლომატიური ეტიკეტის რეპროდუცირება მოვახდინოთ. ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, გამოჩნდება, რომ მეფესთან პირველი აუდიენციის წინ ელჩებთან მიდიოდა მეფის წარგზავნილი სამეფო კარის მდივანი, რომელიც აზუსტებდა შეხვედრის დეტალებს. აუდიენციის დღეს კი ფარეშებს ევალებოდათ მეფის საჯინიბოდან ოქრო- ვერცხლით მოკაზმული ცხენების გამოყვანა და მათი ელჩებისათვის მირთმევა (შეიძლება ამასაც მეფის მდივანი ხელმძღვანელობდა). ამასობაში, ელჩებთან მიდიოდა იმერელ აზნაურთა დასი, რომელსაც უცხო ქვეყნის წარმომადგენლები მეფის სასახლემდე უნდა მიეცილებინა. ამ დიდებულთაგან ყველაზე უფრო წარჩინებულთ ელჩები შუაში უნდა ჩაეყენებინათ და ასე მიეყვანათ სამეფო კარამდე. დანარჩენები უკან მისდევდნენ ელჩებს, დაახლოებით ისე, როგორც ჩახატული აქვს კრისტოფორო დე კასტელის.

მსგავსი ცერემონიალით მიმდინარეობდა დიპლომების წარდგენა კახეთის სამეფო კარზეც. გარკვეული განსხვავება ამ ორი სამეფოს დიპლომატიურ ეტიკეტებს შორის, ბუნებრივია, იარსებებდა, მაგრამ ძირითადად ეს პროცესი იმერეთსა და კახეთში ერთი და იმავე წესით მიმდინარეობდა. მეფის მიერ გამოგზავნილი ორი წარჩინებული ელჩებს მიართმევდა ბედაურებს. ამის შემდეგ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები მიემართებოდნენ აუდიენციაზე შემდეგი რიგით: წინ მიდიოდნენ „სტრელცები სიათებით“, მათ შემდეგ მოჰქონდათ „ძღვენი“ „სრულიად რუსეთის მეფისა“, შემდეგ მოდიოდნენ „პრისტავების“ თანხლებით.[55]

უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიღების ჟამს, ბუნებრივია, სამეფო კარიც საგანგებოდ იყო მოწყობილი. სასახლეში მიწვეულნი იყვნენ ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური და სასულიერო პირები. მეფე სწორედ მათი თანდასწრებით ხვდებოდა ელჩებს. ქუთაისში ჩამოსვლისას დონ კრისტოფორო დე კასტელის სწორედ ასეთი საპატიო შეხვედრა მოუწყვეს. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ იგი იმერეთში, როგორც უბრალო მისიონერი, ისე არ მიიღეს. ამგვარმა დახვედრამ თავიდანვე გააკვირვა კრისტოფორო. არა მარტო კასტელის

[55] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 115.

აოცებდა ეს, არამედ მის ისტორიკოსებსაც, რომლებიც საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას სამეფო კარის მიერ გამოჩენილ ამ პატივისცემაზე.

კასტელი ერთგან წერს:

„მეფის განკარგულებით მის პიროვნებას განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ და ეფერებოდნენ ქალაქ ქუთაისამდე... მის შესახვედრად მოვიდა ყველა წარჩინებული და უპირველესი რანგის მოქალაქე არა მარტო სამეფო ოჯახიდან, არამედ მეზობელი ქალაქებიდან. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი მეფესთან".[56] იტალიელი მისიონერი, როგორც არაერთხელ ითქვა, ამ ციტატაშიც თავის თავს მესამე პირში იხსენიებს. ამგვარი პომპეზური და ხალხმრავალი შეხვედრა იმერეთის მეფემ სწორედ დონ კრისტოფორო დე კასტელის გაუმართა. ამ მოვლენებს იტალიელი მისიონერის ისტორიკოსები, Silos-ი და Cottono შემდეგნაირად აღწერენ:

„მაშინვე, რა დღესაც მივიდა, – წერს Silos-ი, – წარსდგა მეფის წინაშე. მეფის ბრძანებით, სასახლე მოერთოთ და დაეგოთ ძვირფასი სპარსული ხალიჩები. აგრეთვე მოუწოდა მეფემ ყველა წარჩინებულთ დიდების აღსამატებლად, თვითონაც შეიმოსა საუკეთესო ტანისამოსით. რა დაინახა მომავალი, აღსდგა ტახტიდან, წინ მიეგება, სიყვარულით გადაეხვია და საპატიო ადგილას დასვა".[57]

Cajetanus M. Cottono, წინამორბედი ისტორიკოსის მსგავსად, საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ მოწიწებას, რომელიც იმერთა მეფემ კრისტოფოროსადმი გამოიჩინა. „... მასპინძლის მიერ გამოვლენილი სხვაგვარი პატივისცემაც აშკარად აღემატებოდა ჩვეულებრივს. მეფემ იმ დღესვე მოიხმო თავისთან, რა დღესაც ჩავიდა; ბრძანა, სასახლეში ძვირფასი ნაკეთობის სპარსული ხალიჩები დაეგოთ და ყველა შადრევანი აემოქმედებინათ. დიდების აღსამატებლად კარზე წარჩინებულები მოიწვია და თავადაც ძვირფას სამოსელში გამოეწყო. რა დაინახა მომავალი სტუმარი, ადგა, დიდი სიყვარულით გადაეხვია და მეტად საპატიო ადგილზე დასვა. მერმე სიტყვით მიმართა და თქვა, რომ საკუთარი სურვილის ახდენა თვითონვე გააჭიანურა. ახლა კი სამართლიანად მიაჩნია, თავადაც დატკბეს ეგოდენ გამოჩენილი კაცის სათნოებით, რომლის ხელოვნება უკვე მრავალი წელია დიდი ნაყოფიერებით ემსახურება ერს სხვა ქართველ მთავართა სამფლობელოებში. შემდეგ მიყვნენ სხვადასხვა საკითხზე საუბარს – ჯერ რომის პაპის ძალაუფლებებზე იმსჯელეს, მერე – ევროპის მეფეებზე".[58]

---

[56] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 218.

[57] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 215; Silos, Historia Clericurum Regularium, t. 3, Rome, 1655, გვ. 306.

[58] მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 598; Cajetanus M. Cottono, De Scriptoribus Clerieorum Regularium, Palerme, 1733, გვ. 94-95.

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდი სამზადისი გაუწევია სამეფო კარს კასტელის შესახვედრად. უპირველესად, დარბაზი, სადაც ცერემონიალი იმართებოდა, ძვირფასი ხალიჩებით უნდა ყოფილიყო გაწყობილი, მეფეც „ძვირფას სამოსში" გამოწყობილი უნდა შეჰგებებოდა უცხო ქვეყნის წარმომადგენელს. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მეფესთან აუდიენციაზე შემოვიდოდა, მისალმების შემდეგ მონარქი გვერდით მოისვამდა და იწყებოდა მოლაპარაკება.

რომში გაგზავნილ წერილებში კასტელი მიუთითებს, რომ ქუთაისში ჩასვლისას მან მეფე ვერ ნახა, რადგან ეს უკანასკნელი ცხენბურთს თამაშობდა. მან „თამაშის წესის დაცვით, ჩემგან საკმაოდ ახლოს გაიარა, რომ დავენახე".[59] ამ ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ალექსანდრე III, მიუხედავად იმისა, რომ კასტელი ახლოდან ნახა, არ მიესალმა იტალიელ მისიონერს. მეფემ იგი მხოლოდ მოგვიანებით მიიღო, როდესაც „წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად". მონარქის ჩაცმულობას, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამეფო კარზე. ოფიციალური აუდიენციის დროს მეფე აუცილებლად ძვირფასი ტანისამოსით შემოსილი უნდა გასულიყო დარბაზის წინაშე.

როგორც Silos-ი, ასევე Cottono, უპირველესად ეყრდნობოდნენ თავად კასტელის მიერ რომში გაგზავნილ წერილებს. ნაწილი ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობისა დაიკარგა, ნაწილი ჯერაც ინახება იტალიის არქივში. რომში გაგზავნილ წერილში კასტელი მოგვითხრობს ალექსანდრე III-სთან შეხვედრაზე. პატრიცია ანა ლიჩინის მითითებით, ეს სცენა იტალიელ მისიონერს სხვა წერილებშიც ჰქონია აღწერილი. როგორც ჩანს, ისტორიკოსები სწორედ ამ წყაროებს იყენებდნენ თავიანთ მონათხრობში. კასტელი თავის ერთ-ერთ წერილში იმერეთის მეფესთან შეხვედრის თაობაზე მოგვითხრობს:

„ჩემ გვერდით მდგარმა დესპანმა მითხრა, რომ მეფეს ჩემი ნახვა უნდოდა, რათა გავეცანი. თამაშის დამთავრების შემდეგ ბინაზე დავბრუნდი, ხოლო მეფე ტანსაცმლის გამოსაცვლელად გაემართა. შემდეგ (მეფემ) ბრძანა, რომ დიდი საუკეთესო სპარსული ხალიჩა გაეშალათ და მხედართა ჯგუფთან ერთად დაჯდა. ჩემთან კი დესპანი სხვა პირებთან ერთად გამოაგზავნა. მე წავედი და, როდესაც მეფეს 5-6 ნაბიჯზე მივუახლოვდი, იგი ადგა, ხოლო მე ვიჩქარე, რათა მეფე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა. მეფეს მოვახსენე, რომ თან მქონდა მის სახელზე მისი უწმინდესობის (პაპ ურბან VIII-ის) წერილი. მან მიპასუხა, რომ წერილი საჯაროდ არ გადამეცა, რადგან ბერძნებს შორის მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. ამიტომ ეს წერილი მეფეს უფრო გვიან გადავე-

[59] P. A. Licini, Cristofero Castelle e la sua Missione in Georgia, გვ. 103; პ. ა. ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 120.

ცი, როდესაც იგი მარტო იყო... ხსენებულმა დესპანმა მეფესთან მიმიყვანა და სხვებთან ერთად დამაყოვნა. ის (დესპანი) ამბობდა: „მალე, მალე, არ ეკადრება", რაც გულისხმობდა: არ იჩქაროთ, ღირსება შეინარჩუნე". ასეთი რამ არ შეეფერება თქვენს პიროვნებას, არც მეფეს, რომელიც ადგა ჩემს მისაღებად. ამრიგად, მეფე დარბაისლური ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, რათა ჩემთვის მუხლებზე ეკოცნა, პატივით შემაჩერა, სიყვარულით გადამეხვია და თქვა: „მამაო კრისტოფორო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დიდი ხანია თქვენი ნახვა გვსურდა... მეფემ მოისურვა, რომ მის გვერდით, მარჯვნივ, დავმჯდარიყავი".[60]

სამწუხაროდ, ამ წერილში დონ კრისტოფორო დე კასტელი მეფესთან შეხვედრის მხოლოდ ზოგიერთ დეტალს აღწერს. ამან არ უნდა გამოიწვიოს გაუგებრობა. ის, რაც იტალიელ მისიონერს აქვს გადმოცემული, არ უნდა მივიჩნიოთ ალექსანდრე III-სთან აუდიენციის სრულ აღწერილობად. ახლა კი თავს ნებას მივცემთ, რამდენიმე განმარტება დავურთოთ კასტელის ზემოთ მოყვანილ მონათხრობს.

დონ კრისტოფორო დე კასტელის წერილიდან კარგად ჩანს, რომ კასტელი ალექსანდრე III-ს არ მიუღია, როგორც კერძო პირი. მეფემ მას თავისი წარჩინებულის თანხლებით გაუმართა აუდიენცია. ამასთანავე, ამ დღისათვის სამეფო კარი საგანგებოდ მოურთავთ.[61] ასევე, საინტერესოა ეტიკეტის ის დეტალი, რომელზეც კასტელი მიანიშნებს: როდესაც იტალიელი მისიონერი მეფესთან წარმდგარა და დაუწყია მოხსენება, რომ მას აქვს პატივი გადასცეს მეფეს პაპის წერილი და ა. შ, ამ დროს ალექსანდრე III ფეხზე მდგარი უსმენდა თურმე კასტელის. გარკვეული მსგავსება შეიძლება დავინახოთ პატრის ამ მონათხრობსა და ტოლოჩანოვისა და იევლევის მონათხრობთა შორის, რომლებსაც ქვემოთ დავიმოწმებთ.

საყურადღებოა წერილის ის მონაკვეთიც, რომელშიც იტალიელ მისიონერს თავისი თანმხლები ქართველი პირის ნათქვამი მოაქვს ლათინური ტრანსკრიპციით – „მალე, მალე არ ეკადრება". როგორც ჩანს, პატრმა დიპლომატიური

---

[60] P. A. Licini, Cristofero Castelle e la sua Missione in Georgia, გვ. 103; პ. ა. ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 120-121.
იმერეთის მეფის მიერ ოფიციალურ მიღებაზე კასტელი სხვა ადგილასაც აღნიშნავს: „მეფე თავისი სასახლის კარის ეპისკოპოსებითა და პატრიარქით ქალაქ კანდარში (სკანდა) წავიდა. ეს ქალაქი ჩვენს რეზიდენციასთან, სეპიასთან ახლოს, მდებარეობდა. სამი საათის შემდეგ მეფემ ჩემთან რამდენიმე რომაელი კათოლიკე გამოგზავნა, რომლებიც ამ ქვეყანაში იმყოფებოდნენ. როცა მივედი ქალაქ კანდარის ეკლესიასთან, მეფემ საჯარო მიღება მომიწყო: დიდი ამალით გამოვიდა. მათ შორის ბევრი ჩვენი მეგობარი – მეგრელები და იმერლები-იყო". იხ.: პ. ა. ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, გვ. 122.




75. იმერეთის მეფე ეთათბირება დე კასტელის

ეტიკეტის რაღაც დეტალი დაარღვია, ან იმაზე ადრე გადაწყვიტა მეფესთან ხლება, ვიდრე დაწესებული იყო, ანდა არ ელოდა მეფის მოქმედებას. ამის გამო კი იმწამსვე შენიშვნა დაიმსახურა. „მალე, მალე არ ეკადრება“, რაც, კასტელისავე განმარტებით, ნიშნავდა: „არ იჩქარო, შეინარჩუნე ღირსება, ასეთი რამ არ შეეფერება იმ პიროვნებას, რომელსაც შენ წარმოადგენ, არც მეფეს, რომელიც ადგა, რათა მე მიველე“.

აღნიშნულ წერილში არის ერთი დეტალი, რომელიც საგანგებო ახსნას საჭიროებს. იტალიელი მისიონერის მითითებით, აუდიენციისას ალექსანდრე III დახრილა, რათა კასტელისათვის მუხლზე ეკოცნა. მაგრამ შეასრულა თუ არა მეფემ ეს ჩანაფიქრი, ამაზე კასტელი არას მიუთითებს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ კასტელიმ მეფის კონკრეტული ჟესტის გამო გამოთქვა ასეთი აზრი, ვინაიდან წერილში, იქვე, პატრი სულ სხვა რამეს აღნიშნავს: „მეფემ... პატივით შემაჩერა, სიყვარულით გადამეხვია... მოისურვა, რომ მის გვერდით, მარჯვნივ დავმჯდარიყავი“.

კასტელის ალბომში მოიპოვება რამდენიმე ნახატი, რომლებშიც ასახულია უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრები იმერეთის მეფესთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩანახატები არ იძლევა სრულ ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, რამეთუ ამ ნახატებს, ავტორისავე განცხადებით, ბევრი ფიგურა აკლია. დასაწყისში განვიხილოთ 75-ე და 77-ე სურათები, რომლებზეც გამოსახულია თავად კასტელი, იმერეთის მეფესთან აუდიენციაზე მყოფი. იგი მეფისაგან მარჯვნივ ზის, საკარცხულზე და ესაუბრება ალექსანდრე III-ს. იქვე, მეფესა და მისიონერს შორის, ფეხზე დგას უცნობი პირი, რომელიც შესაძლოა, მთარგმნელი იყოს. 77-ე ნახატზე კი გამოსახულია სცენა, როდესაც კასტელი იმერეთის მეფეს აცნობს თავის ნახატებს. მაგრამ ეს უკანასკნელი

ნახატი აშკარად დაუმთავრებელია. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, ეს ნახატები მაინც შეიცავს ჩვენთვის ღირებულ ინფორმაციას, რამეთუ მათში, ყველაფრის მიუხედავად, აისახა იმერეთის სამეფო კარზე არსებული დიპლომატიური ეტიკეტის დეტალები. მაგალითად, ორივე ნახატზე მეფე ოფიციალური სამეფო ტანისამოსითაა გამოსახული. მონარქს ამშვენებს სამეფო რეგალიები – გვირგვინი და კვერთხი. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიღებისას მეფე აუცილებლად შესაბამისად უნდა გამოწყობილიყო. ამასვე მიუთითებს სხვა ნახატებიც, რომლებშიც ასახულია იმერეთის სამეფო კარზე ელჩების მიღების, უცხოეთში ელჩის გაგზავნის სცენები (მათ ქვემოთ შევეხებით). 75-ე ნახატი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ, შეიძლება ითქვას, პირველად დადასტურდა მეფის მთარგმნელი. კასტელისა და ალექსანდრე III-ის შორის მდგარი პირი, შეუძლებელია, სხვა ვინმედ მივიღოთ, თუ არა მთარგმნელად. მართალია, იტალიელმა მისიონერმა მეტ-ნაკლებად იცოდა ქართული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცოდნა არ იყო იმ ხარისხის, რომ იმერეთის მეფესთან მოლაპარაკება ქართულად ეწარმოებინა. აქვე საინტერესოა გაირკვეს, თუ რა ენა გამოიყენებოდა დიპლომატიური მოლაპარაკებისას იმერეთში. მიმოწერას ქრისტიანულ სამყაროში იმერეთის სამეფოს მესვეურნი ძირითადად ბერძნულად აწარმოებდნენ. მაგრამ, ამასთანავე, დიპლომატიური მოლაპარაკებისას გამოიყენებოდა თურქული და ირანული. უდავოა, ამ ენის მცოდნე სპეციალისტები, ე. ი. მთარგმნელები, სამეფო კარზე აუცილებლად იქნებოდნენ.



77. დე კასტელი იმერეთის მეფეს აცნობს თავის ნახატებს

განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩევა მეფისა და ელჩის პირველი შეხვედრა. სწორედ ამ დროს გამოიყენებოდა დიპლომატიური ეტიკეტის ფართო, სრული ცერემონიალი. თუ რა სამზადისს ახორციელებდა სამეფო კარი და როგორ იღებდა მეფე უცხო ქვეყნის ელჩებს, დეტალურად აქვთ მოთხრობილი ტოლოჩანოვსა და იევლევს. რუსი ელჩები იმდენად საინტერესოდ აღწერენ

იმერეთის სამეფო კარზე არსებულ დიპლომატიურ ეტიკეტს, რომ იძულებული ვართ, ვრცელი ციტატა მოვიხმოთ მათი „მუხლობრივი აღწერილობებიდან“.

ამ მოვლენებს ნიკიფორე ტოლოჩანოვი შემდეგნაირად აღწერს:

„მოედანთან რომ მივედით, ეს მოედანი სუფთა, სწორი ადგილია, აქ ტილოს მრავალი კარავი იყო გამართული. კარვების წინ შემგებებელნი იდგნენ; მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და წმინდა მთის, გოლგოთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე ბერძენი. მიტროპოლიტმა გვაკურთხა და ჯანმრთელობით მოგვიკითხა... ჩვენც, ელჩებმა, საპასუხოდ ზაქარია მიტროპოლიტი მოვიკითხეთ... ამის შემდეგ მეფე ალექსანდრესთან გავემართეთ კარავში. როგორც კი მეფესთან წარვსდეგით, ჯერ ხატის წინაშე ლოცვა წარმოვსთქვით, შემდეგ მე, ელჩმა, სიტყვა დავიწყე: სამპიროვან ღვთის წყალობით, დიდმა ხელმწიფემ და მეფემ, დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ, სრულიად რუსეთისამ... (სრული ტიტულაცია) ბრძანა, შენ ქედის მოხრით მოგესალმოთ“.[62] ალექსანდრე მეფემაც, თავის მხრივ, სრულიად რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე ჯანსაღობით მოიკითხა. ამის შემდეგ მხარეებმა ერთმანეთს მიმართეს ვრცელი სიტყვით. ამ დროს იმერთა მეფე ფეხზე იდგა და ასე ისმენდა ელჩების მისალმებას. შემდეგ რუსმა ელჩებმა ალექსანდრე III-ს გადასცეს რუსეთის ხელმწიფის წერილი და საჩუქარი – სიასამურის ბეწვეული, რამაც დიდად გაახარა იმერთა მეფე და დარბაზობის მონაწილეები. წერილის მიღებისას ალექსანდრე III ფეხზე იდგა. მან მიიღო, ემთხვია და თავზე დაიდო იგი. როდესაც ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის წყალობა მიიღო, ელჩები ხელზე სამთხვევად მიიწვია. სიასამურის ბეწვის გადაცემის შემდეგ ელჩებმა, თავის მხრივ, საჩუქრები მიართვეს მეფეს და მხოლოდ ამის მერე დასხდნენ თავიანთ განკუთვნილ ადგილზე. აუდიენციის დროს მეფე „ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან, ზურგის მხარეს, ხავერდზე მოქარგული ბალიში იყო, ბალიშზე ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი. ალექსანდრე მეფეს თავზე კოშკური კუთხედებიანი გვირგვინი ედგა მარგალიტით და თვლებით გაწყობილი. გვირგვინს შუაზე ოქროს ჯვარი ჰქონდა ალმასებით, იაგუნდით და ზურმუხტებით შემკული. ხელში მოოქრული და თვლებით გაწყობილი კვერთხი ეპყრა, ხოლო სფეროზე წმ. სახე იყო ამოჭრილი. ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა ოქრომკედით ხავერდზე გაწყობილი და ფარჩის კაბა ოქრომკედით მოქარგული, ქათიბს გარშემო ოქროს ბაბთა ჰქონდა შემოვლებული... მარჯვენა მხარეს მიტროპოლიტი იჯდა, იგი პატრიარქად მიაჩნდათ, მათ ენაზე კათალიკოსი ეწოდება. კათალიკოსის შემდეგ მიტროპოლიტი ზაქარია იჯდა, ზაქარიას იქით დავით

[62] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 95.

არქიეპისკოპოსი, დავითის შემდეგ არქიეპისკოპოსი სიმონი, სულ ისინი ცხრა კაცი იჯდა აქ. ამ სასულიერო პირების შემდეგ მეფის თავადები დარბაზის ერნი და ოცდაორი აზნაური. მეფის მარცხენა მხრით წმ. მთის, გოლგოთის მონასტრის წინამძღვარი (იღუმენი) ნიკიფორე იჯდა, ხოლო იღუმენის მახლობლად ჩვენ ვისხედით, ელჩები, ელჩების შემდეგ მეფის თავადები და დარბაზის ერნი და აზნაურები, სულ ორმოცდათერთმეტი კაცი. ამათ შემდეგ კი მეთოფურთა მეთაურები – ასეულის მეთაურები და სხვადასხვა ხალხი.

როცა ელჩობის ცერემონიალს მოერჩით, კარვებიდან გამოვედით, მაგრამ ბინაზე არ გაგვიშვა, ერთ შემაღლებულ ადგილზე, საჩრდილობელში გაგვგზავნა, გვიბრძანა ცოტა დაგვეცადა იქ და მაშინვე სუფრაზე მიწვევა „გვაუწყა“.[63]

ასე საინტერესოდ აღწერს ტოლოჩანოვი იმერეთის მეფესთან აუდიენციას. ცოტა ქვემოთ კიდევ ერთ დეტალს ამატებს რუსი ელჩი: „როდესაც ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მივიდოდით ელჩობაზე, იმ დროს სამასამდე მეციხოვნე იდგა და ისროდა. როდესაც თოფებიდან გაისროლეს, შემდეგ ორივე ციხის ზარბაზნებიდან დაიწყეს სროლა, ზედა და ქვედა ქუთაისიდან ოცდაათი ზარბაზნიდან ისროდნენ...“[64]

ამავე მოვლენებს ზუსტად ასე აღწერს ალექსი იევლევიც, ოღონდ მასთან გარკვეული დეტალები უფრო დაზუსტებულია. რუსი ელჩი წერს: „როცა მეფისაკენ გავსწიეთ, ამ დროს ციხიდან და კოშკებიდან ზარბაზნების სროლა დაიწყო, ხოლო მეთოფურებმა ბურჯებიდან იწყეს სროლა. მეფის კარავებს ათი საჟენის მანძილზე მივუახლოვდით, უბრძანეს ჩვენთვის ეთქვათ ცხენებიდან ჩამოვსულიყავით. ნიკიფორე და ალექსი და ხელმწიფის ხალხი ყველა ცხენებიდან ჩამოვედით და კარვისაკენ გავსწიეთ. ამ დროს კარვებიდან გამოვიდნენ და ელჩებს შემოგვეგებნენ ზაქარია მიტროპოლიტი, იერუსალიმელი წმ. გოლგოთის მთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე. ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, მეფის სახელით, ჯანსაღობით მოგვიკითხეს, მარჯვნივ და მარცხნივ ამოგვიდგნენ და მეფემდე მიგვაცილეს“.[65] მას შემდეგ, რაც ელჩებმა ალექსანდრე III-ს გადასცეს რუსეთის ხელმწიფის საჩუქარი, მეფემ მათ დაჯდომის ნება დართო. მაგრამ რუსი ელჩები არ დასხდნენ. თარჯიმნის მეშვეობით მათ ალექსანდრეს სთხოვეს, ხელზე მთხვევის უფლება მიეცა. „დიდმა ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა სრულიად რუსეთისამ, ალექსი მიხეილის ძემ, გამოგვგზავნა შენთან, ალექსანდრე მეფესთან, თავისი ხელმწიფური წყალობით და

---

[63] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 98-99.

[64] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 101.

[65] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 110.

გვიბრძანა შენთან, ალექსანდრე მეფესთან მოსვლა და ხელზე მთხვევა და თუ ჩვენ, ელჩებმა, შენ ხელზე არ გემთხვიეთ, ჩვენ დაჯდომა არ შეგვიძლია", – განუცხადეს ელჩებმა იმერთა მეფეს.[66] ალექსანდრე მეფემ, ბუნებრივია, ტოლოჩანოვსა და იევლევს ხელზე მთხვევის ნება დართო. აუდიენციის დამთავრების შემდეგ, ელჩები საათზე მეტ ხანს იქვე, საჩრდილობელში მოასვენეს. შემდეგ მეფემ ისინი სუფრასთან მიიწვია.

რუსი ელჩების ეს ჩანაწერები უძვირფასეს ცნობებს შეიცავს იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტის შესახებ. ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მასალა გარკვეულ კომენტარს მაინც საჭიროებს.

მეფესთან აუდიენციის ჟამს რუსი ელჩები ალექსანდრე III-ის წინ ორმა სასპატიო სასულიერო პირმა წარადგინა. როგორც ჩანს, იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი ითვალისწინებდა ამგვარი სახის ცერემონიალს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსი. ვინ ხვდებოდა არამართლმადიდებელ ელჩებს? მართლმადიდებელი ეპისკოსპოსები? რა თქმა უნდა, არა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ თურქეთის სულთნის ანდა ირანის შაჰის ელჩს გაენათელი მიტროპოლიტი და წმინდა მთის იღუმენი შეჰგებებოდნენ. ამიტომ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მეფესთან აუდიენციაზე მოსული ელჩების შემგებებელთა კანდიდატურას თავად მონარქი ირჩევდა. საეჭვოა, იმერეთის სამეფო კარზე რომელიმე წარჩინებულს ანდა სასულიერო პირს ეს ფუნქცია ჰქონოდა ოფიციალურად მინიჭებული.

ტოლოჩანოვი და იევლევი, აღწერენ რა სამეფო კარზე მათი მისვლის სცენას, იქვე მიანიშნებენ, რომ ვიდრე მეფის წინაშე წარდგებოდნენ, იქვე უნდა ელოცათ. ეს სცენა ალექსანდრე III-სთან შეხვედრისას არაერთხელ განმეორდა. ვფიქრობთ, ესეც დიპლომატიური ეტიკეტის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. აქვე დავძენთ, რომ შეიძლება ეს მხოლოდ მართლმადიდებელი ელჩებისათვის იყო გათვალისწინებული.

რუსი ელჩების მონათხრობში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ეპიზოდია იმერელი დიდებულებისა და სასულიერო პირების ჯდომის იმ წესის აღწერა, რომელიც დარბაზობის დროს ყოფილა მიღებული. ვინ უნდა მჯდარიყო მეფის მარცხნივ, ვინ – მარჯვნივ, სად იყო ელჩის ადგილი და სხვა. ეს საკმაოდ კარგად აქვთ აღწერილი ტოლოჩანოვსა და იევლევს და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რუსი ელჩების მიღებისას დარბაზში 100-ზე მეტი კაცი ყოფილა შეკრებილი. თითქმის მსგავსი განცხადება აქვს გაკეთებული კასტელისაც, რომელიც მიუთითებს, რომ მეფესთან შეხვედრისას კრისტო-

[66] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა"), გვ. 112-113.

ფოროს სანახავად დიდძალი ხალხი მოსულა და რომ მეფეს ამ აუდიენციაზე საგანგებოდ მოუწვევია მთელი იმერეთიდან წარჩინებულები და უპირველესი რანგის მოქალაქეები. აქედან ჩანს, რომ იმერეთის სამეფოში ელჩების მიღებისას წესად ყოფილა სასახლეში არა მარტო დარბაზის წევრთა მოწვევა, არამედ შეიძლებოდა, აუდიენციას საზოგადოების დიდი ნაწილიც დასწრებოდა.

ალექსანდრე III-სთან შეხვედრისას, რუსი ელჩების მითითებით, მეფე ხალიჩაზე მჯდარა ფეხმორთხმით. კასტელისთან აუდიენციისას კი იგი სამეფო ტახტზე ზის. როგორც ჩანს, იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი არ ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიღებისას მეფის ჯდომის განსაზღვრულ წესს. მონარქს შეეძლო როგორც ტახტზე მჯდომს მიეღო ელჩი, ისე ფეხმორთხმულს. როგორც ჩანს, იმერეთში ძირითადად დიპლომატიური ცერემონიალის დროს აქცევდნენ ყურადღებას მეფის ჩაცმულობას. ის აუცილებლად ძვირფას, საზეიმო ტანსაცმელში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი და სამეფო ნიშნებით უნდა წარმდგარიყო სტუმრების წინაშე. ასევე, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, იმერეთში არ იყო აუცილებელი, ელჩის მიღების ცერემონიალი მაინცდამაინც სასახლის დარბაზებში ჩატარებულიყო. შესაძლოა, აუდიენცია გარეთ, სამეფო კარვებში გამართულიყო. ესეც საყურადღებო დეტალია.

იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ოქმი არ შეიცავდა ბევრ ისეთ რიტუალს, რომლებსაც უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ ეტიკეტში ვხვდებით. მაგალითად, რუსეთის სამეფო კარზე დიპლომატიური მიღებისას გათვალისწინებული იყო მეფის ხელზე მთხვევა. მისალმების შემდეგ ელჩი გადასცემდა რწმუნების სიგელს საგარეო საქმეთა უწყების წარმომადგენელს. შემდეგ მეფე მას ხელს უწვდიდა, რომელსაც ელჩი უნდა მთხვეოდა. ამ ცერემონიალის შემდეგ მეფე იბანდა ხელს იქვე მდგომ ვერცხლის ხელსაბანში, რაც დიდად ანაწყენებდა უცხოელებს. მეფეს ხელს უკოცნიდნენ მხოლოდ ქრისტიანები, მუსულმანებს იგი თავზე ადებდა ხელს. საქართველოში ჩამოსულ რუს ელჩებს მოსკოვიდან ნაბრძანები ჰქონიათ, რომ ისინი ისევე უნდა მოქცეულიყვნენ იმერეთის მეფის წინაშე, როგორც ეს რუსეთში იყო მიღებული. მაგრამ იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი ასეთ დეტალს არ ითვალისწინებდა და ამიტომ, რუსმა ელჩებმა საგანგებოდ სთხოვეს ალექსანდრე III-ს, მათთვის ხელზე მთხვევის ნება მიეცა.

დასასრულ, იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტის კიდევ ერთ დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას. ძნელია იმის თქმა, ყველა სახელმწიფოს ელჩის მიღებისას იყო გათვალისწინებული თოფითა და ზარბაზნით სროლა, თუ ეს შეწყობილი ზალპი რუსი ელჩებისადმი განსაკუთრებული პატივისცე-



80. იმერეთის მეფის კარზე სამეგრელოს ელჩის მიღება



81. იმერეთის მეფე ალექსანდრე სამეგრელოს მთავართან დაახლოებულ პირს კასტელის შესახებ ეთათბირება

მის ნიშნად მოაწყვეს ქუთაისში. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: დიპლომატიური ეტიკეტი, როგორც ჩანს, ამ დეტალსაც ითვალისწინებდა, თუმცა კი, იგი ყოველთვის არ გამოიყენებოდა.

იმ ცნობების გარდა, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილეთ, ჩვენს ხელთაა კასტელის კიდევ ოთხი ნახატი, რომლებშიც ასახულია იმერეთის სამეფო კარზე ელჩების მიღების სცენა. ესენია: მე-80, 81-ე, 82-ე, 84-ე სურათები. კასტელის ალბომის გამომცემელს, ბეჟან გიორგაძეს, ამ ნახატებზე შემდეგი განმარტებები აქვს გაკეთებული:

მე-80 სურათი – „იმერეთის მეფის კარზე სამეგრელოს ელჩის მიღება.“

81-ე სურათი – „იმერეთის მეფე ალექსანდრე ეთათბირება სამეგრელოს მთავართან დაახლოებულ პირს კასტელის თაობაზე“.

82-ე სურათი – „იმერეთის სამეფო კარზე კითხულობენ სამეგრელოს მთავრის წერილს“.

84-ე სურათი – „შაჰის ელჩი ავთანდილ მანველიშვილი სთხოვს საქართველოს მეფეს დე კასტელის წაყვანას სპარსეთის დედოფალ ელენესთან“.

ამ ნახატებს ბ. გიორგაძემ შესაბამისი განმარტებები გაუკეთა იმ მინაწერების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ სურათზეა. ეს წარწერები კი, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, კასტელის ეკუთვნის. პატრი ამით ცდილობდა აეხსნა მნახველთათვის ამ სურათების შინაარსი. თუ ყოველივე ზემოთ

თქმულს გავითვალისწინებთ, მაშინ 81-ე და 82-ე სურათებზე მთარგმნელ-გამომცემლის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებები უფრო დასაზუსტებელია. ამ ორ ნახატზე ასახული უნდა იყოს სამეგრელოს მთავრის ელჩის იმერეთის მეფესთან აუდიენციის სცენა, ვინაიდან მათზე გაკეთებულ წარწერებში სწორედ ამ მოვლენაზეა საუბარი.

ახლა კი განვიხილოთ თითოეული ნახატი ცალ-ცალკე.

მე-80 სურათზე ასახულია სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ელჩის ალექსანდრე III-სთან შეხვედრის სცენა. ნახატიდან კარგად ჩანს, თუ რა ცერემონიალი სდევდა მეფესთან აუდიენციას. სამეფო დარბაზში ელჩის შესვლის შემდეგ იგი, მიუახლოვდებოდა რა მეფის ტახტს, მუხლმოდრეკით ესალმებოდა მეფეს და ამავე მდგომარეობაში მყოფი აცნობდა თავისი ელჩობის მიზეზს. უშუალოდ ნახატს კი შემდეგი შინაარსის წარწერა აქვს: „ხელმეორედ მოსული სამეგრელოს მთავრის ელჩის პორტრეტი. იბერიის მეფის კარზე წარდგომილს კისერზე აღვირი აქვს, როგორც ჩემს ისტორიაშია მოთხრობილი", – დასძენს კასტელი. სურათზე მართლაც მოჩანს სამეგრელოს ელჩის კისერზე აღვირის კონტურები. შევეცადეთ, სხვა წყაროებში მოგვეძებნა მსგავსი შინაარსის ცნობა, მაგრამ ჩვენი ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომ დღეისათვის ჭირს, ზუსტი პასუხი გავცეთ იმაზე, თუ რატომ იღებდნენ ასეთი დამამცირებელი ფორმით სამეგრელოს ელჩს იმერეთის სამეფო კარზე. ასევე მუხლმოდრეკით დგანან მეფის წინაშე სამეგრელოს ელჩები 81-ე და 82-ე სურათებზე. ამ ნახატებზე გაკეთებულ წარწერებსაც მეტად საინტერესო ცნობები შემოუნახავს.

81-ე სურათი:

„იბერიის მეფე [ეთათბირება] სამეგრელოს მთავართან დაახლოებულ პირებს, პატრ სულუხიას და როსტომ კოტიოვას, თავის მეგობრებს, რათა მათ იშუამდგომლონ თავიანთი მეფის წინაშე ჩემს ხელმეორედ გაშვებაზე იბერიის მეფის მომსახურებისათვის".[67]

მართალია, ეს ნახატი საინტერესოა როგორც თავისი შინაარსით, ასევე, მასზე გაკეთებული წარწერითაც, მაგრამ იგი აშკარად დაუმთავრებელია. კასტელისავე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მას „ფიგურები აკლია". წარწერაში საუბარია სამეგრელოს მთავრის მიერ იმერეთში წარგზავნილ ორ პიროვნებაზე. ნახატში მხოლოდ მეფის წინ მუხლმოდრეკით მდგარი ერთი ფიგურა ჩანს, მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ეს სურათი მაინც ღირებულია ჩვენთვის.

---

[67] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 98.

82-ე სურათი:

„სამეგრელოს მეფემ, რომელმაც საქართველოს მეფის თხოვნით გამაგზავნა [იმერეთში] მეფის მომსახურებისათვის, გაიგო, რომ [იმერეთის მეფემ] დამითმო თავშესაფარი და ადგილსამყოფელი მის სამეფოში და უდიდესი წყალობა მიყო. რადგან დადიანი ეჭვობდა, რომ მე მისგან დამოუკიდებელი გავხდებოდი, გამოაგზავნა ერთი ელჩი, რომელიც უკვე ნამყოფი იყო სპარსეთში, სახელად გაბრიელ სიმო [ნიარი]ა, რომ უკან დავებრუნებინე, მაგრამ შეხვდა რა დაბრკოლებას საქართველოს მეფის მხრით... უკან გაბრუნდა ხსენებული ელჩი, როგორც მოთხრობილია ისტორიაში".[68] ჩვენი აზრით, ამავე სურათზე სწორედ ამ გაბრიელის ალექსანდრე III-სთან აუდიენცია უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი. როგორც წარწერიდან ჩანს, ეს პიროვნება პროფესიონალი დიპლომატი ყოფილა. იმერეთში ჩასვლამდე იგი დიპლომატიური მისიით სპარსეთში გაუგზავნია ლევან დადიანს.

ამდენად, ზემოთ განხილულ სამივე ნახატში ერთი და იგივე სცენა მეორდება; იმერეთის მეფის წინ დგას სამეგრელოს ელჩი. ქვემოთ კიდევ ერთ სურათს განვიხილავთ. რომ არა ეს უკანასკნელი, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იმე-



82. იმერეთის სამეფო კარზე კითხულობენ სამეგრელოს მთავრის წერილს

[68] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 98.

რეთის მეფეთა წინ მუხლის მოყრით იმ სამეფოთა ელჩები დგებოდნენ, რომლებზე ბატონობასაც იმერეთი იჩემებდა. მაგრამ სწორედ 84-ე სურათზეა ასახული ირანის შაჰის ელჩის, ავთანდილ მანველიშვილის აუდიენცია ალექსანდრე III-ის კარზე, სადაც შაჰის წარგზავნილი დაჩოქილი დგას იმერეთის მეფის წინაშე. კასტელის ამ სურათზე წაუწერია: „როცა სპარსეთის ხელმწიფემ დედოფლის (რომელიც ჩვენი სულიერი ქალიშვილი იყო გურიის პროვინციაში და რომელსაც თავის კაბინეტში ქართლის პროვინციაში დახატული რამდენიმე ჩემი შრომა ჰქონდა) თხოვნით, ბატონიშვილის ქალის წასაყვანად ჯარი გამოგზავნა სპარსეთის გენერლის მეთაურობით, მეც ცალკე შემატყობინა გავყოლოდი ელჩს, რომელსაც ავთანდილ მანველიშვილი ერქვა. მაგრამ ჩემს საცოლესთან ქართულ სამწყსოდან არ შემეძლო წასვლა, თუ არ მექნებოდა ახალი ნებართვა წმინდა მღვდელმთავრისაგან, არ შემეძლო თავისუფალი გადაწყვეტილება მიმეღო რომის გარეშე. ელჩი იძულებული გახდა წასულიყო ძალიან შეწუხებული, რადგან ვერაფერს ვერ მიაღწია“.[69] მართალია, წარწერიდან პირდაპირ არ ჩანს, ვინ არიან დახატულნი სურათზე, მაგრამ ეს პირები შაჰის ელჩებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამის საბაბს გვაძლევს დამუხლისთავებულ ფიგურათა ზემოთ კასტელის წარწერა: „სპარსეთის ელჩი“ და „სპარსეთის ხელმწიფე“.[70] ამ მინაწერით იტალიელმა მისიონერმა ერთგვარად ხაზი გაუსვა სურათის შინაარსს. სწორედ ამან მისცა ბიძგი ბ. გიორგაძეს, რომ ეს ნახატი იმერეთის სამეფო კარზე ირანის შაჰის ელჩობის ამსახველად მიეჩნია.



84. შაჰის ელჩი ავთანდილ მანველიშვილი სთხოვს საქართველოს მეფეს დე კასტელის წაყვანას სპარსეთის დედოფალ ელენესთან

კასტელის ამა თუ იმ სურათზე გაკეთებული მინაწერები შეცდომისაგან არაა დაზღვეული. ეს განპირობებულია ძირითადად იმით, რომ იტალიელ მისიონერს ესა თუ ის მინაწერი მოგვიანებით აქვს გაკეთებული და ხშირად

[69] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 98-99.

[70] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 99.

მას მახსოვრობა ღალატობს. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ესა თუ ის წარწერა საერთოდ არ გამოხატავს სურათის შინაარსს. თუ ამჯერადაც საქმე არა გვაქვს სწორედ ასეთ გამონაკლისთან, მაშინ ამ ნახატებზე მართლაც შაჰის ელჩის იმერეთში ვიზიტი უნდა იყოს ასახული. მაგრამ ერთი რამ მაინც რჩება გამოსარკვევი: მოიყრიდნენ კი შაჰის ელჩები იმერეთის მეფის წინაშე მუხლს? ეს მომენტი ნაწილობრივ ამ სურათზე ასახული სცენის უტყუარობაში გვაეჭვებს. ვფიქრობთ, მომავალში ამ სურათს ცალკე, საგანგებო კვლევა უნდა მიეძღვნას.

ავთანდილ მანველიშვილი სპარსეთის დედოფლის, ელენე ათაბაგის მიერ იყო გამოგზავნილი დასავლეთ საქართველოში. მას კასტელის ირანში ჩაყვანა ჰქონდა დავალებული. შაჰის ელჩობა პირველად სამეგრელოში ჩასულა და მთავრისაგან კრისტოფოროს წაყვანის ნებართვა უთხოვია, მაგრამ ლევან დადიანმა უარით გამოისტუმრა ავთანდილ ბეი და მისი თანმხლები პირები. მერე, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელნი იმერეთს სწვევნიან.

ელენე ათაბაგი იყო სამცხის ათაბაგის, როსტომის ასული. ელენე გარკვეული ხანი ცხოვრობდა გურიასა და სამეგრელოში, სადაც გაიცნო კიდეც დონ კრისტოფორო დე კასტელი. შემდეგ ლევან დადიანმა ელენე მოტყუებით შაჰ-სეფიზე გაათხოვა. სპარსეთის დედოფლად ყოფნისას მან რამდენჯერმე სცადა, კასტელი ისფაჰანს ჩაეყვანა, მაგრამ იტალიელი მისიონერი ყოველთვის იმას იმიზეზებდა, რომ რომის პაპის ნებართვა არ ჰქონდა. ელენემ რომის პაპსაც მისწერა წერილი თხოვნით, ნება დაერთო კასტელისათვის, ისფაჰანს წასულიყო.[71] როგორც პატრი მიუთითებს, პაპ ინოჩენციო X-ს (1644-1655) გადაწყვეტილი ჰქონია, იგი სამოღვაწეოდ ირანში გაეგზავნა, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო, პატრის ისფაჰანს გამგზავრება ჩაიშალა.

ახლა კი გავარკვიოთ, რა მიზეზითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მაგალითად, რუსი ელჩები მეფეს ქედმოხრით ესალმებიან, ხოლო სამეგრელოსა და ირანის ელჩები – მუხლთმოდრეკით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მეფის წინ ელჩის დგომის ერთიანი წესი იმერეთში არ უნდა არსებულიყო. ელჩს შეეძლო, მუხლის მოყრით მისალმებოდა მეფეს, ანდა მხოლოდ ქედის მოხრით მიეცა სალამი. ეს დამოკიდებული უნდა ყოფილიყო იმაზე, თუ რა სახის განაწესი ჰქონდა მიღებული უცხო ქვეყნის წარმომადგენელს თავისი ხელმწიფისაგან. გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ ის ელჩები, რომელთა ქვეყანასაც იმერეთის მეფე თავისი გავლენის ქვეშ თვლიდა. შესაძლოა, მათთვის სამეფო კარზე მართლაც მოეთხოვათ, მაინცდამაინც მუხლმოდრეკით მისალმებოდნენ მეფეს, ნიშნად მორჩილებისა. თუ დადასტურდა ის ფაქტი, რომ სამეგრელოს ელჩი იმერეთის მეფის წინ კისერზე აღვირჩამოკიდებული წარ-

[71] ი. ტაბაღუა, სპარსეთის ქართველი დედოფალი, გაზ. „თბილისი", 17 სექტემბერი, 1988.

დგებოდა ხოლმე, ესეც იმის დემონსტრირება იქნება, რომ იმერეთის სამეფო კარი, მიუხედავად პოლიტიკური წარუმატებლობისა, დიპლომატიურ ეტიკეტში მაინც უსვამდა ხაზს თავის უზენაესობას. სამწუხაროდ, მასალის სიმცირე თამამი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. ამ საკითხებზე მსჯელობისას იძულებულნი ვართ, ზოგადი ვარაუდებით შემოვიფარგლოთ.

მეფესთან პირველი აუდიენციისას იშვიათად იმართებოდა მოლაპარაკება; ეს უფრო საზეიმო შეხვედრა იყო, რომელზეც საქმიან საკითხებს არ განიხილავდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მეფე კვლავ იწვევდა სასახლეში ელჩებს, ამჯერად უკვე სასაუბროდ, მოსალაპარაკებლად. საზეიმო ვითარებაში მხოლოდ ელჩის პირველი შეხვედრა მიმდინარეობდა, შემდგომ მიღებებს კი პომპეზურობა უკვე აღარ ახლდა. 25 ივნისის აუდიენციის შემდეგ ალექსანდრე III-მ რუსი ელჩები კვლავ დაიბარა 28 ივნისს. ამ შეხვედრაზე ტოლოჩანოვი და იევლევი ჩვეულებრივ ოქრო-ვერცხლით გაწყობილი ცხენებით ნაიყვანეს. მეფის კარავთან მათ კვლავ შემოეგება ორი საპატიო სასულიერო პირი. მოლაპარაკებასაც თითქმის იმავე რაოდენობის ხალხი ესწრებოდა, რამდენიც პირველს. მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, ამ შეხვედრას მაინც აკლდა ის საზეიმო ელფერი, რომელიც პირველ აუდიენციას ახლდა. ეს გასაგებიცაა, რამეთუ პირველი შეხვედრა მიმდინარეობდა დიპლომატიური ეტიკეტის ფართო, სრული ცერემონიალის დაცვით.

სასახლეში ელჩის პირველი აუდიენციის შემდეგ მეფე უცხო ქვეყნის წარმომადგენელს სადილს უმართავდა, უფრო სწორად, ეტიკეტით მოვალე იყო, ელჩები თავის სუფრაზე მიეწვია. სამწუხაროდ, კასტელი არ მიუთითებს, პირველი შეხვედრისას ალექსანდრე III-მ გაუმართა თუ არა მას პურობა. მოგვიანებით პატრი არაერთხელ სწვევია მეფეს სადილზე. ალბომში ამის დამადასტურებელი არაერთი სურათი მოიპოვება (იხ. ნახ. 314-315) თავის ჩანაწერებში კასტელი მოგვითხრობს იმ ეტიკეტზე, რომელიც პურობის დროს არსებულა სამეფო კარზე.

პირველი აუდიენციის შემდეგ სადილზე მიწვევა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტისა. ეს კარგად ჩანს რუსი ელჩების მონათხრობიდან. ტოლოჩანოვი და იევლევი ალექსანდრე III-სთან ვიზიტის შემდეგ იქვე დასასვენებლად გაისტუმრეს, ერთი საათის შემდეგ კი მეფემ მათი სუფრაზე წვევა ბრძანა. ის ფაქტი, რომ მიღების შემდეგ მეფე ელჩებს სადილზე იწვევდა, კარგად ჩანს ალექსი იევლევის ერთი შენიშვნიდან. რუსი ელჩების იმერეთში ყოფნისას ალექსანდრე III-სთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩავიდა თურქეთის სულთნის ელჩი. მოლაპარაკებისას ელჩმა თავი-

სი საქციელით გააღიზიანა იმერეთის მეფე, ამის საპასუხოდ კი ალექსანდრე III-მ „მაშინვე დაითხოვა, არაფერი უწყალობა მათ, არც თავის სუფრაზე მიიწვია, არც სურსათის მიცემა ბრძანა მათთვის და იმავე დღეს გაისტუმრა“.[72] ეს ცნობა ნათლად მეტყველებს, რომ აუდიენციის შემდეგ ნადიმის გამართვა იმერეთის სამეფო კარზე არსებული დიპლომატიური ეტიკეტის განუყრელი ნაწილი ყოფილა. ამასთანავე, თავად სადილიც გარკვეული ეტიკეტით იმართებოდა. პურობისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სად დასვამდა მეფე ელჩებს, თავისთან ახლოს თუ ოდნავ მოშორებით. ამ ნიუანსს ოდითგანვე აქცევდნენ ყურადღებას დიპლომატიურ პრაქტიკაში. 963 წელს კონსტანტინოპოლს ეწვია გერმანიის მეფის, ოტო I-ის ელჩი ლიუტპრანდი. ბიზანტიის იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ ელჩი მეტად ცუდად მიიღო. ერთ-ერთი გამოვლინება ამ ცუდი დახვედრისა ის იყო, რომ ოფიციალურ ნადიმზე ლიუტპრანდი მე-15 ადგილზე დასვეს. ეს დეტალი ამ უკანასკნელმა საგანგებოდ შეიტანა თავის თხზულებაში და მეტად დამამცირებლად ჩათვალა.[73] 1613-1615 წლებში ირანში მყოფ რუს ელჩს, მ. ნ. ტიხანოვს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბრალდებად წაუყენეს ის ფაქტი, რომ შაჰ-აბასთან პურობისას ბუხარელი უფლისწუ-



314. ნადიმი იმერეთის მეფის სასახლეში

[72] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 148.

[73] Л. Лремонский, Отчет о посольстве в Константинополь. Памятники средневековой латинской литературе X-XII веков, М., 1978, გვ. 67-68.

ლის ქვემოთ იჯდა და რომ ამაზე მან პროტესტი არ გაანაცხადა, ვინაიდან ბუხარა ამ დროს შაჰის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. ამით რუსეთის მეფის პრესტიჟი შეილახა. ამ ფაქტმა ელჩის კარიერა შეიწირა (მ. ნ. ტიხანოვს, ამის გარდა, სხვა ბრალდებებიც წაუყენეს).[74] კასტელის მითითებით, მეფე მას ყოველთვის გვერდით მოისვამდა ხოლმე, ნიშნად პატივისცემისა. ასეთივე საპატიო ადგილს მიუჩენდნენ სუფრასთან რუს ელჩებს. პურობა „მამაო ჩვენოს“ თქმით და სუფრის დალოცვით იწყებოდა, შემდეგ მეფე და მასთან ერთად ყველა მასპინძელი სვამდა იმ ქვეყნის მონარქის სადღეგრძელოს, რომელმაც გამოგზავნა ელჩი იმერეთში. საპასუხოდ შემდგომ უკვე ელჩები ამბობდნენ იმერეთის მეფის სადღეგრძელოს. პურობაზე საჭმლის შემოტანაც გარკვეული ეტიკეტის დაცვით მიმდინარეობდა. სუფრაზე მეფე ელჩებს თავისი სინიდან საჭმელს სთავაზობდა, ხოლო სასმისიდან – ღვინოს, ნიშნად პატივისცემისა. სადილი ხშირად დიდხანს გრძელდებოდა და იყო შემთხვევა, როცა ელჩები იღლებოდნენ. ამ დროს ამ უკანასკნელთ შეეძლოთ მეფისათვის ბინაზე წასვლის ნებართვა ეთხოვათ.



315. ნადიმი იმერეთის მეფის სასახლეში

ნადიმიდან ელჩების გაცილებაც გარკვეული ცერემონიით მიმდინარეობდა. მათ იმერელი აზნაურების დასი აცილებდა. თუ ღამე იყო, მათ სანათურებითა და ჭრაქებით მიუძღოდნენ წინ და ასე უნათებდნენ გზას.

დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომში, გარდა იმ ნახატებისა, რომლებშიც ასახულია იმერეთის სამეფო კარზე უცხო ქვეყნის ელჩის მიღება, მოიპოვება კიდევ ერთი სურათი, რომელშიც იტალიელ მისიონერს ჩახატული აქვს, ამჯერად უკვე პირიქით, იმერეთის მეფის მიერ სამეგრელოში ელჩის გაგზავნის სცენა (იხ. ნახ. 74). ალბომის გამომცემელ ბ. გიორგაძეს ამ ნახატზე

[74] П. П. Бушев, История посольств и дипломатических отношений русского и иранского государств в 1613-1621 гг., М., 1987, გვ. 68.

შემდეგი ახსნა-განმარტება აქვს გაკეთებული: „იმერეთის მეფე გიორგი ელჩს აგზავნის სამეგრელოში". მაგრამ აქ რაღაც შეუსაბამობაა. სურათზე დართულ წარწერაში საუბარია იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის მიერ სამეგრელოში ელჩის გაგზავნაზე. მინანერში, სახელდობრ, ვკითხულობთ: „საქართველოს (იმერეთის) მეფე ავადმყოფი დედოფლისათვის სამეგრელოს მთავართან აგზავნის ელჩს მკურნალის მოსაყვანად.

ქართველთა მეფე ალექსანდრე თავის ახლობელ პირს აგზავნის ელჩად კოლხეთის მეფესთან დახმარების მისაღებად".[75] კასტელის ამ შენიშვნიდან ისე ჩანს, რომ სურათზე ასახული უნდა იყოს ალექსანდრე III-ის მიერ სამეგრელოში ელჩის გაგზავნის სცენა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან.



74. იმერეთის მეფე ელჩს აგზავნის სამეგრელოში

ახლა რაც შეეხება უშუალოდ სურათს. მასზე ასახულია ტახტზე მჯდომი იმერეთის მეფე, ძვირფას, სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი და სამეფო ნიშნებით დამშვენებული. მის წინ მუხლმოყრით დგას სამეგრელოში ელჩად გასაგზავნი პირი. ამავე ნახატზე იტალიელ მისიონერს ასეთი მინაწერი აქვს გაკეთებული: „თვალის ერთი მოვლებით მთელი პაქტის დანახვა შეიძლება მაშინ, როცა მის აღწერას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა დამწერისთვისაც და წამკითხველისთვისაც". ჭეშმარიტად ასეა. ამ ნახატის წყალობით, შეგვიძლია ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ის სცენა, რომელიც თან სდევდა სამეფო ელჩის გაგზავნას. დიპლომატი დაჩოქილი ისმენდა მეფის ინსტრუქციას და იღებდა გამგზავრების ნებართვას. ძნელია ითქვას, ამ დროს არსებობდა თუ არა იმერეთში წინასწარ შედგენილი განაწესი, დაახლოებით ისეთი დოკუმენტი,

[75] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 96.

როგორსაც რუსეთის საელჩო „პრიკაზი“ აძლევდა ხოლმე უცხოეთში მიმავალ დიპლომატებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი დიპლომატებისათვისაც იარსებებდა მსგავსი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა საყურადღებო საკითხები, ასევე, რაზე რა უნდა ეპასუხათ და ა. შ. ამ სახის ინსტრუქცია დიპლომატებისათვის უთუოდ საჭირო იყო.

უცხო ქვეყნის დიპლომატებს იმერეთში არა მარტო იღებდნენ საპატიოდ, არამედ ასევე ისტუმრებდნენ. კასტელიც ქუთაისიდან დიდი პატივით გააცილეს. რუსი ელჩები, ტოლოჩანოვი და იევლევიც, საგანგებო ესკორტით მიაცილეს საზღვრამდე და საერთოდ, ელჩების გაცილება დიპლომატიური ეტიკეტის შემადგენელი ნაწილი იყო. ქვეყნის საზღვრამდე მათ იმერეთის მეფის წარმომადგენლები მიჰყვებოდნენ. გზაზე კვებისა და დაბინავების ხარჯებს ამჯერადაც მასპინძელი მხარე იღებდა საკუთარ თავზე.

ჩვენ, შეძლებისდაგვარად, მიმოვიხილეთ იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკითხი მომავალში საგანგებო კვლევას საჭიროებს. ცალ-ცალკე უნდა შევისწავლოთ ქართული სამეფო-სამთავროების დიპლომატიური ეტიკეტები. ამავდროულად, საკითხის კვლევისას ბევრ საინტერესო დეტალს მოგვცემს ბიზანტიის, ირანის, თურქეთისა და რუსეთის დიპლომატიური ეტიკეტების შესწავლაც.

იმერეთის მეფეთა ინსიგნიები

(დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის მიხედვით)*

ქართველ მეფეთა სამეფო რეგალიების შესწავლას დიდი ისტორია აქვს, მაგრამ მკვლევრები ძირითადად X-XV საუკუნეების მასალის დამუშავებას სჯერდებიან. გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების ინსიგნიების კვლევა თითქმის არ განხორციელებულა. არადა, მასალა ამ მხრივ საკმაოდ ბევრია – ფრესკები, გამოსახულებები, ნახატები, აღწერილობები და სხვა. ამ თემასთან დაკავშირებით ძვირფასი ცნობებია შემონახული XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომში[1]. წინამდებარე სტატიაც სწორედ ამ მასალის შესწავლას ეძღვნება. ამჯერად შემოვიფარგლეთ იმერეთის მეფეთა სამეფო ნიშნების ნაწილის (სკიპტრა და გვირგვინი) კვლევით.

ინსიგნიები წარმოადგენდა ძალაუფლებისა და თანამდებობის ნიშნებს. მათი გაჩენა ცივილიზაციის გარიჟრაჟზეა სავარაუდო. უძველეს ტომობრივ გაერთიანებებში ტომის უხუცესს უკვე ჰქონდა ძალაუფლების ნიშანი. პირველი სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ კი უზენაეს ხელისუფალთ განსაკუთრებულ რეგალიებს გადასცემდნენ, რომელთა ტარება მხოლოდ მათი პატივისათვის იყო დაშვებული.

---

* იმერეთის მეფეთა ინსიგნიები (დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის მიხედვით), საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები, ქუთ., 2009, გვ. 151-158.

დონ კრისტოფორო დე კასტელი დაიბადა 1597 წელს მდიდარი არისტოკრატის ოჯახში. თავდაპირველად პალერმოში მოღვაწეობდა, შემდეგ – გენუაში. თითქმის სამი წელი სწავლობდა თეოლოგიას, ერთი წელი – მედიცინას. 1631 წელს დონ პიეტრო ავიტაბილესთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა. მისი ჩანახატები, საყურადღებო მინაწერებთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას წყაროს.

ეპოქისდა მიხედვით იცვლებოდა მონარქთა რეგალიები. მეფეთა პერიოდის რომში უმაღლეს ინსიგნიას წარმოადგენდა ოქროს გვირგვინი, სპილოს ძვლის სავარძელი (ტახტი) და მეფის თანმხლები თორმეტი ლიქტორი. ეს ინსიგნიები შერჩათ რომის რესპუბლიკის კონსულებს.

ბიზანტიაში იმპერატორის რეგალიებად ითვლებოდა როგორც სამოსი – წითელი წაღები, პორფირი, ასევე, ძალაუფლების გამომხატველი სხვა ნიშნებიც – გვირგვინი, ლაბარუმი და სკიპტრა.

საქართველოშიც უძველესი დროიდანაა სავარაუდო ინსიგნიების გაჩენა. ძალაუფლების ნიშნები ჰქონდათ მეფეებს, ერისთავებს, ხევისბერებს. ქართველ მეფეთა სამეფო რეგალიების საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ივ. ჯავახიშვილმა. მეცნიერის დაკვირვებით, მეფის ხელისუფლების ნიშნებად ძვ. საქართველოში ითვლებოდა: გვირგვინი, პორფირი, სკიპტრა, მახვილი, საყდარი (ტახტი), „ძელი ცხორებისა“, დროშა, სახელმწიფო ბეჭედი[2]. ამ ჩამონათვალს შეიძლება დავუმატოთ სამეფო შუბი, ფარი, ლახტი, რომლებიც ასევე ითვლებოდა მეფის ხელისუფლების ნიშნებად. „წესი და განგებაჲ მეფის კურთხევისა“ გვაუწყებს, რომ მონარქის კურთხევისას, სამეფო გვირგვინთან, პორფირსა და სკიპტრასთან ერთად, ეზოსმოძღვარს ეკლესიაში მიჰქონდა სამეფო ფარი, ჩუხჩარეხს კი – ლახტი. სამეფო დროშასთან ერთად ტაძარში მიაბრძანებდნენ სამეფო შუბსაც.[3]

გვიან შუა საუკუნეებშიც სამეფო ინსიგნიები მრავალფეროვანია. სამეფო სამთაეროებად დაშლილ ქვეყანაში მეფის რეგალიები უკვე განსხვავებულია ერთმანეთისგან, თუმცა გარკვეული კავშირები ერთიანი საქართველოს სამეფო ნიშნებთან ჯერაც შენარჩუნებული იყო.

XV საუკუნიდან ყალიბდება იმერეთის სამეფო, რომლის გავლენა ვრცელდება დასავლეთ საქართველოზე. XVI საუკუნის II ნახევარში იმერეთის მეფეთა გავლენა აფხაზეთზე, გურია-სამეგრელოზე, სვანეთსა და აჭარაზე შესუსტდა. დასავლეთ საქართველო უკვე რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში იმერეთში დაახლოებით

---

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 157-161.

[3] წესი და განგებაჲ მეფის კურთხევისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 50-51.

30-ზე მეტმა მეფემ იმეფა. სამწუხაროდ, დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მათგანის გამოსახულებაა ჩვენამდე მოღწეული. იმერეთის სამი მეფის სურათია შემონახული კასტელის ალბომში – მეფე ბაგრატის (რომელი ბაგრატი იგულისხმება ამის დადგენა ჭირს), გიორგი III-ის (1605-1639) და ალექსანდრე III-ისა (1639-1660). ისინი ნახატზე სამეფო რეგალიებით არიან გამოსახულნი.

გვირგვინი

მეფეთა ინსიგნიებში ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო გვირგვინს, რომელიც მეფის სამოსში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა.

შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების, მონეტების, ოქრომჭედლობის ნიმუშებისა და ფრესკული მხატვრობის საშუალებით შესაძლებელია დეტალურად აღვადგინოთ ქართველ მეფეთა გვირგვინები. XI-XIV საუკუნეების მასალა შესწავლილია ივ. ჯავახიშვილის[4], ივ. ციციშვილისა[5] და ნ. ჩოფიკაშვილის[6] მიერ. ავტორთა დაკვირვებით, XI-XIV საუკუნეების. საქართველოში არსებობდა სხვადასხვა გვირგვინი – დაბალი, დაუკბილავი, მაღალი, სადა ფორმისა, კამარებიანი და რთული გრეხილით შედგენილი, ყველა ფერის მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული.[7] ქართველი მეფეები გვირგვინთან ერთად ატარებდნენ ბიზანტიურ სტემასაც.

სტემა გვხვდება დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალურ მონეტასა და გიორგი III-ის სპილენძის მონეტაზე.[8] ბიზანტიური სტემითაა გამოსახული დავით აღმაშენებელი გელათის მონასტრის ფრესკაზე.

გვირგვინს, როგორც მეფის რეგალიას, დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ სამეფო კარზე. მისი ყოველდღე ტარება აუცილებელი არ იყო. „წესი და განგებაჲ მეფის კურთხევისა“ საგანგებოდ მიუთითებს: „ხოლო ყოველთა დღეთა სამ დღემდის მეფე ტახტსა ზედა ჯდეს გკრგნითა და პორფირითა“.[9] ვინაიდან „წესი და განგებაჲ“ მეფეს ავალდებულებდა, სამი დღე სამეფო რეგალიებით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე, გვაფიქრებინებს, რომ სხვა დროს ამის აუცილებლობა არ იყო.

---

[4] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962.

[5] ივ.ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1955.

[6] ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV), თბ., 1964.

[7] ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV), გვ. 147.

[8] იქვე.

[9] წესი და განგებაჲ მეფის კურთხევისა, გვ. 54.

გვირგვინით იყო მეფე ოფიციალურ შეხვედრებზე და სამეფო დარბაზობისას, სხვა დროს მონარქს შეეძლო, ქუდი ეხმარა. სამეფო კარზე შენახულ თითოეულ გვირგვინს თავისი სადგამი ჰქონდა. რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის „მუხლობრივ აღწერილობაში" საგანგებოდაა მითითებული, რომ იმერეთის მეფესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ წვეულებაზე „ალექსანდრე მეფემ გვირგვინი მოიხადა და იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალფეხებიანი შავი ხავერდით გაწყობილი გვირგვინის დასადგამი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოვლებული და ამაზე დადგეს გვირგვინი".[10]

გვირგვინები, რომლებიც წინა მეფეებს ეკუთვნოდათ, სასახლეში ან ტაძარში ინახებოდა. იმერეთის მეფეთა გვირგვინები გელათში, მთავარი ტაძრის საკურთხეველში მოწყობილ კარადაში იყო მოთავსებული. რუსი ელჩები მოგვითხრობენ: „ამ საყდარში საკურთხევლის მარჯვენა მხარეს სალაროს (ხაზინას) შესანახი კიდობანია, სიგრძე-სიგანე და სიმაღლე თითო საჟენი აქვს, ამ კიდობანში გვირგვინები, ჯვრები, ძვირფასი ქვებით არის შემკული, ჟოლოს ფერის იაგუნდით, ალმასის ჟიჟმატებით. ერთ გვირგვინს სამ წყებად აქვს მარგალიტის მწკრივი გარს შემოყოლებული, სამ ადგილას ჟოლოს ფერი იაგუნდი და ნახნაგოვანი ზურმუხტებია ჩასმული".[11]



კრისტოფორო დე კასტელის ალბომში, მე-3 სურათზე, გამოხატულია იმერეთის მეფე ბაგრატი, რომელსაც იესო ქრისტე ადგამს გვირგვინს

კასტელის ალბომში ჩახატულ იმერეთის მეფეთა გვირგვინებიდან ამჯერად მხოლოდ ოთხის აღდგენა ხერხდება.

I. კრისტოფორო დე კასტელის ალბომში მე-3 სურათზე[12] გამოხატულია იმერეთის მეფე ბაგრატი, რომელსაც იესო ქრისტე ადგამს გვირგვინს. ნახატს შემდეგი მინაწერი

---

[10] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერის მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ციხცაძემ, თბ., 1970, გვ. 99.
ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, რუსული ტექსტი ხელნაწერის მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ციხცაძემ, თბ., 1969, გვ. 133.

[12] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976. ალბომში – ნახ. 3.



იმერეთის მეფის, ბაგრატის გვირგვინის რეკონსტრუქცია

აქვს: „ყველა ქართველს სჯერა, რომ როდესაც მეფე ბაგრატი ქუდმოხდილი ლოცულობდა ტაძარში, ციდან ჩამოეშვა ხილული შუქი და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს გვირგვინი თავზე დაედგა. ეკლესიაში გვირგვინს დღევანდლამდე იყენებენ".[13] ბაგრატ მეფის გვირგვინი შედგებოდა ოქროს გვერგვისაგან ანუ სალტისაგან, რომელშიც ჩასმული უნდა ყოფილიყო ძვირფასი ქვები. კასტელისთან მკაფიოდ არ ჩანს სალტეზე პატიოსანი ქვების განლაგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, მიახლოებით აღვადგინოთ. თვლების ერთი წყება ვერტიკალურადაა გაწყობილი სალტეზე, გარკვეული მანძილის დაშორებით, რაც ერთგვარ უჯრედებს ქმნის. თითოეულ უჯრედში დიაგონალურადაა მოთავსებული ძვირფასი ქვები. სალტე ზემოდან შემკულია ორნამენტებით. გვირგვინის ეს დეტალი დაუმთავრებელია და ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ რა სახის ორნამენტთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო სხვადასხვა ზომის ფოთლის მოხაზულობის ელემენტი. გვირგვინს ზემოდან პატიოსანი თვლებით შემკული რკალი ჰქონდა, რომელზეც სპეკალით გაწყობილი პატარა ჯვარი იყო აღმართული.




იმერეთის მეფე გიორგი III. დე კასტელის ალბომი

II. მეფე ბაგრატის გვირგვინი განსხვავდება მე-5 სურათზე გამოსახული იმერეთის მეფის, გიორგი III-ის გვირგვინისაგან[14]. ეს უკანასკნელი კუთხოვანია, ძვირფასი ქვებით

[13] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 75.

[14] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 5.

შემკული. გვირგვინის გუმბათზე პატარა ჯვარი იყო აღმართული. კასტელის ნახატიდან კარგად არ ჩანს ძვირფასი ქვების განლაგება. ასევე, ძნელია თქმა, გვირგვინის ჯვარი მარტო ოქროსი იყო თუ პატიოსანი თვლებით იყო მორთული. სურათის მინანერშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არაფერია ნათქვამი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ვაკუუმს ავსებს რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის აღწერილობები. ამ ცნობების შეპირისპირება გვარწმუნებს, რომ კასტელის ნახატებში დადასტურებული იმერეთის მეფეთა გვირგვინები რეალობიდანაა აღებული და მხატვრის ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენს. რუსმა ელჩებმა დეტალურად აღწერეს ალექსანდრე III-სთან აუდიენცია, მათ შორის იმერეთის მეფის რეგალიები. ისინი წერენ: „ელჩები ალექსანდრე მეფესთან დღის ცხრა საათზე ვიყავით.... ალექსანდრე მეფის თავზე კოშკური, კუთხედებიანი გვირგვინი ედგა მარგალიტებით და თვლებით გაწყობილი. გვირგვინს შუაზე ოქროს ჯვარი ჰქონდა ალმასებით, იაგუნდებით და ზურმუხტებით შემკული“.[15] როგორც ვხედავთ, კასტელის ნახატში მოცემული და რუს ელჩებთან აღწერილი გვირგვინი იდენტურია – ორივე კუთხოვანია, ძვირფასი ქვებითაა გაწყობილი, გუმბათოვანია და შუაში ჯვარი აქვს. ჩვენი აზრით, იმერეთის მეფე ალექსანდრე III აუდიენციაზე მამის, გიორგი III-ის ნაქონი გვირგვინით უნდა წარმდგარიყო.



იმერეთის მეფის, გიორგი III-ის გვირგვინის რეკონსტრუქცია

III. იტალიელი მისიონერის ალბომში 82-ე სურათზე ასახულია იმერეთის სამეფო კარზე სამეგრელოს მთავრის მიერ გამოგზავნილი წერილის კითხვის სცენა[16]. ტახტზე მჯდომ იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს ამშვენებს მრგვა-

[15] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 98.

[16] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 82.



იმერეთის მეფე ალექსანდრე III, კრისტოფორო დე კასტელი

ლი დაკბილული გვირგვინი. გვირგვინი ოქროსი უნდა ყოფილიყო. ჰქონდა თუ არა გარედან მინანქარი, ამის თქმა ძნელია. კასტელისთან მთლად მკაფიოდ არ ჩანს გვირგვინის შემკულობა.





იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის გვირგვინი

IV. მრგვალი დაკბილული გვირგვინი ამშვენებს იმერეთის მეფეს 84-ე ნახატშიც.[17] მაგრამ 82-ე სურათზე გამოსახული გვირგვინისგან განსხვავებით, მას კბილები გადახრილი აქვს. ამ შემთხვევაშიც გვირგვინის შემკულობაზე ვერაფერს ვიტყვით.


ამდენად, ჩვენს ხელთაა იმერეთის მეფეთა 4 განსხვავებული გვირგვინის გამოსახულება. სამწუხაროდ, ეს გვირგვინები დღეისათვის დაკარგულია. ამას გარდა, ალბომში არის კიდევ რამდენიმე დაუსრულებელი გვირგვინის სურათი (ნახ. 9 და ნახ. 84), ამიტომაც მათზე საგანგებო მსჯელობისგან ამჯერად თავს შევიკავებთ.



იმერეთის მეფე ალექსანდრე III. კრისტოფორო დე კასტელი

აქ დავასრულებდით იმერეთის მეფეთა გვირგვინებზე საუბარს, რომ არა ერთი მომენტი. კრისტოფორო დე კასტელისთან ვხვდებით მეფეთა თავსაბურავის განსხვავებულ ტიპსაც, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ქუდი-გვირგვინი. ამ თავსაბურავს მეფეები იყენებდნენ ოფიციალურ ცერემონიებზე (მაგალითად, იმერეთის მეფე ალექსანდრე III ამ ქუდითაა გამოსახული ელჩების მიღებისას). ქუდი-გვირგვინი იყო მრგვალთავიანი, აკეცილი კიდეებით, რომელიც შედგებოდა განიერი, ფართო ძირისაგან, ზემოდან ოვალური ჩაჩით. უშუალოდ ქუდის ძირს, ზემო მხრიდან ჩაყოლებული ჰქონდა ოქროს დაკბილული გვირგვინი. იმერეთის მეფეთა ქუდი-გვირგვინები კასტელის რამდენიმე ადგილას აქვს ჩახატული, მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად ჩანს მე-6, 75-ე, 76-ე, მე-80 ნახატებზე. რაც შეეხება 74-ე, 81-ე, 314-ე და 315-ე სურათებს, მათზე ასახული მეფეთა თავსაბურავი სწორედ ზემოაღწერილი ქუდის მაგვარი უნდა იყოს, ოღონდ დასრულებული არაა. ამ სახის თავსაბურავზე, როგორც ჩანს, ფრთასაც ამაგრებდნენ. ქუდი-გვირგვინი

[17] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 84.



იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის გვირგვინის რეკონსტრუქცია

გავრცელებული ყოფილა დასავლეთ საქართველოში. მე-17 და მე-19 სურათებზე მალაქია გურიელი სწორედ ამგვარი თავსაბურავითაა გამოსახული.

ფრესკული გამოსახულება, უცხო ელჩების ჩანაწერები თუ კასტელის ალბომი თვალნათლივ მიუთითებს, რომ იმერეთის მეფეთა გვირგვინი ძვირფასი თვლებით იყო მოჭედილი და, ბუნებრივია, მისი ფასიც საკმაოდ ძვირი იქნებოდა. ჩვენამდე მოაღწია ჟან შარდენის ერთმა ძვირფასმა ცნობამ, რომელშიც საუბარია იმერეთის მეფის გვირგვინის ღირებულებაზე. ფრანგი მოგზაური, როგორც ცნობილია, საკმაოდ კარგი იუველირი იყო და აქედან გამომდინარე, შესანიშნავად ერკვეოდა ოქრომჭედლურ ნაწარმში.

1672 წელს შარდენი სტუმრობდა გაენათელ ეპისკოპოსს, რომელთანაც იმყოფებოდა იმერეთის დედოფალი თამარი. ფრანგი მოგზაური მოგვითხრობს: „გაენათელთან მოვიდა იმერეთის მეფის მიერ თბილისში გაგზავნილი ერთი აზნაური, რომელმაც დედოფალს მოახსენა, თუ რა წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. ეს აზნაური გაგზავნა რვა ათასი ეკიუს[18] სასესხებლად, რისთვისაც გირაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს არის ძვირფასი ქვებით

[18] ეკიუ – ფულის ერთეული საფრანგეთში. შემოიღეს 1641 წელს. იწონიდა 23,73 გრ-ს ვერცხლით.

მოოჭვილი ოქროს გვირგვინი, რომლის ღირებულება ალბათ 4000 პისტოლი[19] იქნება".[20]

შარდენის ამ მინიშნებიდან შეიძლება მიახლოებით განვსაზღვროთ იმერეთის მეფეთა ერთი გვირგვინის ფასი. იგი, დიახ, 4000 პისტოლი ღირებულა. ეს იმხანად საკმაოდ დიდი თანხა იყო.

სკიპტრა

ხელისუფლების ეს სიმბოლო უძველესი დროიდან არსებობდა. ეგვიპტის ფარაონებს სხვადასხვა ფორმის სკიპტრა ჰქონდათ. რომში მას სენატი რწმუნებასთან ერთად აძლევდა კონსულებს. მასზე, უმეტეს შემთხვევაში, არწივი იყო გამოსახული. ძალაუფლების ამ ნიშანს რომაელი უცხოელები სახელმწიფოთა მეფეებსაც უგზავნიდნენ მეგობრობის ნიშნად.

სკიპტრის პარალელურად, IV საუკუნეში ძალაუფლების ნიშნად ჩნდება ლაბარუმიც. მის შემოღებას კონსტანტინე დიდს მიაწერენ. ბიზანტიის იმპერატორებს რამდენიმე სახის ლაბარუმი ჰქონდათ.

ქართველ მეფეებს ეპყრათ როგორც ლაბარუმი, ასევე სკიპტრა. განსხვავება ამ ორ საგანს შორის მდგომარეობდა იმაში, რომ ლაბარუმი გრძელბუნიანი იყო, სკიპტრა კი – შედარებით პატარა.

ქართველ მეფეთა ლაბარუმის თავი ზოგ შემთხვევაში ხუთკუთხა იყო, ზოგჯერ კი ძვირფასი ქვებით გაწყობილ სწორკუთხა ფირფიტას წარმოადგენდა. სკიპტრა კი უპირატესად ჯვრით იყო დასრულებული. XVI საუკუნის ფრესკებზე ქართველი მეფეები ჯვრისებრი სკიპტრით არიან გამოსახულნი. ტერმინი „სკიპტრა" ქართულში ბერძნულიდანაა შემოსული, მაგრამ სულხან-საბას განმარტებით, მას ქართული შესატყვისიც ჰქონდა – „სკიპტრა ელლენთა ენაა, სამეფო ჯოხი, ქართული ფაენი ჰქვიან".[21]

---

[19] პისტოლი – ფულის ერთეული. შემოიღო ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ (1556-1598). 1772 წლამდე იწონიდა 6,2 გრ-ს ოქროთი.

[20] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 285.


ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993, გვ. 102. კახურ დიალექტში დადასტურებულია სიტყვა „ფაინდა". ეს არის 65-70 სმ. სიგრძის ჯოხი, ერთ თავისკენ უფრო მსხვილი, მეორისაკენ – წვრილი. ხმარობენ სათამაშოდ (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 532). შესაძლებელია, ამ თამაშის სახელწოდება „ფაინდა" „ფაენიდან" მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი,

„წესი და განგება“ მეფის კურთხევისაში“ აღნიშნულია, რომ როდესაც კათოლიკოსი აკურთხებდა მეფეს, დაადგამდა გვირგვინს, ჩააცვამდა პორფირს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემდა სკიპტრას. ამ სამეფო ნიშანს კათოლიკოსი საგანგებოდ მარჯვენა ხელში აძლევდა მეფეს („ამის შემდგომად აღიღოს სკიპ(ტ)რა, ჯვარი დასწეროს და მისცეს მარჯვენასა ჴელსა მისსა“)[22]. ძეგლში მითითებული არ არის, მარჯვენა ხელში სკიპტრის ჭერა სავალდებულო იყო თუ არა, მაგრამ რაკი „წესი და განგებაის“ შემდგენელს საგანგებოდ აქვს ხაზგასმული აღნიშნული დეტალი, ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს სამეფო კარზე დაკანონებული იყო მონარქის მიერ სკიპტრის ჭერის ეს ფორმა

კასტელის ალბომში ჩახატულია იმერეთის მეფეთა სხვადასხვა მოყვანილობის სკიპტრები. გვირგვინის მსგავსად, სამეფო კარზე რამდენიმე სკიპტრა ინახებოდა.

კასტელის ყველა ნახატში მკაფიოდ არ ჩანს სკიპტრის გამოსახულება, მაგრამ შესაძლებელია სამი სახის სამეფო კვერთხის აღდგენა.

I. ალბომის მე-9 სურათზე გამოსახულია იმერეთის მეფე ალექსანდრე III, რომელსაც მარჯვენა ხელში უპყრია სკიპტრა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ სახის სკიპტრის პირველი გამოსახულება[23]. სკიპტრის ძირითად ნაწილს კონუსისებური ფორმა აქვს. კვერთხის ქვემო მხარის დიამეტრი, ზემოსთან შედარებით, მცირეა. კვერთხის ზედა ნაწილში ერთი და იმავე სისქის ორი რკალია.



იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის სკიპტრა. კრისტოფორო დე კასტელი

რომ თამაშის მთავარი ატრიბუტი – ჯოხი – სკიპტრის მოყვანილობისაა.

[22] წესი და განგებაი მეფის კურთხევისა, გვ. 54.

[23] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 9.

მცირე რკალიდან ამოზრდილ პატარა ყელზე კი დამაგრებულია სკიპტრის თავი, რომელსაც სფეროსებრი ფორმა აქვს. იმერეთის მეფეთა სკიპტრა, უდავოდ, ოქროსი იქნებოდა, შესაძლებელია, ჰქონოდა ძვირფასი ქვების შემკულობაც. სამწუხაროდ, როგორც ქართველ მეფეთა სხვა რეგალიები, ეს კვერთხიც ჩვენამდე მოღწეული არ არის. კასტელის ნახატის პროპორციებს თუ გავითვალისწინებთ, სკიპტრის სიგრძე 50-60 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

II. 75-ე სურათზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი იმერეთის მეფე გიორგი[24]. მას მარცხენა ხელით უპყრია სკიპტრა. კვერთხის ღერძი თანაბარი დიამეტრისაა, რომელიც პარატა სფეროთი სრულდება. სფეროზე დამაგრებული უნდა იყოს ჯვარი, მაგრამ ეს დეტალი მკაფიოდ არ ჩანს. გიორგი მეფის სკიპტრის სიგრძეც დაახლოებით 50-60 სმ. იქნებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც მოოქრული იყო.

III. 84-ე სურათზე იმერეთის მეფეს მარცხენა ხელში უპყრია სკიპტრა[25]. მისი ღერძის მოყვანილობა კარგად ჩანს, მაგრამ კვერთხის თავი გაურკვეველია. სკიპტრა კონუსისებრია, ოღონდ ქვედა მხრის დიამეტრი ამჯერად აღემატება ზედას. სკიპტრას თავზე პატარა ბურთულისოდენა სფერო უნდა ჰქონოდა, რომელიც, შესაძლოა, ჯვრით ყოფილიყო დასრულებული. კრისტოფორო დე კასტელის ალბომში 77-ე, მე-80, 81-ე ნახატებზეც არის გამოსახული სკიპტრები, მაგრამ მათი აღდგენა ჭირს.





იმერეთის მეფე ალექსანდრე III, სკიპტრით ხელში. კრისტოფორო დე კასტელი

[24] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 75.

[25] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ალბომში – ნახ. 84.

***

აღნიშნული მიმართულებით კვლევის წარმოება მნიშვნელოვანია, რამეთუ არ გამოვრიცხავთ მომავალში ჩვენი მეზობლების სამუზეუმო საცავებში მივაკვლიოთ ქართული პოლიტიკური ერთეულების სამეფო რეგალიებს. მათი იდენტიფიკაციისას კასტელის ალბომის ნახატები ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს.

თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII საუკუნეში*

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ახალი მეთოდების გამოყენებით დაგვეზუსტებინა თბილისის ტერიტორიის ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე. შესაძლებელია, მომავალში ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით კიდევ უფრო დაზუსტდეს ის მონაცემები, რომლებიც სტატიაშია მოცემული. სამწუხაროდ, ამჯერად გეოინფორმაციული სისტემების პროგრამამ მხოლოდ ინფორმაციის ნაწილობრივი დამუშავების საშუალება მოგვცა. ამ მიმართულებით კვლევა კიდევ უნდა გაგრძელდეს. ძველმა თბილისმა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რაც ერთგვარ პრობლემას ქმნის შუა საუკუნეების ქალაქის ურბანული ქსოვილის შესასწავლად. განსაკუთრებით რთულია ქალაქის ფართობში არასაცხოვრებელი სივრცის გამოთვლა (ქუჩები, მოედნები, ბაღები, სავაჭრო რიგები...). მომავალში განსაზღვრული გვაქვს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) გამოყენებით გავაანალიზოთ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი რუკებიც, რის შემდეგაც, შესაძლებელია, კიდევ უფრო დაზუსტდეს ქალაქის ტერიტორიის ფართობი და მოხდეს შიდა სივრცის კლასიფიკაცია.

ისტორიოგრაფიაში დისციპლინათაშორისი კვლევების აუცილებლობაზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს საუბარი. „ანალების“ სკოლამ ეს თემა სამეცნიერო კვლევების ღერძად აქცია. ამა თუ იმ დარგის მეთოდოლოგიის გამოყენებით ისტორიული მასალის გაანალიზებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ისტორიკოსის სამუშაო არეალი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი პერსპექტივა დასახა. დაიწყო ექსპერტული სისტემების ჩამოყალიბება, რომელთა წყალობითაც მუშავდება მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა და შესაბამის მონაცემთა ბაზაში ინახება.[1] გასული საუკუნის 90-იანი

---

* თბილისის ტერიტორია და მოსახლეობა XVIII საუკუნეში, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 2013, გვ. 185-214.

მ. გურაბანიძე, ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება, თბ.,

წლებიდან აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, გეოგრაფებსა და ისტორიკოსებს, ხოლო, მეორე მხრივ, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებს შორის, რის შედეგადაც მივიღეთ ერთობლივი კვლევის არაერთი მაგალითი. თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერება უკვე აქტიურად იყენებს GIS-ს – გეოინფორმაციული სისტემების პროგრამას. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (gis) არის კომპიუტერულ რუკებსა და გეომონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შენახვის, მართვისა და ანალიზისთვის (გეომონაცემთა ბაზები ისეთ მონაცემებს აერთიანებს, რომელთაც გეოგრაფიული სივრცე აქვს). ისტორიოგრაფიაში გის-ის ტექნოლოგიები კარგა ხანია გამოიყენება არაერთ ქვეყანაში. რამდენადაც ისტორიული მოვლენა, პროცესი თუ ობიექტი მჭიდრო კავშირშია გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცესთან, ამდენად, მათი ინტეგრირება გეომონაცემთა ბაზებთან სრულიად ლოგიკური მოთხოვნაა თანამედროვე ისტორიულ კვლევებში.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ GIS სისტემის მეშვეობით მეტ-ნაკლები სიზუსტით დაანგარიშდა XVIII საუკუნის 30-იანი წლების (ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით) თბილისის ფართობი. აღნიშნული სამუშაო, ჩვენი კონსულტაციით, შეასრულა ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელმა გელა ტალახაძემ. ვახუშტის გეგმა დაეფინა თანამედროვე თბილისის გეგმას. წარმოშობილი ცდომილებები (ასეთი კი, ბუნებრივია, იარსებებდა) მაქსიმალურად გასწორდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცდომილება ზოგჯერ ორ ასეულ მეტრსაც კი შეადგენდა. GIS-ის პროგრამაში თითოეულ პუნქტს თავისი კოორდინატები აქვს. საქართველოსთვის კოორდინატების სისტემა დაითვლება was 1984 utm zona 38n მიხედვით. მაგალითად, ქაშვეთის მდებარეობა ამ სისტემის მიხედვით განისაზღვრება, როგორც X-483303; Y-4616263. მეტეხის ტაძრის – X-484303; Y-4615388 და ა. შ. როდესაც ვახუშტის რუკა ეფინება თანამედროვე რუკას, აუცილებელია მოიძებნოს შესაბამისი წერტილები. ვახუშტის რუკის ქაშვეთი უნდა დაჯდეს თანამედროვე ქაშვეთის ადგილას, შესაბამისად – მეტეხის ეკლესია და ყველა ის ძეგლი თუ ადგილი, რომელთა პარალელი დღეისათვის უცდომლად იძებნება. მაგრამ ამ შემთხვევაში ვახუშტის რუკაზე აშკარად ჩნდება ცდომილებანი. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ მისი გეგმა ნახატს წარმოადგენს და დაზღვეული არ

2004, გვ. 11. აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია ისტორიულ მეცნიერებაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი. ყურადღება გამახვილებულია ისტორიულ მონაცემთა ბაზის ფორმირებაზე.

არის უზუსტობებისგან. სწორედ ამიტომ გათვალისწინებულ იქნა კონკრეტული ისტორიული რეალიებიც.

ჩატარებულმა სამუშაომ აჩვენა, რომ ზოგადად, ქალაქის ფართობის დაანგარიშება ადვილი განსახორციელებელი იყო, მაგრამ სირთულეს წარმოადგენდა არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი და არასაზოგადოებრივი სივრცეების გამიჯვნა. შემდგომი მუშაობისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან საზოგადოებრივი სივრცის მეშვეობით უნდა დაანგარიშებულიყო მოსახლეობის რიცხოვნობა, რაც საშუალებას მოგვცემდა, გადაგვემონმებინა წერილობით წყაროებში არსებული ცნობები.

ჩატარებული სამუშაოები დანაწილდა უბნების მიხედვით – კალა, ხარფუხი, გარეთუბანი, ავლაბარი. საზოგადოებრივ სივრცეში მოექცა ქუჩები, მცირე მოედნები, სავაჭრო რიგები, ვინაიდან ეს ტერიტორია ჩართული იყო საერთო ურბანულ ქსოვილში და საცხოვრებელი კვარტალების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ქალაქის პირას ცალკე მდგარი სასახლე და მისი მიმდებარე ტერიტორია ქალაქის საცხოვრებელი უბნების კატეგორიაში არ აღირიცხა. არასაცხოვრებელ ტერიტორიად გამოიყო ქალაქში დაუსახლებელი ფერდობები, ხევები, ასევე, ქალაქგარეთ არსებული ბაღები და მოედნები.

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი თბილისის ფართობის დადგენის ცდა აქამდეც ჰქონდათ მკვლევრებს. ამ დაანგარიშებით, თბილისი 105 ჰექტარზე იყო გაშენებული, საიდანაც კალას ეკავა 36 ჰექტარი, ნარიყალას ციხეს – 4, აბანოებისა და სეიდაბადის უბანს – 15, მეტეხის ციხეს – 0,8, ავლაბრის თხრილით შემოვლებულ ნაწილს – 7, თხრილს გარეთ არსებულ ავლაბრის უბანს – 8, კალოუბანსა და ასპარეზს – 13, სოლოლაკს – 20.[2]

---

[2] ეს დაანგარიშება ჩაატარა თენგიზ კვირკველიამ და შესულია მის ნაშრომში: Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тб., 1982, გვ. 24. მართალია, ავტორის მიერ მოტანილი ციფრები XII საუკუნის თბილისს ეხება, მაგრამ XVIII საუკუნისათვისაც ქალაქის ფართობი დიდად არ უნდა შეცვლილიყო. საერთოდ, შუა საუკუნეებში თბილისის ზრდა-განვითარება მასშტაბებით არ გამოირჩეოდა, განსაკუთრებით, XIII საუკუნის შემდეგ, როდესაც პირიქით, შემცირდა საცხოვრებლად და სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებადი ტერიტორია. მაგალითად, მონაკვეთი დღევანდელ აბანოების უბნიდან 300 არაგველის ობელისკამდე XIII საუკუნემდე აქტიურად ჩანს ათვისებული. არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად, ძველი თბილისის ამ ნაწილში დიდი სამრეწველო უბანი დადასტურდა. გ. ლომთათიძის მითითებით, ქალაქის ეს ნაწილი ერთგვარ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და მტერთაგან „აკლებამდე... ამ სახელოსნოებს ათეულობით წლები ნაყოფიერად უმუშავია და დიდძალი ნანარმი მიუწოდებია თბილისისა თუ შორეული და მახლობელი სოფლებისათვის“ (ო. ტყეშელაშვილი, გიორგი ლომთათიძე და თბილისის არქეოლოგია (მოგონება), ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგ-

ვახუშტის გეგმის თანამედროვე თბილისის რუკაზე დაფენისას ასეთი ვითარება მივიღეთ:

კალა – მთელი ტერიტორია მოიცავდა 49,3 ჰექტარს; საცხოვრებელი ფართობი – 41,4 ჰექტარს; არასაცხოვრებელი – 6,3 ჰექტარს; ნარიყალის ციხე – 1,6 ჰექტარს.

გარეთუბანი – საცხოვრებელი ფართობი, დაახლოებით, 8,5 ჰექტარს მოიცავდა. ამას ემატებოდა დასახლება ორბელიანების უბანში – 2,1 ჰექტარი; არასაცხოვრებელი ტერიტორია – მეფის ბაღი გარეთუბანში 13,5 ჰექტარზე იყო გადაჭიმული.

ხარფუხი – მთელი ტერიტორია მოიცავდა 18,2 ჰექტარს; საცხოვრებელი – 3,4 ჰექტარს; არასაცხოვრებელი – 14,8 ჰექტარს, რომელზეც ბაღები იყო გაშენებული.

ავლაბარი და მეტეხის ციხე მთლიანად 16,4 ჰექტარს მოიცავდა, მაგრამ საცხოვრებელი და საზოგადო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს (ეკლესიებს, სათემო გზებს და მოედნებს), დაახლოებით, 54% ეკავა (8,8 ჰა), დანარჩენ ფართობზე ხევები, თხრილები და არასაცხოვრებელი სივრცე იყო. ავლაბარში განაშენიანება გადაჭიმული იყო 7,3 ჰექტარზე; მეტეხის ციხე ხიდამდე 1,5 ჰექტარს მოიცავდა.

ამ მონაცემების მიხედვით, თბილისის საერთო ფართობი, დაახლოებით, 108 ჰექტარს შეადგენდა. აქ არ შედის გარეთუბნის ტერიტორიაზე არსებული ყაბახის ფართობი, ასევე, ავლაბარში ელიას მთაზე არსებული სომხური სასაფლაო. მთლიანობაში, თბილისის ფართობი 120 ჰექტრამდე იქნებოდა. აქედან ინტენსიურად დასახლებული ჩანს, დაახლოებით, 65,8 ჰექტარი.

ლები, ტ. II, თბ., 1974, გვ. 40). აღმოჩენილ მასალაზე დაყრდნობით, მ. მიწიშვილმა ამ ადგილას ქალაქის რაბათის არსებობაც ივარაუდა, რაც სრულიად მისაღები ჩანს. მეცნიერის მითითებით, „თბილისის სამხრეთ გალავანთან აღმოჩენილი ქურა-სახელოსნოები, წარმოების ნაშთები, სამეურნეო ნაგებობები, აქ დამზადებული მოჭიქული კერამიკა და სხვა უფლებას გვაძლევს დავუშვათ, რომ აქ არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა უბანი რაბადი“. იქვე მ. მიწიშვილი მიუთითებს, რომ ქალაქის ეს ნაწილი XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაინგრა და აღარ აღდგენილა (მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX-XIII სს., თბ., 1979, გვ. 21).

გვიან შუა საუკუნეებში კი აქ ბაღები იყო გაშენებული და სეიდაბადის მხოლოდ ზედა ნაწილში არსებობდა საცხოვრებელი უბანი.

თბილისის მოსახლეობა წერილობითი წყაროების მიხედვით

XVIII საუკუნის თბილისის მოსახლეობის შესახებ წერილობით წყაროებში რამდენიმე ცნობაა დაცული. ავტორთა უმრავლესობის მითითებით, ამ პერიოდის თბილისში 18000-დან 20000-მდე ადამიანს უცხოვრია. უნდა ითქვას, რომ ეს ციფრი რეალობასთან ახლოა და ეჭვის საფუძველს არ აჩენს.

1700-1702 წლებში საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის დავალებითა და ხელშეწყობით, თურქეთსა და კავკასიაში იმყოფებოდა ჟოზეფ ტურნეფორი, ფრანგი ბოტანიკოსი და ექიმი. 1701 წელს იგი ეწვია თბილისს და ქალაქის საკმაოდ საინტერესო აღწერილობა მოგვცა. მისი ცნობით, თბილისში ირიცხებოდა 20000 მცხოვრები: „თბილისი საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. სახლები აქ დაბალია, ცუდად განათებული და ჩვეულებრივ, ალიზითა და აგურითაა ნაგები... ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით ოცი ათას სულს შეადგენს".[3]

1771-1772 წლებში საქართველოში იმყოფებოდა წარმოშობით გერმანელი მეცნიერი და მოგზაური, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. ეს უკანასკნელი თბილისის მოსახლეობას 20 000-ით განსაზღვრავს. ამასთანავე, მასთან ვხედავთ ქალაქის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას: „ქალაქის გარშემონერილობა თითქმის 3 ვერსია (3200 მ. – ჯ. ს); მთავარი ქუჩები ოდნავ განიერია საჟენზე (2,13 მ. – ჯ. ს.), უმეტესობა კი უფრო ვიწროა. მშენებლობა უკიდურესად ცუდია. [სახლები ნაგებია] აგურებით, მრგვალი რიყის ქვით და თიხიანი კირით. სახლები შედგება მხოლოდ ერთი სართულისგან; ისინი 15 ფუტზე (4,5 მ.) ოდნავ მაღალია, სახურავები მთლად ჰორიზონტალურია და დაფარულია თიხით. თბილისში ითვლება 20 000 მცხოვრები, რომელთა უმრავლესობა სომეხია. მოსახლეობის რაოდენობა ფართობთან შეფარდებით გაცილებით დიდია; ქუჩები ძალზე ვიწროა".[4]

XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს რამდენჯერმე ეწვია იაკობ რაინეგსი, რომელიც ერთხანს თბილისშიც ცხოვრობდა. მისი აღწერილობით, „ქალაქი არის ვრცელი და დიდი; გარეუბნების ჩათვლით, მტკვრის ორივე მხა-

---

[3] ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 64-66. ტურნეფორის ეს ცნობა სარწმუნოდ არ მიაჩნია ს. კაკაბაძეს და ამ პერიოდის თბილისში 14000 მცხოვრებს ვარაუდობს (ს. კაკაბაძე, ეკონომიური ვითარების შესახებ, „მნათობი", 1924, გვ, 225, შენ. 4).

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 133.

რეს, მოიცავს ოთხი ათას, უმეტესად ძალზე ღარიბულ სახლს და ოცი ათასამდე მცხოვრებს".[5]

1803 წლის იანვრის აღწერილობის მიხედვით, თბილისში ცხოვრობდა 3000 ოჯახი, საერთო რაოდენობით – 20000 სული.[6]

---

[5] ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 158.

[6] М. Полиевктов, Г. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, Тб., 1929, გვ. 65. ამ აღწერის შესახებ ინფორმაცია პირველად გამოქვეყნდა შემოკლებით: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. II, Тиф., 1868, გვ. 1046. მთლიანად აღწერის მონაცემები გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ 1925 წელს (ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1925, გვ. 27-104). აღსანიშნავია, რომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების II ტომში დამოწმებული ინფორმაცია და 1803 წლის აღწერის მონაცემები განსხვავდება ერთმანეთისგან. „აქტებში" თბილისის მოსახლეობას 20000 ადამიანი შეადგენს მაშინ, როცა ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ „აღწერაში" 11805 სულია მითითებული. ამ განსხვავებას ს. კაკაბაძე იმით ხსნის, რომ „აღწერებში" მხოლოდ სრულწლოვანი მოსახლეობაა შეყვანილი, რაც, თავისთავად, მოსახლეობის საერთო რიცხვს ამცირებს. 1803 წლის აღწერის მონაცემები საგანგებოდ შეისწავლა შოთა კაკულიამ, რომლის დასკვნით, ამ დროს თბილისში უნდა ეცხოვრა 15600 ადამიანს. აღწერაში მოხსენიებულ 11906 სულს მან დაუმატა სავარაუდო 10-15%-იანი აღურიცხავი მოსახლეობა და 1900 რუსი მეომარი და მათი თანმხლები პირი (შ. კაკულია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., თბ., 1979, გვ. 9-17). არ გამოვრიცხავთ, რომ 1803 წლისათვის თბილისის მოსახლეობა შემცირებულიყო. მართებულად შენიშნავს შ. კაკულია, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და 1797 წელს თბილისში გაჩენილი შავი ჭირის გამო ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 1803 წლის ოფიციალურ ცნობაში თბილისში 20 000 ადამიანია დაფიქსირებული. ალბათ, თავად რუსი მოხელეები კარგად ხვდებოდნენ ჩატარებული „აღწერის" მონაცემების არასანდოობას. როგორც ჩანს, ახლად დამკვიდრებულმა ხელისუფლებამ ჩაატარა აღწერა, მაგრამ ის საკმაოდ შორს იყო სინამდვილისგან და ამას თავადაც ამჩნევდნენ. ამიტომაცაა ასეთი განსხვავებული ციფრები. ტექსტის პუბლიკაციისას ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, ამ აღწერის ინსტრუქცია აღმოჩენილი არ არისო. არ გამოვრიცხავთ, რომ ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული აღწერის ნუსხა და „აქტებში" დაბეჭდილი 1803 წლის იანვრის ინფორმაცია შედგენილი იყოს იმ სამუშაოს შედეგად, რომელიც შეასრულა პოლკოვნიკმა დრენიაკინმა გენერალ კნორინგის დავალებით. 1802 წლის 10 ივნისს გენერალმა კნორინგმა შესაბამისი წერილით პოლკ. დრენიაკინს დაავალა, აღეწერა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველო და დიდი ქალაქების რუკების შეედგინა. «Сделать во первыхъ верные планы городамъ Тифлису, Телаву, Гори и Душету, съ показаниемъ числа церквей, домовъ, торговыхъ лавокъ, фабрикъ и другихъ заведений, когда въ оныхъ бываютъ торги, и какие и отколь на оные привозятся сухопутно или водою продукты», – აღნიშნულია დოკუმენტში. გენერალი კნორინგი თავის ქვეშევრდომს სხვა დავალებებსაც აძლევს, რომლებიც აღწერის ერთგვარ ინსტრუქციას უნდა წარმოადგენდეს (იხ.: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. I, Тиф.,

1808 წელს თბილისში იმყოფებოდა გერმანელი ლინგვისტი – ორიენტალისტი ჰაინრიხ ფონ კლაპროთი, რომელსაც თბილისის მოსახლეობის ოდნავ განსხვავებული ციფრი აქვს მითითებული, მაგრამ ისიც საკმაოდ ახლოს დგას ზემოთ მოტანილ ცნობებთან. მისი ინფორმაციით, თბილისის მოსახლეობა, რუსთა გარნიზონისა და ჩინოვნიკების გამოკლებით, 18000 სულს შეადგენდა.[7]

1816 წელს თბილისში ცხოვრობდა 20000 სული, რაზეც ცნობას გვაწვდის რუსი დიპლომატი და არქეოლოგი ალექსანდრე ნეგრი.[8]

უცხოურ ავტორთა ცნობებს ამყარებს ქართული წერილობითი წყაროები.

1770 წლის 5 აპრილის აღწერილობის მიხედვით, თბილისში 4000 კომლს უცხოვრია. ივანე ჯავახიშვილის მითითებით, კომლში რომ 5სული ვიანგარიშოთ[9], მაშინ თბილისში დაახლოებით 20000 სული მცხოვრები გამოდის.[10]

1866, გვ. 487-489). ჩვენი აზრით, ჩატარებული სამუშაოს შედეგი უნდა იყოს კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „აღწერა" და ასევე, 1803 წლის იანვრის ინფორმაცია, რომელიც ნაწილობრივ დაზუსტებას ნარმოადგენს.

1803 წლისათვის 14 620 მცხოვრებს ვარაუდობს თბილისში შ. მესხია. მკვლევარი ეფუძნება აღწერის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, თბილისში ცხოვრობდა 2924 კომლი. შესაბამისად, კომლზე ხუთი სულის გაანგარიშების შემთხვევაში, გამოდის 14620 ადამიანი (შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 260). ეს მოსაზრება გაიზიარა აკაკი კაცაძემ (იხ.: აკ. კაცაძე, თბილისის მოსახლეობის ფორმირების პროცესები (ისტორიულ-დემოგრაფიული და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1991, გვ. 10). ისიც აღსანიშნავია, რომ წინა გვერდზე ავტორი 1801 წლისათვის 18-20000 ადამიანს ვარაუდობს თბილისში. იხ. ასევე, ზ. შენგელია, თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაცია XIX-XX დასაწყისში, თბ., 1998, გვ. 3.

7 М. Полиевктов, Г. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, გვ. 71

8 М. Полиевктов, Г. Натадзе, старый Тифлис в известиях современников, გვ. 74.

9 ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ დღემდე მიდის კამათი ისტორიული-დემოგრაფიის სპეციალისტებს შორის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითად დომინირებს ის მოსაზრება, რომ საქართველოში ოჯახი საშუალოდ შედგებოდა 5 წევრისგან, თუმცა, არსებობდა დიდი ქართული ოჯახიც, რომელშიც რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. ევროპასა თუ ამერიკაში თითქმის იგივე რეალობა იყო. ამერიკაში საშუალოდ 5-9 წევრამდე მერყეობდა ოჯახის შემადგენლობა, თუმცა, ყველაზე უფრო გავრცელებული იყო 5-6-სულიანი ოჯახები. ევროპაშიც თითქმის იგივე მაჩვენებელია, მკვლევრები შუა საუკუნეების ოჯახს, ძირითადად, 4-6 პერსონით საზღვრავენ (G. B. Warden, L'urbanisation américaine avant 1800, In: Annales. Économies, Sociétés, Civilisations, 25e année, №4, 1970, გვ. 873; Jeffrey R. Zorn, Estimating the Population Size of Ancient Settlements: Methods, Problems, Solutions and a Case Study, Bulletin of the American Schools of Oriental Research, 295, 1994, გვ. 34). XIX საუკუნის თბილისში აღწერებისას კომლში საშუალოდ 4,75 წევრი იანგარიშება (იხ. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 63-71).

10 ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქა-

1781-1782 წლების აღწერით თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 3498 კომლს შეადგენდა. ამ შემთხვევაშიც, კომლზე 5 სულს თუ ვიანგარიშებთ, ქალაქის მოსახლეობა 17490 კაცი გამოდის.[11]

როგორც ვხედავთ, ქართული და უცხოური წყაროები თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, თითქმის იდენტურ ცნობებს გვაწვდიან. საშუალოდ XVIII საუკუნის თბილისში 18-20000 ადამიანს უცხოვრია.

ახლა გავარკვიოთ, რა ტერიტორიას ვგულისხმობთ თბილისის შემადგენლობაში.

XVIII საუკუნის თბილისი რამდენიმე მსხვილი უბნისაგან შედგებოდა – კალა (ნარიყალას ციხის ჩათვლით), ხარფუხი (ტერიტორია, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სამასი არაგველის მემორიალიდან აბანოთუბნამდე ფართობს), გარეთუბანი (დღევანდელი პუშკინის ქუჩის, თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის გამზირის სამკუთხედს) და ავლაბარს, მეტეხის ციხესთან ერთად. სწორედ ამ ტერიტორიას გულისხმობს 1781-1782 წლების აღწერილობაც. ივანე ჯავახიშვილი ამ დოკუმენტზე მუშაობისას აღნიშნავდა: „ქალაქ ტფილისში ავლაბრით და გარეთუბნით სულ 3498 კომლი მცხოვრები იყო. აქეთგან, თვით ქალაქში 2314 მცხოვრები კომლი ითვლებოდა, დანარჩენი 1184 კომლი ცხოვრობდა შიგნითსა და გარეთს ავლაბარში (375 კომლი), მეტეხის ციხეში ხიდამდის (259 კომლი) და გარეთუბანში (550 კომლი)".[12] ამდენად, თბილისის მოსახლეობაში არ ითვლებოდა ქალაქთან საკმაოდ ინტეგრირებული ჩუღურეთი, რომელიც XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ქალაქისპირა სოფლის სტატუსით სარგებლობდა და თბილისს XIX საუკუნის 20-იან წელში შეუერთდა. ყოველივე ზემოთქმულით ნათელი ხდება, თუ რა ტერიტორია მოიაზრებოდა XVIII საუკუნის თბილისის შემადგენლობაში. გამომდინარე აქედან კი ადვილია ქალაქის ფართობის განსაზღვრა. ამ მხრივ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის გეგმა. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ XVIII საუკუნეში შედგენილი ამ გეგმის მონაცემები შეიძლება თა-

---

რთველოში XVII-XVIII სს., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ., 1996, გვ. 446. აღნიშნული ნუსხის მეცნიერული პუბლიკაცია იხ.: ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1973, 1, გვ. 144-155.

[11] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 140-144. აღნიშნული ნუსხის პირველი პუბლიკაცია იხ.: ს. კაკაბაძე, ქალაქ ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა 1780-1781 წლის ახლო დროისა, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1925, გვ. 225-227.

[12] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს., გვ. 447.

ვისუფლად განვავრცოთ მთელ საუკუნეზე, რამეთუ დიდი ცვლილებები XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისს ქალაქგეგმარებითი მიმართულებით არ განუცდია. ამას ადასტურებს XVIII საუკუნის მიწურულისა თუ XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმები, რომელთა მიხედვით, ქალაქი ჯერ კიდევ იმ საზღვრებში იყო მოქცეული, რომლებიც ვახუშტის გეგმაზეა დატანილი.[13]

ერთ ჰექტარზე მოსახლეობის დადგენა

ძველი ქალაქების რეკონსტრუქციისას მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ მოსახლეობის რაოდენობა. ეს არის დემოგრაფიული კვლევა მიკრო დონეზე. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდები გამოიყენება, ვიდრე, მაგალითად, რეგიონის ანდა ქვეყნის მოსახლეობის განსაზღვრისას, რომელიც მაკრო დონეს მიეკუთვნება. ასევე, განსხვავებული მიდგომებია გამოყენებული თვით მიკრო დონეზეც – სოფლის, ციხე-ქალაქის და დიდი ქალაქების მოსახლეობის დადგენისას. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სოფელსა თუ ქალაქში ერთ ჰექტარზე განსხვავებულია მოსახლეობის სიმჭიდროვე, ასევე განსხვავებულია ოჯახის სულადობაც (რეგიონების მიხედვით).

დღეისათვის რამდენიმე მეთოდი გამოიყენება ქალაქის ტიპის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის განსასაზღვრად. ა. რაიმონმა კაიროს მოსახლეობის დაანგარიშება სცადა აბანოების რაოდენობის მიხედვით. მისი აზრით, 3500-4000 მცხოვრებზე 1 აბანო მოდიოდა.[14] ამ მეთოდმა XV-XVII საუკუნეების კაიროსთან მიმართებით გაამართლა, მაგრამ ცოტა ადრეული პერიოდის ანდა სხვა აღმოსავლურ ქალაქთან მიმართებით ეს მიდგომა ვერ გამოდგებოდა.[15]

დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია ორი მეთოდი – ბინადრობის სიმჭიდროვის კოეფიციენტით დაანგარიშება და ბუნებრივი რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრა მოცემული პუნქტის ირგვლივ.

პირველი გულისხმობს კონკრეტულ სივრცეზე კონკრეტული ტიპის არქიტექტურული განაშენიანების პირობებში მოსახლეობის ზღვრული ოდენობის დადგენას. მეორე მოდელი, მართალია, ჩვენს საკვლევ თემასთან მიმართებით ნაკლებგამოსაყენებელია, მაგრამ თავისთავად დემოგრაფიული პროცესების

[13] ალ. პიშჩევიჩის 1785 წლის და 1801 წლის ჩუიკოს თბილისის გეგმები (თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002, გვ. 89-90).

[14] A. Raymond, La population du Caire de Maqrizi a la Description de l' Egypte, Bulletin d'Études Orientales, XXVIII, 1975, გვ. 201-215.

[15] О. Г. Большаков, Средневековый город Ближнего востока, VII-середина XIII в., М., 1984, გვ. 100.

წარმოსადგენად მეტად მნიშვნელოვანია. ნებისმიერ ურბანულ ქსოვილს გარკვეული რესურსები ესაჭიროება, რათა აქ მცხოვრებმა ადამიანებმა თავი ირჩინონ – სავარგულები, საძოვრები, წყალი და ა. შ. როდესაც XIII საუკუნის დასაწყისში თბილისის მოსახლეობას 100000-ზე მეტს ვვარაუდობთ, სწორედ გასათვალისწინებელია, რამდენად შესაძლებელი იყო არსებული ბუნებრივი რესურსებით ამ რაოდენობის მოსახლეობის შენახვა. ეს საკითხი დღევანდელ ჩვენს საკვლევ თემას სცილდება და ამდენად, მას სხვა დროს დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერ ეპოქაში გარკვეული რესურსი გარკვეულ რაოდენობის ადამიანზე იყო გათვლილი და შეუძლებელია, უფრო მეტს ჰყოფნოდა. ბუნებრივ რესურსსა და მოსახლეობის რაოდენობას შორის გარკვეული ბალანსი იყო დაცული და მისი დარღვევა იწვევდა შიმშილს, გაჭირვებას, შიდა მიგრაციას და სხვა.

თბილისთან მიმართებით ყველაზე მისაღებად გვეჩვენება სიმჭიდროვის კოეფიციენტით მოსახლეობის განსაზღვრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ჰექტარზე მობინადრეთა საერთო რაოდენობა გარკვეულ ზღვრულ ციფრს გვაძლევს. თავისთავად, ასეთი დაანგარიშება დაზღვეული არ არის ცდომილებისგან, თუმცა, მოსახლეობის რაოდენობის დადგენა მიახლოებით მაინც ხერხდება.

ამ მეთოდის მთავარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ საშუალებას იძლევა, სწრაფად შევადაროთ ერთმანეთს რეგიონში არსებული დასახლებული პუნქტები, დავადგინოთ მათი მოსახლეობა ერთი კონკრეტული მონაცემის – ფართობის მიხედვით. თუმცა, მას აქვს სუსტი მხარეც. ამ შემთხვევაში აპრიორად ვაღიარებთ დასახლების ტიპთა ერთგვაროვნებას და სიმჭიდროვის კოეფიციენტს. ეს მეთოდი გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ზომისა და ფუნქციის პუნქტებს შეიძლება ჰქონდეთ დასახლებულობის სიმჭიდროვისა და განაშენიანების განსხვავებული ფორმები.[16]

ქალაქის მოსახლეობის განსაზღვრისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა რაოდენობის ფართობი უკავია საცხოვრებელ ზონას და რა – საზოგადოებრივს: სასახლეებს, გალავნის შიგნით და გარეთუბნებში არსებულ ქალაქის ბაღებს, წმინდა სავაჭრო ადგილებს, ტაძრებს, გზებს, მოედნებს. სამწუხაროდ, თბილისთან მიმართებით ამის ზედმიწევნით დაანგარიშება ძნელია, თუმცა, ისეთი კომპონენტების, როგორებიცაა ქარვასლები, სავაჭრო რიგები, გზები, ტაძრები, ფართობის განსაზღვრა შესაძლებელია.

---

[16] J. R. Zorn, Estimating the Population Size of Ancient Settlements, გვ. 32-33.

დასახლების ერთგვაროვანი ტიპის შემთხვევაში ჰექტარზე მოსახლეობის სიმჭიდროვეს მეცნიერები, დაახლოებით, 100-300 ადამიანით ანგარიშობენ.[17] არსებობს გაცილებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებიც, თუმცა, იქ ამის მიზეზი უნდა იყოს განსხვავებული არქიტექტურული განაშენიანება.[18]

ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე, პერიფერიებთან შედარებით, განსხვავდებოდა. თბილისის შემთხვევაში კი კალა გაცილებით მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე გარეთუბანი და ავლაბარი. ასეთ დროს საშუალოდ ერთ ჰექტარზე, ერთსართულიანი განაშენიანების პირობებში, მაქსიმალური სიმჭიდროვე 250-300 ადამიანს შეადგენდა, რაც საშუალოდ 50-60 კომლს უდრიდა.[19] როგორც ზემოთ ითქვა, ივ. ჯავახიშვილი, 1780-1781 წლების აღწერაზე დაყრდნობით, კალაში 2314 მცხოვრებს ვარაუდობდა, მაგრამ აქ ერთი საკითხია დასაზუსტებელი. ხელნაწერში კომლთა რაოდენობა მითითებულია შემდეგი თანამიმდევრობით: „გარეთ ავლაბარში – 156; შიგნით ავლაბრის ციხეში – 219; მეტეხში ხიდამდე – 73; ხიდიდან ციხეში – 186; ქალაქი – 2314; გარეთუბანი – 550; ჯამი – 3498". თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ეს არ უნდა იყოს ზუსტი რიცხვი თბილისში მცხოვრები კომლებისა, რამეთუ, როგორც ამავე დოკუმენტშია მითითებული, ცალკე არსებობდა „ქალაქის მოქალაქეთა დავთარი", რომელშიც „სხვა მოქალაქენი დაწერილიყვნენ". შესაძლებელია რამდენიმე ასეული კომლი ამ აღწერაში არ არის შეტანილი, ამიტომაც განსხვავდება 1770 წლის აღწერის მონაცემები 1781-1782 წლების აღწერის შედეგებისგან. ამასთანავე, აშკარაა, ქალაქში ასეთი აღწერების

---

[17] R. McC. Adams, Land behind Baghdad, Chicago, University of Chicago, 1965, გვ. 41; L. E. Stager, Ancient Agriculture in the Judean Desert: A Case Study of the Buqeah Valley in the Iron Age. Unpublished Ph. D Dissertation, Harvard University, 1975, გვ. 242-245; L. Marfoe, Review of A. Kempinski The Rise of an Urban Culture and R. Amiran et al. Early Arad. Journal of Near Eastern Studies, 39, 1980, გვ. 315-322; G. W. Van Beek, A Population Estimate for Marib: A Contemporary Tell Village in North Yemen. Bulletin of the American Schools of Oriental Research, 1982, გვ. 61-67; M. Broshi, R. Gophna, The Settlements and Population of Palestine During the Early Bronze Age II-III, Bulletin of the American Schools of Oriental Research, 1984, გვ. 74; I. Filkenstein, The Archeology of the Israelite Settlement, Jerusalem, Israel Exploration Society, 1988, გვ. 331-332; О. Г. Большаков, Средневековый город Ближнего востока, VII-середина XIII в., გვ. 114-119.

[18] Y. Shiloh, The Population of Iron Age Palestine in the Light of a Sample Analysis of Urban Plans, Areas and Population Density, Bulletin of the American Schools of Oriental Research, 239, 1980, გვ. 29; J. Garstang, The Foundations of Bible History. Joshua-Judges, London, 1931, გვ. 167; R. J. Braidwood, Ch. A. Reed, The Achievement and Early Consequences of Food-Production: A Consideration of the Archeological and Natural-Historical Evidence, Cold Spring Harbor Symposia on Quantitative Biology, 1957, №22, გვ. 26-27.

[19] О. Г. Большаков, Средневековый город Ближнего востока, VII-середина XIII в., გვ. 114-119.

დროს რჩებოდა ე. წ. აღუწერელი მოსახლეობა ანდა ისეთი, რომელიც, გადასახადის თვალსაზრისით, მიწერილი იყო ქალაქისპირა სოფლებზე. მაგალითად, თბილისის 1774 წლის აღწერის დავთრის ნაწყვეტში, რომელშიც 1781 წელს შევსება-შესწორება შეიტანეს, არაერთგზის აღნიშნულია ამა თუ იმ პირის ქალაქში ცხოვრების ფაქტი, მაგრამ იქვე მიწერილია: „კრწანისში დაიწერა“, ან „ქ. ცხინვალს სწერია“. 1781-1782 წლების აღწერის მონაცემებში, ჩვენი აზრით, მოსახლეობის 10% არ უნდა იყოს შეტანილი. XIX საუკუნის I ნახევარში, რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ აღწერებისას, დაახლოებით, მოსახლეობის 5% აღუწერელი რჩებოდა. ვ. ჯაოშვილის მითითებით, „მოსახლეობის გამოთვლის დროს აუცილებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ აღწერის დროს გამოტოვებულთა რაოდენობა, რომელიც 1873 წლის უკანასკნელი კამერალური აღწერის დროს შეადგენდა 3,5%-ს. რაც უფრო ადრე ტარდებოდა აღწერა, მით უფრო მეტი იყო გამოტოვებულთა რიცხვი, რადგან ადრინდელ პერიოდში არ ჰქონდათ აღწერის მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილი მეთოდი“. ავტორი 1832 წლისათვის გამოტოვებულთა წილს 5%-ით ანგარიშობს.[20] ჩვენს შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო რთულადაა, რამეთუ გამოტოვებული, აღუწერელი მოსახლეობის გარდა, 1781-1782 წლების აღწერაში შეტანილი არ არის მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც ცალკე დავთრებში იყო ჩაწერილი. სწორედ ამიტომ სავარაუდო კომლთა რაოდენობის მისაღებად არსებული კომლების რაოდენობას ვუმატებთ 10%-ს. ასევე, დასაზუსტებელია ერთი დეტალი. ივ. ჯავახიშვილი მტკვრის მარცხენა მხარეს ვარაუდობს იმ 186 კომლის ცხოვრებას, რომლებიც, დავთრის მიხედვით, სახლობდა „ხიდიდან ციხეში“. მაგრამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მათთვის ადგილი არ რჩება. ქალაქის ამ ნაწილში, დავთრის მიხედვით, აღწერილია გარე და შიდა ავლაბარი, ასევე, მეტეხის ციხე ხიდამდე. სხვა დასახლებული ადგილი თბილისის მარცხენა ნაპირზე იმ პერიოდში არ არსებობდა, ამიტომაც, ჩვენი აზრით, იმ 186 კომლს უნდა ეცხოვრა მტკვრის მარჯვენა მხარეს, სწორედ მეტეხის ხიდიდან ნარიყალის ციხის ჩათვლით (აღწერაშიც ხომ ასეა – „ხიდიდამ ციხეში“). ამდენად, საკუთრივ ქალაქში (თბილისის მარჯვენა ნაპირზე გალავნით შემოსაზღვრული ტერიტორია) უნდა ყოფილიყო 2500 კომლი (10%-იანი მატების შემთხვევაში, 2750 კომლი). ამ ნაწილში საცხოვრებლად გამოიყენებოდა, დაახლოებით, 46,4 ჰექტარი (კალა – 41,4, სეიდაბადი – 3,4, ნარიყალა – 1,6) (უშუალოდ ნარიყალის ციხეში იდგნენ მეციხოვნეები და, ბუნებრივია, 2500 კომლში ისინი არ ითვლებოდნენ, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის რიცხვში ჩათვლილნი არიან. რაც შეეხება გამოთქმას „ხიდიდამ ციხეში“, მაინცდამაინც ნარიყალის ციხეში ოჯახების

[20] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გვ. 70.

ცხოვრებას არ უნდა გულისხმობდეს. აქ ნარიყალის ქვედა ტერასაზე არსებული დასახლება უნდა იყოს ნაგულისხმევი). ამ სივრცეზე, იმ შემთხვევაში, თუ ჰექტარზე 50-60 კომლს ვიანგარიშებთ, შეიძლება ეცხოვრა, დაახლოებით, 2320-დან 2784-მდე ოჯახს. ეს რიცხვი კი კარგად თავსდება 1781-1782 წლების აღწერილობის კორექტირებულ მონაცემთან – დაახლოებით, 2750 კომლი.

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის თბილისი, ძირითადად, სტანდარტული ერთსართულიანი განაშენიანებით გამოირჩეოდა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად სიმჭიდროვისა, ის გარკვეულ ზღვარზეა და არ აღემატება 250-300 ადამიანს ჰექტარზე. სხვადასხვა მონაცემის შეჯერებით, დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ თბილისისათვის სიმჭიდროვის ის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც XVIII საუკუნისათვის არსებობდა. ქალაქის მარჯვენა მხარეს არსებული დასახლება, გარეთუბნის გამოკლებით და 10%-ის დამატებით, 2750 კომლს ითვლიდა. ქალაქის ამ ნაწილში (კალა, ნარიყალა, ხარფუხი) საცხოვრებლად გამოიყენებოდა 46,4 ჰექტარი. გამოდის, რომ საშუალოდ, ჰექტარზე უცხოვრია 59 ოჯახს. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს 5 წევრით განვსაზღვრავთ, მაშინ ჰექტარზე უცხოვრია 295 ადამიანს. გარეთუბანში იყო, დაახლოებით, 605 კომლი (1781-1782 წლების აღწერით, 550 კომლი, ამას დამატებული 10% – 55 კომლი) 10,6 ჰექტარზე. ამ შემთხვევაში ჰექტარზე 57 ოჯახი მოდის, შესაბამისად, 285 ადამიანი. მტკვრის მარცხენა მხარეს ერთად უცხოვრია დაახ. 492 კომლს (1781-1782 წლების აღწერით 448 კომლი, ამას დამატებული 10% – 44 კომლი). ამ ნაწილში საცხოვრებლად გამოიყენებოდა 8,8 ჰექტარი, შესაბამისად, სიმჭიდროვე აქ ჰექტარზე 279 ადამიანი იყო. როგორც ვხედავთ, თბილისისთვის საშუალო სიმჭიდროვე უბნების მიხედვით მერყეობდა 279-დან 295 ადამიანამდე ჰექტარზე. ეს აბსოლუტურად გასაგებია. ქალაქის ცენტრალურ რაიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით მაღალი იქნებოდა, ვიდრე გარეუბნებში. ამ მონაცემების მიხედვით, საშუალო სიმჭიდროვე თბილისში ყოფილა, დაახლოებით, 291 ადამიანი, ანუ 58 კომლი ჰექტარზე. ამ შემთხვევაში ცდომილება შეიძლება იყოს ± 10-15 ადამიანი ჰექტარზე (ორი-სამი ოჯახი). იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ქალაქში საზოგადო დანიშნულების სივრცეს განვსაზღვრავთ 65,8 ჰექტრით, მაშინ ამ ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა, დაახლოებით, 19,148 ადამიანს. ეს ციფრი ეთანხმება იმ მონაცემებს, რომლებიც წერილობით წყაროებშია დაცული.

თბილისელის კარ-მიდამო

თბილისელთა სახლ-კარი როგორ გამოიყურებოდა და რა ფართობს მოიცავდა, ამის შესახებ ცნობები დაცულია ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძნიშვილის მიერ გამოცემულ თბილისის ისტორიისადმი მიძღვნილი „დოკუმენტების" პირველ წიგნში. აქ შესული ნასყიდობის წიგნები საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ თბილისელთა საცხოვრისი. ქვემოთ ცხრილში მოცემული მონაცემები სწორედ ამ გამოცემას ეფუძნება და ქრონოლოგიური რიგითაა დალაგებული ისევე, როგორც ეს ამ დოკუმენტების გამომცემელთ აქვთ გაკეთებული.[21]

წელი და დოკუმენტის № გამოცემის მიხედვით	მფლობელი	ადგილი	აღწერა	ფართობი
1646 10 ივნისი №8	თოლქათ ყალაბეგაშვილი ყულოა		ხუთი სახლი, მისი ეზოთი, ბახჩა	
1656 15 დეკემბერი №14	მანდენანთ შერმაზანისშვილი როსტევანი		დარბაზი, შიგნით დიდი სახლი, სათორნე, მარანი დარბაზის კუთხეში ოთახები. დარბაზის გვერდით სახლი, ეზო	
1659 15 აპრილი №17	მამუკა და მისი შვილები ივანე და ბეჟანი		ერთი ოთახი და ოთახის წინ სახლების ალაგი.	სიგრძე ექვსი მხარი (12,12 მ) წინა განი ხუთი მხარი (10,11 მ) და უკანით განი ოთხი მხარი (8,088)[22] სულ 109, 3 მ²

[21] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, წიგნი I, თბ., 1962.

[22] მჭარი – საშუალოდ, 2 მეტრს უდრიდა (გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 142). უფრო რომ დავაზუსტოთ, 1 მხარი 2 ადლს (101 სმ-ს), ანუ 202 სმ-ს უდრიდა (გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 142, 130).

XVII ს. 50-60 წწ. №22	ვნიკაშვილი მკრტიჩი		ერთი დარბაზი, მისი დერეფნით	
1672 17 სექტ. №25	ყარახან შერმა-ზანაშვილი		ერთი დარბაზი, ერთი სათორნე, ერთი საჯინიბო, საბძელი, დერე-ფანი და მის ქვეშ სარდაფი.	სიგრძე 18 ადლი, სიგანე 14 ადლი[23] (18,1 x 14,1 = 255) 255 მ²
1683 №32	მესაათე სანოსა	კალა	სახლები (აქ უნდა იგულისხმებოდეს ოთახები)	სიგრძე 11 მხარი, განი სამი მხარი 22,2 x 6 = 133 მ²
1683 22 აგვისტო №34	ბაბანათ პაპოა და მისი ძმა გიქოა	კალა, მოლნი-ნის უბანი	ერთი დარბაზი, სა-თორნე, წინ ოთახი, საჯინიბო და ეზო	
1683 დეკემბერი №36	ტოტოათ ბეროა	აელაბარი	ერთი სახლი, სათორნე, ოთახის ადგილი და ეზო	სახლი სიგრძე 4 მხარი; სიგანე 3 მხარი; სათორნე სიგრძე 4 მხარი, განი 2 მხარი; ოთახის ადგილი და ეზო 4 მხარი სიგრძე, 2 მხარი განი. 8,08 x 6,06 = 48,9 8,08 x 4,04 = 32,6 8,08 x 4,04 = 32,6 სულ 114 მ²

[23] ადლი შეადგენდა 101 სმ-ს (გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტო-რიიდან, თბ., 1973, გვ. 130).

1684 10 ივნისი №37	ყარაგოზანთ იარალას შვილი გასპარა		სახლი	სიგრძე 7 მხარი, განი სამი მხარი, ქვემო ვიწრო. 14,1 x 6,06 = 85,4 აღწერიდან ჩანს, რომ სახლის ქვემოთა ნაწილი ვიწროვდებოდა. დაახ. ფართობი უდრიდა 75-80 მ²
1686 24 ივლისი №38	ყანდინაშვილი მერაბი	კალა	დარბაზი, სათონე, დერეფანი და ეზო	
1688-1703 №40 და №41	რევაზ მაღალაძე		დარბაზი, ოთახები, ეზო, საჭურჭლე იქვე მიდგმული აქვს დუქანი, თავისი ქურით	
1689 20 დეკემბერი №43	ნომასშვილი ელიზბარი		სახლ-კარი ციხის გაღმით სამი სახლი, ერთი სათორნე	
1690 27 ოქტომბერი №45	ყავარდელაშვილი ოჰანა		სახლი, დერეფანი, ცოტა ეზო	
1695 20 ივლისი №48	ქეფინანთ კარაპეტას შვილი არუთინა	კალა	ციხესთან კლდის უბანში ერთი დარბაზი, ერთი ოთახი და ეზო	

1699 1 აპრილი №52	შიუანთ გოგინას შვილები: ზალი-ნა, მელქუა და პაპუა		სახლ-კარი	სახლი სიგრძე – 11,5 ადლი განი 3,5 ადლი (11,6 x 3,5 = 40,6) 40,6 მ²
1700 26 ივნისი №54	მელიქი გიორგი		ერთი ოთახის ალაგი	5 ადლი სიგრძე 2,5 ადლი სიგანე (5,05 x 2,5 = 12,6) 12,6 მ²
1702 17 მაისი №57	შერგილანთ ზაქარია		დარბაზი თავისი დამხმარე სათავსებით	ერთი მხარის სი-გრძე 6 ადლი და 1 ჩარექი (6,31 მ).[24] მეორე მხარის 7,5 ადლი (7,57 მ). ზევითა განი 3,5 ადლი (3,53 მ), ქვევითა განი 6,5 ადლი (6,56 მ) 33,5 მ²

[24] ჩარექი, დაახლოებით, 25 სმ-ს უდრიდა (გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლო-გიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 135).

1702 20 ივლისი №58	ზურაბას შვილი გიორგი და მანველა	გარეთუბანში	ნაოხარი მამული	სიგრძე 30 ადლი და ერთი ჩარექი (30,55 მ). ზემოთა განი 18 ადლი 1 ჩარექი (18,45). ქვეითი განი 11 ადლი და 1 ჩარექი (11,35). შარისაკენ ორღობის სიგრძე 11 ადლი და 1 ჩარექი (11,35). ზემოთ შარასკენ კარის ალაგი 3 ადლი 1 ჩარექი (3,3 მ). ქვემოთ განი 4 ადლი და ნახევარი (4,55 მ) 337 მ²
1706 3 აპრილი №63	ოსეფა და პეტრე		ერთი დარბაზი, სათორნე, ერთი სახლი თავისი ეზოთი, ეზოში ერთი ოთახი	
1706 20 აპრილი №64	ნონაანთ გიორგის შვილები როსტომა და ოსეფა		დარბაზი, მარანი, სათორნე, საკუჭნაო, ძველი თავისი ეზოთი, ეზოში ერთი ოთახი	ფართობი გამომცემლების მიერ შეცდომითაა მითითებული

1708 15 ივნისი №66	ამირჯანათ ბაღდინას შვილები ზალინა, შერმაზანა, პაპა	კალა	სამ ძმას მემკვიდრეობით შეხვდა ვრცელი კარ-მიდამო (სავარაუდოდ, სამად გასაყოფი), რომელშიც შედიოდა დარბაზი დერეფნებით, სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, ეზო, ბაღჩა, სათორნე, მარანი.	გაზანდარის გაზით[25] 1309 ადლი (1322 მ²) ეს იყო სამი ძმის სრული წილი. თითოეულზე საშუალოდ გამოდიოდა 440 მ²
1708 15 ივნისი №66	ამირჯანათ ბაღდინას შვილები ოჰანამა და ბეჟანა	კალა	ორ ძმას მემკვიდრეობით შეხვდა კარ-მიდამო (სავარაუდოდ, ორად გასაყოფი), რომელშიც შედიოდა სხვადასხვა დანიშნულების ნაშენები, ეზო და ბაღჩა.	გაზანდარის გაზით 832,5 ადლი (840 მ²). ეს იყო ორი ძმის სრული წილი. თითოეულზე საშუალოდ გამოდიოდა 420 მ²
1709 მაისი №68	ყაზანაშვილი ბეროა და გოდერძი		სასახლე	სიგრძე 6 ადლი (6,06 მ), განი 5 ადლი (5,05 მ) 30,6 მ²

[25] გაზანდარის გაზი აღნიშნავდა კვადრატულ გაზს ანუ „გაზი გაზში", ე. ი. გაზი გამრავლებული თავის თავზე. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს კვადრატულ ადლს. ერთი მიმართულების – სიგრძის ან სიგანის – საზომად გამოიყენებოდა ჩვეულებრივი ადლი, კვადრატულ სიდიდეში აყვანილს კი გაზანდარის ადლი ეწოდებოდა (მ. ბერძნიშვილი, ძველი ქართული მეტროლოგიიდან, გაზანდარი, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1976, 2, გვ. 167-168).

1711 მარტი №73	ღარიბაშვილი პეტრე		სახლ-კარი, ერთი დარბაზი, ორი ოთახი ზედ აკრავს. დერეფანი, ეზო	დარბაზის და ორი ოთახის სიგრძე 10 ადლი, განი 6 ადლი და 3 ჩარექი (68,6 მ²). დერეფანი 5 ადლი და 1 ჩარექი სიგრძე, ხოლო განი 3 ადლი და 1 ჩარექი (16,9 მ²). ეზო 9 ადლი და ნახევარი და განიც იგივე (92,1 მ²) ჯამი: 177,6 მ²
1711 15 სექტემბერი №75	ხუდუანთ გრიქორას შვილი ასლანი		ოთახი	სიგრძე 7 ადლი 1 ჩარექი (ოდნავ ნაკლები), ხოლო განი ხუთი ადლი (7,2 მ x 5,05 მ = 36,3 მ²)
1712 20 მარტი №77	ხორამზე ბატონიშვილი	გარეთუბანი ბურჯის უკან	ერთი დარბაზი, დერეფანი და ეზო	
1712 22 აგვისტო №82	კუკუჯანანთ გიქუაშვილი ბეჟოა		სახლ-კარის ნაწილი. ყიდულობს მეზობლისგან. ჩანს დიდი ეზო. როგორც გამყიდველს, ასევე მყიდველს ამ ფართობზე მეტი ტერიტორია უკავია	3 ადლი განი 2 ადლი და სამი ჩარექი (3,03 მ x 2,27 მ = 6,9 მ²). ეზო 4 ადლი განი, სიგრძე 12 ადლი (4,04 მ x 12,1 მ = 48,8 მ²) სულ: 55,7 მ²

1713 აპრილი №85	ქაიხოსროვანთ ასლამაზას შვი- ლი გიორგი	საკარაულოდ, გარეთუბანში	სახლ-კარის აღნე- რილობა არ ჩანს	ზეითი განი 4,5 ადლი (4,55 მ), შუა ნანილში იზრდება 7,5 ადლამდე (7,6 მ). ქვეითი გვერ- დი 9,5 ადლი (9,6 მ). მოგვიანებით ამ კარ-მიდამოს კიდევ დაემატა 9,5 ადლს – 4,5 ადლი, ხოლო ზეითი განს – ხუთი ჩარექი. ამ სამოსახლოს ფართობის დაანგარიშება ჭირს არასრული ინფორმაციის გამო, თუმცა იგი 100 მ²-ს არ უნდა აღემატებოდეს.
1713 ივლისი №86	მიტოანთ ხატოას შვილი დანელა	გარეთუბანი	დარბაზი და წინ დერეფანი	გაზანდარის გაზით 75 ადლი (75,7 მ²)

1713 20 ნოემბერი №87	ჟანგიანთ პაპინას შვილი ასლამაზი	კალა	ერთი შირვანული დარბაზი და ორი პატარა ოთახი.[26] კიდევ ერთი ოთახი[27]	დარბაზი და ორი პატარა ოთახი: განი ხუთი ადლი და ერთი ჩარექი. სიგრძე 7 ადლი 2,5 ჩარექი (5,3 მ x 7,7 მ = 40,8 მ²). ოთახი 4 ადლი 1 ჩარექი განი – 3 ადლი (13 მ²) სულ: 53,8 მ²
1713 20 ნოემბერი №87	ჟანგიანთ უნდინას შვილი ზალინა	კალა	დარბაზი, წინ დერეფანი[28]	დარბაზი: სიგრძე 8,5 ადლი განი 5 ადლი 3 ჩარექი (50 მ²) დერეფანი: სიგრძე 5 ადლი 1 ჩარექი. განი 3,5 ადლი (18,5 მ²) სულ: 68,5 მ²

[26] ჟანგიანთ პაპინას შვილების გასამყრელო წიგნში მითითებულია, რომ ეს სახლ-კარი ერთ ერთეულს წარმოადგენდა და მემკვიდრეებმა, ასლამაზმა და ზალინამ გაიყვეს.

[27] სახლ-კარს ისეთი განლაგება ჰქონდა, რომ გაყოფისას ასლამაზს ნაკლები ხვდებოდა და ზალინამ ერთი ოთახი დაუმატა.

[28] როგორც 87-ე დოკუმენტშია აღნიშნული, პაპისეული სახლი საკმაოდ დიდი ყოფილა. ის შეადგენდა 122 მ²-ს, საიდანაც ასლამაზს შეხვდა 53 მ², ხოლო ზალინას – 68,5 მ². გაყოფისას მხარეები ფლობენ საკუთარ სახლ-კარსაც და შესაბამისად, მათ ეს ფართობი ემატებოდათ.

1719 24 თებერვალი №99	ნონთ გოგინაშ-ვილი ფასოა	სავარაუდოდ, კალა	ერთი დარბაზი, დარბაზს შიგნით სათონე, ეზო, დერეფანი, ეზოში ორი ოთახი	
1721 დეკემბერი №103	ჰასრათას შვილი ზალინა	სავარაუდოდ, კალა	გაყოფის შემდეგ ერგო სათორნე, დარბა-ზისა და დერეფნის ნახევარი, ზევით ნაშენი სახლი	გაზანდარის გაზით 60,5 ადლი (61 მ²)
1721 დეკემბერი №103	ჰასრათას შვილი სარქისა	სავარაუდოდ, კალა	დარბაზისა და დე-რეფნის ნახევარი. სარდაფი	გაზანდარის გაზით 60,5 ადლი (61 მ²)[29]
1726 24 მარტი №120	ბასტამაშვილი ბაღდასარა	კალა	ერთი დარბაზი, ერთი მარანი, ერთი ქვითკირის ოთახი და ერთი სათორნე და სათორნეში კიდევ ერთი ოთახი, თაღლა და ეზო-დე-რეფანი	
1726 ივლისი №121	სარუხჩანთ ბე-ჟოას შვილი პაპა		ერთი დარბაზი, სათორნე მარანი, სარდაფი, ეზო, დერეფანი[30]	

[29] გაყრამდე, სანამ ზალინას და სარქისას მამა ჰასრათა ცოცხალი იყო, მისი საცხოვრებე-ლი თითქმის 120 მ²-ს აღემატებოდა. დოკუმენტიდან არ ჩანს, ძმები გაყრამდე ფლობდ-ნენ თუ არა საკუთარ სახლ-კარს.

[30] ბაღდასარა და პაპა მეზობლები ჩანან და გვერდიგვერდ ცხოვრობენ. მათი საცხოვრისი ერთი ჩვეულებრივი თბილისური სახლ-კარია.

1726 აგვისტო №123	ყიყინო ბეჟუას შვილი არუთინა	საავარაუდოდ, კალა	ორი ოთახი	გაზანდარის გაზით 47 ადლი (47,5 მ²)
1727 მაისი №126	ბიქშერმაზანთ გიორგის შვილები	კალა	ერთი დარბაზი, საჯინიბო, სათონე, დერეფანი	გაზანდარის გაზით დარბაზი – 48 ადლი, საჯინიბო – 34 ადლი, სათონე – 32 ადლი, დერეფანი – 27 ადლი სულ: 141 ადლი (142 მ²)
1728 მარტი №127	მელიქ-მამასახლისი აშხარბეგი	კალა	ერთი პატარა დარბაზი, შიგნით საკუჭნაო, დერეფანი, ეზო	
1732 ნოემბერი №133	არაქელას შვილი ნალბანდი მელქოა	საავარაუდოდ, კალა	ერთი დარბაზი, ერთი ოთახი, ეზო და დერეფანი	
1733 აპრილი №137	ბაციკანთ რამაზას შვილი ოჰანეზა	კალა პატრების საყდრის უბანი	ერთი დარბაზი, შიგნით სათონე და მარანი, დერეფანი სარდაფით	
1736 15 ივლისი №143	ბაყალ ხუდადას შვილები გიო და არუთინა	კალა	ერთი დარბაზი, უკან ორი ოთახი, დერეფანი, ქვეშ სარდაფი და წინ ბაღჩა	

1737 12 თებერვალი №145	მირზა მასუმა	ქალა	დარბაზი და ოთახი (სავარაუდოდ, სხვა დამხმარე სათავსებით და ეზო)	გაზანდარის გაზით 165 ადლი (167 მ²)
1737 25 თებერვალი №146	ხუცაანთ სარაპიონის შვილები	ქალა	ერთი დარბაზი, შიგნით ოთახი. დარბაზის გვერდით სათონე, წინ დერეფანი, ეზო, საჯინიბო	
1738 ივნისი №149	ჭონი სარქისა[31]	ქალა ზემოუბანი	ერთი ოთახი, საკუჭნაო, დერეფანი და ეზო	
1738 22 სექტემბერი №150	ქადიანთ გოგინას შვილი არუთინა	ქალა ქვემოუბანი	ერთი ოთახი, თავისი ზევით ნაშენით	
742 20 სექტემბერი №159	იეზანთ ყაზარას შვილნი დავითა და ფარემუხა (მყიდველი)	ქალა	მინის ნაკვეთი	სიგრძე 14 ადლი განი 4 ადლი სულ: 56,5 მ²
1742 5 დეკემბერი №160	ბაბანთ მოსესას შვილი სტეფანე	საეარაუდოდ, ქალა	ერთი დარბაზი, ნახევარი სათორნე, დერეფანი და ეზო	
1743 27 იანვარი №161	ჯანჯუღაზანთ პაპას შვილები		საჯინიბო	გაზანდარის გაზით 46 ადლი (46,5 მ²)

[31] ჭონი სარქისა ხუცაანთ სარაპიონის შვილის, ოსეფას მეზობელია ქალაში, ზემოუბანში, ბურჯის სიახლოვეს.

1743 20 აპრილი №163	ოსეფას შვილი ზურაბა	კალა	ერთი დარბაზი, ნახევარი სათონე, ქვითკირის ოთახი, აივანი და ეზო, ერთი საკუჭნაო[32]	
1745 16 ივლისი №168	მოქალაქე ყალუასაშვილი გასპარას შვილი ხატინა	კალა	სახლი	სიგანე 6 ადლი. სიგრძე 16,5 ადლი სულ: 100 მ²
1750 15 ივნისი №183	ტერ-ავეტისი	გარეთუბანი	ქარხნისა და სახლის ალაგი	გაზანდარის გაზით 207 ადლი (209 მ²)
1751 26 ივლისი №197	ნამურაძე იორამის შვილი დავითი		ერთი ოთახი, სათორნე და ეზო	
1751 10 დეკემბერი №199	ყამაზანთ მარტიროსას შვილები მურადა და შაქროა		ერთი დარბაზი, თავისი შანიშინით. ოთახები, სათორნე საკუჭნაოთი. დერეფანი და ეზო	
1752 15 მარტი №204	მუნთუანთ მამაჯანას შვილი მიკირტუმა	კალა	ერთი ბრტყელი, დაბურვილი სახლი, შიგნით სათორნე თავისი საკუჭნაოთი, ორი ოთახი, ეზო	
1752 2 დეკემბერი №209	მელიქი საჰაკა	კალა	ერთი დარბაზი, შიგნით სათორნე და ერთი საკუჭნაო, ერთი ოთახი, სარდაფი, დერეფანი და ეზო	

[32] ოსეფას შვილს ზურაბას პაპეული სახლ-კარიდან მხოლოდ ეს შეხვდა. როგორც ჩანს, სამოსახლო გაცილებით დიდი იყო.

1753 5 აპრილი №212	ავეტიქას შვილი იავრინა		ერთი შირვანული[33] დარბაზი, დერეფანი და ეზო	
1753 20 აგვისტო №214	ჩიგიანანთ ბაღდასარას შვილი შაქარუა	კალა	სახლი[34]	გაზანდარის გაზით 56 ადლი (56,5 მ²)
1753 16 დეკემბერი №217	ბერძენი ივანეს შვილი აფრასიობა		ერთი შირვანული დარბაზი და ოთახი	
1755 10 თებერვალი №220	იავანგულანთ ავთანდილას შვილი მანუჩარა	სავარაუდოდ, კალა	ერთი დიდი დარბაზი, მარანი, შანიშინითა[35] და სათორნე. დერეფანი და ეზო	
1755 5 აპრილი №222	სახლთუხუცესი მუხრან-ბატონი კონსტანტინე	კალა	სახლის ადგილი (ნასახლარა)	გაზანდარის გაზით 40 ადლი (40,4 მ²)
1756 10 ნოემბერი №227	მიზოანი მელქოას შვილი გასპარა	კალა კლდისუბანი	ორი ოთახი, მარანი, სათორნე. ამას გარდა, ორი ოთახის ალაგი	გაზანდარის გაზით 180 ადლი (181,8 მ²)

[33] შირვანულ დარბაზს უწოდებდნენ სახლს, რომელსაც ბრტყელი, კედლების პერპენდიკულარული გადახურვა ჰქონდა. სახურავი მიწაყრილ ბანს წარმოადგენდა (მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 59).

[34] ჩიგიანანთ ბაღდასარას შვილ შაქარუას ოსმალობის დროს სახლ-კარი. ფაქტობრივად, წაართვეს (ცოტა ფასი გადაუხადეს) და იქ მეჩეთის მშენებლობა ნამოიწყეს. თეიმურაზ II-მ შაქარუას დაუბრუნა კუთვნილი სახლი.

[35] შანიშინი – დარბაზის ნაწილი, რომელიც საგანგებოდ იყო გადაღობილი (მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 60).

1757 23 აპრილი №228	იობ ივანეს შვილი	კალა (?)	ერთი ოთახი	გაზანდარის გაზით 34 ადლი (34,3 მ²)
1757 ივლისი №229	ბარამანთ გიორგის შვილი პაპა	კალა ქვემო მოედანი	ერთი შირვანული სახლი, დერეფანი და ეზო	
1766 აგვისტო №247	მირზა აბითურაბის შვილები ბაბაში, ალიყული, მურზაყული	კალა მეიდანი	სახლი ოთახებით	გაზანდარის გაზით 234 ადლი (236 მ²)
1766 აგვისტო №247	რევაზ ორბელიანი		ორი სახლი	გაზანდარის გაზით 353 ადლი (356,5 მ²)
1766 10 სექტემბერი №250	შერგილაანთ საჰაკას შვილი შაქარუა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, დარბაზში ორი ოთახი, მათ ბანზე აივანი, აივნის წინ ტახტი[36] და ეზო. მეორე დარბაზის გარდეთი ტახტი და ეზო	
1767 15 მარტი №251	დალაქი იასე	კალა	ერთი შირვანული სახლი, სათორნე, პატარა საბძელი, ოთახი	
1768 6 მარტი №256	აბესალმანთ სტეფანას შვილი გასპარა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, გარეთ ტახტი, დერეფანი და ეზო	გაზანდარის გაზით 315 ადლი (318 მ²)

[36] ტახტს შენობის გარეთა ნაწილს უწოდებდნენ. იგი წარმოადგენდა თანამედროვე აივნის მსგავს მინაშენს სახურავის გარეშე (მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 61).

1768 21 მაისი №257	სარაჯი ანტონა	კალა	პატარა სახლი, ნინ პატარა დერეფნით	
1768 5 ივლისი №258	ოქრომჭედელი მირინანთ ისაიას შვილი გურგენი	კალა	ერთი შირვანული დახურვილი სახლი, ქვეშ სარდაფი, სათორნე, ეზო	გაზანდარის გაზით 64 ადლი (64,6 მ²)
1768 სექტემბერი №260	ენიბეგას შვილი ოსეფა	კალა	ერთი დარბაზი, სათორნე, ერთი ანბრის სახლი, მის ქვეშ სარდაფი, გარეთ ერთი ოთახი, დერეფანი და ეზო	
1771 17 ივლისი №272	მეფის ხაბაზი თარხანა	კალა	ერთი შირვანული დახურული სახლი, გარეთ პატარა ოთახი, პატარა დერეფანი	გაზანდარის გაზით 77,5 ადლი (78 მ²)
1771 სექტემბერი №274	მენურე ჰასრათას შვილი ფარსადანა	კალა	ერთი პატარა დარბაზი, სათორნე და ეზო	გაზანდარის გაზით 70 ადლი (71 მ²)

ნასყიდობის წიგნებში მითითებული თბილისელთა სახლ-კარი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ, ძირითადად, შედგებოდა დარბაზისგან, დერეფნისგან, სათორნისა და საკუჭნაოსგან. შედარებით შეძლებულ თბილისელებს, დარბაზის გარდა, ოთახებიც ჰქონდათ და საჯინიბოც. ისედაც სივიწროვეში მცხოვრებ თბილისელთათვის ფუფუნებად ითვლებოდა დიდი ეზო-ბაღჩა, მაგრამ პატარა ეზოები ზემოთ მოყვანილ ცხრილში თითქმის ყველა მეორე სახლს აქვს.

თბილისში ძირითადად ქვა-ტალახით ნაშენი და გაჯით გალესილი სახლები იყო. განირჩეოდა ორი ტიპის სახლები – „ქართული რიგით“ და „სპარსული რიგით“ ნაშენი. პირველი უნდა იყოს თბილისური დარბაზი, ე. წ. ქართული დარბაზი გვირგვინოვანი გადახურვით, ხოლო მეორე – ნასყიდობის წიგნებში მოხსენიებული შირვანული სახლი, ბრტყელი გადახურვით.[37] ისევე, როგორც

[37] მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 59.

ევროპისა თუ აზიის ქალაქებში, თბილისშიც საკმაოდ დიდი იყო სოციალური დიფერენციაცია. ჩვენ ვხედავთ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ 30-50 მ² ფართობის დარბაზში მაშინ, როცა წარჩინებულ მოქალაქეთა კარ-მიდამო 200-350 მ²-ის ფარგლებში მერყეობდა. მირზა აბითურაბის შვილები ფლობენ 236 მ² ფართობის სახლს, აბესალმანთ სტეფანას შვილის, გასპარას კარ-მიდამო 318 მ² იყო. ასევე, დიდი საცხოვრისი აქვს ყარახან შერმაზანაშვილს – 255 მ². საერთოდ, კარ-მიდამოს შესწავლა ქალაქის სოციალური სურათის წარმოსახვისთვის მნიშვნელოვანი წყაროა.[38] ამასთანავე, ქონების გადანაწილება თბილისის მოსახლეობის შიგნით სარკეა იმ ეკონომიკური პროცესების წარმოსაჩენად, რომლებიც ქალაქში მიმდინარეობდა. ერთნი მდიდრდებოდნენ, მეორენი ღარიბდებოდნენ და შესაბამისად იცვლებოდა მათი საცხოვრებელი პირობები. ხშირად მხატვრულ ლიტერატურაში ქალაქელი ვაჭრები ისე არიან წარმოჩენილნი, თითქოს ისინი მხოლოდ სიმდიდრის დაგროვებაზე ზრუნავენ და არ ცდილობენ, ეკონომიკური მდგომარეობა მათ გარეგნულ იერსახეზეც აისახოს. ასე არ არის. ნასყიდობის წიგნებიდან კარგად ჩანს, რომ სიმდიდრის შეძენასთან ერთად ადამიანები ცდილობენ, შედარებით გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები. ისინი ყიდულობენ ახალ სახლ-კარს, იერთებენ მეზობლის კარ-მიდამოს და სხვა. ეს ცხოვრების თანამდევი პროცესია და XVIII საუკუნის თბილისშიც ანალოგიურ სურათს ვხედავთ.

საცხოვრებლის ფართობი მარტოოდენ საქართველოში არ ყოფილა ხშირ შემთხვევაში პატარა. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც მცირე სახლ-კარს ფლობდა. პარიზის მაგალითზე ეს საკითხი შეისწავლა სიმონა რუმ, რომელმაც საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ძველი უბნის ლათინური კვარტალის მაგალითზე მოგვცა XIII-XV საუკუნის პარიზული სახლის აღწერა. ამ მონაცემებში, უმეტესად, გვხვდება 100 მ²-ზე ნაკლები ფართობის საცხოვრისები, თუმცა, ამაზე დიდი სახლ-კარიც არსებობდა. ზოგიერთი ოჯახი საკმაოდ მცირე მოცულობის ოთახში ცხოვრობდა.[39]

ნასყიდობის წიგნებში არსებული მონაცემებით შესაძლებელია განვსაზღვროთ, თბილისელთა რამდენი პროცენტი ფლობდა კონკრეტული ფართობის

[38] ამ კუთხით, საკმაოდ საინტერესო მონაცემებს შეიცავს 1802-1803 წლების აღწერის ნუსხა, რომელიც გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. თითოეულ კომლს მიწერილი აქვს მის მიერ დაკავებული ოთახთა რაოდენობა. მართალია, ოჯახის მფლობელობაში არსებული ფართობის დაანგარიშება ამ გზით შეუძლებელია, მაგრამ თბილისელთა შიგნის ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია ამ მონაცემებით კარგად ჩანს.

[39] S. Roux, L'habitat urbain au Moyen Âge : le quartier de l'Université à Paris, In: Annales. Économies, Sociétés, Civilisations, 24e année, №5, Paris, 1969, გვ. 1206-1216.

სახლ-კარს. ჩვენთვის ცნობილია 41 თბილისელის მამულის და კერძო საკუთრების ფართობი. მონაცემები ასე განაწილდა: 200 მ²-ზე მეტი ფართობის სახლ-კარს ფლობდა (ცხრილში ასეთი 12 ოჯახია) 29,2%, 100-200 მ² მამულს (8) – 19,5%, ხოლო 100 მ²-ზე ნაკლებს (21 მესაკუთრე) – 51,3%. თბილისის მოსახლეობად თუ 4000 კომლს მივიჩნევთ და პროცენტულ მაჩვენებლებს მივუსადაგებთ, მაშინ ქალაქის განაშენიანებაში საცხოვრებელ სექტორს, დაახლოებით, 50-53 ჰექტრამდე უნდა სჭეროდა. ამას ემატება კომერციული სექტორი – ქარვასლები, დუქნები, სახელოსნოები. ცალკეა გამოსაყოფი გზები,[40] ბაღები, ეკლესია-მონასტრები. ამ ყველაფერს ჯამურად უნდა სჭეროდა 15 ჰექტარამდე ფართობი.[41]

თბილისელთა საკუთრებაში არსებული ოთახების რაოდენობის შესახებ დანვრილებით ინფორმაციას შეიცავს 1802-1803 წლების აღწერა. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ნუსხაში 2925 კომლიდან 2744 შესახებ არსებობს ცნობა, თუ

---

40 ვახუშტის რუკაზე, რა თქმა უნდა, მთელი სისრულით არ არის ნაჩვენები XVIII საუკუნის თბილისის საკომუნიკაციო ქსელები – მთავარი გზები, ქუჩები, ჩიხები. კალაში ვახუშტი 25-მდე მაგისტრალს უჩვენებს, რაც, ბუნებრივია, სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. ძირითადი ქუჩების გარდა, თბილისში არსებობდა ე. წ. სათემო ქუჩები, რომლებზეც კარის გამოღება ყველა თბილისელს შეეძლო, მაგრამ, ამის პარალელურად, იყო ისეთი ქუჩები, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით – ჩიხები, რომლებიც ერთ პატრონს ეკუთვნოდა და იქ მეორე მოსახლის მიერ კარის გაკეთება პატრონთან მორიგებაზე იყო დამოკიდებული (მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 71-72). მთლიანობაში, თბილისში რამდენიმე ათეული ქუჩა უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს კიდეც ამ პერიოდის დოკუმენტები და აღწერის ის მონაცემები, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული. კალაში თუ მართლაც 2329 კომლი ცხოვრობდა, მაშინ შეუძლებელია, ყველა ამ ოჯახს ორ ათეულ ქუჩაზე ჰქონოდა გამოსასვლელი კარი, მით უმეტეს, რომ ქუჩების სიგრძე დიდი არ იყო. სწორედ ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ვახუშტისთან მითითებულთა გარდა, კიდევ უნდა ყოფილიყო სხვა ქუჩებიც, რომლებიც რუკაზე დატანილი არ არის. ეს რომ ნამდვილად ასეა, კარგად ჩანს რუკის ზედმიწევნითი შესწავლისას. ფაქტობრივად, კალას ყველაზე ინტენსიურად დასახლებულ უბანში, ე. წ. ქვემო უბანში, რუკაზე 5-6 ქუჩაა დატანილი, თუმცა, ცნობილია, რომ ეს ნაწილი დასერილი იყო გზებით. დღევანდელი მონაცემებით, კალაში გზებს ჯამურად უკავია 7,4 ჰექტარი. ბუნებრივია, შუა საუკუნეებში ქალაქის მაგისტრალები საკმაოდ ვიწრო იყო. გიულდენშტედტის ცნობით, ცენტრალური გზები 2 მეტრს აღემატებოდა, თუმცა, შიდა მაგისტრალების უმეტესი ნაწილი ამაზე პატარა იყო. დღევანდელი მონაცემის თითქმის ოთხჯერ შემცირება მიგვაახლოებს იმ რეალობასთან, რომელიც ძველ თბილისში შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში, შუა საუკუნეებში კალაში ჯამურად, დაახლოებით, 1,8-2 ჰექტარი უნდა დაეჭირა საგზაო ინფრასტრუქტურას.

ძველი რუსეთის ქალაქებში – ვლადიმირში, იაროსლავლში და სავარაუდოდ, კიევშიც საცხოვრებელ ფართობს, დაახლოებით, 60-70% ეკავა (П. П. Толочко, Демография древнего Киева, Наука и жизнь, 1984, №4, გვ. 56-57).

რამდენ ოთახს ფლობდა ეს ოჯახები. დანარჩენის შესახებ ინფორმაცია გამოტოვებულია. 1 ოთახს თბილისელთა 2043 კომლი ფლობდა, შესაბამისად, 2-ს – 456, 3-ს – 124, 4-ს – 72, 5-ს – 25, 6-ს – 11, 7-ს – 6, 8-ს – 3; 10, 13, 15 და 25 ოთახს ფლობდა თითო-თითო ოჯახი. ეს საინტერესო ინფორმაცია, ზოგადად კომლის საკუთრებაში არსებული სრული ფართობის დასადგენად ვერ გამოდგება. შესაძლებელია, ორი ოთახის მეპატრონეს შედარებით პატარა ფართობი ეკავა, ვიდრე ერთი ოთახისას. თბილისელის სახლი, როგორც ითქვა, საცხოვრებელი ოთახების გარდა, შედგებოდა სხვადასხვა სათავსოსა და ეზოსგან, ეს სტატისტიკა კი აღწერაში არ არის მითითებული. მაგალითად, ბიქშერმაზანთ გიორგის შვილები ფლობენ ერთ დარბაზს თავისი საჯინიბოთი, სათონითა და დერეფნით. ამ კარ-მიდამოს საერთო ფართობი იყო 142 მ². მამუკა და მისი შვილები – ივანე და ბეჟანა – ასევე, ერთი ოთახის მესაკუთრეები იყვნენ, მაგრამ მათ მფლობელობაში იყო 109,3 მ². გვაქვს საპირისპირო სტატისტიკაც. ჟანგიანთ პაპინას შვილის, ასლამაზას საცხოვრებელი მოიცავდა ერთ შირვანულ დარბაზს და სამ პატარა ოთახს, მაგრამ მათი ფართობი 53,8 მ²-ს არ აღემატებოდა. მეფის ხაბაზი თარხანა კი ფლობდა ერთ შარვანულ დახურულ სახლს და პატარა ოთახს დერეფნით. მთლიანობაში, მის საკუთრებაში 78 მ² იყო. ამდენად, ოთახების რაოდენობით ფართობის დაანგარიშება ჭირს, თუმცა, ზოგადი სურათის შესაქმნელად ეს სტატისტიკა, უდავოდ, საინტერესოა.

XVIII საუკუნის თბილისი თავისი მეურნეობით, არქიტექტურით, სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ტიპური ქალაქი იყო. ამქრები, სხვადასხვა სახის სახელოსნოები, არც ისე დიდი სავაჭრო ურთიერთობები ინტენსიური ურბანიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა. რეგიონის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევამ, საერთო იმპერიის სავაჭრო ურთიერთობებში ჩართვამ, ახალმა სამრეწველო ბუმმა თბილისში დამატებითი მუშახელი მოითხოვა და დაიწყო ქალაქის ინტენსიური ურბანიზაცია, ქალაქისპირა სოფლების შემოერთება. XIX საუკუნის I ნახევარში თბილისის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა, ასევე გაიზარდა მოსახლეობაც. ძველი ბანიანი სახლების მაგიერ ქალაქში გაჩნდა ორ-სამსართულიანი ევროპული ყაიდის შენობები. XIX საუკუნის თბილისში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქალაქური ცხოვრება კვდებოდა და გზას უთმობდა ახალ რეალობას.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „თურქეთის საქართველოს“ შესწავლის ისტორიიდან*

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მოგზაურობათა მარშრუტებზე თვალის ერთი გადევნებაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ დარწმუნდე, რა დაუღალავი ენერგიის პატრონი იყო. მიუხედავად ფიზიკური ტრავმისა, ფეხით შემოიარა საქართველო და დაგვიტოვა ქართულ სიძველეთა უნიკალური აღწერა. იგი „კაბინეტის ისტორიკოსი“ არასდროს ყოფილა. თავისი ეპოქის მეცნიერთა შორის, ვგონებთ, ერთადერთი გახლდათ, რომელიც ამდენს მოგზაურობდა და სოფელ-სოფელ აგროვებდა მასალას ჩვენი ერის წარსულის აღსადგენად. ამავდროულად, ექვთიმე თაყაიშვილი მარტოოდენ ისტორიკოსი არ ყოფილა, მისი მემკვიდრეობა სადღეისოდ თანაბრად საინტერესოა ისტორიკოსების, ფილოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, სამართლის ისტორიის მკვლევრების, გეოგრაფების, არქეოლოგებისა და ეთნოლოგებისთვის. ექვთიმე თაყაიშვილი ერთი საუკუნის წინ არ ერიდებოდა მოთავეობას ისეთი მასშტაბური პროექტებისა, რომლებიც დღესაც კი რთულად განსახორციელებელია.

გამოქვეყნებულ ნაშრომთა გარდა, ექვთიმე თაყაიშვილის არქივში ინახება უამრავი ჩანაწერი, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში „თურქეთის საქართველოს“ – „სამუსლიმო საქართველოს“ კვლევას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების შესწავლას მან რამდენიმე ექსპედიცია და შესაბამისად, ამ მოგზაურობებზე დაყრდნობით შექმნილი ნაშრომი მიუძღვნა. ეს გამოკვლევები დღემდე აღიარებულია ამ რეგიონებისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაშრომებად. ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერის გამოკვლევები უკვე დიდი ხანია პირველწყაროდაც იქცა. ბე-

* ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „თურქეთის საქართველოს“ შესწავლის ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 2016, 1.

ვრი ძეგლი, რომლებიც ექვთიმემ „თურქეთის საქართველოში“ ნახა, შეისწავლა და აღწერა, დღეისთვის განადგურებულია. იგივე ითქმის ლაპიდარულ წარწერებსა და ფრესკებზე. ტაო-კლარჯეთში სამეცნიერო მივლინებისას იგი ადგილობრივებისგან იწერდა გადმოცემებს, ინტერესდებოდა მათი ადათ-წესებით, ეთნიკური კუთვნილებით. ეს ჩანაწერები ამჟამად უკვე ისტორიულ წყაროს წარმოადგენს, რადგანაც რეგიონში ბოლო 50 წლის განმავლობაში მთლიანად შეიცვალა ეთნიკური სურათი და დღეს ჭირს იმის გარკვევა, ამა თუ იმ სოფელში მოსახლენი წარმომავლობით ქართველები არიან თუ თურქეთის სხვა რეგიონიდან ჩამოსახლდნენ. ექვთიმე თაყაიშვილი არაერთგზის აღნიშნავდა ტაო-კლარჯეთის სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართა ღვაწლს, თუმცა, არც საყვედურს ერიდებოდა: „საყვედური ეთქმის დ. ბაქრაძესაც კი, რომელიც ძალიან მოკლედ და სიტყვაძუნწად აღწერს ოლთისის ძეგლებს და არც დღიურში აქვს ბევრი რამ ნათქვამი მათ შესახებ. ხოლო იმ მხატვარს, ბ...ს, რომელიც ბაქრაძეს ხლებია თან, საოცრად უმწეო, პირდაპირ ბავშვური ნახაზები აქვს გაკეთებული: წრე და აქეთ-იქით ოთხი რაღაც... ვეიდენბაუმმაც ინახულა ბანა, მაგრამ არც იმას მოუფიქრებია, რომ ფოტოგრაფი მაინც წაეყვანა და საერთო ხედი მაინც გადაეღოთ! იმათ დროს ბანა ჯერ კიდევ მთელი იყო და რა ძვირფასი დოკუმენტები შეგვრჩებოდა, რომ მოეფიქრათ და რიგიანად ჩაეხატვინებინათ“.[1]

ექვთიმე თაყაიშვილმა ტაო-კლარჯეთის სიძველეების შესწავლას სამი დიდი ექსპედიცია მიუძღვნა. მისი სამეცნიერო სამუშაოების შედეგები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა. ამჯერად უშუალოდ ამ ექსპედიციათა მომზადებისა და განხორციელების ისტორია გვაინტერესებს. მის პირად არქივში აღნიშნულის ამსახველი უამრავი მასალაა შემონახული. ექსპედიციებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების შესავალში ექვთიმე თაყაიშვილი მოკლედ ეხება ექსპედიციის წევრებსა და ტექნიკურ მხარეს, მაგრამ ბევრ დეტალს ან საერთოდ არ ახსენებს, ანდა გაკვრით მოგვითხრობს მათზე. ვფიქრობთ, ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც ექვთიმეს ექსპედიციებია, დამატებით შესწავლას იმსახურებს. სამწუხაროდ, სტატიის მოცულობა ყველა საკითხის განხილვის საშუალებას არ იძლევა, ამიტომაც ერთგვარ სქემატურობას ვერ ავცდებით. შევეცდებით, სამივე ექსპედიციიდან გამოვყოთ ის საკითხები, რომლებიც ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისთვის.

---

[1] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 383.

1902 წლის ექსპედიცია

დიდი ექვთიმეს პირველი სამეცნიერო მივლინება ისტორიულ მესხეთში 1902 წელს მოეწყო. ჯგუფში შედიოდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალ. მამუჩიშვილი (დ. ერმაკოვის მოწაფე)[2]. დიდი მეცნიერი ამ უკანასკნელს განსაკუთრებულად აქებდა და აღნიშნავდა: „მაშინ ფოტოგრაფი გამომადგა ძალიან მარჯვე და შესანიშნავად იმუშავა: ერმაკოვის მოწაფე იყო დიღმელი, გვარად მამუჩიშვილი“.[3] რაც შეეხება ს. კლდიაშვილს, მის მიერ შესრულებული სამუშაოთი ექვთიმე კმაყოფილი არ იყო და ამას არც მალავდა: „ვერ ივარგა ძეგლის აზომვა-გამოხაზვაშიო“.[4]

საერთოდ, ექვთიმე თაყაიშვილი ყოველთვის ცდილობდა თავისი ექსპედიციების ჟამს აღჭურვილი ყოფილიყო სახელმწიფო ან ოფიციალური უწყებების შესაბამისი ნებართვებით, რათა რაიმე წინააღმდეგობა არ შეხვედროდა მუშაობისას. მეცნიერის არქივში ასეთი ათობით დოკუმენტია შემონახული. იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძეგლების შესწავლისასაც ხელისუფლებისა და დარგობრივი საზოგადოებებისგან „ღია მიწერილობას“ ან „ღია ფურცელს“ იღებდა. 1902 წლის მოგზაურობა, როგორც ცნობილია, მოაწყო მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. ამიტომაც, ამ საზოგადოებამ ოფიციალური დოკუმენტი (Открытый лист 9236) გასცა ექვთიმე თაყაიშვილის სახელზე, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უწყებებს თხოვნით მიმართავდა, დახმარებოდნენ მეცნიერსა და მის თანმხლებთ მოგზაურობისას.[5]

ეს ექსპედიცია მარტოოდენ „თურქეთის საქართველოს“ შესწავლას არ ისახავდა მიზნად. 1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ექსპედიციის ანგარიშში კარგად ჩანს, რომ მიზანი ამ სამეცნიერო მივლინებისა იყო ახალციხის, ახალქალაქის, ჩილდირის, არდაგანისა და ოლთისის რაიონების ძეგლების შესწავლა. მეცნიერის არქივში შემონახულია ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილი 1902 წლის ექსპედიციის მარშრუტი.[6]

---

[2] ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ.,1960, გვ. 2.

[3] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, გვ. 382-383.

[4] იქვე, გვ. 383.

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკად. ექ. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი (ქვემოთ ყველგან – ექ. თაყაიშვილის ფონდი) №996.
ექ. თაყაიშვილის ფონდი №252, 342.

1907 წლის სამეცნიერო ექსპედიცია „თურქეთის საქართველოში“

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო მეორე ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში. მეცნიერს თან ახლდნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. მოგვიანებით ექვთიმე ასე ახასიათებდა თავისი ჯგუფის წევრებს: „1907 წელს არქიტექტორად უკვე კალგინი წავიყვანე და კარგადაც გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ ფოტოგრაფი კი სულ არ მივარგოდა: თბილისის ერთ-ერთი გიმნაზიის მასწავლებელი იყო, ვინმე ლოზენი, ლოთი: უვაროვამ დამაძალა, წაიყვანეო. ისა და კალგინი დაუსრულებლივ ჩხუბობდნენ!“[7]

1907 წლის ექსპედიციის მომზადებისას ექ. თაყაიშვილმა წინასწარ აიღო ნებართვები ადგილობრივი ხელისუფლებისგან. მის არქივში შემონახულია კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის „ღია ფურცელი“ (გაცემული ექვთიმე თაყაიშვილის სახელზე 1907 წლის 26 ივნისს), რომელშიც ადგილობრივ ხელისუფალთ ავალებს, ყველა საშუალებით მიეხმარონ ექსპედიციას.[8] ყარსში ჩასვლის შემდეგ ექვთიმე ასეთივე საგანგებო ნებართვას (Открытое предписание 8880. გაცემული: 1907, 30 ივნისი, ყარსი) იღებს უკვე ყარსის სამხედრო გუბერნატორისგან. ამ ღია მიწერილობით ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ევალებოდათ, ხელი შეეწყოთ ექსპედიციისთვის.[9] ამასთანავე, ცნობილია ამ მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხიც. მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას ექვთიმე თაყაიშვილისთვის გადაუცია 1000 მანეთი. მეცნიერის არქივში დაცულია ამ მოგზაურობის ფინანსური ანგარიში, რომლიდანაც ჩანს, სად რა თანხა დახარჯა მეცნიერმა. დოკუმენტი შედგენილია თავად ექვთიმეს ხელით.

„1. დაიხარჯა ექსპედიციის დროს 29 ივნისიდან 17 აგვისტომდე, გადაადგილების, ექსპედიციის სამი წევრის შენახვის, ცხენების დაქირავების, ეტლების, გამცილებლებისა და სტრაჟნიკებისთვის განკუთვნილი საჩუქრებისთვის 672 მანეთი.

2. გაიცა თბილისის მე-2 გიმნაზიის მასწავლებელ ე. ლიოზენზე, ფოტოგრაფიული ლენტებისთვის, გასამჟღავნებელი მასალისა და ბეჭდვისთვის 78 მანეთი.

3. გაიცა სამოქალაქო ინჟინერ ა. ნ. კალგინზე შრომისთვის, ბანის ტაძრის გეგმებისა და ჩანახაზების მომზადებისათვის 100 მანეთი.

---

[7] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, გვ. 384.

[8] ექ. თაყაიშვილის ფონდი №2138.

[9] ექ. თაყაიშვილის ფონდი №997.

მთლიანობაში დაიხარჯა 850 მანეთი.

4. დარჩენილია 150 მანეთი, რომელიც ხელთ მაქვს და უნდა გავცე სამოქალაქო ინჟინერ ა. ნ. კალგინზე ექსპედიციის დროს ნანახი და აღწერილი არქიტექტურული ძეგლების გეგმებისა და ნახაზების წარმოდგენის შემდეგ".[10]

როგორც ცნობილია, 1907 წლის მოგზაურობისას ვაჩე-ძორის მახლობელ მღვიმეში ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა XV საუკუნის საბუთები. ამ მოვლენის შესახებ მეცნიერი მოგვითხრობს: „ჩვენს ვაჩი-ძორის მისვლის წინა დღეებში ერთ მონადირეს ამ ნანგრევების მახლობლად კლდის წვერზე მოეკლა გარეული თხა. თხა ძირს აღარ ჩამოშვებულიყო, შუა ნაპრალზე კლდისა დასცემოდა ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელს, ჩაენგრია შერყეული კედელი და ჩავარდნილიყო მღვიმეში. მონადირე ასულა ზევით თხის ჩამოსატანად და მღვიმეში უპოვია მთელი შეკვრა საბუთებისა, ზოგი დამპალი იყო, ზოგი ნაწილობრივ გადარჩენილიყო და ზოგი მთელად. მონადირემ საბუთები მიართვა უჩასტკის უფროსს, ფეოდორ ინჟავეტსკის, რომელიც ჩვენთან იყო. ჩვენ გვინდოდა წამოგველო საბუთები. ნაჩალნიკიც მომხრე იყო. მაგრამ მეორე, ჩვენთან მყოფმან, ყარსის გუბერნატორის საგანგებო მოხელემ, სტეფანე ერმოლაევმა განაცხადა, რომ კანონით ნახული საბუთები ჯერ უნდა გადაეცეს გუბერნატორს და შემდეგ შეიძლება მათი ამა თუ იმ დაწესებულებაში წარდგენაო".[11] მეცნიერის არქივში დაცულია წერილი სწორედ იმ მოხელისა, რომელიც აღმოჩენილი დოკუმენტების ექვთიმე თაყაიშვილისათვის გატანების წინააღმდეგ გამოვიდა. ეს წერილი შედგენილია 1907 წლის 13 სექტემბერს, ანუ, დაახლოებით, ექსპედიციის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ. რუსი ჩინოვნიკი, რომლის სიჯიუტის წყალობით, ეს სიგელები სამუდამოდ დაიკარგა (მხოლოდ ექვთიმესეული წაკითხვა და ფოტოებია შემონახული),[12] ოლთისის ოკრუგში მოგზაურობის აღწერილობისთვის ექვთიმეს სთხოვდა სიგელების რუსული თარგმანის გამოგზავნას. თავის მხრივ, აღუთქვამდა, მიეწოდებინა ყველა საჭირო მასალა სტატისტიკური კომიტეტიდან.[13]

---

[10] ექ. თაყაიშვილის ფონდი №353. ექ. თაყაიშვილმა ექსპედიციის ნევრებს ჰონორარი გადასცა 1917 წლის მოგზაურობის შემდეგაც. მეცნიერის არქივში დაცულია ლ. გუდიაშვილის, ა. კალგინის, მ. ჭიაურელის ხელწერილები ექსპედიციაში მონაწილეობისთვის შესაბამისი თანხის აღების შესახებ (ექ. თაყაიშვილის ფონდი №1829, 1800, 1828).
ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 61.

[12] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 239-244

[13] ექ. თაყაიშვილის ფონდი №1032.

1917 წლის ექსპედიცია ტაოში

მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო ტაოში ოლთისისწყლის, ჭოროხისა და თორთუმისპირა ძეგლების შესასწავლად. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის კონგრესმა განსაზღვრა რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის სასაზღვრო ხაზი. ტაოს ნაწილი, ჭოროხისა და თორთუმის აუზი თურქეთს დარჩა.[14] დღესაც კი უთითებენ იმ ადგილს, საიდანაც იწყებოდა ოსმალეთის იმპერია. ამდენად, პირველ მსოფლიო ომამდე შეუძლებელი იყო ტაოს ნაწილის შესწავლა. მართალია, 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მოიარა ამიერ ტაოს დიდი ნაწილი, მათ შორის ტაოსკარი, ვაჩე-ძორი და სხვა, მაგრამ ამ ძეგლებიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული იშხნის კათედრალის ნახვა მაშინ ვერ შეძლო. ეს ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. აღნიშნული ვითარება შენარჩუნებული იყო პირველ მსოფლიო ომამდე. 1914 წლის ნოემბერში საომარი მოქმედება დაიწყო კავკასიის ფრონტზე. დასაწყისში ოსმალებმა მოახერხეს ართვინის, არტაანისა და ბათუმის ოლქის დიდი ნაწილის ოკუპირება, თუმცა 1915 წლისთვის ვითარება შეიცვალა. რუსეთის იმპერიამ შეძლო თურქების შემოტევის შეჩერება და 1916 წლის დასაწყისიდან გადავიდა მძლავრ კონტრშეტევაზე. რუსეთის სამხედრო ნაწილებმა 16 თებერვალს არზრუმი აიღეს, 5 აპრილს კი – ტრაპიზონი. მათ ასევე დაიკავეს ერზინჯანი და ბითლისი. ამ ვითარებაში ტაოს ის ნაწილი (ჭოროხისა და თორთუმის ხეობა), რომელიც მანამდე ოსმალეთის საზღვრებში იყო მოქცეული, რუსეთის იმპერიის გავლენის ზონაში მოექცა. 1917 წლისთვის ფრონტზე ვითარება არ შეცვლილა. სწორედ ამით ისარგებლა ექვთიმე თაყაიშვილმა და ზაფხულში გაემგზავრა ტაოში. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი ექსპედიცია. მასში შედიოდნენ: სამოქალაქო ინჟინერი ანატოლი კალგინი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი და ალპინისტი ილია ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი[15], მხატვარ-მსახიობი მიხეილ ჭიაურელი და ვარძიის მონასტრის

---

[14] რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, ვიდრე საბოლოოდ გაირკვეოდა საზღვრის დემარკაციის საკითხი, 1879 წელს იშხანში იმოგზაურა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა და გადაიღო ტაძრის საერთო ხედი. ეს ფოტო გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის 1902 წლის ექსპედიციის ანგარიშში: Экскурсия Е. Такаишвили 1902 г., Маршрут и предворительные заметки; Материалы по археол. Кавказа, собран. экспед. Имп. Моск. археол. о-ва, вып. 12, М., 1909, გვ. 113.

[15] ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის საკმაოდ საინტერესო მოგონებები ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილ 1917 წლის ექსპედიციის შესახებ: „უაღრეს ბედნიერებად ვთვლი, რომ მე წილად მხვდა წევრობა იმ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული

ძეგლების შემსწავლელი მხატვრული და არქიტექტურული ექსპედიციისა, რომელსაც საკუთარი ინიციატივით სათავეში ჩაუდგა დიდად ცნობილი, ჩვენი ღვანლმოსილი, ან განსვენებული მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი... ექსპედიციამ ზუსტად გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც აღნიშნულ ექსპედიციამდე უცნობი და შეუმონმებელი იყო მეცნიერული ლიტერატურისათვის. ჩვენ ვმუშაობდით ყარსის, არტაანისა და ოლთისის ვრცელ არეში. აქ მდებარე ძეგლთა შორის არიან ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც – იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამ დაუღალავი მეცნიერის წყალობით, დაზუსტდა მათი შექმნის თარიღები, დეტალურად გაირკვა მრავალი წარწერა, დადგინდა მოხსენებულ პირთა ვინაობა და სახელები, ცხადი გახდა მათი დიდი მნიშვნელობა და როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში... მე და მიხეილ ჭიაურელი დავფოფხავდით ამ ძეგლებზე, მათ ნანგრევთა კედლებზე, იქვე, ჩვენ ახლოს იდგა ექვთიმე და გაფაციცებით მოგვძახოდა: – ყმანვილებო! კარგად დააცქერდით ქორონიკონებს! თარიღის აღმნიშნელ ასოებს, ზუსტად ამოიკითხეთ ყოველი მათგანი! თვითონაც, როგორც „ქორონიკონი", იდგა, დურბინდით ათვალიერებდა ამ ნიშნებს და გვკითხავდა: – მიშა, ლადო, ახლოს მიდით წარწერებთან, სათითაოდ მიკარნახეთ! ჩვენ წარწერებთან უფრო ახლო, უფრო გაბედულად მივფოფხდებოდით, ხმამაღლა ვუმეორებდით ყოველ ნიშანს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღფრთოვანდებოდა, როცა ჩვენი ნათქვამი მის მიერ ნავარაუდებს დაემთხვეოდა. მას საოცარი მეცნიერული წვდომა ჰქონდა, ძველი წარწერების წაკითხვის შეუდარებელი უნარი. უმრავლესობას იქვე, გადმოღებისთანავე კითხულობდა, ზოგს, უფრო რთულს, სადგომში მისვლისას. ჩვენ, ახალგაზრდები, ვისვენებდით, იგი კი უჯდა საქმეებს, ფოტოებს, კალკებს, ნახატებს და არც დარჩენია ნაპოვნი რამ ამოუკითხავი. თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა, ხოლო აქ ყველაფერი ახალი იყო, დღისით იქნებოდა ძეგლზე თუ ღამით, დასვენებისას... ახალგაზრდულად ნამოვარდებოდა, ქაღალდს დროშასავით ააფრიალებდა, აღფრთოვანებით შესძახებდა: – აღმოჩენაა!.. ახალი აღმოჩენა! ჩვენც ვიზიარებდით სიხარულს. ვიცოდით, ჩვენი ისტორიის ახალი, უცნობი ფურცელი იშლებოდა. ჩვენც გვედებოდა მისი აღფრთოვანება: აღარც ჩვენ ვიზოგავდით თავს. ვცოცავდით კლდეებსა და დანგრეულ კედლებზე, ვიღებდით, ვინერდით, ვხატავდით, ვეგულისხმებოდით ყველაზე უფრო „ექვთიმეს სამყაროს"! მცოცავთა შორის ყველაზე „აკრობატი" ილია ზდანევიჩი გამოდგა; ყველაზე მუყაითი, მუდამ დაუღალავი დავით შევარდნაძე იყო... ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის კარგი მცოდნე. კეთილი მექართულე და ქართული ძეგლების მოტრფიალეც. ჩემი ექსპედიციაში ნაყვანაც სწორედ დავით შევარდნაძის მეშვეობით მოხდა. ყველაზე ხალისიანი და მუდამ დაუცხრომელი ხომ მიხეილ ჭიაურელი იყო. ერთხელ მახსოვს, ჩუმად მინარეთზე აძვრა და „მრევლი" უდროო დროს „ალოცა". რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ფრონტის ხაზი, ხშირად, არცთუ ისე შორს იყო ჩვენგან. ცისარტყელების ნაცვლად, მძიმე არტილერიის უხილავი ყუმბარები და ხმა გადაგვიელიდა. ამ რთულ ვითარებაში განსაკუთრებით ჩანდა დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ექსპედიციის მომმარაგებლის, თარჯიმნისა და ტრანსპორტის გამრიგებლის ალექსანდრე ციციშვილისა, ჩვენი ქვეყნისა და ძეგლების გულდაგული პარტნიორისა.

დესგან საგანგებო დავალება ჰქონდა – გასცნობოდა ადგილობრივი ძეგლების მდგომარეობას და მოგვიანებით კვლავ თორთუმის ხეობაში დაბრუნებულიყო სამონასტრო ცხოვრების ასაღორძინებლად.[16]

ამ ექსპედიციის შედეგად შემონახული მასალები ცხადყოფს, თუ რა მასშტაბური სამუშაო ჩაუტარებია ჯგუფის თითოეულ წევრს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი ფოტოგრაფი მათ არ ახლდათ, ამ მოვალეობას ექსპედიციის წევრები კისრულობდნენ, შედეგად კი ჩვენამდე მოაღწია ასობით უნიკალურმა ფოტომ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში შემონახული ფოტოების ნაწილი დღემდე უცნობია ქართველი საზოგადოებისთვის. აქვე ვიტყვით, რომ ეს არ ეხება მხოლოდ 1917 წლის მოგზაურობას, წინა ექსპედიციების ამსახველი ვიზუალური მასალაც სრულად არ არის გამოქვეყნებული.[17]

ექვთიმე თაყაიშვილი დიდი სიყვარულით იხსენებდა თავისი ექსპედიციის წევრებს: „მიხეილ ჭიაურელი... ძალიან ყოჩაღად ირჯებოდა, ყველაფერი ეხერხებოდა და თან აცოცხლებდა და ამხიარულებდა მთელ ექსპედიციას. ის ხომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია და, სხვათა შორის, იმიტაციაც ძალიან ემარჯვებოდა. ერთხელ აიპარა მინარეთზე და ისე მიბაძა მოლას ძახილს, რომ იქაური მაჰმადიანები შეცდომაში შეიყვანა. სხვა დროს იშხანში მაჰმადიანებს ფერხული ჩაებათ და თან დაიმღეროდნენ, ჩადგა ისიც მათ შორის და ისე ცეკვავდა და ისე მღეროდა, რომ ნამდვილი „თათარი" გეგონებოდათ.[18]

დანარჩენებს არ შევეხები, მათი მოღვაწეობა და ღვაწლი ცნობილია. ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვეს იქ ნანახმა ძეგლებმაც და ადამიანებმაც, თითქმის ყოველ ხუროთმოძღვრულ დიდ ნაშთთან გვხვდებოდნენ გაწამებული ადამიანები, ქართულად შემოგვხაროდნენ და შემოგვტიროდნენ (ლ. გუდიაშვილი, სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, ძეგლის მეგობარი, XIX, თბ., 1969, გვ. 5-7).

[16] ექ. თაყაიშვილი, 1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 3.

[17] დ. ხოშტარია ექ. თაყაიშვილის ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შესწავლისას აღნიშნავს, რომ „ა. ციციშვილის დახმარებით ექ. თაყაიშვილმა მოახერხა ეშოვა „ფორდის" მარკის ორი ავტომანქანა, რომლებითაც ექსპედიციის წევრები ყარსიდან ხახულში ჩავიდნენ" (დ. ხოშტარია, ექვთიმე თაყაიშვილი – ტაო-კლარჯეთის სიძველეთა მკვლევარი, „დიდი ექვთიმე", თბ., 2014, გვ. 160). ჩვენამდე მოღწეულია ფოტო, რომელზეც აღბეჭდლია ექსპედიციის წევრთა ნაწილი, სწორედ ფორდის მარკის ორ ავტომობილში. ამ ფოტოების გარდა სხვადასხვა არქივში გაფანტულია 1902, 1907 და 1917 წლების ექსპედიციების ვიზუალური მასალა. საქართველოს ხელოვნების სასახლის (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის) ინიციატივით, გადაწყვეტილია, ეს მასალა შეიკრიბოს და თავი მოიყაროს ერთ გამოცემაში, რომელიც მიეძღვნება ექ. თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის 100 წლისთავს.

[18] ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ექ. თაყაიშვილის ფონდში, დაცულია მეგობრული შარჟი ილია ზდანევიჩისა. ნახატის მეორე მხარეს ექვთიმეს მიწერილი აქვს: „ილია

ძალიან სასარგებლო თანამშრომელი გამომადგა იმ ექსპედიციაში დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც დიდი ავტორიტეტით იყო მოსილი და დიდი პატრიოტული სულისკვეთებით მუშაობდა".[19]

სიცოცხლის ბოლო პერიოდში საქართველოში დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა პროფ. იოსებ მეგრელიძეს, რომელმაც საინტერესო მონოგრაფია დაგვიტოვა დიდი მეცნიერის შესახებ. ნაშრომს დართული აქვს ავტორისეული მოგონებები ექვთიმე თაყაიშვილზე. იოსებ მეგრელიძეს 1948 წლის 17 მარტს ჩაწერილი აქვს: „ლადო გუდიაშვილი და მე ვიყავით ექვთიმესთან. მოიგონეს ცნობილი მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში და საფრანგეთში ცხოვრების ზოგი ეპიზოდიც".[20] საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცულია ლადო გუდიაშვილის მიერ 1917 წელს ექსპედიციაში შესრულებული ორი ნახატის (ოშკის მონასტერი. 1917 წელი. აკვარელი; ჩანახატი იშხნის ფრესკიდან. 1917 წელი. აკვარელი) რეპროდუქცია.[21] პირველად ეს ნახატები დაიბეჭდა ჟურნალ „ძეგლის მეგობარში" ლადო გუდიაშვილის მოგონებებთან ერთად. დიდი ქართველი მხატვარი იხსენებდა: „ხახულის ტაძარში მოხდა ჩემი პირველი შემოქმედებითი შეყრა ფრესკასთან. აქ, ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით, გავაკეთე კედლის მხატვრობის ასლი „იერუსალიმში შესვლა", საკმაოდ დიდი ზომისა. გარდა ამისა, მე გადმოვიღე პირები „ქრისტეს ფიგურისა" და რამდენიმე წმინდანის მთლიანი კომპოზიციური პორტრეტი".[22]

ზდანევიჩის კარიკატურა ლადო ჭიაურელის (?) მიერ დახატული ჩემი სამუსულმანო საქართველოში ექსპედიციის დროს, 1917 წელს". როგორც ჩანს, მხცოვან მეცნიერს მინაწერის გაკეთებისას ჭიაურელის სახელი უნებლიეთ შეეშალა. ამ მეგობრული შარჟის ავტორი უდავოდ მიხეილ ჭიაურელია, რომელიც ამ დროს უკვე ცნობილი კარიკატურისტი იყო. მისი დებიუტი, როგორც კარიკატურების ოსტატისა, შედგა 1914 წლის ზაფხულში, როდესაც გაიმართა სცენის მოყვარეთა სრულიად საქართველოს ყრილობა. ჭიაურელმა მაშინ გამოაქვეყნა ჩვენი სცენის მოღვაწეების კარიკატურების მთელი სერია.

[19] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, გვ. 385.

[20] ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989, გვ. 292.

[21] ცნობა ამ ტილოების ხელოვნების სასახლეში დაცვის შესახებ მოგვაწოდა სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მუზეუმში დასრულდა რამდენიმე ცნობილი მოღვაწის არქივის შესწავლა-დამუშავება, მათ შორის, მიხეილ ჭიაურელისა. სამწუხაროდ, ამ არქივში 1917 წელს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის ამსახველი მოგონება ან რაიმე სახის ჩანაწერი არ აღმოჩნდა.

[22] ლ. გუდიაშვილი, სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, ძეგლის მეგობარი, 19, თბ., 1969, გვ. 9.

უშუალო მონაწილეთა გარდა, ექსპედიციას დიდი დახმარება გაუწია სრულიად რუსეთის ერთობის კავშირის წარმომადგენელმა ალექსანდრე ციციშვილმა. ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, იგი „საოცარი ენერგიის პატრონი აღმოჩნდა, ზრდილი, პატიოსანი, თავმდაბალი და დაუღალავი მუშაკი... რომ არა მისი ენერგიული დახმარება, ჩვენი ექსპედიცია თავის მოვალეობას ჯეროვნად ვერ შეასრულებდა“.[23]

მესამე ექსპედიციის მიმართულება ასეთი იყო: ჯგუფი ყარსში გაემართა მატარებლით. აქედან უკვე ავტომობილებით ჯერ კოლში ჩავიდნენ, ქალაქ მერდენეკში, საიდანაც გეზი ქალაქ ოლთისისკენ აიღეს. გზად გაიარეს ბანა და ოლთისში დაბინავდნენ. ჭოროხსა და თორთუმის ხეობას რამდენიმე გადასასვლელი აკავშირებს. ექსპედიცია ახპუსორის უღელტეხილით გადავიდა ოლთისის უბნიდან თორთუმის ხეობაში და ხახულში დაიდო ბინა. დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილმა მდ. თორთუმის წყლის ზედა წელზე არსებული ძეგლები შეისწავლა, შემდეგ კი ექსპედიცია დინების მიმართულებით დაეშვა და ოშკში შეჩერდა, რომლის შესწავლის შემდეგაც იშხნის კათედრალი მოიხილეს. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „როცა დავამთავრეთ იშხანში მუშაობა, იმ ხანში ჩემი და კალგინის შვებულების ვადა უკვე გასული იყო და ჩვენ უნდა დავბრუნებულიყავით თბილისში. იმედი გვქონდა, რომ მეორე წელს განვაგრძობდით ჭოროხის ხეობის გამოკვლევას იშხნიდან ბაიბურთამდე. მიუხედავად ამისა, მაინც მაშინვე მივავლინე ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი (რომელნიც თავისუფალნი იყვნენ სამსახურისგან) ოთხთა ეკლესიაში და პარხალში წინასწარი გამოკვლევის ჩასატარებლად. ეს საქმე კარგად გამოვიდა, ვინაიდან შემდეგ წელს რუსის ჯარმა მიატოვა თურქეთის ფრონტი. ყველა ეს ადგილები უკანვე დაიბრუნეს თურქებმა და ახალ ექსპედიციაზედ ოცნებაც კი აღარ შეიძლებოდა. მოხალისეებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი მიზანი: ინახულეს და დაზომეს ოთხთა ეკლესია და პარხალი, გადმოიღეს წარწერები და ძეგლების

[23] 1917 წლის მოგზაურობა თბილისის თავადაზნაურობისა და საქართველოს სამღვდელოების ხელშეწყობით განხორციელდა, თუმცა ექ. თაყაიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ „ფულით არაფრის შოვნა არ შეიძლებოდა ჩვენ მიერ გამოსაკვლევ რაიონში. მისგან ის მხარე სრულიად განადგურებული იყო და ხალხი – დამშეული. დახმარებისათვის მივმართეთ სრულიად რუსეთის ერთობის კავშირის გამგეობას, რომელმაც ნება დაგვრთო, მიგვეღო მათი საწყობებიდან ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა ჩვენი ექსპედიციისთვის“ (ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 3). ერთობამ ამ საქმეში ექსპედიციის დამხმარედ გამოყო ალექსანდრე ციციშვილი, რომელსაც ექვთიმე ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა.

ფოტოგრაფიული სურათები და მშვიდობით დაბრუნდნენ თბილისში, ბათომის გზით".[24]

1917 წლის ექსპედიციის შესახებ მეცნიერის ფონდში დაცულია ათობით დოკუმენტი, რომლებიც ტაოში მოწყობილი ექსპედიციების ისტორიის ნაკლებად ცნობილ ფაქტებს ჰფენს ნათელს. ბუნებრივია, ყველა მათგანის აქ განხილვა შეუძლებელია და ამიტომაც რამდენიმე ძირითად საკითხზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას.

ექვთიმე თაყაიშვილმა სიცოცხლის ბოლო წლებში დაასრულა მუშაობა თავის ფუნდამენტურ ნაშრომზე – „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში", რომელიც 1952 წელს – ჯერ რუსულად, ხოლო 1960 წელს ქართულად გამოიცა. სწორედ ამ ნაშრომის დასაწყისში მიუთითებს ავტორი „ოსმალოს საქართველოში" განხორციელებული ექსპედიციის დაწყების თარიღზე. მეცნიერის თქმით, მან მოგზაურობა 8 ივლისს დაიწყო. ეს მოსაზრება მოგვიანებით აისახა სამეცნიერო ნაშრომებშიც.[25] რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ამ თარიღებში ეჭვის შეტანის საბაბი არც შეიძლებოდა ჰქონოდა მკითხველს, რადგან ნაშრომის რედაქტორი თავად ექვთიმე თაყაიშვილი იყო. მეცნიერის არქივის შესწავლამ აჩვენა, რომ მას „უნებლიე შეცდომა" მოსვლია. მხცოვან მეცნიერს არევია მეორე (1907 წ.) და მესამე (1917 წ.) ექსპედიციის თვეები. საქმე ისაა, რომ ტაოში ექვთიმე გაემგზავრა არა 8 ივლისს, არამედ 8 აგვისტოს. რა გვაძლევს ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას? ამას ადასტურებს მეცნიერის არქივში შემონახული რამდენიმე დოკუმენტი – ექსპედიციისას წარმოებული პირადი ჩანაწერები, მთავრობის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები და ბოლოს – თავად დიდი მეცნიერის ანდერძი.

დავიწყოთ პირადი ჩანაწერებით. ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში შემონახულია ის უბის წიგნაკი, რომელსაც აწარმოებდა 1917 წელს ექსპედიციის მსვლელობისას. მეცნიერი იწყებს: „8 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე გავემგზავრეთ თბილისიდან..." შემდეგ განაგრძობს: „9 აგვისტოს, 8 საათზე ჩავედით ყარსში".[26] ექვთიმე თაყაიშვილი თავის ჩანაწერებში ექსპედიციის თარიღს შემდეგაც ახსენებს და ყველგან აგვისტო-სექტემბერზე საუბრობს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ასევე დაცულია მეცნიერის მიერ გაკეთებული 1917 წლის ექსპედიციის მარშრუტის აღწერილობა. ექვთიმეს ხელით დაწერილ

[24] ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 4.

[25] რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 56; ვ. სილოგავა, ოშკი, თბ., 2006, გვ. 17; დ. ხოშტარია, ექვთიმე თაყაიშვილი – ტაო-კლარჯეთის სიძველეთა მკვლევარი, გვ. 159.

[26] ექ. თაყაიშვილის ფონდი №799.

«Маршрут»-შიც აღნიშნულია: „8 აგვისტოს 1917 წელს გავემგზავრეთ ქ. ტფილისიდან რკინიგზით ქ. ყარსში, 9-ში 8 საათზე ჩავედით ყარსში...". ექვთიმე ქვემოთ ახსენებს, რომ 10-ში ექსპედიცია ჩავიდა მერდენეკში, რომელიც დატოვეს 11 აგვისტოს.[27] ის ფაქტი, რომ ივლისის მიწურულს ექვთიმე ჯერ კიდევ დაკავებული იყო ექსპედიციის მომზადების ტექნიკური მხარეების მოგვარებით, დასტურდება საკმაოდ საინტერესო დოკუმენტით, რომელიც გაცემულია კავკასიის ფრონტის რწმუნებულის, თავად სუმბათოვის მიერ. საბუთში აღნიშნულია, რომ ტრაპიზონის მე-7 გაერთიანებული რაზმის მმართველობას ევალებოდა ექ. თაყაიშვილი, თორთუმისა და ისპირის ხეობებში ისტორიული ძეგლების შესწავლისას, უზრუნველეყო გადაადგილების საშუალებებით, კვებითა და ასევე, ღამის გასათენებლად შესაბამისი პირობებით.[28]

ექვთიმე თაყაიშვილი 5 აგვისტოს საქართველოში რომ იყო, ამას ადასტურებს მის მიერ შედგენილი და დ. შევარდნაძის, ი. ზდანევიჩის, ი. სონღულაშვილის მიერ დამოწმებული ანდერძი. ამ დოკუმენტის შედგენის ადგილად მითითებულია ქალაქი თბილისი.[29] ეს საკმაოდ საინტერესო დოკუმენტია, რომელიც უჩვენებს, რომ ექვთიმე აგვისტოს დასაწყისში ჯერაც თბილისში იყო. გ. ლომთათიძე ანდერძთან დაკავშირებით წერს: „ექვთიმეს პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, 1917 წლის ზაფხულში... მძვინვარე ომისაგან განადგურებულსა, არეულსა და დამშეულ მხარეში უხდებოდა წასვლა. ყოველივე ეს რომ გაუთვალისწინებია, ექვთიმე თაყაიშვილს ანდერძიც კი დაუტოვებია მეუღლისთვის, თუ ცოცხალი ვერ ჩამოვბრუნდე, მოკრძალებით დამმარხეთ, არავინ შეაწუხოთ და ჩემი ქონება კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დარჩეს".[30] როგორც ჩანს, გ. ლომთათიძემ თავად ექვთიმე თაყაიშვილისგან იცოდა ანდერძის შექმნის ნამდვილი მიზანი და ისიც, რომ ეს დოკუმენტი მეცნიერმა საბრძოლო მოქმედებების ზონის სიახლოვეს მიმავალმა დაწერა. ამდენად, 5 აგვისტოს ექსპედიციის წევრები თბილისში იყვნენ და ემზადებოდნენ გასამგზავრებლად.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წლის ექსპედიციის დაწყების თარიღად, მეცნიერებაში გავრცელებული 8 ივლისის ნაცვლად, უნდა მივიჩნიოთ 8 აგვისტო. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ექსპედიციის წევრთა ერთი ნაწილი (მათ შორის, თავად ექვთიმე თაყაიშვილი) სექტემბრის პირველ ნახევარში დაბრუნდა თბილისში, ხოლო ორმა წევრმა –

---

[27] ექ. თაყაიშვილის ფონდი №434.

[28] ექ. თაყაიშვილის ფონდი №1055.

[29] ექ. თაყაიშვილის ფონდი №2160.

[30] გ. ლომთათიძე, ქართული კულტურის მემატიანე – ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990, გვ. 39-40.

დიმიტრი შევარდნაძემ და ილია ზდანევიჩმა – ჭოროხისა და პარხლის ხეობების დაზვერვა განაგრძო.[31]

ზემოთ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს ოთხთა და პარხალი პირადად არ უნახავს. ეს ამ ძეგლებისადმი მიძღვნილი ტექსტიდანაც ჩანს. ოთხთა ეკლესიის ფრესკებზე საუბრისას მეცნიერი დასძენს: „ფრესკათა ფოტოგრაფიები, რომელნიც ჩვენ მოგვიტანეს, ერთობ მკრთალია".[32] პარხლის ტაძრის წარწერებზე საუბრისას კი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მის წინამორბედ მკვლევრებსა და მოგზაურებს ბევრი წარწერა უნახავთ, მაგრამ... ვერ გაურჩევიათ.[33] პარხალში ჩასულ ექსპედიციის წევრებს კი ძირითადი წარწერები აქვთ გადმოტანილი, თუმცა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე სინგურით გაკეთებული ათობით პატარა მინაწერია, რომელთა არსებობის შესახებაც დიდი მეცნიერი არაფერს ამბობს გასაგებ მიზეზთა გამო. თავად ექვთიმე თაყაიშვილს რომ მოეხილა პარხალი, მის თვალს არ გამორჩებოდა ეს ფაქტი. წარწერები საკმაოდ დაზიანებულია და მათი კარგად გარჩევა მხოლოდ შესაბამისი განათების პირობებშია შესაძლებელი.

---

[31] 1952 წელს რუსულად გამოცემულ 1917 წლის ექსპედიციის ერცელ ანგარიშში (Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952) დ. შევარდნაძე და ი. ზდანევიჩი ნახსენები არ არიან. ტექსტში მხოლოდ მინიშნებაა მათ შესახებ – «один художник-график» (დ. შევარდნაძე) და «архитектор-любитель» (ი. ზდანევიჩი). ამას თავისი ახსნა აქვს: დ. შევარდნაძე 1937 წელს „ხალხის მტრად" გამოაცხადეს და დახვრიტეს, ხოლო ი. ზდანევიჩი ემიგრაციაში იმყოფებოდა (იხ.: დ. ხოშტარია, ექვთიმე თაყაიშვილი – ტაო-კლარჯეთის სიძველეთა მკვლევარი, გვ. 159). ვინაიდან სტალინური რეპრესიების შიში ჩავლილი იყო, გამომცემლობა უხეშად აღარ ჩაერია ავტორის ტექსტში და 1960 წელს გამოცემულ ქართულ ვარიანტში (1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ.,1960) დ. შევარდნაძისა და ი. ზდანევიჩის სახელები უცვლელად დატოვა.

[32] ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 78.

[33] ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 93.

ექვთიმე თაყაიშვილის არქივში არსებული გამოუქვეყნებელი მასალა ტაო-კლარჯეთის შესახებ

ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში დაცულია ტაო-კლარჯეთზე შექმნილი დიდძალი მასალა, თუმცა, ნაწილი დღემდე გამოუცემელია. მათ შორისაა კონსპექტის ტიპის ნაშრომი კლარჯეთ-შავშეთზე, რომელშიც ავტორის ორიგინალურ დაკვირვებებსაც შევხვდებით. ექვთიმე თაყაიშვილს თავის მოგონებებში აღნიშნული აქვს, თუ რატომ დარჩა მისი სამეცნიერო ინტერესის მიღმა შავშეთ-კლარჯეთი: „მე რომ „ოსმალეთის საქართველოში" დავიწყე არქეოლოგიური მოგზაურობა, ყველა კუთხე მოვიარე, გარდა სწორედ შავშეთ-კლარჯეთ-იმერხევისა და ბათომის მხარისა, ე. ი. ჭოროხის აუზისა, რადგან ის მხარე გულდაგულ ჰქონდა დავლილი ნიკო მარს და აბა, ვისთვისაა საეჭვო, თავისი საუკეთესო, ყოველმხრივი და ნამდვილი მეცნიერული აღწერილობაც დაგვიტოვა, „ხანძთელის ცხოვრების" გამოცემასთან დაკავშირებით. შესანიშნავი წიგნია და მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა ქართული კულტურის ისტორიისთვის (მაგრამ კიდევ რამდენი რამ გააკეთა!), ისიც კმაროდა, რათა მუდამ მისი მადლიერი ვყოფილიყავით".[34] მიუხედავად ამისა, ექვთიმე თაყაიშვილი აგროვებდა მასალებს შავშეთ-კლარჯეთზე. შესაძლებელია, მას ჩაფიქრებული ჰქონდა კიდეც ამ კუთხეების შესწავლა, თუმცა, იმ ეტაპზე ეს საშური საქმე არ იყო, რადგანაც ნიკო მარს მოვლილი ჰქონდა ეს რეგიონები. ექვთიმე, ძირითადად, იმ საძველეებს სწავლობდა, რომლებიც ან საერთოდ უცნობი იყო, ანდა – ნაკლებად ცნობილი.

ამ ჩანაწერში მეცნიერი განიხილავს შემდეგ ძეგლებს: ოპიზას, ანჩას, ხანძთას, შატბერდს, ბერთას, ჯმერკს, მიძნაძორს, წყაროსთავს, გუნათლეს, ანუ გუნათლეს ვანს, მერეს, ბარენელთას, დოლისყანას, ტბეთს, სვეტს. ავტორს გაკეთებული აქვს როგორც მოკლე, ასევე ვრცელი აღწერილობა ამ ძეგლებისა.[35]

ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი წერილის მომზადება – „ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული მოკლე მიმოხილვა". მასში უნდა შესულიყო ერთი საინტერესო სტატისტიკური ცნობა, რომელიც მეცნიერს გადასცა ალექსანდრე სტეფანეს ძე მათიასევიჩმა (იგი სოფელ მელოს გამგედ მუშაობდა) და რომელიც ასახავდა ჭოროხის შუა წელის სოფლების დემოგრაფიულ სურათს. სამწუხაროდ, ექვთიმე თაყაიშვილმა ნაშრომის დასრულება ვერ

[34] ექ. თაყაიშვილი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებები, გვ. 365.

[35] მასალა მზადდება გამოსაქვეყნებლად.

შეძლო, თუმცა, დარჩენილია შავი მასალა. ალბათ, მომავალში, მეცნიერის შრომების გამოცემისას, ეს სტატია ავტორის ჩანაფიქრისამებრ დაიბეჭდება. ექვთიმეს ალ. მათიასევიჩის ინფორმაცია სრულად არც ერთ ნაშრომში არ გამოუყენებია, ამიტომაც ვფიქრობთ, მისი პუბლიკაცია მეტად საინტერესოა. დედანი, სავარაუდოდ, თავად მათიასევიჩის ხელით უნდა იყოს შედგენილი და მასზე, სოფლების რუსულ დასახელებათა თავზე, ექვთიმეს შესაბამისი ქართული ვარიანტები წაუწერია. ასევე, შემონახულია სტატისტიკური ცნობების უკვე მთლიანად ქართული თარგმანის ორი ვარიანტი.[36] სტატისტიკურ ცნობებს ერთვის ექვთიმესეული ვრცელი მინაწერი: „მატიასევიჩის ცნობები. სულ 77 სოფელი. შუა წელში ჭოროხის მდინარისა, ისპირის ნაწილში ქართულად ლაპარაკობენ შემდეგ სოფლებში: უთავში (ტექსტში უტავში), კობაკში, ვანის-ხევში, ბინათში (აქ არის შენახული თქმულება, რომ თამარმა გაათენა ერთი ღამე ამ სოფელში, ამ სოფელში ჰქონდა ბინა და სოფელს ამიტომ დაერქვა ბინათი), ყირვანში, ჭიმჭიმში (ახლა ჩილჩიმ, აქედან ჩვენი ფილოსოფოსის ივანეს წოდება ჭიმჭიმელი...). ამას სხვათა შორის დაუწერია შესხმა დიმიტრი მეფისა (1125-1154) და აუწერია მისი მხნეობა და ქველობა, ამასვე უთქვამს სიტყვა თამარ მეფის დასაფლავებაზე, ის იყო თანამედროვე გიორგი III-ისა და თამარ მეფისა (კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ. I, 323), ხუმხალში, ბალხში, გუდას-ხევში, ხოდში, ოთხთა ეკლესიაში და სხვებშიც ზოგან ბებრებმა იციან ქართული.

არდაგანის ოკრუგში ქართულს ლაპარაკობენ სოფელ ველში და ერუშეთში, კოლაში არ შენახულა ქართული ენა“.[37]

არქივში დაცულია მთელი ამ მონაცემების ანალიზიც, რომელიც სტატისტიკური ცნობების ქართულად გადამწერის, ნ. ღოღობერიძის ხელითაა შესრულებული: „ამრიგად, სიაში აღნიშნულია სულ 76 სოფელი[38], მაგრამ

---

[36] სტატისტიკური ცნობების სამი ვარიანტია შემონახული: 1. საკუთრივ მათიასევიჩის ხელით შედგენილი და ექვთიმეს მიერ ჩასწორებული (ექ. თაყაიშვილის ფონდი №465); 2. ქართული თარგმანი (ექ. თაყაიშვილის ფონდი №465), რომელიც ი. მეგრელიძის მიერ უნდა იყოს შედგენილი 1948 წლისათვის. მას ექვთიმესეული მინაწერები აქვს და 3. ნ. ღოღობერიძის მიერ სუფთად გადაწერილი ქართული ვარიანტი (ექ. თაყაიშვილის ფონდი №663).

[37] ექ. თაყაიშვილის ფონდი №465.

[38] სტატისტიკური ცნობების I და II ვარიანტსა და III-ს შორის ის განსხვავებაა, რომ I-სა და II-ში თუ 77 სოფელია ჩამოთვლილი, III-ში, რატომღაც, 76-ია და ამოშლილია 74-ე სოფელი, ხოდ-სუფლია, იმ მიზეზით, რომ მეორდება. მიუხედავად ამისა, უპირატესობა მივანიჭეთ პირველ ორ ვარიანტს, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ სტატისტიკის თვალსაზრისით, არაფერი იცვლება, რადგან 64-დან 77-ის ჩათვლით ცხრილში კომლთა რაოდენობა და მცხოვრებთა რიცხვი მითითებული არ არის.

მცხოვრებთა რიცხვი მარტო 64 სოფელშია ნაჩვენები. ამათგან 5 სომხებითაა დასახლებული, ხოლო დანარჩენები ქართველი მაჰმადიანებით. საერთო რიცხვი 64 სოფლის მცხოვრებთა უდრის 19 260 სულს, ამათში 137 სული სომეხია და 19123 ქართველი მაჰმადიანი. ყველანი ან თითქმის ყველანი ქართულად მეტყველებენ 10 სოფელში, მაგრამ როგორც აღნიშნულია, ამის გარდა ქართული ენა მეტ-ნაკლებად ბევრ სხვა სოფელშიც არის დაცული".[39]

სტატისტიკური ცნობები

რიგის №	სოფლის სახელი (1914-1918 წწ.)	კომლთა რაოდენობა ომის დროს	მცხოვრ. რიცხვი	შენიშვნები
1	უთავი	191	790	მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს
2	კობაკი	111	533	ლაპარაკობენ ქართულად
3	ვანის-ხევი	44	270	„———"
4	ბინათი	62	219	ყველა მცხოვრები ქართულად მეტყველებს[40]
5	იშხანი	53	323	
6	უხური	80	394	
7	ხერსი	51	475	
8	ზავისკარი	29	144	
9	არჯევანი	46	265	
10	ხუმრუთი	70	313	
11	ერკინსი	43	159	
12	იპხანი	15	86	
13	ავარისი	5	14	

[39] ექ. თაყაიშვილის ფონდი №465.

[40] ალ. მათიასევიჩს ყველა სოფელზე არა აქვს მითითებული, საუბრობდნენ თუ არა იქ მცხოვრებნი ქართულად. ამის გამო ექვთიმე თაყაიშვილს ამ სტატისტიკური ცხრილის ქართულ ვარიანტზე მიწერილი აქვს: „ყველა ქართულად მეტყველებს მატიასევიჩს არა აქვს აღნიშნული". თითქოს ეს ჩანაწერი ეკუთვნის ერთ სოფელს – დორთ ქილისას (ოთხთა ეკლესიას), მაგრამ ექვთიმესეული შენიშვნა ცხრილზე ოდნავ დახრილადაა გაკეთებული თითქოს იმის ხაზგასასმელად, რომ ეს არა ერთ კონკრეტულ სოფელს, არამედ რამდენიმეს შეეხება.

14	ოგდარი	57	665	
15	ნუსუნჯური	21	88	
16	კოსკეთი	213	211	
17	ხოდ-სუფრია	13	47	ქართულად მეტყველებენ ე. თ.[41]
18	ზგაპორი	21	54	
19	ცოვიბარი	43	217	
20	ქუშნარა	15	51	
21	აშბიშენი	45	183	
22	ყირვანსი	37	161	ქართულად მხოლოდ მოხუცები მეტყველებენ
23	ლოქი	104	216	სარწმუნოა, რომ შიგ მეტი მცხოვრებია
24	ოპან-ბაში	9	9	სომხური სოფელია
25	კისკიმი	139	509	
26	თუნგესი	64	154	
27	ოშნალი	54	216	
28	პეტეგრეკი	147	467	
29	კოჩეკი	90	331	
30	ჩორკენსი	200	710	
31	ოთხთა ეკლესია („დორთ ქილისა“)	110	338	ყველა ქართულად მეტყველებს მატიასევიჩს არა აქვს აღნიშნული[42]
32	დანილეთი	35	150	
33	ქისპოროთი	49	294	
34	პარხალი	272	1565	
35	ერსისი	373	1283	
36	ქვემო კოლიკი	11	43	
37	ზემო მუხურეთი	20	20	სომხური სოფელი
38	ქვემო მუხურეთი	22	88	
39	ბადაზარი	80	88	
40	ზავარი	36	269	

[41] ეს მინაწერი, ექვთიმეს მითითებით, გაკეთებულია სტატისტიკური ცნობების სუფთად გადაწერილ ცალზე (ჩვენი დანომვრით, III ვარიანტი).

[42] ტექსტიდან ისე ჩანს, რომ ეს მინაწერი მხოლოდ ოთხთა ეკლესიას არ უნდა ეკუთვნოდეს (იხ. შენიშვნა 39).

41	ჭიმჭიმი	43	208	ყველა ქართულად მეტყველებს და ზოგიერთს თავისი ქართული გვარიც ახსოვს
42	კარმერიკი	6	8	სომხური სოფელი
43	ნიხახი	20	83	
44	უნგემეკი	60	374	
45	ქურდაშენი[43]	13	37	სომხური სოფელი
46	ყარალარმიჩი	45	222	
47	ხოტეჯური	10	63	სომხური სოფელია, რომელშიც ომამდე თითქმის 8 ათასი მცხოვრები იყო
48	ნიზგოვანი	50	182	
49	შადუთი	122	486	
50	ზორი	75	376	
51	ბითი	14	212	
52	ახოტი	41	278	
53	ოხერა	18	86	
54	ხუმხალი	44	382	ქართულად მეტყველებენ მოხუცები[44]
55	ქორთა	34	218	
56	უშხუმი	70	394	
57	ისასორი	96	367	
58	ყივნარი	79	285	
59	ბალხი	——	477	ქართულად მეტყველებენ
60	ბეჟან-კერტი	6	44	
61	მელო	——	524	
62	მიქაელისი	——	162	
63	ხევეკ-კისხმი	142	292	
64	ხევეკ-ლივანა	38	128	
65	უდას-ხევი	——	———	ქართულად მეტყველებენ
66	სარიგეული			
67	ზემო ვანი			
68	კოზა-ხარი			
69	ახალთი			

[43] სტატისტიკური ცნობების სხვა ვარიანტშია „კურდაშენი".

[44] ეს შენიშვნა დაცულია სტატისტიკური ცნობების ალ. მათიასევიჩის მიერ შედგენილ რუსულ ვარიანტში. რატომღაც, ქართულ თარგმანში ეს მინიშნება გადმოტანილი არ არის.

70	ავარისი			
71	პაზი			
72	საჯვარეთი			
73	ცოვიბარი			
74	*ხოდ-სუფლია*			მეტყველებენ ქართულად
75	ბაქთი			
76	ხისთასიორი			
77	იფხანი			

სტატისტიკურ ცნობებს ერთვოდა კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ტაოს დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ: „რაც შეეხება თორთუმის ყოფილ „ოკრუგს", იგი სულ 6 უბანს შეიცავდა: I და II აზორტისას, III ხახულისას, IV კისხისას, V საღირისას და VI ნიხახისას. მთელს „ოკრუგში" 14000-მდე მცხოვრები იყო, სულ მაჰმადიანი ქართველები და 79 სული სომეხი. აქედან მარტო ხახულის უბანში 3800 სული ცხოვრობდა".[45]

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა დაგვიტოვა უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ყველა ამ ნაშრომის შეკრება და ტომეულის სახით გამოცემა. საბჭოთა პერიოდში ამის მცდელობა იყო, თუმცა, საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ.[46] აქვე დავძენთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ჯერ კიდევ ემიგრაციაში ფიქრობდა ქართული სიძველეებისადმი მიძღვნილი ალბომის გამოცემას, რომელშიც თავს მოიყრიდა მისი წლების განმავლობაში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები. მეცნიერისვე თქმით, მის განკარგულებაში იყო 2500 ფოტო. ეს ალბომი 6 ნაწილად უნდა დაყოფილიყო და პირველი ნაწილი უნდა დათმობოდა ტაო-კლარჯეთ-ისპირის ძეგლებს. პარიზში ექვთიმემ შეადგინა ამ გამოცემის პროექტი – Projet D'eclition sur L'antiquite de la Georgie.[47] აღნიშნულ საკითხზე მეცნიერს მიმოწერა ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე სერგი და დავით მდივნებთან, რომელთა ფინანსური დახმარების იმედადაც ფიქრობდა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას.[48] მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1948 წლის 5 ნოემბერს, ექვთიმე

---

[45] ექ. თაყაიშვილის ფონდი №663.

[46] ექ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968. სამწუხაროდ, ეს გამოცემა აღარ გაგრძელებულა.

[47] ექ. თაყაიშვილის ფონდი №774. იხ., ასევე: ფონდი №773, საქართველოს სიძველეთა ალბომების გამოცემის გეგმა.

[48] ექ. თაყაიშვილის ფონდი №768.

თაყაიშვილმა მსგავსი თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს. მეცნიერს სურდა, როგორმე მოხერხებულიყო და 1917 წლის მოგზაურობის გარდა, ხელახლა გამოცემულიყო (სრულყოფილად) 1902 და 1907 წლების არქეოლოგიური ექსპედიციების მასალები. გარდა ამისა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან თავისი სამეცნიერო მემკვიდრეობის ერთგვარი ანგარიში შეადგინა და თემატურად დააჯგუფა. ეს უნდა დასდებოდა საფუძვლად მის მომავალ მრავალტომეულს.[49]

[49] ექ. თაყაიშვილის ფონდი №948-955.

კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკური ემიგრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

(კავკასიის ერთობის იდეა XX საუკუნის 20-30-იან წლებში)

კავკასია, როგორც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე არსებული რეგიონი, ოდითგანვე იზიდავდა დიდ იმპერიებს. მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა გულგრილს არ ტოვებდა აქემენიდებს და რომის იმპერიას, სასანიდებსა თუ ბიზანტიას, თურქ-სელჩუკებს, მონღოლებს, სეფიანთა ირანს თუ ოსმალეთს. ამ ჩამონათვალს XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთიც შეუერთდა, რომელმაც 1801 წელს ჯერ ქართლ-კახეთი დაიპყრო, ხოლო შემდეგ – მთელი საქართველო და კავკასია.

ქართველები არასდროს შეგუებიან დამპყრობელს – ქართველი საზოგადოება, იარაღით თუ კალმით, ყოველთვის ებრძოდა რუსეთის იმპერიას. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოკავშირე ჩვენი ქვეყნისთვის პოლონელი ხალხი იყო, რომლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმედით შეჰყურებდა ქართველობა. ამავდროულად, ქართული პოლიტიკური წრეები მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ ცალკე აღებული ქართველები ვერ შეძლებდნენ იმპერიის დამარცხებას; რომ საჭირო იყო საერთო კავკასიური ერთობა, რომელიც საშუალებას მისცემდა მთლიანად რეგიონს, იმპერიის გავლენისგან განთავისუფლებულიყო.

განსაკუთრებით აქტუალური ეს თემა 1918 წლის დამდეგს გახდა, როდესაც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ერთიანი რუსეთის იმპერიის ნაცვლად, რამდენიმე დიდი თუ პატარა სახელმწიფო გაჩნდა. კავკასიის სამმა ერმა – სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ – გადაწყვიტა, მომავალი სახელმწიფოებრიობა ერთიანი კავკასიის ფედერაციის ფორმით გაეგრძელებინა. ეს იყო საკმაოდ რთული, მაგრამ იმ მომენტისთვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. სამხრეთ კავკასია რუსეთის იმპერიაში ერთიან ადმინისტრაციას წარმოადგენდა – კავკასიის სამეფისნაცვლოს[1] და ეკონომიკურადაც მჭიდროდ

[1] შ. ვანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 113-115. 1905 წლის 26 თებერვალს, ნიკოლოზ II-ის ბრძანებით, აღდგა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა, რომელიც გაუქმდა 1881 წელს. სამეფისნაცვლო

იყო ინტეგრირებული. ნაუცბათევად ამ ურთიერთობების მოშლა შეუძლებელი გახლდათ და, სწორედ ამიტომ, კავკასიის პოლიტიკურმა ელიტამ მიზანშეწონილად ჩათვალა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა. მაგრამ საგარეო ფაქტორებმა, ნაწილობრივმა შეუთანხმებლობამ საგარეო პოლიტიკაში, ოსმალეთის ჯარების მიერ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ასევე, სომხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავებამ იმ მომენტისათვის ფედერაციის არსებობა შეუძლებელი გახადა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ხოლო 28 მაისს თბილისში სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაციონალურმა საბჭოებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამიერკავკასიაში სამი დემოკრატიულ რესპუბლიკა ჩამოყალიბდა. მეოთხე სახელმწიფო იმიერკავკასიაში შეიქმნა – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა, რომელსაც საფუძველი 1917 წლის 20 სექტემბერს ჩაეყარა, ხოლო ოფიციალურად 1918 წლის 11 მაისს გაფორმდა.[2] პოლიტიკურად დანაწევრებული კავკასიის ერთობის იდეა კვლავ აქტუალური იყო და უკვე 1919 წელს კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობების წარმომადგენლებმა დაიწყეს მუშაობა მეტი ინტეგრაციის მიზნით, დამატებითი მექანიზმების შესაქმნელად. საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 1919 წლის აპრილ-მაისში თბილისში მუშაობა დაიწყო კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კავკასიაში არსებულმა ოთხივე რესპუბლიკამ. ამ რეგიონალური ფორუმის დანიშნულების შესახებ ისაუბრა თავის გახსნით სიტყვაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა: «Мы надеемся, что въ результате нашей первой встречи, въ результате нашей первой попытки намъ удастся создать политический и экономический союзъ представленныхъ здесь народовъ и этимъ самымъ возсоздать тотъ единый фронтъ, который одинъ только можетъ спасти наши народы отъ всехъ предстоящихъ еще намъ испытаний».[3] პირველი სხდომები, ძირითადად, ტერიტორიული დავების განხილვას დაეთმო, თუმცა, კონფერენციამ მაინც მიაღწია მთავარ მიზანს – შეიქმნა ერთობლივი კომისიები. მათ ფარგლებში განიხილეს ყველა ის საკითხი, რომლებიც კავკასიის რესპუბლიკებს აწუხებდა. უკვე ამ დროს კავკასიის

მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას. მასში შედიოდა ტფილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, ელიზავეტპოლის, შავიზღვისპირეთის გუბერნიები, ხუთი ოლქი – ბათუმის, დაღესტნის, ყარსის, ყუბანის, თერგის და ასევე, ორი დამოუკიდებელი ოკრუგი – ზაქათალისა და სოხუმის.

[2] Н. Джавахишвили, Борьба за свободу Кавказа: Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века, Тб., 2005, გვ.12-16.

[3] Стенографический отчетъ... Кавказской Конференции. საისტორიო ცენტრალური არქივში (ქვემოთ ყველგან – სცა), ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 26.

პოლიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილავდნენ კავკასიის მასშტაბით ისეთი გაერთიანების შექმნას, რომელსაც კონფედერაციული პრინციპები ექნებოდა.

კავკასიის ყველა სახელმწიფო კარგად ხედავდა, რომ დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც მათ წინაშე იდგა, უპირველესად კი, საგარეო პოლიტიკური საფრთხის დაძლევას. ამიტომაც, როგორც ითქვა, 1919 წლიდან საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ცდილობდა, ისეთი ერთობა შეექმნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა საერთო თავდაცვას, საგარეო თუ ეკონომიკურ პოლიტიკას. სამწუხაროდ, კავკასიაში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. 1920 წლის აპრილში ბოლშევიკებმა ბაქო დაიკავეს და აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა, იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში წითელმა არმიამ სომხეთი დაიკავა. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკებმა თბილისი აიღეს. ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კავკასიის ერთა ერთობა წარმოადგენდა იმ ერთადერთ გზას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო ძალთა გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ. ემიგრაციაში წასულმა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთავრობებმა განაახლეს მოლაპარაკება კავკასიის კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით. ამ თემის გააქტიურება, ბუნებრივია, ნაკარნახევი იყო ახალი პოლიტიკური კონიუნქტურით, მაგრამ ეს ფაქტი მაინც იმ საქმის გაგრძელებად მიგვაჩნია, რომელიც 1919 წელს დაიწყო.

1921 წლის 8 მაისს პარიზში, აზერბაიჯანის ემიგრანტთა შტაბ-ბინაში, კავკასიის ოთხი რესპუბლიკის მთავრობების სრულუფლებიანი წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მართალია, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამ შეხვედრის ინიციატორად და საბოლოო 10-პუნქტიანი დოკუმენტის ავტორად ალი მარდან თოფჩიბაევს აცხადებენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელის როლი გადაჭარბებულია[4]. ამ მომენტისათვის კავკასიის ერთიან პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სივრცედ გადაქცევა ოთხივე რესპუბლიკის ინტერესში შედიოდა და ბუნებრივია, შეხვედრის ინიცირებაც ამის გამო მოხდა. რაც შეეხება საბოლოო დოკუმენტს, იგი მხარეების ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო.[5]

---

[4] Р. Абуталыбов, Мамед Эмин Расулзаде и Кавказская Конфедерация, М., 2011, გვ. 25.

[5] კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ ეძღვნება რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი: Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012; Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (Сборник документов), пред., пер., прим. Г. Г. Мамулиа, М., 2012; Из истории политического сотрудничества кавказских эмигрантов (в период с 1921-го до начала 1940-х годов), «Кавказ

1921 წლის 10 ივნისს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრ. კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიიღეს „დეკლარაცია“, რომელიც შედგებოდა პრეამბულისა და 10 მუხლისგან.[6] მართალია, ამ დოკუმენტში ნახსენები არ არის სიტყვა „კონფედერაცია“, მაგრამ მთელი თავისი

и глобализация», Журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, CA & CC Press, Швеция, т. 3, вып. 4, გვ. 169-176; Кавказская Конфедерация, კავკასიის მაცნე, 2001, №3, გვ. 130-133; რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია, 1921-1939 წწ., თბ., 2007.

ურ. „თავისუფალი საქართველო“, 2, 1921. იხ., ასევე: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001, გვ. 183-186; Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 485-489; Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (Сборник документов), გვ. 41-44. აღსანიშნავია, რომ „დეკლარაციაში“ მისი მიღების შემდეგ გარკვეული ცვლილება შევიდა. თავდაპირველად VII და IX მუხლები გაცილებით მკაცრი ტონით იყო ფორმულირებული. მოგვიანებით „დეკლარაციის“ ტექსტი გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიურ ურნალში „თავისუფალი საქართველო“, №2, 1921, გვ. 20-21 (იხ., ასევე: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ურნალისტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 183-186). VII მუხლიდან ამოღებულ იქნა შემდეგი: «Будут также обеспечены интересы Персии, имеющей транзитный коммерческий путь с Европой. Придавая, с другой стороны, не меньшее значение установлению дружеских и добрососедских отношений с Турцией, республики Кавказа будут иметь целью с помощью совместных усилий консолидировать эти отношения на основе соблюдения и уважения Турцией нерушимости территории Кавказа в пределах границ 1914 г. Считая также, что неразрешенность на нынешнийдень армянского вопроса в Турции представляет собой одно из главных препятствий на пути к созданию Союза кавказских государств, к великому ущербу для их явных интересов, представители этих государств находят, что быстрое и справедливое территориальное разграничение Турции и Армении в соответствии с их взаимными интересами будет являться залогом мира в пределах Турции и спокойствия на Ближнем Востоке, и что прочность и жизнеспособность республик Кавказа и их союза в значительной степени будут зависеть от этого урегулирования, достижению которого кавказские государства будут способствовать их совместными усилиями»; IX მუხლიდან – მთელი მეორე ნაწილი: «Помимо этого они заявляют, что оккупация в 1919 и 1920-1921 гг. вооруженными силами России и Турции территорий этих республик представляет собой вопиющее нарушение их прав, являясь источником будущих потрясений, и что все дипломатические средства должны быть использованы с целью положить, в наиболее краткий срок, конец этой незаконной оккупации и восстановить порядок» (იხ. დეკლარაციის სრული ტექსტი, Декларация дипломатических представителей республик Кавказа во Франции о создании Союза кавказских государств, Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (Сборник документов), Сост., пред., пер., прим. Г. Г. Мамулиа, М., 2012, გვ. 41-44).

შინაარსით იგი ე. წ. კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოს შექმნისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს.

მუხლი 4: „იღებენ რა მხედველობაში, რომ ამ დეკლარაციაში დასახული მიზნის მისაღწევად სრულიად აუცილებელია საერთო შეხედულებანი და საერთო ორიენტაცია საგარეო პოლიტიკაში, კავკასიის რესპუბლიკები აცხადებენ, რომ თავს შეიკავებენ ყოველგვარი ვალდებულებისა, მოქმედებისა, შეთანხმებისა და საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულობისგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საერთოდ კავშირს ან მის რომელიმე წევრს და ისინი ხელს შეუწყობენ საგარეო პოლიტიკის სფეროში ყველა ამ ერთა მოქმედების გაერთიანებას და კოორდინაციას, რომელნიც შეერთებული არიან ამ საკავშირო ხელშეკრულებით“.

მუხლი 5: „აღიარებენ რა, რომ თვითეულ ამ სამთაგანის დამოუკიდებლობა მჭიდროდ დაკავშირებულია დანარჩენების დამოუკიდებლობასთან, აღნიშნული რესპუბლიკები აარსებენ სამხედრო თავდაცვის კავშირს, რომ დაიფარონ გარეშე თავდამსხმელისაგან თვითეული მათგანი ცალ-ცალკე და ყველანი ერთად“.

მუხლი 6: „იღებენ რა მხედველობაში კავკასიის ყველა ხალხების ეკონომიკურ ინტერესთა ერთობას, რომელიც მათ ღრმათ აქვთ შეგნებული, და რომ უფრო გაამტკიცონ პოლიტიკური სოლიდარობა ამ ხალხების, ამის ხელის მომწერნი აცხადებენ, რომ ყოველივე სატამოჟნო, საბაჟო და სხვა დაბრკოლებანი საქონლის თავისუფალი ტრიალისა კავკასიის რესპუბლიკებს შორის უქმდება და აღნიშნული რესპუბლიკები ამიერიდან შეადგენენ ერთ სატამოჟნო ერთეულს, და ერთ მთლიან ტერიტორიას საერთაშორისო კომერციული ტრანსპორტისათვის“.[7]

„დეკლარაციაში“ ამ ახალი გაერთიანების აღმნიშვნელად ნახმარია ტერმინი – კავკასიის „დამოუკიდებელ რესპუბლიკათა კავშირი“, რომელიც, როგორც ითქვა, ფაქტობრივად, ნიშნავდა კონფედერაციის ტიპის ერთობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს. მას უნდა ჰქონოდა საერთო საგარეო, სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკვე 1921 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყოველგვარი სასაზღვრო დავა რესპუბლიკებს შორის გადაიჭრებოდა „საკალდებულო არბიტრაჟის საშუალებით“.[8] ეს ხსნიდა ყოველგ-

---

[7] ჟურ. „თავისუფალი საქართველო“, №2, 1921, გვ. 20-21. იხ., ასევე: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 183-186.

[8] ჟურ. „თავისუფალი საქართველო“, №2, 1921, გვ., 20-21. იხ., ასევე: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 184.

ვარ გაუგებრობას კავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

1921 წელს მიღებული „დეკლარაციის" შემდეგ კავკასიის ოთხივე რესპუბლიკა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო ძალებით ცდილობდა მიეღო ევროპის სახელმწიფოების და კერძოდ, საფრანგეთის მხარდაჭერა. ამ პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორი მიმართულება გამოიკვეთა: 1. მხარეები საკუთარი ძალებით ცდილობენ ანტიბოლშევიკური გამოსვლების ორგანიზებას; 2. საერთაშორისო ასპარეზზე გაერთიანებული პოზიციებით იცავენ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ინტერესებს. ეს აბსოლუტურად გასაგები იყო. ევროპისთვის, ცალკე აღებული, არც საქართველო, არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი მიმზიდველი არ იყო. მეორე მხრივ, მთლიანად რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, უკვე დიდ ინტერესს იწვევდა ევროპელ პოლიტიკოსთა შორის. ამასთანავე, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისას კავკასიის რესპუბლიკებს შორის ძალების გაერთიანება გამარჯვების სერიოზულ შანსს იძლეოდა.

1921 წლის 3 აგვისტოს კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენელი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა არისტიდ ბრიანმა მიიღო. მოგვიანებით მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობის წევრებთან გაგრძელდა.[9] 1921 წლის 9 ნოემბერს პარიზში, სომხეთის ემიგრაციის შტაბ-ბინაში, შეიკრიბნენ ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენლები საფრანგეთის მთავრობისადმი ვრცელი მოხსენების ტექსტის შესამუშავებლად, თუმცა, ბრიანის მთავრობის შეცვლამ ეს მოლაპარაკება ნაწილობრივ ჩიხში შეიყვანა. პარალელურად, ალი მარდან თოფჩიბაევის წინადადებით, „ოთხთა კავშირმა" გადაწყვიტა, მოლაპარაკება გაემართა რუსულ ემიგრაციასთან, ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის მიზნით. ამ მოლაპარაკებას მხარს უჭერდა საფრანგეთის ხელისუფლებაც. 1921 წლის 7 ივლისს პარიზის სასამართლო პალატის დარბაზში გაიმართა რუს და კავკასიელ ემიგრანტთა თათბირი, მაგრამ ცხარე დისკუსიის შემდეგ რუსმა ემიგრანტმა ვასილი მაკლაკოვმა შეხვედრა დატოვა. ეს უკანასკნელი საკმაოდ გავლენიანი ფიგურა იყო რუსულ ემიგრაციაში. დროებითმა მთავრობამ ის ელჩად დანიშნა საფრანგეთში. იყო დამფუძნებელი კრების წევრი და ემიგრაციაში არსებული „რუსული პოლიტიკური სათათბიროს" ერთ-ერთი

[9] G. Mamoulia, Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945), Paris, 2009, გვ. 50-53; Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 30-38.

ლიდერი. მაკლაკოვმა, პირიქით, კავკასიელებს დასდო ბრალი უმადურობაში და თანამოაზრეებთან ერთად დატოვა დარბაზი.[10]

ზემოთ ვახსენეთ, რომ მხარეები საერთო საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად, დამოუკიდებლად აწარმოებდნენ ანტიბოლშევიკურ ბრძოლას. სწორედ ამის გამოვლინება იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში. 1924 წელს აზერბაიჯანელებმა, მამედ ემინ რასულ-ზადეს თაოსნობით, ჩამოაყალიბეს „განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობას მასობრივი ტერორი მოჰყვა, რომელმაც რეზონანსი მეზობელ რესპუბლიკებშიც პოვა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი გახდა „ოთხთა კავშირის“ გააქტიურება. 1924 წლის 27 სექტემბერს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთავრობების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ახალ დეკლარაციას, რომელშიც ხაზს უსვამდნენ კავკასიის რესპუბლიკებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების აუცილებლობას. მართალია, ამ დროის ემიგრაციულ წრეებში უკვე ახალი გაერთიანების სახელად ფიგურირებდა „კავკასიის კონფედერაცია“, მაგრამ დოკუმენტში ეს სახელი საგანგებოდ არ შეიტანეს სომხეთის დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნის გამო.[11] პოზიცია, რომელიც სომხეთს ეკავა, გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნებოდა, კერძოდ:

> 1) სომხეთს მოცემულ მომენტში არ გააჩნდა საკმარისი ტერიტორია განვითარებისთვის და აქედან გამომდინარე, ისინი თვლიდნენ, რომ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული დავების მოგვარება უპირველესი ამოცანა იყო.
>
> 2) სომხეთს არ სურდა, „კავკასიის კონფედერაციაში“ შესვლით უარი ეთქვა კავკასიის გარეთ დარჩენილ სომხურ ტერიტორიებზე, კერძოდ, თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ პროვინციებზე, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სომხები წარმოადგენდნენ.[12]

სომხეთის წარმომადგენელთა ეს პოზიცია სერიოზული დაბრკოლება იყო. როგორც მოვლენების განვითარებამაც აჩვენა, ფაქტობრივად, მოგვიანებით სწორედ ამ მიზეზით სომხურმა ემიგრაციამ საერთოდ უარი განაცხადა „კავკასიის კონფედერაციაში“ მონაწილეობაზე. მაგრამ ეს იყო შემდეგ. მანამდე სა-

---

[10] Р. Абуталыбов, Мамед Эмин Расулзаде и Кавказская Конфедерация, М., 2011, გვ. 29.

Этапы взаимноотношений представителей народов Кавказа за границей. სცა, ფ. 2117, აღწ. 1, საქ. 383, გვ. 1-2.

[12] Этапы взаимноотношений представителей народов Кавказа за границей, გვ. 3.

ქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ეს აზრთა სხვადასხვაობა მოეგვარებინათ მოლაპარაკების გზით.

1924 წლის 11 ნოემბერს კავკასიის სამმა რესპუბლიკამ (სომხეთის მხარემ ამ გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერა) მიიღო დადგენილება, რომელშიც უკვე პირდაპირ იყო მითითებული „კავკასიის კონფედერაციის" შექმნის აუცილებლობა. რეგიონის დეოკუპაციის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთო საბაჟო სისტემა. რაც ყველაზე საინტერესოა, მხარეები ქმნიდნენ სამხედრო-თავდაცვით ალიანსს. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად კავკასიის სამი რესპუბლიკა აყალიბებდა საერთო ორგანოს – „კავკასიის კომიტეტს". მხარეები თანხმდებოდნენ, რომ მომავალ კონფედერაციას ექნებოდა კონსტიტუცია.[13]

აღნიშნული დადგენილება არ გამოქვეყნებულა სომხეთის დელეგაციის პოზიციის გამო.[14] გადაწყდა, დაწყებულიყო მოლაპარაკება სომხეთთან, საერთო პოზიციის შემუშავების მიზნით. ქართველები, აზერბაიჯანელები, მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები თითქმის ერთი წლის განმავლობაში მართავდნენ შეხვედრებს სომხეთის პოლიტიკურ ემიგრაციასთან. ამოსავალი ამ მოლაპარაკებებისა შემდეგი იყო: 1) იმ მომენტისათვის კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული დავების წამოჭრა არ იყო გამართლებული, მით უმეტეს, რომ 1921 წლის 10 ივნისის შეთანხმებით, ეს სადავო საკითხი არბიტრაჟს უნდა გადაეწყვიტა; 2) კავკასიის რესპუბლიკებისათვის უპირველესი ამოცანა იყო დეოკუპაცია. ამასთანავე, თურქეთისადმი პრეტენზია დაძაბავდა მასთან ურთიერთობას და მთელ რეგიონს ორ ფრონტზე მოუწევდა ბრძოლა.[15]

მოლაპარაკებების მიუხედავად, სომხეთის მხარემ, საბოლოოდ, უარი განაცხადა „კავკასიის კონფედერაციაში" შესვლაზე და ამრიგად, „ოთხთა კავშირი" „სამთა კავშირად" იქცა. ეს სერიოზული დანაკლისი იყო, რასაც ყველა ხვდებოდა. ემიგრაციულ პრესაში ათი წლის განმავლობაში ეს თემა აქტუალური გახლდათ. ქართველთა მხარისაგან დამოუკიდებლად, სომხეთის პოლიტიკურ ემიგრაციასთან კავშირების დამყარების მცდელობა იყო, მაგრამ ამ ყოველივემ ნაყოფი მაინც ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკთა წინააღმდეგ კავკასიის საერთო ფრონტით გამოსვლის იდეა არათუ შესუსტდა, არამედ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა.

---

[13] Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 491-493.

[14] Этапы взаимноотношений представителей народов Кавказа за границей, გვ. 1-2.

[15] Этапы взаимноотношений представителей народов Кавказа за границей, გვ. 4.

1924 წლის ნოემბერში სტამბოლში შეიქმნა „კავკასიის კონფედერალისტთა კომიტეტი (KKK). მისი შემადგენლობა დაკომპლექტდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით. სრულიად სამართლიანად აქვს მითითებული გიორგი მამულიას, რომ მთელ ამ პროცესს – კავკასიის ემიგრანტთა გაერთიანებას, აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა პოლონეთის ხელისუფლება. ჩაფიქრებული იყო პოლიტიკური ცენტრის შექმნა პარიზში და ოპერატიული მუშაობის მეორე ცენტრის შექმნა კავკასიის ახლოს. ყველაზე მისაღები ამ შემთხვევაში გახლდათ თურქეთი.

თურქეთში პოლონეთის წარმომადგენლის, რ. კნოლის ფინანსური დახმარებით,[16] შეიქმნა „კონფედერალისტთა კომიტეტი“, მაგრამ ამ გაერთიანებაში არ შედიოდა წამყვანი პოლიტიკური პარტიები – საქართველოდან სოციალ-დემოკრატები და აზერბაიჯანიდან – მუსავები, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკიდან – შამილის ჯგუფი. ქართველ ემიგრანტთა ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ „კონფედერალისტთა კომიტეტის“ შექმნა არ იყო შეთანხმებული კავკასიის სამი რესპუბლიკის მთავრობებთან.[17] სწორედ ამიტომ 1924 წლის ნოემბერში პარიზში ჩამოყალიბდა მეორე ცენტრი – „კავკასიის კომიტეტი“.

---

[16] პოლონეთის ელჩის, რომან კნოლის ფინანსური დახმარებით, კომიტეტის 3 წევრი სამუშაოდ გაიგზავნა კავკასიის საზღვრებთან: დ. ვაჩნაძე – არდაგანში, ა. კანტემირი – ყარსში, ხ. სულტანოვი – სპარსეთში (რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია, 1921-1939 წწ., გვ. 101).

[17] ნ. რამიშვილი მთავრობისათვის გაკეთებულ მოხსენებაში „კონფედერალისტთა კომიტეტს“ მოიხსენიებს, როგორც „პერსონალურ ნიადაგზე“ შექმნილ ორგანიზაციას. იგი წერს: „ეს მუშაობა (იგულისხმება 1924 წელს დეკლარაციის ხელმოწერასთან დაკავშირებული მოლაპარაკება) დამთავრებული იყო, როცა ჩვენ გავიგეთ, რომ სტამბოლში იმავე წლის (1924) ოქტომბრის დასასრულს თავი მოუყრია რამდენიმე კავკასიელ პოლიტიკურ მოღვაწეს და პერსონალურ ნიადაგზე შეუქმნია ე. წ. კავკასიის კონფედერატთა კომიტეტი, ჩვენს მეგობართა წარმომადგენლის ფინანსური დახმარებით. ეს კომიტეტი თავიდანვე შეუდგა იმ ფუნქციის აღებას, რაც შეადგენდა საქართველოს მთავრობის პრეროგატივას, ასევე, სხვა რესპუბლიკათა ოფიციალური წარმომადგენლებისას. ურთიეთბრძოლის თავიდან ასაცილებლად და მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ სამთა საბჭომ კავკასიის განმათავისუფლებელ კომიტეტთან ერთად განიზრახეს სტამბოლის კონფედერათა კომიტეტთან საერთო ენის გამოძებნა და ამ მიზნით, სტამბოლსა და პარიზში დაარსებულ კომიტეტთა გაერთიანება. ეს ცდა პირველ ხანებში უშედეგოთ დამთავრდა. და ეს იმიტომ, რომ „პერსონალურ ნიადაგზე“ შეკავშირებული მოღვაწეები სტამბულის კომიტეტისა იმედოვნებდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ კავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას და მთელის განმანთავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მოქცევას“ (ნ. რამიშვილის მოხსენება მთავრობისადმი კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობისა და ჟურ. „პრომეთეს“ გამოცემის შესახებ, სცა, ფ. 2130, აღწ. 1, საქ. 37, გვ. 2-3).

მთელი წელიწად-ნახევარი წარმოებდა მოლაპარაკება ამ ორი ცენტრის გაერთიანების შესახებ. ამ პროცესს მხარს უჭერდა პოლონეთის ხელისუფლება, რომელიც ცდილობდა საერთო კავკასიური მოძრაობის შექმნას ბოლშევიკების წინააღმდეგ.

1926 წლის 15 ივლისს სტამბოლში ორი ცენტრის საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთი – კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი. ერთ-ერთი პირველი მიზანი „დამოუკიდებელი კომიტეტისა" გახდა ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. 1926 წლის ნოემბერში გამოიცა ყოველთვიური ჟურნალი „პრომეთე". ჟურნალი „პრომეთე" და „პრომეთეული მოძრაობა" ერთი დიდი ფურცელია როგორც ქართულ-პოლონური ურთიერთობის, ასევე, კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში. სამწუხაროდ, ფორმატი არ გვაძლევს იმის საშუალებას, ამ მიმართულებით ვრცლად ვისაუბროთ. ჟურნალ „პრომეთეს" ისტორია შესწავლილია ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.[18]

1927 წლიდან ჟურნალი „პრომეთე" გამოდის შემდეგი ლოგოთი: "Organe de défense nationale des Peuples du Caucase de l'Ukraine et du Turkestan". მართალია, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მთავარ მიზნად დაისახა კავკასიის კონფედერაციის შექმნა, მაგრამ ჟურნალი „პრომეთე" და საერთოდ „პრომეთეელთა მოძრაობა" გაცილებით ფართო მასშტაბზე გავიდა. „დამოუკიდებლობის კომიტეტი", თავისთავად, რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ვერ მოახერხებდა, სსრკ-ში შემავალი სხვა ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ორგანო გამხდარიყო. ეს მისია იკისრა „პრომეთეს კლუბმა",[19] რომელშიც გაერთიანდნენ ემიგრანტები აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, უკრაინიდან, შუა აზიიდან, ასევე, ყირიმიდან, დონიდან, ყუბანიდან, კარელიიდან და ურალიდან.

[18] ჟურ. „პრომეთესა" და „პრომეთეელთა მოძრაობის" შესახებ იხ.: ვ. ბონჩკოვსკი, პრომეთეელთა მოაძრაობა, გაზ. „სამშობლო", პარიზი, 1938, 25-26, გვ. 14-19; В. Былинин, А. Зданович, В. Коротаев, Организация «Прометей» и «прометейское» движение в планах польской разведки по развалу России/СССР, Труды Общества изучения истории отечественных спецслужб, т. III, М., 2007; Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (Сборник документов), пред., пер., прим. Г. Г. Мамулиа, М., 2012.

[19] Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (Сборник документов), пред., пер., прим. Г. Г. Мамулиа, М., 2012. იხ., ასევე: Идеология борьбы порабошенных Россией народов, обединенних в обшестве «Прометей», სცა, ფ. 861, აღწ. 3, საქ. 344, ფურც. 8-9. ამავე საქმეში იხ. ჟურნალის წესდება და რეგლამენტი, ასევე, „პრომეთეს" კლუბის 1932-1933 წლებში შედგენილი საორგანიზაციო კომიტეტის პროექტი.

სტამბოლში „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ არსებობას 1928 წლიდან სერიოზული პრობლემები შეექმნა. 1925 წლის 17 დეკემბერს დაიდო თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულება „მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის“ შესახებ, რომლის ძალითაც თურქეთი ვალდებულებას იღებდა, არ დაეშვა მის ტერიტორიაზე ისეთი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მიმართული იყო სსრკ-ის წინააღმდეგ.[20] მართალია, თავდაპირველად „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მუშაობაზე ოფიციალური თურქეთი თვალს ხუჭავდა, მაგრამ 1928 წლისათვის, ფაქტობრივად, მისი მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

ს. მენაღარიშვილი იგონებს: „საქართველოს ეროვნული ცენტრი თავიდანვე გრძნობდა „კავკასიის კომიტეტის“ მუშაობის სიძნელეებს, რომელიც გამომდინარეობდა კომიტეტის სტამბოლში ყოფნიდან. ეს სიძნელე პირდაპირ გადაულახავი გამოდგა საქართველოსთვის განსაკუთრებით 1927 წლიდან. ეს სირთულენი გაორკეცდა 1928 წლის შემოდგომაზე, როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებამ გამოაძევა საქართველოს ელჩი, ს. მდივანი“.

1928 წელს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ უკვე აშკარა კრიზისში იყო. ამავე წლის აპრილში ნ. ჟორდანიას სახელზე გაგზავნილ წერილში შალვა ამირეჯიბი დაწვრილებით აღწერს კავკასიის დამოუკიდებელ კომიტეტში არსებულ ვითარებას: „მე დავესწარი „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ორ სხდომას და უკვე ზერელე დაკვირვებით ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ მთლიანი კავკასიური კომიტეტი არ არსებობს“.[21] ამის მიზეზი, უპირველესად, ის გახლდათ, რომ სსრკ-სა და თურქეთს შორის დადებული ზავის შემდეგ, საზოგადოდ, შეიცვალა თურქეთის დამოკიდებულება მის ტერიტორიაზე არსებული „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიმართ. შალვა ამირეჯიბი 1928 წლის 2 ოქტომბრის წერილში ნ. ჟორდანიას განუმარტავს ამ პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლის მიზეზს: „კომიტეტში, რომლის უკანასკნელი სხდომა ბატონ რასულ-ზადეს და მ. ვექილის თანდასწრებით მოხდა, ორივე სექცია იმ აზრის არის, რომ ოსმალეთის მთავრობის უკანასკნელი საქციელი ახალ პოლიტიკას არ ნიშნავს და რომ კავკასიის შესახებ ოსმალეთს ამჟამად საზოგადოდ არავითარი პოლიტიკა არა აქვს. ორივე სექცია მარწმუნებს, რომ აქ დღევანდელ რუსეთს საკმაოდ ძლიერად სთვლიან, მის რეჟიმს

---

[20] ეს ხელშეკრულება, ფაქტობრივად, პირველი „თავდაუსხმელობის პაქტის“ ტიპის დოკუმენტი იყო საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში (ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1999, გვ. 152).

[21] შ. ამირეჯიბის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, სცა, ფ. 198, აღწ. 3, საქ. 198, ფურც. 1.

ხანგრძლივად და ყველა ჩვენ საქმიანობას ზერელედ და არა სერიოზულად უცქერიან".[22]

თურქეთის მიერ შექმნილი ამ პირობების გამო თავდაპირველად ქართულმა ემიგრაციამ გამოთქვა აზრი „კავკასიის კომიტეტის" სტამბოლიდან ევროპის რომელიმე ქალაქში გადატანის შესახებ.[23] ამგვარ ცვლილებას წინ აღუდგა აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის ნაციონალური ცენტრები.

თითქმის ერთი წელი საქართველოს მხარე მოლაპარაკებას აწარმოებდა აზერბაიჯანთან და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ცენტრის პარიზში გადატანის თაობაზე, მაგრამ ამ შეხვედრებმა შედეგი ვერ გამოიღო.

1928 წლის 17 აგვისტოს „კომიტეტს" ტექნიკური მიზეზების გამო ტოვებენ საქართველოს წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ცენტრის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ამავე დროს ეროვნული ცენტრი მუდამ მზადაა, მეზობელ რესპუბლიკათა გაერთიანებული ეროვნული ცენტრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართოს კავკასიაში და კავკასიისათვის რევოლუციური მუშაობის გასაერთიანებლად და მის შესაფერ ორგანიზაციულ ფორმებში ჩამოსაყალიბებლად".[24]

„კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის" დაშლა არ ნიშნავდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმას. დამოუკიდებლად, სამივე რესპუბლიკის ნაციონალური ცენტრები შედიოდა ე. წ. „პრომეთეულ

---

[22] შ. ამირეჯიბის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, სცა, ფ. 198, აღწ. 3, საქ. 198, ფურც. 2. თავდაპირველად თურქეთი ცდილობდა, ხელი შეეშალა ქართული სექციის მუშაობისთვის, მაგრამ მალე ვითარება დასტაბილურდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტყვიერი განკარგულება ამ საკითხთან დაკავშირებით გადასცეს აზერბაიჯანის წარმომადგენელს, რასულ-ზადეს, რომელსაც განუმარტეს, რომ ქართველების სექციას ახალი შემადგენლობით შეეძლო საქმიანობის გაგრძელება, ოღონდ ფარულად (შ. ამირეჯიბის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, სცა, ფ. 198, აღწ. 3, საქ. 198, ფურც. 7).

[23] „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის" ევროპაში გადატანის იდეა პირად საუბრებში თავიდანვე გააჟღერეს ქართველმა ემიგრანტებმა. ამ ცნობამ სტამბოლამდეც მიაღწია. ნ. ჟორდანიასთან შ. ამირეჯიბის მიმოწერაში ერთი ასეთი დეტალია: „სხვა და სხვა გზით ხმები მოვიდა, რომ ქართულ ცენტრს გადაწყვეტილი ჰქონდეს კომიტეტის სხვაგან გადატანა, თუ ეს მართალია, ძალიან ვწუხვარ, რომ მე არაფერი ვიცი, რადგანაც კითხვას პირდაპირ მისვამენ – რა აზრის ვარ მე. რადგანაც თქვენი ცნობა არა მაქვს, ადერბაიჯანელები და მთიელები კი გადატანის კატეგორიული მოწინააღმდეგენი არიან, მე ვამშვიდებ მათ" (სცა, ფ. 198, აღწ. 3, საქ. 198, ფურც. 4).

[24] ეროვნული ცენტრის 17/VIII/1928 წლის დადგენილება კავკასიის კომიტეტიდან გასვლის შესახებ, სცა, ფ. 198, აღწ. 3, საქ. 198, გვ. 8.

მოძრაობაში". უნდა ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დიდ იმედებს ამყარებდა საერთოკავკასიური ფრონტის შექმნაზე. გაზეთ „მამულიშვილის" ფურცლებზე გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას წერილი – „მთლიანი კავკასია", რომელშიც ავტორი ხსნიდა, თუ რატომ იყო საჭირო კავკასიური ერთობის მიღწევა: „რუსეთმა ერთი საუკუნის განმავლობაში ორჯერ დაიპყრო კავკასია და ეს აგრე იქნება ყოველთვის, სანამ კავკასიის ერები ვერ ამაღლდებიან იმ შეგნებამდე, რომ მხოლოდ მთლიან კავკასიას შეუძლიან გზა გადაუჭრას რუსეთის იმპერიალიზმს... ამ გზის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არის კავკასიის მთლიანი ფრონტი; როცა ჩრდილოეთით, შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვის ნაპირამდე, აღმართული იქნება ერთი კედელი კავკასიის ნებისყოფისა".[25] დავით ვაჩნაძე, აანალიზებს რა „კავკასიის კონფედერაციის" შექმნის იდეას, დასძენს: „ეს შეთანხმება არ უნდა იყოს მარტო დიპლომატიური, ტაქტიკური, ფორსმაჟორული ვითარებით – ესე იგი, მარტო სადღეისო ანგარიშით გამოწვეული, არამედ სახელმწიფოებრივად შეკავშირებული, მუდმივი, დამყარებული ყველა ჩვენ ფიზიკურ და კულტურულ ძალებზე და საშუალებებზედ".[26] ჟურნალ „ადამიანოსანში" დაბეჭდილ სტატიაში ნიკოლოზ ინასარიძე, გეოგრაფიული ტერმინის, „კავკასიის" პარალელურად, ახალი კულტურულ-პოლიტიკური ეპითეტის, „კავკასიელის" დამკვიდრებისკენ მოუწოდებს მკითხველს.[27] გაზეთი „თავისუფალი საქართველო" მეთაურ წერილში აღნიშნავს: „ამ შეუფერებელ და გაზვიადებულ ლეგენდას, ვითომ კავკასიის ერთ არ უწერიათ მეგობრული განწყობილება, ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ მათი საერთო ფრონტი. იგი უკვე არსებობს ადგილზე – ბრძოლის ფრონტი. კავკასიის ერნი ერთათ და ცალ-ცალკე ეწევიან განმანთავისუფლებელ ბრძოლას ჩრდილოეთიდან მოვლენილ საშინელ მტერთან, ისინი ძმობილდებიან თვით ბრძოლის ველზედ, მათ მიერ დაღვრილი სისხლი ცალკე ნაკადულებიდან ერთ დიდ მდინარედ ქცეულა და საბოლოო საზღვარს ავლებს კავკასიასა და რუსეთს შორის".[28]

კავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები ცდილობდნენ, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტში" შექმნილი დროებითი კრიზისი უმოკლეს დროში დაეძლიათ. საბოლოოდ, მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. 1930 წლის 6-12 თებერვალს საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის

---

[25] გ. გვაზავა, მთლიანი კავკასია, გაზ. „მამულიშვილი", №2, პარიზი, 1926.

[26] დ. ვაჩნაძე, კავკასიის კონფედერაცია, „სამშობლო", №2, პარიზი, 1929.

[27] ნ. ინასარიძე, კავკასიის გაერთიანების იდეა, ურ. „ადამიანოსანი", №1, პარიზი, 1930.

[28] „თავისუფალი საქართველო", პარიზი, №74, 1932.

მთიელთა რესპუბლიკის ეროვნული ცენტრები კვლავ შეიკრიბა და გარკვეულ კომპრომისს მიაღწია.[29]

1) „კომიტეტი" აღდგებოდა და მისი ცენტრი იფუნქციონირებდა ვარშავაში; სტამბოლში შეიქმნებოდა საგანგებო სექცია;

2) კომიტეტს უხელმძღვანელებდა თითო სექციის ორ-ორი წარმომადგენლისგან შემდგარი საბჭო.

„კომიტეტმა" აქტიურად განაგრძო ფუნქციონირება, თუმცა, მალე, ნ. რამიშვილის სიკვდილის შემდეგ, გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. ამის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა მოკლე ხანში შეძლო ახალ რეალობაში გადასვლა. 1931 წელს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტში" ქართულმა მხარემ დააყენა ინიციატივა „კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის" შექმნის შესახებ. ამგვარი დოკუმენტის მიღების ვალდებულება ჩადებული იყო 1924 წლის 11 ოქტომბრის სამთა შეთანხმებაში.[30] თავდაპირველად, როდესაც ქართულმა მხარემ დაიწყო საუბარი კონფედერაციის კონსტიტუციის შექმნის აუცილებლობაზე, როგორც ჩანს, გარკვეული მონახაზი ამ დოკუმენტისა შედგა, მაგრამ გაირკვა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური ემიგრაცია „კონსტიტუციის" მიღების წინააღმდეგი იყო. მათი არგუმენტები ეფუძნებოდა არსებულ რეალობას – კავკასია დაპყრობილი იყო და ასეთ დროს „კონსტიტუცია" ფარატინა ქაღალდი იქნებოდა. ამასთანავე, ჯერ საჭირო იყო კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის მჭიდრო შეკავშირება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მუშაობის დაწყება. საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, ხელი მოეწერათ „კავკასიის კონფედერაციის პაქტზე". ამ სახელწოდების დოკუმენტის სამი ვარიანტია ცნობილი: პირველი – ე. წ. ვრცელი, რომელიც, ფაქტობრივად, კონსტიტუციის შემოკლებულ ვარიანტს უფრო წააგავს (მასში თავიდან 18 მუხლი იყო, ხოლო მოგვიანებით, მე-14 მუხლის ამოღების გამო, 17-მდე დავიდა),[31] მეორე – პირველიდან შექმნილი 17-მუხლიანი დოკუმენტი (აშკარაა, რომ მას საფუძვლად ვრცელი ვა-

[29] კონფერენციის მონაწილენი 19 და 20 თებერვალსაც შეიკრიბნენ (იხ.: ნ. რამიშვილის წერილი ნ. ჟორდანიასადმი ვარშავაში კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციის შესახებ, სცა ფ. 2113, აღწ. 1, საქ. 286. ამ მიმოწერაში კარგად ჩანს კონფერენციის მსვლელობისას არსებული დაძაბული ატმოსფერო. მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის" დაშლასა თუ მის შეფერხებით მუშაობაში).

[30] ს. მენაღარიშვილის ჩანაწერები კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის კომპეტენციისა და კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. 1933 წელი, სცა, ფ. 2131, აღწ. 1, საქ. 6, გვ. 1-7.
დოკუმენტები კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, სცა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 243, გვ. 11-15.

რიანტი ედო, თუმცა, ტექსტში გარკვეული კორექტივები შევიდა. ზოგიერთი მუხლი შემცირდა, ზოგიც გადაჯგუფდა)[32] და მესამე – ის, რომელსაც ხელი მოეწერა და რომელიც შედგებოდა შესავლისა და 6 პუნქტისაგან.

შეგვიძლია რეტროსპექტულად თვალი გავადევნოთ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მუშაობის თითქმის ორწლიან ისტორიას. 1931-1932 წლების მიჯნაზე ქართულმა ეროვნულმა ცენტრმა საბოლოოდ დაასრულა „პაქტის" ვრცელ ვარიანტზე მუშაობა, რომელიც თავისი შინაარსით შეიცავდა კონსტიტუციურ მუხლებსაც და საერთოდ, მისი კონსტრუქცია უფრო კონსტიტუციას წააგავდა, ვიდრე პაქტს. 1932 წლის დასაწყისში „პაქტის" პროექტი (ე. წ. ვრცელი ვარიანტი) გამოქვეყნდა „დამოუკიდებელი საქართველოს" 74-ე ნომერში.[33] მისი ფრანგული თარგმანი დაცულია საისტორიო ცენტრალურ არქივში. მას აქვს მინაწერი – „შესწორებულია 2/VII 932 სხდომაზე".[34] „პაქტი" შედგება სამი ძირითადი თავისგან: ა) კომპეტენციათა განაწილება; ბ) კონფედერაციის ორგანოები; გ) საზოგადო დებულებანი. მთლიანად პაქტი 18 მუხლს შეიცავდა. მასში განსაზღვრული იყო ისეთი სფეროების რეგულირება, როგორებიცაა: საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, კონფედერაციის მმართველობა, სასაზღვრო და საბაჟო პოლიტიკა, სასამართლო. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ცალკე შეთანხმებით უნდა დარეგისტრირებულიყო საერთო ფულისა და საწონ-საზომი ერთეულების, ასევე, რკინიგზის, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ერთიანი სისტემის შექმნის საკითხი.[35]

ქართულ ემიგრაციაში „პაქტის" გარშემო დიდი კამათი მიდიოდა. „დამოუკიდებელ საქართველოში" გამოქვეყნდა მეცნიერ-იურისტის, პროფ. მიხეილ მუსხელიშვილის ნარკვევი – „რამდენიმე შენიშვნა კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტისათვის", რომელშიც მუხლობრივადაა განხილული მთელი დოკუმენტი. დადებით მხარეებთან ერთად, საუბარია „პაქტის" ნაკლოვანებე-

---

[32] დოკუმენტები კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, სცა, ფ. 1861, აღნ. 3, საქ. 243, გვ. 11-15.გვ. 16-19.

[33] „დამოუკიდებელ საქართველო", №74.

[34] შესწორება შეეხო მე-14 მუხლს. ფრანგულ ვარიანტში ეს მუხლი ფანქრითაა ხაზგასმული. როგორც ჩანს, მოგვიანებით ის უკვე აღარ შევიდა გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ვარიანტში (დოკუმენტები კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, გვ. 11). ამ ვარიანტის რუსული თარგმანი შესრულებულია გ. მამულიას მიერ (იხ.: Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа, გვ. 495-498).

[35] „დამოუკიდებელი საქართველო", 74. იხ., ასევე: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 254-257.

ბზეც, თუმცა, დასკვნით ნაწილში ავტორი მაინც დადებით მოვლენად მიიჩნევს ამგვარი დოკუმენტის ძალით კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას.[36]

„პაქტის" განხილვისას საქართველოს, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, მცირე შესწორებებით (რამდენიმე მუხლი ამოიღეს ან გააერთიანეს), საბოლოო ვარიანტი თითქოს მიიღეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „კონფედერაციის" ამგვარი ფორმით ჩამოყალიბება მაინც ნაადრევად მიიჩნიეს ჩვენმა მოკავშირეებმა. საბოლოოდ, „პაქტმა" მიიღო სრულიად სხვა სახე, რომელზე მუშაობაც 1933-1934 წლების მიჯნაზე მიმდინარეობდა. 1934 წლელს საქართველოს ნაციონალური ცენტრი რამდენიმე დღის განმავლობაში (13-20 იანვარი) მსჯელობდა „პაქტის" შესახებ. ს. ჩხენკელს, ს. მდივანს და გ. გვაზავას მიენდო დოკუმენტის საბოლოო რედაქციის შემუშავება. ამავდროულად, მიდიოდა პოზიციების შეჯერება კონფედერაციის უმაღლესი ორგანოს – „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს" დებულების ირგვლივ.[37]

„პაქტს" ხელი მოეწერა 1934 წლის 14 ივლისს ვარშავაში. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების დადებისას მხარეებმა გაითვალისწინეს არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა და დოკუმენტზე საგანგებოდ არ მიუთითეს ხელმოწერის ზუსტი ადგილი, რათა კრემლს არ მისცემოდა საბაბი, პოლონეთი 1932 წლის ხელშეკრულების დარღვევაში დაედანაშაულებინა. „პაქტის" გაფორმების ადგილად, ვარშავის ნაცვლად, ბრიუსელი ჩაინერა.[38] „პაქტში" განმეორებულია 1924 წლის დეკლარაციის ძირითადი დებულებები. ამასთანავე, რამდენიმე სფეროში მეტ კონკრეტიკას ვხედავთ: 1) საზღვარი იქნებოდა საერთო, როგორც პოლიტიკური, ასევე, საბაჟო; 2) არმია შედგებოდა კონფედერაციის ჯარებისაგან, მხოლოდ – ერთიანი სარდლობით. 3) არბიტრაჟს ემატებოდა უზენაესი სასამართლო, რომლის ფორმირება ცალკე დადგენილებით უნდა განსაზღვრულიყო.[39]

როგორც ცნობილია, სომხეთის მხარე „კავკასიის კონფედერაციაში" შესვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხარეებმა საგანგებო მუხლით კიდევ ერთხელ დაადასტურეს სომეხ ხალხთან ერთობის აუცილებლობა (მუხლი 6: „ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის"[40]).

---

36 გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 258-284.

37 ამონაწერი ეროვნული ცენტრის 13-20 იანვრის 1934 წლის სხდომის ოქმიდან, სცა, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 243, გვ. 21-22.

38 Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 230.

39 Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 499-500.

40 Г. Г. Мамулиа, Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), გვ. 500

ურთიერთობა სომხურ ემიგრაციასთან ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული იყო კავკასიის დანარჩენი სამი რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის. 1931 წლის დასაწყისში ე. გეგეჭკორი რამდენჯერმე შეხვდა სომხეთის წარმომადგენლებს. საუბარი წარიმართა „კავკასიის კონფედერაციის“ გარშემო, თუმცა, მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. 1933 წლის 17 იანვარს პარიზში შედგა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული თათბირი, რომელსაც სომეხი პოლიტემიგრანტებიც ესწრებოდნენ. მათი პოზიცია კავკასიის კონფედერაციის თაობაზე ამჯერადაც ნეგატიური იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1936 წელს „ქართულ-სომხური უნია“ შეიქმნა, კონფედერაციაში სომხეთის წარმომადგენლები მაინც არ გაწევრიანდნენ.

„კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიზანი იყო, „პაქტის“ საფუძველზე, მოწვეულიყო კავკასიის კონფერენცია, რომელზეც „სამთა“ კავშირი ახალი პოლიტიკური ერთობის ფორმას მიიღებდა. ამავე კონფერენციაზე ჩაფიქრებული იყო „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მხრიდან უფლებამოსილების შეჩერება.

1935 წლის 15-16 იანვარსა და 23 თებერვალს პარიზში გაიმართა კავკასიის კონფერენცია. ამ ფორუმის შესახებ ბევრი დაწერილა,[41] ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელით გამოსულმა მ. რასულ-ზადემ კომიტეტის საქმიანობის მიმოხილვის შემდეგ ოფიციალურად განაცხადა მისი დაშლის შესახებ. კონფერენციაზე, საერთო კავკასიური ბრძოლის გაერთიანების მიზნით, შეიქმნა „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, მიიღეს საბჭოს რეგლამენტი. ახალი გაერთიანება გაცილებით სტრუქტურირებული და ქმედითუნარიანი იყო. ამაზე მეტყველებს საბჭოს ფარგლებში გამართული ინტენსიური შეხვედრები. თუმცა, ევროპაში შექმნილი ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა სრულიად სხვა მიმართულებით მიაქანებდა კონტინენტს.

---

[41] კავკასიის კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ქართულმა ემიგრაციამ ჯერ კიდევ 1937 წელს გამოსცა ბროშურა – „კავკასიის კონფედერაცია (აქტები და კომენტარები)“, გამოცემა კავკასიის საბჭოსი, პარიზი, 1937. ოფიციალური დოკუმენტების გარდა, მასში შევიდა იმ პერიოდის კავკასიის ხალხთა ემიგრაციულ პრესასა და ევროპულ გაზეთებში ამ თემის ირგვლივ დანერილი მოკლე მიმოხილვა.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42
www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge
1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

